

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული
COLLECTION OF THE WORKS
№20

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა

2021

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისტვალიშვილი
რედაქოლეგია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

პაველ ლიბერა

ელდარ ნადირაძე

მურმან პაპაშვილი

ჯაბა სამუშია

გიორგი სოსიაშვილი

როინ ყავრელიშვილი

დავით ყოლბაია

ნოდარ შენგელია

კორექტორა: თამარ გელიტაშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Pawel Libera

Eldar Nadiradze

Murman Papashvili

Jaba Samushia

Giorgi Sosiashvili

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Nodar Shengelia

Reviewer: Tamar Gelitashvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია
History of Georgia

- ლია გაბუნია – გელათის აკადემია
Lia Gabunia – GELATI ACADEMY 7
- რომან გოგოლაური – საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხებისთვის XIV საუკუნის 80-90-იან წლებში 13
Roman Gogolauri – THE RELATIONSHIP BETWEEN GEORGIA AND GOLDEN HORDE IN 80-90 S OF THE XIV CENTURY
- გვანცა ევანისელი – აბაღა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის 19
Gvantsa Evaniseli – ON THE MATTER OF THE NATIONALITY OF THE AMBASSADORS SENT BY ABAQA KHAN TO THE WEST
- კახა კვაშილავა – გიორგი XI-ის უკანასკნელი განსასვენებლის დადგენის საკითხისათვის 29
Kakha Kvashilava – TO THE PROBLEM OF ASCERTAINMENT OF BURIAL PLACE OF GEORGE 11TH
- ვაჟა კიკნაძე – კვლავ დაბის ეკლესიის წარწერის შესახებ (ტექსტის დაზუსტება, დათარიღება) 36
Vazha Kiknadze – ONCE MORE ABOUT VILLAGE DABA CHURCH INSCRIPTION (THE CORRECTION OF TEXT. DATE)
- ელდარ მამისთვალისვილი – ქართული ენის მნიშვნელობა კათოლიკური პროპაგანდისათვის 42
Eldar Mamistvalishvili – THE IMPORTANCE OF THE GEORGIAN LANGUAGE FOR PROPAGANDA IN GEORGIA (XVII-XVIII CC)
- თამარ მესხი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და იერუსალიმის ეკლესიის პოზიცია 49
Tamar Meskhi – RESTORATION OF THE AUTOCEPHALY OF GEORGIAN CHURCH IN 1917 AND THE POSITION OF JERUSALEM CHURCH
- მანანა მიჩიტაშვილი – ნაქალაქარ „ზოვრეთის“ სახელწოდების ეტიმოლოგიის საკითხისათვის 55
Manana Michitashvili – FOR THE ISSUES OF ETYMOLOGY OF THE FORMER CITY NAME – “MDZOVRETI”
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – მცირე ქალაქების ლოკალიზაციისათვის შიდა ქართლში 65
Nikoloz Otinashvili – FOR LOCALIZATION OF SMALL TOWNS IN SHIDA KARTLI REGION
- მურმან პაპაშვილი – საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი 69
Murman Papashvili – ANALYSIS OF ONE EPICODE FROM THE EVERDAY LIFE OF DON CHRISTOFORO CASTELI'S IN GEORGIA
- გიორგი სოსიაშვილი – მაქარაშვილების საგვარეულო და სოფელი არბო 79
Giorgi Sosiashvili – MAKARASHVILI'S AND VILLAGE ARBO

საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია
New and Modern History of Georgia

- იოსებ ალიმბარაშვილი – ტანას ხეობის მფლობელობისა და ექსპროპრიაციის საკითხი 93
Ioseb Alimbarashvili – THE ISSUE OF OWNERSHIP AND EXPROPRIATION OF THE TANA VALLEY
- ნუგზარ ბარდაველიძე – კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი საქართველოში. მოლოდინები და შედეგები 105
Nugzar Bardavelidze – CARDINAL PIETRO PAROLIN'S VISIT TO GEORGIA EXPECTATIONS AND RESULTS
- ელდარ თავბერიძე – საქართველო ბრესტის ზავიდან ბათუმის კონფერენციამდე 113
Eldar Tavberidze – FROM BREST TO THE TREATY OF GEORGIA OF BATUMI CONFERENCE
- პაველ ლიბერა – პოლონეთი და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი (1918-1939 წწ.) 119
Pawel Libera – POLAND AND THE QUESTION OF GEORGIA'S INDEPENDENCE 1918-1939
- მალხაზ მაცაბერიძე – იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალით 126
Malkhaz Matsaberidze – JÓZEF PIŁSUDSKI THROUGH THE LENSE OF GEORGIAN EMIGRATION
- კახაბერ ქებულაძე – საბჭოთა ოკუპაცია და ათეისტური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი ქუთაისის მაზრაში XX საუკუნის 20-იან წლებში 133
Kakhaber Kebuladze – SOVIET OCCUPATION AND SOME ISSUES OF ATHEIST POLITICS IN KUTAISI MAZRA IN THE 20S OF THE 20TH CENTURY
- ვლადიმერ წვერავა – ფრიდრიხ ბოდენშტედტი ქუთაისში 142
Vladimer Tsverava – FRIEDRICH BODENSHTEDT'S IN KUTAISI
- ოთარ ჯანელიძე – ქართული საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი XIX საუკუნეში 146
Otar Janelidze – THE PROCESS OF MODERNIZATION OF GEORGIAN SOCIETY IN THE XIX CENTURY
- ლევან ჯიქია – ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში (1944-1953) 160
Levan Jikia – TAO-KLARJETI AND LAZETI ISSUE IN THE INTERNATIONAL RELATIONS (1944-1953)

წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
Source Study and Historiography

- თამარ ანთაძე – საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია და პირველი ნაბიჯები 166
Tamar Antadze – PERIODIZATION AND FIRST STEPS OF THE STUDY OF THE HISTORY OF SCANDINAVIAN STATES IN GEORGIA
- მიხეილ ბახტაძე – პოლონეთის არქივში „Archiwum Akt Nowych“ დაცული სოსიპატრე ასათიანის ორი წერილის შესახებ 177
Mikheil Bakhtadze – ABOUT TWO LETTERS BY SOSIPATRE ASATIANI STORED IN THE POLISH ARCHIVE „ARCHIWUM AKT NOWYCH“
- თამარ გოგოლაძე – ისტორიული პერსონაჟი და მხატვრული ტექსტი 184
Tamar Gogoladze – HISTORICAL PERSONS AND ARTISTIC TEXT

- იბრაჰიმ თელიოღლუ** – დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ისლამური წყაროების მიხედვით
İbrahim Tellioglu – *ACTIVITIES OF KING DAVID THE BUILDER (AĞMAŞENEBELI) ACCORDING TO ISLAMIC SOURCES* 189
- მერაბ კალანდაძე** – დიმიტრი უზნაძე ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე
Merab Kalandadze – *DIMITRI UZNADZE ON KEY ISSUES OF AUSTRIAN HISTORY* 194
- იგორ კეკელია** – ეგრის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი პავლე ინგოროვას ნააზრევში
Igor Kekelia – *SOME OF THE POINTS ABOUT EGRIS-ABKHAZIA'S HISTORICAL GEOGRAPHY AND TOPONYMY IN THE WORK OF PAVLE INGOROKVA* 208
- თამილა კოშორიძე** – გორის მუზეუმის ერთი ექსპონატის ისტორიისათვის (თეთრახევის სამშენებლო წარწერიანი ქვა ფიქალი)
Tamila Koshoridze – *FOR THE HISTORY OF ONE EXHIBIT OF GORI MUSEUM (TETRAKHEVI BUILDING INSCRIPTION STONE SLATE)* 221
- მარიამ მარჯანიშვილი** – გორის სასწავლებლები XIX საუკუნის ქუთაისის პრესაში
Mariam Marjanishvili – *GORI SCHOOLS IN KUTAISI 19TH CENTURY PRESS* 227
- პაატა ნაცვლიშვილი** – ქუთაისელი ფრანგის ქართული წერილები ირანიდან არგენტინაში
Paata Natsvlishvili – *GEORGIAN LETTERS BY A KUTAISI FRENCHMAN FROM IRAN TO ARGENTINA* 232
- ნიკოლოზ ჯღენტი** – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ერთი დაკარგული საისტორიო აქტის შესახებ (1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთი მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი)
Nikoloz Zhghenti – *ABOUT ONE LOST HISTORIC JURIDICAL ACT GRANTED BY THE KINGS DAVID THE BUILDER AND DEMETRE I (MTIS ST. GEORGE MONASTERY DEED OF DONATION OF 1106-1125)* 249
- ნესტან სულავა** – ბიბლიური პერსონაჟები საისტორიო თხზულებაში „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ და მათი სიმბოლური მნიშვნელობა
Nestan Sulava – *CHARACTERS FROM THE BIBLE IN THE HISTORICAL WRITING "LIFE OF THE KING OF THE KING DAVIT" AND SYMBOLIC FUNCTION OF THEM* 259
- ტარიელ ფუტყარაძე** – ძველი ქართული ტექსტის თარგმანის არასწორი გააზრებით ყივჩაყების 24-საუკუნოვანი „ისტორიის“ შექმნის შესახებ (თურქულენოვანი მასალების ანალიზი)
Tariel Putkaradze – *ON MISINTERPRETATION OF OLD GEORGIAN TEXT ABOUT KIVCHAGH'S 24 CENTENNIAL HISTORY (ANALYSES OF TURKISH TEXTS)* 269
- იან შუმსკი** – ჰუვერის ომის, რევოლუციისა და მშვიდობის ინსტიტუტის არქივის რუსულ და საბჭოთა კოლექციებში საქართველოს ისტორიის შესახებ დოკუმენტების ძირითადი კრებულების მოკლე მიმოხილვა
Jan Szumski – *THE SUMMARY OF MAIN COLLECTION OF DOCUMENTS IN HISTORY OF GEORGIA IN RUSSIAN AND SOVIET COLLECTIONS FROM THE ARCHIVE OF THE HOOVER INSTITUTE OF WAR, REVOLUTION AND PEACE* 280

ეთნოგრაფია
Ethnography

- დავით ახლოური – ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში (1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით) 285
Davit Akhlouri – THE POPULATION OF KARCHOKHI VALLEY AT THE BEGINNING OF 19TH CENTURY
- არსენ ბერთლანი, გიორგი გოცირიძე, ქეთევან გიგაშვილი – ტერმინებიდან სისხლიან კონფლიქტებამდე. კიდევ ერთხელ ტერმინოლოგიური უწყესრიგობის შესახებ 294
Arsen Bertlani, Giorgi Gotsiridze, Ketevan Gigashvili – FROM TERMS TO BLOODY CONFLICTS ONCE AGAIN ABOUT TERMINOLOGICAL DISORDER
- მერაბ ბერიძე, მაკა ბერიძე – საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელობა დეპორტირებულ მესხთა იდენტობისათვის 301
Merab Beridze, Maka Beridze – THE IMPORTANCE OF EDUCATIONAL SPACE FOR THE IDENTITY OF DEPORTED MESKHETIANS
- თეა გოგოლიშვილი – პროვიდენციალიზმის პრინციპები დავითის ისტორიკოსის და უილიამ ტვიროსელის მიხედვით 307
Tea Gogolishvili – PRINCIPLES OF PROVIDENTIALISM ACCORDING TO DAVID'S HISTORIAN AND WILLIAM OF TYRE
- გიორგი იობაშვილი – გერმანელი კოლონისტები და ალკოჰოლური სასმელების სამრეწველო წარმოება საქართველოში 322
Giorgi Iobashvili – GERMAN COLONISTS AND INDUSTRIAL PRODUCTION OF SPIRITS IN GEORGIA
- სოფიო ფაჩულია – გენდერული კონსტრუირების პროცესი თანამედროვე საქართველოში 328
Sophio Pachulia – THE GENDER CONSTRUCTING PROCESS IN MODERN GEORGIA

გელათის აკადემია

გელათი – ქართული კულტურის თვალშეუწვდომი სიმაღლე, სიბრძნის უძირო ოკეანე, ქართველი ხალხის სულიერების ცენტრი – ღირსეულ ადგილს იკავებს ძველი, უბერებელი და უნიკალური ქართული კულტურის შედევრთა შორის.

მისი ელვარება და მიმზიდველობა საუკუნეების შემდეგაც არ გამქრალა და კიდევ დიდხანს გაანათებს ერთიან საქართველოს დასავლეთ საქართველოს გადმოსახედიდან. იგი კიდევ დიდხანს მიანიჭებს საკუთარ ხალხს მხატვრულ-ესთეტიკურ სიამოვნებას და შეინარჩუნებს თვალშეუდგამი ძეგლის მნიშვნელობას.

გელათის აკადემია – ქართული სამეცნიერო-პედაგოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა – 1106 წელს, გელათის მონასტერთან, დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსდა. დავითმა გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ შეკრიბა სწავლული ქართველები. აკადემიის სათავეში იდგა მოძღვართ-მოძღვარი.

გელათის აკადემიასთან, რომელმაც ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს იარსება, დაკავშირებული იყვნენ სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეებიც: იოანე შავთელი, არსენ კათალიკოსი, პეტრე გელათელი, ანტონი (მე-13 ს.), საბა (მე-14 ს.), ილარიონი (მე-16 ს.), მანასე (მე-16 ს.) და ბევრი სხვა. აქ დაიწერა და ითარგმნა მრავალი ნაწარმოები. შეიქმნა ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ბევრი შედევრი. გელათშივე არსებობდა ოქრომჭედლობის მსოფლიოში განთქმული სკოლა. ამ სკოლის ატესტაციისათვის საკმარისია დავასახელოთ საქვეყნოდ ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ხატი, რომლის კარედიც აქ დამზადდა. გელათში ასევე მოქმედებდა სამედიცინო დაწესებულება – ქსენონი (სასწავლო სახლი), ობსერვატორია და სხვა.

არასდროს არაგვის ისე მძაფრად არ განუცდია და არ დასჭირვებია მისი სიდიადე და მნიშვნელობა, როგორც დღევანდელ თაობას. ამიტომ ის წარსული დიდება, რომელიც ჭარბად დააბერტყა ღმერთმა ჩვენს ქვეყანას დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში, უცილობლად წაადგება მომავალ საქართველოსაც.

გელათი დავითის მეფობის ხანაში ქართული კულტურის თვალსაჩინო ცენტრი გახდა. საერო ფილოსოფიური მეცნიერების განვითარების დონით თანამედროვენი გელათს „სხუა ათინას“¹ (ქალაქი ათენი – ძველი საერო ფილოსოფიური აზროვნების განთქმული ცენტრი ანტიკურ სამყაროში) უწოდებდნენ, საეკლესიო-სასულიერო განათლებისა და მოღვაწეობის მიხედვით კი „მეორე იერუსალიმად“² (ქალაქი იერუსალიმი – ქრისტიანობის მსოფლიო ცენტრი) მიიჩნდათ. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც გელათმა დაგვიტოვა, თანამედროვეთა ეს შედარებანი გასაგები გახდება. გელათმა XII-XV საუკუნეებში შექმნა იმ დროის კვალობაზე ლიტერატურული, ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის პირველხარისხოვანი ნაწარმოებები, ოქრომჭედლობის მსოფლიო ნიმუშები.

„გელათი, როგორც სამეცნიერო-მხატვრული შემოქმედების ცენტრი“, ეპოქალური მნიშვნელობისაა იმ მხრივაც, რომ აქ XII საუკუნეში აგებული საერო-სამოქალაქო სტილის ნაგებობა – გელათის აკადემიის შენობა – იდგა და, ნანგრევების სახით, დღესაც დგას ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მთელი სისტემის ნაშთით, რომელიც თანამედროვეთა ძალისხმევით ხშირად გაცოცხ-

¹ ბ. ლომინაძე, გელათი. სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის სახელმწიფო გამოცე. „ცოდნა“, თბ., 1959, გვ. 5

² ბ. ლომინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41

ლდება ხოლმე „ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“. ქართველმა ერმა დიდი და მკაცრი გამოცდა ჩააბარა. ქართულმა კულტურამ, ქართულმა განათლებამ გაუძლო მტრისა და დროის ამ რთულ გამოცდას და გადაგვარებას გადარჩა. დღეს ხელთა გვაქვს ქართული განათლების მთელი სისტემა, განმტკიცებული და გამაგრებული სრულიად ქართული გამოცდილებით. თანამედროვეობასთან კავშირში სასურველია, შევინარჩუნოთ საუკუნეებგამოვლილი „ფერადოვანი გამა“, რომელიც, როგორც დიდი შოთა იტყოდა: „უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა“¹.

მეცნიერების ამ საერთო აღმავლობას სხვადასხვა მიმართულებით ბრძოლის გრძელი გზა უძლოდა წინ. დიდი მნიშვნელობის საგანმანათლებლო კერები, გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებმაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საქმე, XII საუკუნეში დაარსდა.

მრავალჭირნანახ ქართველ ერს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრი განსაცდელი გამოუვლია, მაგრამ ჰქონია ბედნიერი, ნათელი დღეებიც. ერთ-ერთი საოცნებო დილა მაშინ გაგვითენდა, როცა გაისმა ქართული კულტურის ზარების გუგუნის და მსოფლიო ისტორიის თვალი, ძველი კოლხეთი, კვლავ მისწვდა ჩვენი უძველესი კულტურის ცის კაბადონს.

ქართველ ხალხს განათლებისა და კულტურის მეტად მდიდარი ტრადიციები აქვს. ძველ კოლხებს უძველეს დროში ჰქონდათ დამწერლობა, „ადგენდნენ რუკებს და ოქროს მოპოვების წესი ქალაღზე გადაჰქონდათ“².

ლეონტი მროველისა და სხვა ქართველ განმანათლებელთა მონაცემებით, ძვ. წ. მესამე საუკუნეებში სრულიად ქართლის მეფე ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობა „ქართული“. „ამასთანავე ცნობილია ამავე პერიოდში პირველდაწყებითი სასწავლებლების არსებობა ეანში, არქეოპოლისსა და სხვა ქალაქებში. ცნობილია აგრევე ქალაქ ფაზისში III-IV საუკუნეებში უმაღლესი რიტორიკული სკოლის, ანუ აკადემიის არსებობა, სადაც ბერძენ ფილოსოფოსებს, მამა-შვილ ეგვენიოსსა და თემისტოიოსს მიუღიათ უმაღლესი განათლება“.

განათლების სფეროში IV საუკუნიდან ახალი ეტაპი იწყება. ქრისტიანობის შემოღებამ თვისობრივად ახალ სასწავლო კერებს ჩაუყარა საფუძველი. არ არის გასაკვირი, რომ აკადემიკოსი „შალვა ნუცუბიძე გელათის აკადემიას განიხილავდა, როგორც რენესანსული განათლების ცენტრს. ცნობილია, რომ იგი მრავალ სფეროში ეძიებდა არგუმენტებს აღმოსავლური რენესანსის თავისის თეორიის დასამტკიცებლად“³.

„დავით მეფის მიერ ქუთაისის მახლობლად დაარსებული გელათის აკადემიით ცნობილ საგალობელში - „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ წინასწარ განცხადებული ქართული ენის, საერთოდ, ქართული კულტურის დიდი ისტორიული მისია თითქოს რეალურ ხორცშესხმას იწყებდა...“ შემდეგდროინდელი განათლების სისტემას სწორედ გელათის აკადემიის ტრადიციები ასხამდა ფრთებს და ზოგჯერ აღმავლით, ზოგჯერ კი დაბრკოლებებით, მაგრამ მაინც ფრთაშესხმული მიიკვლევდა გზას ურთულეს ლაბირინთებში.

„გელათის სკოლა“ სათავეში ედგა ახალი, დიდი ქართული კულტურის საერთო აღმავლობას. „გელათი“ („ახალი რომი“, „ელადა“) გადაიქცა მთელი აღმოსავლურ-ქრისტიანული (მართლმადიდებელი) სამყაროს უდიდეს კულტურულ ცენტრად. იგი ადრეული ქართული რენესანსისა (ჰუმანიზმის) და ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უპირველესი სამჭედლო გახდა“, – წერს პროფესორი გ. გაბუნია⁴.

¹ გ. ჯობლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. VII, გამომც. „მეცნიერება“, თბ., გვ. 5

² ი. ბასილაძე, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 3

³ გ. მჭედლიძე, გელათის მეცნიერებათა აკადემია, ისტორია და დღევანდელი. საგამოც. ცენტრი „ქუთაისი“, ქუთ., 2004, გვ. 119

⁴ გ. გაბუნია, ერთი ეპიზოდი XII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ., №12, 2005, გვ. 11

ეს სიტყვები მთელი სიცხადით ასახავს გელათის აკადემიის მნიშვნელობას განათლების საკითხებში, რადგან „გელათის სკოლა“ ეს, პირველ რიგში, აკადემიაში აღზრდილ და განთლებამიღებული, შემდგომში დიდი ფილოსოფოსებისა და „სწავლულ კაცთა“ სამჭედლო, ქართულ ენაზე ამეტყველებს მეცნიერულ ცოდნას და შექმნის „ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ენას“. ეს იყო დრო, როცა „გელათური სკოლა“ წარმატებით იბრძოლა იმისათვის, რომ საქართველოს ახალგაზრდა თაობებს უმაღლესი და საერო განათლება აქვე, საქართველოში, მშობლიურ ენაზე მიეღო.

ამიტომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო დიდი დასაწყისი შემდგომში განათლების კერების შექმნისა დასავლეთ საქართველოში, ტრადიციული გაგრძელება განთლების აღმავლობისა და მტკიცედ დამკვიდრებისა სრულიად საქართველოში.

ამ დროისათვის შეიქმნა უამრავი ფილოსოფიური თუ საერო ხასიათის უნიკალური ნაწარმოები.

გამოვყოფდით ერთ-ერთი საინტერესო ძეგლის თარგმანს. უძველესი ქართული თეოდორიტეს არაეგზეგეტიკური თხზულებებიდან გელათურ ხელნაწერებს შორის გვხვდება საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ფრაგმენტი (1.23), რომელიც ქართველთა გაქრისტიანებას ეხება. 24 ხელნაწერთან (XIII ს.) ერთად, რომელიც უშუალოდ ეფრემ მცირის თარგმანიდან არის გადაწერილი, აღნიშნული ფრაგმენტი დაცულია გელ. 25-შიც (XII ს. გრიგოლ ჩახრუხადის გადაწერილი სჯულის კანონი), რომელიც მასთან ერთად ამ ფრაგმენტის ორ უადრეს ვარიანტს წარმოადგენს. ტექსტი ბერძნულ დედანს ზედმიწევნით შეესაბამება.

ეფრემ მცირის მიერვე არის თარგმნილი თეოდორიტეს ფილოთეონ ისტორია, დღეისათვის შემორჩენილი თეოდორიტეს ქართულ თარგმანებს შორის უმშვენიერესი თხზულება, რომლის ეფრემ მცირესეული ავტოგრაფი აღმოჩენილი არ არის, ხოლო ამ ნაშრომმა ჩვენამდე მხოლოდ იმიტომ მოაღწია, რომ იგი დაცული და, შესაძლოა, გადაწერილიც იყო გელათის აკადემიაში. თედო ჟორდანიას აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ორივე ხელნაწერი, A689 და A682, რომლებიც ფილოთეონ ისტორიის ქართულ თარგმანს შეიცავენ, გელათში ინახებოდა¹.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია აკადემიაში წარმოებული დიდი მეცნიერული სამუშაოებისა. აქ უხვი, ფრიად ნაყოფიერი და უხვმოსავლიანი ოთხი საუკუნე ზეიმობდა. როგორც მემატთანე მოგვითხრობს, დავითმა „შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველთა სათნოებითა... იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყუანა და დაამკვიდრნა“. ე. ი. მან გელათში საძოვავად შეკრიბა და მოიწვია სწავლულები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი ნიჭითა და ზნეობრივი სიფაქიზით. მემატთანე გელათის სამეცნიერო დაწესებულების შესახებ გვაცნობებს: გელათი „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებისად, სხუად ათინად. ფრიად უადრეს მისსა“².

„გელათის აკადემიის არსებობის ფაქტი მეცნიერული კვლევის თანამედროვე საფეხურზე დადგენილად ითვლება, ხოლო მისი შექმნა სრულიად არ იყო შემთხვევითი, რადგან მას წინ უძღოდა მწერლობის, მენიერების, კულტურისა და მეურნეობის ყველა დარგში ქართველი ხალხის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა“³.

გაერთიანებული ქვეყნის მეცნიერების ცენტრი ნამდვილად სჭირდებოდა ამ პერიოდის საქართველოს. დავით აღმაშენებელმა აქ შექმნა ღვთისმეტყველების, ე. ი. თეოლოგიის, ასევე საკუთრივ ფილოსოფიური განათლების ცენტრიც. გელათში თავი მოიყარა XII საუკუნემდე თარგმნილმა ნაწარმოებებმა. ამ დროისათვის უკვე იქმნებოდა ორიგინალური ნაშრომებიც. ხელნაწერი წიგნები, რომლებიც ამ დროს დაიწერა, მაშინდელი ქართული სკოლის მაღალი მეცნიერული ცოდნის მაუწყებელია.

¹ ვ. ჯუღელი, გელათურ ნუსხებში დაცული თეოდორიტე კვირიელის თხზულებები, გელათის მეცნ. აკად. ჟურნ., №12, 2005, გვ. 4-5

² ქართული ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. თბ., 1955, გვ. 330-331

³ მ. ნიკოლეიშვილი, გელათი. გამოც. „ხელოვნება“, თბ., 1982, გვ. 12

„გელათის აკადემიის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორგანიზატორული და იდეური წარმმართველი იყო მეფე დავითი და მის გვერდით მყოფი მოღვაწეები – იმდროინდელი მოწინავე სწავლულები, ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა მათი ნაშრომები, უწინარეს ყოვლისა, თვით დავით აღმაშენებლის მიერ დაწერილი ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“¹, რომელიც, როგორც სპეციალისტები (აკად. გ. თევზაძე) თვლიან, ქრისტიანული მსოფლმხედველობის და, საერთოდ, ძველი კულტურის ღრმა ცოდნის საფუძველზე შექმნილი ნაწარმოებია. „დავით მეფე ღრმად მორწმუნე იყო, მას ეჭვი არ ეპარებოდა თავის მისიისა და ღვთის მხარდაჭერაში. მისი მოქმედება, როგორც დიდი ისტორიული პიროვნებისა, ემთხვეოდა მსოფლიო სულის ნებას...“, – დასძენს პროფ. მ. ნიკოლეიშვილი წიგნში „გელათის აკადემიის კულტურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა“².

გელათის სკოლის სალიტერატურო და ფილოსოფიური ნაშრომების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება ის კულტურულ-მწიგნობრული საქმიანობა, რომელიც გაჩაღებული იყო ამ სკოლაში.

შალვა ნუცუბიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ XI-XIII საუკუნეთა დროინდელი, ზედმიწევნით დალაგებული ცნობები მეცნიერებათა შესწავლის მეთოდების შესახებ არ მოიპოვება, ასეთი მეთოდები უთუოდ არსებობდა. ამას ადასტურებს ეფრემ მცირეს (XI-ის II ნახ.), იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის მიერ გამოთქმული არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო იდეები, არამედ წმინდა მეთოდური ხასიათის შენიშვნები (ნუცუბიძე, 1965, 297).

იოანე პეტრიწის აზრით, სწავლება მარტივიდან რთულზე გადასვლით უნდა ხდებოდეს, რათა იგი გასაგები გავხადოთ. იოანე პეტრიწს ეს მოთხოვნა ასე აქვს გამოთქმული: „რამეთუ სასწავლოდ შემაგალთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და მერმეთა მათგან შედგმულთა ვითარცა ასოთა მიერ სახელსა, ხოლო სახელთა მიერ თქმუასა და კუალად თქუმისა მიერ სიტყუასა (იოანე პეტრიწი, 1937,5).

XII საუკუნის ქართული საგანმანათლებლო-სამეცნიერო სკოლა, გელათის აკადემია, 1970 წელს, ნაწილობრივ, თითქოს კვლავ მკვდრებით აღდგა. შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულება, რომლის მიზანი იყო საქართველოს უძველესი კულტურის ცენტრის – გელათის აკადემიის მეცნიერული მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლა. სახალხო აკადემიამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. მან განვილი პერიოდში საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, – წერს პროფ. მ. ნიკოლეიშვილი წიგნში - „გელათის სახალხო აკადემია“, რომელიც გელათის სახალხო აკადემიის აღდგენის ერთ-ერთ ინიციატორად და ხელმძღვანელად ითვლებოდა³. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობა დიდად უწყობდა ხელს ამ ახლად დაარსებული სახალხო აკადემიის მუშაობის სრულყოფას. ამ დროს მისი დირექტორი ბატონი მიხეილი ბრძანდებოდა, ხოლო ყველა კონფერენცია თუ ღონისძიება, რომელიც ამ პერიოდში ტარდებოდა, მუზეუმის ეგიდით მიმდინარეობდა. დედაქალაქიდან ჩამოსული ცნობილი მეცნიერები ცდილობდნენ, კიდევ მეტი მეცნიერული სიმაღლე მიეცათ ასეთი შეხვედრებისათვის...

ბაგრატის ტაძარი, გელათის ხუროთმოძღვრული ანსამბლი და გეგუთის სასახლე ხელოვნების ის ძეგლებია, რომლებიც მიმართულებას აძლევდნენ შუა საუკუნეების ქართული, ეროვნული კულტურის განვითარებას, ხოლო გელათის აკადემიის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართული კულტურისა და ხელოვნების, ქართველი ერის მაღალი ინტელექტუალური შემოქმედების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

¹ მ. ნიკოლეიშვილი, გელათის აკადემიის კულტურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა, ქუთ., 1999, გვ. 7

² მ. ნიკოლეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 15

³ მ. ნიკოლეიშვილი, გელათის სახალხო აკადემია, ქუთ., 2000, გვ. 3

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგაც კულტურული ცხოვრება ქუთაისში არ შეწყვეტილა. მწიგნობრულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-ლიტერატურული ინტერესები აქ საკმაოდ ძლიერი იყო.

დავით აღმაშენებელმა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სულიერი სფეროს გარდაქმნას მიაპყრო განსაკუთრებული ყურადღება. შემთხვევით არ უწოდებია მისთვის ანტონ კათალიკოსს „მეფე ფილოსოფოსი“. დავით აღმაშენებელმა იცოდა, რომ სულიერი ცხოვრების გარდაქმნის გარეშე შეუძლებელი იყო გონივრული პოლიტიკური კურსის განხორციელება. ამიტომაც იპყრობს მისი მოღვაწეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას რუის-ურბნისის საეკლესიო კრების საკითხი. ეს იყო ჰუმანიტარულ ღირებულებებზე აგებული გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოში XII-XIII საუკუნეებში მომხდარ სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებს. დავით აღმაშენებელმა საეკლესიო კრებას ურთულესი საკითხი გადააწყვეტინა – თანამდებობიდან დაითხოვეს მაღალი რანგის საეკლესიო პირები, რომლებიც „გვარიშვილობით“ და „მამულობით“ იყვნენ დაწინაურებული. მათ ნაცვლად დააწინაურეს პიროვნებები, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი მაღალი ღირსებით, ცოდნითა და განსწავლულობით. ეს იყო ეპოქალური გადაწყვეტილება, რომელიც მანამდე გაუგონარ ამბავს წარმოადგენდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ დავით აღმაშენებელმა საქართველოში პირველი ვეზირობა სწორედ მწიგნობართუხუცესს მიაკუთვნა.

გაერთიანებულ საქართველოს სამეცნიერო ცენტრი სჭირდებოდა და დავით აღმაშენებელს ამ მიზნის განსახორციელებლად ესახებოდა გელათის აკადემია. იგი საქართველოში საერო და სასულიერო მეცნიერების ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც მეცნიერების ყველა დარგს აერთიანებდა. გელათის აკადემია გაერთიანებული საქართველოს ცენტრალურ სამეცნიერო დაწესებულებად ითვლებოდა, რომელზე დაყრდნობითაც სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებული მზრუნველობითა და მხარდაჭერით სარგებლობდა. გარდა შვიდი სამეცნიერო-სასწავლო დარგისა, რომლებიც აქ ისწავლებოდა, დავით აღმაშენებელმა გელათში კიდევ ობსერვატორია და სამედიცინო დაწესებულება – ქსენონი დაარსა. ასე ესმოდა „მეფე ფილოსოფოსს“ XII საუკუნეში მეცნიერული მართვის ორგანოს – გელათის აკადემიის დანიშნულება.

გელათის აკადემიაში დაიწერა და ითარგმნა მრავალი ისტორიული, ფილოსოფიური და ლიტერატურული ნაშრომი. იოანე პეტრიწმა ბერძნული ენიდან ქართულად აქ თარგმნა არისტოტელეს, ი. ფლავიოსის, პ. დიადოხოსის, ნ. ემესელის და სხვათა თხზულებანი და შრომები. აქვე თარგმნა არსენ იყალთოელმა „დიდი სჯულის კანონი“...

გელათის აკადემიის სათავეში, როგორც აღვნიშნეთ, იდგა „მოდვართმოდვარი“, ანუ, მასწავლებელთ-მასწავლებელი. იგი საქართველოში განსაკუთრებული ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობდა. გელათის სამეცნიერო სკოლის მეშვეობით საქართველოში იქმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ნაშრომები ქრისტიანული აზროვნებისა; ამ სკოლაში ინერგებოდა თანამედროვე ბიზანტიის უმაღლესი სკოლის ტრადიციები; ქართველი მწავლებლები ესწრაფვოდნენ ძველი ბერძნული და ბიზანტიური მწერლობის ნაშრომების თარგმნას ქართულ ენაზე. ამასთან, გელათის აკადემიაში თავს იყრიდა XII საუკუნემდე თარგმნილი ნაშრომები, აქ იქმნებოდა ორიგინალური თხზულებები. იმის შესახებ, თუ რა შემოქმედებით დონეს მიაღწია გელათის სკოლამ, ამაზე მეტყველებს ის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ამ სკოლამ დატოვა, ხელნაწერი წიგნების სახით. გელათის აკადემიამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა იმ მწიგნობრულ საქმიანობას, რომელიც ინტენსიურად გრძელდებოდა XIII-XVI საუკუნეებში¹.

გელათის აკადემიამ მე-16 საუკუნემდე იარსება, მაგრამ მწიგნობრული საქმიანობა შემდეგ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. აკადემიას დარჩა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც ამჟამად ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მანლობელი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურული წარსულის შესწავლის საქმეში.

¹ გ. გაბუნია, დავით აღმაშენებელი, ქუთ., 1973, გვ. 5

გელათში მოღვაწე იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის (ვაჩეს-ძე) პიროვნული დავის შედეგად ერთი კარგი და დიდი საქმე გაკეთდა. არსენი, თავის მომხრეებთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში გადავიდა, სადაც XII საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს, დააარსა იყალთოს აკადემია.

ასე გახდა იყალთოს აკადემია გელათის აკადემიის პირმშო ¹.

Lia Gabunia
Akaki Tsereteli State University
GELATI ACADEMY
RESUME

The boundless height of Georgian culture, the bottomless ocean of wisdom, the conqueror of Georgian people's feelings takes an honorable place among old, ageless and unique masterpieces of Georgian culture.

During the period of David the Builder's reign Gelati had become an eminent centre of Georgian culture. Contemporaries called Galati "Another Athens" for the level of temporal philosophical scientific development, and "Another Jerusalem" according to clerical education and activities.

"Galati School" was at the head of general development of new, great Georgian culture.

Georgian people have very rich traditions of education and culture. Old Colchis had a written language from oldest times, "they were drawing maps and writing rules of getting gold on paper".

In IV century began a new stage in education sphere. Convertor to Christianity put basis to new educational hearths. No wonder that, academician "Shalva Nutsubidze was considering Gelati Academy as the centre of Renaissance education. It is known that, he was searching for arguments in many spheres to prove his theory about oriental Renaissance".

"After getting acquainted with literary and philosophic works of Gelati school became clear those cultural-bibliophilic activities, which were going in this school, in Gelati Academy in XII-XVI centuries".

Gelati Academy established near Kutaisi by King David – "the great historical mission of beforehand announced Georgian language, of whole Georgian culture was beginning as if real incarnation in "the Praise and Glorification of Georgian Language" in the famous chant.

Exactly, the traditions of Galati Academy were feathering the educational system of following period, sometimes with ascension, and sometimes with obstacles, but on the whole were inspired paving the way in the most difficult labyrinths.

¹ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, 1978, რედ. ი. აბაშიძე, გვ. 36-37

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხებისთვის XIV საუკუნის 80-90-იან წლებში

საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაკვრით შეეხნენ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, დ. კაციტაძე, კ. ტაბატაძე, ვ. კიკნაძე და სხვ., რომელთაც საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს. მიუხედავად ამისა, მათ ნაშრომებში გვხვდება ზოგიერთი სადავო მოსაზრებანი თუ დებულებანი.

წინამდებარე ნაშრომი საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის ირგვლივ ბოლო დრომდე ბუნდოვნად მიჩნეული ან ნაკლებად იდენტიფიცირებული ფაქტების და მასში არსებული ხარვეზების შევსებას ითვალისწინებს.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, ჯერ საჭიროა, მოკლედ მიმოვიხილოთ აღნიშნულ პერიოდში სამხრეთ კავკასიასა და ოქროს ურდოში არსებული პოლიტიკური ვითარება.

ჯერ კიდევ ილხან აბუ-საიდ ბაჰადურ-ხანის, იმავე ყაენ აბუ-საიდის დროს ჩამოყალიბდა ძლიერი ადგილობრივი ფეოდალური დაჯგუფებები. ყაენ აბუ-საიდის გარდაცვალების შემდეგ (1335 წ. 30 ნოემბერი. მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა), მსხვილმა ფეოდალურმა დაჯგუფებებმა ტახტზე აიყვანეს ჩინგიზ-ხანის შთამომავლები, რომელთა ძალაუფლებასაც ნომინალურად სცნობდნენ, რეალურად კი ძალაუფლებადამოუღებელი ილხანთა საყაენოს დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთ რეგიონები ჯელაირიანებმა, ჩოხანიანებმა და მუზაფერიდებმა დაიკავეს. არაბეთის ერაყში გაბატონებულმა ამირა ბოზორგმა საფუძველი ჩაუყარა ჯელაირიანთა დინასტიას (1340-1440). მათი მმართველობა მხოლოდ დროებით შეწყდა თემურ-ლენგის შემოსევის დროს. მათი მეტოქეები იყვნენ ჩოხანიანები – ჰასან ქუჩუკი და მელიქ აშრაფი. ისინი თავიანთ სამფლობელოში განუსაზღვრელ და შეუზღუდავ, სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელთაც დახმარებისთვის მიმართეს ოქროს ურდოს ხანს, ჯანიბეგს. იგი დიდი ჯარით მოვიდა და დაიკავა თავრიზი. მან ბოლო მოუღო ჩოხანიანთა სახელმწიფოს (1356). მათი წასვლის შემდეგ სპარსეთის ერაყი და სამხრეთ აზერბაიჯანი დაიპყრო მუზაფერიდმა მუბარაზ ად-დინ მუჰამედმა (1357). ამის შემდეგ თავრიზი დაიკავა ჯელაირიანთა სულთანმა უვეისმა და მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში, ერაყისა გარდა, აღმოჩნდა ჰამადანი, ყაზვინი, სულთანე, ქურთისტანი, სახმრეთ აზერბაიჯანი, სომხეთი, ყარაბაღი¹.

სამხრეთ კავკასიაში ილხანთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ანგარიშგასაწევი ძალა გახდა საქართველო, რომლის გაერთიანება, აღორძინება-რესტავრაცია გიორგი V-ბრწყინვალეს მეფობაში გახდა შესაძლებელი, მაგრამ მისი მეფობის ბოლო წლებში გარკვეულმა სიძნელებმა იჩინა თავი.

1338 წელს საქართველო დალაშქრა აზერბაიჯანის მმართველმა ჩოხანიდმა ჰასან ქუჩუკმა, რომელმაც აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა. „ადარბადაგანის“ მფლობელს დაუკავებია სომხეთი, რანი და მოვაკანი. განჯას მოსულს, გიორგი მეფის დამორჩილებაც მოუნდომებია, მაგრამ ქართველებს სასტიკი ომით უკან გაუძევებიათ. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ცნობებს: „...ხოლო ვინაფთვან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თჳსს და კავკასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიდიდან დარუბანდამ-

¹ კაციტაძე, ირანის ისტორია თბ., 2003, გვ. 311-312.

დე: კუალად რანი, მოვაკანი და შირვანშა მოხარკედ აქუნდა და აღარავინ იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი...“¹.

აღმავლობის გზაზე შემდგარ საქართველოს დიდი სიძნელე შეექმნა გიორგის შვილის, დავით IX-ის დროსაც (1348-1360). 1349-1350 წწ. საქართველომ ანუ შირვანს გადაუხადა ხარკი 400000 დინარის რაოდენობით². აკად. ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით: „გიორგი ბრწყინვალემ ვერ აღადგინა ქართული მიწისმფლობელობა საქართველოს განაპირა აღმოსავლეთ ნაწილში, რის გამოც ეს მხარე (აღმოსავლეთ ნაწილი საარიშთანოსი – შაქი) საქართველომ სულ მალე, XIV ს-ის მიწურულს, მთლიანად დაკარგა³. თუ გიორგი ბრწყინვალე დარუბანდამდე ტერიტორიებს დიდი ძალისხმევით შედეგად ინარჩუნებდა, ბაგრატ V-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოს გავლენა შეკვეცილია. ვახუშტის ცნობით: „...არამედ აქუნდა მას (ბაგრატ V – რ.გ.) მოხარკედ რანი მოვაკანი და ღვინი...“ (ვახუშტი, 1973:269), მაგრამ თემურ-ლენგის შემოსევებისთანავე ეს მხარე საბოლოოდ ჩამოშორდა საქართველოს.

რაც შეეხება ოქროს ურდოს პოლიტიკურ ვითარებას, განსხვავებით ილხანთა სახელმწიფოსაგან, მან რამდენადმე გვიანობამდე შეინარჩუნა ერთიანობა. ჩვენთვის განსახილველ პერიოდში ოქროს ურდოს ხანებიდან, ვინც ოქროს ურდოსთვის აზერბაიჯანის შემოერთებას აქტიურად უჭერდა მხარს, იყო ჯანიბეკი, რომელმაც დაიკავა აზერბაიჯანი და აიღო ქალაქი თავრიზი. მისი გარდაცვალების (1357 წ.) შემდეგ თავრიზი და ჩრდილო აზერბაიჯანი დაიპყრო ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენელმა უვეისმა. ჯალაირიანების დინასტიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო სულთანი აჰმედი (1382-1410). მან სახელი გაითქვა, როგორც ყველაზე მრისხანე და უმოწყალო მბრძანებელმა.

ოქროს ურდოს მომდევნო ხანებიდან, ვინც აზერბაიჯანის შემოერთებას უჭერდა მხარს, იყო თოხთამიშ ხანი. ის ყურადღებით ადევნებდა თვალს აზერბაიჯანსა და ირანში მიმდინარე პროცესებს. სულთან აჰმედ ჯალაირიანის აუტანელი მმართველობის შესახებ თავრიზში და ჩრდილო-დასავლეთ ირანში კარგად იყო ინფორმირებული თემურ-ლენგი და, თავისი აგენტების საშუალებით, აჰმედის საწინააღმდეგოდ, აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა თავრიზის მოსახლეობაში, რამაც შედეგი გამოიღო. თემურ-ლენგი, რომელმაც იცოდა რა თავისი „ბოპულარობის“ შესახებ თავრიზის მოსახლეობაში, ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის აჰმედის საწინააღმდეგოდ, რომლის წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1385 წელს სულთანი-ის მახლობლად, სადაც გამარჯვებული გამოვიდა თემურ-ლენგი. ამის შემდეგ თემურს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდა ცენტრალურ ირანში და თავრიზზე აღარ გაილაშქრა, მით უმეტეს, რომ თავრიზის ელიტა მას ამისაკენ უბიძგებდა. თოხთამიშ-ხანმა, რომელმაც კარგად იცოდა აზერბაიჯანში შექმნილი ვითარება, 1385-1386 წლის ზამთარში, ზეინ ად-დინ ყაზვინის (ჰამდალა ყაზვინის შვილი) ცნობით, გაიარა დერბენტი, შირვანი, სადაც მმართველი იყო ჯალაირიანების ვასალი იბრაჰიმ დერბენტი (1382-1417) და 90000-იანი ლაშქრის დახმარებით დაიკავა ქალაქი თავრიზი⁴. ვიდრე თოხთამიშ თავრიზს დაიკავებდა, მანამდე მან დაამარცხა კულიკოვის ბრძოლაში დამარცხებული ოქროს ურდოს ყაენი მამაი. 1382 წელს ილაშქრა რუსეთში და მოსკოვი გადაწვა. მას მორჩილება გამოუცხადეს ლიტვის დიდმა მთავარმა იაგელომ, ტვერის მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ⁵. მას კავშირი ჰქონდა ლიტვის დიდ მთავარ ვიტოვტთან და აგრძელებდა ბრძოლას ოქროს ურდოს ხანის ტიტულისათვის თემურ-ყუთლულსა და ედიგეისთან⁶.

ახლა კი განვიხილოთ საქართველოსა და თოხთამიშ ხანის შესაძლო ურთიერთობის მიზეზები და გარემოებანი.

¹ ვახუშტი, ქართლის ცხოვრება ტ.4. თბ., 1973 გვ. 259.

² საქ. ისტორიის ნარკვევები, თბ., 1979, გვ. 668.

³ ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, ტ. 2 თბ., 1965, გვ. 260.

⁴ Греков, Якубовский А., Золотая орда и ее падение, М-Л., 1950, გვ. 331

⁵ ქსე, თბ., 1979 გვ. 697.

⁶ БСЭ, 1956. გვ. 71

საქართველოში თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობის მიზეზად თემურის ისტორიკოსს, შე-რეფ ედ-დინ ალი იეზიდს განმარტებული აქვს, რომ მაჰმადიანობის გასავრცელებლად გაილაშქრა მან საქართველოში¹.

აკად. მ. ბროსეს თემურის ისტორიკოსის ასეთი მოსაზრება არასარწმუნოდ მიაჩნდა და, მი-სი აზრით, თემურ-ლენგი ამ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, ვინა-იდან რანი, ყარაბაღი და ლეკეთის მთავრებიც მისი ჰეგემონიის ქვეშ იმყოფებოდნენ და მონ-ლოლთა ბატონობისთვის ასეთი სამეფოს ხელში ჩაგდება, რასაკვირველია, სასახლო იქნებოდა და ამითაც უნდა ყოფილიყო საქართველოში მისი გამოლაშქრებაც გამოწვეული².

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, თოხთამიშ ხანმა 90000 ლაშქრით, დარიალინისა და დარუბანდის გზით, თავისი სარდლები ქ. თავრეუის დასაპყრობად გაგზავნა. ჩრდილოეთის ულუსის ამ ლაშქარში, მონღოლების გარდა, ურწმუნონიც³, ე.ი. არამაჰმადიანებიც ერივნენ. მისი აზრით, თოხთამიშს არ შეეძლო ჩრდილოეთიდან ირანში შეჭრილიყო საქართველოს მთავრობას-თან წინასწარი შეთანხმებისა და მოკავშირეობის გარეშე³.

მიუხედავად რეალობასთან მდგარი ასეთი მოსაზრებისა, ვფიქრობთ, რომ იგი გადახედვას საჭიროებს. მიზეზთა და მიზეზთა გამო ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. 1. არც ერთ წყაროში სამხრეთ აზერბაიჯანში თოხთამიშის ლაშქრობის მარშრუტად, დარუბანდის გადასასვლე-ლის გარდა, სხვა გზა დასახელებული არ არის. წარმოუდგენელია, რატომ უნდა გამორჩენოდათ დარიალის გზა ამ ამბის დაწვრილებით აღმწერ სპარსულ ისტორიკოსებს. ჰამდალაჰ ყაზვინის შვილი, „თარიხე გუზიდეს“ გამგრძელებელი, ზეინ ად-დინ ყაზვინი წერს, რომ თოხთამიშმა „გა-იარა დერბენტი და შირვანის ოლქი, სადაც ხელისუფალი იყო ჯალაირიანების ვასალი იბრაჰიმ დერბენდი (1382-1417) და ჰიჯრის 787 წ. ზამტარში (12. II 1285 – 1. II 1386) 90000 ჯა-რით თავრიზი აიღო⁴. როგორც ამ წყაროდან ჩანს, შირვანსა და დერბენტზე პოლიტიკური გავ-ლენა ჯალაირიანების დინასტიის წარმომადგენელს, აჰმედ სულტანს აქვს დამყარებული. გარდა ზემოაღნიშნული სპარსული წყაროსი, ამ ფაქტს ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვი-ლიც ადასტურებს. ბაგრატ V-ის დროინდელი საქართველოს შესახებ ვახუშტი წერს: „...არამედ აქუნდა მას (ბაგრატ V – რ.გ.) მოხარკედ რანი, მოვაკნი და ღვინი...“⁵.

დერბენტსა და შირვანზე ქართველ პოლიტიკოსებს რომ ხელი არ მიუწვდებოდათ, იქიდა-ნაც ჩანს, რომ 1388-1390 წლებში აქ ფული იჭრებოდა თოხთამიშის სახელზე⁶, რაც იმაზე მი-უთითებს, რომ მოკავშირეთა შორის ასეთი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი უნდა ყოფილი-ყო. გამოდის, რომ ერთმა მოკავშირემ მეორე მოკავშირეს, ამ შემთხვევაში სტრატეგიულ პარ-ტნიორს, ტერიტორიები წაართვა და თავისი გავლენა დაამყარა, რაც ისეთ მრისხანე მეტოქეს-თან მოსალოდნელი დაპირისპირების წინ, როგორც თემურ-ლენგი იყო, წარმოუდგენელია, ეს კი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნოდა იმ დრო-ისთვის და მასზე კონტროლის დაწესება საქართველოს ხელისუფლებას არ შეეძლო.

მეორე: აკად. ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ამ ლაშქარში, მონღოლების გარდა, „ურწმუნოებიც“, ე.ი. არამაჰმადიანებიც ერივნენ. ჩანს, იგი, თოხთამიშთან ერთად, ქართველთა ლაშქარსაც გულისხმობს, რაც, ასევე, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული უნდა იყოს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, როდესაც თოხთამიშმა მოსკოვი აიღო და გადაწვა, ურდოში მასთან გამოცხადდნენ რუსეთის მთავრები და მათი შვილები. ხანმა სამი წლის განმავლობაში (1382 წ. აპრილი) ამანათად დაიტოვა მოსკოვის მთავრის, დიმიტრი დონე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1982, გვ. 184

² იქვე.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია თბ., 1982, გვ. 185

⁴ Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к истории Золотой орды, М.-Л., 1941, гв. 97.

⁵ ვახუშტი, ქართლის ცხოვრება ტ. 4, გვ. 269.

⁶ Бартольд, В. В., Сочинения, V, М., 1968, гв. 566.

ლის ვაჟი ვასილი, ასევე ტვერისა და ნიჟნი-ნოვგოროდის მთავრის შვილები¹. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მონღოლებს დაპყრობილი ქვეყნებიდან, სამხედრო ბეგარის სახით, ჯარი გაჰყავდათ, ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი, რუსი მთავრების რაზმები თუ იღებდნენ თოხთამიშის ლაშქარში მონაწილეობას. მსგავსი ფაქტი დადასტურებული აქვს თემურ-ლენგის ისტორიკოსს, შერეფ ედ-დინ ალი იეზიდს წიგნში – „ზარაფ-ნამე“, „ამბავი თემურ-ლენგის ბრძოლისა თოხთამიშ ხანის წინააღმდეგ“. ავტორი აღნიშნავს, რომ „თოხთამიშმა გამოიყვანა ჯარი თემურის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: რუსები, ჩერქეზები, ბულგარელები (ვოლგის – რ.გ.), ყივჩაყები, ალანები, ყირიმის მცხოვრებნი კაფადან და აზაკიდან (აზოვი – რ.გ.) ბაშკირები და სხვა². ვფიქრობთ, ჯარის ასეთივე შემადგენლობა უნდა ჰყოლოდა თოხთამიშის თავრიზზე ლაშქრობის დროსაც. მეორე სპარსი ისტორიკოსი ზეინ ად-დინ ყაზვინი კი წერს, რომ: „თოხთამიშის არმიაში ურწმუნოები ერივნენ, რომლებმაც ტყვეებად აიყვანეს ახალგაზრდა ლამაზი ქალიშვილები და ჭაბუკები...“³.

მამასადაძე, ზემოთ მოყვანილი, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები ეჭვქვეშ აყენებენ აღნიშნულ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ მოსაზრებას დერბენტ-შირვანზე საქართველოს გავლენის შესახებ.

საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დაცული ესპანეთის მეფის, ენრიკე III-ის (1390-1407 წწ.) თემურ ლენგთან გაგზავნილ ელჩს, რუი გონსალეს დე კლავიხოს, სადაც გვხვდება რამდენიმე ცნობა საქართველოსა და მისი მეფის, გიორგი VII-ის შესახებ. აღნიშნული ცნობები ქართულ ენაზე პირველად გამოსცა მკვლევარმა ელდარ მამისთვალიშვილმა⁴.

კლავიხო თავის დღიურებში საქართველოსა და მის მეფეს ქალაქ კალმარუნთან კონტექსტში ახსენებს. მისი თქმით, ეს კარგად გამაგრებული და დიდი ქალაქი მდ. არაქსზე ყოფილა. ამ ქალაქის მდებარეობის აღწერის შემდეგ კლავიხო მოგვითხრობს, რომ მის მისვლამდე რვა წლით ადრე იგი დაუმორჩილებია ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს. მიუხედავად იმისა, რომ მას ქალაქი ბრძოლით ვერ აუღია, როგორც ეს მას ადგილობრივებისგან შეუტყვია, მოსახლეობას მისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა აღუთქვია. თოხთამიშს ასევე მოუთხოვია იმ ჯარის ნახევარი, რომელიც ქალაქს იცავდა, რათა წაეყვანა საქართველოში მეფე სორსის (ლ ყ შორგო) წინააღმდეგ საომრად⁵. როგორც მკვლევარი ელდარ მამისთვალიშვილი ფიქრობს: „თოხთამიშს საქართველოში ლაშქრობის მოწყობა, შესაძლებელია, მართლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ, თუ მას ამის განხორციელებაში რამემ შეუშალა ხელი, ეს თემურ-ლენგის სამარყანდიდან მის წინააღმდეგ წამოსვლა და დადევნება უნდა იყოს“⁶. „როგორც ცნობილია – იქვე განაგრძობს მკვლევარი, თოხთამიში თემურ-ლენგთან შეჯახების შიშით უკან ულუსში გაბრუნდა“⁷. მკვლევარ ე. მამისთვალიშვილს მოჰყავს კლავიხოს დღიურების რუსულ ენაზე მთარგმნელის, ი. სრეზნევსკის მიერ დღიურების ბოლოს დართულ განმარტებაში ნათქვამი, რომ ხსენებული ამბავი უნდა მომხდარიყო არა რვა წლის წინათ (როგორც კლავიხო ამბობს), არამედ 18 წლის წინათ, ე.ი. 1386 წელს (მამისთვალიშვილი, 1971:120). როდესაც კლავიხო ყაბარდოს ველზე დაბანაკებულ ომარ მირზას (მირანშაჰის შვილი) ლაშქარში მომხდარ არეულობაზე მოგვითხრობს, რომელიც ომარ მირზაზე ერთ-ერთი დიდებულის მიერ თავდასხმის ცდას გამოუწვევია, ამბობს: „...ურლოში ხმა გავრცელდა, რომ თათართა ყაენი ედიგეი და მეფე გიორგი თავს დაგვესხნენო“⁸. როგორც

¹ Карамзин, История Государства Российского, М., 1989 გვ. 51.

² Тизенгаузен, Сборник материалов относящихся к истории Золотой орды, М-Л., 1941, გვ. 156.

³ იქვე, გვ. 97.

⁴ მამისთვალიშვილი, რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, „მნათობი“, №8, თბ 1971 გვ. 118-126.

⁵ იქვე გვ. 120.

⁶ იქვე.

⁷ Греков, Золотая орда и ее падение, М-Л., 1950, გვ. 333.

⁸ მამისთვალიშვილი ე. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, იქვე, გვ. 121

ჩანს, თურქმენებში გიორგი VII ცნობილი იყო, როგორც ედიგეის მოკავშირე. მოხმობილი მასალები საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველო ოქროს ურდოსთან კავშირს თოხთამიშის გადაყენების შემდეგაც ინარჩუნებდა.

კლავიხო კალმარინს 1404 წლის 29 მაისს მიაღვა. თუკი ადგილობრივი მოსახლეობისგან გაგონილი ამბავი 8 წლის წინათ მოხდა, მაშინ ეს 1396 წელს უნდა მომხდარიყო. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კლავიხო არ ცდება, ვინაიდან 1394 წელს თოხთამიშმა მართლაც გადმოლახა დერბენტი, მაგრამ შირვანიდან მირან-შაჰმა იგი უკუაქცია. ასე, რომ თოხთამიშმა არათუ არაქსამდე ილაშქრა, არამედ ჩრდილო აზერბაიჯანშიც ვერ გამაგრდა და უკან გაბრუნდა, რაც თავისთავად გამორიცხავს კალმარინში (სურმარი) მის ყოფნას. კლავიხო იქვე ახსენებს ოქროს ურდოს ყაენს, ედიგეისაც, რაც, ჩვენი აზრით, წარმოუდგენელია, ვინაიდან ვითომ საქმე გვაქვს ოქროს ურდოს ორი ყაენის – თოხთამიშისა და ედიგეის ერთდროულად ლაშქრობასთან აზერბაიჯანში.

1395 წლის 15 აპრილს თერგის ბრძოლაში თოხთამიში თემურ-ლენგთან დამარცხდა და ცოტა ხანში ტახტიც დაკარგა. ოქროს ურდოს ყაენი გახდა იდიგუ უზბეკი (რუსული მატნიანეებით – ედიგეი). მანამდე ის თოხთამიშის ბანაკში იყო, შემდეგ განუდგა და კუნდუზჩასთან ბრძოლაში თემურის მხარეს იბრძოდა. ამავე ბრძოლის შემდეგ თემურის ბანაკიც მიატოვა და მას გადაემტერა.

კლავიხოს ცნობა რომ სიმართლეს შეესაბამება და ზემოთ აღწერილი ამბავი მართლა 8 წლის წინათ, ე. ი. 1396 წელს უნდა მომხდარიყო, ამას ადასტურებს ქართული წყაროც. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც გიორგი VII-ის ლაშქრობას აღინჯის ციხეზე 1396 წლით ათარიღებს: „არამედ გამოიყვანა კუალად ოვსნი, კავკასნი და ძურძუქნი... მიუხდა ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი... მოაოკრნა და მოსწყვანა გარემონი მაჰმადიანნი, აღილო ალაფი დიდძალი და მოვიდა გამარჯვებული შინავე და განუტევენა ოვსნი, კავკასნი და ძურძუქნი ალაფითა“¹.

ამ ბრძოლაში გიორგი მეფემ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ციხეში მყოფი ჯალაირიანი უფლისწული, თაჰერი გამოიხსნა და საქართველოში წამოიყვანა. როგორც კლავიხოს აღნიშნავს, მაჰმადიანებში დიდი შიში და დაბნეულობა განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე გაუმარჯვიათ².

სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, ძნელია იმის მტკიცება, მართლა მონაწილეობდა თუ არა ედიგეი ხანი არაქსზე ლაშქრობაში, მაგრამ ერთის გადაჭრით თქმა შეიძლება, რომ ნახჭევანის ლაშქრობაში გიორგი VII-ის ლაშქარში დარიალიდან გამოყვანილი „სრულად კავკასნი“ იღებდნენ მონაწილეობას, რასაც შემდეგში კალმარინზე გალაშქრება უნდა მოჰყოლოდა. რამდენადაც ჩრდილო კავკასია ოქროს ურდოს შემადგენლობაში შედიოდა, ეს ყველაფერი ოქროს ურდოს ხანთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. თემურ-ლენგთან დაპირისპირებაში მყოფი ედიგეი ხანისთვის ეს აქტი მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო. ხოლო ის ფაქტი, რომ თითქოს ედიგეი ხანიც იღებდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობას, ეს უფრო მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებისათვის უნდა ყოფილიყო გათვლილი.

ამგვარად, საკითხის ირგვლივ არსებული ქართული, უცხოური წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო-ოქროს ურდოს ურთიერთობა XIV საუკუნის 80-90-იან წლებში თოხთამიშის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგაც გრძელდებოდა. ასევე დგინდება ესპანელი მოგზაურის, რუი გონსალეს დე კლავიხოს ჭეშმარიტება, რომ ქალაქ კალმარუნზე (სურმარი) ლაშქრობა მოხდა 1396 წელს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა თოხთამიშისა ან ედიგეის მიერ, არამედ ქართველი მეფის, გიორგი VII-ის მიერ, რომლის ლაშქარში ოქროს ურდოს ჯარიც ერია. ამასთანავე, გამოიკვეთა აზრი

¹ ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. 4 თბ., 1973 გვ. 27.

² მამისთვალისშვილი ე. რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 121.

იმის შესახებ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრება, თითქოს XIV საუკუნის 80-იან წლებში შირვანსა და დერბენტის გადმოსასვლელებზე კონტროლი საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა დაწესებული, რეალობას არ შეესაბამება და გადასინჯვას საჭიროებს.

Roman Gogolauri

Samtskhe-Javakheti State University

**THE RELATIONSHIP BETWEEN GEORGIA AND GOLDEN HORDE IN 80-90 S OF THE
XIV CENTURY
RESUME**

The present paper based with the facts and gaps that have recently been vaguely recognized or less identified in the relationship between Georgia and Golden Horde. According the Georgian and foreign sources and special literature which is based on critical analysis, we came to the conclusion that in 80-90s of the XIV century the relationship between Georgia and Golden Horde was continuing after Tokhtamishi down fell his throne.

At the same time the truth of Spanish traveler's Rui Gonsales and Klavikho information is also confirmed that the first inversion to the city Kalmarun (Surmari) was held in 1396 not by Tokhlamishi or Khan but the king Giorgi the VII. Also the idea which has been muzzled the Georgian Government controled the crossing in Shirvsn and Derbent requires looking through.

აბალა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის

მერვე ჯვაროსნული ლაშქრობის წარუმატებლად დასრულების შემდეგ პაპის კურიის წინაშე კვლავ აქტუალური იყო წმინდა მიწის ეგვიპტისაგან გამოხსნის საკითხი, თუმცა ამისთვის საჭირო იყო ტრადიციულ მეთოდებში ცვლილებების შეტანა. სწორედ ამ ახალი გზების წარმოჩენას ისახავდა მიზნად პაპ გრიგოლ X-ის 1274 წლის ლიონის II საეკლესიო კრებაზე შემუშავებული პროგრამა, რომელშიც, დასავლელ მეფე-მთავრებთან და ბიზანტიის იმპერიასთან ერთად, მონღოლთა და ქართველთა ჩართვაც იგეგმებოდა. სანამ უშუალოდ პაპის მიერ შემუშავებულ პროგრამას განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ შევეხოთ მის პიროვნებასა და პაპად არჩევის გარემო-ფაქტორებს, რადგან, ვფიქრობთ, სწორედ ამით იყო განპირობებული მისი აქტიური პოლიტიკა წმინდა მიწასთან მიმართებით.

პაპ კლიმენტი IV-ის გარდაცვალების შემდეგ კარდინალთა საბჭო სამი წლის განმავლობაში ბჭობდა ახალი პაპის კანდიდატურაზე. პონტიფიქსის ასარჩევად საჭირო იყო ხმათა 2/3, თუმცა ვერც ერთი კანდიდატი საჭირო რაოდენობის ხმებს ვერ აგროვებდა, რადგან კარდინალები ორ ფრაქციად იყვნენ გაყოფილნი. საბოლოოდ, შარლ ანჟუელისა და ფილიპე III-ის ვიტერბოში სტუმრობის შემდეგ კარდინალთა კოლეგიამ კომპრომისული არჩევანი პიაჩენცაში დაბადებულ გრიგოლ X-ზე შეაჩერა.¹ გრიგოლ X (ერისკაცობაში ტებალო ვისკონტი) პაპად 1271 წლის 1 სექტემბერს აირჩიეს. წარმოშობით იტალიელ პაპს კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ცნობილ პიროვნებებთან, როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე წმინდა მიწაზე. ფლობდა საჭირო დიპლომატიურ გამოცდილებასა და ორგანიზაციულ ნიჭს, ამიტომაც ის კარდინალთა კოლეგიის მხრიდან პაპობისათვის შესაფერის კანდიდატად მიიჩნიეს. მიუხედავად მისი ნიჭისა და წარმოშობისა (იგი არისტოკრატიული წარმოშობის გახლდათ), რომლის გათვალისწინება პაპად არჩევის დროს აუცილებლად მოხდებოდა, ამ ეტაპზე საჭირო იყო პაპი, რომელიც მთელ თავის ყურადღებას წმინდა მიწაზე გადაიტანდა. ასეთი კანდიდატი აღმოჩნდა ტებალო ვისკონტი. ამ დროს შარლ ანჟუელი სიცილიაში იყო დამკვიდრებული, პაპების დაპირისპირება ჰოპტონტაუფენების დინასტიასთან უკვე დასრულებული იყო, შესაბამისად, პაპობის დღის წესრიგში, პირველ რიგში, იდგა წმინდა მიწის საკითხი.² კარდინალების მიერ გრიგოლ X-ის არჩევის შემდეგ მისთვის გაგზავნილ წერილში არჩევის უმთავრეს მიზეზად ხაზგასმით აღნიშნულია სწორედ ამ უკანასკნელის გამოცდილება წმინდა მიწაზე. სხვა მიზეზების შესახებ წერილში საუბარი არ არის.³ პაპის თანამედროვე ბართლომეო ლუკელი მის შესახებ აღნიშნავდა: „[გრიგოლ X გ. ე] უჩვეულოდ გამოცდილი იყო საერო საქმეებში, თუმცა მოკრძალებული სწავლებაში, და გარდა ღარიბთა მოწყალებისათვის ის ძალებს არ ძაბავდა ფულის მოსაპოვებლად.“⁴

¹ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. A Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy in the School of History. Queen Mary University of London. გვ. 31-35 აღსანიშნავია, რომ შარლ ანჟუელს ხელს არ აძლევდა პაპად გრიგოლ X-ის არჩევა, რადგან ის, ისევე როგორც მისი წინამორბედი კლიმენტი IV, აღმოსავლეთის ეკლესიასთან უნიის მომხრე იყო, ეკლესიების გაერთიანება კი შარლ ანჟუელის გეგმებს, ბიზანტიის დაპყრობასთან დაკავშირებით, საბოლოოდ აქარწყლებდა. Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. Cambridge University Press. London-New York- Melbourne. 1993. გვ. 52-53

² P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 28-31

³ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 30

⁴ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 29

რაც შეეხება ახალი პაპის ჯვაროსნულ გამოცდილებას, ტებალდო ვისკონტი – მომავალი პონტიფიქსი გრიგოლ X, 1270 წელს საფრანგეთის მეფე ლუი IX-ის მიერ წამოწყებულ მერვე ჯვაროსნულ ლაშქრობას შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობის დაწყების დროისთვის პაპის ტახტი კვლავ ვაკანტური იყო, მისმა დაწყებამ ერთი რამ ნამდვილად ცხადყო: ჯვაროსნული ლაშქრობის წარმართვა შესაძლებელი იყო პაპის გარეშე. მომავალი პაპი საქმეების მოსაგვარებლად თავის საეპისკოპოში დაბრუნდა. ფილიპ ბოლდუინი სამართლიანად ვარაუდობდა, რომ, შესაძლებელია, ტებალდო ვისკონტი ამ შეყოვნებამ გარდაუვალ სიკვდილს გადაარჩინა, რომელიც მას დიდი ალბათობით მოელოდა ლუი IX-სთან ერთად გამგზავრების შემთხვევაში.¹ გრიგოლ X 1271 წლის 8 მარტისთვის ჯერ კიდევ ლიეჟშია, რის შემდეგაც მისი ანონიმი ბიოგრაფი მას უკვე ბრინდისში მოიხსენიებს, სადაც შეუტყვია კიდევ ლუი IX-ის გარდაცვალების ამბავი.

ამრიგად, მომავალმა პაპმა გამგზავრებამდე უკვე იცოდა ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერის გარდაცვალების ამბავი. მიუხედავად ამისა, გრიგოლ X არ აპირებდა საკუთარი ფიცის დარღვევას. იგი გაემგზავრა წმინდა მიწაზე, სადაც ის შეხვდა პრინც ედვარდს და მის დას ბეატრისას.² წმინდა მიწაზე ყოფნისას ტებალდო ვისკონტი უნდა შეხვედროდა დომინიკანელ ბერს უილიამ ტრიპოლელს³ და მარკო პოლოს, რომელიც გაგზავნილი იყო დიდ ხანთან.⁴

როგორც ვხედავთ, როდესაც გრიგოლ X-ს პონტიფიქსად ირჩევდნენ, ის ამ დროს წმინდა მიწაზე იმყოფებოდა და იქაური ქრისტიანების მდგომარეობას ეცნობოდა. პაპის ცხოვრების ეს მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ქრისტიანების გაჭირვებისა და წამების თვითმხილველი გახდა. დასავლეთში კორონაციაზე წამოსვლამდე პაპს 137-ე ფსალმუნიდან შემდეგი სიტყვები წარმოუთქვამს: „*თუ დაგივიწყო შენ, იერუსალიმო, დამივიწყოს მარჯვენამ ჩემმა. მიეკრას ჩემი ენა ჩემს სასას, თუ არ გაგიხსენო, თუ არ დავაყენო იერუსალიმი ჩემი მხიარულების სათავეში.*”⁵ გრიგოლ X-ს არც დავიწყებია იერუსალიმი. მან მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრება ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებას მიუძღვნა.

აწ უკვე პაპად არჩეული გრიგოლ X წმინდა მიწიდან 1271 წლის 10 ნოემბერს დაიძრა და ბრინდისს 1272 წლის იანვრის დასაწყისში მიაღწია. ახალ პაპს შარლ ანჟუელი ვიტერბოს გზაზე, ბენევენტოში შეეგება. 1272 წლის 27 მარტს ტებალდო ვისკონტი პაპ გრიგოლ X-დ ეკურთხა.⁶

ამრიგად, ვფიქრობთ, გრიგოლ X-ის პონტიფიქსად გახდომის უმთავრესი მიზეზი მისი წმინდა მიწით და ჯვაროსნული ლაშქრობით დაინტერესება გახდა. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას ურთიერთობა ჰქონდა წმინდა მიწაზე მყოფ ცნობილ პიროვნებებთან და თავდაც იმყოფებოდა იქ. როგორც ვხედავთ, ახალი პაპი წმინდა მიწაზე არსებულ მდგომარეობას

¹ როგორც ცნობილია, ლუი IX-მ გადაწყვიტა არა წმინდა მიწაზე შეტევა, არამედ ტუნისზე, თუმცა აფრიკაში ჯარის გადასხმიდან მალევე არმიამი ეპიდემიამ იფეთქა, რომელსაც 1270 წლის 25 აგვისტოს თავად საფრანგეთის მონარქიც შეეწირა.

² იგულისხმება მომავალი ინგლისის მეფე ედვარდ I, რომელმაც ლუი IX-სთან ერთად აიღო ჯვარი და ჩაერთო მერვე ჯვაროსნულ ლაშქრობაში. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ X-მ თავისი გეგმები ჯვაროსნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ლიონის საეკლესიო კრებამდე, 1272 წლის 31 მარტს, წერილით ამცნო ინგლისის მონარქს. P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 102

³ უილიამ ტრიპოლელი – დომინიკანელი ბერი და მისიონერი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა აკრაში. იგი ერთი პერიოდი ლუი IX-ის მრჩეველიც იყო აღმოსავლეთის საკითხებში. პაპმა გრიგოლ X-მ უილიამ ტრიპოლელი კიდევ ერთ დომინიკანელ ბერსა და ვენეციელ ვაჭარ მარკო პოლოსთან ერთად დიდ ყაენ ყუბილაისთან გაგზავნა. გზაში ბერებისთვის ცნობილი გახდა, რომ ომი ეგვიპტის სულთან ბეიბარსთან განაწლდა და ისინი იძულებული გახდნენ უკან, აკრაში დაბრუნებულიყვნენ, ხოლო მარკო პოლომ გზა განაგრძო.

⁴ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 54-56

⁵ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 57. ფსალმუნის ქართული თარგმანი შესრულებულია ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტის მიერ.

<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/fsalmunni/fsalmunni-136.htm> წვდომის დრო 30.01.2020.

⁶ P.B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 52-58

იცნობდა არა წერილებიდან ან ელჩების პირიდან, არამედ თავად იყო თვითმხილველი იქ არსებული ვითარებისა. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი მისი განსაკუთრებული მონდომება ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა მიწიდან დაბრუნებულ პაპს ჯერ კიდევ ვიტერბოში მიმავალს მიეგება, გრიგოლ X-ის პონტიფიქსად არჩევა მაინც არ განხარება შარლ ანჟუელს. რისი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამით მის ბიზანტიურ გეგმებს საფრთხე დაემუქრა. სამაგიეროდ, ეს ფაქტი სასიხარულო აღმოჩნდა მიხეილ პალეოლოგისათვის, რომელიც სიცილიის მეფისგან ყოველ წამს მოელოდა საფრთხეს.¹ ამ გულწრფელი სიხარულის გამომხატველი უნდა ყოფილიყო იმპერატორის მიერ პაპისთვის გაგზავნილი წერილი, სადაც იგი გრიგოლს ულოცავდა პაპად არჩევას და ამცნობდა თავის სურვილს ორ ეკლესიას შორის მშვიდობის დამყარებისა და ურწმუნოების წინააღმდეგ დახმარების აღმოჩენის შესახებ.² თავის მხრივ, პაპიც ცდილობდა ურთიერთობის გამოსწორებას აღმოსავლეთის ეკლესიასთან. პაპად კურთხევიდან ოთხი დღის შემდეგ პაპმა ყველას ამცნო, რომ ორი წლის განმავლობაში მოწვეულ იქნებოდა საეკლესიო კრება, რომელზეც უმთავრესი განსახილველი საკითხები იქნებოდა: ეკლესიის რეფორმა, რომსა და კონსტანტინოპოლს შორის უნიის მიღწევა და ჯვაროსნული ლაშქრობა.³

გრიგოლ X-ის მიერ ჩაფიქრებული საეკლესიო კრება მართლაც გაიმართა მისი პაპად კურთხევიდან ორი წლის ვადაში. 1274 წლის 7 მაისს ლიონში გაიხსნა ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი საეკლესიო კრება – ლიონის მეორე საეკლესიო კრება.⁴ კრებას ესწრებოდნენ ბიზანტიის ეკლესიის წარმომადგენლები და აბალა ყაენის მიერ წარგზავნილი ელჩები.⁵ მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ X, განსხვავებით მისი წინამორბედი კლიმენტი IV-ისაგან, კონსტანტინოპოლის დაბრუნებას ერთიან ეკლესიაში მედიდურად არ მოითხოვდა და უნიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის უძღები შვილის ერთიან ქრისტიანულ ოჯახში დაბრუნებას ადარებდა, მიხეილ VIII პალეოლოგს მაინც გაუჭირდა ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე გასაგზავნი წარმომადგენლების შეგროვება.⁶ 1274 წლისათვის მან მხოლოდ მცირე ჯგუფის შემოკრება შეძლო გარშემო. მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო კონსტანტინეპოლის მომავალი პატრიარქი იოანე XI, რომელსაც ერთ დროს იმპერატორთან უნიის გამო დაპირისპირება ჰქონდა.⁷ ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე ბიზანტიის წარმომადგენლებს შორის შედიოდა გიორგი აკროპოლიტი (1217-1282) ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი სახელწოდებით „ისტორია“. ოთოლოქსული ეკლესიის წარმომადგენელი იყვნენ პატრიარქი გერმანე III და თეოფანე – ნიკეის ეპისკოპოსი. დელეგაცია კონსტანტინეპოლიდან ლიონის მიმართულებით გრიგოლ X-სთვის განკუთვნილი საჩუქრებით დატვირთული ორი გემით გავიდა, თუმცა შტორმში მოჰყვა, რის გამოც იძულებული გახდნენ, ნაცვლად ლიონისა, ჯერ იტალიაში მისულიყვნენ. ამის გამო მათ ვერ ჩაუსწრეს კრების დაწყებას. დელეგაციამ მხოლოდ 1274 წლის 24 ივნისს ჩააღწია დანიშნულების ადგილას. მათ პაპს გადასცეს იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგისა და მისი ვაჟის, ანდრონიკეს მორჩილების ფიცი, რის შემდეგაც კარდინალმა ბონავენტურამ ქრისტიანული სამყაროს გაერთიანება იქადაგა, ხოლო გრიგოლ X-მ დიდი

¹ Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 55

² Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 53

³ Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 53

⁴ აღსანიშნავია, რომ გრიგოლ X ესწრებოდა ლიონის პირველ საეკლესიო კრებასაც, რომელიც 1245 წელს პაპ ინოკენტი IV-მ მოიწვია. P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 40

⁵ Goyau, G. Second Council of Lyons (1274). 1910. In The Catholic Encyclopedia. New York: Robert Appelton Company. Retrieved January 9, 2020 from New Advent: <http://www.newadvent.org/cathen/09476c.htm>

⁶ Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 53-56

⁷ ეს დაპირისპირება იქამდეც კი მივიდა, რომ იმპერატორმა იოანე ბეკოსი (მომავალი იოანე XI) ციხეში გამოკეტა. იქ ეს უკანასკნელი გაეცნო დასავლელი მამების ნაშრომებს და იქიდან მხოლოდ ის მონაკვეთები ამოკრიფა, სადაც ხაზგასმული იყო დასავლურ და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის რწმენის კავშირი. Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 55

სიხარული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესია ნებაყოფლობით, ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშე დასთანხმდა უნიას.

ვფიქრობთ, შეუძლებელია, გრიგოლ X-ს არ სცოდნოდა იმ რთული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ბიზანტია იმყოფებოდა. დასავლეთიდან მას ყოველ წამს ემუქრებოდა შარლ ანჟუელი, რომელსაც ერთადერთი, რაც აკავებდა, იმის შიში იყო, რომ შეიძლება, კონსტანტინეპოლის ეკლესია უნიის შესახებ დასთანხმებულიყო, როგორც მოხდა კიდეც. სიცილიის მმართველმა ისიც კარგად უწყობდა, რომ ერთიან ქრისტიანულ ეკლესიაში დაბრუნებულ ბიზანტიას დასავლეთში აღარ აღიქვამდნენ სქიზმატიკოსად. შესაბამისად, პაპის მხრიდან მის ბიზანტიაში შეჭრას უეჭველად უარყოფითი რეაქცია მოჰყვებოდა.¹

ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანების გარდა, მიიღეს დადგენილება ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პაპის ენციკლიკა მისი წინამორბედების – ინოკენტი III-ის, გრიგოლ IX-ისა და ინოკენტი IV-ის მსგავსად, იმეორებდა ძირითად დადგენილებებს, მასში ასევე ასახული იყო ახალი ტენდენციები. კერძოდ, ნაცვლად მანამდე მიღებული საყოველთაო ქადაგებისა, ამჯერად მთავარი აქცენტი კეთდებოდა ურწმუნოების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის დაფინანსებისთვის საჭირო თანხების მოძიებაზე.² ზემოთ აღნიშნული სიახლეებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ამ პროექტის ვრცლად მიმოხილვა.

1274 წელს ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე მიიღეს პაპის დადგენილება – “Pro zelo fidei”. მასში პაპი საზოგადოებას ამცნობდა იმ რთული მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნილი იყო წმინდა მიწაზე და მოუწოდებდა ყველა ქრისტიანს, ვისაც, გული შესტკიოდა, ჩართულიყო ახალ ექვსწლიან ფინანსურ გეგმაში, რომლის საბოლოო მიზანსაც წმინდა მიწის ევვიპტის სასულთანოს ხელიდან გამოხსნა წარმოადგენდა. „ისინი უღმობღაოდ ხოცავენ ქრისტიანებს, რითაც აწრისხებენ შემოქმედს, აბუჩად იგდებენ და ამწუხრებენ ყველას, ვინც აღიარებს კათოლიკურ რწმენას. „სადაა ქრისტიანთა ღმერთი?“ სარკინოზთა მუღმივი საყვედურია, როცა მათ აწვალებენ“, – ამბობდა პაპი. გრიგოლ X, თავისი სიტყვების განსამტკიცებლად, იმასაც უმატებდა, რომ მას არა მხოლოდ სხვათაგან გაუგონია ქრისტიანთა წამების ამბები, არამედ საკუთარი თვალითაც უნახავს იგი.³

პაპ გრიგოლ X-ის დადგენილებით, ფინანსების მოძიების მიზნით, თითოეული ეკლესიის შემოსავლის მეთაური ექვსი წლის განმავლობაში მთლიანად წმინდა მიწის გათავისუფლების საქმეს უნდა მოხმარებოდა. აღნიშნული 6 წლის მანძილზე ყველა საეკლესიო პირი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ყოველგვარი შეღავათისა და პრივილეგიისგან თავისუფლდებოდა. თითოეული მათგანი ვალდებული იყო, გადაეხადა ეკლესიის შემოსავლის მეთაური შემდეგი წესით: პირველი ნახევარი – ქრისტეშობისას, მეორე კი – იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულზე. დოკუმენტი მეფეებს, მარკიზებს, გრაფებს, ბარონებს, მაგისტრებს, გუბერნატორებსა და სხვა საერო ლიდერებს მოუწოდებდა, გადასახადის სახით, თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფთაგან ოქროს მონეტები შეეგროვებინათ. თითოეული მორწმუნე თავის საცხოვრებელი გარემოებებისა და ჩვეულებების მიხედვით გადაიხდიდა 1 დინარს ან 1 სტერლინგს. ამასთანავე, თუკი ვინმე, გამიზნულად თუ გაუცნობიერებლად, ხელს შეუშლიდა ამ თანხის შეგროვებას, ანათემაზე გადაცემითა და ეკლესიიდან განკვეთით დაისჯებოდა.

გარდა საეკლესიო და საერო პირებისათვის გადასახადის დაწესებისა, გრიგოლ X თავის ენციკლიკაში ბრძანებდა იმ ადამიანების დასჯასაც, რომლებიც მეკობრეებთან ვაჭრობდნენ, ეხმარებოდნენ მათ რჩევებით ან მართავდნენ მათ გაღვრებს. პაპის თქმით, ეს ის მეკობრეები იყვნენ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქრისტიანებს წმინდა მიწაზე მოგზაურობაში. ატყვევებდნენ და ძარ-

¹ Nicol D.M. The last centuries of Byzantium 1261-1453. გვ. 55-57

² Mikolaj cladysz. The Forgotten Crusaders: Poland and the Crusader Movement in the twelfth and thirteenth centuries. 2012. Brill. გვ. 360

³ <https://www.papalencyclicals.net/councils/ecum14.htm> წვდომის დრო: 30.01.2020.

ცვავენ მათ. პაპი განკვეთითა და ანათემით ემუქრებოდა მათაც, ვინც სარკინოზებთან იმ რკინითა და გალერებით ვაჭრობდა, რომლითაც შემდგომში ისინი თავს ესხმოდნენ და ანადგურებდნენ ქრისტიანებს. ასეთ ადამიანებს ჩამოერთმეოდათ ქონება და მონებად იქცეოდნენ.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ X-მ წამოაყენა ეგვიპტისათვის ემბარგოს დაწესების იდეა, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული 1291 წლის 18 მაისს, ანუ აკრას დაცემის შემდეგ ხდება. საინტერესოა, რომ, მიუხედავად მკაცრი სასჯელისა, პაპმა დაუშვა გამონაკლისი. კერძოდ, პაპის ენციკლიკაში ვკითხულობთ, რომ ემბარგოს წესების დამრღვევთა გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალი იმ ფულის ჯვაროსნებისთვის გაგზავნა იყო, რომელიც ამ „წყვეული“ საქმისთვის აიღეს. ეს, პაპის აზრით, საკმარისი იქნებოდა მათი ცოდვების გამოსასყიდად.¹

პაპ გრიგოლ X-ის მიერ შედგენილ ჯვაროსნული ლაშქრობის პროგრამაში გაწერილი იყო მოძღვრების როლიც. პაპი თვლიდა, რომ თითოეული ბერი, რომელიც მრევლის აღსარებას ისმენდა, პრივილეგირებული იყო, რადგან ეს ფაქტი მას შესაძლებლობას აძლევდა, გაერთიანებინა მასზე დაქვემდებარებულნი და ეკარნახა მათთვის, თუ როგორ მოენანიებინათ ცოდვები. ცოდვების მონანიების გზა კი კვლავ ფინანსურ მსხვერპლშეწირვაზე გადიოდა. მრევლს, ცოდვების გამოსასყიდად, ფული წმინდა მიწის დახსნისთვის განკუთვნილ და ეკლესიაში განთავსებულ ყუთში უნდა მოეთავსებინა. შესაწირ ყუთს სამი გასაღები ექნებოდა, რომელთაგან ერთი ეპისკოპოსს უნდა ჰქონოდა შენახული, მეორე – მონასტრის მღვდელს, მესამე კი – რომელიმე ღვთისმოსავ ადამიანს (არასასულიერო პირს – გ.ე.). გარდა ამისა, მოძღვრებს შეეძლოთ დაერწმუნებინათ ისინი, ვინც სიკვდილის მოახლოებას გრძობდნენ, ანდერძის შედგენისას, სურვილისამებრ, თავიანთი ქონების ნაწილი წმინდა მიწის დასახმარებლად დაეტოვებინათ. ინდულგენციების მოპოვება შეეძლოთ მათაც, ვინც წმინდა მიწის გათავისუფლებისთვის ღირებულ რჩევას მისცემდა რომის კურიას, ეგვიპტის სულთანატის დამარცხებისთვის დაუთმობდა პაპს თავის გეგმებს ან ამავე მიზნით ზომალდების მშენებლობას დაიწყებდა.²

ხშირ შემთხვევაში დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობის ჩაშლის მიზეზი ქვეყნებს შიგნით ატეხილი დაპირისპირებები ან ევროპის მონარქებს შორის გაჩაღებული ომი იყო. გრიგოლ X-მ ეს ფაქტორიც გაითვალისწინა და მთელ მსოფლიოში ქრისტიანთა შორის მშვიდობის დაცვა ბრძანა. ამისთვის მან განაწესა სპეციალური საეკლესიო პრელატები, რომლებიც ექვსი წლის განმავლობაში დააკვირდებოდნენ და გააკონტროლებდნენ მშვიდობის დამყარებას. ისინი, ვინც უარს იტყობდნენ მშვიდობაზე, პაპის რწმენით, განკვეთისა და მათი მიწების კონფისკაციის მუქარით, იძულებული გახდებოდნენ, დამორჩილებოდნენ საეკლესიო პრელატებს. თუკი ეს არ იქნებოდა საკმარისი, მაშინ გრიგოლ X ემუქრებოდა საერო ხელისუფალთ, რომ საეკლესიო ხელისუფლება მოიხმარდა თავის საერო ძალაუფლებას მათ წინააღმდეგ, როგორც „ჯვარცმული საქმის მოწინააღმდეგეებისა“.³

გრიგოლ X ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ვარაუდობდა, როგორც დასავლელი მეფეთავრების, ასევე აღმოსავლელი ქრისტიანებისა და მონღოლების ჩართვას. ჟან რიშარი შენიშნავდა, რომ პაპის ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის წარმატება დამოკიდებული იყო მონღოლებთან ალიანსზე.⁴ ბოლდუინი მონღოლებთან დასავლეთის ალიანსზე ვრცლად საუბრობს და აღნიშნავს, რომ მონღოლებთან ალიანსი აუცილებელიც კი ჩანდა იმ დროისთვის. ის კითხულობს: „როგორ შეეძლოთ წარმოედგინათ ქრისტიანებს მამლუქებზე თავდასხმა და შესაძლო წარმატება, რეგიონში ყველაზე ძლიერი – მონღოლთა დახმარების გარეშე?“⁵ იმის გათვალისწინებით, რომ ილხანატი სასულთნოს მტერი იყო და დასავლეთის მიმართულებით თავისი ექსპანსიური

¹ <https://www.papalencyclicals.net/councils/ecum14.htm> წვდომის დრო: 30.01.2020.

² <https://www.papalencyclicals.net/councils/ecum14.htm> წვდომის დრო: 30.01.2020.

³ <https://www.papalencyclicals.net/councils/ecum14.htm> წვდომის დრო: 30.01.2020.

⁴ Richard Jean. The Crusades c. 1071 – c. 1291. Cambridge. 1999. გვ. 441

⁵ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 277

ზრახვებიც ჰქონდა, იგი რომისთვის ავტომატურ მოკავშირედ იქცეოდა.¹ აქედან გამომდინარე, მართებულად არ მიგვაჩნია პიტერ ჯექსონის შენიშვნა, რომ ყაენ აბალას წარმომადგენლების ვიზიტი ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე დაუგეგმავი იყო.²

აბალა ყაენმა ლიონის საეკლესიო კრებაზე თავისი წარმომადგენლები გააგზავნა, რომლებსაც თან ყაენის წერილი ჰქონდათ. სამწუხაროდ, უცნობია ელჩობის მიზანი, თუმცა შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი გამოვთქვათ იმასთან დაკავშირებით, რომ ის მომავალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებას ეხებოდა. ამას მოწმობს გრიგოლ X-ის საპასუხო წერილიც, რომელიც 1275 წლის 13 მარტით თარიღდება.³ მასში ვკითხულობთ: „რაც შეეხება იმ პრობლემებს, რაზეც თქვენი გულმოწყალება გვიყვებოდა შიკრიკებისა და ზემოთხსენებული წერილების მეშვეობით, ჩვენ ვგეგმავთ, ქრისტიანთა არმიის მოსვლამდე, გამოვავ ზავნოთ თქვენთან ჩვენი ლეგატები, რამდენადაც შესაძლებლობა გვექნება. და ისინი შეძლებენ სრულად გასცენ პასუხი თქვენს უმაღლესობას ამ საკითხებზე“.⁴

როგორც ჩანს, დასავლეთში მონღოლების მიმართ კვლავ უნდობლობა სუფევდა. ვფიქრობთ, სწორედ ნდობის მოპოვების მიზნით უნდა მონათლულიყო კრების მიმდინარეობისას აბალა ყაენის მიერ გაგზავნილი 16 ელჩიდან სამი, ოსტიის ეპისკოპოსის, მომავალი ინოკენტი V-ის ხელით. ჯორჯ ლენის მიერ მონღოლთა ეს მოქმედება შეფასებულია, როგორც დასავლეთის ეკლესიის ლიდერებზე შთაბეჭდილების მოხდენის მცდელობა.⁵ ვფიქრობთ, ჩვენი შეხედულების განსამტკიცებლად ისიც კმარა, რომ აბალა ყაენი ელჩების პირით ამცნობდა კრების მონაწილეებს, რომ წარსულში, ჯვაროსნების დასახმარებლად გამზადებულს,⁶ ხელი შეუშალა სხვა საზღვრებზე არსებულმა პრობლემებმა. გარდა ამისა, იგი დასავლეთს შეახსენებდა ჰულაგუ ყაენის განსაკუთრებულ სიანდოვან ქრისტიანებთან.⁷ ამრიგად, სწორედ ამ გზით ცდილობდა მონღოლთა ყაენი დასავლეთში გაჩენილი ეჭვები გაექარწყლებინა და მის სანდობაში დაერწმუნებინა.

როგორც ვნახეთ, ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე ყაენ აბალას ელჩებიც იმყოფებოდნენ, რომლებსაც დაბრუნების შემდეგ თავიანთი ბატონისთვის უნდა ემცნოთ პაპის განზრახვის შესახებ. ვფიქრობთ, 1276 წლის დასაწყისში სწორედ გრიგოლ X-ის მიერ დაგეგმილ ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩართვის სურვილის უწყების მიზნით უნდა ყოფილიყვნენ წარგზავნილნი მონღოლთა ყაენ აბალას მხრიდან დესპანებად ძმები – იაკობ და იოანე ვასალები. ელჩებს პაპ გრიგოლ X-ისთვის ვერ ჩაუსწრიათ, რადგან იგი 1276 წლის დასაწყისში გარდაცვლილა და მის ნაცვლად პონტიფიქსის ტახტზე ინოკენტი V ასულა, რომელიც ასევე ხანმოკლე მმართველობით შემოიფარგლა და ხუთ თვეში მოკვდა. არც მის მომდევნო პაპს – ადრიანე V-ს დასცალდა დიდხანს ყოფნა პაპის ტახტზე, ერთ თვეში ისიც გარდაიცვალა, პონტიფიქსი კი იოანე XXI გახდა, რომელთანაც მონღოლთა ყაენის მიერ გაგზავნილი ელჩების პირველი ვიზიტი 1276 წლის ნოემბერში ვიტერბოში შედგა. მათ პაპს აუწყეს, რომ აბალა ყაენს სურვილი ჰქონდა,

¹ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 277

² Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 167

³ RGX. N. 577 გვ. 250. Amitai-Preiss. Mongols and Mamluks: The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281. Cambridge University Press. 2005. გვ. 100

⁴ P. B. Baldwin. Pope Grigory X and the Crusades. გვ. 278

⁵ George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Persian Renaissance. 2003. London and New York. Routledge Curzon. გვ. 50

⁶ იგულისხმება მერვე ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელსაც ლუი IX-ის გარდაცვალების შემდეგ სათავეში მომავალი ედვარდ I ჩაუდგა. მონღოლები და ჯვაროსნები შეთანხმდნენ ურთიერთდახმარებაზე, თუმცა მოულოდნელად მონღოლებმა უკან დაიხიეს, ხოლო ედვარდ I იძულებული გახდა, წინსვლა შეეჩერებინა და 1272 წელს პალესტინიდან გაბრუნებულიყო. Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 167

⁷ George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Persian Renaissance. 2003. London and New York. RoutledgeCurzon. გვ. 50

ალიანსი შეეკრა ქრისტიანებთან. ამასთანავე, ელჩებმა წერილი გაუგზავნეს ევროპელ, ქრისტიან მთავრებს და იმედი გამოთქვეს, რომ მალე მათაც ეწვეოდნენ.¹

იაკობ და იოანე ვასალები საფრანგეთში ფილიპე III-ის სამეფო კარზე იმყოფებოდნენ. ამას ამტკიცებს გიიომ დე ნანჟისა² და სენ-დენის ქრონიკები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან ელჩების წარმომავლობის შესახებ, მათში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია იმის თქმა, რომ ძმები ვასალები ნამდვილად იმყოფებოდნენ ფილიპე III-ის კარზე.

საფრანგეთიდან იოანე და იაკობ ვასალები ინგლისში გადასულან ედვარდ I-თან. ამას ცხადყოფს იოჰან ოქსენედელის ქრონიკის ცნობები.³ აქედან ვასკვნიტ, რომ თათრების მეფის ელჩებს ინგლისის მონარქისთვის გადაუციათ ყაენის ბოდიში 1271 წელს მასთან თანამშრომლობის უუნარობის გამო.⁴ დესპანებს ედვარდ I-ისთვის ილხანების პროტეჟე სომხეთის მეფე ლეო III-ის წერილიც მიუტანიათ.⁵ ამის შემდეგ ისინი კვლავ ესტუმრნენ პაპ იოანე XXI-ს, რომელსაც სთხოვეს, გაეგზავნა ორივე ილხანილისთვის – აბალასა და ბიძამისი ყუბილაისთვის პერსონალური ინსტრუქციები. ამდენად, მათი ელჩობის ერთ-ერთი მიზანი ფრანცისკანული მისიის ჩამოყალიბებაც უნდა ყოფილიყო.⁶ 1277 წელს, მას შემდეგ, რაც მათ ინახულეს პაპი იოანე XXI, ისინი შარლ ანჟუელის გაგზავნილმა დესპანებმა გააცილეს.⁷

ჰორას მანი აღნიშნავს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ელჩები ისლანდიაშიც ყოფილან, ერიკ ნორვეგიელთან. ამის შესახებ საუბარია ისლანდიურ ანალებში.⁸ ანალებში მართლაც არის ცნობა თათართა მიერ გაგზავნილი ელჩების ისლანდიაში ვიზიტთან დაკავშირებით, თუმცა იგი თარიღდება არა 1276 ან 1277 წლებით, ანუ, როდესაც ჩვენ მიერ განხილული ელჩობა მიმდინარეობდა, არამედ 1286 წლით. მასში ვკითხულობთ: „თათრების მეფის ლეგატები მეფე ერიკთან ნორვეგიაში მოვიდნენ“⁹ ანალების ავტორი მხოლოდ მოცემული წინადადებით შემოიფარგლება ამ ელჩობაზე საუბრისას, რაც დესპანების ვინაობის დადგენას ძალზე ართულებს. ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუკი ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ძმები – იაკობ და იოანე ვასალები 1286 წელს მართლაც იმყოფებოდნენ ისლანდიაში, მეფე ერიკთან, სად იყვნენ თითქმის მთელი 10 წლის განმავლობაში? რატომ არსად არ ფიქსირდება მათი კვალი? გარდა ამისა, ნაკლებ სავარაუდოა ყაენ აბალას ამდენი ხნით გაეგზავნა ელჩობა დასავლეთში. ასევე, არ არის გამორიცხული, ისლანდიაში სხვა ელჩობა ჩასულიყო და არა მაინცდამაინც ძმები ვასალებისა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანალების ავტორი ელჩების სახელებს არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, არ უნდა გამოვრიცხოთ სხვა შესაძლებლობებიც. კერძოდ, შესაძლებელია, ანალების ავტორს ზუსტად არ ახსოვდა მოცემული ვიზიტის წელი, ამიტომაც შეცლომით მიაკუთვნა გვიანდელ პერიოდს. ნაკლებ სავარაუდოა, თუმცა ასევე შესაძლებელია, მონღოლებს მეორედ გაეგზავნათ იგივე ელჩობა, რომელიც ისლანდიაშიც ჩავიდოდა 1286 წელს.

მართალია, ედვარდ I იმედოვნებდა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებას, მაგრამ არც ის და არც საფრანგეთის მეფე – ფილიპე III მზად არ იყვნენ ამის უმაღლესსავე გასაკეთებლად.

¹ Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages. Vol. XVII. London. 1931. გვ. 40

² Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368. Paris J. Renouard. 1843. ტ. I. გვ. 248

³ Chronica Johannis de Oxenedes. Ed. H. Ellis, RS. London. 1859. გვ. 250

⁴ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 168

⁵ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 174

⁶ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 175

⁷ Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. New York. 2014. გვ. 168

⁸ Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages. Vol. XVII. London. 1931. გვ. 40

⁹ “Legati a rege Tartarorum ad regem Ericum in Norregiam venerunt.” Annales islandici: Ab Anno Christi 803 ad Annum 1430. 1847. გვ. 163

პაპის კურიაზე დიდ გავლენას ახდენდა შარლ ანჟუელი, რომელსაც, თავის მხრივ, მონღოლები არ მოსწონდა. ის იმედოვნებდა სულთან ბეიბარსთან შეთანხმების გაფორმებას.¹

ელჩების ვინაობასთან დაკავშირებით, ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი წარმოშობით ქართველნი უნდა ყოფილიყვნენ. ამ აზრს იზიარებდნენ ფრანგი ისტორიკოსები: ჟან რიშარი,² სტივენ რანსიმენი³ და ჰორას მანი.⁴

ალსანიშნავია ისიც, რომ ჟან რიშარი თავის ფრანგულენოვან ნაშრომში, რომელიც 1996 წელსაა გამოცემული, არაფერს ამბობს ძმები ვასალების ქართველობაზე,⁵ ხოლო ინგლისურენოვან მონოგრაფიაში, რომელიც ოდნავ მოგვიანებითაა დაბეჭდილი, იაკობ და იოანე ვასალებს ქართველებად მოიხსენიებს.⁶ სავარაუდოა, რომ მას ხელში უნდა ჩავარდნოდა რომელიმე პირველწყარო, რომელზე დაყრდნობითაც მსგავს დებულებას განავითარებდა. სამწუხაროდ, ჟან რიშარის მოცემულ მტკიცებას თან არ ახლავს სათანადო დამოწმება. მიუხედავად ამისა, შეიძლება ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ძმებ ვასალებს ქართველებად გიიომ დე ნანჟის წყაროზე დაყრდნობით მიიჩნევდა.

მიუხედავად ამისა, ისტორიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ ძმები ვასალები ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა მათი არგუმენტები საკმაოდ სუსტია.⁷ ლ. ლოკჰარტი თავისი სტატიის სქოლიოში საუბრობს იმაზე, რომ, სენ-დენის ქრონიკის თანახმად, ეს ელჩები ბერძნები უნდა იყვნენ, ხოლო გიიომ დე ნანჟის ნაშრომის მიხედვით – ქართველები. აქვე ლოკჰარტი აღნიშნავს, რომ თავად ეს სახელები – იაკობი და იოანე ქართული სახელები არ არის. სამწუხაროდ, კვლევისას, სენ-დენის ქრონიკის მხოლოდ ხელნაწერი ვერსია გვქონდა, რის გამოც იქიდან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციის ამოკითხვა ვერ მოვახერხეთ. ამდენად, ამ პირველწყაროზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ მასში ძმები ვასალები ბერძნებად არიან მოხსენიებულნი.⁸ სამაგიეროდ, ხელთ გვქონდა მეორე, ასევე ფრანგული პირველწყარო გიიომ დე ნანჟის ქრონიკის სახით.

ფრანგი ქრონისტის, გიიომ დე ნანჟის ქრონიკაში ვკითხულობთ: „*ღმერთმა უწყის, მართლაც იყვნენ თუ არა ისინი ნამდვილი შიკრიკნი ან მსტოვარნი. ყოველ შემთხვევაში, ისინი ნამდვილად არ იყვნენ თათრები, არც ეროვნებით, არც წეს-ჩვეულებებით, არამედ იყვნენ ქრისტიანები ქართველთა სექტიდან, რომლებიც თათრების ნაციის მიერ არის დამორჩილებული და დაქვემდებარებული*“.⁹ თუკი მოცემულ პირველწყაროს შესახებ, ჯორჯ ლეინის მიერ ნაშრომში მოტანილი ინგლისური თარგმანიდან გამომდინარე, შეიძლება ეჭვი გაგვჩენოდა,¹⁰ რომ ძმები ვასალები მართლაც ბერძნები იყვნენ, როგორც ეს სენ-დენის ქრონიკაშია ნათქვამი, ზემოთ განხილული ლათინური თარგმანიდან ყველაფერი ცხადი ხდება. ჩვენეული თარგმანის სისწორეში

¹ Stiven Runsiman. History of Crusades: The kingdom of Acre and the later Crusades. Vol. 3. 1954. გვ. 347

² Richard Jean. Histoire des croisades. Fayard. 1996. გვ. 452

³ Stiven Runsiman. History of Crusades: The kingdom of Acre and the later Crusades. Vol. 3. 1954. გვ. 347

⁴ Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages. Vol. XVII. London. 1931. გვ. 40

⁵ Richard Jean. Histoire des croisades. Fayard. 1996. გვ. 452

⁶ Richard Jean. The Crusades c. 1071 – c. 1291. Cambridge. 1999. გვ. 452

⁷ L. Lockhart. The Relations between Edward I and Edward II of England and the Mongol Il-Khans of Persia. გვ.

⁸ ამ დასკვნას ვაკეთებთ ლ. ლოკჰარტის ნაშრომზე დაყრდნობით: L. Lockhart. The Relations between Edward I and Edward II of England and the Mongol Il-Khans of Persia. გვ. 24

⁹ Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368. Paris J. Renouard. 1843. ტ. I. გვ. 248 (ზაზგასმა ყველგან ჩემია გ-ე.)

¹⁰ „Were they really envoys or spies God knows. At least they were not Tartars, either by birth or manners, but Christians of the sect of Georgians.“ „ღმერთმა უწყის იყვნენ თუ არა ისინი შიკრიკნი ან მსტოვარნი, ყოველ შემთხვევაში, ისინი ნამდვილად არ იყვნენ თათრები, არც წარმოშობით და არც ქცევის ნირით, არამედ ქართველთა სექტის ქრისტიანები.“ George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Persian Renaissance. 2003. London and New York. RoutledgeCurzon. გვ. 51

გვარწმუნებს მოცემული ციტატის დასასრულიც: „რომლებიც თათრების ნაციის მიერ არის და-
მორჩილებული და დაქვემდებარებული“.¹

თუკი ძმები ვასალები მართლაც ბერძნები იყვნენ, უცნაურია, რატომ მოიხსენიებს მათ გი-
ომ დე ნანჟი თათრებზე დაქვემდებარებულად. ამ დაქვემდებარების მანიშნებელი უნდა იყოს
ტერმინი „ვასალი“ (vassal), რომლითაც ძმები მოხსენიებულნი არიან ედვარდ I-ისათვის ვი-
ტერბოდან გაგზავნილ წერილში, რომელიც 1276 წლის 25 ნოემბრით თარიღდება.² თუკი აბალა
ყაენის მიერ ევროპაში გაგზავნილი წარმომადგენლობის მეთაური ძმები ბერძნები იქნებოდნენ, მა-
შინ რთული წარმოსადგენია, მათ თავი აბალას ვასალებად მოეხსენიებინათ, როგორც ამას ინ-
გლისის მეფისათვის გაგზავნილ წერილში აკეთებენ. ასევე, ნიშანდობლივია ისიც, რომ გიომ დე
ნანჟი, ელჩების რწმენაზე საუბრისას, მათ მოიხსენიებს არა როგორც ქრისტიანებს ბერძენტა
სექტიდან, არამედ შენიშნავს, რომ ისინი იყვნენ „ქრისტიანები ქართველთა სექტიდან“. თუკი
ქრონიკის ავტორს სურდა, ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ელჩები მართლმადიდებლური რწმენის
მიმდევრები იყვნენ, ლოგიკურია, ამას ბევრად მარტივად გააკეთებდა, თუ აღნიშნავდა, რომ ძმები
ბერძნული სექტის ქრისტიანები იყვნენ და არა ქართველური. ქართველებზე აქცენტის გაკეთება
კი, ვფიქრობთ, მათი ეროვნების ნათელსაყოფად იყო საჭირო. ბრიტანელი ისტორიკოსის, ლო-
რენს ლოკჰარტის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელები – იოანე და იაკობი არ არის
ქართული³, არგუმენტად არ გამოგვადგება, რადგან ისინი არც ბერძნული წარმოშობისაა. ზემოთ
ნახსენები სახელები ბიბლიურია და იგი ერთნაირი წარმატებით შეიძლება რქმეოდა ქართველ,
ბერძენ თუ სომეხ ელჩებს.

თუკი ზემოთ მოცემული მსჯელობა მართებულია, ჩნდება ლოგიკური კითხვა: რატომ გაგ-
ზავნა მონღოლთა ყაენმა აბალამ ევროპაში მაინცდამაინც ქართველი ელჩები? რა თქმა უნდა,
ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ აბალას, ისევე როგორც დასავლელს, სურდა ალიანსის შეკვრა
ეგვიპტის სასულთანოს წინააღმდეგ. მიუხედავად საერთო პოლიტიკური ინტერესებისა, მათ შო-
რის დამპყრობელი გარემოება იყო განსხვავებული რელიგია, რის გამოც, როგორც აღვნიშ-
ნეთ, დასავლეთ კათოლიკური სამყაროს მხრიდან მონღოლთა ნდობა ნაკლები იყო. აქედან გა-
მომდინარე, აბალა ყაენი ყველანაირად ეცდებოდა ელჩებად იმ ადამიანების გაგზავნას, რომლებიც
კათოლიკეებისათვის მისაღები და სანდონი იქნებოდნენ. ქართველები ამ დროს ჯერ კიდევ აღიქ-
მებიან კათოლიკური სამყაროს ნაწილად, განსხვავებით ბერძნებისაგან. შესაბამისად, ქართველი
ძმების გაგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლები იყვნენ და არა კათოლიკეები, მი-
ზანშეწონილი იქნებოდა მონღოლთათვის.

გარდა ამისა, ისევე როგორც მონღოლებისა და ჯვაროსნების, საქართველოს ინტერესებ-
შიც ყოველთვის შედიოდა წმინდა მიწის დახსნა ეგვიპტის სასულთანოს ხელიდან. განსაკუთრე-
ბით მას შემდეგ, რაც, XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან, ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაკეთ-
და.⁴ ცნობილია, რომ ქართველები შვიდი წლის განმავლობაში იბრძოდნენ ალამუთის ომში.
ამასთანავე, მონღოლებთან ერთად, 1258 წელს, მათ მონაწილეობა მიუღიათ ბაღდადის აღები-
სათვის წარმოებულ ბრძოლებშიც.⁵ ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, ცნობილი იქნებოდა დასავლე-
თისთვის და, შესაბამისად, ქართველებს ისინი, უდავოდ, მოკავშირეებად აღიქვამდნენ ეგვიპტის
წინააღმდეგ დაგეგმილ მოქმედებებში. აქედან გამომდინარე, აბალა ყაენს ჯვაროსნული ლაშქრო-

¹ Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368. Paris J. Renouard. 1843. ტ. I. გვ. 248

² Jean et Jacques Vassal. Charles-Victor Langlois, Charles Kohler. Lettres inédites concernant les croisades (1275-1307). 1891. გვ. 56-57

³ L. Lockhart. The Relations between Edward I and Edward II of England and the Mongol Il-Khans of Persia. გვ. 24

⁴ მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. თბ. სამშობლო. 2016. გვ. 144-149

⁵ ჯავახიშვილი მ. საქართველო და დასავლეთ ევროპა XIV საუკუნის დასაწყისში (გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობა). თურნ. კადმოსი. №8. 2016. გვ. 170

ბის იდეის უცილობელი მოკავშირე ქვეყნიდან ელჩების გაგზავნა მხოლოდ წაადგებოდა თავისი გეგმების განხორციელებაში.

ამრიგად, ელჩებად ქართველთა გასაგზავნად არაერთი მიზეზი არსებობდა, როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური. იმავეს ვერ ვიტყვით ბერძნებთან დაკავშირებით. „*პირველმა სამმა ჯვაროსნულმა ლაშქრობამ ბიზანტია-ჯვაროსნების ურთიერთობას ორმხრივი უნდობლობისა და ეჭვიანობის ღრმა საფუძვლები შეუქმნა*“. მეოთხე ჯვაროსნულმა ლაშქრობამ კი საბოლოოდ გახლიჩა ორი სამყარო ერთმანეთისაგან.¹ ასეთ ვითარებაში ნაკლებ სავარაუდოა, აბაღა ყაენს ელჩებად ბერძნები მიეგლინა დასავლეთში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, გრიგოლ X-ის მიერ 1274 წლის ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე წარდგენილ ჯვაროსნული ლაშქრობის პროგრამას მონღოლთა მხრიდან სერიოზული გააქტიურება მოჰყვა. საქართველო კი იქცა მათ შორის შუამავალ ქვეყნად, რომელსაც უნდა უზრუნველყო ორი მხარის დარაზმვა, გაერთიანება საერთო მიზნისკენ – ეგვიპტის სასულთანოს დამარცხებისკენ. რა თქმა უნდა, საქართველოს ჰქონდა თავისი მიზნები, რომლებიც ემთხვეოდა მომავალი ალიანსის წევრ-სახელმწიფოების გეგმებს. ეს ცნობილი იყო, როგორც ილხანთათვის, ასევე დასავლეთისთვისაც, ამიტომაც საქართველოს მათ შორის შუამავალი ქვეყნის როლი მიანიჭეს.

Gvantsa Evaniseli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ON THE MATTER OF THE NATIONALITY OF THE AMBASSADORS SENT BY ABAQA KHAN TO THE WEST RESUME

The present paper deals with the crusade programme designed by Pope Gregory X after the unsuccessful end of the Eighth Crusade that encompassed not only the West and the Byzantine Empire, but the Ilkhanate and Georgia as well. In 1276 Il-khan Abaqa sent envoys, brothers John and James Vassalli, to Europe to announce his participation in the crusade. Although the ambassadors did not get a chance to visit Pope Gregory X as the latter died on 10 January 1276, their audience was held with Pope John XXI. After paying a visit to the Roman Catholic pontiff, at first they appear in France, at the court of Philip III, and then in England, at the court of King Edward Longshanks. There are two views on the matter of the ambassadors' nationality. Some consider them to be Georgians while others consider them to be Greeks. From our studies we have concluded that John and James Vassalli might have been Georgians. The same is evidenced by Guillaume de Nangis' chronicle being one of the primary sources and emphasizing their Georgian national identity and subordination to Mongols. Attention also should be paid to the term "Vassalli" as the brothers are referred to in the letter sent to Edward I from Viterbo. The term probably indicates the subordination of Georgia to Mongols at that time.

At this period of time there were both political and religious reasons for sending Georgian ambassadors. The idea of Georgia's foreign policy agenda was to rescue the Holy Land, while religious reason can be considered that Georgians at that time were still reputed to the Catholic Church, unlike the Greeks. As we can see, Georgia had its own goals that coincide with the future plans of the alliance member states. That was clear for Ilkhans and the West as well, therefore, Georgia was given the role of a mediator between them.

¹ პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები). თბ. 2019. გვ. 18-19

გიორგი XI-ის უკანასკნელი განსასვენებლის დადგენის საკითხისათვის

ქართლის მეფე გიორგი XI-ს (შაჰნავაზ II, გორგინ /გურგინ ხანი) ბედად ერგო, სამშობლოს ნაცვლად, საკუთარი ძალ-ღონე, ნიჭიერება და საკუთარი ცხოვრება სეფიანთა იმპერიისათვის, რომელთანაც ბრძოლის გამო დაკარგა ქართლის მეფობა, შეეღია. წინამდებარე წერილში სახელოვანი ქართველი მეფის უკანასკნელი განსასვენებლის ადგილმდებარეობის შესახებ მოკრძალებული აზრის გამოთქმას შევეცდებით.

როგორც ცნობილია, ქართლის მეფე, 1709 წლის 21 აპრილს, შორეულ ავღანეთში ყანდაარის ქალანთარ ჰაჯი მირ ვეისის მუხანათური გეგმის (ბეგლარბეგის ქართული რაზმისაგან მარტო დატოვება, ხოლო ქართველ მოლაშქრეთა გაგზავნა „აჯანყებული“ ერთ-ერთი ტომის წინააღმდეგ) შედეგად ტრაგიკულად დაიღუპა.

ერთ-ერთი ვერსიით, მირ ვეისმა მის სახლში სტუმრად მყოფი გორგინ ხანი მოკლა. აღსანიშნავია, რომ ამ ქმედებით ყანდაარის ქალანთარმა „პაშტონვალის“ (ავღანთა ღირსების დაუწერელი კოდექსი) ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი – სტუმართმოყვარეობა დაარღვია. ამ კოდექსით, ყოველი პაშტონი ვალდებული იყო, სახლში მიეღო სტუმარად მოსული პირი, თუნდაც ის დამნაშავე ყოფილიყო და მისთვის მფარველობა გაეწია. ეს იმდენად წმიდა მოვალეობა იყო, რომ, ერთი ავღანური ანდაზის მიხედვით, პაშტონს ღორისათვისაც კი, რომელსაც ისლამი უწმიდური ცხოველად მიიჩნევს, უნდა ემასპინძლა.¹

მირ ვეისისათვის ანტისპარსული მოძრაობის წარმატებით დასაგვირგვინებლად გიორგი მნიშვნელოვანი ბარიერი იყო, რომლის მოცილებაც მან შეძლო. ქართველი ბეგლარბეგის მკვლელობა კი ძალიან ძვირად დაუჯდა ოფიციალურ ისპაჰანს, სადაც ანტიქართულმა დასმა ყველაფერი გააკეთა საამისოდ, თუმცა, შაჰ სოლთან-ჰოსეინის კარს ჯერ არ ჰქონდა ტრაგედიის სრული მასშტაბი გააზრებული, რადგან მის მძლავრ ტალღას ჯერ არ მოეღწია სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქამდე.

ამბოხებული ტომების დასაშოშმინებლად გაგზავნილი ქართველთა ლაშქარი, ნადავლითურთ, მხოლოდ მესამე დღეს დაბრუნდა ყანდაარში, მაგრამ ქალაქის შესასვლელთან, მათთვის მოულოდნელად, ზარბაზნების სროლით დახვდნენ. ქალაქის მცველებს ამ შემთხვევისათვის სათანადო ბრძანება უკვე წინასწარვე ჰქონდათ მიცემული.² ქართველი მოლაშქრენი მიხვდნენ, რომ ქალაქი მტერს ეჭირა,³ თუმცა, სეხნიას ცნობით, ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმისათვის ეს „სიურპრიზი“ არ ყოფილა. ჩვენი მემატიანის თქმით, მათ ჯერ კიდევ დავალებაზე ყოფნის დროსვე მიუვიდათ ყანდაარის დაკარგვის ამბები.⁴ მათ უკანდახვეის გადაწყვეტილება მიიღეს.⁵

¹ B. M. Массон, В. А. Ромодин. История Афганистана. Т. 2, გვ. 111.

² J. Hanway. The Revolutions of Persia. Containig the Reign of Shah Sultan Hussein, with the Invasion of the Afghans, and the Reigns of Sultan Mir Maghmud and His Successor Sultan Ashreff. Vol. 1. London, 1753, გვ. 49.

³ №1. იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი სპარსეთში უკანასკნელი სამოქალაქო ომის შესახებ. 1723 წლის 31 იანვარი“ (თარგმანი ფრანგულიდან), – წგნ.: ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის. თბ., 1982, გვ. 94.

⁴ სეხნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი II: ახალი მოთხრობა, 1469 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე. გამოცემული მ. ჩუბინოვისაგან. სანქტ-პეტერბურგი, 1854, გვ. 325.

⁵ №4. მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი რევოლუციის შესახებ დაწყებულად 1724 წლის ბოლომდე, გაგზავნილი კონსტანტინოპოლიდან პარიზში (თარგმანი ფრანგულიდან), – წგნ.: ილ. ტაბაღუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, გვ. 128.

მირ ვეისმა უკანდახეული გურჯები რომ იხილა, მათი დევნა და საბოლოო განადგურება გადაწყვიტა. რამდენიმე მძიმე ბრძოლაში ჩაითრიეს მოჯაჰედებმა ალექსანდრეს, ლუარსაბის ძის ლაშქარი.¹ მიუხედავად რიცხვობრივი სიმცირისა, ქართველებმა მღევარს საკმაოდ მძიმე პასუხი გასცეს, ლამის ალყაში მოქცევა დაემუქრა მირ ვეისის მრავალათასიან ჯარს.²

გურჯები კი, დანაკარგის გარეშე, სამშვიდობოს გავიდნენ ხორასანში და ზებილის ხეობაში მღებარე ციხესიმაგრეს მიაღწიეს.³ ვახუშტი უფრო კონკრეტდება და ზუსტად გირიშკის ციხეს ასახელებს.⁴ ეს ციხე, რომელიც მდ. ჰელმანდის მარჯვენა სანაპიროზე მღებარეობს, შედის დიდი, ანუ ისტორიული ხორასანის შემადგენლობაში. აფხალ-ხანის მიხედვით კი, ქართველები მეშ-ჰელსა და ჰერათში გადავიდნენ.⁵

მძიმე ვითარებაში აღმოჩენილი ქართველები რეგიონიდან გაღწევას ლამობდნენ. სარდლისა და მხარის გეოგრაფია-გზების მცოდნეთა გარეშე დარჩენილთ, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს მიმართეს დახმარებისათვის. როგორც ჩანს, გირიშკელებიც მირ ვეისს გულშემატკივრობდნენ, ამიტომ მათ აჯანყებულთა ლიდერს აცნობეს, რომ შეეცდებოდნენ, ქართველები ყანდაარისაკენ წაეყვანათ, ყანდაარელები კი მათ შეპყრობას შეეცდებოდნენ. მართლაც, „...*ეტიკთა შეატუნეს და მოიყვანეს ყანდაარსვე და მუნ შევიდნენ წალკოტის ზღუდესა შინა. მოვიდნენ და მოერტყნენ სპანი ძირვეისისანი*“⁶ როგორც ჩანს, ამ „ეტიკებს“ უშუალოდ მირ ვეისის ძმა მირ აბულა („იერმაჰმადი“) ხელმძღვანელობდა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველები ასე მარტივად დაეპატიმრებინათ. რა თქმა უნდა, ეიფორია და მეფე-მთავარსარდლის დაღუპვა თავის გავლენას აუცილებლად მოახდენდა მტრულ გარემოში მყოფ მხედართა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მაგრამ, მაინც, როგორც ჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმი ორ ნაწილად გაიყო, ერთი საკუთრივ გირიშკში დარჩა, ხოლო მეორეს, რომელსაც საკუთრივ ლუარსაბის უკანონო შვილი თავკაცობდა, გზა უნდა გაეკვლია ისპაჰანისაკენ და ამბავი ჩაეტანა დედაქალაქში.

როგორც ჩანს, მალე დატყვევებული ქართველები, ყანდაარშიც ორ ნაწილად დაჰყვეს, რათა მათი კონტროლი უფრო ადვილი ყოფილიყო. ამბოხებულთათვის დიდი მიღწევა იყო ბაგრატიონთა წარმომადგენლის ხელში ჩაგდება. ეს მათ გარკვეულ უპირატესობებს ჰპირდებოდა, როგორც ქართველებთან, ისე ოფიციალურ ისპაჰანთან მომავალ ურთიერთობებში. ამიტომ საჭირო იყო, გიორგი XI-ის ძმისწულის გადაბირება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ერთი ცნობა, რომელსაც მხოლოდ ვახუშტისთან ვაწყდებით: ავღანელები სთხოვეს ალექსანდრესა და მის ლაშქარს ისლამის მიღებასა და ყანდაარში დარჩენას.⁷ არაა გამორციხული, რომ ამგვარ ქმედებას თუ არა, სურვილს მაინც ექნებოდა ადგილი, რადგან მირ ვეისი შესანიშნავად აფასებდა ქართველთა სამხედრო ხელოვნებასა და მომზადებას, ამასთანავე, ქართველებიც, სტრატეგიულად, ავღანელთა მოკავშირენი უნდა ყოფილიყვნენ სპარსელთა წინააღმდეგ, თუმცა, მემატინის მიხედვით, გურჯებმა, თავიანთ სარდალთან ერთად, უარი თქვეს ამ წინადადებაზე.⁸

ყანდაარელებმა ამბოხება კი მოაწყვეს წარმატებულად, მაგრამ მათი შიდა დისციპლინა და სამხედრო წესრიგი სერიოზულად მოიკოჭლებდა. ამიტომ ტყვე ქართველთა ერთმა ნაწილმა იმავე ღამეს შეძლო ციხიდან გაქცევა. რა თქმა უნდა, აქ არ უნდა ვივარაუდოთ ღალატი დარჩე-

¹ №1. იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი...“, გვ. 94.

² №1. იოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი...“, გვ. 94.

³ №4. მოხსენებითი ბარათი სპარსეთში უკანასკნელი რევოლუციის შესახებ., გვ. 129.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 485.

⁵ И. Н. Шервашидзе, Г. М. Нурзай. Пушгунская «История, обсыпанная драгоценностями» о Георгии XI и его грузинских воинах, – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №3, 1978, გვ. 107.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 484.

⁷ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 484.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 484.

ნილთა მიმართ. ეს იყო შესაძლებლობა, რომელიც მათ უნდა გამოეყენებინათ ტყვეობაში დარჩენილი მეთაურისა და თანამებრძოლთა გამოსახსნელად.

უკანდახვევისას პატიმრობიდან თავდასხნილი ქართველები ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათ აკლდათ სურსათ-სანოვაგე და, იმავდროულად, მოწინააღმდეგის მხრიდან პერმანენტული თავდასხმების რეჟიმში იმყოფებდნენ. მიუხედავად ამისა, მათი გმირობა საარაკო იყო.¹ ჯ. ჰანვეი აღფრთოვანებით საუბრობს ქართველთა სამხედრო ხელოვნებასა და სიმამაცეზე. მისი თქმით, ავღანელებმა, რომლებიც ბევრად სჭარბობდნენ გაქცეულებს, ერთი დღის მანძილზე ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმზე ხუთგზისი შეტევა განახორციელეს, თუმცა, ყველა შემთხვევაში, მათ სამარცხვინოდ, უკან დაიხიეს.² ერთადერთი შედეგი, რაც მირ ვეისის ამ უშედეგო სამხედრო აქციისა იყო, რომ ქართველთა მიერ სამშვიდობოს გაღწევის შემდეგ მდ. ზებილის ხეობის ვიწრობების, სადაც გზები ისპაჰანისა და ქაბულისაკენ გადიოდა, გამაგრება ბრძანა.³ ამ ბუნებრივი კარების მკაცრ მეთვალყურეობას მირ ვეისი ექვსი თვის მანძილზე აწარმოებდა.⁴

გირიშკის ციხეში შემწყვდეული ქართველების შეპყრობის სურვილი მირ ვეისს მაინც არ ასვენებდა.⁵ ქართველებმა რაოდენობრივად მჯობი, მაგრამ საბრძოლო თვისებებითა და ხარისხით ბევრად ჩამორჩენილი მტრის წინააღმდეგ შესაბამისი ოპერაცია დაგეგმეს: სანამ მირ ვეისის ლაშქარი შეძლებდა გირიშკის ალყაში მოქცევას და ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმისათვის სერიოზული გართულებების შექმნას, ქართველებმა ციხე დატოვეს და გამთენიისას გაშლილ ველზევე მომხდურს ბრძოლა გაუმართეს. მირ ვეისის ჯარმა ისევ სასტიკი მარცხი განიცადა.⁶

სამშვიდობოს გამოღწეულმა ქართველებმა ისპაჰანში ყანდაარში მომხდარი ამბები ჩაიტანეს.⁷ ქართლის ტახტი დიდხანს არ დატოვეს უპატრონოდ და 1709 წლის მეფობა (ვალი) გიორგის სახელოვან ძმისწულს – ისპაჰანის ტარულა ქაიხოსრო ლევანის ძეს ჩააბარეს, რომელმაც, ასევე შაჰნავაზ II-ის გარდაცვალების შემდეგომ ვაკანტურად დარჩენილი „სპასალარობა ერანისა“ ჩაიბარა.⁸

შაჰის კარის დიდმა საბჭომ გადაწყვიტა ამბონებულ ავღანელთა წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელება, მათი დამორჩილების მიზნით.⁹ ამ კამპანიის თავგაცობა თვითონ სოლთან-ჰოსეინმა იკისრა,¹⁰ თუმცა მალე ბრძოლის ველზე „პირველობა“ ქაიხოსროს დაუთმო.¹¹

ქაიხოსრო ადგილს ვერ პოულობდა „გამზადებული წარსვლად“;¹² მაგრამ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ისევ სეფიანთა პირველი კაცები უშლიდნენ ხელს.¹³

ისპაჰანმა სასწრაფოდ შეკრიბა სადამსჯელო რაზმი, რომელსაც სარდლად ისპაჰანში დაბადებულ-გაზრდილი მაჰმად ყული-ხანი (1722-1732წწ. კახეთის მეფე კონსტანტინე II) ერეკლე I-ის ძე დაუნიშნეს. მისი ლაშქარი ძირითადად სპარსელებისაგან შედგებოდა.¹⁴ როგორც ჩანს, ეს გარკვეული ხარკი იყო შაჰის კარის ანტიგიორგისეული დასისადმი, ვინაიდან აღნიშნული კამპა-

¹ J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 50.

² J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 50.

³ J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 50.

⁴ №5. თურქული სამახსოვრო ბარათის თარგმანი ფრანგულად სპარსეთში მომხდარი რევოლუციის წარმოშობის შესახებ, – წგნ.: ილ. ტაბალუა. მასალები XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის..., გვ. 159.

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 485.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 485.

⁷ J. Hanway. The Revolutions of Persia. Vol. 1, გვ. 50.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 485; ვახუშტი ბატონიშვილი. ქორონიკონები, – წგნ.: ქართლის ცხოვრება. დასაბამითიან მეთაურთა ცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი II, გვ. 252.

⁹ №1. ოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი...“, გვ. 95.

¹⁰ №1. ოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი...“, გვ. 95.

¹¹ №1. ოსებ ქართველის „სამახსოვრო ბარათი...“, გვ. 95.

¹² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 485.

¹³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 485.

¹⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

ნიის სარდლობა სწორედ შაჰნავაზ II-ის მოწინააღმდეგე ნაზარალი ხანის ოჯახს გადაეცა. სამხედრო კამპანიის წინ მაჰმად ყული-ხანმა დატყვევებულ ალექსანდრეს საიდუმლო წერილი გაუგზავნა, რომელშიც მოუწოდებდა, მოეხერხებინა გაქცევა ან სპარსელებისათვის შეეტყობებინა, თუ როდის იყო საუკეთესო დრო ყანდაარზე გასალაშქრებლად.¹

მაჰმად ყული-ხანის წერილის ადრესატი, მისი ნათესავის ნაცვლად, მირ ვეისი გახდა, რომელმაც ამ უსტარის ხელში ჩაგდება მოახერხა.² მან გადაწყვიტა დატყვევებულ ქართველთა დასჯა, რომელთა ნაწილს თავები წარკვეთეს, ხოლო ალექსანდრე ბატონიშვილი, პაპუნა და ნოდარი მირ ვეისის ძმამ გადაარჩინა.³ ამ გეგმის ჩაშლის შემდეგ მაჰმად ყული-ხანმა აჯანყებულებზე შეტევის მიტანა გადაწყვიტა. როგორც აღვნიშნეთ, მისი ლაშქარი უმთავრესად სპარსელებით იყო დაკომპლექტებული. ყანდაართან მათ გირიშკის ციხეში გამაგრებული ქართველებიც შეუერთდნენ. მირ ვეისი მაჰმად ყული-ხანის ლაშქარს დახვდა, თუმცა მისი ჯარი ისევ დამარცხდა ქართველებთან, განსხვავებით სპარსელთაგან, რომელთაც ბრძოლის ველი და თანამებრძოლი გურჯები მიატოვეს.⁴ როგორც ჩანს, ყიზილბაშებს საგანგებო დავალება ჰქონდათ ამგვარი. ამ ვარაუდს ამყარებს დ. ჯანელიძის მიერ მოხმობილი მ. გუგეს რომანი, სადაც ფრანგი ავტორი აღნიშნავს, რომ ქაიხოსროს ეთიმაღ დოულემ საგანგებოდ „თანაშემწედ“ ერთი სპარსი ოფიცერი მიუჩინა, რომელსაც საიდუმლო დავალებები მისცა და, ამასთანავე, ირანის ახალი სპასალარისათვის დაქვემდებარებული სპარსელთა ჯარების ერთი კორპუსის სარდალს უბრძანა, ქართლის ვალის ყველა ოპერატიული გეგმისა და დავალების ჩაშლა.⁵ ჩანს, ყიზილბაშები შესანიშნავად ასრულებდნენ დიდვაზირის ამ უგუნურ განკარგულებებს. მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ქართველებმა ისევ გირიშკის ციხეს შეაფარეს თავი. სპარს თანამებრძოლთა მუხანათობის ამბავი ბეჟან რატისშვილმა შაჰს ჩაუტანა.⁶ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა სოლთან-ჰოსეინმა ბრძანა ქაიხოსროს წარგზავნა ყანდაარის დასამორჩილებლად. ქართლის მეფემ გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ თანამემამულეების გარეშე ამ დავალებას ვერ შეასრულებდა და თავის ჯანიშინ ძმას ლაშქრის გამოგზავნა მოსთხოვა.⁷

სამობილიზაციო ცენტრად ავღანეთთან ახლოს მდებარე და შიიტთათვის წმიდა ქალაქი მეშჰედი შეირჩა,⁸ მაგრამ, სანამ ჯარები ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანის ამ მნიშვნელოვან პუნქტში ჩავიდოდნენ და საბრძოლველად მოემზადებოდნენ, ისპაჰანმა გარკვეული სტრატეგიული სვლების განცხორციელება გადაწყვიტა. შაჰის კარზე მიიჩნიეს, რომ ურიგო არ იქნებოდა აჯანყებულებთან ელჩობის მივლინება არსებული ვითარების მოსაგვარებლად.⁹ დიპლომატიური მისია ამ შემთხვევაში ერთგვარად პრობლემის მოგვარების ოპტიმალურ გზად ენიშნებოდა ოფიციალურ ისპაჰანს, რადგან იმავე, 1709 წელს, რამდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური და სამხედრო-პოლიტიკური მოვლენა მოხდა, როგორც სპარსეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომლის გაუთვალისწინებლობა, ალბათ, შაჰ სოლთან-სოლეიმანის კარს ნამდვილად არ შეეძლო. კერძოდ, თავრიზში აჯანყება დაიწყო,¹⁰ ხოლო 27 ივნისს (ახ. სტ. 8 ივლისს) პოლტავაში რუსეთის არმიამ, პეტრე I-ის სარდლობით, კარლოს XII-ის ლაშქარს სძლია. შედეგმა კატასტროფული მარცხი იგემეს.¹¹ ამ წარმატებამ ახალგაზრდა რუსი მონარქისა და მისი სამეფოს ავტორიტეტი მნიშვნე-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

⁵ დ. ჯანელიძე. საქართველო და აღმოსავლეთი. *XVIII საუკუნე*. სპეცკურსი. თბ., 1984, გვ. 33.

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

⁷ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 486.

⁸ სენნია ჩხეიძე. საქართველოს ცხოვრება, გვ. 325.

⁹ J. Hanway. *The Revolutions of Persia*. Vol. 1, გვ. 51.

¹⁰ დ. კაციტაძე. ირანის ისტორია. *III-XVIII სს*. თბ., 2009, გვ. 471.

¹¹ *A History of Sweden*. By Carl Grimberg. Translated and Adapted for the American Teacher, Student and Reader by C. W. Foss. Augustana Book Concern. Rock Island, Illinois, 1935, გვ. 229-230; Я. Мелин, А. В.

ლონად გაზარდა, რასაც ევროპასა და ოსმალეთში გარკვეული შიშით უყურებდნენ.¹ აქედან გამომდინარე, მდგომარეობა მართლაც რთული იყო და სუსტ შაჰ სოლთან-ჰოსეინს ნამდვილად არ უნდოდა თავისი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებთან ვითარების კიდევ უფრო გაუარესება.

ამდენად, ისპაჰანის იმედები, გარკვეულწილად, ელჩობისა და მოლაპარაკებების ამარად რჩებოდა. როგორც ჩანს, ამის საფუძველი თავად ჰაჯი მირს უნდა მიეცა. ვახუშტი ერთგან აღნიშნავს, რომ, როგორც კი ავღანელებმა მათ წინააღმდეგ ქაიხოსროს მზადების შესახებ შეიტყვეს, მათმა ლიდერმა ბრძანა დატყვევებულ ქართველთა გათავისუფლება. ქართლის ახალი მეფის ძმისშვილს – ალექსანდრეს – ბიძამისის გვამს გამოატანა.² როგორც ჩანს, ამ ამბებთან კავშირში უნდა იყოს სეხნის ერთი ცნობა, რომლის მიხედვითაც, მირ ვეისმა ალექსანდრეს ბიძამისის – გიორგი XI-ის – ამაღლის წაყვანა შესთავაზა: „წაიყვანე მეფის ქულფათიო“³ აფხალ-ხანი აღნიშნავს, რომ „შაჰნავაზ-ხანის ოჯახი შეწყალებულ-იქნა და [ირანში] გაამგზავრეს“⁴ თუმცა ქართველთა ქონება ავღანელებმა დაიტოვეს.⁵ ალბათ, მირ ვეისმა მიიჩნია, რომ ამგვარად აიცილებდა ქაიხოსროსა და ქართველთა ლაშქართან დაპირისპირებას.

გათავისუფლებული ქართველები გირიშკში ჩავიდნენ და, იქ შეხიზნულ დანარჩენ ქართველებთან ერთად, მემჭედისაკენ გაემუხრნენ.⁶ როგორც ჩანს, გირიშკის მიტოვება ქაიხოსრომ გაუმართლებელ ნაბიჯად ჩათვალა, მით უფრო, რომ ყანდაარზე ლაშქრობა დღის წესრიგიდან მოხსნილი არ იყო, ამ ციხეს კი დიდი სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა მირ ვეისის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის განხორციელებისას. ამიტომ ქართლის მეფემ ქვეშევრდომებს გირიშკში დაბრუნება უბრძანა.⁷

ჰაჯი მირმა მაშინვე სწორად შეაფასა ქართველთა უკანმობრუნების მიზეზი და გადაწყვიტა ციხის აღება. ავღანები საკმაოდ მრავალრიცხოვანი სპით მოადგნენ გირიშკს. ქართველებმა ამჯერად ღია ველზე მათთან შებმას თავი მოარიდეს და ციხე-ქალაქი გაამაგრეს. 4 თვე გაგრძელდა ძალიან მძიმე ალყა. ციხის მცველებს სურსათი შემოაკლდათ. მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ვირის ხორცის ფასი 3 მინალთუნი გამხდარა. შექმნილი მდგომარეობა ადრე თუ გვიან ციხის დაცემას გამოიწვევდა, რაც ყანდაარზე მომავალ ლაშქრობას და იქ ირანის პოზიციების აღდგენას, ფაქტობრივად, კიდევ უფრო სათუოს გახდიდა. ამიტომ საჭირო იყო გირიშკის გადარჩენა. ქაიხოსრომ შესაბამისი დავალება ხან-მაჰმადს დაავალა, რომელიც 5 ათასიანი ლაშქრით მირ ვეისის წინააღმდეგ გაამწყესა.⁸

ჰაჯი მირი, ეტყობა, იცნობდა მის წინააღმდეგ გამოგზავნილ ბეგლარბეგს და მასთან ცბიერად მოლაპარაკება დაიწყო, თან, შეეცადა, როგორც უკვე არაერთხელ გამოსცადა, ქართველებსა და სპარსელებს შორის უთანხმოება ჩამოეგო. მოჰამედ ხანს, როგორც ჩანს, დიდად არ ხიბლავდა მამაც ავღანელებთან შეტაკება, მით უფრო, რომ სპარსელი მეომრები ამ შემთხვევაში მინცდამინც დიდი დასაყრდენი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ ის სიამოვნებით წამოვიდა მირ ვეისთან მოლაპარაკებაზე. ამბობებულთა ლიდერმა შესანიშნავად ისარგებლა სპარსელი სარდლის

Юханссон, С. Хеденборг. История Швеции. Перевод со шведского кандидата исторических наук Н. С. Плевако. Москва, 2002, გვ. 131.

¹ **Г. А. Санин.** Становление великой державы, – წგნ.: *История внешней политики России. XVIII век* (От Северной войны до войн России против Наполеона). Ответственный редактор доктор исторических наук Г. А. Санин. Москва, 1998, გვ. 34-35.

² **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

³ **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 325.

⁴ **И. Н. Шервашидзе, Г. М. Нурзай.** Пушгунская «История, обсыпанная драгоценностями»..., გვ. 107.

⁵ **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 325; ეს ამბები, სეხნიას მიხედვით, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ვახუშტის ზემოსხენებულ მოვლენებს, მაგრამ, ვფიქრობთ ერთი და იგივე მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

⁶ **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

⁷ **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

⁸ **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

გულუბრყვილობით.¹ მოჰამედ ხანის ამბიცია, როგორც ჩანს, ქაიხოსროს პირველობას ვერ ჰგუობდა და მანაც თანხმობა განაცხადა შაჰისა და მირ ვეისის შერიგებაზე თავრიზის ბეგლარბეგს ძვირად დაუჯდა თავისი გულუბრყვილობა. მეორე დღეს, მირ ვეისმა პირწმინდად გაანადგურა სპარსთა ლაშქარი. კატასტროფას გადაურჩნენ მოჰამედ-ხანთან მყოფი ქართველები, რომელთაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს.² როგორც ჩანს, ამ შეტაკებამ და ხანგრძლივმა ალყამ მოაღყეთა რესურსებიც გამოფიტა და საჭირო იყო ახალი სტრატეგიის მოფიქრება. მირ ვეისმა მოჰამედ ხანის ლაშქრის განადგურების შესახებ თავად „ახარა“ გირიშკის მცველებს, რომელთათვისაც ისინი მხსნელები უნდა ყოფილიყვნენ.³ თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ავღანები ვერც არსებულ სტატუს-ქვოს ინარჩუნებდნენ და ამიტომ ყანდაარში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

აქვე უნდა შევეხოთ გიორგი XI-ის დაკარგული საფლავის ადგილმდებარეობის საკითხსაც. როგორც ვნახეთ, მირ ვეისმა მეფის ცხედარი ქართველებს გაატანა, მაგრამ გირიშკის შემდეგ, მისი კვალი უცნობია. არაა გამორიცხული, რომ მეფე იქვე დაეკრძალათ, რადგან მძიმე ვითარებაში აღმოჩენილ ქართველებს გაუჭირდებოდათ მისი წაღება ან ისპაჰანში, ან ყუმში, სადაც შაჰ-ნავაზ I იყო დაკრძალული, ანდაც – საერთოდ ქართლში. ამასთან ერთად, წლის ცხელი სეზონიც დამდგარიყო და ეს კიდევ გაართულებდა მდგომარეობას. გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის მოგონებების წიგნში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერი, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების I ნახევარში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა, იხსენებს, რომ ჰქონდა შესაძლებლობა, ყანდაარის სიახლოვეს მდებარე გიორგი მეფის სიმბოლური საფლავი მოენახულებინა.⁴ თუ გავიხსენებთ, რომ თანამედროვე ყანდაარი 30-ოდე კილომეტრითაა დაშორებული ძველ ყანდაარს, რომელსაც გურგინ-ხანი მართავდა, საფლავი ბუნებრივადაც სიმბოლური გამოდის, რომც არ გვქონდეს წარმოდგენა ქართლის მეფის უკანასკნელი განსასვენებლის არსებობის საკითხის პრობლემატურობის შესახებ. ამდენად, გიორგი მეფის საფლავი თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიაზე, გირიშკში ან მიმდებარე მხარეებში უნდა იყოს, თუკი საერთოდ სამუდამოდ დაკარგული არაა.

Kakha Kvashilava

Sokhumi State University

TO THE PROBLEM OF ASCERTAINMENT OF BURIAL PLACE OF GEORGE 11TH RESUME

Famous King of Kartli Giorgi XI (Shahnavaz II, Gorgin/Gurgin Khan) was destined to waste his own efforts, talents and his life for the Safavid Empire fighting to whom he had lost Kartli's reign. In this letter we tried to express a modest opinion on the whereabouts of the famous Georgian king.

In historiography it is well known that on April 21, 1709 the King of Kartli was tragically killed in the distant Afghanistan by Haji Mir Weiss been a Kalentar of Kandahar who organized an insidious plan for getting this awful result. Mir Weiss could leaving the Beglarbeg Georgian squad alone by sending Georgian troops against one of the “rebel” tribes.

The historical sources do not provide information about the location of George 11th's tomb. It is known that Mir Weiss carried the king's body to the Georgians. They took it to Girishk, but then his trace is unknown. It is possible the king's body would be buried there because for the Georgians

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

² ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

³ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა..., გვ. 487.

⁴ რ. ყურაშვილი. მე – გენერალი ეპიტაშვილი. თბ., 2005, გვ. 151-155.

found in difficult circumstances would be difficult taking it either to Isfahan or Qum where Shahnavaз I had buried, if at all in Kartli. However, the hottest season of the year was coming, and that would make things worse. General Tengiz Epiashvili who was in the Democratic Republic of Afghanistan in the 1st half of the 1980's, recalls that he had the opportunity to visit the symbolic tomb of King George near Kandahar. But modern Kandahar is located about 30 kilometers from the old Kandahar, therefore the tomb is naturally symbolic. Thus, the tomb should be on the territory of modern Afghanistan, in Girishk or the surrounding areas, if not forever lost.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

კვლავ დაბის ეკლესიის წარწერის შესახებ (ტექსტის დაზუსტება, დათარიღება)

ბორჯომის რეგიონის სოფელ დაბაში, პატარა, კლდეზე მიკრული დარბაზული ეკლესიის წარწერა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ეს არის, ჯერჯერობით, ერთადერთი ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელიც მოიხსენიებს მეფე „გიორგი დიმიტრის ძეს“, ანუ გიორგი V ბრწყინვალეს.

ამ წარწერას არა ერთი მკვლევარი შეეხო XIX ს. 50-იანი წლებიდან დღემდე, მაგალითად: მარი ბროსე, დ. მეღვინეთხუცესისშვილი, ივ. ბარტოლომეი, დიმი. ბაქრაძე, რენე შმერლინგი, გ. ჩუბინაშვილი და ა.შ.

წარწერის წაკითხვა მცირე ვარიაციებით განსხვავდება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ წარწერის ბოლოს დარჩენილ მცირე ნახევარწერეში, ქორონიკონ „კა“-ს (21) 1848 წ. კითხულობდა მხოლოდ დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილი. დაბის წარწერაზე ჩვენ არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება (1977¹, 1983², 1989³, 1998⁴).

ამჯერად გვინდა, კრიტიკულად განვიხილოთ თამაზ გოგოლაძის პუბლიკაციის ის ნაწილი, რომელიც დაბის ეკლესიის წარწერას ეხება („თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო“).⁵

ახალგაზრდა მკვლევრის დასახელებული წიგნის იმ თავის მიმართ, რომელიც დაბის ეკლესიის წარწერას ეხება, გვაქვს შემდეგი საფუძვლიანი შენიშვნები:

1) თ. გოგოლაძე აღნიშნულ პუბლიკაციაში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ დაბის ეკლესიის: „წარწერის ბოლო ნაწილი საგანგებოდ არის დაზიანებული. უფრო კონკრეტულად, ამოტეხილია წარწერის ტექსტის ბოლო გრაფემები, რაც წარწერის ამოკითხვას აძნელებს“⁶ და შემდეგ: „წინამდებარე (?ვ.კ.) პროექტის ფარგლებში, გასული წლის ზაფხულში, არაერთგზის ვეწვიეთ წინამდებარე (?ვ.კ.) ტაძარს მის დასავლეთ შესასვლელის ტიმპანის ქვაზე⁷ წარმოდგენილი საამშენებლო წარწერის ბოლო ნაწილის დაზუსტების მიზნით, თუმცა წარწერის ბოლო ნაწილი საგანგებოდ არის ამოტეხილი (?ვ.კ.) და პრაქტიკულად შეუძლებელია მისი ამოკითხვა სპეციალური განათლების ფონზე კი“.⁸ ასეთი კატეგორიული განცხადება, ახალგაზრდა, მაგრამ კარგი პალეოგრაფი მკვლევარის მხრიდან დიდ გაკვირვებას იწვევს. აღნიშნული წარწერის ბოლოს დარჩენილი მცირე ნახევარწერე ასოების ამოსაკვეთად არასდროს ყოფილა გამოყენებული, არამედ, თუ მასზე

¹ ვ. კიკნაძე, გიორგი V ბრწყინვალის გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული (ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები), ტ. 7, თბ. 1977, გვ. 219-231.

² ვ. კიკნაძე, XIV ს. დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V-ის გამეფების თარიღი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), თბილისი, N2, გვ. 178-187.

³ ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში, გვ. 48-59.

⁴ ვ. კიკნაძე, როდის გამეფდა გიორგი V ბრწყინვალე? სამეცნიერო მეთოდური ჟურნალი „ისტორია“, თბილისი, 1998, N2, გვ. 25-29.

⁵ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 2019, გვ. 93-98; 131-136.

⁶ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 2019, გვ. 135.

⁷ ტიმპანი – ჩაღრმავებული არე კარის ან სარკმლის თავზე; ტიმპანი სამკუთხა, ნახევარწრიული ან ისრისებული მოხაზულობისა, რომელიც ქვევითა მხარეს, პორიზონტალით არის შემოსაზღვრული.

⁸ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი (2019), გვ. 135.

რაიმე იყო დატანებული, მხოლოდ წითელი საღებავით. მოვესმინოთ გიორგი ჩუბინაშვილს: „დაბის ეკლესიის წარწერა შესრულებულია ნახევარწრიულ ტიპანზე, დასავლეთის კარის თავზე; თვითოეული ოთხი სტრიქონისათვის, სულ უფრო მცირე რადიუსის ნახევარწრეებია გამოყენებული, რომლებიც ფარგლით იყო შემოხაზული. (წარწერის) ბოლოს, რჩება მცირე ნახევარწრიული დისკო, რომელიც, როგორც ახლაც ჩანს – არ იყო გამოყენებული წარწერის ბოლო ნაწილის ამოსაკვეთად (ხაზი ჩვენია, ვ. კ.). თუმცა, მთლიანად წარწერას, ასოების კონტურებზე გადასმული ჰქონდა წითელი საღებავი, რაც აღნიშნულია (წარწერის) პირველი გამოცემის ანგარიშში (იგულისხმება მარი ბროსეს „Rapot“-ი, ვ.კ.) და რაც, ნაწილობრივ, დღესაც შესაძლოა დავინახოთ, თვით ძეგლზე და შემდეგ: „როგორც ჩანს, მან (იგულისხმება დ. მეღვინეთხუცესისშვილი, ვ. კ.) კიდევ შესძლო არსებულ გლუვ ნახევარდისკოზე («на имеющемся гладком полудиске») წითელი საღებავით შესრულებული (ხაზი ჩვენია, ვ. კ.) ქართული ქრონიკონის შესაბამისი აღნიშვნა 21 ანუ 1333 წელი ჩვ.წ. ამოეკითხა.“¹ ეს საკითხი არ არის სასხვათაშორისოდ განსახილველი. თ. გოგოლაძის აზრით, თუ დავასკვნით, რომ ქორონიკონის აღმნიშვნელი ადგილი საგანგებოაა ამოტეხილი (?!), მაშინ დ. მეღვინეთხუცესისშვილის მიერ ამოკითხულ თარიღს, თითქოს მეტ დამაჯერებლობას შეეძენთ. სინამდვილეში, კიდევ ერთხელ გვიხდება იმის შესხენება, რომ თარიღის აღმნიშვნელი ასოები აღარ იკითხებოდა უკვე 1853 წელს, (ანუ დ. მეღვინეთხუცესისშვილის ვიზიტთან სულ 5 წელში!), როდესაც დაბის ეკლესიის ცნობილმა ნუმიზმატმა ივ. ბარტოლომეიმ მოინახულა.² ასოები წაშლილი (ან ამოქნალი) იყო და არა ამოტეხილი! ამაში, სხვა მკვლევრებთან ერთად, ჩვენც დავრწმუნდით ჯერ კიდევ XX ს. 70-იან წლებში და 2010 წელს (იხ. 2010 წ. გადაღებული დაბის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე არსებული წარწერის ფოტო. ავტორი: დავით კიკნაძე).

აღნიშნული წარწერისადმი მიძღვნილ თავში თ. გოგოლაძე წერს: (პუნქტუაცია, ანუ მისი არარსებობა ავტორისაა, ვ.კ.): „რენე შმერლინგის შემდეგ (ხაზი ჩვენია, ვ.კ.) დიმიტრი ბაქრაძემ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის შენიშვნებში სქოლიოში ამ წარწერის დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილის მიერ წაკითხული ტექსტი და თარიღი გაიზიარა. შესაბამისად, წარწერის თარიღად დიმიტრი მეღვინეთხუცესისშვილის და მარი ბროსეს მსგავსად 1333 წელი მიიჩნია.“³ უპირველესად, გაოცებას იწვევს, დიმიტრი ბაქრაძემ, რენე შმერლინგის „შემდეგ“, როგორ შეიცვალა აზრი და წარწერის მეღვინეთხუცესისშვილისეული დათარიღება გაიზიარა, როდესაც, დიმიტრი ბაქრაძე რომ გარდაიცვალა (1890), რენე შმერლინგი (1901-1967) ჯერ დაბადებულიც არ იყო! შეიძლება, ავტორმა თქვას, რომ ეს არის „Lapsus calami“; თუმცა მთავარი ეს არ არის. აი, რას წერს სინამდვილეში დიმიტრი ბაქრაძე ვახუშტის „ისტორიის“ კომენტარში: „ინდიქტიონი ანუ წელი გიორგის (იგულისხმება გიორგი V - ვ.კ.) მეფობისა, უდრის 1337 წელს და ქორონიკონი 21 კი 1333 წელსა -მამასადაძე, აქ შეცდომა რამ უნდა იყოს... თუ შემცდარი არა ვარ, მე ამ წარწერას მივაწერ არა გიორგი ბრწყინვალეს, არამედ გიორგი III-ს (1156-1184), რადგანაც პალეოგრაფიულის ხელოვნებით გადმოღებულს ამ წარწერაში, ქორონიკონი 21 არ არის სრულებით ნაჩვენები და მამასადაძე, ხსენებული შეცდომა ამ შემთხვევით უნდა აიხსნას“.⁴ უნდა განვმარტოთ, რომ, როდესაც დ. ბაქრაძე გიორგი V-ის მეფობის ქორონიკონს 1337 წლით აღნიშნავს, ის გულისხმობს იმას, რომ გიორგი V-ის გამეფება 1318 წელს მოხდა, ამიტომ მისი მეფობის „მეცხრამეტე ინდიქტიონი“ (დაბის წარწერა ამ ინფორმაციით იწყება) იქნებოდა 1337 წ. და

¹ Г. Н. Чубинашвили, К вопросу о дате в надписи на тимпане церкви близ села Даба, Борджомского района (1956), Вопросы истории искусства (Исследования и заметки), т. I, Тбилиси, 1970, с. 304-305.

² M. Brosset, Lettres de Bartholomaei relatives aux Antiquites Georgienne, Melange Asiatique, t. III, Livr. 3, S/Pbg. 1854, p. 266.

³ თ. გოგოლაძე, თორის ხეობის ეპიგრაფიკული კორპუსი, გვ. 130.

⁴ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილს არქეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 280, შენიშვნა 1.

არა 1333 წელი. ასე რომ, გოგოლაძის ეს არგუმენტიც არ შეესაბამება სინამდვილეს (რბილად რომ ვთქვათ).

2) თ. გოგოლაძე არღვევს ვახუშტის მიერ დაბეჯითებით მოწოდებულ თარიღს – 1318 წელს, იშველიებს რა თ. ჯოჯუას კვლევას ბაგრატ V-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით. თ. ჯოჯუა ამტკიცებს, რომ ვახუშტის დავით IX-ის გარდაცვალების და ბაგრატ V-ის გამეფების თარიღი – 1360 წ. შეცდომით აქვს წარმოდგენილი და, რომ ბაგრატ V გამეფდა არა 1360, არამედ 1366/67 წელს.¹ თ. გოგოლაძე წერს: „აქედან გამომდინარე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ვახუშტის მიერ გამოყენებულ ქრონიკებში დაცული ცნობების მართებულობა და მათ შორის სწავლული ბატონიშვილის მიერ მოტანილი გიორგი V ბრწყინვალის გამეფებისა (1318 და გარდაცვალების თარიღის (1346) სიზუსტე“.² ამ მსჯელობის საპასუხოდ, კატეგორიულად აღვნიშნავთ, რომ არავინ და, პირველ რიგში მე, არასდროს ვამტკიცებდი, რომ ვახუშტის მიერ დასახელებული ყველა თარიღი სწორია და უკრიტიკოდაა გასაზიარებული. აქ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ფაქტების გარკვეულ აღრევასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩემს შრომებში მე ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ განსხვავებით სხვა თარიღებისგან, სწორედ გიორგი V-ის გამეფებისა და გარდაცვალების თარიღების გადმოცემისას, ვახუშტი რამდენჯერმე გარკვევით უთითებს თავის წყაროს, მაგრამ არა „რალაც გელთური საბუთის მინაწერებს“, როგორც ბ-ნი თამაზი ბრძანებს, არამედ „გელათურ გარიგების წიგნზე“ დართულ ქრონიკალურ სიას, რომელშიც, თამარიდან დაწყებული და გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით და შემდგომ XVII ს-მდე ყოფილა მეფეთა ზეობა, თარიღების მითითებით დაფიქსირებული. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ეს „გელათური გარიგების წიგნი“, იგივე „ხელმწიფის კარის გარიგება“ უნდა იყოს (ცნობილია, რომ ის იმერეთშია შექმნილი), ხოლო მას, როგორც საფიქრებელია, ბოლოს დართული ჰქონდა მეფეთა ზეობის ქრონიკალური სია, რომელიც დღეს აღარ არსებობს. ჩვენ ასევე აღვნიშნული გვქონდა, რომ 1318 და 1346 წ. როგორც გიორგი V-ს გამეფებისა და გარდაცვალების წლებს, თავის „ქორანიკონში“ უთითებს იესე ოსეს ძე.³ დამატებით აღვნიშნავთ, რომ იმავე თარიღებს ასახელებს იოანე ბატონიშვილი (1768-1830) თავის განთქმულ ენციკლოპედიურ ნაშრომში „კალმასობა“ (ან „ხუმარსწავლა“) (გამოუქვეყნებელ ნაწილში) და ფარსადან გორგისჯანიძე (ასევე შრომის გამოუქვეყნებელ ნაწილში). ამასთანავე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თ. გოგოლაძის მიერ ეტალონად მიჩნეული თ. ჯოჯუას კვლევა, სადაც ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ დავით IX-ის გარდაცვალების და ბაგრატ V-ის გამეფების წლები 1360 კი არ არის, არამედ, ეს 1367 წელს მოხდა, არ არის ასე უკრიტიკოდ მისაღები. ის ერთადერთი სიგელი, რომელზე დაყრდნობითაც თ. ჯოჯუა თავის დასკვნას აფუძნებს, ძალიან დიდი ალბათობით, არ ეკუთვნის ერთიანი საქართველოს მეფეს, დავით IX-ს, არამედ ის გაცემული უნდა იყოს ე.წ. გორის მხარის „პროვინციის მეფის“ დავითის მიერ. ეს უკანასკნელი ამ მხარის წინა „პროვინციის მეფის“, ანდრონიკეს ძე უნდა იყოს. ამ დასკვნამდე ჯერ კიდევ 1964 წელს მივიდა ჯ. ოდიშელი.⁴ ჩვენი მხრით, დავუმატებთ, რომ ეს „დავითი“ რომ ერთიანი საქართველოს მეფე დავით IX იყოს, თავის სიგელში ის აუცილებლად მიუთითებდა, რომ დამთავრდა თვითმარქვია „ტახტის გამრყვნელთა“ (ალექსანდრე I დიდის ტერმინია) ზეობა. ამის წინა პერიოდში, ე.წ. „პროვინციის მეფე“ ანდრონიკე დაახლოებით 1354 წლამდე ფლობს ზუსტად აღნიშნულ ტერიტორიას. რაც შეეხება ე.წ. „ტრაპიზონის ქრონიკის“ ამ კონტექსტში მოშველიებას, ეს

¹ თ. ჯოჯუა, ეცერის მოძღვრის, ანტონ ონოფრიანის მიერ 1380 წელს იერუსალიმში „სპარსთაგან დახსნილი“ XII-XIII სს. უღვალის საწელიწდო სახარების (H-171) და მისი მინაწერი საქართველოს მეფეების ბაგრატ V-ისა (1366/1367-1387წწ.) და გიორგი VII-ის (1387-1407) მოხსენიებით, კრებულში: ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII-XIII, თბილისი, 2012/2013, გვ. 149-150.

² თ. გოგოლაძე, თორის ზეობის ეპიგრაფიკული კორპუსი... (2019), გვ. 134.

³ ვ. კიკნაძე, საქართველო XIV ს.-ში „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 52-53. იხ. აგრეთვე ვ. კიკნაძე, გიორგი ბრწყინვალე (სერია: ქართველი მეფეები პატრონი და მსახურნი ქვეყნისანი, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი, 2019, გვ. 28-48.

⁴ ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, კრებული: XV-XVIII სს. რამდენიმე ისტორიული დოკუმენტი, თბილისი, 1964, გვ. 90, 118.

სრულიად უადგილოა, რადგან ამ ქრონიკის ცნობა იმის შესახებ, რომ 1367 წელს საქართველოში ბაგრატი მეფობს, ვერაფრით დაგვეხმარება მისი გამეფების თარიღის დადგენაში.

3) დაბის ეკლესიის წარწერის მესამე სტრიქონში: „აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა“, ჩვენ ყუ-რადღება მივაქციეთ იმას, რომ ქვაში ნაკვეთ ამ სიტყვაში („ჟამსა“), პირველი ასო არის არა „ჟ“ (ჟ), არამედ „პ“ (U), ამიტომ გამოვთქვით ვარაუდი, რომ, შესაძლოა, წარწერის ეს ადგილი წა-ვიკითხოთ ასე: „აღვაშენე ტაძარი ესე, პირმშობასა („პმსა“) მეფეთ მეფისა გიორგისა“. ტერმინ „პირმშობის“ შესახებ ჩვენ ცალკე კვლევა ჩავატარეთ და ვაჩვენეთ, რომ ძველ ქართულ ტექ-სტებსა და ბიბლიის თარგმანებში „პირმშობა“ ნიშნავს უპირველესს, მთავარს, სამაგალითოს. XIV ს. ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგება“ – ეს ტერმინი ასეა წარმოდგენილი: „პირმშობაი მან (ტახტის რომელიღაც პრეტენდენტმა, ვ.კ.) მიიღო.. და აკურთხეს.“¹ აღსანიშნავია, რომ დაბის ეკლესიის წარწერა თავის დროზე ასე გაშიფრა მარი ბროსემაც. მას ამ სიტყვის ფრანგულ თარ-გმანში უწერია „რემიერ-ნე“ („პირველშობილი“), თუმცა სქოლიოში მ. ბროსე სათანადოდ ვერ ხსნის ამ სიტყვის ისტორიულ კონტექსტს.² ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რადგანაც წარწერა უტყუარი ქრონიკალური მონაცემით იწყება, ანუ ის, რომ ამ მცირე ეკლესიის აგებისას გიორგი დემეტრეს ძის ზეობის „მეცხრამეტე წელი“ იყო, შემდეგ სულ უფრო და უფრო შემცირებულ ფართზე კვლავ ზოგადად იმის აღნიშვნა, რომ ეკლესია გიორგი მეფის „ჟამს“ აიგო, ერთგვარად ზედმეტია, მაგრამ, თუ ამ დაქარაგმებულ სიტყვას წავიკითხავთ, როგორც „პირმშობასა“, ანუ, რომ ეკლესი-ის აგებისას გიორგი V-ის გაპირველების, უხენაესობის დრო იყო, მაშინ ეს სიტყვა სულ სხვა დატვირთვას და მნიშვნელობას შეიძენს. რაც შეეხება იმას, რომ სიტყვა „არანორმატიულადაა“ ქარაგმებული, ეს გამოიწვია წარწერის სულ უფრო შემცირებულმა ნახევარწერებმა. პალეოგრაფე-ბისთვის უცხო არაა, რომ ადგილის სიმცირის ან სხვა მიზეზით, ესა თუ ის სიტყვა ზოგჯერ მხოლოდ ერთი ასოთია ხოლმე დაქარაგმებული (მაგალითად „კ“-თი გადმოცემულია „კათალიკო-სი“, „ქ“-თი, „ქართლი“ და ა.შ.).

4) რაც შეეხება ქრონიკონის აღმნიშვნელ ორ გრაფემას („კა“), დაბის ეკლესიის ტიმპანის წარწერის ბოლოს, რატომღაც, თ. გოგოლაძე საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოე-ბაზე, რომ წარწერის ბოლოს, მეღვინეთხუცესისშვილის მიერ გადმოღებული ორი გრაფებიდან, „ა“ რადიკალურად განსხვავდება წარწერის დანარჩენ ნაწილში გამოყენებული იმავე ასოს მოხა-ზულობისაგან (ასო „ა“: 1-ლ სტრიქონში სამჯერ გვხვდება, მე-2 სტრიქონში – ორჯერ, მე-3-ში – ორჯერ, მეოთხეში – ერთხელ). წარწერის ბოლოს ის წვრილი და დაკლაკნილია, ამასთან „ა“-ს მუცელი ზედა ჰორიზონტალურ კლაკნილ ხაზთან არის შეერთებული იმ დროს, როდესაც, სხვა შემთხვევაში, ასომთავრული „ა“, ორი ერთმანეთისაგან დაშორებული, ნახევარწრიული ფორმისაა (იხ. დანართი 2).

5) თუ ყოველივე ზევით მოტანილ არგუმენტებს არად ჩავაგდებთ, რატომ ერთი სიტყვითაც არ ვეხებით, გიორგი V-ის თანამედროვე მემატიანის ე.წ. „ჟამთააღმწერლის“ ფაქტორს, ანუ იმას, რომ ეს მემატიანე, სრულიად გარკვევით ადასტურებს გიორგი ბრწყინვალის გამეფებას 1317 წლის შემდგომ. მაშ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მისი თხრობა. როდესაც ჩობან ნოინი და გიორ-გი V აჯანყებული რუმიდან მობრუნდნენ, მაჰმუდ ფარვანეს განდგომილების ჩახშობის შემდეგ (ეს ჟამთააღმწერლის და სხვა წყაროთა მიხედვით, 1316 წლის გვიან შემოდგომით მოხდა), ოლჯაითუ ყანი, რომელიც გიორგის ერთპიროვნულ გამეფებას ეწინააღმდეგებოდა, ერთ თვეში გარდაიცვა-

¹ ვ. კიკნაძე, საქართველოს ფეოდალური ხანის რამდენიმე სოციალური და ისტორიული ტერმინის შესახებ („გაზრდილობა“, „პირმშობა“, „საშინელი“), სამეცნიერო სესია მიძღვნილი ე. თაყაიშვილის ხსოვნისადმი (მოხსე-ნებათა მოკლე შინაარსები), თბილისი, 2003, გვ. 44-46.

² M. Brosset, Rapports sur un Voyage Archeologique dans la Georgie et dans l'Armenie execute en 1847-1848, VI Rapport S/Pbg, 1851 p. 101-102. ასევე: M. Brosset, Lettres de Bartholomae, relatives aux Antiquites Georgiens, in: Melanges Asiatiques, t.II, livr.3, S/Pbg, 1854, pp. 266-267.

ლა.¹ საილხანოს ტახტზე იგი შეცვალა მცირეწლოვანმა მემკვიდრემ (იგი 12 წლის იყო), აბუს აიდმა. სწორედ ამის შემდეგ გამოცხადდა ურდოში გიორგი დემეტრეს ძე, მაგრამ არა ახალ ყაენთან, არამედ ყოვლისშემძლე, ქვეყნის ფაქტობრივ გამგებელ ჩოხან ნონთან: „ხოლო ესმა რა გიორგი მეფესა („მეფე“ გიორგი დემეტრეს ძეს, მისი პირველი, ფორმალური გამეფების შემდეგ ეწოდება, ვ.კ.), სიკუდილი ყაენისა (ოლჯაითუსი, ვ.კ) და მის წილ დადგინება მუსაითისა (აბუსაიდისა, ვ.კ.), წარვიდა ურდოსა მეფე გიორგი; განიხარა ჩოფან და შეიტბო ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი, შვილნი ბექასანი და იწყო მთიებმან აღმოჭვირვებად!“² (ხაზი ჩვენია, ვ.კ.) ალბათ, ყველაფერი ნათელია: ოლჯაითუს გარდაცვალების შემდეგ ჩოხან ნონმა, გიორგის მთელ საქართველოზე მეფობის უფლება მიანიჭა: მას დაუმტკიცდა უპირატესობა ყველა კონკურენტზე (მათ შორის ძმისშვილ გიორგი VI-ზე) და სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცების უფლებაც მიეცა! („მოსცა...“ (ჩოხანმა, ვ.კ.) შვილნი ბექასანი“). აი, ეს არის გიორგი V-ის რეალური გამეფება და მისი ტრიუმფი! გასარკვევია მხოლოდ, როდის მოხდა ეს. ცნობილია, რომ „ჟამთააღმწერელი“ თარიღებს საერთოდ არ ასახელებს, მაგრამ აღმოსავლურ წყაროებში ამ თარიღის დადგენა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ყვენი ოლჯაითუ ხუდაბენდე 1316 წლის 16 დეკემბერს (ჰიჯრის 716 წ. 20 რამაზანი) გარდაიცვალა, აბუსაიდი კი, საზეიმოდ ტახტზე ავიდა 1317 წლის აპრილ-მაისში (საფარის თვეში).³

როგორც ცნობილი შვედი ორიენტალისტი დ'ოსონი წერს, აბუსაიდის ტახტზე ასვლის ცერემონიას სულთანნიემი მთელი საილხანოს ელიტა დაესწრო, მათ შორის უფლისწულები და ხათუნები. ამ ზეიმში წამყვანი როლი ეკისრებოდა „ამირათა-ამირა“ ჩოხანს. დ'ოსონის მიხედვითაც, ეს ყველაფერი 1317 წლის საფარის თვეში (აპრილში) მოხდა. ამის შემდეგ აბუსაიდი მიიღო „მსოფლიო მბრძანებლის“ ტიტული.⁴ სავარაუდოა, რომ გიორგი V ვალდებულიც იყო ახალ სულთანს ხლებოდა და მიელოცა ტახტზე ასვლა, მით უფრო, რომ რეალური ხელისუფლება გიორგის „მოკეთე“ ჩოხან ნონის ხელში აღმოჩნდა. ამგვარად, გიორგი დემეტრეს ძე სულთანის გაემგზავრა. მონღოლ-ოლხანთა იმდროინდელი დედაქალაქი სულთანიე, თავრიზის მახლობლად (ირანი) მდებარეობდა. იქამდე მგზავრობას, მაშინდელ ვითარებაში, თვეზე მეტი დასჭირდებოდა, ასევე უკან დაბრუნებას. სავარაუდოდ, გიორგი V საქართველოში 1317 წ. აგვისტო-სექტემბერში დაბრუნდა, მისი საზეიმო მეფედ კურთხევა კი 1318 წ. დასაწყისში უნდა მომხდარიყო. ისიც სავარაუდოა, რომ „გელათური გარიგების წიგნის“ ქრონიკალური სიის ავტორი წელიწადს ეკლესიურად 1-ლი სექტემბრიდან ითვლის, ანუ 1317 წ. 1-ლი სექტემბერი, მისი წელთაღრიცხვით, უკვე 1318 წელია. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ გიორგი V ბრწყინვალის საზეიმოდ ტახტზე ასვლა 1317 წლამდე ვერაფრით მოხდებოდა. ამის ყველაზე კარგი მოწმე გიორგი მეფის თანამედროვე მემატიანის ე.წ. ჟამთააღმწერლის მოწმობაა და არა XIX ს-ში დ. მელვინეთხუცესისშვილის მიერ სათუოდ ამოკითხული ორი გრაფემა...

¹ ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მათიანე“, ქართლის ცხოვრება, გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო და ყველა ძირითადი ხელნაწერი შეაჯერა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II. თბილისი, 1959. გვ. 324-325.

² ჟამთააღმწერელი, „ასწლოვანი მათიანე“, ქართლის ცხოვრება, ტ. II (1959), გვ. 325.

³ Абду Саид (Статья из энциклопедии Ислама), В.В.Бартольд, Сочинения, том VII, «Наука», Москва, 1971, с. 481.

⁴ C. D. Ohsson, Histoire des Mongols, Depuis Tchinquiz-Khan, Jusqua Timour'bey ou Tamerlan, T.IV, La Haye (Hague) et Amsterdam, 1835, p. 603.

Vazha Kiknadze

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ONCE MORE ABOUT VILLAGE DABA CHURCH INSCRIPTION

(THE CORRECTION OF TEXT. DATE)

RESUME

Vazha Kiknadze's article deals with the critical observation of Tamaz Gogoladze book: "The epigraphic corpus of Tori gorge as the historical source" (Tbilisi, 2019).

In particular, V.Kiknadze observed one chapter of the book dedicated to the inscription of the small temple of village Daba (Borjomi municipality). This inscription is really of the great value, because it is only one epigraphic monument, which mentioned the famous Georgian King Giorgi the 5'th, the Brilliant (1318-1346).

According to V.Kiknadze – T.Gogoladze's conclusions about Daba church inscription, in the most cases, are not adequate and correct.

ს. ღაჭის ეკლესიის წარწერაში გამოყენებული ღაჭის ნიშნების ნიშნაღმარაღი № 2

"ა" გრაფიკის ნიშნაღმარაღი:

- 1) ა ა ა — სეროქონი
- 2) ბ ბ — სეროქონი
- 3) გ გ — სეროქონი
- 4) დ — სეროქონი

ა ა ა : ბ ბ :

რ. მეტეხიანი-ბუაჩიშვილის მიერ ამოკითხული წარწერის ფოტოს, სურათებით ღაჭის ნიშნის განმარტება (?)

ქართული ენის მნიშვნელობა კათოლიკური პროპაგანდისათვის

კათოლიკური პროპაგანდის წარმატებისათვის მისიონერთა თვალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ენების ცოდნას. მისიონერები ვერაფერს გახდებოდნენ ქვეყნის მოსახლეობასთან საურთიერთობო ენის ცოდნის გარეშე. ბუნებრივია, ასეთივე მოთხოვნა დგებოდა მათ წინაშე საქართველოშიც. ჩვენს ქვეყანაში მოსულ მისიონერთა დიდმა ნაწილმა იცოდა თურქული ან სპარსული ენა, მაგრამ უჭირდათ ქართულად მეტყველება, რომლის გავრცელების არე საერთაშორისო ურთიერთობებში შედარებით შეზღუდული იყო. ამიტომ ქართულის ცოდნა მისიონერებში მნიშვნელოვან ფუფუნებად ითვლებოდა და დიდადაც აფასებდნენ.

საქართველოში გამოსაგზავნი კანდიდატების შერჩევისას, რომში დიდი ყურადღება უნდა დაეთმობოდა ქართული ენის ცოდნისათვის. სავარაუდოა, პირველი თეატინელი იყო ანტონიო ჯარდინა, რომელმაც იმდენად კარგად იცოდა ქართული, რომ გრამატიკა შეადგინა. როგორც არქანჯელო ლამბერტი ჯარდინას გარდაცვალების გამო ამბობდა: „ამ კეთილი მამის დაკარგვით გურიის მისიონმა დიდი დანაკლისი განიცადა. იგი მეტად ჭკვიანი და საქმიანი პიროვნება იყო. დიდი ნიჭი ჰქონდა ენების დაუფლებაშიც. მან შეადგინა ქართული გრამატიკის კარგი სახელმძღვანელო. ქართულ ენაზე ისე თავისუფლად ლაპარაკობდა, რომ ამ ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ“¹, მაგრამ ყველა ასე არ იყო გაწვრთნილი ქართულ მეტყველებაში. პატრი ქრისტეფორე 1652 წ. ქუთაისიდან რომში გაგზავნილ რელაციამში წერდა, რომ, მართალია, ამ ქალაქში მისიონერებისათვის კარგი პირობები იყო, საკუთარი მონასტერიც კი ჰქონდათ, მაგრამ იმდენად მცირერიცხოვანი იყვნენ ისინიც და მათი მრევლიც, რომ მათი მონასტერი ცარიელი იყო. „აქ სულ სამნი ვართ, ორი ახლად მოსულია, არ იციან აქაური ენა და არც აქაურობის გამოცდილება აქვსთ“², – წერდა ქრისტეფორე². ძალიან კარგად სცოდნია ქართული იეზუიტ მისიონერს, პოლონელ ივანე გოსტოვსკის, რომელიც 1690-1738 წლებში მისიონერად იმყოფებოდა იმერეთის სამეფოში. ძლიერ კარგად იცოდა იქაური ენა და საერთოდ მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა. გარდაიცვალა შავი ჭირით დაგაადებულითა დახმარებისას³.

კაპუცინების პრეფექტი პატრი სერაფინო და მელიკოკა რომის პროპაგანდას აცნობებდა 1663 წელს, რომ ქართლის მეფემ მიიღო კარგად კაპუცინი მისიონერები და იმდენად შეჰყურებს კათოლიციზმის გავრცელების პერსპექტივას: „როდესაც კარგად შევისწავლით ქართულს ენას და ქადაგებას შევიძლებთ, იმედი მაქვს, მეტად დიდი ნაყოფი გამოიღოს ჩვენმა შრომამ, რადგან კაი გულის ხალხია; კაი მაგალითით და მოძღვრებით ადვილათ მიიღებენ კათოლიკე სარწმუნოებას“⁴.

კაპუცინ მისიონერებს ქართულის შესწავლაში დიდი დახმარება გაუწია მეფის მკურნალმა, იმ დროის ქართლის სამეფოში სახელგანთქმულმა, წარმოშობით ბერძენმა, ქიოსელმა ანდრია ეპიფანემ. ანდრია რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ, როდესაც მისიონერები შეისწავლიდნენ ქართულად წერა-კითხვას, ისინი ბევრი რამის გაკეთებას შეძლებენო. „კითხვას და ქართულ ლაპარაკს მევე ვასწავლი, როდესაც თავისუფალი დრო მაქვს. ღმერთია მოწმე, რომ არაფერს ვზოგავ, მათ შევეწიო, რითაც კი შემიძლიან; გარდა ამისა, პატრები იმდენად ვერ

¹ არქანჯელო ლამბერტი, გვ. 244; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902, გვ. 156.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 197.

³ იქვე, გვ. 220-221.

⁴ იქვე, გვ. 224.

შეისწავლიან ქართულ ენას, რომ ქართველ მღვდელ-მონაზონებთან შვიდ საიდუმლოთა შესახებ საუბარი შეძლონ, მოკლე წიგნს შევუდგენ ამ საიდუმლოთა შესახებ. ამ წიგნში განსაკუთრებით აღვნიშნავ ყოველ შეცთომას, რომელსაც სწადიან ქართველები ამ საიდუმლოთა აღსრულების დროს, შეცდომებს ვუსწორებ და თანაც ვასწავლი, როგორ უნდა შეასრულონ სისწორით. ვევედრები ღვთის სახიერებას, რათა თავისის მადლით შემასრულებინოს ჩემი სურვილი“¹.

მისიონერების მიერ ქართული ენის ცოდნა დიდად მნიშვნელოვანი იყო და აფასებდნენ კიდევ სამეფო კარი და მოსახლეობის ფართე ფენები. როდესაც პატრებმა პატრი ეპიფანე წერილებით რომში გააგზავნეს, შაჰნავაზმაც თავისი ორი წერილი გაატანა, ერთ პაპისა და კაპუცინების გენერლისათვის გადასაცემად. შაჰნავაზი პაპს ეპიფანეს შესახებ სწერდა: „ამან ჩუენის ქუეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყუელას სიყუარული აქუს ამისი და თქუენის სახელისათვის დიდათ სჯობს ამის აქ ყოფა“².

კაპუცითა გენერლისათვის განკუთვნილ წერილშიც შაჰნავაზი ეპიფანეს ლაკონურად ახასიათებდა და მას სთხოვდა საქართველოში დაბრუნებას: „ახლა პატრი რაფაელი წამოვიდა, ამას საქართველოს კაცი დიად კარგა გაეწყო. ჩუენი ენა და წიგნი კარგად ისწავლა. ეს ისევ გამოგვიგზავნეთ. მანდ ნუ დააყენებთ. თქუენტვისვე სჯობს“³.

ფრიად საყურადღებოა კაპუცინთა ორდენის მისიონერის, ჯუსტინო და ლივორნოს მიერ 1687 წელს რომში გაგზავნილი რელაცია. ჯუსტინო საქართველოში ჩამოვიდა XVII ს. 60-იანი წლების მეორე ნახევარში (1666 ან 1667 წ.). ჯუსტინო და ლივორნომ იცოდა რამდენიმე ენა, მათ შორის ქართული. მან ქართული ენის კარგად ცოდნის გამო დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. ის ყოველთვის ხაზს უსვამს ამ მხრივ თავის უპირატესობას, თანამდებობის მიხედვით უფროსი და უმცროსი კოლეგების მიმართ. „მოწყალე უფალმა საჩუქრად მომცა 3 ენის – ქართულის, სომხურის და თურქულის ცოდნის უნარი“ – წერდა ის 1686 წლის 7 ოქტომბერს⁴. ჯუსტინოს აზრით, მისიონერების მიერ ქართული ენის ცოდნა ან არცოდნა იყო მაჩვენებელი იმისა, ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მიმართ. ის დაუფარავად წერდა, რომ მათ, ვინც არ იციან მისიის შესახებ, არ იციან ენა ან იციან ცუდად, „მტრული დამოკიდებულება აქვთ ამ ქვეყნების მიმართ და არ უყვართ ეს მისიონი“⁵.

საქართველოს მისიონის ვიცე-პრეფექტის ჯუსტინო და ლივორნო 1686 წლის 22 დეკემბერს წერდა, რომ, როდესაც ის იტალიაში დაბრუნდებოდა, „საუკეთესო ქალაქებში შემეძლო ჭეშმარიტად თავის მოწონება იმდენი ენის [ცოდნის] წყალობით, რომელიც მოწყალე ღმერთმა გამომიგზავნა“⁶.

საქართველოში გამოსავაზნი კანდიდატების შერჩევას, ჯუსტინო მოითხოვდა, რომში დიდი ყურადღება დაეთმოთ მათ მიერ ქართული ენის ცოდნისთვის. წერილში ჩანს, როგორ აფასებდა საქართველოში გამოგზავნილი მისიონერების მიერ ქართული ენის არცოდნის უარყოფით შედეგებს. ის წერდა: საქართველოში მყოფი მისიონერების „რიცხვიდან პრეფექტებმა მამა სერაფინომ და მამა ჯუხუბემ [ქართული] ენა ვერ ისწავლეს და მისიისათვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანიათ; მათგან, ვინც ჩემთან იყო და ჩემს შემდეგ არის, მხოლოდ მამა ბერნარდო მარიაა, რომელმაც [ქართული] ენა იცის და ისიც ძლიერ იბნეოდა; ვერ იტყვი, რომ [ქართულ] ენას ფლობდა მამა რაფაელი და მამა ბონავენტურა, რადგან მათი ცოდნა იმის იქით არ მიდიოდა, რაც ექიმობისათვის არის აუცილებელი; ისინი იქ, (რომში – ე.მ.) თქვენს გვერდით იმყოფე-

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 225.

² იქვე, გვ. 246.

³ იქვე, გვ. 247.

⁴ Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol. 31, ff. 360r-361r; ვეროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 135.

⁵ იქვე, გვ. 137.

⁶ Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 364r-367v; ვეროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 143.

ბიან და შევიძლიათ ჰკითხოთ, აღსარება მიუღიათ თუ არა თუნდაც ერთი ადამიანისაგან; სხვა დანარჩენთ, თავშიც არ მოსვლიათ ქართული ენის სწავლა, მათ მისია არ უყვართ და ახლა მთებში დაეხეტებიან“⁴.

როდესაც ვეცნობით ჯუსტინო და ლივორნოს რომში გაგზავნილ მოხსენებებს, ჩანს, რომ საქართველოში კაპუცინთა მისიაში მყოფი პატრების პიროვნებისა და საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი იყო ის, თუ რამდენად ფლობდნენ ისინი ენებს და, კონკრეტულად ქართულს. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერ ამონარიდს მის მიერ 1686 წლის 22 დეკემბერს ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილი წერილიდან: „მამა სილვესტრო და პასიკოლე და მამა ანჯელო და ფილინე თავიანთი საქციელით ადასტურებენ იმას, რომ ისინი ნამდვილი და ღირსეული მღვდლები არიან. ეს მამები დაუღალავად სწავლობენ ქართულ ენას და ყოველთვის ვეზმარები ჩემი მოკრძალებული ცოდნით; ისინი მისიონის მიმართ დიდ ინტერესსა და სიყვარულს ავლენენ. მაგრამ მამა მიკელე შეიძლება აქ არ გამოეგზავნათ, თუმცა ვნახოთ, როგორ მოიქცევა შემდეგში“².

ჯუსტინომ დაგვიტოვა ერთი მნიშვნელოვანი ცნობა XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში კავკასიის ხალხების საურთიერთობო ენების შესახებ. მისი გადმოცემით, შემახსნა და განჯაში აუცილებელი იყო სომხური ან თურქული ენის ცოდნა; ლორესა და სომხეთში სომხური ენის გარეშე იოლად ვერ გავიდოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი ქართლის მეფე გიორგი XI-ს ეკუთვნოდა; „სხვა დანარჩენ ადგილებში, გარდა ოსეთისა და ჩერქეზეთისა, სადაც საკუთარ და თანაც ძალიან რთულ ენაზე ლაპარაკობენ, ქართული ენის ცოდნა აუცილებელია“³.

ჯუსტინო თავს იდანაშაულებდა იმის გამო, რომ მან კარგად იცოდა, როგორ აფასებდნენ წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ მაღალი სასულიერო პირები ენის მცოდნე და აქტიურად მოქადაგე მისიონერებს და ვერ მოისაზრა, შეეღებინა მოკლე შეფასებები მათი ცხოვრების წესზე და გაეგზავნა რომში⁴.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, საქართველოში მისიონერებისათვის საურთიერთობოდ, როგორ შეიცვალა სომხური ქართულით 50 წლის განმავლობაში, XVII საუკუნის 80-ან წლებში. ამისათვის უნდა გავიხსენოთ გორის თეატინელთა მისიის ხელმძღვანელის, დონ პიეტრო ავიტაბილეს მიერ 1635 წელს რომში გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის ითხოვდა: „ის პირნი, რომელნიც საქართველოში უნდა შემოვიდნენ (სამისიონერო საქმიანობისათვის – ე.მ.), სწავლის დასრულების შემდეგ რამდენიმე ხნით რომში დარჩნენ, რათა დაეუფლონ, როგორც სომხურს, ასევე თურქულ ენებს. ამას შეძლებენ იოლად, რადგან მაგ მხარეში (იტალიაში – ე.მ.) ბევრი სომეხია... თუ დაცდას არ მოისურვებენ და აღნიშნულ მისიონში (გორში – ე.მ.) მოსვლის შემდეგ დაიწყებენ (ენების) შესწავლას, მაშინ საზიანო იქნება პირადად მათთვისაც და ვერც ამ ხალხის (სომხების – ე.მ.) მოთხოვნებს გაუწყვენ სამსახურს“⁵.

საყურადღებოა, რომ ჯუსტინოს წერილებში დასახელებული გაკათოლიკებული პიროვნებების და მთელი ოჯახების უდიდესი უმრავლესობა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, სომხები იყვნენ. დგება კითხვა: რატომ ანიჭებდა უპირატესობას ქართულ ენას სომხებთან ურთიერთობისათვის? რატომ არ ითხოვდა სომხურს ან ერთდროულად ორივეს – სომხურს და ქართულს?

სიფრთხილით მინდა ვუპასუხო ორივე კითხვას: ავიტაბილი რომელ სომხებზეც ლაპარაკობს, შეიძლება, იყვნენ მიგრანტები მეზობელი ქვეყნებიდან, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ, დავეუშვათ, XVII საუკუნის დასაწყისიდან, უკვე კათოლიკებად და მათთვის საურთიერთო-

¹ იქვე, გვ. 145; პაპაშვილი მ., ჯუსტინო ლივორნოელის ერთი დღემდე უცნობი წერილი // გორის სახელმწიფო-საწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომები, 10, თბ., 2016, გვ. 234.

² Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli, Georgia, vol.31, f. 364r-367v; ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 147.

³ იქვე, გვ. 150

⁴ იქვე, გვ. 153

⁵ დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), 41.

ბო ენა სომხური იყო, მაგრამ სომხური ენა მათ მხოლოდ ეკლესიაში და მისიონერებთან საურთიერთობოდ არ სჭირდებოდათ, აუცილებელი იყო მკვიდრ ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობასთან, სამოხელეო აპარატის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. ამიტომ 50 წლის განმავლობაში მათ იმდენად განიცადეს ენობრივი ასიმილაცია, რომ მათთვის დღის წესრიგიდან მოიხსნა აუცილებლობა, სომხური ენის მცოდნე მისიონერების მოსვლისა საქართველოში. ჩემს მოსაზრებას ამყარებს მრავალი წრილობითი წყარო XVIII-XIX სს-ის პირველი მეოთხედიდან.

საქართველოში კაპუცინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკა უარყოფითად აფასებდა რა რომში მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოში იტალიელ კაპუცინთა მისიის კუნძულ კვიპროსზე დაბინავებული ფრანგი კაპუცინებით ჩანაცვლების შესახებ, 1674 წლის 18 ოქტომბერში წერდა: „ეს გაცვლა მნიშვნელოვნად დააბრკოლებს ჩვენს მისიონში (იგულისხმება თბილისისა და გორის მისისა – ე.მ.) კათოლიკობის შემდგომ გავრცელებას, რადგან ის მისიონერები, რომლებიც კვიპროსში გაემგზავრებიან, ასევე ისინი, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ (სადაც ძნელად შესასწავლ ენაზე ლაპარასკობენ), მათთვის სავსებით უცხო იქნება ამ ახალი ქვეყნის წეს-ჩვეულებები. მათ 14 წელი მაინც დასჭირდებათ, რომ კეთილსასურველი დამოკიდებულება მოიპოვონ, რაც სარწმუნოების გავრცელების საქმეში წარმატებისათვის აუცილებელია, რომელიც (ღვთის წყალობით) ჩვენ უკვე გვაქვს“¹.

კაპუჩინი მისიონერი ჯუზეპე ანტონიო და რომანოს მიერ თბილისიდან 1675 წლის 1 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალს ურჩევდა: „რწმენის გავრცელების საქმე უფრო მოიგებს, თუ გავითვალისწინებთ ენაზე და მუნჯ მისიონერებს შორის განსხვავებას“². სრულიად გასაგებია, რომ ანტონიო რომანო „ენაზე“ მისიონერებში გულისხმობდა იმას, ვინც კარგად ფლობდნენ ქართულ ენას და ამ ენაზე შეეძლოთ ზიარება, ქადაგება და პაექრობა რელიგიურ საკითხებზე ქართველ და სომეხ სამღვდელეობასთან. მისი გაგებით, „მუნჯი“ მისიონერები მოკლებული არიან ჩამოთვლილ უნარებს.

ანტონიო რომანო თავის წერილში იმავე წლის 1-ლი დეკემბრის წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ მისიის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, „რამდენად დაიცავს მისიონის პრეფექტი, რომელსაც უნდა გამოარჩევდეს სიბრძნე, სიმშვიდე, წინდახედულობა და კეთილმოწყალება. ვთხოვ თქვენს მოწყალებას, ყველაფერი ილონოს, რათა გამოავხაზონ ახალი პრეფექტი, რათა ჩვენმა მისიონერებმა, რომლებიც სულ მცირე ორ აღმოსავლურ ენას ფლობენ, ხელი არ აიღონ სულების ხსნის საქმეზე“³.

ჯუზეპე ანტონიო რომანო იმავე წერილში კიდევ ამახვილებს ყურადღებას ქართული ენის შესწავლის სირთულეზე. მისი აზრით, რადგან მისიონერების საქართველოში ყოფნის ვადა განსაზღვრულია შვიდი წლით, „ამ ხნის მანძილზე მხოლოდ შესაძლებელია (ქართული – ე.მ.) ენის ისე შესწავლა, რომ აღასრულო საიდუმლო, მაგრამ ქადაგებისათვის, დისკუსიის წარმართვისათვისა და გამოცდილებით გამდიდრებისათვის, საჭიროა მომდევნო შვიდწლიანი ვადა“⁴. ე.ი. ჯუზეპე ანტონიოს დაკვირვებით, მისიონერს ქართული ენის დაუფლებისა და თავისი მოვალეობის ნორმალურად აღსრულებისათვის, აუცილებელად სჭირდებოდა ორმაგი ვადა – 14 წელი.

ენების შესწავლა რომ გადაულახავ პრობლემად ექცა კაპუჩინთა მისიონის პრეფექტს, ჯულიო და კრემონას, ჩანს მის მიერ 1692 წლის 10 მარტს წმ. „კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისათვის გაგზავნილი წერილიდან. დასახელებული მიზეზის გამო ის მოითხოვდა გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან: „ბევრჯერ მივწერე წმინდა კონგრეგაციას, ხოლო ჩემს ორდენს – შვიდჯერ, რომ გამათავისუფლონ პრეფექტის თანამდებობი-

¹ ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 47, 55.

² იქვე, გვ. 81.

³ იქვე, გვ. 83

⁴ იქვე, გვ. 86-87

დან, მაგრამ მოსმენაც კი არ ისურვეს; ვთხოვ თქვენს მოწყალებას, რომ დამეხმაროს ჩემი თხოვნის დაკმაყოფილებაში. აქამდე მხოლოდ ქართული ენა ვისწავლე და არ შემიძლია სხვა ენების სწავლა დავიწყო დაუსრულებელი გარჯისა და ურიცხვი საზრუნავის გამო, რასაც პრეფექტის თანამდებობა მავალბებს“¹.

მ. თამარაშვილი აჯამებდა რა კათოლიკე მისიონერების ღვაწლს საქართველოში, XVII საუკუნის განმავლობაში, განსაკუთრებული შედეგებს შორის აღნიშნავდა ქართული ენის შესაწავლად სპეციალური კათედრის დაარსებას რომში: „პროპაგანდის კოლეგიაში სხვა ტომთა ენებთან ერთად ჩვენს ენასაც საპატიო ადგილი დაუთმეს“², მაგრამ ჩვენი კულტურისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველი არც ერთი დოკუმენტი არ დამიწმამა თავის წიგნში, ისინი რომლებიც უეჭველია, მან საკუთარი თვალთ იხილა.

ვროპიდან საქართველოში ჩამოსული ქართული ენის მცოდნე მისიონერების ნაკლებობა ჩვეულებრივი გახდა. სულხან-საბა ორბელიანის თარჯიმანი და მეგზური საფრანგეთში ჟან რიშარი, დიპლომატიური მისიით ყოფნის დროს, საფრანგეთის მინისტრ ტურსის წერილობით აუწყებდა (1714 წლის 1 თებერვალი), რომ დასავლეთ საქართველოდან პატრიარქის ბრძანებისამებრ ვასტანგ VI-ის ელჩს წამოჰყვა ბერი დავითი. მას ჯერ თვითონ უნდა შეესწავლა ფრანგული ენა და შემდეგ იმ ფრანგი მისიონერებისათვის ესწავლებინა ქართული, რომლებსაც საქართველოში წამოიყვანდა³.

რომში დაბრუნებულმა ანტონიო რომანომ წარადგინა მოხსენება საქართველოს მისიონის შესახებ, რომელიც შედგენილია 1717 წლის შემდეგ⁴. მისიში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში ანტონიო მისიონის პრეფექტის დავალებით ცხოვრობდა გორში. მიზეზი, რის გამოც ანტონიო საქართველოდან იტალიაში დაბრუნდა, იყო იეზუიტი მისიონერის, მამა ბერნარდოს გარდაცვალება. მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც ანტონიო აღნიშნავდა, გორში „არ დარჩა ქართული ენის მცოდნე მისიონერი. მხოლოდ ქართულის ცოდნით იყო შესაძლებელი ჩამოსულებთან ურთიერთობა და იმათთან, ვინც ეს ენა იცოდა... არ შემძლო ბევრისთვის მიმეღწია საქართველოში...“⁵

კაპუცინების საქართველოს მისიონში, XVIII საუკუნეში, გამოუსწორებელ პრობლემად იქცა, არა მხოლოდ ქართულის, არამედ, ზოგადად, ენების მცოდნე მისიონერების ნაკლებობა. საკითხი იმდენად ცნობილი იყო რომში, რომ მასზე იშვიათად წერდნენ მისიონერები თბილისიდან და გორიდან გაგზავნილ მოხსენებებში. კაპუჩინი მისიონერის, რუდოლფო და ბორმიოს თბილისიდან გაგზავნილ რელაციაში⁶ (1751 წლის 26 თებერვალი), მოგვითხრობს, რომ მისი განჯაში ყოფნის დროს თბილისიდან გაგზავნილმა სრულიად მოუმზადებელმა მამებმა არ იცოდნენ იქაური მოსახლეობის ენა, ე. ი. სომხური და თურქული, მათ არ იცოდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებები. მისიონერები ფლობდნენ მხოლოდ ქართულს და ამის გამო მათ არ შეეძლოთ სრულფასოვნად ჩაეტარებინათ საეკლესიო მსახურება. როდოლფოს თბილისში დაბრუნების შემდეგ ხსენებულმა მამებმა მხოლოდ ორი თვე გაძლეს განჯაში და ისინიც თბილისში დაბრუნდნენ. განჯის მისიონი მისიონერების გარეშე დარჩა. რუდოლფო ირონიით შენიშნავს, რომ ეს არის საქართველოს მისიონის პრეფექტის მამა კლაუდიო და რეჯოს „ბრძნული“ მმართველობა. მან რო-

¹ იქვე, გვ. 200.

² თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, გვ. 273.

³ იქვე, გვ. 314-315.

⁴ *Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia" 1708-1760. V. 2., ff. 39r-40 v; ევროპული წყაროები, II, გვ. 26-30.*

⁵ იქვე, გვ. 29.

⁶ *Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1708-1760. V. 2., ff. 457r-460v; ევროპული წყაროები II, გვ. 65-69.* ამ ვრცელი რელაციიდან მ. თამარაშვილმა თავის წიგნში მოიტანა მხოლოდ 17 სტრიქონი. მ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, გვ. 365-366.

ცა გაგზავნა ის ორი მამა, თბილისში არავინ დარჩა ქართული ენის მცოდნე, ხოლო, როცა განჯიდან რუდოლფო და ბორმიო გამოიხმომო, იქ აღარავინ დარჩა, ვინც იცოდა სომხური და თათრული ენა. ამის გამო 1750 წლის შობას განჯაში ბევრი ისევ აღსარების გარეშე შეხვდა. ამ ორი მამის წასვლის შემდეგ თბილისში სომეხ და ქართველ კათოლიკეებს, ასევე სქიზმატიკოსებს შორის დიდი ჭორაობა დაიწყო: ქართველი კათოლიკეები [იმაზე] ჩიოდნენ, რომ მამებს მათი მიტოვება სურდათ და სწორედ იმ დროს, როცა თბილისში არავინ იყო ქართული ენის მცოდნე პატრი¹.

ქართული ენის მცოდნე მისიონერების დეფიციტზე ლაპარაკობს ახალციხის მისიონის პრეფექტი, კაპუცინი მისიონერი ალიოზ და პრაგა 1767 წლის 18 მარტის რელაციაში². ვიგებთ, რომ ერეკლე II-მ ალიოზ და პრაგას, რომელიც სავარაუდოა, ახალციხის მისიონის პრეფექტი იყო, სთხოვა გორის პატარა კათოლიკური თემისათვის, რომელსაც მეფემ მისცა სახლი სამლოცველოდ, მაგრამ როგორც ჩანს, ქართულის მცოდნე მისიონერი არ ჰყავდა. მეფე ერეკლემ პრეფექტს სთხოვა, გორში გაეგზავნა კონკრეტულად მამა გიორგი, რომელსაც, სავარაუდოა, მეფე პირადად იცნობდა, მაგრამ უკვე 6 თვე იყო, რაც ის ართვინში იყო განწესებული და დიდი გულმოდგინებით ასრულებდა თავის მოვალეობას, გამართა სკოლა და ასწავლიდა ბავშვებს, ხოლო იქაურ პირველმძღველმთავრებს უსწორებდა ცდომილებებსა და ნაკლოვანებებს.

მარტის დასაწყისში პრეფექტმა გამოიძახა მამა გიორგი და გორში გაგზავნა. შემდეგში გაირკვა, რომ მამა გიორგი მეფემ გორიდან თბილისში იხმო, რაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მის ექიმობასთან. ამის შემდეგ პრეფექტი იძულებული გახდა, გორის კათოლიკური თემისათვის ახალი მღვდელი გაეგზავნა. შეირჩა მამა ანდრია. როგორც ალიოზ და პრაგა აღნიშნავს, „სხვა არავინ მყავს საქართველოში ახლა ისეთი, რომელმაც იცის ქართული ენა და მედიცინაშიც იყოს განსწავლული“³.

* * *

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ შემდეგ, პირველ ხანებში, როგორც ჩანს, სერიოზულად აფიქრებდათ ლათინი კათოლიკე მისიონერების საქმიანობა საქართველოში, რომელიც, გარკვეული გაგებით, მათი საშუალებით აგრძელებდა კონტაქტებს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსთან, კერძოდ, რომთან და საფრანგეთთან. ამიტომ იყო, რომ რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი და საქართველოს მთავარსარდალი თავადი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) (1754-1806) 1804 წლის 14 აპრილს სწერდა რუსეთის საგარეო საგარეო მინისტრს ადამ ეჟი ჩარტორისკის (1770-1861) და ყურადღებას ამახვილებდა ქართული ენის მნიშვნელობაზე პატრებსა და გაკათოლიკებულ ადგილობრივ სომეხ მოსახლეობაზე კონტროლის განხორციელებისათვის. „მქონდა პატივი მომეხსენებინა მისი ბრწყინვალეობა სახელმწიფოს კანცლერ გრაფ ალექსანდრე რომანის ძე ვორონცოვისათვის რომის [კათოლიკური] ეკლესიის სამღვდელოების შესახებ, რომელთა აქ [საქართველოში] ყოფნა აუცილებლად მიმაჩნია, რადგან *მრავალრიცხოვანმა სომხებმა მიიღეს რა კათოლიკური აღმსარებლობა, ცხოვრობენ საქართველოში*, იმიტომაც, რომ ჯარში მრავლად არიან იმავე აღმსარებლობის დაბალი წოდების ადამიანები. ის სამღვდელოება, როგორც მე წარმომიდგენია, თუ დამოკიდებული იქნება რუსეთის იმპერიის სასულიერო ხელმძღვანელობაზე, ამით აღიკვეთება აქაური ეკლესიის ურთიერთობა რომისა და საფრანგეთის სამღვდელოებასთან... აქაური [კათოლიკური] სამღვდელოება ეკუთვნის [რომის] პროპაგანდას.

¹ იქვე, გვ. 68.

² Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o "de Propaganda Fide". Fondo. "Georgia", 1761-1778. V. 3., ff.179r.-180r; *ევროპული წყაროები, II, გვ. 68.*

³ იქვე, გვ. 84.

ისინი დიდი ზანია აქ იმყოფებიან, ისწავლეს [ქართული] ენა, სარგებლობენ სომხების ნდობით, მკურნალობის ხელოვნებით მრავალს ეხმარებიან...“¹

შემდეგ წერილში პ. ციციანოვი განმარტავს, ვინ არიან წარმოშობით სომეხი კათოლიკენი და რატომ ანიჭებენ ისინი უპირატესობას ქართულად მოლაპარაკე მისიონერებს. აღარ გავაგრძელებ ამ საკითხზე საუბარს, რადგან იგი სცილდება ამ მოხსენების მიზანს.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University

**THE IMPORTANCE OF THE GEORGIAN LANGUAGE FOR PROPAGANDA IN
GEORGIA
(XVII-XVIII CC)
RESUME**

Knowledge of the native language of the country was crucial for the success of Catholic propaganda for missionaries. The success and failure of the missionaries depended on this. They also encountered obstacles in Georgia. The missionaries who came to our country often knew Turkish or Persian. But they had difficulty with Georgian, the scope of which was relatively limited. Therefore, knowledge of Georgian was considered a luxury by missionaries and was highly valued.

There are many examples in the paper, gathered and analyzed by the theatrical and Capuchin missionaries working in the mentioned period.

¹ Акты собранные Кавказскою Археологическою комиссиею, II, 1868, с. 281, №550

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და იერუსალიმის ეკლესიის პოზიცია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა ისარგებლეს რუსეთში მომხდარი სახელმწიფოებრივი ცვლილებებით და 1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მოიწვიეს კრება, რომელზეც რუსეთის ეკლესიის მიერ 1811 წელს არაკანონიკურად გაუქმებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს. იმავე წლის 1 (14) ოქტომბერს, მცხეთობის დღესასწაულზე, მოხდა განახლებული ქართული ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის, ინტრონიზაცია.

ახლადაღსაყდრებულმა კირიონ II-მ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს კონსტანტინეპოლისა და სხვა მართლმადიდებელ საპატრიარქოებს (ალექსანდრიას, ანტიოქიას და იერუსალიმს) გაუგზავნა წერილები, რომლებითაც აცნობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მათგან თანადგომა და თანალოცვა მოითხოვა. სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიას საპასუხო წერილები არ მიუღია. ამიტომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა აღმოსავლეთის არც ერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ სცნო.¹

ეკლესიას აღმოჩნდა, რომ ეს თვალსაზრისი სწორი არ არის. საქართველოს ეკლესიაში მომხდარ ამ მნიშვნელოვან მოვლენას, მართალია, აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების მყისიერი რეაგირება არ მოჰყოლია, მაგრამ უგულისყურობა არც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს გამოუჩენია და არც სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს.

1919 წლის ნოემბერში, კონსტანტინეპოლის სინოდის დავალებით, საქართველოს ეკლესიის მესვეურთ შეხვდა ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი (შემდგომში, 1938-1940 წწ., ათენისა და სრულიად ელლადის მთავარეპისკოპოსი), რათა გაერკვია, თუ რა ხდებოდა საქართველოს ეკლესიაში, რომელმაც ის ის იყო დაიბრუნა ავტოკეფალია.

ბუნებრივია, აქ გაჩნდეს კითხვა: რატომ 1919 წელს და არა უფრო ადრე?

მოგეხსენებათ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II აღსაყდრებიდან რვა თვეში, 1918 წლის 27 ივნისს, ვერაგულად მოკლეს. ამას მოჰყვა კირიონ II-ის მომხრეთა რეპრესიები და მკვლელობები. საქართველოს ეკლესიაში დატრიალებული მოვლენები, ოფიციალური თუ არაოფიციალური გზით, კონსტანტინეპოლის ეკლესიამდეც აღწევდა. საქართველოს ეკლესიის შემდგომი პატრიარქი, ლეონიდე, აღსაყდრებულ იქნა 1919 წლის 23 თებერვალს. იმავე წლის ნოემბერში ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი საქართველოს ეკლესიას საგანგებო დავალებით ეწვია.

მიტროპოლიტი ქრისანთოსი შეხვდა და ესაუბრა როგორც საქართველოს ეკლესიის მესვეურთ, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებს – პრემიერმინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს (ორივე მხარეს დადებითად მოიხსენიებს თავის მემუარებში). რაც მთავარია, ქრისანთოსმა დაწერა და კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც წარმოდგენილია, თუ როგორი თავდადებით იცავდა ქრისტიანობას საქართვე-

¹ რ. მეტრეველი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავი, კრ. „ლოგოსი“, თბ., 2018, 24-25.

ლოს ავტოკეფალური ეკლესია საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე 1811 წლის 11 ივლისის გან-
ჩინებით, რუსეთის ეკლესია მის ავტოკეფალიას გააუქმებდა და ექსარხოსს დაუნიშნავდა. საუბა-
რია იმაზეც, თუ როგორ მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წლის
12 (25) მარტს და რა რეაქცია მოჰყვა ამას რუსეთის ეკლესიის მხრიდან. ბოლოს მიტროპოლი-
ტი კონსტანტინეპოლის სინოდს მოუწოდებს, შემრიგებლის როლი იტვირთოს საქართველოსა
და რუსეთის ეკლესიებს შორის, რათა საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნოს ის სტატუსი, რაც
მას ასე წლის წინ გააჩნდა. ქრისანთოსი წერს: „უპირატესობის **მქონე კონსტანტინეპოლის ეკ-
ლესიის სერიოზული და შემრიგებლური ჩარევა** (რაც ისტორიის მანძილზე ასეთ ექსტრემალურ
სიტუაციებში შედეგიანი აღმოჩნდა, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ეკლესიისათვის)
**მოაწესრიგებს ამ გაუგებრობას. დაარწმუნებს რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდს, სცნოს საქარ-
თველოს ეკლესია იმ ადგილზე, რაც მას ასე წლის წინ გააჩნდა, ვითარცა ავტოკეფალურ ეკ-
ლესიას, თუკი, რა თქმა უნდა, ორივე მხრიდან იქნება ეს კეთილი სურვილი, მით უფრო ახლა,
როდესაც მორწმუნე ქართველმა ერმა აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი სტატუსი**“¹.

სამწუხაროდ, კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ შემრიგებლის როლის შესრულება ვერ
შეძლო, რადგან მაშინ, როდესაც მიტროპოლიტი ქრისანთოსი საქართველოში ჩამოვიდა (1919
წ. ნოემბერი), კონსტანტინეპოლი ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს ჰქონდათ ოკუპირებული.
კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვრივებულ ტახტს კი საბერძნეთის ჯარის ორი ქვედანა-
ყოფი იცავდა, რადგან ერთი წლით ადრე, 1918 წლის 31 ოქტომბერს, პროვოკაციული ქმედებე-
ბის გამო, კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე V (1913-1918) იძულებული გახდა, გადაამ-
დგარიყო.²

იმავე, 1919 წელს, მუსტაფა ქემალ ფაშამ დააარსა თურქეთის ეროვნული კონგრესი, რო-
მელმაც 1919-1922 წლებში მთელი თურქეთი დაიმორჩილა. ქვეყნიდან განდევნა ბერძნები და
სომხები. 1923 წელს კონსტანტინეპოლიც დაიბრუნა და საფუძველი ჩაუყარა თურქეთის რესპუბ-
ლიკას. კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მისი უმთავრე-
სი საზრუნავი ახალ ხელისუფლებასთან ადაპტაცია და მრევლის გადარჩენა იყო.³

უკეთეს მდგომარეობაში არც საქართველოს ეკლესია აღმოჩნდა. 1921 წლის 25 თებერვალს
საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ათეისტური იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ სა-
ქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიის აღიარებაზე ფიქრის კი არა, სხვა ეკ-
ლესიებთან მიმოწერის უფლებაც კი შეეზღუდა.

ახლა კი მთავარ საკითხს მივხედოთ და ვნახოთ, როგორი პოზიცია ჰქონდა საქართველოს
ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით იერუსალიმის ეკლესიას.

პირველმა მსოფლიო ომმა პრობლემები შეუქმნა იერუსალიმის საპატრიარქოსაც. პალესტი-
ნაში ისევ გამწვავდა ე. წ. „არაბული პრობლემა“, რომელსაც სათავე დაუდო XIX საუკუნის მე-
ორე ნახევარში რუსების მიერ გაჩაღებულმა პანსლავისტურმა მოძრაობამ. ხსენებული მოძრაობის
მიზანი ის იყო, რომ განედევნათ ბერძნები სირიიდან და პალესტინიდან, არაბებს, არაბულენოვან

¹ Ἄρθρα καὶ Μελέται Χρυσάνθου, Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν τοῦ ἀπὸ Τραπεζοῦντος (1911-1949),
ὑπὸ Γ. Ν. Τασιῦδη (βιβλίον τρίτον), Ἀθήναι, 1997, 305-306 .

² სწორედ იმ დროს (1919 წ.) რუსეთის ეკლესიამ კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების
სახელით საქართველოში გაავრცელა ცრუ ეპისტოლეები, თითქოს ისინი ქართველებს რუსეთის საპატრიარქოსადმი
მორჩილებას ურჩევდნენ (იხ.: К. Георгиевский [კ. ცინცაძე], По поводу архипастырского подлога,
"Грузия", 1, 02, N 5; კალისტრატე ცინცაძე, ქადაგებები და სიტყვები, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და
გამოკვლევა დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, 216-218). პატრიარქი გერმანე V (1913-1918) 1920 წელს
გარდაიცვალა.

³ უფრო ვრცლად მიტროპოლიტ ქრისანთოსის ვიზიტთან დაკავშირებით, იხ.: თ. მესხი, ბრძოლა
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის – XX საუკუნე, კრ. „ლოგოსი“, თბ., 2018,
71-83.

ბერძნებსა და სხვა ქრისტიანებში კი შოვინისტური გრძნობები გაელვებინათ, რათა იერუსალიმის ეკლესიის მმართველობა მათ ხელში გადასულიყო.¹

1917 წლის შემოდგომაზე პალესტინაში საომარი მოქმედებები დაიწყო. ნოემბრის თვეში ფრონტი უკვე იერუსალიმს მიუახლოვდა. მაშინ თურქებმა იერუსალიმის პატრიარქი, დამიანე, დააპატიმრეს და, სინოდის წევრებთან ერთად, დამასკოში გადაასახლეს. იერუსალიმში დარჩენილმა სამღვდლოებამ 1918 წლის 6 სექტემბერს პატრიარქი დამიანე გადაყენებულად გამოაცხადა, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ კი სინას მთის იმდროინდელი მთავარეპისკოპოსი პორფირიოსი დაასახელა. დამასკოში მყოფმა პატრიარქმა შეძლო კავშირი დაემყარებინა პალესტინაში მოქმედ სამხედრო ძალებთან და, გენერალ ედმუნდ ალენბის დახმარებით, 1918 წლის 23 დეკემბერს იერუსალიმში დაბრუნდა. პატრიარქმა დამიანემ ეკლესიის ოპოზიცია კი დაამარცხა, მაგრამ ბერძენ სამღვდლოებასა და არაბულ სამწყსოს შორის არსებული დაძაბულობა მთელი 20-იანი წლების განმავლობაში გაგრძელდა. თავიდან ინგლისელებმა ბერძნების მხარე დაიჭირეს, მაგრამ შემდეგ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ წმინდა მიწაზე არსებული სტატუს ქვო გაუქმებულიყო.²

აი, ასეთ ვითარებაში იმყოფებოდა იერუსალიმის ეკლესია, როდესაც მის ოფიციალურ ორგანოში Νέα Σιών (ნეა სიონ), 1920 და 1921 წლებში დაიბეჭდა მთავარდიაკონ (შემდგომში დიოკესარიის მთავარეპისკოპოსის) კლეოპა კიკილიდისის სამი სტატია, რომლებიც ეხება საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობებს, ქართველთა წმინდა მიწაზე მოღვაწეობას, ქართულ ენას, მწიგნობრობას და საქართველოს ეკლესიის სტატუსს.³

სამივე სტატია საინტერესოა, თუნდაც იმ თვალსაზრისით, თუ რა აზრი იყო დამკვიდრებული იმ დროს იერუსალიმის ეკლესიაში ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ამჯერად მიმოვიხილავთ მხოლოდ 1921 წელს გამოქვეყნებულ სტატიას, სათაურით: „*იბერიელები ვითარცა მონოზენები წმინდა მიწაზე*“;⁴ რადგან მასში, სხვასთან ერთად, საუბარია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზეც.

მთავარეპისკოპოსი კლეოპა სტატიას იწყებს ქართველთა გენეალოგიით. იმოწმებს კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას,⁵ რომელიც ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილია. იქვე აღნიშნავს: „*დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წმიდა მიწა არცერთ სხვა*

¹ Ζηζιούλας Ιω. Δ., *Ἱεροσολική, Εκκλησιαστική Ἱστορία, Θρησκευτική καὶ Ἡθική Ἐγκυκλοπαίδεια*, τ. 6^{ος}, Ἀθήναι, 1965, 839.

² ამის დასტურია თუნდაც ის გარემოება, რომ პატრიარქ დამიანეს გარდაცვალების (1931) შემდეგ, ინგლისელებმა იერუსალიმელებს ოთხი წლის განმავლობაში არ მისცეს პატრიარქის არჩევის უფლება. 1935 წლის 22 ივლისს წმიდა საფლავის სამომ პატრიარქი მაინც აირჩია, მაგრამ ინგლისის ხელისუფლებამ მათ მიერ არჩეული პატრიარქი ტიმოთეოს თემელისი მხოლოდ 1939 წლის სექტემბერში სცნო და დაამტკიცა.

³ 1. Κ. Κοικυλίδου, μεγάλου Ἀρχιδιακόνου, Γεωργιανοὶ ἢ Ἰβήρες ἔν τοῖς Ἁγίοις Τόποις. Σχέσεις αὐτῶν πρὸς τὴν βυζ. Αὐτοκρατορίαν καὶ αἱ τοῖς Πατριάρχου Δοσιθέου ἐπιστολαὶ πρὸς τοὺς ἡγεμόνας καὶ αὐθέντας τῆς Ἰβηρίας (კ. კიკილიდის, დიდი მთავარდიაკონი, ქართველები ანუ იბერიელები წმინდა მიწაზე, მათი ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან და პატრიარქ დოსითეოსის წერილები იბერიის ჰეგემონებისა და დიდებულებისადმი), Νέα Σιών, ΙΕ', 1920, 50, 168, 240 2. Κλεόπα Κοικυλίδου, Περὶ τῆς γλώσσης καὶ φιλοσοφίας τῶν Ἰβήρων (კ. კიკილიდის, იბერთა ენისა და მწიგნობრობის შესახებ), Νέα Σιών, ΙΕ', 1920, 360. 3. Κλεόπα Κοικυλίδου, Ἀρχιεπισκόπου Διοκισαυρίας, Οἱ Ἰβήρες ὡς μονασταὶ ἐν Παλαιστίνῃ (დიოკესარიის მთავარეპისკოპოსი კლეოპას კიკილიდის, იბერიელები ვითარცა მონოზენები წმინდა მიწაზე), Νέα Σιών, τόμ. ΙΣΤ', 1921, 128-133.

⁴ Κλεόπα Κοικυλίδου, Ἀρχιεπισκόπου Διοκισαυρίας, Οἱ Ἰβήρες ὡς μονασταὶ ἐν Παλαιστίνῃ, Νέα Σιών, τόμ. ΙΣΤ', 1921, 128-133.

⁵ „ისინი, როგორც თვითონ ამბობენ, იერუსალიმიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“. კონსტანტინე პორფიროგენეტი, *De Administrando Imperio*, იხ.: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1952, 258.

ხალხს არ შეუყვარებია და არც უმუშაუნია მისი წმიდა სალოცავების გადასარჩენად და დასაცავად ისე, როგორც იბერიელებს, როდესაც ისინი პოლიტიკურად ძლიერნი იყვნენ“.¹

ამის შემდეგ მთავარეპისკოპოსი გვიამბობს ქართულ წყაროებში დაცულ ცნობას მირიან მეფის იერუსალიმში გამგზავრებისა და იქ ეკლესიის მშენებლობის შესახებ. ასევე, გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღდგომის ეკლესიის საზეიმო კურთხევის ცერემონიაში, რომელიც 336 წელს ტიროსის კრებაზე შეკრებილმა ეპისკოპოსებმა ჩაატარეს, ახლადგაქრისტიანებული იბერიის წარმომადგენელიც უსათუოდ მიიღებდა მონაწილეობას. ასევე, გვაცნობს პირველი იბერიელი მონოზენების, ევაგრე პონტოელისა და პეტრე იბერის, პალესტინაში მოღვაწეობას. ზოგიერთი სხვა მკვლევრისაგან განსხვავებით, ევაგრე პონტოელს ქართველად მიიჩნევს. პეტრე იბერს კი, მიუხედავად იმისა, რომ ის მონოფიზიტი იყო, მხურვალე ქრისტიანად მოიხსენიებს და წერს: „*პეტრე იყო დიდი ქრისტიანი, დიდი ასკეტი, ძალიან ენერგიული, თავისი შეხედულებების მტკიცედ დამცველი*“. აღნიშნავს აგრეთვე, რომ „*იბერიელებმა V, VI და VII საუკუნეებში მონასტრების მთელი ჯაჭვი დააარსეს პალესტინიდან იბერიაში – ანტიოქიასა და კილიკიაში, კაპადოკიასა და პონტოში*“ და იმ მონასტრებს თავადვე განაგებდნენ.

იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით მთავარეპისკოპოსი კლუბაა წერს: „*გარკვეულ პერიოდში იბერიის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიაზე დამოკიდებული გახდა, მაგრამ ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდის დაექვემდებარა იგი ანტიოქიის ეკლესიას, ან როდიდან მოიპოვა მისგან დამოუკიდებლობა. ხსენებული საპატრიარქოს იბერიის ეკლესიაზე დადგინება, როგორც ჩანს, მხოლოდ ნომინალური და საპატიო იყო, რადგან კონსტანტინეპოლის ეკლესიამ ეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზნით გააკეთა და კიდევ იმის გამო, რომ იბერიაში ქრისტიანობა მისგან მიიღო, რაც მისთვის (ე. ი. კონსტანტინეპოლის ეკლესიისათვის – თ. მ.), გარკვეულწილად, დამამძიმებელია*“.²

ერთი სიტყვით, მთავარეპისკოპოსი კლუბაას მიაჩნია, რომ საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია კონსტანტინეპოლის ეკლესიისაგან მიიღო. შეგახსენებთ, რომ ეს არ არის მისი პირადი მოსაზრება, მან მხოლოდ იერუსალიმის ეკლესიის ოფიციალური თვალსაზრისი გაახმოვანა. ამის დასტურია თუნდაც პატრიარქების: დოსითეოსისა (1669-1707) და ქრისანთოსის (1707-1731) თხზულებები.³

სტატიის დასასრულს მთავარეპისკოპოსი ასახელებს იმ მონასტრებს, რომლებიც X, XI და XII საუკუნეებში იბერთა მონასტრებად მოიხსენიებოდა. ესენია: ლაზთა მონასტერი იერიქოში, სვეტისა, კაპათა, ორინი, დერტაფი, წმ. სამუელისა, იორდანესი, წმ. სიმეონისა, კოზმასი და დამიანესი, მღვიმისა და პატოისნისა ჯვარისა. იმასაც აღნიშნავს, რომ იბერიელებმა ძალიან ადრეულ წლებში დაიწყეს მოღვაწეობა წმ. საბას ლავრაში. გვაცნობს აგრეთვე იერუსალიმის ეკლესიაში დამკვიდრებულ გადმოცემას, რომლის თანახმადაც, ჯვრის მონასტერში დაცული ყოფილა ორი ხელნაწერი. მათგან ერთ-ერთი შეიცავდა ქართველთა წმინდა მიწაზე მოღვაწეობის ისტორიას, ხოლო მეორე – იქ არსებული მონასტრებისა. სინანულით აღნიშნავს, რომ: „*სამწუხაროდ, დღეს ამ თხზულებებს არავინ ახსენებს, რადგან, როგორც ჩანს, ხელნაწერები დაიკარგა*“.

ექსტრემალურ პირობებში მყოფმა იერუსალიმის საპატრიარქომ რომ თავის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში სამი სტატია მიუძღვნა ქართველთა წვლილს ქრისტიანული კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარებაში, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, ერთი მხრივ, ეს იყო პასუხი კირიონ II-ის მიერ გავზავნილ წერილზე, მეორე მხრივ კი, – გამოძახილი ტრაპიზონის მიტროპოლიტის, ქრისანთოსის, მოხსენებით ბარათზე, რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ ჟურნალი Νέα Σύν (ნეა

¹ Κλεόπα Κοικυλίδου, Ἀρχιεπισκόπου Διοκαιοσαρίας, Οἱ Ἰβηρες ἄς μονασταί ..., 128.

² Κλεόπα Κοικυλίδου, Οἱ Ἰβηρες ἄς μονασταί ..., 131.

³ Δοσιθέου, Πατριάρχου Ἱεροσολύμων, Ἱστορία περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχευσάντων, Ἐν Βουκουρεστίῳ, 1715, 509. Χρυσάνθου, Πατριάρχου Ἱεροσολύμων, Συνταγματίων, Ἐνετίῃσι, 1778, 96.

სიონ), რომელიც 1904 წლიდან ყოველ სამ თვეში გამოდიოდა, პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი ვითარების გამო, 1914 წლის ივლისიდან 1920 წლამდე აღარ გამოსულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, კირიონ II-მ, წერილები აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს გაუგზავნა. იმავე წლის ნოემბერში იერუსალიმის პატრიარქი, დამიანე, დამასკოში გადასახლეს, 1918 წლის 6 სექტემბერს კი გადაყენებულად გამოაცხადეს. გადასახლებაში იერუსალიმის პატრიარქს კირიონ II-ის წერილი მიღებული არც ექნებოდა. გადაყენებული პატრიარქი კი პასუხს ვერ დაწერდა. ვითარების გაუმჯობესებისა და ჟურნალის აღდგენისთანავე, იერუსალიმის საპატრიარქომ თავისი პოზიცია საქართველოს ეკლესიის მიმართ გამოხატა ზემოხსენებული სტატიებით, რომლებსაც, სამწუხაროდ, ქართული სამეცნიერო საზოგადოება დღემდე არ იცნობდა.

უეჭველია, რომ კლეოპას კიკელიდისმა ეს სტატიები იერუსალიმის პატრიარქის, დამიანეს დავალებით დაწერა. ამ აზრს გვიბეჯითებს ის გარემოება, რომ პატრიარქი დამიანე, ჯერ კიდევ არქიმანდრიტის ხარისხში მყოფი, ექვსი წლის განმავლობაში (1881-1887) იერუსალიმის მეტოქს განაგებდა საქართველოში. ამიტომ მას კარგად ეცოდინებოდა, როგორც საქართველოს ეკლესიის წარსული, ასევე ის გულისტკივილი, რაც ქართველ ხალხში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ გამოიწვია. მთავარი კი მაინც ისაა, რომ საქართველოში მყოფმა დამიანემ რუსული მმართველობის სისასტიკე საკუთარ თავზე იწვინა.¹

პირველი მსოფლიო ომისგან გაჩანაგებული, გაღატაკებული და უფლებააყრილი იერუსალიმის ეკლესია რუსეთის ეკლესიას აშკარად რომ ვერ დაუპირისპირდებოდა, ცხადია, რადგან მაშინ რუსეთს საკმაოდ მძლავრი პოზიცია ეჭირა მთელს აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებული სტატიებით, იერუსალიმის საპატრიარქომ თავისი პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით, ფრთხილად, მაგრამ მაინც გამოხატა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: 1917 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მცირე რეაგირება რომ არ მოჰყვა, ეს უნდა აიხსნას არა მთერ საქართველოს ეკლესიის იგნორირებით ან მისადმი უპატივცემულობით, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ისტორიული ქარტეზილებით.

¹ იმ დროს საქართველოში მეტოქები ჰქონდა აგრეთვე სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერს, ათონის მთის მონასტერს (ივერთა, წმ. ფილოთეოსისა და წმ. პანტელეიმონისა) და კვიპროსის კიკოს მონასტერს. 1873 წლის სექტემბერში რუსეთის მეფის, ალექსანდრე III-ის, განკარგულებით, ამ მონასტრების ქონების კონფისკაცია მოხდა. მართალია, ალექსანდრე III-ის ბრძანების საფუძველზე, 1881 წელს მონასტრებს ქონება დაუბრუნა, მაგრამ უმტკივნეულოდ არც ამ პროცესს ჩაუვლია. ახალ მეპატრონეებს ქონების დაბრუნება არ სურდათ. არქიმანდრიტი დამიანე საქართველოში სწორედ იმ დროს (1881-1887 წწ.) იმყოფებოდა. მეტოქის დასაბრუნებლად, არაერთი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა, Ἄθανάσιος Κυριακῆς, Ἀνέκδοτα ἔγγραφα τοῦ ἐν Γεωργίᾳ Μετοχίου τῆς Ἱερᾶς Μονῆς Κύκκου, Λευκοσία 1998, 22.

Tamar Meskhi

Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

**RESTORATION OF THE AUTOCEPHALY OF GEORGIAN CHURCH IN 1917 AND THE
POSITION OF JERUSALEM CHURCH
RESUME**

The leaders of Georgian Orthodox Church took the advantage of the governmental changes, occurred in Russia, and, on March 12 (25), 1917 restored the autocephaly of Georgian Church, which was uncanonically abolished by Russian Church. This significant event was communicated to the Orthodox Churches of the east (Constantinople, Alexandria, Antiochia, Jerusalem) in written by Cathoticos Patriarch of Georgia Kirion II in October, 1917 and requested their co-prayer and support. Georgian Church didn't receive the letters of response. For this reason, up to the present, it is the opinion of Georgian religious and scientific communities that restoration of autocephaly of Georgian Church wasn't recognized by any of the Orthodox Churches.

As a result of research it was found out that this opinion is not correct. In November 1919, on the order of Constantinople Church, Metropolitan of Trabzon Crysanthos (future Archbishop of Athens and Hellados in 1938-1940) visited Georgian Church. The Metropolitan learned the situation, existing in Georgian Church and presented report (it was printed in the magazine «Ἐκκλησιαστική Ἀλήθεια», 1/8/1920), to the Synod of Constantinople Church, by which he supported restoration of the autocephaly of Georgian Church. Unfortunately, Constantinople Church made no further effective steps, as it faced great danger itself as a result of the World War I.

The World War I posed problems to Jerusalem Church as well. In November 1917 Turks arrested the Patriarch of Jerusalem Damian and, together with the Synod members, exiled him to Damask. And the priests, remaining in Jerusalem, announced that the Patriarch resigned. In December 1918 Patriarch Damian managed to return to Jerusalem, but the tension in the church didn't reduce. Nevertheless, articles were published in the official press organ of Jerusalem Church *Νέα Σιών* (N 15, 1920 and N16, 1921) about the contribution of Georgians in development of Christian culture, and Georgian Church was again referred to as the oldest autocephalous church.

Thus, acknowledgement and recognition of the autocephaly of Georgian Church was delayed not for the reason of its (Georgian Church) ignoring, but due to the historical disturbances resulting from the World War I.

ნაქალაქარ „ზოვრეთის“ სახელწოდების ეტიმოლოგიის საკითხისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში „ზოვრეთის“ ეტიმოლოგიის და ადგილმდებარეობის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული. საკვლევი თემისთვის საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება: „ზოვრეთი ძველი ქალაქი ჩანს და არა გვაქვს საფუძველი მდინარე ძამის ხეობით მომავალ გზაზედ გამართული ეს მძოვრეთის საბაჟო აქ ნაგვიანებად გადმოტანილად ვივარაუდოთ.“ რაც შეეხება ტოპონიმ „ზოვრეთს“, ნ. ბერძენიშვილი მის წარმომავლობას ვარაუდობდა ზუერიდან, რაც ბაჟს ნიშნავდა. „საზუერე“ ამ ხეობაში X საუკუნეზე გაცილებით წინა დროის წარმონაქმნად მიაჩნდა, რადგან X საუკუნეში ტერმინი „ზუერი“ დიდი ხანია უკვე „ბაჟით“ იყო შეცვლილი. სულხან-საბას მიხედვით, „საბაჟო“, ბაჟთ ადგილია, ტვირთის ხარკია.

ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში „ზუერი“ ბაჟის, ხარკის, გადასახადის მნიშვნელობით მოიხსენიება, „მეუფეთა ქუეყანისათა, რომელთა გამოილიან ხარკი, ანუ ზუერიპმეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ ხარკსა, ანუ ზუერსა მათსა[მ.17.25. C] ¹ „საზუერე“ საბაჟე ადგილი ჩანს ამონარდში „იხილა კაცი რომელი ჯდა საზუერესა ზედა, მათეოს სახელი მისი“[მ.9.9], „იხილა მეზუერს, სახელით ლევი, მჯდომარს საზუერესა ზედა...“[ლ.5.27]² მათეს სახარებიდან „მრავალნი მეზუერელნი და ცოდვილნი თანა-სხდეს ინაჰით სახლსა შინა იესუს თანა“.[მ.9.10]³ ამ ამონარიდიდან მხოლოდ მეზუერელი არ უნდა იგულისხმებოდეს, რადგან ლუკას სახარების [მე-15.1.თავი] ძველ რედაქციაში ვკითხულობთ: „და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობლად მისა და ისმენდეს მისსა“. ახალ აღთქმაში უკვე ჩანს „მეზუერეს“ შენაცვლება მეზუერით: „მის გვერდით იყო ყველა მეზუერე და ცოდვილი და უსმენდა მას.“⁴

X საუკუნეში სრულიად მივიწყებული ტერმინის „მეზუერეს“ და ბაჟის მოხელეთა შორის განსხვავებული მნიშვნელობა მოჩანს არა მარტო ფსალმუნის ამონარიდიდან: „უზოვრიდეს იგინი ეშმაკთა და არა შეწირვიდეს ღმრთისა“ (ფს.217) არამედ ქართლის ცხოვრებიდან წმინდა ანდრია მოციქულის აწყვერში მოსვლისას „...აქვე დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენგორა... იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზოვრიდეს კერპთა ყრუთა.“⁵

აღნიშნული ცნობა მრავალმხრივ საყურადღებოა ჩვენი საკვლევი საკითხისათვის. მან გავვიჩინა ლოგიკური კითხვა, ხომ არ იყო საძიებელი მისი ფესვები წარმართობაში?

ამ მხრივ საინტერესო აღმოჩნდა ნ. ბერძენიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების არგუმენტი: „იოანე ბოლნელის ქადაგებიდან, კარგად ჩანს, რომ მრევლს აღარ ესმის უძველესი ტერმინები და იძულებული გამხდარა, ოთხთავიდან მოყვანილი ადგილები მეზუერე და საზუერე განუმარტოს; მეზოვრს იგი არს მეზუერე, ხოლო საზოვრს იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჟსა ოვეოფედ“[იყოფენ მ.მ].⁶

¹ ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, რედაქტორი ა. შანიძე, თბ., 1948, გვ.212;

² იქვე, გვ.505;

³ ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ.284;

⁴ იქვე, გვ. 501;

<http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/akhali/luka/luka-15.htm>

⁵ ქართლის ცხოვრება I, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955; ტ. I, გვ.39;

⁶ იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, X საუკუნის ხელნაწერებიდან, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 14, ტფ., 1911, გვ. 9; შდრ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები I, თბ., 1964, გვ. 192-193;

X საუკუნეში სრულიად მივიწყებული ტერმინების შენაცვლება როდის და რა ნიადაგზე მოხდა, იყო თუ არა რაიმე განსხვავება X საუკუნემდე „ზუერსა“ და „ბაჟს“ შორის, მკვლევარი მეტად საინტერესო და სამომავლო დაკვირვების საკითხად თვლიდა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე ისტორიოგრაფიაში ისტორიკოსთა შემდგომი კვლევა ამაზე შორს აღარ წასულა და საკითხით აღარავინ დაინტერესებულა.

ქადაგებიდან ამონარიდი მიგვანიშნებს მძოვრეთის საზუერე ადგილის წარმომავლობას და გავრცელებას წარმართობიდან. სწორედ ამ განმარტებას მოჰყვა ლოგიკური კითხვები: 1. თუ ამ ტერმინების თავდაპირველი, უძველესი მნიშვნელობა არ შეცვლილა და უცვლელად მოაღწია X საუკუნემდე, მაშინ რატომ დაივიწყებდა მრევლი საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ მათთვის „ძირძველ“ ტერმინებს?

2. რა საჭიროებამ მოიტანა მრევლისთვის ამგვარი განმარტების აუცილებლობა და ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რატომ ანიჭებდა მრევლისთვის მის ცოდნას? - ამ კითხვების პასუხებზე ერთგვარ მინიშნებას იძლევა თავად იოანე ბოლნელის ქადაგებიდან ცალკე თავად გამოყოფილი საკითხავი, რაც, თავის მხრივ, არ უნდა იყოს შემთხვევითი: „სხ~რბად ლ~კის (ლუკაის) თავისად ფარისეველისა მისთვის და მეზოჯერისა: ხ~ძვ~ხრსა ჟამსა თქემ~ლი იოვ~ნც ბოლნელ ეპსკ~პისადა ფარისეველისა მისთვის და მეზოჯერისა და საკითხავი ესე.“¹ ქადაგების ამ საკითხავში ვკითხულობთ საინტერესო ფრაზას, „და გეტყვ თქ~ნ საყოჯარელნო იხილეთდა რავდენსა მადლსა მიემთხუ მეზოჯერც იგი(და) რავდენსა მოტევებასა ცოდვათასა გარდამოვიდოდა იგი მიერ ტაძრით განმართლებოვლი დიდითა მით სიმდაბლითა თუსითა ღაღადებდა და იტყოდა კეთილ არს ჩემდა ო~ო რ~ დამამდაბლე მე რ~ა ვისწავლნე მე სიმართლები შენნი ...შევიყოჯარნეთ საქმენი იგი და სიტყოვანი მეზოჯერისანი და მისთანა ვილოცვიდეთ.“² საკითხავი განკუთვნილი „ფარისეველისა მისთვის და მეზოჯერისა“, რა თქმა უნდა, სცილდება ქრისტიანობაზე მოქცეულ მხოლოდ ე.წ. ბაჟის მოხელეებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას. აშკარად ჩანს, ადგილობრივი წარმართობის დროინდელი წმინდა საკულტო ადგილთა თაყვანისცემა, კრძალვა და ხსოვნა გაქრისტიანებულ „მეზოჯერსთ“ კვლავაც შემორჩენიათ, „მსგავსად ფარისეველთა“.

ქადაგებიდან სათანადო პასაჟი სხვაგვარი გაგების შესაძლებლობას იძლევა. ისმის ყრუ გამოძახილი, რომ ქრისტიანობას ადვილად არ გაუკვალავს გზა, რომ ეს იყო რთული, ხანგრძლივი და მრავალსაუკუნოვანი პროცესი. ამის დასტურად ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ჯერ კიდევ ჰერაკლე კეისარს, ქართლში (628წ.) დიდი სისასტიკე გამოუჩენია წარმართებისა და ცეცხლთაყვანისმცემელთა მიმართ. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, კეისარმა, „ტფილისს და მცხეთას და უჟარმოს მან განავლინა ქადაგნი, რადთა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა შემოკრბენ და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მონათლნენ ანუ მოისრნენ. ხოლო მათ ნათლის-ღებაჲ არა ინებეს, ზაკუვით თანა-აღერინეს ქრისტიანეთა, ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიდეს, ხოლო ჰერაკლე განწმინდა შჯული ქრისტესი და წავიდა.“³ ე. ი. იგივე გაიმეორა ქართლში, რაც იერუსალიმში 614 წელს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სპარსეთის და პროირანული მონოფიზიტების განადგურების შემდეგ იერუსალიმში წმინდა მიწაზე არსებული ქართული სიწმინდეებისადმი ყურადღება გამოუჩენია და ჯვრის მონასტერი აღუდგენია. ამის შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ე. მამისთვალიშვილს,⁴ იერუსალიმის ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგების, ბიზანტიური და სხვა ევროპული წყაროების გათვალისწინებით.

¹ იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის, ქადაგებანი (მე-X საუკუნის ხელნაწერებიდან), საეკლესიო მუზეუმის გამოცემა №14, ტფ., 1911, გვ. 47;

² იქვე გვ. 55-56;

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, თბ., 1963, გვ. 96; http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moqceva.pdf

⁴ ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016, გვ. 80-88;

ზემოაღნიშნულ კითხვას რომ დაეუბრუნდეთ, იოანე ბოლნელის ქადაგებიდან (Xს.) აშკარად ჩანს მცდელობა ჯერ კიდევ წარმართობისდროინდელი წმინდა წარმართული საკულტო რელიგიური ადგილის - „საზუერის“ თავყვანისმცემელთათვის, ქრისტიანობაზე მოქცეულ „მეზოკერწმ“ როგორმე წარმართული წმინდა საკულტო ადგილი საბუდამოდ დაევიწყებინათ ან „ჩაენაცვლებინათ“ ქადაგებისას ხშირი განმარტებით, რომ „მეზოკერწმ არს მებაჟე... საზოკერწმ მხოლოდ საბაჟო.“

საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, დაუბრუნდეთ ცალკეული ტერმინის ანალიზს. ტერმინ „საზორველის“ შესახებ საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის განმარტება: „იმ ადგილს ანდა ნაგებობას, თუ ნაგებობის ნაწილს, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ ღვთაებას, ეს სახელი საზორველი ერქვა.“¹ თითქმის ასეთივე მნიშვნელობით მოიხსენიება „საზორველი“ ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონის მიხედვით, „შესაწირავი მიუზლიოს ეშმაკთა სახე ძუელისა მის საზორველისა დამკობისა.“²

„საზუერეს“ ანალიზისთვის საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის წარმართულ საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინის, „ბაგინის“ და „საზორველის“ გარკვევა.³ შატბერდისეულ „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით, ბაგინი ებრაელთა სამლოცველოს, შესაკრებელს ნიშნავდა: „კარსა მოგუეთისასა მტკუარსა ზედა, სადაც ელიოზის სახლი იდგა, იმის მანლობლად „იყო მცირედ ბაგინი სამარხოდ“. იქვე მეცნიერი მიანიშნებს: „უძველეს და ამ ხანის ძეგლებშიც ბაგინი, საერთოდ წარმართების, არაქრისტიანების სამლოცველოს ნიშნავდა, მაგრამ უძველეს ძეგლებში, რომლებიც, როგორც ჩანს, V-VI ს-ისა უნდა იყოს, ხანმეტობის ძეგლებში, ბაგინი ეკლესიას ნიშნავდა ე. ი. სამლოცველოს აღმნიშვნელიც იყო.“ აქვე მეცნიერი განმარტავს, რომ „ძველადვე ბაგინი მეორე ტერმინის, საკერპოს შესატყვისადაც იყო ნახმარი, ე. ი. იმ სამლოცველოსი, რომელშიც წარმართული კერპები იყო დადგმულნი და სადაც თავყვანს სცემდნენ კერპებს.“⁴

საკერპო ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „კერპთა ტადარი „საზორველი“ ქანდაკებულნი.“⁵ საკერპო და ბაგინი ივ. ჯავახიშვილს სინონიმებად მიაჩნდა და გვთავაზობს ამონარიდს ფილექტიმონის წამებიდან: „მიიწია მეფე იგი ტადარსა მას კერპთასა, რქუა წდასა მას: ჰხედავა, ვითარ -ესე... განჩინებულ არს, რამეთუ ღიღებულსა ამას ღმერთსა აპოლონს წეს-არს თავყუანის-ცემად. ესე ვითარცა თქუა, უბრძანა მეფემან ან მეკერპეთა მათ განღებად კართა მათ ბაგინისათა და განახუნეს...“ ამონარიდიდან აშკარაა აპოლონისადმი განკუთვნილი სამლოცველო, რომელსაც ტადარი ეწოდება, ამავე დროს საკერპოდ არის წოდებული და ბაგინადაც.⁶

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ მეცნიერ კაცთა მიერ ჩანართში, წმინდა მოციქულის (ანდრია პირველწოდებული მ.მ.) აწყვრში მოსვლისას მოიხსენიება საკერპო ტადარი: „იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ“... ხოლო რომელნიმე იტყოდეს ვითარმედ, აპოლონ და არტემიდე არიან ღიღნი ღმერთნი და იყო ცილობა და შფოთი“.⁷ ამდენად, იბერიის სამეფოს ამ ნაწილში დამკვიდრე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 72-73;

² ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნაკვ. III, რედაქტორები: ნ. გოგუაძე, ზ. სარჯველაძე და მ. შანიძე, თბ., 2014, გვ. 10;

³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 72-73;

⁴ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ.73;

⁵ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 359;

⁶ კ. კეკელიძის, კიმენი, I, ტფ., 1918, გვ. 133-160

⁷ ქართლის ცხოვრება I, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955; ტ. I, გვ. 4;

ბული ჩანს ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებები, მათ სახელზე ნაგებია ტაძარი და სრულდება წარმართული კულტმსახურება.

რაც შეეხება „საზუერეს“ და „ზორვეთის“ წარმომავლობის ადგილმდებარეობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა ს. ჯანაშიას. მეცნიერი საზუერეში გეოგრაფიულ ადგილს ხედავდა და „საზუერეს“ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფ. ალის მიდამოებში ვარაუდობდა. ნ. ბერძენიშვილი ეთანხმებოდა ჯანაშიას მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ ტერმინს „საზუერე“ (თუ „საზუერეთი“) საბაჟო დაწესებულების სახელიდან წარმომდგარ გეოგრაფიულ სახელად თვლიდა, მაგრამ, განსხვავებით ს. ჯანაშიასგან, „საზუერეს“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მიაწინებდა.¹ სწორედ ნ. ბერძენიშვილის მიერ პირველად დაისვა კითხვა, მძოვრეთი (ზოვრეთი) იმავე ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვა ზომ არ იყო, საიდანაც „საზუერე“. ჯ. გვასალია ზოვრეთის დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევს მძოვრეთს.²

კ. ხარაძის ვარაუდით მძოვრეთი უნდა წარმოშობილიყო სიტყვიდან „მძოვარი“ რაც მისივე განმარტებით ნიშნავს მეუღაბნობას. იქვე დასძენდა, რომ „ზოვრა“ ზუერიდან (საბაჟოდან) უნდა მომდინარეობდეს.³ საეკლესიო სანაოსნო გზის სიახლოვეს მდებარე, ყოველთვის ხმაურიანი და ხალხმრავლობით გამორჩეული ძამას მდიდარი ხეობა და უძველესი ქალაქი, შინაარსობლივად ძნელია დაუკავშიროთ მეუღაბნობას.

რაც შეეხება ტერმინს „ზორვა“, ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „მსხვერპლი“, „შეწირვა“, „გება“,⁴ ე. ი. მსახურება, მსხვერპლის მიტანა, რაც ღვთაებათა სახელზე მსხვერპლის შეწირვას გულისხმობს.

ამდენად, წარმართულ სარიტუალო ადგილის აღმნიშვნელი „საზორველი“, „ზორვა“ და „საზუერე“ - ტერმინების იდენტური შინაარსი აშკარაა. წარმართული რელიგიის კულტმსახურებასა და, კერძოდ, კერპის წინაშე მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებულ ტერმინს, „ზორვას“ - ამ მნიშვნელობით იყენებს ლეონტი მროველი არმაზის დღესასწაულის აღწერისას: „მაშინ დღესა ერთსა აღიდრნეს ერნი დიდნი მით ქალაქით, წარმავალნი დიდად ქალაქად სამეფოდ, მცხეთად, მოვაჭრებად საკმართა რათამე და ზორვად წინაშე არმაზ ღმრთისა მათისა, და წარჰყვა წმიდა იგი მათ თანა. ხოლო ვითარ-იგი მიიწივნეს ქალაქად მცხეთად, წიად მოგუთასა კიდსა ზედა, და დადგეს მუნ. და ხედვიდა წმიდა ნინო ცეცხლის მსახურთა მათ ერთა მოგუებასა, და იგლოვებდა უცხოებასა თვისსა“.⁵ ამონარიდი ასევე ნათლად მიაწინებს სამეფო ხელი-სუფლების დამოკიდებულებას წარმართობის მიმართ, „შემკობა კერპთა და ბომონთა“, ქურუმთა „კეთილად პყრობა“ და „ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს მსახურება კერპთა“.

მ. ანდრონიკაშვილი მას ირანულ წარმოშობის სახელად თვლის. საშუალო სპარსულის მიხედვით - Zohr „მსხვერპლი“, შესაწირავი, ძღვენი, სამსხვერპლო სასმელს ნიშნავს, რომელიც თავისთავად მომდინარეობს ავესტური სიტყვიდან.⁶ „ზორვა“ (მისივე განმარტებით „მსხვერპლის შეწირვა წარმართულ ღვთაებათა და კერპთა მიმართ“).

სულხან-საბა თვლიდა წარმართული სამლოცველოს არსებობას, საკერპო ადგილს. მისი განმარტებით: „ზორვა ესე არს კერპთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხვერპლი. ზორვა არს საკმეველთა დაკმევა, გინა თაყვანი, გინა შეწირვა მსხვერპლთა კერპთა მიმართ. ზორვა არს შეწირვა, გინა თაყვანისცემა კერპთა. ზორვა არს კერპის თაყვანის-ცემა და შესაწირავი.“⁷ ხოლო

¹ ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისათვის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, ტ. I, გვ. 189;

² ჯ. გვასალია, ღმოსავლეთ საქართველოს, ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 983, გვ. 152-153;

³ ხარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 64;

⁴ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ., 168;

⁵ ქართლის ცხოვრება I, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955; ტ. I, გვ. 88;

⁶ მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 34, 242-244;

⁷ სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. I, თბ., 1966, გვ. 286;

„საზორავი დასაწველია“. „მსხვერპლშეწირვაზე“, ძველი ებრაული და წარმართთა შეხედულებით, სამსხვერპლოსთან ცხოველს კლავდნენ, გარკვეული ნაწილები კი უნდა შეწირულიყო ღვთაებისადმი და ისინი უნდა დაეწვათ. პროფ. ი. გაგოშიძე საუბრობს ანაჰიტასადმი ცხოველთა მსხვერპლად შეწირვის შესაძლებლობაზე, თუმცა იმომბედას რ. გირშმანის მოსაზრებას ზოროასტრიზმთან დიდ, სისხლიან მსხვერპლშეწირვის შეუთავსებლობაზე.¹

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, „ზოვრეთის“ ეტიმოლოგია „ზორვ“ ფუძის ბგერათა მონაცვლეობით უნდა იყოს მიღებული. მაშინ გამოდის, წარმართობიდან მომდინარე წმინდა სატაძრო-სარიტუალო ადგილის „საზორველის“ სახელი თანდათან და ბუნებრივად დაუმკვიდრდა თავდაპირველად სატაძრო-სარიტუალო ადგილს, ხოლო მოგვიანებით, II-III საუკუნეების გვიანტიკურ ქალაქს „საზურე“ ადგილის მიხედვით - „ზოვრეთი“ (მძოვრეთი“).

„ზოვრეთი“, „ზორვა“ ფუძის მქონე სახელი ფართოდ დამკვიდრებული ჩანს ქართულ ტოპონიმიკაში და მხოლოდ ძამის ხეობის ლოკალურ, სარიტუალო ადგილს არ მოიცავს. იგი გვხვდება ზემო იმერეთში, ქვემო სახანოს თემში - სოფ. ზორვეთი, სკანდა - შორაპნის სასაზღვრო ხაზთან, გუჯარეთისა და ალის ხეობაში, კლარჯეთში - ქალაქ სათლეს მახლობლად (ჩრდილო - დასავლეთით), საბარათიანოში - ქალაქ სამშვილდის მახლობლად და კახეთში - ნეკრესთან („ნაზვრევი გორა“). ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით² „ნაზვრევი“ „ზორვიდან“ არის მიღებული და ირანული მეტყველებიდან შემოსულად მიიჩნევა, რომელიც შემოჰყვა ირანიდან ცეცხლის რელიგიას, მაზდეანობას (ძვ.წ. II ს.) და მიანიშნებდა წარმართული სამლოცველოს არსებობას, რაც დადასტურა არქეოლოგიურმა გათხრებმა.

თუ დაუკვირდებით „საზურე“ ადგილები ქალაქების ცენტრში კი არა, მის სიახლოვეს ხალხმრავალ უბანთან, სასაზღვრო ხაზთან ან სავაჭრო სტრატეგიული მნიშვნელობის გზასაყართან მოჩანს. შესაბამისად, ძამის ხეობის „საზურე“ ადგილი გვერძინეთ-ციხისგვერდთან შიდა ქართლში შემომავალ გზასაყართან არის სავარაუდებელი. რა გვადლევს ამ ჰიპოთეზური ხასიათის მოსაზრების უფლებას, მაშინ როცა არ ჩატარებულა არქეოლოგიური გათხრები, ერთი შეხედვით, არ დასტურდება პირდაპირი წერილობითი წყაროებით, მაგრამ იმავდროულად არ არსებობს არავითარი პირდაპირი ცნობები და მტკიცებულებანი, რომლებიც გამორიცხავენ ჩვენს მოსაზრებას? ამასთან მეცნიერული კვლევებით გამოვლენილი იქნა იბერიის ანტიკური პერიოდის სატაძრო არქიტექტურის ძეგლები, მდიდარი სამარხეული ინვენტარით, რომლებიც საინტერესო სიახლეს გვთავაზობენ რელიგიურ ცენტრებსა და რელიგიურ დღესასწაულებზე მათ შორის ცეცხლის ტაძრებზე, რომლებიც ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია.

ზემოაღნიშნული არმაზობის დღესასწაულის მსგავსად, სატაძრო-საკულტო ადგილი წარმართული რელიგიური დღესასწაულებისთვის მძოვრეთის სიახლოვეს საიმედოდ დაცული ადგილი იქნებოდა შერჩეული, ხალხმრავალი ბაზრობით, რომლებიც „საქვეყნო“ ვაჭრობაში ვაჭარმოქარავნებსაც მოიზიდავდა. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის ასეთი ცენტრი ძამის ხეობის ზემო წელზე საერთაშორისო სატრანზიტო სავაჭრო მაგისტრალის გზასაყართან, ადმინისტრაციული და საბაჟო დანიშნულების თავდაცვითი ნაგებობით, ხალხმრავლობით და გეოგრაფიული მდებარეობით გამორჩეულ, თრიალეთის ქედის ციცაბო ფერდობზე მდებარე ციხისგვერდთან უნდა ყოფილიყო, მსგავსად მცხეთის არმაზციხისა: „...კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სილოდობითა.“³ ამაზე მიანიშნებს ციხისგვერდიდან გუჯარეთის ხეობამდე უძველეს ნაგებობათა ნანგრევების

¹ Гагошидзе Ю. М. Из истории грузино-иранских взаимоотношений (храм II-Ивв. до н. е. Дедоплис Мидори. В кн: Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье. Москва, 1981. С. 102-115; Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983. С. 1-12;

² ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000, გვ. 47;

³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოს. საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 143;

ფრაგმენტები, რომელთა შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემუსვრილნი.“¹

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საზორველი“ ამ მიკრომხარის და ქალაქის მთავარი წარმართული სატაძრო-საკულტო ნაგებობებით გამორჩეული ადგილი იქნებოდა, საკულტო-ცერემონიალური სივრცეებით, წარმართული სატაძრო კომპლექსის არქიტექტურულ-დეკორატიული განსხვავებული ფორმებით, მათ შორის ცეცხლის ტაძრით.

მძოვრეთის სიახლოვეს, ურბნისის ცეცხლთაყვანისმცემლების შესახებ საინტერესოდ აღწერს მემატეანე. ქართლში შემოსულმა ნინომ, „მიიწია სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა მას, რომელსა ეწოდების ურბნისი, სადაცა იგი იხილა ერი უცხოთა თესლთა ღმერთთა მსახური; რამეთუ ცეცხლსა, ქვათა და ძელთა ღმერთად თაყვანის-ცემდეს, რომლისათვისცა შეეურვა სულსა ამის წმიდისასა და შევიდა ბაგინსა ჰურიათასა ენისათვის ებრაულისა, და დაყო მუნ თუე ერთი, და განიცდიდა ძალსა ამის ქუეყანისასა.“²

დელოფლის მინდვრის კვლევებიდან გამომდინარე, გრანდიოზული მასშტაბის წარმართული სატაძრო კომპლექსი, რომლის მთავარი მიზანი ქართლის სამეფო სახლის საკუთარი საგვარეულო კულტის დამკვიდრება უთუოდ იქნებოდა, ამასთან ამ მიკრომხარის (დელოფლის მინდორი, ურბნისი, ზღუდერი) არქეოლოგიური არტეფაქტების მსგავსება, საკმაო არგუმენტებია ვივარაუდოთ მძოვრეთის ამ უბანში კერპთაყვანისმცემელ სატაძრო-საკულტო „საზორველის“, გვერდით ცეცხლის ტაძრის არსებობა, რადგან ერთი ღმერთის რწმენა მეორეს არ გამორიცხავდა. შესაძლოა, ცეცხლის მიმართ თაყვანისცემაზე მიანიშნებდეს ზღუდერის სამარხებში აღმოჩენილი, მრვალმხრივი ფუნქციის და ფორმის მქონე სანათების და საცეცხლურების სიმრავლე სამივე მდიდრულ სარკოფაგში.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრების გათვალისწინებით, შესაძლოა, მართლაც „იბერიაში სპარსული მაზდეანობა ადგილობრივი კულტურის ნიადაგზე შეცვლილი სახით არსებობდა“,³ როგორც ზოროასტრული რელიგიის რემინისცენცია, ქართულ ნიადაგზე მოდიფიცირებული სახით.

ამავე პერიოდის იბერიაში არსებული ცეცხლის ტაძრების სიმრავლე ჩანს დელოფლის მინდორზე,⁴ ციხიაგორაზე (სოფ. კავთისხევის ჩრდ. გარეუბანთან),⁵ ნეკრესში,⁶ ღართისკარში მცხეთის ჩრდ. გარეუბანში - სამადლოს მიწების ტაძარი,⁷ ნასტაკისი, უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზი.⁸

მკვლევარები: ი. გაგოშიძე, თ. დუნდუა, გ. ყიფიანი ნ. სილაგაძე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქრისტიანულ მარტირიუმებსა და წარმართულ სამლოცველოებს შორის აშკარა კავშირს ხედავენ.

რაც შეეხება ქალაქის წარმართულ სატაძრო-საკულტო რიტუალის მსვლელობას, მძოვრეთზე წერილობითი წყაროების არ არსებობის. ამის მიუხედავად, მასზე წარმოდგენას გვიქმნის

¹ იქვე, გვ. 59;

² ქართლის ცხოვრება I, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, ტ. I გვ. 87;

³ ივ. ჯავახიშვილი თხზულებანი 12 ტომად ტ. 1, თბ., 1979, გვ. 145;

⁴ Gagoshidze J. M., 'The Temples at Dedoplis Mindori', East and West, 1992, vol. 42, pt. 1, pp. 27-48;

⁵ ი. გაგოშიძე, გ. ყიფიანი, სვეტი კავთისხევის ციხიაგორიდან, ძეგლის მეგობარი, თბ., 1987, №3 (98), გვ. 8-11; გ. ყიფიანი, კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000, გვ. 39;

⁶ ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000, გვ. 47;

⁷ გ. ნარიანიშვილი, კ. ხიმშიაშვილი, იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1993, №1, გვ. 13-42; წარმართული ტაძარი დელოფლის მინდორზე (ქარელის რაიონი), ძეგლის მეგობარი, თბ., 1974, №35;

⁸ ი. გაგოშიძე, წარმართული ტაძარი დელოფლის მინდორზე (ქარელის რაიონი), ძეგლის მეგობარი, თბ., 1974, №35; გვ. 38; Gagoshidze J. M., 'The Temples at Dedoplis Mindori', East and West, 1992, vol. 42, pt. 1, pp. 27-48; შდრ. კლაუს შიპმანი დელოფლის მინდორის ცეცხლის ტაძრის შესახებ, http://www.cias-soas.co.uk/fire_temple.htm;

მცხეთაში წარმართი მოსახლეობის არმაზობის დღესასწაული: „კვალად უწყოდინ დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თვთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკლადაბითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა შესწირვიდიან ძროხათა, ჯართა ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს და შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერკისითა, პირობითა სახიობითა და ძნობითა სამდღე და მოიქციან თვსთვსად სახით.“

სტრაბონის ზოგადი ცნობის მიხედვით: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებითაც, ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო [დაწესებულებანი]. ამ ცნობის მიუხედავად, დიდხანს ითვლებოდა ჭეშმარიტებად, რომ წარმართული საქართველო არ იცნობდა სპეციალურ საკულტო ნაგებობებს. დედოფლის მინდვრის გრანდიოზული მასშტაბის წარმართული სატაძრო კომპლექსის აღმოჩენის მეცნიერული მნიშვნელობა ამ მხრივაც განუზომელად დიდია ჩვენი საკვლევი თემისთვის. ამ აღმოჩენამ შეცვალა თვალსაზრისი, თითქოს მონუმენტური სატაძრო ნაგებობების შექმნა¹ საქართველოში პირველად ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდებოდა. ვითვალისწინებთ რა სტრაბონის ცნობებს, წერილობით წყაროებს, ზემოაღნიშნულ ფილექტიმონის წამებიდან ამონარიდს: „ჰხედავა, ვითარ - ესე პირად-პირად გამოწერილ და აღმკულ არიან შშნებული ესე და ფოლოცნი ესე მარმარინოფენილნი, სუეტნი და სუეტის-თავნი ოქროცხებულნი და ყოვლად ქმნული ესე სანატრელ არს აწ. ტადარი-და ესე ესრწთ შუენიერ არს ხილვად. განჩინებულ არს, რამეთუ დიდებულსა ამას ღმერთსა აპოლონს წეს-არს თაყვანის-ცემაჲ,“ გარეუბნის რეკონსტრუქცია წარმოგვიდგება ხუროთმოძღვრების რიგზე გაწყობილი საერო და სარიტუალო მდიდრულ ნაგებობათა კომპლექსებით, ხმაურიანი სავაჭრო ადგილებით, ქულბაქებით, ფუნდუკები მგზავრთათვის და საზუერე (საბაჟო) ადგილით ვაჭარ-მოქარავენთათვის. ციხისგვერდთან შემადლებულ ფერდობზე, მთავარ საკულტო-სარიტუალო ადგილებთან კეთილმოწყობილი, ქვით მოკირწლული მისასვლელი გზებით, მსგავსად იმ წესისა, როგორც იყო ელინისტური ხანის ქალაქებში. სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო გზის მძოვრეთის მონაკვეთზე მდებარე, ასეთ თვალშისაცემ მდიდრულ და „კეთილნამენ“, გამორჩეულ სატაძრო-საკულტო უბანს (ქორდითირი-კოსხევი - გვერდისძირი) შეეძლო მიეპყრო „სომხური გეოგრაფის“, ანონიმი ავტორის განსაკუთრებული ყურადღება. ანონიმი მემატიანის საყურადღებო ცნობით და ჩვენეული ინტერპრეტაციით, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მის მიერ დასახლებული ქალაქების: თბილისი, სამშვილდე, მცხეთის სატაძრო-საკულტო უბნებს სავარაუდოდ გვერდისძირი დიდად არ ჩამორჩებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ქრისტიანობამდელი ეპოქის მნიშვნელოვანი წარმართული ცენტრების სიმრავლე აქ ჩაანაცვლეს ადრექრისტიანული ეკლესიებით და სხვა სიწმინდეებით.

ქრისტიანობის გავრცელებისთანავე წარმართულ და მაზდეანური სამლოცველოების ნგრევის დიდ მასშტაბებს ადასტურებს 1408 წლის მცხეთის სიგელი, სადაც ვკითხულობთ: „რომლისა მიერ: [ო]დეს: და: დაეცნეს: და: შეიმუსრნეს: განიგნივნეს: და :გა-ყოველნი: სადაგელნი: და: ბილწნი: კერპნი: არმაზისნი: და: მოოკრდა: ყოველი: შენე[ბულება:] მათი: და: დაკრცეს: და: იავარ: ქმნეს: ყოველნი: ბომონნი: ბაგინნი: საზორველნი: და: მსახურებელნი: მათნი: და: აღეშნეს: მათ: წილ: სახლნი: ღთისანი: ტადარნი: დიდებისანი: და: საყდარნი: სამეუფონი...“² უკანასკნელი ფრაზის, „და: აღეშნეს: მათ: წილ: სახლნი: ღთისანი: ტადარნი: დიდებისანი: და: საყდარნი: სამეუფონი“ მიანიშნებს წარმართული ტაძრების ნანგრევებზე, გამარჯვებული რელიგიის ტრიუმფის ნიშნად, შედარებით შთამბეჭდავი და უფრო მასშტაბური სივრცის ქრისტიანული „საყდარნი სამეუფონი“ აშენდებოდა. ამ პროცესზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილი: „

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, გვ. 127;

² ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913, გვ. 6;

კვალად არიან გორა მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ზვდებიან კაცნი, თჳნიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთჳს, რამეთუ, ვინათგან, კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სილოდობითა, და ქრისტიანობასა შინა შემუსრეს კერპნი, არამედ კვალად არა დასცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სილოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი, რათა თაყვანისცენ ამათ და არღარა მოიხსენონ სილოდა-განცხრომითა.¹

ნეკრესში ყველაზე გამოკვეთილად გამოვლინდა წარმართობა-ცეცხლთაყვანისმცემლობას და ქრისტიანობას შორის არსებული მძაფრი ბრძოლის შედეგები. არქეოლოგიური ექსპედიციის საკვლე სამუშაოები, უძველესი წარწერები ადასტურებენ ნგრევისა და სისასტიკის კვალს და თვალნათლად მიაჩნებენ, როგორ იქცა ნეკრესი IV საუკუნიდან ქრისტიანობის მძლავრ კერად და, იმავდროულად, ცნობილი გახდა წინაქრისტიანული ხანის დიდი კულტურა.²

საზოგადოდ, ყოფილ წარმართულ სალოცავზე ეკლესიის აგების პრაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა ქვეყნის ყველა მხარეში, რომლის კვალი და გავლენა ნათლად ჩანს წინაქრისტიანულ საქართველოში. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ მეცნიერ კაცთა მიერ ჩართულ დამატებაში ვკითხულობთ: აწყვერს მოსული წმინდა მოციქული (ანდრია პირველწოდებული – მ.მ.) წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი... სადა იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწ ძველ-ეკკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი“³

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმართული ნაგებობების ნგრევა და მათ ადგილზე ქრისტიანული საკულტო ნაგებობათა ინტენსიური მშენებლობა დაიწყო მძოვრეთშიც. ახალი მონოთეისტური რელიგიის დამკვიდრებას მართლაც რთული კულტურულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა. ასევე მხედველობაშია მისაღები ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მათ შორის დასავლური ორიენტაცია.

სწორი უნდა იყოს, ჩვენი ვარაუდი, რომ ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრებასა და ახალ საწარმოო ურთიერთობის გამარჯვებასთან ერთად, ძამის ხეობის „საზორველის“ ნგრევამ წარმართული წმინდა სარიტუალო მნიშვნელობის სატაძრო-საკულტო ადგილს წარმართული რელიგიური საბურველი შემოაცალა, „საკრალური იდუმალებით შეინიღა“ და მხოლოდ საბაჟო („საზუერე“) ადგილის მნიშვნელობა „შეიძინა“. ამ დროს ხდება „საბაჟოს“ ჩანაცვლება „საზუერესთან“, სწორედ ეს მიზანი ჰქონდა დაკისრებული ამ ტერმინების შენაცვლებას. ე.ი. ძველი წარმართული „საზორველი“ გადაიქცა ადრეფეოდალური ხანის საზუერე დაწესებულებად, მხოლოდ ზოვრეთის საბაჟოდ, თუმცა ამ წმინდა ადგილის ხსოვნა ადგილობრივ მოსახლეობის ცნობიერებიდან ქრისტიანობამ ადვილად ვერ წაშალა.

საზუერეს ღვთისმშობლის სიწმინდის არსებობა და გავლენიან საგვარეულოთა შთამომავლობაში გავრცელებული სახელი, „საზვერელი“ სხვა არაფერზე მიგვანიშნებს თუ არა საკულტო წმინდა ადგილის „საზვერეს“ ხსოვნის საპატივსაცემო სახელად.⁴

„საზორველის“ ადგილის ერთ-ერთ ნაშთზე, შესაძლოა, მიაჩნებდეს გვერძინეთის სიახლოვეს მდ. ძამის მარჯვენა მხარეს, ტყით დაფარულ, ოდნავ შემადლებულ გორაკზე, სრულიად განსხვავებული ფორმის ქვითკირის შენობის ნანგრევი, კედლები სიმაღლით 1 მ. სიგრძით-6,4 მ, სიგანით-4,8 მ. შენობას ეკლესიის ფორმა ნამდვილად არა აქვს, არც კედლების მოყვანილობით.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 143;

² ლ. ჭილაშვილი, ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, თბ., 2000, გვ. 47; ჭილაშვილი ლ., ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 2004;

³ ქართლის ცხოვრება I, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955; ტ. I გვ. 39;

⁴ სცსსა, ფ. 1448 აღწერა 1, საქმე, 5041; სცსსა, 1450 აღწ. 1 საქმე 1, საბ. 101; სცსსა, ფ. 1449, საქმე, 1640; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 213;

კარი სამხრეთით უნდა ჰქონოდა. მას ადგილობრივი მაცხოვრებლები მიქელ-გაბრიელის ეკლესი-
ად მოიხსენიებენ. გ. ბოჭორიძე ადგილზე მონახულების შემდეგ თავის წიგნში მას „რალაც“ შე-
ნობის ნანგრევად მოიხსენიებს, რომელსაც მოყვანილობა უბრალო ოთახის ჰქონდა და არა ეკ-
ლესიისა.¹

საკმაო საფუძვლიანობით შეგვიძლია ვივარაუდოთ წარმართობისდროინდელი წმინდა სარი-
ტუალო „საზორველის“ ამ ერთ-ერთმა ნაშთმა, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მხოლოდ
საბაჟო ნაგებობის ფუნქცია შეიძინა, გვიანფეოდალურ ხანაში სავაჭრო-სატრანზიტო გზის „დაყ-
რუების“ შემდგომ საბაჟო ნაგებობა მიქელ-გაბრიელის ეკლესიად აკურთხეს. ამ ჰიპოთეზურ მო-
საზრებას გვიმყარებს მის სიახლოვეს ტრადიციული ერთნავიანი ბაზილიკების სიმრავლე. ესენია:
მდ. დამის მარჯვენა მხარეზე შემორჩენილი დაზიანებული გვერდინეთის ღვთისმშობლის ერთნავი-
ანი ეკლესიის ნანგრევი (5×3მ.), რომლის მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. იქვე გვერდინეთ-
ში აბუხალოს წყლის შესართავთან, ე.ი. აბუხალოს და დამის წყლის შუა მარიამ-წმიდის ეკლე-
სიის ნანგრევი (3,5×2მ.), რომლის მხოლოდ აღმ. კედლის ნაშთია შემორჩენილი და გვერდინეთის
სხლების ეკლესიის ერთნავიანი შენობა (5×3მ.).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდგომ პერიოდში, ქრისტიანობის
წარმართობასთან ჭიდილში, საბოლოო გამარჯვებისათვის საკრალური ტოპოგრაფიული ტერმინე-
ბი: „საზვერები“ და „მეზვერე“ ცათა სამარადისო სასუფეველს მიმავალთა „გარდუვალ სამ-
სჯავრო“ მნიშვნელობის ადგილად გადაიქცა. საკრალური სივრცის გასავლელ საზვერების შე-
სახებ არაფერია ცნობილი ქართულ ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონში, მართლმადიდებელი ეკლე-
სიის წმ. მამების ნაწერებსა თუ ცხოვრებებში. საკრალური სივრცის საზვერების აღწერა ადრე-
ულ დასავლურ მართლმადიდებლურ წყაროებში მოიპოვება. მასზე ყურადღება პირველად ფიქსი-
რებულია IV-VI სს. კონსტანტინოპოლის წმ. მამათა ნაწერებსა და ცხოვრებებში (ეფრემ ასუ-
რის (373 წ.), წმ ისაია განდევნილი (VI ს.), წმიდა სვიმეონ ემესელის, სალოსის (VI ს.), წმ.
იოანე დამასკელის (VII ს.) და სხვა. ამ საკითხის პასუხად მხოლოდ ვარაუდის ფრთხილად გა-
მოთქმა თუ შეიძლება, რომლის საფუძველს მათივე განმარტება იძლევა, „საზვერების შესახებ
სწავლება არის ეკლესიის სწავლება.“ ამგვარი შენაცვლება და ტერმინების ტრანსფორმაცია
„საჰაერო საზვერებზე“, საბოლოოდ ადვილად წაშლიდა წარმართობის წმინდა სარიტუალო ად-
გილთა ნოსტალგიას, შიშისა და ძრწოლისა გამო, სადაც „ბოროტი შემასმენლები, საზარელი
მსჯავრმდებელნი, მეზვერეები, ცოდვების აღმრიცხველნი ხვდებიან და აღურიცხავენ ახალგაზ-
რდობასა თუ ხანდაზმულობაში ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს“², სადაც „შფოთავს და
ძრწის სული და მწუხარებით მიღტოლვილი ღვთის ანგელოზებთან ცდილობს დამალვას, ...რო-
მელნიც აბრკოლებენ მას: რადგან ყოველი საზვერე მის ცოდვას წარმოაჩენს“ (წმიდა კირილე
ალექსანდრიელი 444 წ.). წმინდა ეფრემ ასურის (373 წ.) მიხედვით კი: „როცა ძალით მოგვი-
ტაცებენ და მიგვიყვანენ გარდუვალ სამსჯავროდ, მაშინ მათი მხილველი საბრალო ადამიანი...
ერთიანად ძრწის, თითქოს მიწა იძრაო... საზარელი მსჯავრმდებელნი, მეზვერეები, ცოდვების აღ-
მრიცხველნი; გზაზე ხვდებიან ადამიანებს და აღურიცხავენ ახალგაზრდობასა თუ ხანდაზმულო-
ბაში ნებით თუ უნებლიეთ ჩადენილ ცოდვებს, რომელნიც სიტყვით, საქმით, ან ფიქრით აღას-
რულეს.“³ მათთვის ცნობილი იყო, რომ „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც
რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს. [მარკოზი, 3-4]“⁴

წარმართობისდროინდელი საკულტო წმინდა ადგილის თავყვანისცემა მაინც მტკიცედ და
დიდხანს დარჩენილა მძოვრეთის მოსახლეობაში, რომლის უტყუარობას ადასტურებს საზუერის
ღვთისმშობლის სიწმინდის არსებობა დამის ხეობაში, ფანასკერტელ-ციციშვილთა მამულში, კე-

¹ გ. ბოჭორიძე, ქართლის ეკლესია-მონასტრები და სიძველეები, თბ., 2011, გვ. 175;

² სერაფიმე როუზი, მღვდელმონაზონი, სული გარდაცვალების შემდეგ, იბეჭდება ბათუმისა და სხალთის
მთავარეპისკოპოს დიმიტრის (შოლაშვილის) ლოცვა-კურთხევით, თბ. 2006, გვ. 106-115;

³ ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, თბ., 2016, გვ. 326;

⁴ იქვე, გვ. 327;

ხიჯვრის სიანლოვეს. მტკვრის მარჯვენა მხარეს ამ სიწმინდის არსებობის მტკიცებულებად, თ. ჟორდანიას მიაჩნდა „წარწერა მხედრული, ბრეთის ეტრატის სახარებაზე“ (1543 წ.), სადაც ვკითხულობთ: „აქუს საზუერისა ღრმთისმშობლისა ოქრომჭედელსა სამი ჩარეკი ვერცხლი. მისსა სარგებელსა ასისა თანვისა ცვლისა მართმევედეს და ნახე[ვარ] ლიტრა სანთლისა გულსა მიართმევედეს. სხვა არასთანა სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა ხატის მსახურების მეტი, წელიწადშიგან ამას მართმევედეთ, ერთისა სათათროსა მალის მეტი.“

ამავე სახარების მეორე ასომთავრულ წარწერაში ვკითხულობთ: „მე ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან თანამეცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამან გულდამ კელვყავ დიდებულისა საზუერისა ღვთის-მშობლისა ოთხთავისა შემკობად სახსრად სულისა ორთავე ჩნ მეუღლეთა და სადღეგრძელოთ ძეთა ჩვენთვის ამინ.“¹ საზუერის ღვთისმშობლის ოთხთავის შემკობაზე ფანასკერტელთა ზრუნვა „სახსრად სულისა ორთავე ჩნ მეუღლეთა და სადღეგრძელოთ“ პირდაპირ მიანიშნებს მათ მამულში საზუერის ღვთისმშობლის სიწმინდეზე.

XVII საუკუნის ბოლოს ციციშვილებისთვის სადავო გამხდარა საზუერეს ღვთისმშობელთან მიმდებარე მამულები. გაყრის წიგნში ვკითხულობთ: „კეხიჯვარზედ შეცილდნენ ედიშერ და პაპუნა. ედიშერ ასე უპასუხა: რა ბიძაჩემი და ნოდარიშვილი გაიყარნენო კეხის ჯვარი ამოანისშვილს საუფროსოში გამოჰყვაო მაშინვე ბიძაჩემა ციციმ წაართვაო და სახასოთ დასდვაო. ბატონმა ამაზედაც ფიცი დაადვა ედიშერს.. ჩვენ ასე უთხარით ედიშერს, უფიცრად შუა გაუყოფთ კეხისჯვარსაო და საზვერლისა მღვთის მშობელი თავისი შეწირულობით უწილოთ პაპუნას დაანებეო და ედიშერა არა შესჯერდა.“²

ასეთია დღემდე ტოპონიმ „ზორვეთის“ ეტიმოლოგიის შესახებ ჩვენ მიერ მოკვლეული წყაროთმცოდნეობითი ბაზა და ჩვენეული ინტერპრეტაცია, ზოგჯერ ჰიპოთეზური, დამყარებული ლოგიკურ დასკვნებზე, დამატებით სავლელ სამუშაოების და ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობების გათვალისწინებით, რომელიც გვიანანტიკურ ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია.

Manana Michitashvili

Gori State Teaching University

FOR THE ISSUES OF ETYMOLOGY OF THE FORMER CITY NAME - “MDZOVRETI” RESUME

The study focusses on the etymology of “Mdzovreti” and presents the different opinion from the one discussed in the scientific literature. N. Berdzenishvili considered the issue as a very interesting one to be focused in future. However, the researches on the issue have not been continued or further elaborated. The paper vividly describes how and when “Sazuere”, the templar and iconic site for spiritual and superstitious rituals, was substituted by the customs clearance point. According to interpretation of the authentic and primary sources, an interesting insight of etymology of the name “Mdzovreti” is presented.

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897, გვ. 349, 386; შდრ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) VI, თბ., 1953, გვ. 195-196;

² სცსსა, ფ. 1448, საბ. 5010ა;

მცირე ქალაქების ლოკალიზაციისათვის შიდა ქართლში

საქართველოს ისტორიის გრძელ გზაზე დასახლებული ადგილების განვითარება სხვადასხვა ეპოქას დაემთხვა. ასეთი პუნქტების განვითარება, გარეგანი სახე, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბუნების თანხვედრი იყო. ქართული საისტორიო ტრადიცია ძველი დროიდან დასახლების რამდენიმე ტიპს იცნობს, რომლებიც სხვადასხვა სახელით არის ცნობილი, ესენია: ციხე-ქალაქი, მცირე ქალაქი, დაბა-ქალაქი, დედა-ქალაქი, საბატონო ქალაქი, დაბნები და სხვა.

ვეყრდნობით ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიას“ და რუკებს, სადაც შიდა ქართლის რამდენიმე დასახლებული პუნქტია აღნიშნული, რომლებიც ქალაქების სახელით არის ცნობილი.

ივანე ჯავახიშვილი ვახუშტი ბაგრატიონის შრომების შესახებ აღნიშნავს: „ბატონიშვილი ვახუშტი ერთი უდიდებულეს ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთაგანი იყო, სწორუბოვარი მკვლევარი და ამწერი საქართველოს მიწა-წყლისა. თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის... შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე აუცილებელი იქნება ჩვენთვის და XVIII საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება“.¹

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართულ საისტორიო მწერლობაში გამოყენებული სიტყვა „ქალაქი“ წარმოდგენილია სირიულ სიტყვა „ქარქა“-დან, წარმოქმნილია ზმნისგან „ქარქ“, რაც ნიშნავს შემოზღუდვას, რაც ძველ ქართულში გამოიკვეთა, როგორც „ქალაქი“, იგი უნდა ნიშნავდეს შემოზღუდულ ადგილ სიმაგრეს“.²

ვახუშტიმ ზემოხსენებულ ნაშრომებში სცადა და წარმოადგინა ის ძირითადი, რაც განასხვავებდა ქალაქს მჭიდროდ დასახლებული პუნქტისგან. ეს არის „მმართველობა და განწყობილება ქალაქთა“.³ ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში“ მოხსენიებული აქვს ასამდე ქალაქი, მათ შორის შიდა ქართლში: ატენი, მცირე ქალაქი ახალგორი, ახალქალაქი (თეძამზე), გორი, დუშეთი, თამარაშენი, სურამი, ურბნისი, უფლისციხე, ქრცხინვალი.

ვახუშტის შრომაში „საქართველოს გეოგრაფია“ ცნობილია დიდი ლიახვის ხეობაში მცირე ქალაქები: თამარაშენი და ცხინვალი, რომელთა შესახებ ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში. ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ის ქალაქური დასახლებები, რომელთა შესახებ ნაკლებად ან საერთოდ არ მოიპოვება რაიმე ტიპის გამოკვლევა, მაგრამ, რაც არის, მასაც სჭირდება სრულფასოვანი მიმოხილვა, რომ რაიმე გადაცთომას არა ჰქონდეს ადგილი.

გორის სამხრეთით სოფელი ატენი, როგორც მცირე ქალაქი, ცნობილია და ხეობაც მეცნიერულად ნაწილობრივ შესწავლილია.

ამჯერად გვსურს, წარმოვადგინოთ ისტორიული ქსნის საერისთაოში, სახელოდობრ: მდინარე მეჯუდის ზემო წელზე არსებული აწ უკვე ნასოფლარი ატენი, რომლის შესახებ რამდენიმე ისტორიული ცნობა მოიპოვება.

1771 წელს აღნიშნული ხეობა ინახულა გერმანელმა მეცნიერმა გიულდენშტედტმა, რომელმაც დაგვიტოვა საინტერესო აღწერილობა. იგი წერს: „სხლების გარშემო მეჯუდაზე მდებარე

¹ ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 325, 346.

² ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 41.

³ ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1973.

რეობს... ქართული სოფლები: დათვიანთ კარი, წოდღევი, ატენი, ჯავხკარი, ისროლი და სალკენტკარი“.¹

ატენი შემდგომი ხანის ქართულ წერილობით წყაროებშიც არის მოხსენებული. მეფე ერეკლე მეორის ბრძანებით, ორჯერ, 1774 და 1781 წლებში, მოხდა „ქსნის ხეობის სტატისტიკური აღწერა“, სადაც ჩამოთვლილია ქსნის ხეობის სოფლები და მცხოვრებთა გვარები, რაოდენობა. სოფელ ატენში იმ დროს უცხოვრია 19 კომლს. მათი გვარებია: სალუქაშვილი, ელიაური, ასტამაძე, ხახაშვილი, კვირიკაშვილი.

ინფორმატორთა გადმოცემით და ადგილზე მიმოხილვით, დასახლებული პუნქტი ატენი მდებარეობდა დღევანდელი ისროლისხევის დასავლეთის მხარეს, ამავე სახელწოდების მდინარის (წყლის) მარჯვენა მხარეს, სადაც დაცემული ვაკე უამრავი ნასახლარი, ციხე-სიმაგრის ნაშთებია შემორჩენილი.

ამ ნასახლარების პატრონები დღეს ბარად არიან ჩამოსულები, მათი სოფლები იყო: დათვიანთ კარი, ნადირაანთ კარი, ნინიკაანთ კარი, ხახაანთ კარი, გინტურთ კარი. ინფორმატორების: კოლა, ჟორა დვალიშვილების, სარდიონ, ჩიტა, ფიროუზ, დავით გინტურების გადმოცემით, ატენი იყო ცენტრი, სადაც მთიდან, უფრო ქსნის ხეობიდან ნაქალაქში ჩამოვიდა მოსახლეობა. ატენს იცავდა აღმოსავლეთიდან ორი ციხე, რომლებიც დღესაც არის მდინარის მარცხენა მხარეს, დასავლეთით ორი კოშკი და ტბის მთა, ჩრდილოეთით ყოფთას (ნასოფლარი) ორი კოშკი და მხარე მთლიანად იყო გამაგრებული.

დღესაც, ძველ მცხოვრებთა გადმოცემით, რომელთა შესახებ ზემოთ აღინიშნა, ნასოფლარებს გვარების მიხედვით ასახელებენ: დათვიაშვილების, ნადირაშვილების, ნინიკაშვილების, ხახაშვილების ადგილი, წყაროები, ახოები, ციხე, ტყე, მინდორი.

დღეისათვის სოფელ მეჯვრისხევში ცხოვრობს რამდენიმე კომლი – გვარად ციცაგები, რომლებიც თავიანთ უბანს – ხახაანთ უბანს უწოდებენ, რადგან ციცაგი და ხახაშვილი ერთი გვარია, აღსანიშნავია, რომ მთის გვარები ხშირად წინაპრის სახელის მიხედვით აღინიშნება და ასეა დასახლებული ზემოხსენებულ სტატისტიკაშიც.

სეხნია გეოგრაფიული სახელები ჩვეულებრივი მოვლენაა, ამჟამად კი ატენი შეიძლება განიმარტოს, როგორც ტინისგან ნაწარმოები. სულხან-საბა აღნიშნავს: „ტინი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშალველი“. ეს განმარტება მიესადაგება ნასოფლარს ატენს მეჯვრის ხეობაში. მონღოლების, თურქების, ირანელებისა და სხვა დამპყრობთა მიერ მრავალი დასახლებული პუნქტი განადგურდა. ჩვენში დამკვიდრდა ასეთი არასასურველი სიტყვები: ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნაფუძარი. ერთი ასეთი ადგილია მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეს ბორცვზე მდებარე დასახლებულ პუნქტზე, რომელსაც, წერილობითი წყაროების მიხედვით, „ფიჩხის ქალაქი“ ეწოდება.

ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერაში“ არ მოიხსენიებს ასეთ დასახლებას, მაგრამ შრომას დართული სოფლების სიაში „ლიახვით მრწყველ სოფლებს შორის“ მოიხსენიებს „ფიჩხის ქალაქს“ ჯვრის ნიშნით.² „ფიჩხის ქალაქს“, როგორც მოსახლეს, ასევე მოიხსენიებს ცნობილი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი თავის შრომაში.³

ფიჩხის ქალაქი ლოკალიზდება ქალაქ ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი კილომეტრის დაცილებით. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ადგილები – ორი ბორცვი გათხარა არქეოლოგმა ოთარ ჯაფარიძემ 1954 წელს და ენეოლითის პერიოდის ძეგლებს მიაკვლია.

დასახლებას ერთი ჰექტარი ტერიტორია უკავია, ჩრდილოეთი და დასავლეთი მხარე ციცაბოა და ძნელად მისადგომია, სამხრეთი და აღმოსავლეთი მხარე უფრო ვაკეა და იგი ხელოვნურად იყო გამაგრებული თხრილებითა და მიწაყრილებით. აღმოსავლეთით 150-მდე მეტრის სიგრძეზე ჯერ კიდევ ჩანს სქელი კედლის ნაშთები. ვახუშტის დროს, ეტყობა, აღარ იყო სიმაგრის

¹ ი. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.

² გ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 208.

³ ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 41.

კვალი, მაგრამ ზემოთ ნახსენები საკულტო ნაგებობა მაინც არსებობდა, რომელიც მეცნიერმა რუკაზე დაატანა.

ფიჩხის ქალაქის დასავლეთით და სამხრეთით ვრცელი ადგილებია, ჩანს ქართლის ველი და სოფლები, რომლებიც ზემოდან კარგად იხილებოდა და შემოსეული მტერი ამ გზას ვერ აუქცევდა, იგი ძნელად მისადგომი იყო მტრისათვის. წერილობითი წყაროების მიხედვით, ფიჩხის ქალაქის ტერიტორიაზე XVIII-XIX საუკუნეებში ცხოვრობდნენ რაჭიდან ჩამოსული საბანადეები, რომლებიც მერე სოფელ ხეთსა და ცხინვალში გადასახლდნენ.

მოვიტანთ საბუთს, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში: „მე ზაზა მანაბელმა შენ საბანადე შიოსა, შვილსა შენსა დათუნას, ნასყიდას, ღვთისოს წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცა, ასე, რომ ფიჩხის ქალაქი მოგყიდე ტოხური მიწა ზეთ გზამდე, ქვეით ლიახვამდე, აქეთ გუნდიშვილის მიდგამამდე, იქით ხეთელ მიდგამამდე, ავიღე ფასი სრული და უენებელი“.¹

საბუთში მოხსენებული გვარები – საბანადეები, როგორც აღინიშნა, ცხინვალში, ზოგი შინდისში გადასახლდა, ხოლო გუნდიშვილები – სოფელ მარწემში, რომელიც აქედან ჩრდილოეთით, ექვსი კილომეტრით დაცილებით მდებარეობს.

ტერმინი ფიჩხი, ფონეტიკური სახესხვაობით „ფიცხი“, განმარტებული აქვს სულხან-საბას, რომელიც აღნიშნავს: „ფიცხი გამაგრებული, გინა სწრაფი“.²

ფიჩხის ქალაქი თავის მკვლევარს ელის.

ქ. ცხინვალის სამხრეთის შესასვლელში, მარჯვენა მხარეს, შემალლებულ ადგილს ეწოდება ზღუდერი, არის ზღუდრის გვერდაც, სადაც საავტომობილო გზა გადის. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზე ჯვრის ნიშნით აღნიშნულია ზღუდერი, როგორც დასახლებული პუნქტი. ზღუდერი ფიჩხის ქალაქიდან ერთი კილომეტრის დაცილებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ეს სახელი ზღუდერი უნდა უკავშირდებოდეს იმ სიმაგრეს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან იყო გამაგრებული. ამასთან, დასავლეთის მხარეს, სოფელ ხეთამდე ორი კილომეტრის სიგრძის კლდოვანი ადგილია, რომელიც უცხო თვალთ კირღულაბით მშენებლობად მიიჩნევა. ზღუდერი, როგორც დასახლების ტიპი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, არის დამცავი კედლებით გამაგრებული დასახლება, რომლის მთავრი პირობა ადგილის შემოზღუდვა იყო. ჩანს, რომ ზღუდე ქალაქობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი იყო, რაც სახელწოდებაშიც არის ასახული. ეს ტერმინი „ზღუდე“ უფრო ადრეა გაჩენილი, ვიდრე უცხო სიტყვა „ქალაქი“. პოპულარული დღესასწაული ზღუდრობა გაზაფხულზე სამჯერ აღინიშნებოდა – თავზღუდრობა, შუაზღუდრობა, ბოლოზღუდრობა.

ენეოლოთის პრობლემებზე მუშაობისას ცნობილია გათხრები, რომელიც შ. კუფეტიმმა ჩაატარა ზღუდრის გვერდაზე. აქ სამი ძეგლი იქნა გამოვლენილი – ზღუდრის ბორცვი, გვერდა და ქულბაქები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მხარეში, ფიჩხის ქალაქის მიდამოებში, ადამიანს უხდებოდა ცხოვრება ენეოლითის ხანიდან და გრძელდებოდა ფეოდალურ ეპოქამდე. ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესიის ნუსხურ წარწერებში მოხსენებულია ეკლესიის განმანახლებლის, როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლის ღვაწლი.

1750 წლის 28 ნოემბერს დედოფალი ანახანუმი ზღუდრის სოფელს უბოძებს კაცია ფავლენიშვილს.³

ბოლოს ზღუდერში ცხოვრობდნენ: მამისაშვილები, რომლებიც უფრო დაბლა ჩამოსახლდნენ და დააარსეს სოფელი მამისაანთ უბანი. ძველი ზღუდრის ადგილები დღეს ქალაქის სასაფლაოა.

ზღუდეთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სულხან-საბა ორბელიანი: „ზღუდე არს სიმრგვლით შემოვლებული რაიც იყოს გარმონავლები ქალაქთა, დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, განა თვალთა პატიოსანთა. გაღავანი არს არა ზღუდე, არამედ კედელი, მაგარი

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, №944.

² ს. საბა, ლექსიკონი ქართული, 1991, გვ. 194.

³ საქართველოს სიძველენი, ტ. III, ექ. თაყაიშვილის რედ. 1910, გვ. 45.

გრძლად ნაგები“¹ იგი გარდაიქმნა ქალაქის ტიპის სამოსახლო ადგილად, მტრის შემოსევის შედეგად დაკარგა უპირატესობა და ადგილი დაუთმო მცირე ქალაქებს თამარაშენსა და ცხინვალს.

დიდი ლიახვის მარჯვენა მხარეს სოფლების დგვრისსა და თამარაშენს შორის წყაროებში, კერძოდ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების თხზულებებში მოხსენებულია დასახლება ლელისუბანი. იგი დატანილია ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზეც მთავრის სასახლის ნიშნით. როგორც ზეპირგადმოცემები მოგვითხრობენ, ამ სასახლის მფლობელები თავადი მახაბლები ყოფილან, რომლებიც შემდეგ საცხოვრებლად სოფელ თამარაშენში გადასულან.

მე-17 საუკუნის შუა წლებში ლელისუბანში ცხოვრობდნენ რაზმადეები. როსტომ მეფემ ქუაბულ მახაბელს უბოძა ზაქარია რაზმადე. აქვე ცხოვრობდნენ მესტუმრე რამაზა, მამუკა მჭედლიშვილი, გოგია ქურციკაშვილი, ამირან გულისაშვილი, ოტია პაპიასშვილი, ხოსიტა ყუშიტაშვილი.² ლელისუბანი შემდგომ სოფელ დგვრისს შეუერთდა და მოსახლეობის ნაწილი სოფელ აჩაბეთში, ნაწილი კი სოფელ თამარაშენში გადასახლდა.

პატარა ლიახვის ხეობაში, მდინარის მარცხენა მხარეს, სოფელ საცხენეთის პირდაპირ, ვახუშტის რუკაზე აღნიშნულია დასახლება „ედემ ქალაქი“³ რომელიც დღეს ნაქალაქარია. როგორც ადგილობრივები გადმოგვცემენ, ეს იყო დიდი დასახლება, რომელიც მტერთა შემოსევებისაგან განადგურდა და მისი ტერიტორია იყო დღევანდელი ხადურიანთ სოფლიდან სამხრეთით სოფელ სნეკვამდე. ძველი დასახლების ცენტრალური ადგილი იყო სოფელ ხადურიანის (ხადურთკარი) დიდი ციხე, რომელიც მდინარის მარცხენა მხარეს კლდეზეა აგებული. ამ დასახლების გაუქმება ძირითადად დაკავშირებულია ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებული შანშე ქსნის ერისთავის ბრძოლებთან, რომელსაც გამაგრებული ჰქონდა ვანათის, ბელოთის, სიათის, სწრისხევის, რეხის, ბეხუშის ციხეები და შემდგომ ბრძოლას უმართავდა დამპყრობლებს. ამ ბრძოლების დროს ხეობის მოსახლეობა თითქმის ამოწყდა და, როგორც სხვაგან, ისე აღნიშნულ დასახლებაში ჩამოსახლდნენ დვალეები (ხადურები) – ედისიდან, შევარდენიძეები, ნუკრადეები – დასავლეთ საქართველოდან, საურები – მთიულეთიდან და სხვები, რომლებიც აღარ ცხოვრობენ და მხარე მიტოვებულია.

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University

FOR LOCALIZATION OF SMALL TOWNS IN SHIDA KARTLI REGION RESUME

Georgian historical tradition has known several types of settlement since ancient times, which are known by different names, such as: castle town, small town, borough, capital town, boroughs etc.

"Georgian Geography" by Vakhushti Bagrationi lists about a hundred cities, including the large and small towns of Shida Kartli.

Ateni as a large settlement is referred to as the upper reaches of the Mejuda River, which is mentioned in the "Description of the Ksani Valley 1774-1781" where people of different generations lived. Currently nobody lives there, because it's abandoned.

According to written sources, the "town of brushwood" was located in the big Liakhvi valley, which was a fortified settlement from the seventeenth century onwards.

To the east of Tskhinvali, there was a settlement known as "Zghudeti" which was also a fortified point.

Ghelisubani, Kulbakebi, Abotsminda, Edembaghshi, Beoti and other villages where settled in the valley, the research of these places are very necessary today.

¹ ს. საბა, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991, გვ. 291, 292.

² მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 132.

³ ვახუშტი, რუკები, 1745.

საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი

შესავლის სახით, ამთავითვე ვიტყვი, რომ „საქართველო-წმინდა ტახტის“ რელიგიურ ურთიერთობათა ისტორიაში საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს¹ შორის დონ კრისტოფორო კასტელის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია. ამას, პირველ რიგში, ათვალსაჩინოებს მის მიერ საქართველოში შესრულებული 570-ზე თუ ათასზე მეტი ნახატი, საიდანაც შემოგვცქერის მთელი გალერეა საერო თუ სასულიერო მოღვაწეებისა და მშვენიერი ქალბატონებისა. მისი რეალაციები თუ სხვადასხვა თემაზე შესრულებული ნახატები არის არა მხოლოდ XVII საუკუნის საქართველოს, არამედ კავკასიური სამყაროს ფართო პორტრეტი, სადაც ერთმანეთს ერწყმის დიდი ისტორიული მოვლენები. საკუთარი თვალთა ნახატი და შექმნილი, უმნიშვნელო წვრილმანიც კი აქ გადმოცემულია სინამდვილის ესკიზური მონახაზებით, მოკლე და მშრალი ფრაზებით, მდიდარი დეტალებით². ამასთან კავშირში აქვე იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ საქართველო-დასავლეთის ურთიერთობის კონტექსტში მისიონერთა რეალაციები და ნაშრომები კულტურათაშორისი დიალოგის შესწავლისათვის ხელთუქმნელ ტექსტებს წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევების საწარმოებლად დღეს დიდძალი მასალა არსებობს.

თემის არსში უკეთ ჩაწვდომის მიზნით, ზოგადად აღვნიშნავთ: ჩვენ არ ვიცით, გორში დაფუძნებული (1628 წ.) თეატინელი მამები, მართლმადიდებელ საქართველოში ჩამოსვლამდე, მისიონერული პოზიციებიდან, როგორი მეთოდებით აპირებდნენ კათოლიკობის „ჭეშმარიტების“ დემონსტრირებით, რელიგიური დიალოგის გამართვას. ამაში გარკვევის მიზნით, მთლიანობაში შევისწავლეთ რა თეატინელ მისიონერთა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ნარატივი, დავრწმუნდით³, რომ მათ, ქართული კულტურული სივრცის ათვისების საფუძველზე, შეიძუშავეს ადგილობრივ რეალობასთან ადაპტირებული მეთოდები, რომელიც ორივე მხარის ურთიერთქმედებისათვის მისაღებ პრინციპებს ექვემდებარებოდა. ისინი შეიძლება, პირობითად ასე დავაჯგუფოთ: 1) ქართული ენის ცოდნა; 2) ავადმყოფთა უნგარო მკურნალობის გზით, საერო და სასულიერო იერარქებს შორის ავტორიტეტის მოხვეჭა;⁴ 3) ქართველ სასულიერო იერარქთა ქცევის ყველაზე ტიპური თავისებურება-რელიგიური შემწყნარებლობა და საერო მესვეურთა და ქართველთა მიერ „უცხო“ („უცხოელის“) მიმართ სათუთი დამოკიდებულება⁵; 4) მისიონერთა მხრიდან ქართველთა მიმართ „უცხო“, „გარეშეს“ განცდის არარსებობა⁶; 5) ღვთისმსახურების

¹ ამ ორდენის მამები საქართველოში (ქართლისა და იმერეთის სამეფოში, გურიის სამთავროსა და ძირითადად ოდიშის სამთავროში) სამისიონერო საქმიანობას ეწეოდნენ 1628-1701 წლებში.

² დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ.8-17; პატრიცია ანა ლინჩი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ., 2009, გვ. 13-14.

³ სარწმუნო არგუმენტების დამადასტურებელი მასალების ამ სტატიის ფარგლებში მოტანა შეუძლებელია და ამიტომ მასზე მსჯელობა სხვა დროსა და სხვა ნაშრომში გვექნება.

⁴ თეატინელი მისიონერის დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს თანახმად, მოსახლეობას პატრები მიაჩნდა „...ყველაზე სწავლულ მკურნალებად მთელ ქვეყანაზე“ (დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები საქართველოზე XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964, გვ.45).

⁵ მამისთვალისშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III, თბ., 2019, გვ.180-211.

⁶ ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია კასტელის შემდეგი სიტყვები: „საქართველო ჩემი სატრფო იყო ოცდაექვსი წლის განმავლობაში“ (დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი..., გვ. 187). მართალია,

საქმეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული დაკნინებული მდგომარეობის გამოსწავლა და საეკლესიო წესდების უპირატესობის დემონსტრირება¹; 6) ქართველ საერო მესვეურთა მიერ განათლების მხრივ ევროპელი მისიონერების (წყაროების ერთი: „იტალიელი მღვდელი“), ანუ კათოლიკე პატრების უპირატესობის აღიარება²; 7) სკოლების დაარსებითა და მათში ლათინური დოქტრინების სწავლების გზით, ქართველ მართლმადიდებელთა ცხოვრებაში ევროპული სულიერი და რელიგიური ღირებულებების დანერგვა; 8) ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა მიერ თეატინელი მამების საქართველოს პოლიტიკურ ინტერესებში დასავლეთში დიპლომატიური დავალებით³ გაგზავნა მიიჩნეოდა არა „უცხო“⁴, არამედ „თავისიანი“ მოქმედებად მისიის ქვეყანაში. ჩვენი შესწავლით, სწორედ ამგვარი მეთოდების საფუძველზე მიმდინარეობდა თეატინელ მისიონერთა კომუნიკაცია ქართველ სასულიერო თუ საერო მესვეურებთან და ხალხთან, ბუნებრივია, კათოლიკობის უპირატესობის ჩვენებითა და დომინანტობის დასაბუთებით. ცხადია, სხვა შემთხვევაში კათოლიკე მამები მისიონერის ფუნქციას დაკარგავდნენ და საქართველოში სასპარეზო სივრცეს ვერ იპოვიდნენ.

მართლმადიდებელ საქართველოში კათოლიკე მამების კომუნიკაციის სტრატეგიულ გასაღებს, რა თქმა უნდა, ქრისტიანობა წარმოადგენდა. ორივე მხარე, ბუნებრივია, კარგად აცნობიერებდა, რომ, როგორც ევროპული, ასევე ქართული ცხოვრების წესი და ფასეულობები ქრისტიანობას ეფუძნებოდა. ეს საერთო საფუძველი ქმნიდა იმ ამოსავალ კოორდინატს, რომ ქართველებს კათოლიკე მამები, ცხადია, რომელიმე ფანატიკოსი სასულიერო პირისა, თუ ზოგიერთი ორთოდოქსი პოლიტიკური მესვეურის გარდა, „უცხოდ“ არ აღექვათ. აქედან გამომდინარე, კათოლიკე პატრები კი არ მიდიოდნენ წარმართებთან, სადაც საჭირო იქნებოდა მათი ქრისტიანიზაცია, ანუ რწმენისა და მსოფლმხედველობრივი სისტემის შეცვლა და დასავლური ცხოვრების წესის შეთავაზება, არამედ მიემგზავრებოდნენ საქართველოში, მართლმადიდებელ ქრისტიანებთან, რომლებიც, თუ კათოლიკე ისტორიკოსის ა. დიუპრონის სიტყვებს ქართველებზე განვავრცობთ, „...განსხვავდებოდნენ მარად ეჭვიანი ბერძნებისაგან“⁴. ამ კონტექსტში მრავალთავან სამ კონკრეტულ ფაქტს დავასახელებთ. თეატინელი მისიონერი დონ კლემენტე გალანო განცვიფრებული წერდა: „მაგრამ რა არის კიდევ საკვირველი: ზემოხსენებულ წიფურიაში რამოდენიმე ოჯახმა ახალი ეკლესია ააგო, სადაც ლათინურ წესებს იცავენ, თუმცა ჯერ იქ ცოტა ხალხია, მაგრამ მომსკლელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება“⁵. ამავე სამთავროს მესვეურმა ლევან II დადიანმა

სხვა ადგილას კასტელი ხაზგასმით აღნიშნავს, „ქართველები ჩვენი ხალხისაგან (იტალიელებისაგან-მ.პ.) დიდად განსხვავდებიან“ (პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ.67), მაგრამ მას ქართველთა მიმართ „უცხო“, „გარეშეს“ განცდა არა აქვს. პირიქით, „საქართველო სატრფოა“, თუმცა ქართველთა სულიერი, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ მას თავისებური ინტერპრეტაციები აქვს.

¹ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 91-97.

² სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა (1611-1657) ასე მიმართა იტალიელ მისიონერს ჯოვანი და ლუკას: „...ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერ და განათლებულ ერად მთელ მსოფლიოში. ჩვენს წინაპრებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი, ენახათ და თავიანთ გვერდით ჰყოლოდათ ამ ერის წარმომადგენლები“ (ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. III, თბ., 1987, გვ. 161.).

³ თეატინელების შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს შემდეგი ფაქტი: 1638 წელს გორდიან იტალიაში მიმავალ დონ პიეტრო ავიტაბილეს ლევან II დადიანმა სთხოვა დიპლომატიური დავალების შესრულება, რომ კონსტანტინოპოლში ვენეციის ელჩისათვის გაეცნო იტალიასთან მისი სავაჭრო ურთიერთობის პროექტი. ამავე მიზნით იმავე მთავარმა კონსტანტინოპოლში ხსენებულ ადრესატთან საქართველოში მყოფი თეატინელი მამის დონ კლემენტე გალანოს გაგზავნა გადაწყვიტა. 1643 წელს კი ლევან II დადიანმა რომის პაპთან დიპლომატიური მისიის შესრულება დაავალა თეატინელ მისიონერს დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს (დაწვრ. იხ: პაპაშვილი მ. საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 156-162).

⁴ Дюпрон А. Единство христиан и единство Европы в период новой истории. XIII Международный конгресс исторических наук. Москва, 16-23 августа 1970 г. М. Наука 1970, с.7.

⁵ კლემენტე გალანო. კოლხეთის შესახებ. კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ. IV-V, თბ., 1999, გვ. 315.

1634 წელს პატრებს სოფ. წიფურიაში „...ქვით ნაშენი მშვენიერი ორი ეკლესია...“¹ უბოძა. ამავე წელს გურიის მთავარმა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მალაქია II-მ (1625-1639) ოზურგეთში მისიონერებს „...აუშენა ხის ეკლესია...“². სხვა ცნობით კი გურიის მთავარმა, ლევან II დადიანის მსგავსად, „...მისიონერებს ოზურგეთში აჩუქა, თავისი სასახლის გვერდით, სახლი და ეკლესია. იგი ხშირად დიდი სურვილით და სულიერი კმაყოფილებით ესწრებოდა მათ წირვა-ლოცვას“³. დგება კითხვა: როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ კათოლიკე მისიონერებს საქართველოში თვით საერო და სასულიერო პირები სთავაზობდნენ ეკლესიებს მსახურებისათვის? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად, ჩვენ პირდაპირი წყარო არ გავაჩინა, თუმცა თვით ეს ფაქტი გვიბიძგებს იმ აზრისკენ, რომ ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, ასევე პოლიტიკურ მესვეურებს, კათოლიკე მისიონერების მიმართ არ გააჩნდათ გამოკვეთილი დიქტომიური განწყობა – „მართლმადიდებლები“ და „კათოლიკეები“, „ჩვენ“ და „ისინი“ ან „ჩვენები“ და „უცხონი“. სხვა შემთხვევაში, შეუძლებელია, კათოლიკე მისიონერებს ასე მარტივად მიეღოთ ეკლესია ლეთისმსახურებისათვის. საკუთრივ, კათოლიკე მამები კი ეკლესიას, ცხადია, იყენებდნენ საერთო ქრისტიანულ სისტემაში „ჭეშმარიტებისაგან“ და კათოლიკურ სწავლებასთან დაცილებულ ქართველებთან იმ დიალოგის ადგილად, სადაც დასავლურად განსწავლული სასულიერო პირების მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა, „ცდომილებაში“ ჩავარდნილი ქართველების ჭეშმარიტების გზაზე გაყვანა, ანუ კათოლიკობაზე გადაყვანა. ამ მიზნის მიღწევით, ბუნებრივია, ქართველები ჩართული იქნებოდნენ დასავლური სამყაროს ღირებულებათა სტრუქტურაში, რაც ამ უკანასკნელთა სურვილს პასუხობდა. ვფიქრობთ, ამის ილუსტრაციას ახდენს შემდეგი ფაქტი. „გურიაში ჩასვლისთანავე, – წერს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, – ვეახელით კათალიკოსს, რომელმაც ძალიან კარგად მიგვიღო. [მან] დაჟინებით გვთხოვა, რომ წმინდა წირვა აღგვესრულებინა და დასავლურ ყაიდაზე გვექადაგა, ხოლო თვითონ თავის კართან ერთად დაესწრებოდა. ხალხით დავთანხმდით და მეორე დღით, შეძლებისამებრ, დიდი საზეიმო განწყობილებით შევუდექით წმინდა წირვის აღსრულებას. ვქადაგებდით კარისკაცებისა და თვით კათალიკოსის თანდასწრებით, რათა კარგი მაგალითი გვეჩვენებინა. როგორც მათ გვთხოვეს, აღვასრულეთ წმინდა წირვა და წავიკითხეთ ქადაგება; მთელ წირვას ესწრებოდა კათალიკოსი და დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ცერემონიას, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“⁴. შესაძლებელია, აქ მცირე გაზვიადებასაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ არა ისეთის, რომ მან არგუმენტის ძალა დაკარგოს. ერთი სიტყვით, ეკლესია დასავლეთის სულიერი და რელიგიური ფასეულობების ქადაგების ცენტრი ხდებოდა.

დასავლური სამყაროს წარმომადგენელი კათოლიკე მისიონერების საქართველოში „თავისი-ანად“ მიღების განწყობაზე არანაკლები იმპულსით უნდა ემოქმედა იმ ისტორიულ პროცესს, რომელიც გამოიხატებოდა მუსლიმების, უმთავრესად თურქების, წინააღმდეგ დასავლეთის ქრისტიანთა ბრძოლაში, რაც XVII საუკუნეშიც გრძელდებოდა. სრულად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ მუსლიმებისაგან მომდინარე საფრთხე და მათ წინააღმდეგ განუწყვეტელი ომები აცხრობდა ქრისტიანებს შორის დოქტრინალურ უთანხმოებებს⁵. ამ კონტექსტში საკვირველი არაა, რომ მუსლიმურ ოკეანეში მარტოდ დარჩენილ ქართველთა ცნობიერებაში დასავლეთის წარმომადგენელი კათოლიკე მისიონერები საერთო მოკავშირის სახეს ქმნიდნენ. ამის საუკეთესო არგუმენტად მივიჩნევთ ერთ ფაქტს, კერძოდ: 1616 წლის ივნის-ივლისში საქართველოში ნახტევანიდან ჩამო-

¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. წერილები..., გვ. 105; თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 173.

² თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 154.

³ კლემენტე გალანო. დასახ. ნაშრ., გვ. 315.

⁴ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე). იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბ., 2014, გვ. 31-32.

⁵ Дюпрон А. დასახ. ნაშრ., გვ. 5-8.

სულ დომინიკანელ წინამძღვარს, პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცას,¹ ასე მიმართეს ქართველ-მა სასულიერო პირებმა: „მათმა მღვდლებმა, – წერს ფაენცა, – არაერთხელ მითხრეს მათში გავრცელებულ წინასწარმეტყველებაზე. ყველა თავს ძალზე ბედნიერად ჩასთვლიდა, თუ რომის ქრისტიანები (ე. ი. კათოლიკეები – მ.პ.) გარკვეულ დროს მათ ქვეყანაში ჩამოვიდოდნენ. ეს წინასწარმეტყველება მათ წინაპრებს ლექსად შეუთხზავთ და ჩემს წინაშე რამდენჯერმე იმღერეს² კიდევ“³. 1662 წლის 19 სექტემბრის ერთი ვრცელი რელაციის უცნობი ავტორი⁴ გვაწვდის უნიკალურ ცნობას, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს უბრალო ხალხის ჩართვას ლათინურ-რომაული სამყაროს სარწმუნოებრივ-კულტურულ ველში. „აწ კარგად ჩანს, – წერს რელაციონეს ავტორი, – რა ნაყოფი გამოიღო ჩვენმა შეუპოვრობამ სამეგრელოში, სადაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ადამიანებში არა მხოლოდ ხელი წავაშველეთ, არამედ იქ ადამიანები [ჩვენი დახმარებით] საკმაოდ ცივილიზებული და ჭკვიანები გახდნენ. და თუკი კათოლიკეებს⁵ ოდესმე მოუნდებათ თურქებთან ბრძოლაში ჩაბმა, იპოვიდნენ დაჩაგრულ ხალხებს, რომელთაც სურთ გამდიდრება და ერთსულოვნად ქრისტიანული სარწმუნოებისადმი დახმარება. მათ (იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები – მ.პ.) შეუძლიათ, ერთბაშად გამოიყვანონ 200 ათასი ჯარისკაცი, როგორც ეს ერთხელ მალტის ისტორიაში მოხდა“⁶. ამ მცირე, მაგრამ მრავალი ინფორმაციის მატარებელ ამონარიდში, მისი ავტორი ქართველებს მიიჩნევს რა „თავისიანად“, მოუწოდებს წმინდა ტახტს ოდიშის სამთავროში გამოგზავნონ მისიონერები, „რომლებიც სიტყვითა და საქმით თავს მიუძღვნინდნენ ხალხს, რომელთაც მარადიული წყევლა აწევთ მძიმე ტვირთად და იხსნიდნენ მათ ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან. სიბრალულის გამოჩენა – ეს ხომ საუკეთესო საშუალებაა იმ სულის ხსნისათვის, რომელიც ქვეცნობიერი სიმტკიცით ცხოვრობს. რა ბედნიერი იქნებოდნენ, თუკი ეცოდინებოდათ, რომ ამ უბედურებისაგან თავის დაღწევაში მათ დაეხმარებიან“⁷.

ერთი სიტყვით, კონკრეტული ფაქტების მოხმობით, შევეცადეთ, წარმოგვედგინა ის სცენარები, რომლის საფუძველზეც აგებდნენ კათოლიკე მამები ქართველებთან კომუნიკაციას. ამ ჭრილში ახლა შევეცდებით, განვიხილოთ და გავაანალიზოთ დონ კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ჩვენ მიერ საინტერესოდ მიჩნეული ერთი ეპიზოდი ოდიშის სამთავროში. ამ მიზნით, აუცილებელია, მოკლედ აღვნიშნოთ შემდეგი: დონ კრისტოფორო კასტელი დაახლოებით 22 წელი (1632⁸-1654⁹) მოღვაწეობდა საქართველოში. აქედან ზუსტად თოთხმეტი წელი მან სამეგრელოში¹⁰ გაატარა. კრისტოფორო კასტელი, რომელიც 1652 წლიდან ქართლისა და სამეგრელოს მისიონის პრეფექტი იყო¹¹, დიდი ავტორიტეტითა და პატივით სარგებლობდა არა მარტო ოდიშის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კარზე. მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა ჰქონდა ლევან II დადიანს. მისი გამოჩენისას ოდიშის მაცხოვრებლები ამბობდნენ: „აი, წმინდა ლუკა, რომელიც ექიმიც იყო და მხატვარიც“¹². საკუთრივ მამა კასტელი ოდიშის მთავრისა და ამ მხარის მოსახლეობისაგან თავს დაავალბუ-

¹ ტაბალუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში II, თბ., 1986, გვ. 58.

² უნდა იყოს იგალობეს.

³ იქვე, გვ. 60; თამარაშვილი მ. დასახ. ნაშრ., გვ. 85.

⁴ ჩენი დაკვირვებით, ეს რელაციონე უნდა ეკუთვნოდეს ოდიშის სამთავროში თეატინელთა მისიონის პრეფექტ დონ ჯუზეპე ძამპის კალამს (იხ: ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018, გვ. 35, შენიშვნა 10).

⁵ იგულისხმება დასავლეთის კათოლიკური ქვეყნები.

⁶ ევროპული წყაროები. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

⁷ იქვე, გვ. 34.

⁸ Tabagua Ilia M. I rapporti tra la Georgia Cristiana e la santa sede. Vol.I, Tbilisi, 1996, p. 287.

⁹ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 35.

¹⁰ 1640 წლის 7 აგვისტოდან 1654 წლის 20 აგვისტომდე.

¹¹ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

¹² იქვე, გვ. 123-124.

ლად მიიჩნევა¹. აქვე უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია, მოვიტანოთ ქართველთა მიერ კათოლიკე მამის დონ კრისტოფორო კასტელის, „თავისიანად“ მიღების თვალსაზრისით, ორი უტყუარი ფაქტი. როგორც მამა კასტელი გვაუწყებს, კათოლიკეების შეურიგებელმა მოწინააღმდეგემ, საქართველოში დიდი გავლენის მქონე ალავერდელმა მიტროპოლიტმა სიკვდილის წინ სამკურნალოდ იხმო მამა კასტელი. ალავერდელის აღსასრულის დადგომამდე, რამდენიმე საათით ადრე, მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა. კასტელი წერს: „ეპისკოპოსი ალავერდელი ავად გახდა წალენჯიხაში. შუა ღამისას, იანვრის თვეში, ჩემთან კაცი გამოგზავნა, რათა მისთვის შემკურნალა. ამ დროს თვითონ ავად ვიყავი. მიუხედავად ამისა, იძულებული გავხდი, იგი მენახა, რადგან ვთვლიდი, რომ ასეთი იყო ჩვენი უფლის ნება-სურვილი. მართალია, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ დავეჯექი ცხენზე და მის სანახავად წავედი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი და სქიზმატიკოსი მღვდლებით იყო გარშემორტყმული, მან მითხრა: „მამაო კრისტოფალო, ჩემი აღსასრულის დრო უკვე დადგა, გადავდივარ სხვა ცხოვრებაში, თქვენს ხელში ვარ, შემობრალეთ“. ვიცი, რომ ღმერთს ვემსახურები, რომელიც არ მიმატოვებს, არ მეშინია სიკვდილისა, მაგრამ მეშინია სულის დაკარგვისა, რადგან ცხოვრებაში შემოქმედის წინაშე უპატიოდ მოქცევა მოვასწარი. ალავერდელმა ეს დიდი გრძნობით თქვა და ჩანდა, რომ ყველა სიბოროტე ამოისუნთქა, რადგან მას სუნთქვის დრო არ რჩებოდა. მკერდიდან მოვხსენი უწმინდესი ჯვარცმული, ვაჩვენე ქრისტე, ჩვენდამი სიყვარულისათვის დაჭრილი და დავსძინე: არაფრის მეშინია, უფლის შვილს იმედი მაქვს, რომ ამ მუდამ გახსნილი ჭრილობისა და სისხლის ყველა ცოდვა გამოისყიდება მისადმი სიყვარულით. შევაწუხე და ვუთხარი: მინდა, რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებაში მოვკვდე და იდეის სიყვარულზე ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. მან სიტყვა ტირილით დაამთავრა და თქვა, რომ ბერძნული სარწმუნოების ერთგული იყო. როცა საუბარი დავამთავრე, ბერძენ ბერებს შორის ჩოჩქოლი ატყდა ლათინების წინააღმდეგ და მე ხმამაღლა ვთქვი: ვამბობ გულწრფელად, ხოლო ისინი ჩემკენ მობრუნდნენ და დასძინეს: „მამაო, თქვენ მოგიწვიეს, რათა [ეპისკოპოსისათვის] სამკურნალო საშუალება მიგეცათ და არა იმისათვის, რომ იქადაგოთ. გეყოფათ, გეყოფათ, საწყალი ეპისკოპოსი წვალბოს, რადგან მისი აღსასრულის დრო დადგა“. [მან] სულიწმიდას დახმარებით გაიგო ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები [ალავერდელმა]. დაინახა რა, რომ სიტყვებს მაწყვეტინებდნენ, მან ალერსით შემომხედა და ჩემი ნათქვამი მოიწონა. ლაპარაკი კი არ შეეძლო. ძალა მაკავებდა და ცოტა აკლდა იმას, რომ ჩემთვის ხელები შეეკრათ. მას ისინი გააკეთებდნენ ჩემ მიმართ აღშფოთების გამო, მაგრამ მათ ამისათვის გამბედაობა არ ეყოთ“². მეორე ფაქტი კი კასტელის სამშობლოში გაცილების მოკლე სცენას წარმოგვიდგენს. „როცა გემამდე მივედი, – წერს კასტელი, – და იმ ჩემმა გამცილებლებმა მიხილეს, ყველა ძალიან ტიროდა, პირი ცისკენ მიაბრუნეს, ჰაეროვან ამბორს მიგზავნიდნენ და მეტად გულმდუღარე სიტყვებს წარმოსთქვამდნენ“³. შეუძლებელია ამაში კასტელის მიმართ „თავისიანის“ ემოციური განწყობა არ დავეინახოთ. ეს კი თავისთავად იმაზე მიუთითებდა, რომ კათოლიკე მამამ ოდიშის სამთავროში ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგად „თავისიანის“ მყარი სახე შექმნა, რაც სრულად ვრცელდებოდა კათოლიკე მისიონერების საქმიანობაზე და წარმოადგენდა პროცესისა და შედეგის ერთობლიობას. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია დაკვირვებული და საქმის არსში კარგად გარკვეული თეატინელი მისიონერის, დონ კლემენტე გალანოს მიერ მოვლენის სწორი აღქმის შედეგად გაკეთებული დასკვნა. „ამ დროს კოლხეთში⁴ პატრიარქის ადგილი ეკავა ვინმე ერეტიკოს ეპისკოპოსს, სახელად ალავერდელს, თუმცა ის პირველ ხანებში ძალიან მტრულად იყო განწყობილი ჩვენი მამებისადმი, მაგრამ შემდეგ გადავიდა კათოლიკური სარწმუნოების მხარე-

¹ იქვე, გვ. 125.

² პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 104-105.

³ დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი..., გვ. 99, სურათი 82.

⁴ იგულისხმება დასავლეთ საქართველოში.

ზე¹. ორივე ეპისკოპოსის მსჯელობა და მათი ავტორიტეტი ლათინებზე სულ უფრო ზრდიდა წარმოდგენას მისიონერებზე კოლხებს შორის და ბოლოს მათ შეძლეს, დაეთანხმებინათ კოლხები სწორ ნათლობაზე, გადალახეს რა უფლის შემწეობით სხვადასხვა წინააღმდეგობა და სიძნელე².

როგორც აღვნიშნეთ, დონ კრისტოფორო კასტელი ოდიშის მთავარ ლევან II დადიანისაგან განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა. თუ არა ამას, სხვას რას უნდა ნიშნავდეს კასტელის შემდეგი სიტყვები: „ზოგჯერ ლევან დადიანთან მისი სარწმუნოების, სქიზმატიკოსების საწინააღმდეგო სიტყვებიც მითქვამს. მისთვის ასეთი რამის თქმას სხვა ვერავინ გაბედავდა და, რადგან თავისუფლებით ვსარგებლობდი, უშიშრად ვლაპარაკობდი პატრიარქებთან, მთავრებთან და მეფეებთან. ისინი ხალისით მისმენდნენ და სიყვარულით მეკიდებოდნენ მაშინაც კი, თუ მე მათი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყვოდი“³. ეს ინფორმაცია გვაძლევს ტოლერანტობისა და კათოლიკე მოძღვრისადმი, როგორც „თავისიანისადმი“, დამოკიდებულების სანიმუშო მაგალითს. იგი ასევე არაორაზროვნად გვაუწყებს, რომ კასტელი საერო და სასულიერო პირებთან რეგილიურ თემებზე ხშირად მართავდა დიალოგს.

კასტელისავე ცნობის თანახმად, მას ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I მაჭუტაძესთან (1639-1657). სწორედ ამ უკანასკნელმა 1634 წლის შემოდგომაზე, როგორც შემოქმედის მაშინდელმა ეპისკოპოსმა, ჩაიყვანა დონ კრისტოფორო კასტელი გორდიან გურიაში⁴. ამ დროიდან, თითქმის 20 წლის მანძილზე, სანამ კასტელი არ გაემგზავრა სამშობლოში, მათ შორის ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ერთგან კასტელი ძალზე ლაკონურად აღნიშნავს: პატრიარქი მაქსიმე I „...კეთილშობილი ადამიანი იყო... მრავალი წლის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გამიკეთა“⁵. საკუთრივ ქართველთა პატრიარქმა 1653 წელს ქადაგების დამთავრების შემდეგ მამა კასტელის ასე მიმართა: „მე ვიცი... ჩემდამი სიყვარული გამომრავებთ. წლების განმავლობაში მეც ვიჩენდი სიყვარულს თქვენდამი“⁶. ამგვარი სახის ოცწლიანი ურთიერთობა მოიცავდა რელიგიურ საკითხებზე მსჯელობების გამართვას. ამის შესახებ კასტელი თავის რელაციებში დიალოგის ერთ შემთხვევას ასახელებს, თუმცა საფიქრებელია, იგი მეტჯერაც გამართულიყო.

ასეა თუ ისე, ჩვენ მიერ რელიგიურ თემაზე დიალოგად სახელდებული შემთხვევა 1649 წლის აღდგომის დღესასწაულზე შედგა, როცა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და სამღვდლო დასმა მიიპატიუა დონ კრისტოფორო კასტელი. აქ გამართული დიალოგი ეხებოდა ისეთ მგრძნობიარე თემას, როგორცაა მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლის გადმოსვლა. კასტელის ნარატივის მიხედვით, ბერძნების, სომხების, აბისინიელების მსგავსად, ქართველები, ლათინებთან კამათისას, მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების დასამოწმებლად, ღვთაებრივი ცეცხლის გადმოსვლას იყენებდნენ, თუმცა ამის შესახებ კათოლიკე მისიონერების „...არგუმენტებზე ფრთხილი კამათისას, მათ მოაქვთ მოსაზრება, რომ ლათინთა აღდგომის დღეს ციდან არავითარი ცეცხლი არ ეშვება ლათინთა ეკლესიაში, ხოლო მათი საღვთო აკლდამა ამას ყოველი წელი ხედავდა“⁷ – წერდა კასტელი. ირკვევა, რომ ამ კამათისას ქართველ სასულიერო პირებს საკმარისი არგუმენტების მოტანა უჭირდათ და მარტივად აცხადებდნენ, რომ „...ლათინთა

¹ ცხადია, ავტორი ცდება. ალავერდელ მიტროპოლიტს კათოლიკობა არ მიუღია. ამას თვით კასტელის აქ მოტანილი სიტყვებიც ამოწმებს. ამიტომ თქმა იმისა, რომ ალავერდელმა „...მიიღო კათოლიკობა და კათოლიკე გარდაიცვალა 1658 წელს“, მთლად სიმათლეს არ შეეფერება (კლემენტე გალანო. დასახ. ნაშრ., გვ. 319, შენიშვნა 15.).

² კლემენტე გალანო. კოლხეთის შესახებ. კრებ.: „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ. IV-V, თბ., 1999, გვ.314.

³ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

⁴ Tabagua Ilia M. Op.cit., p. 287.

⁵ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 79.

⁶ იქვე, გვ. 96.

⁷ იქვე, გვ.70.

ეკლესიაში ციდან არ ეშვება ცეცხლი...“¹ და რამდენადაც ლათინები უფრო სწავლულები არიან, ვიდრე ისინი, შავს თეთრად ასაღებენ და თეთრს შავად². „ამიტომ საკმარისია ბერძნული კათოლიკური სარწმუნოება, რადგან ყოველი აღდგომის დღეს დიდ კმაყოფილებას განიცდიან. ამას კი ადასტურებს საღვთო ცეცხლის ციდან დაშვება მათ ეკლესიაზე“³. ამ თემაზე, როგორც ირკვევა, კასტელი ქართველ სასულიერო პირებს, ბარონიუსზე დაყრდნობით, შემდეგი არგუმენტებით პასუხობდა: „ამის შესახებ მათ ვუპასუხე, რომ ეს შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს გარკვეულ დონემდე. როგორც ბარონიუსი აღნიშნავს, ეს ცეცხლი ციდან ეშვებოდა, მაგრამ ღვთაებრივი სამსჯავროს შემდეგ ის უკვე აღარ ჩნდება. ისევე, როგორც სხვა სწავლულები, რომლებიც ღმერთმა თავისი ეკლესიის შექმნის დროს წარმოშვა, ბერძნული ეკლესიის რომის მოციქულებრივი ეკლესიიდან გამოყოფის შემდეგ, რამდენადაც ეს ქვეყნები თურქების ხელში აღმოჩნდნენ, ზემოხსენებული ცეცხლი უკვე აღარ გამოჩენილა“⁴. ამ არგუმენტის გასამყარებლად, კასტელი უფრო შორს მიდიოდა და მოპაექრებს უმტკიცებდა. „ქრისტიანი-რენეგატების“⁵ რჩევით, თურქებმა შორეულ ქვეყნებთან მეტოქეობისათვის⁶ ამ ცეცხლის მნიშვნელობა კარგად გამოიყენეს. აღმოსავლელმა ქრისტიანებმა ცეცხლი იხილეს არა ჩვენი აღდგომის დღეს, როდესაც თურქეთის ფაშამ, გუბერნატორმა თუ ვიცე-მეფემ იერუსალიმში ხალხით სავსე საღვთო აკლამაზე ვერაგულად სანთლები დააწყო. ეკლესია სავსე იყო აღმოსავლელი ქრისტიანებით, კერძოდ, სქიზმატიკოსებით, სომხებით, მეგრელებით, ქართველებით და სხვ. შემდეგ ყველა გავიდა ეკლესიიდან. ფაშამ კარები დაკეტა და იგი ეკლესიის ბეჭდით დალუქა. ამ დროს ეკლესიის შიგნით ერთი მსახური დატოვა, რომელსაც წმ. საფლავზე უნდა აენთო ყველა სანთელი, რის შემდეგ უნდა დამალულიყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ქრისტიანები ეკლესიის გარშემო იდგნენ და ზეციდან ამ ცეცხლს ითხოვდნენ. როდესაც ფაშა დარწმუნდა, რომ სანთლები უკვე ანთებული იქნებოდა, მან ბეჭედი ახსნა, კარები გააღო და ყველა ქრისტიანი ეკლესიაში შევიდა. დაინახეს რა სანთლები, ყველამ მორთო ყვირილი „კირეელეისონ, კირეელეისონ, კირეელეისონ!“ და დარწმუნდნენ თავიანთ შეუმცდარობაში. ამ ყალბი ცეცხლიდან ყველამ თავისი სანთელი ანთო და დიდი ცერემონიალით შემოერთყნენ ეკლესიას; ქება-დიდებას ასხამდნენ უფალს, რომ მან ამ სასწაულით მათში რწმენა განამტკიცა. ამ წინასწარ გამიზნულ მოქმედებას ეფუძნება მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანული სარწმუნოება“⁷.

ამ ვრცელი ამონარიდის მიხედვით სავსებით ბუნებრივი იქნებოდა ქართველ სასულიერო პირთა და, მითუმეტეს პატრიარქის გულისწყრომა და შეხლა-შემოხლა, მაგრამ ამის შესახებ კასტელი არაფერს მოგვითხრობს. ის უბრალოდ აღნიშნავს, რომ ასეთი საჯარო განცხადებით „...პატრიარქი საშიშროების წინაშე დგებოდა“⁸, მაგრამ, როგორც ვთქვით, ამ პაექრობას ინციდენტი არ მოჰყოლია.

რაც შეეხება ამავე წვეულებაზე გამართული დიალოგის მეორე საკითხს, იგი ეხებოდა სულიწმინდის გარდამოსვლას, ანუ „ფილიოკვეს“. პაექრობა, როგორც ჩანს წამოიწყო „...ბერძენთა პატრიარქის“⁹ ერთმა მოძღვარმა“ ისააკმა, რომელსაც ადრე ამ თემაზე ხანგრძლივი დიალოგი ჰქონდა გურიაში მყოფ თეატინელ მისიონერებთან¹⁰. ორივე მხარე საკუთარი არგუმენტებით ცდილობდა ჭეშმარიტების დადგენას. საბოლოოდ კამათმა გადაინაცვლა პაპის პრიმატის მოძღვრების გარშემო და აქაც მთავარი არგუმენტი „ეკლესიათა გათიშვის“ შემდგომ განვითარებული

¹ იქვე, გვ.70.

² იქვე.

³ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 70.

⁴ იქვე.

⁵ ჩვენი აზრით, ამაში ავტორი მეტი ალბათობით ბერძენ რენეგატებს გულისხმობს.

⁶ იგულისხმება დასავლეთის კათოლიკური ქვეყნები.

⁷ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 70-71.

⁸ იქვე, გვ.71.

⁹ ცხადია, იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქი.

¹⁰ იქვე, გვ. 72, შენიშვნა 67.

პოლიტიკური მოვლენების მოხმობა და კონსტანტინოპოლის დაცემით გამოწვეული ვითარების შესწავლა გახლდათ. ეს მომენტი ძალზე შთაბეჭდავად აქვს აღწერილი კასტელის. ბერძნებს „...ეუპასუხე, – წერს კასტელი, – ასეთმა შინაგანმა სიძულვილმა, რომელიც აქვთ ბერძნებს მისი უწმიდესობის მიმართ, ხელი შეუწყო მათ (ბერძნების-მ.პ.) დალუპვას. როცა გაერთიანებულნი იყვნენ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, როგორც კი აჯანყდნენ, წმ. ეკლესიის ნავსაყუდელი გაიყო. ისინი (ბერძნები – მ.პ.), როგორც მწვანე ხიდან მოჭრილი ტოტი, გახმნენ, ჩამორჩნენ და ყოველგვარი სიანხლე დაკარგეს. მათ კითხვა დაუუსვი და ვუთხარი: სად არის ბერძნების იმპერია და სიბრძნე? სად არიან წმინდანები? იმ პერიოდში, როცა გაერთიანებულები იყვნენ ამ ორი ეკლესიიდან ერთ-ერთს რომის პაპი წმ. პეტრეს ვიკარიუსი მეთაურობდა, მაშინ ხომ იყვნენ აყვავებულნი? მათ (ბერძნებმა – მ.პ.) წააგეს და პატრიარქიანად თურქების, ქრისტიანების მტრების მონები გახდნენ. ის (კონსტანტინოპოლის პატრიარქი – მ.პ.) მტრის, ქრისტეს მოწინააღმდეგის (ოსმალეთის სულთნის – მ.პ.) მიერაა არჩეული. ამ დიდმა ბატონმა (ოსმალეთის სულთანმა – მ.პ.) ამჯობინა ბერძნების პატრიარქი და ურწმუნოთა მონები გახდნენ“¹.

ამავე კასტელის თანახმად, ამ დიალოგს ხსენებული პატრიარქი მაქსიმე I „...უხალისოდ უსმენდა“ და ბერძნების საწინააღმდეგო სიტყვაც კი უთქვამს, „...ხოლო მე კი მისთვის საწყენს ვამბობდი და ეს არ მოეწონა“², – გვაუწყებს ავტორი. ირკვევა, რომ პატრიარქი ძალზე მოზომილად და თავდაჭერილად შეეპასუხა კასტელის. „ჩემთვის პატრიარქს არ შეეძლო ეპასუხა, რადგან ხედავდა, რომ სიმართლე ვთქვი. ეს კი მას შიგ გულში ხვდებოდა. ბოლოს, რომ დამშვიდებულიყო, მითხრა: თქვენ არ იცით დიალექტიკა. სარწმუნოების დასადასტურებლად, აღდგომის დღეს კონსტანტინოპოლში ზეციდან დაეშვა ღვთიური ცეცხლი, ხოლო თქვენ (კათოლიკეები – მ.პ.) ქრისტიანები ხართ, მაგრამ ზეციდან დაშვებული ღვთიური ცეცხლის გარეშე. პატრიარქს ვუპასუხე: ჩვენ არ გვჭირდება ყალბი ცეცხლი და, თუ ჩვენები ამას იერუსალიმში მოისურვებენ, უფრო ნაკლები ფულით, ვიდრე ისინი, ამას ადვილად მიადწევდნენ“³. ამავე წყაროს მიხედვით, ღვთიური ცეცხლის შესახებ მსჯელობა პატრიარქსა და კასტელის შორის ამით არ დასრულებულა. ეს უკანასკნელი ახალი არგუმენტებით განამტკიცებდა თავის სათქმელს ცეცხლის სიყალბეზე და ბოლოს პატრიარქს ასე მიმართა: „...ეს ცეცხლი ყალბია, ხელოვნურია. ამას მხარს თურქები უჭერენ, რადგან იმ მრავალი ათასი ქრისტიანისაგან, რომლებიც ამ ცეცხლის დასანახად იერუსალიმში ჩადიან, დიდი შემოსავალი მიიღო... ვინმე აბისინიელს, რომელიც წმ. საფლავიდან გამოდის და ბერძენ პატრიარქს უკან მისდევს, ჯიბეში ტაკლვესი და აბედი აქვს, რათა ხელოვნურად გააჩინოს ცეცხლი, რომლის შესახებ მერე ამბობენ, რომ იგი ზეციდან დაეშვაო“⁴.

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენი სასულიერო პირების თანდასწრებით პატრიარქის წინაშე ასეთი სითამამე გაუგონარი რამე იყო. ახლა უკვე მეტად აღშფოთებულმა პატრიარქმა წამოიძახა: „თქვენ არ მოგისმენიათ უცხოელი პაპისაგან“⁵ ასეთი ამბის უარყოფა! ლოცვა-კურთხევის ქვეყანაში ეს არავის გაუბედავს“. პატარა კვერთხით ხელში ის იდგა ფეხზე და კეთილ მოხუცს შეეხო. აღშფოთებულმა ხელი ასწია, რათა ჩემთვის დაერტყა, მიბიძგა და სუფრაზე მთელი წესრიგი დაირღვა, ეპისკოპოსები ადგნენ, ყველა გოცელები იყო“⁶. როგორც კასტელი ამბობს, მომხდარი ამბავი ქალაქში სწრაფად გავრცელდა. მთავარს, ლევან II დადიანს, ეს ამბავი არასასიამოვნოდ დაურჩა, რადგან, პატრიარქის თქმით, კასტელიმ მასთან ბრძოლა დაიწყო. ამიტომ მთავარი ურჩევდა კასტელის, რომ ჭეშმარიტების დაცვა სიცოცხლის ფასად არ დაჯდომოდა,

¹ იქვე, გვ. 73-74.

² იქვე, გვ.74.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 74-75.

⁵ იგულისხმება მღვდლისაგან.

⁶ პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 75.

რადგან, რაც მან გაბედა „...პატრიარქის წინაშე მრავალი პიროვნების თანსაწრებით... ეს დიდი საქმეა“¹.

როგორც მოტანილი წყაროდან ვხედავთ, პატრიარქმა კასტელი მოიხსენია „უცხოელ“, „უცხო“, ე. ი. „არათვისიან“, ანუ „სხვა“ მღვდლად, მაგრამ ამას, საბოლოო ჯამში, „უცხოელის“ მიმართ აგრესია არ გაუჩენია. ეს იმიტომ, რომ კასტელის დიალოგი არანაირად არ ეფუძნებოდა იმის მტკიცებას, რომ, კათოლიკეებთან შედარებით, მართლმადიდებლები არათანაბარნი არიან. ასეთ შემთხვევაში შედეგი უფრო სხვანაირი იქნებოდა, ვიდრე იგი, რაც ამის შემდეგ განვითარდა. ჩვენი აზრით, სწორედ ამის გაგებას ეყრდნობოდა პატრიარქის შერიგება კასტელისთან. აი, რას გვაუწყებს, მამა კასტელი: „...პატრიარქმა მასთან სადილად დამპატიჟა და დიდი პატივი მომაგო. შემდგომში სამეგრელოში ჩამოვიდა და დიდ მფარველობას მიწევდა... როცა ავად გახდა, მიმიწვია და მთხოვა; მის ლოგინთან ვმჯდარიყავი. ყოველთვის, სუფრაზეც და ნებისმიერ სხვა ადგილას, მის გვერდით ვყოფილიყავი. პატრიარქი საოცარი მოწიწებით მიწოდებდა თავის ძმას და დამპირდა, რომ იერუსალიმში ჩემთან ერთად წავიდოდა იმ ცეცხლის სანახავად, რომელიც დაკეტილი კარის მიღმა ენთებოდა და რამაც დააფიქრა. იტალიაში რომ არ წავსულიყავი, ის ამას გააკეთებდა“². ჩვენს აზრს კიდევ მეტად ამყარებს თვით კასტელის შემდეგი სიტყვები: „პატრიარქი იტალიაში ჩემი დაბრუნების წინააღმდეგი იყო. ამიტომ სამეგრელოს მთავარს ეუბნებოდა, რომ ამისი ნებართვა ჩემთვის არ მოეცა. პატრიარქი მთავარს არწმუნებდა, რომ ჩემი წასვლა მისთვის დიდი დანაკლისი იქნებოდა, ხოლო მისიონი იმ გავლენას დაკარგავდა, რომელიც მას ამ ქვეყანასა და ხალხში მოუხვეჭე“³ და კიდევ: „ამ კათალიკოსის თხოვნით, კოლხთა მეფემ (ლევან II დადიანი-მ.პ.) ერთი წელი დამაყოვნა... ამ პატრიარქთან სიახლოვე სამეგრელოს გარეთაც მდგომარეობას მიმსუბუქებდა... მოეწონა, რომ გავანათლე იგი (პატრიარქი – მ.პ.) და გავაგებინე ის, რასაც ვწინასწარმეტყველებდი. იოლად დავარწმუნე ის, რადგან მეტად კეთილშობილი ადამიანი იყო. პატრიარქს სურდა, რომ უფალს გაენათლებინა და ჭეშმარიტება გაეგო“⁴. შესაძლებელია, კასტელის ამ ინფორმაციაში გაზვიადებასაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ იგი ვერანაირად შეცვლის ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნის არსს. ასეთი იყო კასტელის ყოველდღიურობის ერთი მაგალითი საქართველოში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, დავასკვნით: თეატინელი მისიონერები ქართულ სამყაროში ახალ რეალობას ქმნიდნენ. დასავლურ სამყაროს მოწყვეტილ საქართველოში მათი საქმიანობით ქვეყანა ევროპის სინამდვილის შესახებ თავის წარმოდგენებს აფართოებდა და მათი მიღება, როგორც „თავისიანის“, მართლმადიდებელი რწმენის დათმობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ „კულტურული ადაპტაცია“ და „ევროპეიზაცია“ ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო რელიგიური კომპრომისების გარეშე. ეს ორმხრივი ურთიერთობა არ ეფუძნებოდა „უცხო“ შეცნობის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვექნებოდა რელიგიური დიალოგის გამართვასთან. ბერძნული სქიზმის მიმდევარ ქართველებთან კომუნიკაცია კათოლიკური დოქტრინების „ჭეშმარიტების“ გაგებას და „თავისიანის“ მიერ მის მიღებას ისახავდა მიზნად. თეატინელი მისიონერის დონ კრისტოფორო კასტელის საქართველოში ყოველდღიურობის ერთ-ერთ მთავარ ასპექტს აღნიშნული მიმართულებით მოქმედება წარმოადგენდა.

1 იქვე, გვ. 78.

2 იქვე.

3 იქვე, გვ. 79.

4 იქვე.

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ANALYSIS OF ONE EPICODE FROM THE EVERDAY LIFE OF DON CRISTOFORO
CASTELI'S IN GEORGIA
RESUME**

Don Cristoforo Castelli, missionary from the Theatines Order, led his activity in Georgia for 22 years (1632-1654). He spent almost 14 years in the Principality of Odishi. In this article, based on the missionary activities of Castelli's, the following conclusion is made: Missionaries created a new reality in the Georgian world. Thanks to missionary activity in Georgia, the country expanded its perception of reality about Europe and accepted the Catholic fathers "as its own," without endangering their Orthodox faith. This indicated that "cultural adaptation" and "Europeanization" were acceptable to the Georgian reality without religious compromises.

მაქარაშვილების საგვარეულო და სოფელი არბო

XIX საუკუნის II ნახევარში სოფელ არბოში მცხოვრები ღურმიშხან ჟურულის¹ ქალიშვილის – ნინოს მეუღლე იყო ცნობილი სამხედრო მოღვაწე – გენერალი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი. მაქარაშვილები რაჭის ერთ-ერთ ისტორიულ სოფელ ღარში ცხოვრობდნენ. ილია მაქარაშვილის მამა – საყვარელა დავითის ძე მაქარაშვილი 1843 წლით დათარიღებულ ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის აღსარების მთქმელ მორწმუნეთა ნუსხაში იხსენიება. საყვარელა მაქარაშვილს ორი ძმა ჰყავდა – დარისხანი და ვახუშტი. იგი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველ ქორწინებაში იმყოფებოდა ბარბარე ბუჭას ასულთან (საეკლესიო ჩანაწერებში მისი გვარი არ ჩანს). ბარბარესთან საყვარელა მაქარაშვილს ექვსი ვაჟი შეეძინა: იოანე, ლუარსაბი, კონსტანტინე, ილია, ვახუშტი და ქაინოსრო. საყვარელას მეორე თანამეცხედრე ეკა ზურაბის ასული იყო (საეკლესიო წიგნში არც მისი გვარია ცნობილი), რომელთანაც 1876 წლის 29 ივლისს, ქალიშვილი თეოდოსია შეეძინა. ღარის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩანაწერის მიხედვით, არბოში ჩასიძებული ილია მაქარაშვილი 1854 წლის 1 ნოემბერს დაიბადა.* ილია მაქარაშვილი 1854 წლის 23 ნოემბერს მონათლა. ახალშობილის ნათლია დაბა ონში მცხ. აზნაური ლუარსაბ დავითისძე ჯაფარიძე იყო. ნათლისღება მღვდელმა იოვანე მაქარაშვილმა აღასრულა. ილიას მამა საყვარელა, საეკლესიო ჩანაწერის მიხედვით, 1897 წლის 21 დეკემბერს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. წესი აუგო მღვდელმა გრიგოლ ნანუკაშვილმა, მედავითნე გიორგი მეტრეველთან ერთად.² ილია მაქარაშვილის საფრანგეთში მცხოვრები უმცროსი ვაჟი მიხეილ მაქარაშვილი თავის მოგონებაში საყვარელა მაქარაშვილის შესახებ განსხვავებული ინფორმაციას გვაწვდის. როგორც მოგონების ავტორი აღნიშნავს, 1791 წელს დაბადებულ საყვარელას მონაწილეობა მიუღია 1812 წლის ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. მისივე გადმოცემით, იგი სიმამაცისთვის მედლითაც დაუჯილდოვებიათ.** მიხეილ მაქარაშვილის ცნობით, საყვარელა მაქარაშვილს ჯაფარიძის ქალთან სამი ვაჟი და ორი ასული ჰყავდა (როგორც მივეუბნებოდით, ღარის საეკლესიო ჩანაწერში განსხვავებული ინფორმაციაა შემონახული).³ მაქარაშვილების გვარის წარმომავლობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ზემოთ ნახსენები მოგონების ავტორი. იგი თავის შორეულ წინაპრებად თავდგირიძეებს მიიჩნევს: „მაქარაშვილების გვარი თავად თავდგირიძეთა შტოა: ერთ-ერთმა თავდგირიძემ XVII საუკუნეში მოიტაცა მეზობელი თავადის ქალიშვილი; ისინი თურქეთში გაიქცნენ, რადგან ქალის ძმის შურისძიებისა ეშინოდათ. მათმა ერთადერთმა ვაჟმა ოცი წლის ასაკში გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება. აქ მას საფრთხე ელოდა ბიძების მხრიდან, ამიტომ გადავიდა რაჭაში, საკმაოდ შორს თავისი ოჯახის წევრებისაგან. მამამისს

¹ იხ. გ. სოსიაშვილი, ჟურულის საგვარეულოს ისტორიიდან, კრებ. ელდარ მამისთვალიშვილი-80, 2019, 199-206; გ. სოსიაშვილი, სოფელ არბოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 2019, გვ. 131-134.

* თუმცა ერთ-ერთ რუსულ დოკუმენტში, რომელიც ილია მაქარაშვილის სამხედრო კარიერას შესახებ გვცვლ ინფორმაციას გვაწვდის, მისი დაბადების თარიღად 1 დეკემბერია მითითებული.

² ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონდი 21 საქმე 24, ფურცელი 39.

** აღსანიშნავია, რომ 1812 წლის სამამულო ომში მონაწილე ქართველების ჩამონათვალში საყვარელა მაქარაშვილი არ გვხვდება. მათ შორის ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ძის ბაგრატ ბატონიშვილის მიერ შედგენილ ომში მონაწილე ქართველთა ნუსხაშიც. ილია მაქარაშვილის მამის ომში მონაწილეობა არც სხვა მასალებით დასტურდება. ი. ანთელავა, ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984. ჩვენთვის უცნობია, რომელ დოკუმენტზე დაყრდნობით წერდა მისი შთამომავალი.

³ პ. ნაცვლიშვილი, მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო! გაზ. „სამშობლო“, მაისი, 1992, გვ. 6.

ახალგაზრდობაში მეტსახელად „ქარს“ ეძახდნენ სწრაფი სიარულის გამო და მან „მაგ ქარის შვილი“ დაირქვა, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც „მაქარაშვილი“. მამაჩემს ხშირად ურჩევდნენ, რომ დაებრუნებინა თავისი თავადური გვარი – თავდგირიძე, მაგრამ იგი ყოველთვის უარს ამბობდა. მე ვერსად მივაკვლიე ჩვენი გენეალოგიის დასაწყისს, ამიტომ მხოლოდ ჩემს ბე-ბიასა და ბაბუაზე ვიამბობთ.”¹

თავდგირიძისაგან მაქარაშვილთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ამ მხრივ რაიმე დოკუმენტური მასალა არ მოპოვება. ჩვენი აზრით, ეს უფრო მაქარაშვილების გვარში არსებული ლეგენდა იყო. საქართველოში არსებობდა გვარი მარქარაშვილი. აღნიშნული გვარი იხსენიება 1537-1538 წ.წ. დოკუმენტში.² მარქარაშვილი იხსენიება ასევე 1705 წლის ერთ საბუთშიც, რომლის მიხედვით დომენტი III კათალიკოსმა წინწყაროელი მარქარაშვილები გაათარხნა და ა.შ.³ მარქარაშვილთან ერთად, დოკუმენტებში ხშირად გვხვდება ასევე მაქარაშვილების გვარიც.⁴ XVII საუკუნის I ნახევრის დოკუმენტების მიხედვით, მაქარაშვილები საბარათიანოში ცხოვრობდნენ.⁵ შესაძლებელია, რაჭაში მცხოვრები გვარი ზემოთ ნახსენებ ერთ-ერთი საგვარეულოდან მომდინარეობდა.*

ილია მაქარაშვილმა სამხედრო განათლება მიიღო ჯერ კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში**⁶, შემდეგ კი პავლოვსკის სამხედრო სასწავლებელში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში 1877-1878 წლებში. იყო 39-საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი. თურქეთის წინააღმდეგ (დევე-ბონუ) 1877 23 ოქტომბერს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის 1878 წლის 23 დეკემბერს, წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.⁷ 1895 წლიდან ილია მაქარაშვილი 1 ბატარეის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1897 წლიდან – 1 ბატარეის კავკასიის გრანადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 1898 წელს მომავალი გენერალი კავკასიის 1-ლი სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელი გახდა. 1902 წელს იგი მე-7 ნაღმტყორცნელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. 1904 წელს ილია მაქარაშვილი 67-ე საარტილერიო ბრიგადის, 1904 წლის ივლისიდან თურქესტანის მე-2, შემდეგ კი 52-ე საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო. ილია საყვარელას ძე მაქარაშვილმა 1882 წელს კაპიტნის წოდება მიიღო, 1895 წელს – პოდპოლკოვნიკის, 1898 წელს – პოლკოვნიკის, 1906 წელს – გენერალ-მაიორის, 1910 წლის 15 ოქტომბერს კი მისი სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაგვირგვინდა.⁸ რუსეთის იმპერატორის მიერ ილია მაქარაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით. მათ შორის: წმინდა სტანისლავის (1877), წმინდა

¹ პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

² ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1994, გვ. 434.

³ იქვე, გვ. 434.

⁴ იქვე, გვ. 424.

⁵ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ანა ბაქრაძემ, ლევან რატიანმა და გიორგი ოთხმეზურმა, თბ., 2004, გვ. 13.

* აღსანიშნავია, რომ არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილ ეპიტაფიაზე მოხსენიებულია ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი. როგორც ჩანს მაქარაშვილის „მაქარაშვილად“ ქცევა რუსული ენის გავლენის შედეგად მოხდა. ასეთივე ფორმით ამოტვიფრეს გვარი მის უკანანასკნელ განსასვენებელზე. იხ. ქვემოთ.

** აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე სამხედრო პირი (სოსნოვსკი, გურკოვსკი, კრივცოვი, ვერეინოვი, ბოგაევსკი, მანშტეინი), მათ შორის ილია მაქარაშვილი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი გახდა.

⁶ http://cadet.org.ua/uploads/Kj_4.pdf

⁷

https://books.google.ge/books?id=4kD5AgAAQBAJ&pg=PA213&lpg=PA213&dq=илия+макарашвили&source=bl&ots=4LD0YHbJK1&sig=ACfU3U2ReCkwws1MHZqd16zOVmpXFhdOQ&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwifqa_h85zhAhVOiqQKHbyjAYMQ6AEwBnoEAgQAQ#v=onepage&q=илия%20макарашвили&f=false

⁸ <http://regiment.ru/bio/M/160.htm>; http://www.rusgeneral.ru/general_m.html; Грузинский генералитет (1699-1921) Биографический справочник Составил Мамука Гогитидзе, Киев, 2001, 232 с.

<http://petergen.com/sources/grugener.shtml>; <http://morpolt.milportal.ru/cobexiya-gabriel-oni-byli-geroyami-otechestvennoj-voyny-1812-goda/>

გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით(1878), ოქროს იარაღით (1878), წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით (1878), წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, წმინდა ანას ორდენით (1886), წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენით (1901).¹ მამამისის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ მისი უმცროსი ვაჟი მიხეილი წერს: „მამაჩემი ყველაზე უმცროსი იყო. იგი სწავლობდა კიევში, კადეტთა ნაწილში – არტილერიის ოფიცერთა სკოლაში; მონაწილეობდა 1877 წელს თურქეთის წინააღმდეგ ომში. იქ გამოჩენილი სიმამაცისათვის ყოყმანის შემდეგ წარადგინეს წმინდა გიორგის ჯვარზე, შემდეგ კი – წმინდა გიორგის ოქროს ხმალზე, მაგრამ არც ერთი არ მიუღია, რადგან... ქართველი იყო. ერთხელ მამას ოთხი ტყვიამფრქვევით გაუნადგურებია თურქეთის 50 ტყვიამფრქვევი, ხოლო შემდეგ გადარჩენილი თურქები იარაღიანად ტყვედ წაუსხამს. ამის შემდეგ, როგორც იქნა, დააჯილდოვეს წმინდა გიორგის ჯვრით. ეს ეპიზოდი შესულია რუსულ ენაზე გამოსულ წიგნში „საქართველოს მატთანე“. მამა საკმაოდ გვიან დაქორწინდა, 36 წლის ასაკში, მაგრამ უკვე 31 წლისას გადაწყვეტილი ჰქონდა დედაზე დაქორწინება. დედაჩემი ნინო ჟურული მაშინ ოცი წლისა იყო. გათხოვება სულაც არ სდომებია, რადგან ბედნიერად გრძნობდა თავს მშობლებთან. ძალიან მხიარული იყო, ჰყავდა ბევრი მეგობარი და არაფერზე არ ფიქრობდა, გართობის გარდა. მხოლოდ ხუთი წლის მერე დაქორწინდა მამა მასზე. დედამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ჯვარი დაეწერათ არბოს ახალ ეკლესიაში. რესტავრაციის შემდეგ ამ ეკლესიამ ჩემი მშობლების ჯვრისწერით დაიწყო მოქმედება.“²

გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი 1912 წლის ივლისში გარდაიცვალა. მისი სამხედრო კარიერა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრთან გაბმულ ინტრიგებს შეეწირა. ამის შესახებ მიხეილ მაქარაშვილი ივონებს: „ნიკუმას სიკვდილამდე (ივლისისხმება ილია მაქარაშვილის უმცროსი ვაჟის, ნიკოლოზის ტრაგიკული დაღუპვა, ამის შესახებ იხ. ქვემოთ) 6 წლით ადრე, რვა წლისამ დავკარგე მამა, რომლის სიკვდილიც ასევე ღიდ იარად დარჩა ჩემს გულში. მამაჩემი ილია გარდაიცვალა 1912 წლის ივლისში, 57 წლისა, ჩვენს მამულში, არბოში. იგი იყო საარტილერიო ბრიგადის გენერალი, რომელიც გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე თადარიგში გაუშვეს დამბლის გამო. დამბლა გამოიწვია ნერვიულობამ, რომელიც მას მიაყენა რუსეთის სამხედრო მინისტრთან დაახლოებული პირის, გენერალ სამსონოვის ინტრიგებმა. სამსონოვი გამოდიოდა ამიერკავკასიის საარტილერიო ნაწილის მთავარი ინსპექტორის პოსტზე მამაჩემის დანიშვნის წინააღმდეგ. რუსები ფიქრობდნენ, რომ ასეთი მაღალი თანამდებობის ნდობა ქართველისათვის მიზანშეუწონელი იქნებოდა. მამის თადარიგში გასვლამდე ჩვენ ვცხოვრობდით აშხაბადში, კასპიისპირეთის მნიშვნელოვან ქალაქში, სადაც მამაჩემი თურქესტანის მე-2 საარტილერიო ბრიგადის მეთაური იყო.“³ როგორც აღინიშნა, ილია საყვარელას ძე მაქარაშვილს ცოლად ჰყავდა ღურმიშხან ჟურულის ასული. ნინო ჟურულს და ილია მაქარაშვილს, არბოს წმინდა გიორგის სარევისტრაციო წიგნის მიხედვით, 1897 წლის 19 დეკემბერს ვაჟი – ნიკოლოზი შეეძინათ, რომელიც 1898 წლის 11 ოქტომბერს მონათლეს. ჩანაწერში ახალშობილის მშობლე-

¹ http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович;_Волков_С._В. Генералитет Российской империи: Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II. — М.: Центрполиграф, 2009. — Т. II (Л—Я). — 832 с. — ISBN 978-5-9524-4167-5. *Газетти А. Л.* Сборник сведений о Георгиевских кавалерах и боевых знаках отличий Кавказских войск / Под. ред. Генерал-майора Потто. — Тифлис: Типография Я. И. Либермана, 1901. — 287, 158 с. *Исмаилов Э. Э.* Золотое оружие с надписью «За храбрость». Списки кавалеров 1788—1913. — М.: Старая Басманная, 2007. — 544 с. — ISBN 978-5-903473-05-2. *Шабанов В. М.* Военный орден Святого Великомученика и Победоносца Георгия. Именные списки 1769—1920. (Библиографический справочник). — М.: Русский мир, 2004. — С. 351. — 3000 экз. — ISBN 5-89577-059-2. Списки кавалерам императорского военного ордена Святого великомученика и победоносца Георгия за боевые отличия. 26 ноября 1769 г. — 1 сентября 1880 г.. — СПб.: Военная типография, 1880. — 305 с. Список генералам по старшинству. Составлен по 10 июля 1910 г.. — СПб.: Военная типография, 1910. — 867, 37, 99 с. https://books.google.ge/books?id=kcv_AgAAQBAJ&pg=PA667&lpg=PA667&dq=%D1%81%D0%B0%BA%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%B5%D0%BB+%D0%BC%D0%B0%BA%D0%B0%D1%80%D0%B0%D1%88%D0%B2%D0%B8%D0%BB%D0%B8&source=bl&ots=gFflhL5yOM&sig=ACfU3U0la_sNmmlUuDi8Et1Ov8iwoDIkPA&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjNwdqY0K3uAhUOXUYUKHc1LCRAQ6AEwAHoECAUQAQ#v=onepage&q=%D1%81%D0%B0%BA%D0%B2%D0%B0%D1%80%D0%B5%D0%BB%20%D0%BC%D0%B0%D0%BA%D0%B0%D1%80%D0%B0%D1%88%D0%B2%D0%B8%D0%BB%D0%B8&f=false

² პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

³ პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

ბის შესახებ ვკითხულობთ: „კომანდერი არტილერიისა გრენადრის ბრიგადისა პირველ ბატარეისა პოდპოლკოვნიკი ილია საყვარელის ძე მაკარაშვილი და სჯულიერი ცოლი ამისი ნინა ღურმიშანის ასული ორნივე მართლმადიდებელის სარწმუნოებისანი. ახალშობილის „მიმრქმელად“ ჩანაწერის მიხედვით მოხსენიებულია: ქალაქ თბილისში მცხოვრები მეორე გილდიის ვაჭარი სვიმონ პავლეს ძე პავლოვი, ნათლობის საიდუმლო შეუსრულებია მღვდელ გიორგი გვიმრაძეს და „პრიჩუტნიკ“ ვასილ ლომოურს.¹ 1898 წელს ღურმიშან ჟურულის სიძე, ილია საყვარელის ძე მაკარაშვილი, რომელიც იმ დროისთვის პოლკოვნიკის ჩინს ფლობდა, არბოს წმინდა გიორგის ტაძრის სარეგისტრაციო წიგნში ონის უეზდის სოფელ ღარში მაცხოვრებელი გლეხის, დავით ივანეს ძე სამხარაძის შვილის – პარმენის მიმრქმელად იხსენიება.²

ილია მაკარაშვილის მეუღლის – ნინო ღურმიშანის ასულის შესახებ ერთ-ერთ წერილში საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ხალხოსანი მწერალი ნიკო ლომოური. როგორც ჩანს, ნინო ჟურული-მაკარაშვილისა საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. იგი გორში მცხოვრებ ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ მოსწავლეებს ეხმარებოდა. მას გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლთან, გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-დავითაშვილთან ერთად, გორში ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად საქველმოქმედო თეატრალიზებული წარმოდგენა გაუმართავს, სადაც მონაწილეობას იღებდნენ: ვ. აბაშიძე, ელ ჩერქეზიშვილი, ანას. აბაშიძე და სხვ. ამის შესახებ ნიკო ლომოური წერილში „ხმა პროვინციიდან“ აღნიშნავს: „ამ დიდებულმა გრძნობამ მოყვასის სიყვარულის და სიბრალულისამ ამ ჟამად თავის მოციქულებათ გამოიწვია პატივცემულნი ნინო ღურმიშანის ასული მაკარაშვილისა და წინამძღოლი გორის მაზრის თავად-აზნაურთა ბნი გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ დავითაშვილი. ამათ თავიანთი სათნოიანის გულით და განათლებულის გონებით შენიშნეს სავალალო მდგომარება აქურ ღარიბ მოსწავლეთა და გულმოდგინებით გაუწოდეს მათ ხელი შევლისა და დახმარებისა. ამ ჟამად შეგროვილი ფული დაწინიშულია ორის სასწავლებლის შეუძლებელ მოწაფეთათვის: საქალაქო პროგიმნაზიისა და საქალაქო სკოლისა. სრული შემოსავალი ამ საღამოსი გახლდათ 492 მ და 39 კ. აქედან დაიხარჯა 163 მ. და 76 კ. აღნიშნულ კეთილ საქმისათვის დარჩა 328 მ. და 63 კ. პატივცემულ ნ. დასულს მაკარაშვილისას და თავადს ბაგრატიონ-დავითაშვილს განზრახვა აქეთ გამართონ ამგვარივე საღამო იმავე აზრით თიბათვის დამდეგს გორის ციხეში...“³ ნინო ღურმიშანის ასულს გორის საქალაქო პროგიმნაზიის და საქალაქო სკოლის მოსწავლეთა დასახმარებელი საქველმოქმედო საღამო მომდევნო თვეშიც გაუმართავს. მას ამ საქმეში მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბი ეხმარებოდა. ნ. ლომოურის ცნობით: „ამ თებერვლის პირველ რიცხვებში ზემოხსენებულ სასწავლებელთა ღარიბი მოსწავლეების სასარგებლოდ საღამო იქმნა გამართული. ამ საღამოს გამგეთ ჰბრძანდებოდნენ ორი ცნობილი მანდილოსანი: კნ. მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბისა და ნინა ღურმიშანის ასული მაკარაშვილისა. როგორც პირველი, ისე მეორე დიდი ხანია, რაც ამ კაცთ მოყვარულ, ქრისტიანულ გზას ადგანან... ძნელია კაცმა მოიგონოს და სათითაოდ ჩამოსთვალოს რაოდენი კეთილი საქმე ჩაუდენიათ, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არა ხანგრძლივ, თავიანთ სიცოხლეში ამ პატივცემულ მანდილოსანთ!“⁴ ღონისძიების ორგანიზატორებს ტფილისიდან მოუწვევიათ ნატო გაბუნია და იოსებ ბარათაშვილი. საქველმოქმედო ღონისძიებიდან მიღებული შემოსავალი გორის სასწავლებლებს გადაეცათ.⁵ ნინო ღურმიშანის ასული ჟურული-მაკარაშვილისა იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გორის

¹ მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვილითა და გარდაცვალებულთასა. ჩყუზ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის, გვ. 8.

² მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვილითა და გარდაცვალებულთასა. ჩყუზ წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის, გვ. 8-9.

³ ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 181.

⁴ ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 184.

⁵ ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, გვ. 184.

განყოფილების დამხმარე წევრი (1904); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1906); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების წევრი (1915).¹

ნინო ჟურულს და ილია მაქარაშვილს რამდენიმე წელი ჰქონდათ სასიყვარულო ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ საქმრო ნინოს ბარათებს ფრონტის ხაზიდან უგზავნიდა, სადაც მომავალი გენერალი სამხედრო ოპერაციების შესახებაც უყვებოდა ნინოს. ქართული საზოგადოების ელიტის წარმომადგენელთა მონაწილეობით მას დაგეგმილი ჰქონდა გრანდიოზული ქორწილის გადახდა. შეუღლების შემდეგ ნინო თავის მეუღლეს ბრძოლის ველზეც დაჰყვებოდა. იგი ხშირად დაჭრილ სამხედროებს უვლიდა და მებრძოლებისთვის სურსათ-სანოვავს აგროვებდა. თურქმენეთში ცხოვრების დროს ნინო ჟურული საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. იგი ერთი პერიოდი ომში დაზარალებული სამხედროების და მათი ოჯახების დამხმარე ორგანიზაციის აშხაბადის განყოფილებასაც ხელმძღვანელობდა. 1811 წელს ნინო ჟურულმა სანკტ-პეტერბურგის სამმართველოდან სამადლოებელი წელიც მიიღო.² ილია მაქარაშვილის და ნინო ჟურულის ოჯახი კულტურის ნამდვილ კერად იქცა. მათ სახლში თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი პოეტები, მხატვრები, მსახიობები.³ ასეთივე კულტურულ კერას წარმოადგენდა ღურმიშხან ჟურულის სახლი სოფელ არბოში, სადაც გენერალი ილია მაქარაშვილი დამკვიდრდა. გადმოცემით, მაქარაშვილების და ჟურულების ოჯახს სოფელ არბოში ხშირად სტუმრობდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები, მათ შორის: იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძე. მაქარაშვილების ოჯახში დღემდე ინახება ილიას ფოტოსურათის ორიგინალი, რომელიც, გადმოცემით, ოჯახისთვის საჩუქრად თავად ილიას გადაუცია. ნინო ღურმიშხანის ასულთან ძალზე ახლო ურთიერთობა აკავშირებდა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე მთარგნელ მარიამ პრიტვიცს (ქალიშვილობის გვარი გუბერი). იგი დაიბადა 1876 წლის 2 ივლისს ბესარაბიის გუბერნიის ქ. კიშინიოვში. დაამთავრა ქ. ოდესის წმ. მარიამის სახელობის ქალთა საზოგადო გიმნაზიის 8 კლასი. შემდეგ სწავლობდა ქ. დრეზდენის პირველ ლიცეუმში მათემატიკურ-გეოგრაფიული განხრით. მ. პრიტვიცს მიუღია ფართო ჰუმანიტარულ-ტექნიკური განათლება, რაშიაც ხელს უწყობდა უცხო ენების ათვისების თანდაყოლილი ნიჭი. იგი რამდენიმე ენას ფლობდა, მათ შორის: ფრანგულს, იტალიურს, რუმინულს, ლათინურს, პოლონურს, რუსულს, გერმანულს, ინგლისურს. სამეცნიერო მოღვაწეობა მ. პრიტვიცმა 1918 წელს დაიწყო, ხოლო ლიტერატურულ საქმიანობას კი 1894 წელს მოჰკიდა ხელი. სხვადასხვა დროს იგი, როგორც ბიბლიოგრაფი, მთარგმნელი, მეცნიერ-მუშაკი მოღვაწეობდა კიევის განათლების კომისარიატში, სკოლებსა და კონსერვატორიაში. 1930 წელს კი ნავთობის გეოლოგიურ-დაზვერვით ინსტიტუტში აგრძელებდა საქმიანობას. იგი მონაწილეობდა ვაშინგტონში ჩატარებულ გეოლოგთა საერთაშორისო კონგრესშიც.

მ. პრიტვიცი სხვადასხვა ენიდან სამეცნიერო, თუ ლიტერატურულ ტექსტებს რუსულ ენაზე თარგმნიდა.⁴

მ. პრიტვიცი ხშირად სტუმრობდა ნინო ჟურულის ოჯახს, როგორც თბილისში, ასევე არბოში. არბოში ყოფნისას ნინოს მარიამ პრიტვიცისთვის ურჩევია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა დაეწყო.⁵ ნინო ჟურულის გარდაცვალების შემდეგ მარიამ პრიტვიცმა მჭიდრო ურთიერთობა გააგრძელა ნინო ჟურულის ქალიშვილთან, ირინა მაქარაშვილთან და მის მეუღლესთან, ანატოლი კიზირიასთან. ეს მეგობრობა სათავეს იღებდა მარიამის და ნინოს ურთიერთობიდან. როგორ დაიწყო ნინო ჟურულის რჩევით პრიტვიცმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, იგი ამის შესახებ სოფიო დავითის ასულ მაჭავარიანისადმი 1949 წლის 4 აგვისტოს გაგზავნილ წერილში

¹ <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/>

² ჟურნ. „გუმბათი-ექსპრესი“, 2010, 2-8 აგვისტო, გვ. 33.

³ იქვე, გვ. 33; ც. თევდორაძე, ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ, ჟურნ. „ლიტერატურე და ხელოვნება“, №10, 2010, გვ. 60.

⁴ რ. ჯანაშია, არდავიწყება მოყვრისა, ჟურნ. ბურჯი ეროვნებისა, № 5-6, 2003, გვ. 25-26.

⁵ ც. თევდორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

მოგვითხრობს: „...1940 წლის ზაფხულს ვატარებდი არბოში. დაუვიწყარმა ნინო ღურმიშხანის ასულმა მიბიძგა თარგმანისაკენ. სიტყვა ჩამოვარდა ჩემ მთარგმნელობით მუშაობაზე უფაში (სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან უფაში გაატარა. აქ იგი მსახურობდა სამედიცინო ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრაზე. რ. ჯანაშიას შენიშვნა). უფრო სწორედ იმაზე, რომ იგი შეწყვეტილი მქონდა. ნინო ღურმიშხანის ასულმა მისაყვედურა და მითხრა: აი, თარგმნეთ „ვეფხისტყაოსანი“! განა ეს ჩემ ძალებს აღემატება?! – ვუპასუხე, მაგრამ შემდეგ, თბილისში, მათ სასტუმრო ოთახში, ძილის წინ, ავიღე პეტრენკოს თარგმანი და ვცადე 2 სტროფის თარგმნა. გოეთესა და შილერის ნაწარმოებებზე აღზრდილი, გავოცდი, როგორ აჟღერდა ეს გერმანულად. მაშინ ნუცუბიძის თარგმანი ჯერ არ იყო... მეორე დღეს ბიბლიოთეკაში გავიგე, რომ არსებობს მხოლოდ არტურ ლაისტის თარგმანი გერმანულად და უორდროპისა – ინგლისურად... შემდეგ ეს სტროფები ვუჩვენე პროფ. შარლემანს და მის მეუღლეს. მათ დამლოცეს მუშაობის გასაგრძელებლად... ქ. უფას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა პეტრენკოს თარგმანი... თავდაპირველად მეგონა, რომ მხოლოდ პროლოგს ვთარგმნიდი, მაგრამ სამუშაომ ისე გამიტაცა, რომ ვმუშაობდი შეუსვენებლივ, სახლშიც, ინსტიტუტშიც. თვალწინ მედგა საქართველოს მთები, მისი ყოფა, რაც ასე მაგონებდა მშობლიურ ბესარაბიასა და მოლდაველებს – დედაჩემის წინაპრებს... პროლოგი გავუგზავნე აკად. შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც აღტაცებულმა მიპასუხა. იგი დამპირდა თავისი თარგმანის გამოგზავნას... სამუშაოს ვაგრძელებდი ნუცუბიძის მიხედვით. თან პეტრენკომაც ვიხედებოდი. ლექსი გავმართე მინორისა და მაჟორის მიხედვით. ჩემი ნამუშევარი ვაჩვენე აქაურ ერთ გერმანელ ქალს, მცოდნესა და განათლებულს... ნათარგმნ ნაწილებს ვუგზავნიდი აკად. ნუცუბიძეს... გზაში არაფერი დაკარგულა, მიუხედავად ომიანობისა... შემდეგ მივიღე აკად. ს. ჯანაშიას დეპეშა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გთხოვთ, გააგრძელოთ მუშაობა... თარგმანს ვუდარებდი, როგორც ნუცუბიძეს, ისე უორდროპისას, რომელიც საოცრად კეთილსინდისიერადაა შესრულებული... იმ ხანებში უფაში ევაკუაციაში იმყოფებოდნენ უკრაინელი აკადემიკოსები – პარნასი და ბულახოვსკი, რომლებმაც ასევე გაიცნეს ჩემი ნამუშევარი და რჩევებით დამეხმარნენ. ვისარგებლე არდადეგებით და ტექსტი გადავწერე, მაშინ უფაში უცხოურ-შრიფტიანი საბეჭდო მანქანები არ იყო... ნაშრომი გადავგზავნე თბილისში. რეცენზია დაწერეს აკადემიკოსებმა შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. 1946 წლის აპრილში ინსტიტუტის სხდომაზე საქ. მეცნ. აკადემიამ მიიღო ნაშრომი, რაც იმავე ზაფხულს აკად. ჯანაშიამ მცნობა და გამოქვეყნება თბილისში, სადაც 25 აგვისტოს ჩამოვედი კიდეც, მაგრამ ჯანაშიას ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ვნახე. თარგმანი მისივე მითითების მიხედვით ჩავასწორე. ამჟამად კი ველოდები მეცნ. აკადემიის ან გოქის მითითებებს. მოხარული ვიქნები, თუ გაწეულ ხარჯებს ამინაზღაურებენ...“¹ აღნიშნული წერილის ადრესატია სოფიო მაჭავარიანი. იგი ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოადგილე იყო, რომელთანაც მარიამ პრიტვიცს საქმიანი ურთიერთობა ს. ჯანაშიას დახმარებით ჰქონდა.² აკად. ს. ჯანაშიას მ. პრიტვიცის შესახებ ინფორმაცია ნინო ჟურნალის ქალიშვილმა, ირინა მაქარაშვილმა მიაწოდა. როგორც რ. ჯანაშია აღნიშნავს: „საქმე ისაა, რომ ჩვენი ოჯახის უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრები იყვნენ ირინე მაქარაშვილი და მისი მეუღლე (იგულისხმება ანატოლი კიზირია გ.ს.). სწორედ მათგან გაიგო 1940 წელს ს. ჯანაშიამ პრიტვიცის განზრახვის შესახებ. ბუნებრივია, იგი ყოველმხრივ ეცდებოდა ამ კეთილი საქმისთვის ხელის შეწყობას.“³ ს. ჯანაშიას ინიციატივით, მ. პრიტვიცის რედაქტორებად შ. ნუცუბიძე და ს. ყაუხჩიშვილი დაინიშნენ. 1943 წელს, ისტორიის ინსტიტუტის სახელით, ს. ჯანაშიას და მ. პრიტვიცს შორის ხელშეკრულებაც გაფორმდა. ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ მ. პრიტვიცი აგრძელებდა ურთიერთობას სოფიო მაჭავარიანთან და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან (ვიცე-პრეზიდენტ აკაკი შანიძესთან). როგორც ს. ჯანაშიას ქალიშვილი, რ. ჯანაშია აღნიშნავს, მ. პრიტვიცი, ხანდაზმულობის მიუხედავად, ხშირად ჩამოდიოდა

¹ რ. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

² იქვე.

³ იქვე.

ნინო ჟურულის ქალიშვილთან, ირინა მაქარაშვილთან, რომლის არქივშიც ინახებოდა მისი ორი ფოტოსურათი.¹

როგორც მიუთითებდით, ღურმიშხან ჟურულის სიძე – გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელას ძე მაქარაშვილი სოფელ არბოში დასახლდა. ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს ექვსი შვილი ჰყავდათ: უფროსი გიორგი, შემდეგ ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა, ირინე და მიხეილი.

აქედან სამნი – გიორგი, ბარბარა და მარიკა – ბავშვობაში სახადით გარდაიცვალნენ. ილია მაქარაშვილის ერთ-ერთი ვაჟი – ნიკოლოზი (ნიკუშა) სამხედრო კარიერის გზას დაადგა და სამთოცხენოსანი ბატარეის პოდპორუჩიკი გახდა, თუმცა მისი სიცოცხლე ნადრეკად შეწყდა. ემიგრაციაში მყოფი მიხეილ მაქარაშვილი იგონებს: „ჩემი ძმა ნიკოლოზი ანუ ნიკუშა, როგორც მას სახლში ვეძახდით, ჩემზე ხუთწლინახევრით იყო უფროსი. მას შემდეგ, რაც 1916 წელს თბილისის იუნკრების სასწავლებელი დაამთავრა, სწავლა განაგრძო პეტერბურგის ოფიცერთა საარტილერიო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1917 წელს, რუსეთის რევოლუციის დაწყების წინ. შემდეგ იყო ბრძოლა გერმანელებთან კავკასიის ფრონტზე, სადაც შედგა ნიკუშას საბრძოლო ნათლობა. 1917 წლის ოქტომბერში იგი, უკვე საქართველოში დაბრუნებული, დააწინაურეს საარტილერიო დივიზიაში. ეს იყო საქართველოს პირველი ეროვნული რაზმი, რომელსაც პოლკოვნიკი ცაგურია მეთაურობდა. 1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის თავდაცვის მინისტრმა ცაგურიას რაზმს უბრძანა, რომ საჭირო იყო არტილერიით უზრუნველყოთ ჯავშნოსანი მატარებელი. დავალების შესასრულებლად ნიკუშა, ოთხი იუნკერი და რამდენიმე ათეული ჯარისკაცი ორ იანვარს (ძველი სტილით) მატარებლით გაემგზავრნენ შამქორში. 15 იანვრის დღით დავინახე ჩვენსკენ მომავალი ჩემი ძმის თანამებრძოლი გვარად ჟღენტი. მან შემოსვლისთანავე ტირილით გვამცნო: „ნიკუშა მოკლეს!“ მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ ჩემი ძმის სიკვდილის გარემოებები: რუსებს დაუბოძიათ ღია ვაგონი, რომელშიც იყვნენ ნიკუშა, ორი იუნკერი და კაპიტანი აფხაზავა. დახოცილები დაასაფლავეს არბოში, ჩვენს ეკლესიაში. ჩემი ძმის ცხედარი დაკრძალეს მამაჩემის, ბებიაჩემის და ბაბუას გვერდით. მანამდე ცხედარი რამდენიმე დღით დასვენებული იყო თბილისში, ქაშუეთის ტაძარში. მას იცავდნენ ნიკუშას მეგობრები. წესის აგების ცერემონია ძალიან შთამბეჭდავი იყო. ჩემი ძმა ხომ ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც საქართველოსთვის თავი დასდო“.² არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილი ეპიტაფიიდანაც ირკვევა, რომ ნიკოლოზ ილიას ძე მაქარაშვილი შამქორის ბრძოლაში დაიღუპა. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ფრონტიდან წამოსული რუსეთის ჯარის ნაწილი აზერბაიჯანის მიმართულებით გადაადგილდებოდა, სწორედ ამ დროს ესწმოდნენ თავს რუსეთის საჯარისო შენაერთებს შეირაღებული თათრები, რომელთა რიგებში ოსმალ ოფიცრებიც იყვნენ. ნიკოლოზ მაქარაშვილი დაბომბვას ემსხვერპლა. არბოში შემორჩენილ ეპიტაფიაში ნიქოლოზ მაქარაშვილის დაღუპვის თარიღი, 1917 წლის 10 იანვარი, არასწორად არის მითითებული. ეს უზუსტობა ჩანს გაზ. „ერთობის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი სამძიმრის განცხადებიდან, სადაც ვკითხულობთ: „მწუხარებით გულმოკლული ნინა ღურმიშხანის ასული მაქარაშვილი თავის შვილებით ირინა და მიშათი, გიორგი ღურმიშხანის ძე და ელენა გიორგის ასული ჟურული უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 10 იანვარს სად. შამხორთან, ჯავშნიან მატარებელში ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველის ძვირფასი და დაუვიწყარი შვილი, მეორეთა საყვარელი ძმა, ხოლო დანარჩენთა ძმისწული ქართულ სამთოცხენოსან ბატარეის პოდპორუჩიკი ნიკოლოზ (ნიკუშა) ილიას ძე მაქარაშვილი. პანაშვიდი ქაშუეთის ეკლესიაში ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე. მიცვალებულს ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს. მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ, წირვა დაიწყება დილ. 10 ს. აქვეა, სამ-

¹ იქვე, გვ. 26.

² პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

მიძრის მეორე განცხადება: პარმენ დავითის ძე, სიმონ და ილია პარმენის ძენი გამყრელიძენი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ ნიკუშა მაკარაშვილის ტრადიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 6 საათ. დასაფლავება მოხდება სოფ. არბოში (გორის მაზრა) წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე. მიცვალებულს ქვაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენებენ და სადგურზე წაასვენებენ პარასკევს 19 იანვარს მიცვალებულის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.¹ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკები სასტიკად მოექცნენ არბოში მცხოვრებ ნინო ღურმიშხანის ასულ ჟურულს. მას იჯარით გაცემული ვენახი ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს. 1927 წლით დათარიღებულ დოკუმენტში „სიები ყოფილი თავადების, აზნაურების და მემამულეებისა ტყვიავის და შინდისის ზონების მიხედვით“ კვითხულობთ: „მაკარაშვილი ნინა ღურმიშხანის ასული – 55 წლის ქართველი, ყოფილი აზნაური, სოფელ არბოს მაცხოვრებელი, 17 წლამდე (1917წ) ჰქონდა ასი მეათედი სახნავი მიწის ნაკვეთი. მის მეუღლეს ილიას ჰყავდა 6 მონა, (ტექსტი რუსულ ენაზეა შედგენილი და აღნიშნულია „მონა“, უნდა ეწეროს ალბათ მოსამსახურე – გ.ს) ძალზედ ავიწროვებდა გლეხებს, ძალით ართმევდა საქონელს, მეზობელი სოფლებიდან მსხვილფეხა საქონელის (ნახირის) გადარეკვაში სულზე 50 კაპიკ გამოსასყიდს იღებდა. 17-21წწ. მისთვის მამული არ ჩამოურთმევიათ. მისი მეუღლე გარდაიცვალა 17 წელს (დოკუმენტში უზუსტობაა გენერალ ილია მაკარაშვილის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით. როგორც მისი ეპიტაფიიდან ჩანს (იხ. ქვემოთ) არის 1912 წელი, ნაცვლად მითითებული 1917 წლისა – გ. ს.) გლეხებთან უხეში ურთიერთობა ჰქონდა. 21-28 წწ. მიწის რეფორმის გატარებისას, მამული ჩამორთმეულ იქნა და ამჟამად სამი მეათედი ბალი აქვს, რომელიც არენდითაა გაცემული, გლეხებთან აქვს მტრული დამოკიდებულება, გლეხებსაც ეზიზღებათ ისინი. აქვს სახლი, ჰყავს სამი მოსამსახურე. ვაჟი მიხეილი სწავლობს საზღვარგარეთ, ჰყავს 60 წლის ძმა გიორგი ჟურული (დედამია დჟურული). ამ ტექსტს ახლავს მინაწერი: **მისი ძმა ჟურული გიორგი** (იგულისხმება საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული – გ.ს) **იმყოფება საზღვარგარეთ.**“²

ნინო ღურმიშხანის ასულის მიმართ ბოლშევიკების ზეწოლა ამით არ დასრულებულა. როგორც ყოფილი გენერლის მეუღლეს, გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ქონება ჩამოართვეს და სოფლიდან გაასახლეს. ამის მიზეზად გადაწყვეტილებაში მითითებულია ადგილობრივ გლეხთა უკმაყოფილობა. დოკუმენტში: „ამონაწერი გორის რაიალმასკომის პრეზიდენტის 1933 წ. სექტემბერი 19. სხდომის ოქმიდან № 29/100&“ კვითხულობთ:

„მოისმინეს: ნინო მაკარაშვილი ჟურულის შესახებ ტირძნისის სას. საბჭოს დადგენილება ბალ. ვენახის ჩამორთმევის და მისი სოფლიდან გასახლების შესახებ (მომხს. ამხ. სტეფანოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რაი აღმასკომის მიერ ამ საკითხის ადგილობრივ გამოკვლევა)

აზრი გამოსთქვეს: კალანდაძემ. კველიშვილმა. ელეგაშვილმა

დაადგინეს: ვინაიდან დიდი უკმაყოფილებაა სოფ. არბოში მცხ. კოლმეურ. და ინდივიდ. გლეხობის შორის ყოფ. გენერლის ცოლის ნინო ჟურულის შესახებ. რომელიც ამუშავებს თავის ვენახს დაქირავებული შრომით. რაოდენობით 1 გაქტ. (იგულისხმება ჰექტარი), ხილ-ბალი 0.5 გა. სახლი ხუთ ოთახიანი ამისათვის დადასტურდეს ტირძნისის სას. საბჭოს პრეზიდენტის დადგენილება ქონების ჩამორთმევაზე. მხოლოდ ერთი ოთახი და სამოსახლო ადგილი დარჩეს ჟურულის მოსამსახურეს, ქონება კი გადაეცეს არბოს კოლმეურნეობას. ნინო მაკარაშვილი ჟურულისა გასახლებულ იქნეს აღნიშნულ სოფლიდან დასტური ეთხოვოს საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

¹ „ერთობა“, №13, 1918, გვ. 1.

² საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი №2, ანაწერი №1, საქმე №495, გვ. 16.

თავმჯდომარე: ერ. კალანდაძე.

მდივობდა: არბოლიშვილი.

ასლი დედანთან სწორება:

საქმის მწარმოებელი (ე. მცხვეთაძე)¹ ბოლშევიკებისაგან შერისხული და სოფლიდან გაძევებული ნინო ჟურული-მაქარაშვილისა 1948 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მის ქალიშვილს, ირინა ილიას ასულს, სურვილი ჰქონდა, დედა არბოს წმინდა გიორგის ტაძარში, მშობლების, მეუღლის და შვილის გვერდით დაეკრძალა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოჯახს გარდაცვლილის ტაძარში დაკრძალვაზე უარი უთხრეს. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „დედაც არბოში გარდაიცვალა 1948 წლის 4 სექტემბერს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააკრძალვინეს იგი ეკლესიაში. ჩემი დის ირას წერილით შევიტყვე, რომ იგი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს“.² მოსამსახურე, რომელსაც გენერალ ილია მაქარაშვილის სახლში ერთი ოთახი დაუტოვეს ბოლშევიკებმა, სავარაუდოდ, ბეკოშვილების საგვარეულოს წარმომადგენელი იყო. საბოლოოდ ამ სახლს სწორედ ბეკოშვილები დაეპატრონნენ. ბეკოშვილები ამ დროისთვის არბოში რამდენიმე ათეული წლის დამკვიდრებულები იყვნენ. აღნიშნული გვარის წარმომადგენლები არბოს წმინდა გიორგის ტაძრის სარეგისტრაციო წიგნშიც იხსენიებიან.³ 1927 წლის სოფელ არბოს ამომრჩეველთა ნუსხაში ბეკოშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელია დაფიქსირებული. ბეკოშვილი ივანე ისაკის ძე (დაბ. 1877 წ.), ოლლა მიხეილის ძე (დაბ. 1892 წ.), ანა ივანეს ასული (დაბ. 1909 წ.), იოსებ ისაკის ძე (დაბ. 1857 წ.), ნინო გიგას ასული (დაბ. 1877 წ.).⁴ როგორც მიუთითებდით, ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს, ნიკუშას გარდა კიდევ ორი ვაჟი ჰყავდათ. გიორგი ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. მათი უმცროსი ვაჟი მიხეილი 1903 წელს დაიბადა. ფრანგულად დაწერილ მოგონებაში, რომლის დიდი ნაწილი პ. ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა, მიხეილი წერს: „დავიბადე 1903 წლის 7 ოქტომბერს ძველი სტილით (ახალი სტილით 20 ოქტომბერს) ჯილალ-ოღლიში – პატარა ქალაქში საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე. აქ იმყოფებოდნენ იმ დროს ჩემი მშობლები. მამა ქალაქის გარნიზონში მსახურობდა. მე მომნათლეს არბოში და იქვე ვცხოვრობდი ჩემს ბებიასა და ბაბუასთან ერთად“.⁵ ილია მაქარაშვილის უმცროსი ვაჟი მიხეილი 1922 წელს საფრანგეთში განათლების მისაღებად გაემგზავრა. მიხეილ მაქარაშვილი წერს: „მე დავტოვე ჩემი სამშობლო 1922 წელს, როგორც კი შემისრულდა 19 წელი, რათა ჩემი საინჟინრო განათლება უცხოეთში განმეძტვიცებინა. რაკი გადაწყვეტილი მქონდა დაბრუნება, თან არ წამომიღია არც ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ჩვენს ოჯახს. სიმართლე რომ ვთქვა, მე მაშინ ამაზე არც მიფიქრია. თუ ღმერთის წყალობით, ოდესმე მოგეცემათ საქართველოში წასვლის შესაძლებლობა და თუ წახვალთ, ვეჭვობ, მათი დაბრუნება შეძლოთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ერთადერთი და – ირა აღარ არის ახალგაზრდა და თანაც ქალაქები შეიძლება, უბრალოდ, დაიკარგა“.⁶ პარიზში მიხეილ მაქარაშვილმა გრენობლის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში პოლონელი ქალბატონზე, ელიზაბეტ გლასზე ჯვარი დაიწერა, რომელთანაც ორი შვილი – გიორგი და ინესი შეეძინა.

მიხეილ მაქარაშვილი 1967 წლის დეკემბერში 64 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო მისმა მეუღლემ ელიზაბეტ გლასმა კი 2007 წლამდე იცოცხლა. მიხეილის და ელიზაბეტის

¹ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი № 4, ანაწერი 1, საქმე № 135, გვ. 23.

² პ. ნაცვლიშვილი, მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო. გაზ. „სამშობლო“, მაისი, 1992, გვ. 8.

³ მეტრიჩესკის წიგნი, მიცემული საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმართველის სინოდის კანტორიდან გორის უეზდის არბოს წმინ. გიორგის ეკლესიასა შინა, ჩასაწერად დაბადებულთა, ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალებულთასა. ჩყვე წლისა, ნაწილი პირველი დაბადებულთათვის, გვ. 12.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი № 3, ანაწერი № 1, საქმე № 471, გვ. 16.

⁵ პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

⁶ პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

შვილებიდან, ინესს ორი შვილი შეეძინა: იზაბელი, რომელიც შემდგომში ბავშთა ბაგის დირექტორი გახდა და ასევე ნატალი, რომელიც ფარმაცევტის პროფესიას დაეუფლა.¹ ისინი საფრანგეთში, პარიზში ცხოვრობენ. მიხეილ მაქარაშვილის ვაჟი გიორგი მოგვიანებით პარიზიდან საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ პერუს დედაქალაქ ლიმაში გადავიდა საცხოვრებლად. თავდაპირველად იგი ადგილობრივ ბანკში მუშაობდა. სწორედ ლიმაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე – კარმენი. 1992 წელს პერუში მცხოვრები გიორგი მაქარაშვილი მონინახულა ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა, მაშინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ნაცვლიშვილმა. იგი წერს: „პერუს დედაქალაქში ჩასვლის პირველსავე დღეს მოვძებნეთ ბატონი გიორგი, რომელიც ლიმაში შვეიცარიული „ქიმიკა-სუისა“-ს წარმომადგენლობაში მუშაობს. მეორე დღეს კი მისი სტუმრები ვიყავით ლიმას გარეუბანში, ძალზე ლამაზად მოწყობილ მის ვილაში. ქალაქიც დაგვათვალისწინა, გვიმეგზურა, სასტუმროშიც ხშირად გვირეკავდა, ქართული სპორტის საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელი გასვლითაც ჩვენთან ერთად გაიხარა. ქართველ ტელემედიკოსებს საშუალება ჰქონდა, ეხილა ლიმაში ჩემს მიერ გადაღებული კადრები, ინტერვიუ ბატონ გიორგისთან და მისი ოჯახის წევრებთან“.² გიორგი მაქარაშვილს და მის პერუელ მეუღლეს – კარმენს 6 შვილი შეეძინათ. პ. ნაცვლიშვილთან მიცემულ ინტერვიუში თავისი ოჯახის შესახებ გიორგი მაქარაშვილი აღნიშნავს: „მეც ყოველთვის ვოცნებობდი, საკუთარი თვალთ მენახა ეს მშვენიერი ქვეყანა, ჩემი სამშობლო, მაგრამ საქართველოს ნაცვლად, ბედმა პერუში ჩამომიყვანა. მე და კარმენს ექვსი შვილი გვყავს: უფროსი მიხეილი – მიხო – 29 წლისაა (ინტერვიუ ჩაწერილია 1992 წელს – გ.ს.), მისი ცოლი – ლურდა-პერუელია, ორი შვილი ჰყავთ – მიშელი და ჟიზელი. შემდეგ ვირხინია მოდის, 28 წლისაა, იუგოსლავიური წარმოშობის პერუელს ჰყავს ცოლად, ერთი შვილი ჰყავთ – მირეო. 26 წლის პოლი, იგივე პავლე, ჯერ უცოლშვილოა; 25 წლის ვერონიკა ერთ თვეში გათხოვდება; შვეიცარიელ მასწავლებელს მიჰყვება ცოლად და საფრანგეთში იცხოვრებს. შემდეგ მოდის 19 წლის სერგო-სერხიო და ნაბოლარა – 7 წლის ანდრე, იგივე ანდრო“.³ დღეის მდგომარეობით გიორგი (გოგი) მაქარაშვილის მრავალრიცხოვანი ოჯახი პერუს დედაქალაქ ლიმაში ცხოვრობს. გიორგი (გოგი) მაქარაშვილს 89 წელი შეუსრულდა და თავს მხნედ გრძნობს. გიორგის (გოგი) და კარმენს 6 შვილი, 12 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი ჰყავთ. მათ მიწერ-მოწერა აქვთ საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან, კერძოდ, მერაბ მაქარაშვილის ოჯახთან. ოდნავ მოგვიანებით, მაქარაშვილების ფუძეზე დამკვიდრდა ცნობილი მეცნიერი ანატოლი კიზირია, რომელიც ირა (ირინა) მაქარაშვილის მეუღლე იყო. ანატოლი კიზირია უდროოდ გარდაცვლილი ნიკუშა მაქარაშვილის მეგობარი იყო. ანატოლი კიზირია დაიბადა 1889 წელს სენაკის რაიონში, სოფელ ნოსირში. 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, ხოლო 1916 წელს – პეტროვსკოე-რაზუმიოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. ანატოლი კიზირია 1918-1920 და 1923-1936 წლებში მოღვაწეობდა სენაკის მაზრის რევეკომში. 1932-1938 წ.წ. იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის და ელექტროფიკაციის კათედრის გამგის პოზიციას იკავებდა. 1938-1971 წ.წ. კი საქართველოს ზოოვეტერინალური სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კათედრას უდგა სათავეში. 1973-1976 წლებში ანატოლი კიზირია საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში კონსულტანტის პოზიციაზე მოღვაწეობდა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოღვაწე ქართველი მეცნიერი 1947 წელს სოფლის მეურნეობის დოქტორი გახდა, ხოლო 1948 წელს – პროფესორი. 1965 წელს ანატოლი კიზირიას მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.⁴ ანატოლი კიზირია გარდაიცვალა 1976 წელს.* ანატოლის და ირინას შვილი

¹ პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

² პ. ნაცვლიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

³ იქვე, გვ. 6.

⁴ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 511-512.

არ ჰყავდათ. ანატოლი ხშირად ჩამოდიოდა სოფელ არბოში. „ჭაბუკობაში მათთან ხშირი ურთიერთობა მქონდა. ქალბატონი ირაც ძალიან კარგად მახსოვს. მათი შესანიშნავი სასახლე აიგნებოდა იყო დამშვენებული, ლიახვს გადაჰყურებდა. სასახლეს დიდი მარანი ჰქონდა, ხოლო მეორე სართულზე არსებულ სივრცეს ჩვენს ბავშვობაში კლუბად იყენებდნენ ხოლმე. ამ სახლში, როგორც გამიგია, ქართული საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. მახსოვს ქალბატონი ირა დიდ საკარძელში იჯდა ხოლმე და ხშირად მოუპართავს ასეთი ფორმით: „ახალგაზრდავ“, ის არისტოკრატიული გარეგნობის ქალბატონი იყო. ანატოლი კიზირიამ ძალზე ბევრი რამ გააკეთა სოფლისთვის. გაიყვანა სასმელი წყალი, ააშენა არბოჰესი, (არბოს ჰიდროელექტრო სადგური). მახსოვს ერთხელ, ეს იყო XX საუკუნის 60-იანი წლები, მან ერთი ძალიან თანამდებობის პირი ჩამოიყვანა, გვარად ანთიძე, მე და ანატოლი კიზირიას სტუმარი სანადიროდ წავედით. მაშინ ცხრამეტი-ოცი წლის ვიქნებოდა. სანადიროდ წითელ საყდრებთან ავედით, ეს არის არბოს მინდვრების ზემოთ, დმენისის ჩასახვევთან. სტუმარი დაიღალა, თოფი უცნაურად ეჭირა და ამ დროს გაუვარდა კიდეც. მარცხენა მხარი გაგლეჯილი ჰქონდა. ხელში ავიყვანე და ვანათის გზაზე წვალეებით გავედი. ვანათის ამბულატორიამდე მივიყვანე. პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. შემდეგ კი ცხინვალში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია მისმა ყოფილმა სტუდენტმა, ვალოდია ცოტნიაშვილმა ჩაუტარა. მაქარაშვილების სახლში შემდეგ ბეკოშვილები დასახლდნენ, რომლებიც მოსამსახურეები იყვნენ“.¹ ირინა მაქარაშვილმა თავისი მამისეული ქონება სოფელ არბოში, კერძოდ, საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი თბილისში მცხოვრებ მერაბ მაქარაშვილს ანდერძით გადასცა. 1979 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „მე, ირინა ილიას ასული კიზირია, მცხ. ქ. თბილისი, პეროვსკაიას ქუჩა 8, წინამდებარე ანდერძით ვიძლევი შემდეგი სახის განკარგულებას: 1. კერძო სახლს და ჩემს ქონებას, მდებარეს: გორის რ-ნი, სოფ. არბოში, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის აღმოჩნდება ჩემს საკუთრებაში, რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, მე ვუანდერძებ მერაბ აკაკის ძე მაქარაშვილს. 2. საქართველოს სსრკ სამოქალაქო კოდექსის მუხლების 546-ე, 547-ე, 569-ე შინაარსი ნოტარიუსის მიერ განმეგრება. 3. ანდერძი შედგენილია 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ქ. თბილისის I სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმეებში, მეორე გადაეცა მოანდერძეს. ხელმოწერა/ხელმოწერილია „02“ აგვისტო 1979 წ. წინამდებარე ანდერძი დამოწმებულია ჩემს ქ. თბილისის I სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსისი გ. კ. ამისულაშვილის მიერ. ანდერძი ხელმოწერილია ი. ი. კიზირიას მიერ ჩემი თანდასწრებით. მოანდერძის პირადობა და ქმედუნარიანობა შემოწმებულია.“² იმავე წლის თებერვალს, ანდერძის მიერი მეძკვიდრეობის უფლების მოწმობაც გაიცა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. თბილისი, ათასცხრაას ოთხმოცდაერთი წლის ოცდახუთი თებერვალი მე, ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი ნ. ს. ჟღამაძე ვამოწმებ, რომ 1980 წლის 21 თებერვალს გარდაცვალებული მოქ. ირინე ილიას ასული კიზირიას ანდერძის საფუძველზე, რომელიც დამოწმებულია ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში 1979 წლის 2 აგვისტოს და რეგისტრირებულია რეესტრში № 3-13565-ით ანდერძში ნაჩვენებ ქონებაზე მის მეძკვიდრედ ცნობილია მოქ. მერაბ აკაკის ძე მაქარაშვილი მცხ. ქ. თბილისში პეტრიაშვილის ქ. № 16-ში. სამკვიდრო ქონება, რომელზედაც გაცემულია ეს მოწმობა არის მთელი საცხოვრებელი სახლი მდებარე გორის რაიონის სოფ. არბოში. მთელი საცხოვრებელი სახლი ორსართულიანია, შესდგება რვა საცხოვრებელი ოთახისაგან. საცხოვრებელი ფართია 215 კვ. მეტრი, აქვს დამხმარე სათავსოები ფართით 160 კვ. მ. სადაზღვევო ღირებულებაა 1407 მა-

* ანატოლი კიზირია და მისი მეუღლე ირინა მაქარაშვილი-კიზირიასი განისვენებენ ვაკის სასაფლაოზე. ანატოლის გვერდით დაკრძალულია მისი და ელენე ჰავლეს ასული კიზირია (1874-1953 წ.წ.), რომელიც, 1916 წლის მონაცემებით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილ წევრად არის მოხსენიებული. <https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/article/2160>.

¹ გადმოცემა ჩავიწერეთ 1941 წელს დაბ. სოლომონ მაისურაძისაგან.

² მაქარაშვილების საოჯახო არქივი, გვ. 2.

ნეთი, რაც დასტურდება გორის რაიონის დიციის სასოფლო საბჭოს მიერ 1981 წლის 16 თებერვალს გაცემული № 138 ცნობით. ეკუთვნის 1976 წლის 9 თებერვალს გარდაცვალებულ მოქ. ანატოლი პავლეს ძე კიზირიას. მისი მემკვიდრე იყო მეუღლე მოქ. ირინე ილიას ასული კიზირია, რომელმაც მიიღო სამკვიდრო, მაგრამ ვერ მოასწრო თავისი სამემკვიდრეო უფლებების გაფორმება“. დოკუმენტს ხელს აწერს ნოტარიუსი ნ. ჟღამაძე.¹ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ირინე მაქარაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. 1980 წლის 21 თებერვალს, ირინე ილიას ასული მაქარაშვილი (გარდაცვალების მოწმობაში იგი კიზირიად არის მოხსენიებული, როგორც ჩანს ირინე ილიას ასული დოკუმენტებში მეუღლის გვარით იწერებოდა), სიმსივნური ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების მიერ 1980 წლის 2 დეკემბერს გაცემულ ცნობიდან ჩანს, რომ არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი ირინეს და მის მეუღლეს უკუთვნოდათ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ცნობა ეძლევა სოფელ არბოში ყოფილ მცხოვრებ ამჟამად გარდაცვლილ ანატოლი პავლეს ძე კიზირიას, მასზედ, რომ მის სახელზე არავითარი დავალიანება არ ირიცხება სახელმწიფო გადასახადებში და მის ბინას არავითარი ყადაღა არ აქვს დადებული. ცნობა ეძლევა სანატარო კანტორაში წარსადგენად. გორის რაიფინგანის გამგის მოადგილე: ვ. ბუდედაშვილი“.² არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი რომ ანატოლი კიზირიას და მის მეუღლეს ეკუთვნოდათ, დასტურდება ასევე 1980 წლის 22 დეკემბერს დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული დოკუმენტიდანაც: „ცნობა გაიცა გორის რაიონის სოფელ არბოში მცხოვრებ აწ გარდაცვლილ ანატოლი პავლეს ძე კიზირიაზე, მასზედ, რომ წასული კომლების წიგნის ჩანაწერით მისი ბინა აშენებულია 1918 წელს (დოკუმენტში მაქარაშვილების საცხოვრებელის აშენების თარიღი შეცდომით წერია). ბინა არის სამ სართულიანი. საცხოვრებელი ოთახები არის ხუთი. II სართულზე არის სამი საცხოვრებელი ოთახი, ხოლო III სართულზე ორი ოთახი. მთლიანი შენობის ფართი 15/15, ხოლო დამხმარე სათავსო არის 15/15. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი უკავია 0, 02 ჰა“. დოკუმენტს ხელს აწერენ დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და მდივანი³. დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ ამავე რიცხვით დათარიღებული ცნობიდან ჩანს, რომ ანატოლი პავლეს ძე კიზირია გორის რაიონის სოფელ არბოში ცხოვრობდა და კომლის უკანასკნელი წევრი იყო.⁴ 1980 წლის 16 თებერვალს დიციის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი (სადაც ანატოლი კიზირია ცხოვრობდა), 1407 მანეთად იყო შეფასებული. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარდაცვლილი მეცნიერი, სახლის სადაზღვევო გადასახადსაც იხდიდა.⁵ როგორც მიუთითებდით, ირინე მაქარაშვილის ანდერძის თანახმად, მისი გარდაცვალების შემდეგ სოფელ არბოში არსებული მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი და ქონება ილია მაქარაშვილის ძმის შვილისშვილს, მერაბ მაქარაშვილს გადაეცა. მერაბ მაქარაშვილის წინაპარი ამბერკი მაქარაშვილი საყვარელა მაქარაშვილის შვილისშვილი იყო. ღარის ეკლესიის ჩანაწერების მიხედვით, ამბერკი მაქარაშვილი 1886 წლის 21 იანვარს დაიბადა. ახალშობილის მამა აზნაური კონსტანტინე საყვარელას ძე მაქარაშვილი იყო, ხოლო დედა მელანია ლევაინის ასული. ამბერკი კონსტანტინეს ძე 3 მარტს მოინათლა. ნათლისღება აღასრულა მღვდელმა გრიგოლ ნანაუკაშვილმა. სწორედ ამბერკი მაქარაშვილის, ილია მაქარაშვილის ძმის შვილის შვილის შთამომავალია (ამბერკის ძის, აბესალომის შვილის, აკაკის ვაჟი) მერაბ მაქარაშვილი. მაქარაშვილების საცხოვრებელი სახლი არბოს წმინდა გიორგის გუმბათოვანი ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა. გენერალ მაქარაშვილის საცხოვრებელი XX საუკუნის დასაწყისში

¹ მაქარაშვილების საოჯახო არქივი, გვ. 12.

² მაქარაშვილების საოჯახო არქივი, გვ. 5.

³ მაქარაშვილების საოჯახო არქივი, გვ. 9.

⁴ იქვე, გვ. 10.

⁵ მაქარაშვილების საოჯახო არქივი, გვ. 11.

ცნობილი ქართველი არქიტექტორის, სვიმონ კლდიაშვილის პროექტის მიხედვით აშენდა.¹ პირველი ქართველი პროფესიონალი არქიტექტორი, რომლის სახელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის შედგენა, ღურმიშხან ჟურულთან და მის ოჯახთან სავარაუდოდ დავით კლდიაშვილმა დააკავშირა. გამოჩენილ ქართველ მწერალს ღურმიშხან ჟურულის ოჯახთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა.² ორსართულიანი სახლი XX საუკუნის II ნახევარში დაინგრა. მაქარაშვილების საოჯახო არქივში დაცულია აღნიშნული ნაგებობის XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. XX საუკუნის დასაწყისში სვიმონ კლდიაშვილის მიერ დაპროექტებული ჟურულების სასახლე რუსეთის იმპერიის საფოსტო გზავნილებზე იყო გამოსახული. არბოს წმინდა გიორგის ტაძარში შემორჩენილია გენერალ ილია მაქარაშვილის და მისი ვაჟის – ნიკოლოზის ეპიტაფიები:

„გენერალ ლეიტენანტი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი დაიბადა 1 დეკემბერს 1854 წ. აღსრულდა 17 ივლისს 1912 წ.“

ილია მაქარაშვილის საფლავის გვერდით, ტაძრის სვეტზე ჩაშენებულ მარმარილოს სტელაზე, ასეთ წარწერაა: *„გენერალ-ლეიტენანტი ილია საყვარელის ძე მაქარაშვილი 18 I/XII 54 19 17/VII 12*

„ნიკოლოზ ილიას-ძე (ნიკუშა) მაქარაშვილი პოდპორ ქართულ-ცხენოსანთა არტილ ბატარიასი გმირულად მოკლულ იყო შამხორს 10 იანვარს 1917 წ. დაბადებიდან 20 წლისა“ (ეპიტაფიის ამოკვეთის დროს ნიკოლოზ მაქარაშვილის გარდაცვალების თარიღი არასწორად არის მითითებული, უნდა ეწეროს 1918 წლის 10 იანვარი)

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
MAKARASHVILI'S AND VILLAGE ARBO
RESUME

In the second half of the 19th century, Nino, daughter of Durmishkhan Zhuruli, was the wife of General Iliia Makarashvili (the son of Sakvarela Makarashvili), a well-known military figure, who lived in the village of Arbo. The extended family of Makarashvili lived in one of the historical villages of Racha - Ghari. Iliia Makarashvili's father Sakvarela Makarashvili (the son of Davit Makarashvili) is mentioned in the list of confessors of the Church Mtavarangelozhi in Ghari, dated 1843. Iliia Makarashvili received his military education first at Vladimir Gymnasium in Kiev and then at Pavlovsky Military Academy. He participated in the Russo-Turkish War of 1877-1878 and was Captain of the 39th Artillery Brigade Staff. On October 23, 1878, he was awarded the 4th degree order of St. George, for outstanding bravery in the battle against Turkey (Deve-Boinu). From 1895 Iliia Makarashvili was the head of the 1st Battery Grenadier Artillery Brigade, and from 1897 he was the commander of the 1st Caucasus Battery Grenadier Artillery Brigade. In 1898 the future general became the head of the division of the 1st Caucasian Reserve Artillery Brigade. In 1902 he commanded the 7th Mortar Regiment. In 1904, Iliia Makarashvili was the commander of the 67th Artillery Brigade; from July 1904, he was commander of the 2nd Artillery Brigade of Turkistan, and then the 52nd Artillery Brigade. In 1882 Iliia Makarashvili received the rank of captain, in 1895 - lieutenant colonel, in 1898 - colonel, in 1906 - major-general, and on October 15,

¹ საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990, გვ. 44; ზ. გაიპარაშვილი, მ. გურგენიძე, ს. ჭანტურია, სვიმონ კლდიაშვილი, თბ., 2020, გვ. 288-289.

² გ. სოსიაშვილი, ჟურულთა საგვარეულოს ისტორიიდან, გვ.

1910 his military career was crowned with the rank of lieutenant general. Ilia Makarashvili married Nino Zhuruli (Durmishkhan Zhuruli's daughter). Makarashvili settled in the village - Arbo. Ilia Makarashvili and Nino Zhuruli had six children: the eldest Giorgi, then Barbara, Nikoloz, Marika, Irine and Mikheil. Three of them - George, Barbara and Marika - died in childhood with an infectious disease. One of Ilia Makarashvili's sons - Nikoloz (Nikusha) became the second lieutenant of mining-horse battery. However, he died in his early life. General Ilia Makarashvili's wife Nino Zhuruli was brutally treated by the Bolsheviks, first their property was confiscated and finally they were expelled from the village. She died in 1948. Ilia Makarashvili's younger son Mikheil left for Europe in 1922 to continue his studies and settled in France. His son George moved to Peru, South America, and settled in Lima. He married a Peruvian woman, Carmen, with whom he had six children. Ilia Makarashvili's daughter Irina lived in the village – Arbo, home of Zhuruli and Makarashvili. According to her will, after the death of Irine, Ilia's daughter, the house and property of the Makarashvilis in Arbo were handed over to Ilia Makarashvili's nephew Merab Makarashvili. Merab Makarashvili's ancestor Amberki Makarashvili was the granddaughter of Sakvarela Makarashvili.

ტანას ხეობის მფლობელობისა და ექსპროპრიაციის საკითხი

ტანას ხეობა და მისი ცენტრი ატენი, სტრატეგიული ადგილმდებარეობის, ნაყოფიერი მიწების, ტყეებისა და საძოვრების გამო, საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. ტანას ხეობაზე გადადიოდა გზა შიდა ქართლიდან ქვემო ქართლში, სომხეთსა და მესხეთ-ჯავახეთში, კლდეკარის საერისთავოზე გავლით¹.

ადგილზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალაც ამ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რადგან ტანას ხეობის სოფლებში (ბოშური, ბობნევი, ბნავისი, ოლოზი, იკვნევი, ხიდისთავი და სხვ.) პირველი მოსახლეობის კვალი უკვე შუა ბრინჯაოს ხანიდან ჩანს².

პლატონ იოსელიანი ატენს ქართლის, ანუ იბერიის მეფის, ფარსმან I-ის³ დაარსებულად მიიჩნევს და წელსაც აკონკრეტებს – 184 წ⁴.

„ტანას ხევი“ უკვე IV-VII საუკუნეებში იყო ცნობილი და სპასპეტის საგამგებლოში შედიოდა. არსებობს ვარაუდი, რომ ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა⁵.

ცნობილი ბელგიელი ღვთისმეტყველის, რენე დრაგუეტის ცნობით, ჯერ კიდევ VI საუკუნეში ბეიტ-მარის (სირია) ეპისკოპოსი სიმეონი, ანათემაზე გადაცემით ემუქრებოდა ატენის ეპისკოპოსს კანონიკური საკითხების გამო⁶. ამ დროისათვის ატენის ხეობაში უკვე საეპისკოპოსოს არსებობა მის წამყვან როლზე უნდა მიუთითებდეს.

VII საუკუნის ანონიმი ავტორის სომხურ გეოგრაფიაში მანგლისის-ხევამდე მოხსენიებულია ტორნის-ხევი (Торнис хеви)⁷. პროფ. ჯონდო გვასალიას მიაჩნია, რომ ეს იგივე ტანის-ხევია და მასში იგულისხმება თეძამ-ატენის ხეობები⁸.

ერთმანეთის დაახლოების ტენდენციას საკმაოდ ადრინდელი ხანიდან იჩენენ შიდა ქართლი და თრიალეთი, შიდა ქართლის ეკონომიკისათვის თრიალეთის საზაფხულო საძოვრების უაღრესი მნიშვნელობის გამო. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ეს გამოიხატა ტანისხევის ცენტრის თრიალეთთან ჩამკეტი გზების საყარზე – დეკციხეში მოთავსებით⁹.

¹ ნიკო ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 44-45

² ჯონდო გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 150; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გვ. 64

³ პავლე ინგოროყვას მიხედვით, იბერიის მეფე ფარსმან I ბერძნულ-რომაულ წყაროებში იხსენიება ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის 30-იანი წლებიდან-60-იან წლებამდე, ხოლო იბერიის მეორე მეფე იმავე სახელით ფარსმან III მოიხსენიება II საუკუნის 30-40-იან წლებში (რომის იმპერატორების ადრიანეს და ანტონინე პიუსის თანამედროვე) (იხ: პავლე ინგოროყვა. ძველი ქართული მატანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, ტ. XI-B, თბ., 1941, გვ. 533). ს. გორგაძის გამოანგარიშებით, ფარსმან I-ის მეფობა ჩვ. წ. I საუკუნის 34-70 წლებზე მოდის, ხოლო ფარსმან II-ის მეფობა 119-140 წელს არ სცილდება (იხ: ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია, ქუთაისი 1915, გვ. 59, 61). რაც შეეხება პლატონ იოსელიანს, იგი ატენის დაარსების წელს წყაროს მითითების გარეშე გვთავაზობს.

⁴ Пл. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, Тф., 1850, გვ. 23.

⁵ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 1985, გვ. 243-244.

⁶ Православная Энциклопедия, под. ред. Патриарха Московского и всея Руси Кирилла, т. III, гл. 675-677.

⁷ Армянская география VII в. Текст и перевод с присовокуплением карт и объяснительных примечаний издал К. П. Патканов, Санкт Петербург 1877, гл. 40

⁸ ჯონდო გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 128

⁹ ჯონდო გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, გვ. 128.

„დასტურლამალი“ პირდაპირ იყო გაწერილი, თუ ვის ევალებოდა ტანას ხეობის გზის შენახვა და დაცვა, რომელსაც ბათლომის გზასაც უწოდებდნენ: „უნდა შეინახონ სააკაძემ, გლურჯიძემ, და ატენელთ და იმ ხეობამ“¹.

ატენის სიონის ტერიტორიაზე ჩატარებულმა გათხრების შედეგად გამოიკვეთა თავდაპირველი ბაზილიკური ნაგებობის ნაშთი, რომლის ნაადგილარზეც VII ს. მიწურულს გუმბათოვანი ეკლესია აუშენებიათ ნერსე ერისთავსა და მის ძეს სტეფანოზ მამფალს, რომელიც 739 წელს გარდაცვლილა და იქვეა დაკრძალული².

გარდა სტრატეგიული ადგილმდებარეობისა, ატენის გზით აქ უამრავი ბაჟი შემოდოდა და ეს ეკონომიკური სარგებელი განაპირობებდა სამეფო კარის თუ სხვა ფეოდალთა დაინტერესებას³.

X საუკუნეში „ატენის ქვეყანას“ ბაღვაშთა უძლიერესი ფეოდალური სახლი ფლობს. ატენის მფლობელ ბაღვაშთაგან, პირველი მიქაელია, რომელმაც ეს ქვეყანა 940 წელს მიიღო სიგელით ბაგრატ I-საგან (937-945 წწ.) და 945 წელს თავისი დაფინანსებით ატენის ტაძარს ზღუდე აუშენა. მისი ქტიტორული გამოსახულება ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ორფიგურიან ქტიტორულ რელიეფზეა დაცული⁴.

975 წელს, იოანე მარუშისძის წინადადებით, დავით III კურაპალატი ატენის ხეობით ქართლში გამოემართა ბაგრატის გასამეფებლად, ბაგრატ III-მ ქართლში დიდხანს არ დაჰყო, უფლისციხეს დედამისი გურანდუხტი დატოვა და მალევე უკან გაბრუნდა. ქართლის დიდებულები ფორმალურად გურანდუხტს ემორჩილებოდნენ, თუმცა, „თითეულად განაგებდეს საქმესა ქართლისასა“, ამიტომ ბაგრატს ხელახლა მოუწია ქართლში გადმოსვლა. ეს ფაქტი მიუღებელი აღმოჩნდა დიდებულთათვის, ქავთარ ტბელი იწინამძღვრეს და მოღრისთან ბრძოლაც გაუმართეს, მაგრამ დამარცხდნენ. ბაგრატი უფლისციხეს მოვიდა, „აღიღო ციხე, დედისაგან თვისისა, დაყვნა დღენი, განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი“ და ისევ აფხაზეთს გაბრუნდა, მაგრამ ქართლის დამორჩილება ასე მარტივი არ აღმოჩნდა. რამდენიმე წლის შემდეგ, კლდეკარის ერისთავმა და ატენის ციხის მფლობელმა რატი ბაღვაშმა მიიერთა „ქართლისაგან მტკუარს სამხრით-კერძო ყოველივე თრიალეთი, მანგლისის ხევი, სკვირეთი“, ატენის ციხე გაამაგრა, მის მახლობლად ეკლესიაც ააგო⁵ და „არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა“⁶.

ბაგრატ III „ყოვლითა ძალითა თვისითა უგრძნეულად“ მოადგა კლდეკარს 989 წელს. რატი ბაღვაშმა ატენის ციხე მეფეს დაუთმო, შვილი ლიპარიტი მძევლად გაატანა და თვითონ საგვარეულო მამულს – არგვეთს გაბრუნდა.

თუმცა ბაღვაშები მამულის დაკარგვას არ შეურიგდნენ. კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ლიპარიტის ძემ და ბაგრატ IV-ის ნახევარძმამ (გიორგი I-ის ალდესთან ქორწინებით) დემეტრემ ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის დახმარებით ისარგებლეს, „მიერთნეს სხვანიცა ვინმე დი-

¹ „დასტურლამალი“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 532.

² გივი აბრამიშვილი. ატენის სიონის სამი გრაფიტი. ჟურნ. „მნათობი“, 1984, №9, გვ. 159

³ ეთერ პავლიაშვილი. ატენი წერილობითი წყაროების მიხედვით, ნაშრომი შესრულებული ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2019, გვ. 45.

⁴ ელენე კავლეიშვილი. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი და ვერეს ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული* №13; თბ., 2016, გვ. 66-67.

⁵ ეკლესიის მშენებლობა, წარწერის მიხედვით, რატი ლიპარიტისძე ბაღვაშს უწარმოებია. წარწერა დათარიღებულია 982-989 წლებით (*ლაპიდარული წარწერები I (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 202-203). არის თვალსაზრისი, რომ რატი ბაღვაშმა ეკლესია კი არ ააშენა, არამედ განაახლა (იხ: საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების ძეგლთა აღწერილობა, ტ. V, თბ., 1990, გვ. 60).

⁶ ქართლის ცხოვრება, I, *ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ*, თბ., 1955. გვ. 276.

დებულნი და აზნაურნი“ და ატენის ციხის აღება სცადეს, მაგრამ ვერ აიღეს, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატიასა“¹.

გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა 1057 წელს ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს და ბაგრატ IV-ს მიჰგვარეს, ხოლო მეორე ვაჟმა ნიანიამ გაასწრო. ლიპარიტმა შვილი ბაგრატს შეავედრა, თვითონ ბერად აღიკვეცა და საბერძნეთში წავიდა. მცირე ხნის შემდეგ, მასთან ჩავიდა ივანეც².

ძლიერი ოპოზიციის დამარცხებით ისარგებლა ბაგრატ IV-მ და X საუკუნის 60-იან წლებში ატენში ფართო სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო ატენის ციხის თავის – გორგანელ (გურგანელ) თარხონის ძისა და მირიან ერისთავის მიერ³.

X-XI საუკუნეებში ატენის „ქუეყანაში“ ქალაქმშენებლობის ფართო მასშტაბებზე მიუთითებს ატენის სიონის არაერთი წარწერა, სადაც გიორგისა და დამიანეს მიერ „ზღუდის შექმნაზე“, ატენის სარქალის მიერ „ზღუდეების ქმნაზე“, ბაგრატის მიერ „კალაპოტის შექმნაზე“⁴ და სხვა სამუშაოებზეა საუბარი.

ატენმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა დავით აღმაშენებლის დროს. აქ იყო განთავსებული სამეფო საჭურჭლე⁵.

ატენი და ტანას ხეობა ამის შემდეგაც მუდმივად იყო ბაგრატიონთა ყურადღებისა და ზრუნვის საგანი.

ატენში ჰქონდა ერთ-ერთი რეზიდენცია დავით VII ულუს⁶.

დემეტრე II თავდადებულის დროს „ატენის ქუეყნის“ მფლობელია კახაბერ რაჭის ერისთავი, რომელიც ღალატისათვის სიკვდილით დასაჯეს⁷.

მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელის მიერ 1259 წელს რკონისადმი დაწერილი სიგელიდან ჩანს, რომ „ატენის მოურავთა და ანუ ატენის ციხუანთა“ ერთი პატრონი ჰყავს⁸.

1413 წელს ალექსანდრე დიდი თავის ბებიას, რუსას, თემურ ლენგის მიერ დანგრეული სვეტიცხოვლის აღდგენის სანაცვლოდ, ლომი, გიორგი (გ~ი), გაბრიელ, ტბელ და იოანე (ი~ე) თბილელისძეებს სწირავს სააღაპედ ატენს თვიანთი მამულით⁹.

მოგვიანებით, თბილელისძეები (თბილელასშვილები) თუმანიშვილებს მიუთვისებიათ, ამიტომ 1574 წელს დედოფალი ნესტან-დარეჯანი (სიმონ I-ის მეუღლე) სვეტიცხოველს ძველ წყალობას უახლებს: „ვეძიეთ და ვსცანით, რომელ ატენს თბილელასშვილები ...ძუ ლთაგან თქვენთვის (მცხეთას) შემოწირულნი ყოფილიყვნენ და თუმანიშვილთა გაემამულათ ...ჩვენ ახალი სიგლითა ამით დავამტკიცეთ“¹⁰.

სიმონ I-ის თანამეცხედრეს ატენში სხვა მამულებიც ჰქონია, რომელიც 1608 წელს მეტეხის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს: „ქ. ესე აგარაკის შემოწირულობის წიგნი გკადრეთ მეტე-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 298.

² ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 150

³ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 206.

⁴ ლაპიდარული წარწერები I, გვ. 206-208

⁵ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე). თბ., 2018, გვ. 52; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, გელა გამყრელიძის რედ., თბ., 2013, გვ. 63.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959. გვ. 267.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 275.

⁸ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 145.

⁹ ქრონიკები, II, გვ. 220

¹⁰ ქრონიკები, II, გვ. 415

ხის ღმრთის მშობელსა ჩონ დედოფალმა ნესტან-დარეჯან ატენს ზვარი ჩუწნს ზვარს პირდაპირ ხევს გაღმა, ჩვენი სახასო მიწა და ვენახი¹.

ატენს იდგა თავისი „ტადრეულითა და მცველითა თვისითა“ ქართლის მეფე დავით X (1505-1525 წწ.), როდესაც კახეთის მეფე ავ-გიორგი მოუხდა, მაგრამ ვერაფერი დააკლო².

1631 წელს, თეიმურაზ I ატენის მოურავს გიორგი სააკაძეს³ ატენს „მირზასეულ“ ვენახს უბოძებს „ყოვლის მისის სამართლიანის საზღვრითა და საქმით, სახნავითა და უხნავითა“, იმ პირობით, რომ სიონის მღვთისმშობელს „სამსახური არ უნდა დააკლოს“⁴.

ატენს შეაფარა თავი ქართლში ოსმალთა გამოჩენისას ბაქარ ბატონიშვილმა⁵.

1794 წლის საბუთით, ატენი კვლავ ერეკლე II-ის „საბრძანებელია“⁶ და ა. შ.

ტანას ხეობაში ბაგრატიონთა მფლობელობა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე შენარჩუნდა. 1613 წელს ატენელი სულტარასშვილი ციხუა და ავთანდილ ბატონ სულხანს და მის თანამეცხედრე ქეთევანს მიჰყიდეს სავენახე მიწა „დიდი კლდიდან – ნეფის ზვრამდის“⁷. ატენს ბატონის „სახასო“ ნახსენებია 1760 წლის 23 აპრილის დიმიტრი ციციშვილისა და ზურაბ ფურცელაძის მიწის თაობაზე დავის დოკუმენტში⁸ და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ მართვა-გამგეობისა და გადასახადების აკრეფის პრივილეგია ტანას ხეობაში ბოლომდე მეფის მიერ დანიშნულ მოურავებს ეკისრებოდათ. ჯერ კიდევ კახა მეჭურჭლეთუხუცესის მიერ რკონისადმი 1259 წელს ბოძებული სიგელიდან ჩანს, რომ „ატენის მოურავთა და ატენის ციხუანთა“ სათათროს სათხოვარის მეტი არ ეთხოვებოდათ⁹.

„დასტურლამალი“ ამ საკითხს XVIII ს. დასაწყისშიც ნათლად განმარტავდა: „ატენის მოურავისა სძეს: ხევისთაობა მოურავისა არის; სოფელში თვითო კოკა ტკბილი, ძღვენი, ცხენის ბმა, გასამყრელო, თავისგასამტეხლო, საჩქმე. ატენის ხევზედ არაოდეს სხვა ხევისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლებია, ახლაც ასე იქმნებოდეს“¹⁰.

გვიან შუა საუკუნეებში, გარეული (თემურ ლენგი - 1400 წ., შაჰ თამაზი - 1451 წ.) და შინაური (ავ-გიორგი (1512-13 წ.), როსტომ ხანი (1638 წ.), მმართველების დაპირისპირებების შედეგად, ატენმა ძველი მნიშვნელობა დაკარგა და მოსახლეობაც მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილი ატენს ჯერ კიდევ „მცირე ქალაქს“ უწოდებს, სადაც სახლობენ „ქართველნი, სომეხნი და ურიანი“¹¹.

ბუნებრივია, ატენში ყმები ჰყავდა და მამულები ჰქონდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. 1392 წლის ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარით, ატენის ეკლესია, ციხე, გლეხნი და აგარაკნი მცხეთის ეკლესიას ეკუთვნის¹².

1457 წლის 25 დეკემბერს, ქართლ-კახეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარით, ატენს წინუბნელი და ზაიკური მამული თავისუფლდებოდა ყოვლისა „სათხოვარისა და გამოსაღებისაგან“¹.

¹ ქრონიკები, II, გვ. 437.

² ვახუშტი ბატონიშვილი. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 350.

³ იგულისხმება „დიდი მოურავის“ გიორგი სააკაძის განაყოფი შტოს წარმომადგენელი.

⁴ დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ, ტ. I, მზია სურგულაძის რედ., თბ., 2019, გვ. 266, ლოკ. 156

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 507

⁶ ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 266, ლოკ. 253.

⁷ საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1910, გვ. 127, ლოკ. 100.

⁸ საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედ., ტ. III, თბ., 1920, გვ. 463-464, ლოკ. 504.

⁹ ქრონიკები, II, გვ. 145.

¹⁰ „დასტურლამალი“, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 603.

¹¹ ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 343

¹² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 177, ლოკ. 23.

1720 წლის ნუსხით, ატენიდან სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის კუთვნილ 8 გლეხსა და ორ ბოგანოს ევალებოდა ორი თვის ნუხლით ლაშქარში გამოსვლა. აქედან ბოგანოები ფარ-ხმალითა და მშვილდით უნდა გამოსულიყვნენ, ხოლო დანარჩენები თოფით².

1736-44 წლებში ატენში აღწერილნი არიან შემდეგი საკათალიკოსო ყმები:

„ქ. ხუცესი სოლომონ კომლი ა, თავი ვ,

ქ. იმერელი პაპა, თავი ა, ფური ა

ქ. დვალიშვილი გოდერძა მეზვრე, კომლი ა, თავი გ,

ამის განაყოფი შიო, კომლი ა, თავი ა

ქ. ლაშქარაშვილი გოგია, თავი ბ, ამისგან ა გლახათ იარება

ქ. ბერიშვილი პაპუა უმამულო, თავი ა

ქ. დვალიშვილი შიო, კომლი ა, თავი ბ,

ქ. კვირტაშვილი აბრამა კომლი ა, თავი ა,

ქ. მათიაშვილი ივანე კომლი ა, თავი ბ, ამასთან ა დიად უძღური არის

ქ. დოქიძე პაპუნა, კომლი ა, თავი ბ,

ქ. კაპანაძე შიო და ივანე, კომლი მ, თავი კვ ქალაქს არიან აყრილნი იქნება ატენური ჯამი: კომლი მ (=8), თავი კვ (=23), ფური ა (=1)³.

ჩამოთვლილთაგან 1795 წელს პაპუნა დოქიძე და მისი ვაჟი გლახა უკვე „ამოწყვეტილნი“ არიან და ბეთალმანი მამული კათალიკოს ანტონ II-ს სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძისათვის უბოძებია⁴.

ტანას ხეობაში მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდათ ციციშვილებს. მათი მფლობელობა ტანას ხეობასა და ატენზე ჯერ კიდევ XV საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩანს. ციცი ციციშვილს ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) ბრძანებითა და „ნება-დართვით“, თავისი დის, „დიდისა დედოფლისა“ სითიხათუნის⁵ სააღაპედ შეუწირავს ატენს „ლუსმალაური მამული“⁶. თუმცა, ვახტანგ IV-ის (1442-1446 წწ.) გარდაცვალებისა და გიორგი VIII-ს გამეფების შემდეგ, ამ უკანასკნელს, ციცის ძმის თაყსათვის ატენის მოურავობა ჩამოურთმევია და გამრეკელ ჯავახიშვილისათვის მიუცია⁷. თაყას ატენის მოურავობა უკან გამოუთხოვია. მეფეს აზრი გამრეკელისათვის უკითხავს: „თაყა ატენსა მთხოვს, მოურავი შენა ხარ და რას მივაზირებ, მივსცე თუ არაო. სიმგრე სხუაცა აქვს და ამასცა კიდევ ითხოვსო“. გამრეკელს მოუხსენებია: „ატენსა მის უკეთესსა რას აქნევს, რომ მისთანა კაცი მომადლოო“. მეფეს გამრეკელის აზრი გაუთვალისწინებია, თუმცა „დია დაღონდა ატენის მიცემასა“⁸.

საეჭვოა, მეფეს მხოლოდ გამრეკელის რჩევით დაებრუნებინოს თაყასათვის ესოდენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის ატენის მოურავობა. ფაქტია, რომ მეფეს ძალა აღარ შესწევს ციხის წართმევით დასაჯოს და მორჩილებაში იყოლიოს ფანასკერტელ-ციციშვილები და

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 191, დოკ. 29.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედ, თბ., 1940., გვ. 184, დოკ. 256

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 780, დოკ. 270.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 1023, დოკ. 460

⁵ ციცი ციციშვილის და - სითიხათუნი ალექსანდრე დიდის ვაჟის, საქართველოს მეფე ვახტანგ IV-ის თანამეცხედრე იყო (იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. ქართლ-იმერეთის ურთიერთობის საკითხის გარკვევისათვის XVI ს. 10-იან წლებში, გორის სსუნივერსიტეტის VII საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2015, გვ. 636-640)

⁶ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შერეული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე). თბ., 1897, გვ. 223.

⁷ გამრეკელ ჯავახიშვილი – გიორგი VIII-ის თანამედროვე. ჰყავს შვილები ზაქარია, კახა, ზაზა და სოღა. 1454 წელს ჩანს გორისა და ატენის მოურავად. 1463 წლიდან ცოცხალთა შორის აღარაა და სახლის უფროსი ზაქარიაა (იხ: ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 19, 20, 40; ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 68).

⁸ ნიკო ბერძენიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 51-52, საბ. 1242.

ისდა დარჩენია, მნიშვნელოვანი დათმობის ხარჯზე, „მოიმადლიეროს“ ძლიერი სათავადო სახლი და ასეთი „წყალობის“ სახით დაავალდებულის მეფის ერთგულებით სამსახური¹.

ატენის ციხეში გამაგრდა როსტომ ხანთან (1632-1658 წწ.) დაპირისპირებული ნოდარ ციციშვილი, მაგრამ როსტომის გარემოცვას ველარ გაუძლო და საათაბაგოში გადავიდა. როსტომმა ატენის ციხე აიღო და დაანგრია².

1701 წელს ციციშვილები გაყრილან და ატენს, ვერეს, ბიისს და ტანას ხეობის სხვა სოფლებში მაცხოვრებელი ყმები გაუნაწილებიათ³.

1783 წელს დავით სარდლის⁴ მიერ პაატა ციციშვილისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ციციშვილები მემკვიდრეობით ფლობდნენ „ატენის წყალს ზეით“. დოკუმენტის მიხედვით, „დიდი ციცი დავითის პაპას მოუკლავს და „ყმა და მამული ატენის წყალს ზეით სისხლში მიუცია“, მაგრამ საბუთი დავითის ბებიას ლეკების ერთ-ერთი შემოსვლის დროს დაუკარგავს⁵.

„ორიანობის“ დროს ციცი ციციშვილმა ნაზარალიხანის მხარე დაიკავა, რის გამოც გიორგი XI-მ შეიპყრო, მოაშთობინა და საციციანო და ატენი ფარსადან ნოდარის ძეს მისცა. სასჯელს ვერ გადაურჩა ბეჟან სააკაძეც, „ვინაითგან ამხილებდა იგიცა ნაზარ-ალიხანისა თანა“. გიორგიმ სააკაძეს მიზეზად ის მოუღო, რომ მისმა ძმამ, მეფეს ცხინვალში ყოფნისას „არა მისცა ღვინო ატენიდან“, შეიპყრო და „თვალნი აღმოხადნა“⁶.

სააკაძეების სამკვიდრო იყო ტანას ხეობაში სოფელი ბობნევი და, სავარაუდოდ, ფელიც, რადგან ამ სოფელში დაიბადა გიორგი სააკაძე. აქ სააკაძეებს ჰქონდათ საგვარეულო კომპი, კომპებისა და ახალჯვრის ეკლესიები. კომპების ეკლესიაში შემორჩენილია „დიდი მოურავის“ შთამომავლის იოსებ ტფილელის (სააკაძე), ფრესკული მხატვრობა, რომელიც 1683 წლით თარიღდება⁷. რაც შეეხება ახალჯვარს, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ამ ეკლესიის კარი „არასოდეს დაიხშოდა“ და მცველნიც არ ჰყავდა, რადგან „მპარავნი ნადირ-ფრინველი ვერ შედიოდა“⁸. აქ ინახებოდა სასწაულთმოქმედი ჯვარი, რომელიც XVIII ს. 90-იან წლებში ლეკიანობის მიზეზით ხიდისთავში გადაუტანიათ და საეკლესიო აზნაურები ზურაბ და გრიგოლ სააკაძეებიც თან გაჰყვლიან⁹.

XVIII საუკუნის შუახანებში, „ყიზილბაშობის“ დროს (1735-1744 წლებში), ტანას ხეობაში, ატენის ბოლოს, „ერთი ხარაბა სოფელი“ ჰქონია გორჯასპი თუმანიშვილს¹⁰.

ატენში მამულები ჰქონდათ ტლამაძეებსაც. მათგან გამორჩეული ფიგურაა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, დომენტი IV-ის (1704-1741 წწ.) მდივან-მწიგნობარი, მღვდელი იასე ტლამაძე. კათალიკოსთან ერთად კონსტანტინოპოლში მამულისა და საყდრის მოსაგვლელად წასულ იესეს, დომენტი კათალიკოსი 1727 წელს 27 კომლ ყმას უბოძებს და სახუცო გადასახა-

¹ მანანა მიჩიტაშვილი. საციციანოს ისტორია, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 27

² ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 488.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, *სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.)*, ტექსტები გამოსცა, *შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ*, თბ., 1977, გვ. 617-619, დოკ. 320.

⁴ დავით სარდალი – იგულისხმება დავით ციციშვილი, ერეკლე II-ის სიძე და თბილისის მოურავი. ცოლად ჰყავდა ერეკლეს ქალიშვილი მარიაში, რომელსაც მზითევში ერგო სოფ. დოესი (დაწვრ. იხ: *იოსებ ალიმბარაშვილი. ზედაველას ბრძოლები*, თბ., 2016, გვ. 47-49).

⁵ საქართველოს სიძველენი. ტ. III, გვ. 11-12, დოკ. 12

⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 470

⁷ სერგი მაკალათია. ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 26.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 343

⁹ იოსებ ალიმბარაშვილი. ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №6*, თბ., 2014, გვ. 8-10.

¹⁰ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. *ბერძენიშვილის რედ.*, თბ., 1940, გვ. 247, დოკ. 360

დისაგანაც ათავისუფლებს¹. იესე ტლაშაძე, როგორც კათალიკოსთან დაახლოებული პირი, აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი დავების განხილვაში, მამულის წყალობაში და სხვ. იგია, 1719-24 წლებში, ნიკოლოზ და პაპუა გლურჯიძეების მიერ საკუთარი ბიძებისადმი ატენში ბობებული ვენახის საბუთის დამწერი, რომელსაც ემოწმებიან მიტროპოლიტი იოსებ, აფხაზიშვილი მანშე, თავყელიშვილი შერმაზან და სხვა ადგილობრივი პირები². XVIII საუკუნის ბოლოს ტლაშაძეებიც ხიდისთავში გადასახლებულან.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ატენსა და წედისში მამულებს ფლობდნენ ერეკლე II-სთან დაახლოებული მეღვინეთხუცესიშვილებიც, თუმცა, მეფისაგან ნაწყალობევი მამულები ერთმანეთში სადავო გაუხდათ და საქმე სასამართლომდე მივიდა³.

XVIII ს. 20-იანი წლებისათვის ტანას ხეობასა და ატენში მოსახლეობა ჯერ კიდევ მრავლადაა, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, მხოლოდ ატენში 100 გადამხდელუნარიანი ოჯახის უფროსი კაცია, აქედან, მიწის დღიური მფლობელია 50, თავისუფალი მიწის დღიური მფლობელი – 20, სამეუფო ვენახის დღიური მფლობელი – 10 და სამეუფო ველის დღიური მფლობელი – 20⁴. სახელებისა და მამის სახელების ჩამონათვალადან ირკვევა (გარსევან ძე ალექსასი, ელიზბარ ძე სენნასი, ბერი ძე გიორგისა, გიორგი ძე ანდრიასი, მახარა ძე ზურაბისა, იასე ძე ლომინასი და სხვ.), რომ მისი დიდი უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია.

გამუდმებული ლეკიანობის გამო, XVIII ს. ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისისათვის ტანას ხეობა მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილია. მაგ., 1781 წლის „მეფის, ანუ მეუკანავე სადროშოს დავთარში“, ჩამონათვალში გხვდება ატენის მეზობელი სოფლები: ქვახვრელი, დოესი, გრაკალი, ატენი კი აღარ იხსენიება⁵.

ასევე მოსახლეობის გარეშეა ნაჩვენები ატენი იოანე ბატონიშვილის 1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში. ეს იმ დროს, როდესაც მეზობელ სოფლებში: ხიდისთავსა და ქვახვრელში მოსახლეობაა მითითებული⁶.

XIX საუკუნის დასაწყისში გორის ადგილობრივი ხელისუფალნი (სიპიაგინი, კოვალჩინსკი) არაერთხელ ატყობინებენ კნორინგსა და ტორმასოვს ატენის ხეობიდან ლეკების შემოსევის და აქედან ადამიანებისა და საქონლის გატაცების შესახებ⁷.

კავკასიის „არქეოგრაფიული აქტების“ მიხედვით, ატენის მოსახლეობა 1803 წლისათვის 19 კომლს შეადგენს (129 სული), აქედან 18 კომლი (123 სული) ქართველია და 1 კომლი (6 სული) ოსი, მაგრამ ყურადღებას იქცევს მოსახლეობის საქმიანობა, სადაც განმარტებულია: „მისდევნენ მესაქონლეობას, თესენ ხორბალს, შვრიას, ქერს. ზაფხულში დადიან „ქართლში სა-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი **თედო ჟორდანიას** მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს.60 – იან წლებამდე). *გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ*. თბ., 1967. გვ. 113.

² საქართველოს სიძველენი. ტ. II, გვ. 127, ლოკ. 100.

³ იოსებ ალიმბარაშვილი. მეღვინეთხუცესიშვილების დავა ატენის, წედისისა და ხიდისთავის მამულების გამო, *ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია*, თბ., 2016, გვ. 7-8

⁴ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, *ოსმალური ტექსტი ქართულ თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილიებით გამოსცეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ*, თბ., 2009, გვ. 170-171.

⁵ აპოლონ თაბუაშვილი. „მეფის სადროშოს“ აღწერის დავთარი (XVIII ს. II ნახევარი), *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, V, თბ., 2012, გვ. 179-192

⁶ იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, *ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სიძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა*, თბ., 1986, გვ. 33.

⁷ Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I, Тифл., 1866, გვ. 659 ლოკ. 931; Акты... т. IV, გვ. 785, ლოკ. 1210. იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. *ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში*, თბ., 2011, გვ. 162-164.

მუშაოდ“. დალას იხდიან კომლზე 1 თხასა და 1 ბატკანს წლიურად, მოსახლეობა ღარიბია“¹, ჩვენი აზრით, აქ ტანას ხეობის „ატენი“ კი არ არის ნაგულისხმევი, არამედ ისროლის ხევის ანალოგიური დასახელების სოფელი.

საგულისხმოა, რომ ატენი ასევე ისროლისხევია მოხსენიებული 1804 წლის კამერალურ აღწერაში².

იგივე შეიძლება ითქვას, ე. თაყაიშვილის მიერ 1951 წელს გამოცემულ „ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობაში“, რომელიც 1781 წლის მდგომარეობას ასახავს და აღწერა იწყება „ისროლისხევის ატენიდან“, რომელიც გოგია ფიცხელაურის სამოურავო ყოფილა და აღწერილია 9 კომლი (16 სული), ყველა ქართველი ეროვნების (სალუქაშვილები, ასტამაძეები, ხასასშვილი და გენგიური)³.

ტანას ხეობის ხელახალი დასახლება მოხდა 1817-1821 წლებში გიორგი ერისთავის ინიციატივითა და მთავარმართებელ ერმოლოვის დავალებით, იმ პირობით, რომ აქ ერისთავი თავის საკუთარ 50 კომლ გლეხს ჩამოასახლებდა ქსნისა და არაგვის ხეობიდან და სოფელს დაიცავდა⁴.

ასე გაჩნდნენ ატენისა და მის მიმდებარე სოფლებში (წედისი, ბიისი, ღვარები, ბობნევი და სხვ.) გავრცელებული გვარები: თინიკაშვილები, ლოთიშვილები, შატაკიშვილები, კარელიძეები, პავლიაშვილები, ჯიოშვილები ქსნის ხეობის ერისთავების მფლობელობაში მყოფი სოფლებიდან: თინიკაშვილები და ლოთიშვილები – კორინთასა და თინიკანთ-კარიდან, კარელიძეები – კარელთ-კარიდან, შატაკიშვილები შატაკო-კარიდან, პავლიაშვილები – პავლეთ-კარიდან და სხვ.

1848 წელს, ძმასთან, დიმიტრისთან ერთად, ატენის მახლობლად, სოფელ ღვარებში, შუშის ქარხანა დაარსა ელიზბარ შანშეს ძე ერისთავმა (1808-1871 წწ.) აქ დამზადებული ჭურჭელი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და იყიდებოდა თბილისში, მაგრამ 1855 წელს ქარხანა დაიწვა და განახლების შემდეგ ელიზბარის ვაჟმა ივანემ იგი იჯარით გასცა⁵.

ქართლ-კახეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, 1865 წლისათვის, ატენის სასოფლო საზოგადოებაში (რომელშიც, საკუთრივ ატენის გარდა, შედიან გარდატენი, გორა და ჯებირი) აღრიცხულია 102 კომლი დროებით ვალდებული გლეხი, ხოლო საკუთრივ ატენში 66 კომლი⁶.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ტანას ხეობაში მოსახლეობა უკვე მნიშვნელოვნადაა მომატებული. 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით, აღწერაში ატენის სასოფლო საზოგადოებაში 187 კომლი და 1045 სულია (აქედან 572 კაცია და 478 ქალი) აღრიცხული. საკუთრივ ატენში 137 კომლი და 750 სული ცხოვრობს (420 კაცი, 330 ქალი). ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის მხრივ, ყველა ქართველი და მართლმადიდებელია. დიდი უმრავლესობა საეკლესიო ყმები არიან (176 კომლი, 551 კაცი, 457 ქალი). მხოლოდ 5 კომლია სახაზინო გლეხი და 3 – ხიზანი⁷.

ხეობაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები მოხდა XIX საუკუნის 80-იან და XX საუკუნის 20-იან წლებში.

¹ *Акты... т. II, გვ. 75, დოკ. 121.*

² იოსებ ალიმბარაშვილი. გორის მაზრის სახაზინო და საბატონო სოფლების 1804 წლის კამერალური აღწერა, *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 17*, თბ., 2019, გვ. 86-88.

³ იხ: ექვთიმე თაყაიშვილი. ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951, გვ. 5.

⁴ *Кавказский календарь*, Тифл., 1846, გვ. 47-48; სერგი მაკალათია, ატენის ხეობა, გვ. 8.

⁵ **მაქსიმე ბერძნიშვილი**. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 235

⁶ *Документы по истории Грузии (1862-1917 т. I, ч I. Под. ред. проф. Ш.К. Чхетия*, Тб., 1954, გვ. 768.

⁷ *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г.* Тифлиси 1893, №1083, 1084;

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ფინელმა მრეწველმა აუგუსტ იაგორის ძე ზეზემანმა, ქართველ მეწარმე გიორგი ქართველიშვილისთან ერთად, ტანას ხეობაში ალექსანდრე ორბელიანისა¹ და ელიზბარ ერისთავის მეორე ვაჟის - ზაქარია ერისთავისაგან 50 წლიანი იჯარით აიღო ატენის ხეობის ტყის მასივები, რომლის საერთო ფართობი 12 ათას ღესეტიანს² უდრიდა და ხე-ტყის წარმოება დაიწყო.

თავდაპირველად ადგილობრივები და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა მართლაც სიხარულითა და აღტაცებით შეხვდნენ ქართველი და ფინელი მრეწველების წამოწყებას, რადგან დასაქმებას და შემოსავლის გაჩენას უკავშირდებოდა. რკინიგზით ისარგებლებდა ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაც, რომელთაც შეეძლოთ მოყვანილი ხილი და პროდუქტები ორთქმავლით გორამდე ჩაეტანათ, ხოლო იქიდან თბილისამდე გადაადგილებაც არ იყო რთული. ზეზემანმა პირველ მუშად ქარხანაში სანდრო თედოს ძე ჭილაძე მიიწვია³.

მოგვიანებით, იაფი მუშახელის იმედად, 1891 წლის ნოემბრის დასაწყისში ზეზემანმა ბაქოს მიმდებარე გუბერნიებიდან 50 კაცი ჩამოიყვანა, ისინი უკან აღარ გაბრუნებულან, აქვე დაოჯახებულან ან ოჯახებიც ჩამოუყვანიათ და ასე გაჩნდა აზერბაიჯანელი მოსახლეობა ტანას ხეობაში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ხე-ტყეზე მოთხოვნილება საგრძნობლად შემცირდა. ზეზემანი ვეღარც ქარხნის სათადარიგო ნაწილებითა და საწვავით დროულ მომარაგებას ახერხებდა, რასაც გაუცემელი ხელფასები მოჰყვა, რის გამოც საწარმო მუშებმა ისევ მიატოვეს. ფინელი მეწარმე იძულებული გახდა, ქარხნები დაეხურა, დაავადდა და 1918 წელს გარდაიცვალა. იგი მისმა ატენელმა მუშებმა: ჯიოშვილმა, ქერდიყოშვილმა და ონიაშვილმა დასაფლავეს სოფელ ჯებირის⁴ სასაფლაოზე ეკლესიის წინ, მაგრამ წლების განმავლობაში ხე-ტყის უსისტემო ჭრამ ატენის ხეობას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა, შედეგად მრავალი უნიკალური ჯიშის გაჩეხვა მოჰყვა და ნიადაგის ეროზია განაპირობა.

ზეზემანის საკუთრებაში არსებული მიწის დიდი ფართობის ექსპროპრიაცია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონსაც დაექვემდებარა.

უკვე 1919 წლის 7 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მიწათმფლობელთა საკუთრებაში დასატოვებელი მიწის ნორმას. ამ ნორმაზე მეტი გადადიოდა სახელმწიფო ფონდში. გლეხობას უფლება ჰქონდა, სახელმწიფო ფონდიდან მიწა გამოესყიდა⁵.

1921 წლის 25 მაისს, ატენელ ლექსო ჯიოშვილს, რომელიც ზეზემანის სამხერხაო ქარხანაში „კაჩეგრად“ მუშაობდა, გორის რეკომისიათვის მიუმართავს საჩივრით: „1919 წელს სოფ. ატენში მოვიდა საადგილმამულო კომისია, რომელმაც მაკუთვნა 250 საყენი მიწა, რომელიც გავწმინდე რიყისაგან, შემოვლობე და დღევანდელდობამდის ვხმარობდი და დღეს კი აღარ მისვე-

¹ იგულისხმება ალექსანდრე (საშიგო) ივანეს ძე ორბელიანი (1847-1919), გენერალ-მაიორი, თბილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, მის ბინაში ყოფნის დროს წამოაყენა ილია ჭავჭავაძემ საქართველოში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეა. მარიამ ჯამბაკურ ორბელიანის მეუღლე.

² **ღესეტიანა** [რუს: Десятина] – ძველებური რუსული მიწის საზომი ერთეული რუსეთის იმპერიაში, უდრის 2400 კვ. საყენს (1,09 ჰექტარს). იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

³ **სერგი მაკალათია**. ატენის ხეობა, გვ. 15

⁴ **ჯებირი**, ადგილი ხიდისთავ-ატენის გზასაყარზე. სახელი შეერქვა ისტორიული ჯეფირის გამო, რომელიც, გადმოცემით, ზორბა და წარმოუდგენელი ძალის პატრონი ყოფილა. თითქოს მისი ცალი ფეხის პაიჭში ერთი კოდი ზორბალი ჩადიოდა. მას განუზრახავს მდ. თეძმიდან ზოვლეში წყლის გამოყვანა, თოკზე გამოუბამს დიდი წვეტიანი ქვა და თხრილი გაუკეთებია, მაგრამ სოფელს საგზალი არ მიუტანია. ჯეფირი გაბრაზებულა და სამუშაო მიუტოვებია. ვახუშტი ბატონიშვილი ზუსტად გადმოგვცემს მისი საფლავის ადგილმდებარეობას: „ამას ზეით მიერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთასა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლობდა ჟამთ როსტომ მეფისასა“ (იგულისხმება ქართლის მეფე როსტომი 1632-1658 წწ.).

⁵ ფარნაოზ ლომაშვილი. საქართველოს ისტორია 1918-1991, თბ., 1999, გვ. 17.

ნებს ზეზმანის ქვრივი, რომელიც, დამინახავს თუ არა მიწაში მომუშავეს, მაშინვე გამოძისევს მილიციონერებს და ხელს მალეზინებენ მუშაობიდან. რომ ზემო ხსენებული მიწა მაკუთვნა კომისიამ, ამისი მოწმეები არიან ქარხნის ტექნიკოსი დიმიტრი კველიშვილი, მემანქანე მიხა ყველაშვილი და ატენში მცხოვრები ვანო ონიაშვილი და დიმიტრი თოფჩიშვილი. გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს ღარბს გარემოებაში და გაარჩიოთ ჩემი საქმე, რადგან, თუ ზეზმანის ქვრივი არ ჩამომეხსნება, მიწა დაუშუშავებელი დამრჩებაო“.

იმის გამო, რომ ჯიოშვილმა „წერვა“ (sic) არ იცოდა, მისი თხოვნით, განცხადებაზე ხელს აწერს მ. ჯებისაშვილი¹.

ზეზმანის ოჯახს კიდევ უფრო გაუჭირდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ბუნებრივია, მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოფილი კაპიტალისტის ოჯახს სიმპათიით არ უყურებდა. უკვე 1921 წლის 30 მაისს აუგუსტ ზეზმანის ქვრივმა ემილია გუსტავის ასულმა, თხოვნით მიმართა გორის მაზრის მოძრიგებელ მოსამართლეს, რომელშიც აცხადებდა, რომ „მისი გარდაცვლილი ქმრის, როგორც ფინლანდიის ქვეშევრდომის, სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება არ ექვემდებარებოდა რეკვიზიციას და ითხოვდა შუამდგომლობას, რათა მიეღოთ ჯეროვანი ზომები, რომლითაც დაცული იქნებოდა მითვისებისა და გაფლანგვისაგან აუგუსტ ზეზმანის დარჩენილი ქონება, სახლი, მამულები, სახერხი ქარხანა, ასევე ქონება, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა მანქანების ნაწილებისა და ზეზმანის მიერ ატენში გაყვანილი რკინის გზის რელსებისგან, რომლის ნაწილი იმყოფებოდა სოფელ ატენში, ხოლო ნაწილი – ქალაქ გორში.

ზეზმანისამ ხელისუფლებას ასევე წარმოუდგინა თხოვნის ასლი, საქართველოში ფინლანდიის რესპუბლიკის წარმომადგენლისადმი მიცემული, რომელშიც აღნიშნული იყო: „გაუწყებთ რა ზემოთ ხსენებულზედ, გთხოვთ მიიღოთ ჯეროვანი ზომები, რათა დარჩენილი ქონება აუგუსტ ზეზმანის სიკვდილის შემდეგ არავისგან იყოს მითვისებული და გაფლანგული და აგრეთვე ეს ქონება არ იყოს დაქვემდებარებული რეკვიზიციის რიგისა... სახელმწიფოს მთავრობა, რომლის ტერიტორიაზეც გარდაიცვალა უცხო სახელმწიფოს ქვეშემდგომი და დარჩა ქონება, ვალდებულია კანონის ძალით ქონება დაიცვას და შეინახოს ვიდრე კანონიერი მემკვიდრეები გამოცხადდებიან დარჩენილი ქონების მისაღებად“.

მოსამართლეს წერილი გორის მაზრის რეკომისიათვის გადაუგზავნია შემდგომი რეაგირებისათვის, რომელსაც ადევს რეკომისიის თავმჯდომარის (ხელმოწერა გაურკვეველია – ი. ა.) რეზოლუცია: „შეგატყობინებთ, რომ რეკვიზიცია და კონფისკაცია ზეზმანისთვის არავის მოუხდენია, რაც შეეხება მისი ქონების დაცვას, მასზედ თვით ზეზმანმა იზრუნოსო“².

რა თქმა უნდა, ხელისუფლება ცრუობდა. მისთვის ყოველი კაპიტალისტი კლასობრივი და იდეური მტერი იყო, ეროვნების მიუხედავად.

იმავე 1921 წელს „ნარკომის“ (სახალხო კომიტეტი – ი. ა.) მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას და „ამორჩეულ კაცებს“ გორბუშკინის, ძამოევის, ზერეკიძის, ცხაკაიას და სხვათა შემადგენლობით აუზომავთ ზეზმანის და ორბელიანების საკუთრებაში არსებული მამულები და გამოუტანიათ გადაწყვეტილება: „სახნავი მიწა ზომით 2 დესეტინა (ურწყავი) ყოფილი ორბელიანების საკუთრება დამუშავებულია ვასო, იაკოფი და მიხა ვალიშვილებისაგან, ხოლო 2 ნაკვეთი წრეულობით არ მოუხნავთ და მოცდენილია. სხვა 2 დესეტინა სივრცით და მდებარეობით უვარგისია საზოგადოდ და სახელმწიფო დამუშავებისათვის. 2 ნაკვეთი დანაწილებულია ნაკვეთებად და კიდევ დასახლებულია, არ შეიძლება მოხმარებული იქნეს სხვა რაიმე მიზნისათვის. მესამე ნაკვეთი ნაკლებათ გამოსადგეია დასახლებისათვის და შეიძლება გამოიმიჯნოს... დანარჩენი მამული ყოფილი მემამულე ორბელიანისა ზომით 4¹/₂ დესეტინა გადაეცეთ მცხოვრებთ დასახლებისათვის პლანზედ და ხელმძღვანელობა გაეწიოს მთავარ მმართველობას მიწისძვრისაგან დაზარა-

¹ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 93, აღწერა 1, გვ. 26. 1921 წ.

² გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 127, აღწერა 1, გვ. 115. 1921 წ.

ლებულთა დამხმარე კომიტეტის თვალყურის დევნებით ...ნაკვეთები ყოფილი მემამულე ზეზმანისა, რომელიც იყო დაჭრილი ზომით 260 ტ... (არ იკითხება – ი. ა.) დაიჭრას ნაკვეთებად და გადაეცეს მოსახლეობას. ამასთანავე უნდა დაცული იყოს ინტერესები გლეხკაცებისა ახალი გადამიჯვნა და დარიგება ნაჭრებისა უნდა მოხდეს ისე, რომ არ უნდა დაინგრეს და არც გადაიტანონ უკვე აშენებული შენობები. ...ორბელიანის და ზეზმანის მამულები განაწილებული უნდა იქმნას სოფლის ამორჩეული რეკომის და მთავარ ინჟინრის წარმომადგენლის მიერ. პირველ შემთხვევაში მიეცეს ნაკვეთები უფრო ღარიბთ და მიწისძვრით დაზარალებულებს და შემდეგ უფრო ნაკლებად დაზარალებულებს“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ ატენელი გლეხები მიწას სახელმწიფოსაგან საჩუქრად არ იღებდნენ. მიწის მიმღებთ წინასწარ უარი უნდა განეცხადებინათ „ძველი სახლ-კარის ადგილზედ“ ადგილკომის სასარგებლოდ. თუ სასახლკარე მიწის მიმღები ერთი წლის განმავლობაში შენობას არ ააშენებდა კუთვნილ ნაკვეთზე უფლებას კარგავდა².

როგორც ჩანს, ატენელ გლეხებს ორბელიანებისა და ზეზმანის მამულებზე „მალა გაეხსნათ“ და ერისთავის მიწების გადაცემაც მოითხოვეს. 1921 წლის ივნისში ატენის ადგილობრივი რეკომის თავმჯდომარე (გვარი განცხადების ხელმოწერაში არ იკითხება. გარკვეულად ჩანს მხოლოდ სახელის პირველი და გვარის ოთხი ასო – გ. ბითრ... - შესაძლოა, ბითაროვი - ი. ა.) გორის სამაზრო რეკომის საადგილმამულო განყოფილებას მიმართავს საჩივრით: „გაცნობებთ, რომ ატენის მცხოვრებლებისათვის იყო გადაწყვეტილი სახალხო კრებაზედ ზეზმანის და ორბელიანის ზვრები. ამ ჟამად დარიგდა აღნიშნული ზვრები და ბევრი დარჩა უკმაყოფილო ორმოცდაათ კომლამდე. ამისათვის გთხოვთ მომცეთ ნება ერისთავის ზვრის დაყოფაზე, ვინაიდან ხალხი დარჩენილია უკმაყოფილოდ დიდ გაჭირვებას განვიცდით და დააკმაყოფილოთ გაჭირვებული ხალხი (სტილი დაცულია – ი. ა.)“³.

1922 წელს ორბელიანების და ზეზმანის ოჯახებს ატენში ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლი (17 ოთახით) და ბაღიც. ორბელიანისეულ სასახლეში გახსნეს შრომის სკოლა⁴. შენობის რემონტის ხარჯები უნდა გაეღო ახლომდებარე უბნების მოსახლეობას თვითდაბეგვრის წესით⁵, ხოლო ზეზმანის ქვრივს წინადადება მისცეს, ერთი თვის განმავლობაში დაეტოვებინა ატენის რაიონი, ვინაიდან „მთელი მშრომელი გლეხკაცობა ამხედრებული იყო მის წინააღმდეგ, როგორც ყოფილი ექსპლუატატორი მშრომელი ხალხისა“⁶. იმავე წლის 29 დეკემბერს გორის სამაზრო კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, ატენში ზეზმანის ყოფილი ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის აყრისა და მისი ცხინვალის მშენებარე რკინიგზაზე გამოყენების შესახებ. ატენის მოსახლეობა თანახმა ყოფილა აქმალია რკინიგზა და სამხერხაო ქარხანასთან ჩამოეტანა ხეობაში დარჩენილ ერთ ორთქმავალთან ერთად, იმ პირობით, რომ რკინიგზისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიას საურმე გზის მოსაწყობად დაუთმობდნენ⁷.

1923 წელს, ხელისუფლებამ ზეზმანისეულ სახლში დაწყებითი სკოლა და ატენის სახალხო თეატრი გახსნა.

მოგვიანებით, ტანას ხეობაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხელოვნურად მოხდა ოსი ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლება. მათი ნაწილი საკუთარი ინიციატივით უკანვე გადასახლდა 1944 წელს, ჩეჩენ-ინგუშთა 1944 წლის დეპორტაციის შედეგად დაცლილ ტერიტორიებ-

¹ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 93, აღწერა 1, გვ. 88-89. 1921 წ.

² გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 93, აღწერა 1, გვ. 89. 1921 წ.

³ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 127, აღწერა 1, გვ. 81. 1921 წ.

⁴ აღსანიშნავია, რომ ორბელიანისეულ სასახლეში (ამჟამინდელი დედათა მონასტერი ატენში) სკოლა ჯერ კიდევ მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს (ალექსანდრე ორბელიანის მეუღლეს) ჰქონდა გახსნილი, რომლის ხარჯის ნახევარი თავად დაუფარავს, ხოლო ნახევარი - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და წლების განმავლობაში მზრუნველობას უწევდა მას.

⁵ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 162, აღწერა 1, გვ. 23. 1925 წ.

⁶ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 12, აღწერა 1, გვ. 92. 1922 წ.

⁷ გორის არქივი, ფონდი №1, საქმე 12, აღწერა 1, გვ. 83. 1922 წ.

ზე¹, ხოლო დანარჩენი ნაწილი XX ს. 90-იანი წლების მოვლენების დროს გადასახლდა ისტორიულ სამშობლოში.

Iioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

THE ISSUE OF OWNERSHIP AND EXPROPRIATION OF THE TANA VALLEY RESUME

The Tana Valley which is discussed in the article is located in the historical ShidaKartli, southeast of Gori.

The valley with its center Ateni, due to its strategic location, fertile lands, forests and pastures, has been one of the most important cities and administrative centers of Georgia for centuries, and especially during its heyday. The road used to pass from ShidaKartli to KvemoKartli, Armenia and Meskhet-Javakheti through Tana Valley.

The Ateni Valley was owned by the Georgian royal court and church for centuries, however, at different times they had large estates here and the Baghvashes, Tsitsishvilis, Orbelians, Eristavi and others disputed with one other.

Possession of Bagrationi in Tana valley was maintained until the abolition of the Kingdom of Kartl-Kakheti.

Due to the constant leprosy, by the end of the XVIII century and the beginning of the XIX century, the Tana Valley was almost deserted.

At the beginning of the XIX century, local authorities in Gori (Sipiagin, Kovalchinsky) repeatedly informed Knoring and Tormasov about the invasion of the Leks from the Ateni Valley and the abduction of people and cattle from there.

The Tana Valley was re-settled in 1817-1821 at the initiative of the famous Georgian public and military figure Giorgi Eristavi and on the instructions of Governor Ermolov, provided that Eristavi would settle his own 50 households from the Ksani and Aragvi valleys and protect the village.

Significant ethnic changes in the population of the valley took place in the 80s of the XIX century and 20s of the XX century, both as a result of deliberate actions of the government, as well as on private initiative. For example, in the 1980s, the Finnish industrialist August Zezmann built a narrow-gauge railway here and brought dozens of people from Azerbaijan for the purpose of cheap labor, who stayed here with their families as permanent residents.

After the establishment of the Soviet government (25.02.1921), the property of the landlords (Orbelians, Eristavi, etc.) and industrialists (Zezman and his family) living in the Ateni Valley was forcibly expropriated and nationalized.

¹ იოსებ ალიმბარაშვილი. ოსების დაბრუნება საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში - მიზეზები და მიზნები, *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, XV, თბ., 2019, გვ. 327-345.

**კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი საქართველოში
მოლოდინები და შედეგები**

კათოლიკე ეკლესიისათვის საქართველოში 2019 წელი მართლაც გამორჩეული იყო. ამ წელს საზეიმოდ აღინიშნა: გორის კაპუცინ მამათა მისიის დაარსების 350-ე წლისთავი, დედა ტერეზას მოწალები კონგრეგაციის თბილისის მისიის დაფუძნების 30-ე წლისთავი, ახალციხის რაიონის დაბა ვალეს კათოლიკური ტაძრის აღდგენის 30-ე წლისთავი, კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაარსების 25 წლისთავი წმ. პაპ იოანე-პავლე II-ს საქართველოში ოფიციალური ვიზიტის 25-ე წლისთავი, საქართველოს კარიტასის დაფუძნების 25-ე წლისთავი, სამხრეთ კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა თბილისის საკათედრო ტაძრის კურთხევის მე-20 წლისთავი. საქართველოს კათოლიკეთათვის, ეს წელი მართლაც გამორჩეულად დაასრულა 28 და 29 დეკემბერს, ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის სახელმწიფო მდივნის კარდინალ პიეტრო პაროლინის საქართველოში სტუმრობამ. ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის მეორე პირის ოფიციალურ ვიზიტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებული 28 წლიანი ურთიერთობების თვალსაზრისით, ასევე რეგიონში კათოლიკური თემის სამოქალაქო უფლებების დაცვის კუთხითაც.

2013 წელს პაპმა ფრანცისკემ პიეტრო პაროლინი დანიშნა ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის სახელმწიფო მდივნად. ეს არის წმინდა საყდრის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა. პიეტრო პაროლინი არის 1930 წლიდან. ამ პოსტზე იგი არის ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო მდივანი, 1930 წლიდან. სანამ ამ მაღალ პოსტს დაიკავებდა, მან დიპლომატიის საკმაოდ რთული და წარმატებული გზა განვლო. მას დიდი წვლილი მიუძღვის წმინდა საყდრის სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ურთიერთობების მოგვარებაში მექსიკასთან, ვიეტნამთან, ისრაელსა და ჩინეთთან. სხვადასხვა დროს დაჯილდოებულია იტალიის, გერმანიის, პოლონეთის, მექსიკის, რუმინეთის, ბულგარეთის უმაღლესი რანგის სახელმწიფო ორდენებით. პიეტრო პაროლინი არის კარდინალ-ეპისკოპოსი და მისი გვარი წმინდა საყდრის კარდინალთა სიის სათავეშია.¹

28 დეკემბერს კარდინალი პიეტრო პაროლინი თბილისის წმ. მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარს ესტუმრა, აქედან დაიწყო კარდინალის ვიზიტის ოფიციალური ნაწილი. წმ. წირვის დაწყებამდე, სამხრეთ კავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი მეუფე ჯუზეპე პაზოტო მიესალმა მაღალ სტუმარს და მთელი კათოლიკე მრევლის სახელით მადლიერება გამოთქვა მისი ჩამობრძანების გამო, რაც კიდევ ერთი თვალნათელი დასტურია პაპი ფრანცისკეს და წმინდა საყდრის კეთილდამოკიდებულებისა და მამობრივი მზრუნველობისა ჩვენი ქვეყნის კათოლიკეთა მიმართ. თავის მხრივ, კარდინალმა პიეტრო პაროლინმა მიულოცა საქართველოს კათოლიკეებს კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციის დაარსების 25 წლისთავი.² გაიხსენა საქართველოს კათოლიკეთა ისტორიის უახლესი ეპოქის ის მნიშვნელოვანი თარიღები, რომლებიც აღინიშნა 2019 წელს და პაპ ფრანცისკეს მისალმება და კურთხევა გადასცა ტაძარში შეკრებილ მრევლს. ამ საზეიმო მსახურებაზე კარდინალის თანამწირველები იყვნენ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი, ასევე აღმოსავლეთ ევროპის სომხურ-კათოლიკური წესის არქიეპისკოპოსი მეუფე რაფაელ მინასიანი, არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, ასირიული წესის არქიმანდრიტი ბენიამინ იად ბარი, ლათინური და სომ-

¹ www.vatican.va

² სამხრეთ კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის დაარსების 25-ე წლისთავი, მართალია, 2018 წელს შესრულდა, მაგრამ საზეიმო ღონისძიებები 2019 წლამდე გრძელდებოდა.

ხური წესის მღვდელმსახურები. წმ. წირვის დროს ტაძარში ისმოდა ლოცვები საქართველოს მრავალეროვანი კათოლიკე მრევლის ენებზე, ხოლო საგალობლებს მორიგეობით ასრულებდნენ თბილისის ლათინური წესის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის, სომხურ-კათოლიკური და ასურულ-ქალდეურ საკრებულოთა მგალობლები.

წმ. წირვის შემდგომ მისმა აღმატებულებამ არქიეპისკოპოსმა ჟოზე ბეტენკურმა ტაძრის კათედრიდან შეკრებილ საზოგადოებას გააცნო წმინდა საყდრის გადაწყვეტილება, რომ, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის წინაშე გაწეული მრავალწლიანი თავდადებული საქმიანობისათვის, პაპი ფრანცისკე ღირსების ორდენებით აჯილდოებს გიორგი ცხომელიძეს, გიორგი ცქიტიშვილს და მამა ლუიჯი მანტოვანს. ღირსების ორდენები, პაპ ფრანცისკეს სახელით, კარდინალმა პიეტრო პაროლინიმ პირადად გადასცა ამ ორდენების კავალრებს.¹

წმ. წირვის შემდგომ კურიის მისაღებ დარბაზში კარდინალი პიეტრო პაროლინი შეხვდა თბილისის კათოლიკე მრევლის წარმომადგენლებს. თავის გამოსვლაში კარდინალმა მოკლედ მიმოიხილა, თუ რა საქმიანობას ეწევა იგი, როგორც წმ. საყდრის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის მქონე სახელმწიფო მდივანი. თავისი გამოსვლის ბოლოს კარდინალმა დასძინა, რომ „არასდროს ვოცნებობდი დამეკავებინა ადმინისტრაციული პოსტი ვატიკანში, ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება იყო, გაემზადრიყავი მღვდელმსახური და ეს ოცნება ავისრულე – მე კათოლიკე ეკლესიის მღვდელი ვარ, თუმცა, როდესაც ახლად გამწესებული ვიყავი სამრევლოში, ჩემმა წინამძღვარმა რომში გამაგზავნა საეკლესიო სამართლის შესასწავლად, ვინაიდან ჩვენს ეპარქიაში საჭირო იყო სამართლის მცოდნე მღვდელმსახური. სამწუხაროდ, განათლების მიღების შემდგომ დამტოვეს ვატიკანში და უკვე წლებია, სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მიწევს საქმიანობა. პაპ ფრანცისკეს გადაწყვეტილებით კი წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი ვარ. პირველად ვარ თქვენს ლამაზ ქვეყანაში და ეს დიდი პატივია. 2016 წელს პაპ ფრანცისკეს საქართველოში ვიზიტის დროს მეც უნდა ვყოფილიყავი მასთან ერთად, მაგრამ დატვირთული სამუშაო გრაფიკისა და ჯანმრთელობის გამო ვერ შევძელი ჩამოვსულყავი. მოხარული ვარ, რომ ამჯერად შევძელი გსტუმრობოდი თქვენ წელს, როდესაც ამდენ საიუბილე თარიღს აღნიშნავთ და მომელოცა თქვენთვის ეს იუბილეები“.²

მისაღებების შემდგომ კარდინალმა პიეტრო პაროლინიმ, მეუფე ჯუზეპესა და მეუფე ჟოზე ბეტენკურთან ერთად, გაჭრა სადღესასწაულო ტორტი.

კათოლიკე მრევლთან შეხვედრის შემდგომ კარდინალი პიეტრო პაროლინი, წმ. საყდრის დესპანი საქართველოში, არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო და აღმოსავლეთ ევროპის სომხურ-კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსი რაფაელ მინასიანი თბილისის საკრებულოს საზეიმო დარბაზს ეწვივნენ, სადაც გაიმართა საზეიმო მიღება საქართველოს მთავრობის და საზოგადოების წარმომადგენლებთან. საქართველოს მთავრობის სახელით, საზეიმო მიღებაში მონაწილეობდა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი დავით ზალკალიანი.

ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნების შესრულების შემდგომ კარდინალი პიეტრო პაროლინი მიესალმა საზეიმო დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას: „რამდენიმე საათიც კი საკმარისია თბილისში, რომ იგრძნო ქართველი ხალხის კეთილგანწყობა, მოიხიბლო მისი ღირებულებებით, კულტურული და რელიგიური ტრადიციებით. მსურს, გადმოგცეთ პაპი ფრანცისკეს სალაში, რომელმაც საქართველოში ვიზიტისას განაცხადა: „თქვენი სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, თქვენივე კულტურით, ენითა და ტრადიციებით გამოხატულ ფასეულობებში ფესვგადგმული, სრული უფლებით მიუჩენს თქვენს ქვეყანას ნაყოფიერსა და გამორჩეულ ადგილს ევროპული ცივილიზაციის წიაღში“.³

¹ საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“, (საგანგებო ჩანართი გვ. 1). 02(290).2020.

² საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“ (საგანგებო ჩანართი გვ. 2). 02(290). 2020.

³ საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე. (საგანგებო ჩანართი გვ. 2).

წმინდა საყდარი ერთ-ერთი პირველი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებიდან, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და დიპლომატიური მისია გახსნა თბილისში. როგორც მაშინ, დღესაც, წმინდა საყდარი, მათ შორის საერთაშორისო ფორუმებზეც, სრულად უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

„დღეს საქართველო, რომელსაც ახსოვს თავისი წარსული და ყურადღებით აკვირდება დროთა ნიშნებს, იმედის თვალთ უმზერს მომავალს და ესწრაფვის მშვიდობას, როგორც თავისთვის, ისე მთლიანად, რეგიონისთვის, სადაც, სამწუხაროდ, დღესაც შეინიშნება დაძაბულობა და აგრესია. იმედი მაქვს, რომ ყველა მტკიცედ მოიძიებს დიალოგისა და თანხმობის გზებს, ყველას და თითოეულის ღირსების პატივისცემისა და სამართლიანობის ძიების დაუოკებელი სურვილით“, - განაცხადა თავისი გამოსვლის ბოლოს კარდინალმა პიეტრო პაროლინმა.¹

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრამ, ბატონმა დავით ზალკალიანმა თავის საპასუხო გამოსვლაში ხაზი გაუსვა კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტის მნიშვნელობას: **„მადლობას გიხდით საქართველოში ჩამობრძანებისთვის. ჩვენთვის უდიდესი პატივია წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის სტუმრობა. სასიხარულოა, რომ სწორედ 2019 წელს გვაქვს შესაძლებლობა გიმასპინძლოთ, ვინაიდან ეს საიუბილეო წელია საქართველოსა და წმინდა საყდრის ურთიერთობების კუთხით და არაერთ მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება.“**²

მიღებას ესწრებოდნენ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის იერარქები, საქართველო კათოლიკო-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ შიოს ხელმძღვანელობით, ასევე ევანგელურ-ლუთერული და ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების მღვდელმთავრები; მუსლიმური, იუდაური, ეზიდური რელიგიური თემების სასულიერო ლიდერები, საქართველოს რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს თავჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე; თბილისის საკრებულოს წევრები; მეცნიერების და კულტურის სფეროს წარმომადგენლები; საქართველოს ელჩი ვატიკანში ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონ-ორსინი.

29 დეკემბერს კარდინალი პიეტრო პაროლინი სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს ესტუმრა. მაღალ სტუმარს მიესალმნენ უნივერსიტეტის დამფუძნებელი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, წმინდა საყდრის დესპანი ჟოზე ბეტანკური, უნივერსიტეტის რექტორი ვაჟა ვარდიძე და უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი გოჩა ბარნოვი. თავის გამოსვლაში კარდინალმა პიეტრო პაროლინი განსაკუთრებული შეფასება მისცა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიას, აღნიშნა, რომ ეს უნივერსიტეტი უნდა გახდეს რეგიონში ქრისტიანული განათლების გამორჩეულ კერა. კარდინალმა აქცენტი გააკეთა თეოლოგიის და ზოგადად განათლებისა და რელიგიათშორისი დიალოგის მნიშვნელობის განსაკუთრებულ როლზე მშვიდობისა და ხალხთა შორის კეთილმეგობრული ურთიერთობების დამყარების სფეროში. **„ჩემი გამოსვლა მსურს დავასრულო გამოთქმით, რომელსაც ხშირად იყენებენ პაპი ბენედიქტე XVI და პაპი ფრანცისკე: „განთლება და რწმენა არის ქრისტიანობის ორი ფრთა“, თქვენი უნივერსიტეტიც მოწოდებულია, რომ იყოს ამ პრინციპის ერთგული, თქვენზე დიდი მისია, ემსახუროთ მეცნიერებისა და რწმენის განმტკიცებას, თქვენ უნდა გააგრძელოთ სიმბოლური ხიდის მოვალეობა კულტურათა შორის დიალოგში“**,³ - განაცხადა კარდინალმა პიეტრო პაროლინმა. შემდგომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის სტუდენტთა ვოკალურმა გუნდმა, სტუმრის საპატივცემულოდ, შეასრულა სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული საშობაო საგალობელი. სტუმრობის ბოლოს უნივერსიტეტის რექტორმა მაღალ სტუმარს გადასცა სამახსოვრო საჩუქარი – ქართული ტრადიციული ტიხრული მინანქრის ტექნიკით დამზადებული საბაუნის გერბი. თავის მხრივ, კარდინალმა პიეტრო პაროლინი ვაჟა ვარდიძე წმინდა საყდრის საპატიო მედალით დააჯილდოვა. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ისტორიაში ეს ყველაზე მაღალი რანგის წარმომად-

¹ იქვე.

² საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე.

³www.sabauni.edu.ge.

გენლის სტუმრობა გახლდათ და ახალგაზრდა, მაგრამ ქვეყნის მასშტაბით უკვე საკმაოდ ცნობილი უნივერსიტეტის დიდი დაფასების მანიშნებელია.

იმავე დღეს კარდინალი პიეტრო პაროლინი ესტუმრა საქართველოს კარიტასს. კარიტასის ცენტრში სტუმრობისას კარდინალმა მიულოცა ორგანიზაციის საქართველოს ფილიალს დაარსების 25-წლიანი იუბილე, სამახსოვრო მედალი გადასცა ცენტრის დირექტორს, ქალბატონ ანაპიტ მკოიანს. თავის გამოსვლაში პიეტრო პაროლინიმ ხაზი გაუსვა საქართველოს კარიტასის როლს საქველმოქმედო-ჰუმანიტარული საქმიანობის კუთხით, განსაკუთრებით აღნიშნა ამ ორგანიზაციის საქმიანობის ინტერკონფესიური ხასიათი და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში საქართველოს კარიტასი უფრო მეტი შემართებით იმსახურებს და მეტი გულმოდგინებით გააგრძელებს თავის საქმიანობას მთელს რეგიონში. საქართველოს კარიტასში სტუმრობისას კარდინალ პიეტრო პაროლინს თან ახლდნენ წმინდა საყდრის დესპანი ჯოზე ბეტენკური, სამოციქულო ადმინისტრატორი მეუფე ჯუზეპე პაზოტო და აღმოსავლეთ ევროპის სომხურ-კათოლიკური წესის არქიეპისკოპოსი რაფაელ მინასიანი.

ამ შეხვედრაზე მოწვეული იყო ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის უკანონო ტყვეობიდან წინა დღით გათავისუფლებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი. კარდინალმა გამოთქვა თავისი სიხარული ამ ფაქტთან დაკავშირებით, მიულოცა გათავისუფლება და თანადგომა აღუთქვა გმირ ექიმს. თავის მხრივ, ვაჟა გაფრინდაშვილმა მადლობა გადაუხადა კარდინალს და, მისი სახით, მთელ კათოლიკე ეკლესიას მხარდაჭერისათვის და მისი გათავისუფლებაში გაწეული დახმარებისათვის.

იმავე დღეს კარდინალი პიეტრო პაროლინი და მისი თანმხლები პირები ესტუმრნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია II-ს. საპატრიარქოში შეხვედრის დროს საუბარი შეეხო წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს. კარდინალმა პიეტრო პაროლინიმ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს გულთბილი მადლობა გადაუხადა მიღებისათვის, მიულოცა აღსაყდრების დღე, გადასცა რომის პაპ ფრანცისკეს მოკითხვა და რომში ილია II-ის ვიზიტის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებაზე მიწვევა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, გაიხსენა 40 წლის წინანდელი ვიზიტი რომში, ასევე რომის პაპ იოანე-პავლე II-სა და პაპ ფრანცისკეს სტუმრობა საქართველოს საპატრიარქოში. შეხვედრის დასასრულს მხარეთა მიერ გამოითქვა რომის სამოციქულო და კათოლიკე და საქართველოს სამოციქულო ეკლესიათა შორის თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი.¹

კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტსა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის მიერ ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ახალქალაქისა და კუმორდოს მიტროპოლიტმა მეუფე ნიკოლოზმა განაცხადა, რომ: „**როგორც ჩანს, საერთაშორისო საზოგადოებამ დიდი როლი შეასრულა და რომის საყდრის ფაქტობრივად მეორე პირია ჩამოსული, კარდინალი, რომელმაც არ გამოვიცხავ, რომ დიდი როლი ითამაშა. ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ რომის პაპს. ვფიქრობ, რომ წვლილი შეიტანა, რადგან კარდინალი საქართველოში ჩამოვიდა**“.²

ასევე, ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის სურვილით, კარდინალი პიეტრო პაროლინი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ქეთევან ციხელაშვილსა და გორისა და ატენის მიტროპოლიტ ანდრიასთან ერთად, ეწვია საოკუპაციო ხაზს სოფელ გუგუთიანკარში და წეროვანის დასახლებას. გუგუთიანკარში სახელმწიფო მინისტრი და კარდინალი იმ ადგილას იმყოფებოდნენ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ უკანონო ბარიერები აღიმართა. ქეთევან ციხელაშვილმა სტუმარს ადგილზე არსებული ვითარება და გამყოფი ხაზისპირა სოფლის საჭიროებები გააცნო. სახელმწიფო მინისტრმა სტუმარს ოკუპირებული ახალგორის მიმართულებით ე.წ. გამშვები პუნქტის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც 4 სექტემბრიდან უკანონოდაა ჩაკეტილი და რამაც რეგიონში სრული ჰუმანიტარული კრიზისი შექმნა. სწორედ ამ თემაზე გაგრძელდა საუ-

¹ www.tabula.ge

² www.tabula.ge.

ბარი მოგვიანებით წეროვანის დევნილთა დასახლებაში, სადაც ქეთევან ციხელაშვილი, წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივან პიეტრო პაროლინისთან ერთად, ოკუპირებული ახალგორიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა. შეხვედრაზე, ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვით გამოწვეულ სირთულეებსა და მოსახლეობის საჭიროებებზე უშუალოდ ადგილობრივებისგან მოისმინეს. ისაუბრეს ოჯახებზე, რომლებიც აღნიშნული შეზღუდვის გამო უკვე მეოთხე თვეა, გაყოფილია და ახალგორის მოსახლეობაზე, რომლებიც ვერ იღებენ სამედიცინო მომსახურებას, მედიკამენტებსა და საკვებ პროდუქტებს. ხაზი გაესვა მიმოსვლის დაუყოვნებლივ აღდგენის აუცილებლობას.

„წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანის, კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი კიდევ ერთი გამოხატულებაა საქართველოს მიმართ რომის პაპის მხარდაჭერისა. ჩვენ ვიმყოფებოდით გუგუთიანთკარში, სოფელში, რომელიც მათუღწლართებითაა გაყოფილი ასამდე სზვა სოფლის მსგავსად და ასევე წეროვანში, სადაც ახალგორიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს - იმ ოჯახების ნაწილი, რომლებიც დღეს სრულ იზოლაციაში, ახალგორში, უკვე ოთხი თვის განმავლობაში იმყოფება. მისი აქ ვიზიტით, წმინდა საყდარმა, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ გამოხატა მყარი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, რაც არაერთხელ მოგვისმენია, მათ შორის სწორედ სახელმწიფო მდივანისგან, ორი წლის წინ, წმინდა საყდარში ჩემი ვიზიტისას. ისინი არიან და იყვნენ ჩართულნი 2008 წლის შემდგომ დაზარალებული, იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების საქმეში“, - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა. თავის მხრივ, სახელმწიფო მდივანმა აღუთქვა ქართულ მხარეს, რომ არსებულ ვითარებას გააცნობს წმინდა მამას.¹

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანი, კარდინალი პიეტრო პაროლინი შეხვდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს. შეხვედრაზე საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებულ მეგობრულ და წარმატებულ ურთიერთობებზე ისაუბრეს და მაღალი დონის გაცვლითი ვიზიტების მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი. აღინიშნა, რომ საქართველო, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, ცნობილია ტოლერანტული დამოკიდებულებით ყველა კონფესიისა და ეთნიკური ჯგუფის მიმართ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრესში კათოლიკე მოსახლეობის მიერ შეტანილ განსაკუთრებულ წვლილს საუბარი შეეხო საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ამ კონტექსტში არჩილ თალაკვაძემ ყურადღება საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე გაამახვილა და განაცხადა, რომ ოკუპაცია საფრთხეს უქმნის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არსებულ ქრისტიანულ მემკვიდრეობას. ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა პარლამენტის თავმჯდომარეს წმინდა საყდრის მხრიდან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მტკიცე მხარდაჭერა დაუდასტურა: „საქართველოს, მის მომავალს აქვს დიდი მხარდაჭერა, ჩვენ მიმართ არის პოზიტიური მოლოდინები და პასუხისმგებლობას ამ მიმართულებას სრულად ვაცნობიერებთ. მზად ვართ, მომავალშიც გავაგრძელოთ რეფორმები პროგრესის მისაღწევად და გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას და ხალხს სჭირდება“, - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ არჩილ თალაკვაძემ.²

კარდინალი პიეტრო პაროლინი შეხვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას. შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას. „ჩვენ ვაფასებთ საქართველოსა და წმინდა საყდარს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და მზად ვართ თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისთვის“³, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ. საქართველოს მთავ-

¹ [www. https://smr.gov.ge/ge/news/read/1771/qetevan-cixelashvili-wminda-saydris-saxelmwifo-mdivantan-ertad--gugutiantkarsa-da-werovanis--devnilta-dasaxlebash-imyofeboda.](http://www.smr.gov.ge/ge/news/read/1771/qetevan-cixelashvili-wminda-saydris-saxelmwifo-mdivantan-ertad--gugutiantkarsa-da-werovanis--devnilta-dasaxlebash-imyofeboda)

² www.parliament.ge

³ www.gov.ge

რობის მეთაურმა ხაზი გაუსვა კარდინალ პაროლინის ვიზიტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს ორმხრივი ურთიერთობების მაღალი დონის კიდევ ერთი დადასტურებაა.

შეხვედრისას ყურადღება დაეთმო ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას. პრემიერ-მინისტრმა წმინდა საყდარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს, რომელიც, პრემიერის განცხადებით, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი ქვაკუთხედი და ქართველი ხალხის ურყევი არჩევანია. საუბარი ასევე შეეხო კულტურისა და განათლების სფეროში თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღინიშნა სასტიპენდიო პროგრამების მნიშვნელობა, რომელიც ქართველ სტუდენტებს აძლევს საშუალებას, ისწავლონ რომში რელიგიური მეცნიერებები და მიიღონ მუსიკალური განათლება იტალიის წამყვან კონსერვატორიებში.

წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება მიულოცა. კარდინალ პიეტრო პაროლინის განცხადებით, ქართველი ექიმის გათავისუფლება საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. შეხვედრებზე ვატიკანის სახელმწიფო მდივანს თან ახლდნენ სამხრეთ კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, წმინდა საყდრის დესპანი ჯოზე აველინო ბეტენკური და საქართველოს ელჩი ვატიკანში ქეთევან ბაგრატიონ-ორსინი.

ამგვარად ჩაიარა ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანის სახელმწიფო მდივანის საქართველოში სტუმრობის მაღალი დონის შეხვედრებით საკმაოდ დატვირთულმა ორმა დღემ. მხარეები აღნიშნავენ ამ ვიზიტის მნიშვნელობას ორი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავების სფეროში. ასევე ქართული მხარე ამ ვიზიტს განიხილავს, როგორც საქართველოს ევროინტეგრაციის კუთხით გადადგმულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს და, რაც უდავოა, უახლოეს პერსპექტივაში ვატიკანსა და საქართველოს შორის ურთიერთობები კვლავ დათბება. უნდა გავიხსენოთ, რომ 2004-2010 წლებში ქართული მხარის მიერ წმინდა საყდართან ურთიერთობების იგნორირებას მყისიერად მოჰყვა ვატიკანის მხრიდან საქართველოსთან ურთიერთობების გაყინვა. მხოლოდ, როდესაც ზოგიერთი ლათინური ამერიკის სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი გახდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი იძულებული გახდა, ვიზიტი განეხორციელებინა რომის პაპთან და გაეუმჯობესებინა ურთიერთობები წმინდა საყდართან. შედეგებმაც საერთაშორისო ასპარეზზე არ დაახანა და რუსეთის მიერ შეგულიანებულმა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებმა უარი თქვეს თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარებაზე. ის მცდარი წარმოდგენა, რომ ვატიკანი, როგორც მსოფლიოს ყველაზე მცირე სახელმწიფო, არანაირ გავლენას არ ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე, დიპლომატთა და პოლიტიკოსთა სიბეცეზე მეტყველებს, რადგან წმინდა საყდარი მილიარდ სამასი მილიონი კათოლიკესათვის სულიერ სამშობლოს წარმოადგენს. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გაბნეული ეს უდიდესი მრევლი სწორედ ვატიკანის მოქალაქეებად აღიქმება. ამიტომ ვატიკანთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ცდილობენ ის ქვეყნებიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა საერთოდაც არაქრისტიანია.

ჩვენს ქვეყანაში კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტი შეაჯამა წმინდა საყდრის დესპანმა საქართველოსა და სომხეთში არქიეპისკოპოსმა ჟოზე აველინო ბეტენკურმა. ვატიკანის დიპლომატიის თვალსაწიერით: „კარდინალის ვიზიტი იყო ერთგვარი შეჯამება და გაგრძელება წმინდა საყდარსა და საქართველოს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა. ოფიციალური ვიზიტის დროს განხორციელებული შეხვედრებისას თვალნათლივ გამოიკვეთა ერთი რამ – საქართველოს სურს მშვიდობა. მსოფლიოს ყველაზე დიდი ინსტიტუტები სწორედ ისინია, რომლებიც მშვიდობის დასამყარებლად საჭირო პირობებს ქმნიან. ევროკავშირის ყველაზე დიდი მიღწევაც ისაა, რომ მან სამშვიდობო პირობები შეუქმნა ორ მსოფლიო ომით გატანჯულ კონტინენტს. ცხადია, დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ, ბოლო ოცდარვა წლის მანძილზე, საქართვე-

ლომ გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ თავისი განვითარების გზაზე და სამომავლოდ კიდევ უფრო მეტის გაკეთებას იმედოვნებს და მაინც, ყველა ეს მისწრაფება ამო იქნება საერთაშორისო, სოციალური თუ შიდაოჯახური მშვიდობის გარეშე. ამის მისაღწევად კი სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობაა აუცილებელი. ქვეყნის სტრუქტურები და ინსტიტუციები მოწოდებულნი უნდა იყვნენ, ყველა ღონე იხმარონ სამშვიდობო პროცესებისა და პირობების ხელშესაწყობად.¹ ამგვარად გამოეხმაურა კარდინალის ვიზიტს ვატიკანის ელჩი, რომელიც ერთ-ერთ ორგანიზატორადაც და ერთგვარ მასპინძლადაც გვევლინებოდა. მის რეზიდენციაში გაათია ღამე მაღალმა სტუმარმა და თავის გამოსვლებში ელჩის მიერ მიწოდებულ ინფორმაციებსაც ეყრდნობოდა.

დიპლომატიური საოქმო მოთხოვნების სრული და ზედმიწევნითი დაცვით, დადებითად შეაფასა წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის ვიზიტი, ყველა მისმა მასპინძელმა. სამშობლოში, ანუ ვატიკანში დაბრუნებულმა კარდინალმა პაროლინიმ ასევე დადებითად შეაფასა თავისი პირველი ოფიციალური სტუმრობა საქართველოში და სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, მიღებული ნორმების, წესების და პროტოკოლის გათვალისწინებით, ეს ვიზიტი მართლაც საინტერესო, დატვირთული, თავაზიანობით გამორჩეული და, როგორც სასულიერო პირებს შეეფერებათ, მოკრძალებული გახლდათ.²

თუმცა ნებისმიერი წარმატებული ვიზიტის შემდგომ რჩება განცდა იმისა, რომ კიდევ უფრო მეტის მიღწევა იყო შესაძლებელი, თავს იჩენს შეუსრულებელი მოლოდინების განცდა. კარდინალის ვიზიტმა წარმოაჩინა საქართველოს ლათინური წესის კათოლიკური თემის გაცრუებული მოლოდინები, მოლოდინები მათი ინტერესების გათვალისწინებისა და ისტორიული სამართლიანობა დაცვისა. საქართველოს კათოლიკეებში რჩება ათწლეულობით დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემები, პირველ რიგში კი ჩამორთმეული ტაძრების დაბრუნებისა ან მათ ნაცვლად ახალი ტაძრების ასაგებად ნებართვის მიღების სურვილი. ასევე მართლმადიდებელ სასულიერო პირთა მხრიდან ნათლობის არცნობის პრობლემა. პრობლემა, რომელსაც სვეტიცხოველში საქართველოს პატრიარქთან შეხვედრისას, პაპი ფრანცისკეც შეეხო თავის გამოსვლაში. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის, როლისა და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებამ უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას რელიგიური უმციურესობების პრობლემათა გადასაჭრელად და ქვეყნის ხელისუფლებას საქართველოს კათოლიკეები მხოლოდ ვატიკანის პირველ პირთა ვიზიტების დროს არ უნდა გაახსენდეს.

წმინდა საყდარზე, ქალაქ-სახელმწიფო ვატიკანსა და კათოლიკე ეკლესიაზე როდესაც ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგ შემთხვევაში ამ სამ ინსტიტუციას განსხვავებული ინტერესები და ამოცანები აქვს. ასევე ნაწილობრივ განსხვავებული ინტერესები აქვთ ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიებს. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ვატიკანისა და წმინდა საყდრის ამოცანაა, აღმოსავლეთ ეკლესიებთან ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბება, ხოლო ადგილობრივი ეკლესიის და მრევლის სურვილი გახლავთ, დაუბრუნდეთ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამორთმეული და მართლმადიდებლური ეკლესიისთვის გადაცემული ხუთი ტაძარი. ადგილობრივი კათოლიკეთა საკრებულოების ეს სურვილი თანხვედრაში არ მოდის წმინდა საყდრის გლობალურ ეკლესიათშორის პოლიტიკასთან, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი მრევლის მოთხოვნა ტაძრების დაბრუნებაზე არალეგიტიმურია. უბრალოდ, ეს ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა და ვატიკანი არ ერევა სუვერენულ ქვეყნების საშინაო საქმეებში. ამ სამართლებრივი მოცემულობის გააზრება კი ხშირად უჭირს ადგილობრივ კათოლიკე სამრევლოებს, რომელთაც თავიანთი საკუთარი პრობლემების გადაჭრა პრიორიტეტად მი-

¹ ჟოზე აველინო ბეტენკური, „მშვიდობა დიადი და სანუკვარი ფასეულობა“, საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“, 02(290). 2020. გვ. 11.

² სახელმწიფო მდივანი თავის თანმხლებ პირებთან ერთად ჩვეულებრივი სარეისო თვითმფრინავით მგზავრობს, ვატიკანის საელჩოებში ათევის ღამეს და ოფიციალური ბანკეტებისგანაც თავს იკავებს. ასევე იყო საქართველოში ოფიციალური ვიზიტის დროს.

აჩნიათ და ამ საქმეში ვატიკანის ქმედითი დახმარების იმედი აქვთ. ამჯერადაც ასე გახლდათ – კარდინალ პიეტრო პაროლინის ვიზიტის დროს ადგილობრივი კათოლიკე მრევლი ელოდა, რომ ვატიკანის სახელმწიფო მდივანი მაღალი დონის შეხვედრების დროს გააყდერებდა მათ პრობლემებს. სახელმწიფო მდივანი, ცხადია, ზუსტადაა ინფორმირებული და ბევრად უფრო მეტადაც, ვიდრე ადგილობრივი კათოლიკეები, მაგრამ მისი ვიზიტი გლობალურ პრობლემათა მოგვარებას ემსახურება, ხოლო ადგილობრივი პრობლემები ისევე ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ადგილობრივი ძალებით უნდა მოგვარდეს.

საქართველოს კათოლიკე მრევლისათვის, სამწუხაროდ, კვლავ ღიად რჩება რიტორიკული კითხვა: „გვეშველება რაბე?!“. ასე რომ, წმინდა საყდრის სახელმწიფო მდივნის სტუმრობის შემდგომ ნაკლებ სავარაუდოა, შეიცვალოს რაიმე ამ თვალსაზრისით.

Nugzar Bardavelidze
Georgian Technical University
CARDINAL PIETRO PAROLIN'S VISIT TO GEORGIA
EXPECTATIONS AND RESULTS
RESUME

On December 28-29, 2019, the Vatican Secretary of State Cardinal Pietro Parolin paid an official visit to Georgia. During the visit, Cardinal Pietro Parolini had meetings with the Speaker of the Parliament of Georgia, the Prime Minister of the country, the Catholicos-Patriarch of All Georgia. Along with the State Minister for Reconciliation and Civic Equality, Cardinal Pietro Parolin, Secretary of State for the Holy See, visited the dividing line village of Gugutiantkari and the Tserovani IDP settlement. The meeting discussed the Difficulties caused by the closure of the checkpoint and the needs of the population. It was about families separated for the fourth month due to this restriction, and about the population of Akhalkori who do not receive medical services, medicines and food. The meetings also focused on the challenges facing the country and the situation in the occupied territories. The need for immediate restoration of traffic was stressed. Cardinal Pietro Parolini together with the Apostolic Administrator of Georgia, Bishop Giuseppe Pazoto, conducted a holy service at the Tbilisi Catholic Cathedral. After the service, the Cardinal handed over the blessing of Pope Francis to the faithful, then met and greeted the Catholic believers of Latin, Armenian and Assyrian-Chaldean rits. Listened to their requests.. Cardinal Pietro Parolin's visit to Georgia was another confirmation of Georgia's European integration choice.

During the high-level diplomatic meetings, they discussed the strengthening of peace, Georgia's European choice, the Holy See and the future cooperation of our country, but the problems of the Catholic minority living in Georgia remained open. Georgian Catholics are particularly concerned about the problem of not returning the five temples confiscated from them. As well as the restrictions that Catholic parishes face in obtaining permission to build a new church. In particular, even in the city of Gori.

საქართველო ბრესტის ზავიდან ბათუმის კონფერენციამდე

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დაიდო საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის. ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა იტვირთა ვალდებულება გამოეყვანა თავისი ჯარები აღმოსავლეთ ანატოლიიდან და ბათუმიდან. ამ რეგიონების ბედი ადგილობრივი მოსახლეობის ნების საფუძველზე, თურქეთისა და მეზობელი ქვეყნების შუამავლობით უნდა გადაწყვეტილიყო. თურქეთმა პრეტენზიები წამოაყენა ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქებზე იმ საბაბით, რომ ეს ტერიტორია ოთხი საუკუნის განმავლობაში გვეკუთვნოდა და 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით იძულებით წაგვართვესო.

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას არ ესწრებოდა ამიერკავკასიის დელეგაცია და თურქეთმა დაარწმუნა გერმანია თავისი მოთხოვნის კანონიერებაში. „ამიერკავკასიის კომისარიატისათვის ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქების თურქეთისათვის გადაცემა არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც თურქეთი არ ცნობდა, მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 3 მარტისათვის ამიერკავკასია ფაქტობრივად გამოყოფილი იყო რუსეთისაგან“¹.

2 მარტს, როცა ამიერკავკასიის დელეგაცია აპირებდა თბილისიდან ტრაპიზონში გამგზავრებას, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა ბრესტ-ლიტოვსკიდან მიიღო რუსეთის საბჭოთა საზავო დელეგაციის მდივნის კარახანის შემდეგი შინაარსის დეპეშა: „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“².

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა და აცნობა ევროპისა და აშშ-ს მთავრობებს, რომ იგი არ ცნობს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას, რომელიც ეხება ამიერკავკასიას და მის საზღვრებს, რადგან იგი დადებულია მის დაუკითხავად და მისი მონაწილეობის გარეშე. ამასთან, აცნობებდა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა გამოყო დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება ტრაპიზონში თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დასადებად. „თანახმად სეიმის გადაწყვეტილებისა, ამიერკავკასიის მთავრობა ყოველგვარ ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას, მის საზღვრებს და დადებულია მასთან შეთანხმებისა და მისი მონაწილეობის გარეშე, თვლის ძალადაკარგულად. ამასთან, ამიერკავკასიის სეიმმა უკვე აირჩია სამშვიდობო დელეგაცია, რომელიც, თანახმად თურქეთთან წინასწარი მოლაპარაკებისა, მზადაა, გაემგზავროს ტრაპიზონში მასთან საბოლოო ზავის დასადგენად“³. ასეთი შინაარსის საპროტესტო განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა ამიერკავკასიის მთავრობის მეთაური ე. გეგეჭკორი და სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხენკელი გაიგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სამშვიდობო კონფერენცია, პეტერბურგში, ლონდონში, პარიზში, ვაშინგტონში, რომში, კონსტანტინეპოლში, ტოკიოში, ბერლინსა და კიევში.

ამიერკავკასიის დელეგაცია, აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, 7 მარტს თბილისიდან გაემგზავრა და მეორე დღეს უკვე, ტრაპიზონში ჩავიდა. დელეგაციის, რომლის რაოდენობა, შეიარღობილი დაცვის ჩათვლით, 1000-მდე კაცს ითვლიდა, ტრაპიზონში ჩასვლის შემდეგ ერთი

¹ გურული ვ., საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია (1917 წლის მარტი - 1918 წლის მაისი) - ქართული დიპლომატია, წელიწადი, ტ. 9, თბ., 2002, გვ. 23

² სვანიძე მ., ტრაპიზონის კონფერენცია (1918 წლის 14 მარტი - 14 აპრილი) ქართული დიპლომატია, წელიწადი, ტ. 5 თბ., 1998, გვ. 285

³ სვანიძე მ., დასახ. ნაშრ. გვ. 286

თურქული გაზეთი წერდა: „თუ ეს სამხედრო შენაერთია, მაშინ ძალიან ცოტანი არიან, ხოლო თუ სამშვიდობო დელეგაციაა - ძალიან ბევრი“¹.

ოსმალეთის დელეგაცია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჰუსეინ რაუფ ბეი, პირველი რანგის კაპიტანი, საზღვაო დეპარტამენტის შტაბის უფროსი, ტრაპიზონში ოთხი დღის დაგვიანებით ჩავიდა.

მოლაპარაკების დროს, მიმდინარე ვითარებასთან დაკავშირებით, აკაკი ჩხენკელი წერდა: „პირობები, რომელთა შორის მიმდინარეობდა დელეგაციის მუშაობა, მეტად მძიმე იყო... ჩვენ რომ მივდიოდით, გვეგონა, ნეიტრალურ ქალაქში ვიქნებოდით, რომელიც არც რუსეთს ეკუთვნოდა, არც ოსმალეთს. როცა ჩავედით, ჩვენი ჯარი ტრაპიზონიდან უკვე წასული იყო. მათ განაცხადეს, რომ ისინი მასპინძლები არიან და ჩვენ კი მათი სტუმარი. ეს გარემოება არ იყო ჩვენთვის ხელსაყრელი, რადგანაც თავს თავისუფლად ვერ ვგრძნობდით...“

ერთი სიტყვით, დელეგაციას მუშაობა მძიმე პირობებში უხდებოდა. მოწყვეტილი ვიყავით ჩვენს ქვეყანას, არც გაზეთი მოგვდიოდა, არც დეპეშა...

ამას გარდა, პირველი დღიდანვე გამოჩნდა ჩვენი დელეგაციის სისუსტე. მაშინ, როდესაც ჩვენს დელეგაციაში ერთსულოვნება, ერთი აზრი არ არსებობდა, ჩვენ მთელი დღეებით გვიხდებოდა ხოლმე კამათი და დავა ჩვენსავე შორის ამა თუ იმ საკითხზე და მაინც ერთი გადაჭრილი დასკვნის გამოტანას ვერ ვახერხებდით, ოსმალეთის დელეგაციისაგან პასუხი სულ რამდენიმე საათში მოგვდიოდა“².

ტრაპიზონის კონფერენციის სხდომა გაიხსნა 14 მარტს. ამიერკავკასიის დელეგაციის გეგმა ითვალისწინებდა თურქეთთან შეთანხმებას 1914 წლის სასაზღვრო ფარგლებში. თურქეთის მხარე კი მოლაპარაკების წინა პირობად მოითხოვდა ბრესტის ხელშეკრულებით მითითებული ტერიტორიის დაცლას. ამასთან ამიერკავკასიის მთავრობასთან მოლაპარაკებას შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იურიდიულად იქნებოდა აღიარებული. თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ ბეიმ განაცხადა: „მათ არავითარი ცნობა არ აქვთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, რომ ჯერ არც ერთი სახელმწიფოსაგან იგი არ არის ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას გულისხმობენ ვით რუსეთის ნაწილს. მაშასადამე, ბრესტის ზავის შესახებ არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ ასრულებაში მოვიყვანოთ ბრესტის ზავის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას და შევკრათ თქვენთან მეგობრული კავშირი“³. კონფერენციის მსვლელობის დროს ოსმალეთი ამიერკავკასიის დელეგაციისაგან მოითხოვდა: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა; 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება და მისთვის გადაეცა არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები (სვანაძე მ., 1998:26).

ამიერკავკასიის დელეგაციამ შეცდომა დაუშვა და ოსმალეთის მხარეს არ მოსთხოვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ტექსტი. ხელშეკრულებაში არ იყო ჩაწერილი, რომ არტანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთს გადასცემოდა. იქ აღნიშნული იყო, რომ რუსთა ჯარის გასვლის შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას თვითონ უნდა გადაეწყვიტა თავისი ბედი, ე.ი. ჩატარებულიყო რეფერენდუმი. ამრიგად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ეს მუხლი ითვალისწინებს აქ მცხოვრები ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, რომელთა რეალიზაციაში დახმარება უნდა აღმოეჩინათ მეზობელ სახელმწიფოებს⁴.

დელეგაციის ქართველ წევრთა უმრავლესობა ტრაპიზონში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ დაეცვათ საქართველოს ინტერესები, მაგრამ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პირიქით მოქმედებდნენ. ამ მხრივ, საყურადღებოა, დელეგაციის ერთ-ერთი წევრის, სამსონ ფირცხალავას

¹ ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები, პარიზი 1924წ., თბ., 1929, გვ. 33

² სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 5, ფ. 76

³ იქვე, ფ. 77

⁴ სვანაძე მ., დასახ. ნაშრ. გვ. 26

წერილი ტრაპიზონიდან: „სტამბოლში განჯიდან და ახალციხიდან დელეგატები იყვნენ, რომელთაც სთხოვეს ოსმალეთის მთავრობას, რომ მთელი კავკასია შეიერთე ან პროტექტორატი მაინც დააწესეო. ეს დელეგატები ახლა ტრაპიზონში იმყოფებიან თურმე. ერთი ახალციხელი ის პირია, რომელიც ქართველების წინააღმდეგ მუშაობდა ყოველთვის. უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ ოსმალეთს სწადია მხოლოდ დროის მოგება“¹.

ტრაპიზონში ვითარება მეტად დაიძაბა. ოსმალეთმა 6 აპრილს ამიერკავკასიის დელეგაციას წაუყენა ულტიმატუმი – 48 საათის განმავლობაში ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები. აქვე თურქეთის ჯარები არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქების ოკუპაციას შეუდგნენ. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ამიერკავკასიის დელეგაციამ გადაწყვიტა, მაქსიმალურად წასულიყო დათმობაზე. ამის შესახებ, აკ. ჩხენკელმა აცნობა თავის მთავრობას. დათმობების მაქსიმუმი ასე გამოიყურებოდა: ამიერკავკასიის რჩებოდა ქ. ბათუმი, ართვინის ოლქის ჩრდილოეთი უბანი და ყარსის ოლქში აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ მცირე ზოლი, რომელიც სომხებით იყო დასახლებული. ამავე წერილში აკ. ჩხენკელი წერდა, რომ იგი დარწმუნებული იყო, თურქები ბათუმს არ დათმობდნენ².

ამაზე აკ. ჩხენკელი სეიმისაგან ელოდებოდა პასუხს. იმავე დღეს, ე. გეგეჭკორმა აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ სეიმი თანახმაა მოთხოვნათა მაქსიმუმის დაკმაყოფილებაზე³.

ტრაპიზონში მყოფ ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებს შორის მუდმივი კამათი და დავა იყო. უმრავლესობა მოითხოვდა ბრესტის ზავის პირობების მიღებას. წინააღმდეგი იყო აკ. ჩხენკელი, მაგრამ, როცა მიიღო ცნობა, რომ ბათუმი ცუდ მდგომარეობაშია, იგი იძულებული გახდა, მიემართა ამიერკავკასიის მთავრობისათვის და ეთხოვა თანხმობა ბრესტის ზავის პირობების მიღებაზე. თბილისიდან პასუხის დაგვიანების გამო, თანაც ოსმალეთის მიერ წაყენებული ულტიმატუმის ვადა იწურებოდა, აკაკი ჩხენკელი იძულებული გახდა, დაერღვია სეიმის ინსტრუქცია და დასთანხმდებოდა ბრესტის ზავის პირობების მიღებას.

13 აპრილს გაიმართა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის გაერთიანებული კრება. კრებაზე მთავრობის თავმჯდომარემ ე. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ სეიმი არ განიხილავს ბრესტის ზავის საკითხს და მიიღეს ირაკლი (აკაკი) წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან საზავო დელეგაციის გამოწვევის შესახებ. „ეს იმას ნიშნავდა, რომ ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს არაოფიციალურად დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური ხდება. თურქეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ ჰყავდა. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. ქართულმა ჯარებმა თურქეთის შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო“⁴. აკაკი ჩხენკელმა, რომელიც ოსმალეთთან მოლაპარაკების განახლების მომხრე იყო, რაუფ ბეის დაუმალა სეიმის დადგენილების სრული ტექსტი და აცნობა მხოლოდ, რომ მოლაპარაკება დროებით იყო შეწყვეტილი. ამასთან დაკავშირებით, აკაკი ჩხენკელი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა გვწერდა საზავო მოლაპარაკება შეგვეწყვიტა, რაც რაღა თქმა უნდა, კონფლიქტს ბადებდა და ვინაიდან პირველი ნაბიჯი და ისიც მთავარი და უფრო დიდმნიშვნელოვანი, ბრესტის ზავის შესახებ, მთავრობის ნებადართვლად, უკვე გადავდგი, ჩვენ ვარჩიეთ, ეს ნაკლები დანაშაულიც მიგველო ჩვენს თავზე და ზავით შეკვირის საშუალება სრულად არ მოგვესპო, მით უფრო, რომ ომი ყოველთვის შესაძლებელია. ამ მოსაზრებით, ჩვენ თბილისში დაბრუნების მიზეზი არ გავუმხილეთ ოსმალეთის დელეგაციას და დელეგაციების შეხვედრის დროს მე განვუმარტე თავმჯდომარეს, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა, რაც იმით აიხსნება, რომ მოწყვეტილი ვართ ამიერკავკასიას, არ ვიცით რაგვარი სულის-

¹ გაზ. „სახალხო საქმე“, 1918, №193, გვ. 20

² სვანაძე მ., ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება (1918 წლის 11 მაისი - 4 ივნისი) – ქართული დიპლომატია, წელიწადი, ტ. 6, თბ., 1999, გვ. 29

³ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 5, ფ. 80

⁴ გურული ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 24

კვეთება იქ და ტერიტორიული დაშორების გამო მიწერ-მოწერა თხოულობს დიდ დროს. ჩავალთ, წარვუდგენთ მთავრობას მოხსენებას და არ ვკარგავთ იმედს. სეიმი და მთავრობა დაგვეთანხმებიან და კვლავ განვაახლებთ მოლაპარაკებას. აღვნიშნე, რომ მოლაპარაკება დროებით არის შეჩერებული და არა შეწყვეტილი“¹.

ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია 13 აპრილს დაბრუნდა თბილისში.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე განიხილეს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი. საბოლოოდ სეიმმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით გაუქმდა ამიერკავკასიის კომისარიატი და შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. იმავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, განახლებულიყო მოლაპარაკება ოსმალეთთან ბათუმში.

აკაკი ჩხენკელმა აცნობა ოსმალეთის მთავრობას, რომ ამიერკავკასიის მთავრობას სურვილი აქვს განაახლოს საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან, ხოლო ოსმალეთის კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს, ვეჰიბ-ფაშას სთხოვა, შეაჩეროს საომარი მოქმედება, ვიდრე არ დამთავრდება საზავო მოლაპარაკება².

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის გადაუჭრელ პრობლემად იქცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. „გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო³. ამ პოზიციაზე იდგნენ ქართველ ეროვნულ-დემოკრატები და პირდაპირ აყენებდნენ საკითხს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 12 მაისს გიორგი გვაზავამ წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა: „ბატონებო! დროა შევწყვიტოთ ფანტაზიორობა და დავადგეთ რეალურ გზას. დიდი ხანია ჩვენ ავცდით რეალურ პოლიტიკას და სამშობლო ნიადაგს. ჯერ ჩვენ გვინდოდა დაგვეხსნა მთელი კაცობრიობა, მერე რუსეთი, ახლა კი ვებლაუჭებით მთელ ამიერკავკასიას და გვინდა ყველა ერი ავაშენოთ, გავანართოთ და გავანათლოთ. ჩვენ კი ვივიწყებთ ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს და ისიც კი ვერ მოგვინმარია, რაცა გვაქვს, ის საერთაშორისო ჩვენი უფლებანი, რაც ოცი საუკუნის განმავლობაში ხმლითა და სისხლით გამოუგლეჯია ბედის ხელიდან ჩვენს წინაპრებს“⁴.

გიორგი გვაზავამ ეროვნულ საბჭოს წარუდგინა ეროვნულ-დემოკრატიული გადაწყვეტილება, რომ დაუყოვნებლივ საქართველო უნდა გამოცხადებულიყო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ.

1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას ამჯერადაც აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. ეს უკანასკნელი დასთანხმდა ბრესტის საზავო პირობებს, რომ მის საფუძველზე წარმართულიყო მოლაპარაკება, მაგრამ თურქეთის მხარე ახალ-ახალ პრეტენზიებს აყენებდა, რომელთაც საბოლოო ჯამში თურქეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია უნდა მოჰყოლოდა. საქართველოს მოვლა-პატრონობის თაოსნობა ხელში აიღო ეროვნულმა საბჭომ, მისი სახელით ა. ჩხენკელმა მოლაპარაკება გამართა გერმანიის დელეგაციასთან, რომელიც ბათუმში ჩამოვიდა, როგორც შუამავალი. ამ დროს გერმანია-თურქეთის კავშირს ბზარი ჰქონდა გაჩენილი. 1918 წლის 19 მაისს ა. ჩხენკელმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელს, ფონ ლოსოვს, ჩარეულიყო ამიერკავკასია-ოსმალეთის დავაში, რაზედაც დადებითი პასუხი მიიღო⁵. საქართველოს ურთიერთობას გერმანიასთან მყარი საფუძველი ექნებოდა, თუ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. 25 მაისს ეროვნული საბჭოს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ა. ჩხენკელი იუწყებოდა, რომ დაუ-

¹ სცსსა, ფონდი 1836, აღწერა I, საქმე 5, ფ. 80

² მ. სვანაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 184

³ გურული ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 25

⁴ იქვე, გვ. 27

⁵ სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია 1783-1990 თბ., 1991, გვ. 195

ყოველგვარი უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, რათა თურქეთისათვის და-
ეპირისპირებისათვის გერმანიისაგან ზურგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს უკვე მომზადებული ჰქონდა ნიადაგი საქართველოს დამო-
უკიდებლობის გამოცხადებისათვის. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას 20-21 მა-
ისს ბათუმში ესწრებოდა საზავო მოლაპარაკებას და იქ შექმნილმა სიტუაციამ იგი საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის გამოცხადების რწმენამდე მიიყვანა. დამოუკიდებლობის აქტის პროექტი
ზ. ავალიშვილის, ა. ჩხენკელის, ნ. ნიკოლაძის, პ. სურგულაძის მონაწილეობით ბათუმშივე შედ-
გა და თბილისში დაბრუნებისას ნ. ჟორდანიამ ეს საკითხი დააყენა ეროვნული საბჭოს აღმასრუ-
ლებელ კომიტეტში, სადაც ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა¹.

1918 წლის 26 მაისს დაიშალა ამიერკავკასიის სეიმი და იმავე დღეს ეროვნულმა საბჭომ
გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1918 წლის 4 ივნისს ბათუმში ოსმალეთსა და საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრუ-
ლება, რომლის ძალით ბათუმსა და ბათუმის ოლქს ოსმალეთი დაეუფლა, მაგრამ ოსმალთა ბა-
ტონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ვინაიდან ოსმალეთმა პირველ მსოფლიო ომში მარცხი განიცადა
და იძულებული გახდა, ჯარები გაეყვანა ოკუპირებული ქვეყნებიდან და მათ შორის საქართვე-
ლოდანაც. 1918 წლის ბოლოს ოსმალთა ჯარმა დატოვა ბათუმი და ბათუმის ოლქი.

Eldar Tavberidze

Akaki Tsereteli State University

FROM BREST TO THE TREATY OF GEORGIA OF BATUMI CONFERENCE RESUME

On March 3, 1948, a treaty between Soviet Russia and Germany was signed in Bret-Litovsk. At the conference Turley has made claims on Kars-Ardagan-Batumi districts that this territory belonged Turkey for four centuries and they were forced to leave it by Berlin Treaty in 1878.

Transcaucasian delegation didn't attend the Brest-Litovsk conference and Turley assured Germany in legality of the demand.

On March 2, when the delegation of Transcaucasia intended to travel from Tbilisi to Trabzon, the chairman of the Commissariat of Transcaucasia E. Gegechkori received the following telegram of Karakhan, secretary of the soviet delegation of Russian from Brest-Litovsk: "By self-determination the districts of Artaan, Kars and Batumi should be separated from Russia." In this regard, the Transcaucasian Sejm delegation left for Trabzon to sign a peace treaty with Turkey.

From March 14 till April 14, 1918, in Trabzon was held the peace negotiation between Transcaucasia and Turkey. The leader of Transcaucasian delegation was Akaki Chkhenkeli. Their plan considered agreement within the borders by 1914. The Turkish side demanded to leave the territory specified by the Brest Treaty as a precondition for negotiation, and they considered possibility to negotiate with the Transcaucasian government only if its state independence would be legally recognized. Trabzon Conference was not held.

On April 22, 1918, Sejm confirmed the independence of Transcaucasia. That day there was taken a decision on renewing peace treaty with Turkey in Batumi.

Batumi Conference started working on May 11, 1918. By this time, the Transcaucasia had difficulty in the fact that the government agreed to recognize the peace terms of Brest and to lead the negotiation on its basis. The national council took the responsibility on governance of Georgia, A. Chkhenkeli held negotiation with German delegation which arrived in Batumi as a mediator.

¹ სურგულაძე ა., სურგულაძე პ., დასახ. ნაშრ., გვ. 196

That time the relation between Germany and Turkey had difficulties. On May 19, 1918, A. Chkhenkel officially applied to the leader of German delegation Fon-Losov to be involved in the dispute between Transcaucasia and Ottoman and he received a positive response. Georgia's relationship with Germany would have a solid foundation if Georgia would become an independent state.

On May 26, 1918, disbanded the Transcaucasian Sejm and that day the National Council declared the independence of Georgia.

On June 21, 1918, an agreement was signed between the Ottoman Empire and Georgia in Batumi, according to this agreement Ottoman occupied Batumi and its districts, but the Ottoman rule was brief, as the Ottoman Empire suffered a defeat in the World War I and forced to withdraw troops from the occupied territories, including Georgia. By the end of 1918 the Ottoman army left Batumi and the Batumi District.

La Pologne et la question de l'indépendance de la Géorgie 1918-1939

La Pologne est séparée de la Géorgie par une distance de plus de trois mille kilomètres. Il est donc évident que les deux pays n'ont jamais eu des relations très proches et directes semblables aux relations des pays limitrophes ou bien des grands empires qui ont tendance à annexer des territoires éloignés. Cependant dans la période de l'entre les deux guerres les relations entre la Pologne et la Géorgie sont devenues beaucoup plus proches. Cette période a eu une si grande importance dans l'histoire des relations polono-géorgiennes qu'elle est évoquée et rappelée très souvent et montrée comme période modèle. Les premiers liens de coopération ont été noués encore pendant la période de l'indépendance géorgienne entre 1918 et 1920. Après l'invasion soviétique de la République Démocratique de la Géorgie en février et mars 1921 la Pologne a soutenu des relations proches avec le gouvernement géorgien en exil. Cette période reste encore peu connue des historiens, car une grande partie de ces relations restaient secrètes. Seul un des aspects de ces relations - la présence d'une centaine d'officiers géorgiens dans l'armée polonaise pendant cette période a été souvent évoquée et décrite. D'autres aspects de ces relations sont encore à étudier.

Le rapprochement entre les deux pays dans la période de l'entre les deux guerres était du aux objectifs politiques que s'étaient posés les dirigeants des deux Etats et à la situation géopolitique qui a poussé la Pologne et la Géorgie à rechercher des alliés contre la Russie, leur ennemi commun. La Pologne cherchait non seulement à construire des alliances militaires avec des pays européens, dont les plus importants furent la France et la Roumanie, mais aussi à créer une organisation des émigrés des pays subjugués par la Russie soviétique (le mouvement prométhéen). Aux côtés de l'Ukraine la Géorgie y a joué un rôle décisif. Pour la Géorgie il s'agissait d'obtenir l'appui des puissances européennes et pour cela il fallait agir ensemble avec les autres nations conquises par l'URSS de manière à faire entendre sa voix plus fortement. Les intérêts des deux pays – la Pologne et la Géorgie - étant proches leur relation sont devenues très amicales. L'objectif de cet article est de resumer brièvement les vingt ans des relations réciproques de la Géorgie et de la Pologne dans la période 1918-1939.

I/ Les idées communes qui ont facilité le rapprochement politique.

Le but principal des hommes politiques géorgiens après 1918 était de consolider l'Etat et de maintenir l'indépendance. Après l'invasion bolchévique de la Géorgie en printemps 1921 la plupart des élites politiques et militaires géorgiennes ont quitté la patrie pour continuer le combat par d'autres moyens à l'étranger. Ils agissaient tout d'abord par les moyens diplomatiques auprès des grandes puissances. Les efforts pour rendre la cause géorgienne populaire auprès de la société internationale et des nations européennes furent considérables¹. Pour influencer la société des divers pays européens les émigrés ont réussi à rassembler auprès d'eux des intellectuels et journalistes européens et certains hommes politiques, qui sont devenus partisans de la cause géorgienne. Tout cela était insuffisant. Il fallait trouver d'autres alliés. Aucune puissance européenne ne voulait entrer en conflit direct avec l'URSS, bien que les émigrés géorgiens bénéficiaient de l'appui des certains cercles politiques et militaires en France. D'autres Etats manifestaient moins d'intérêt pour la cause

¹ Sur l'ensemble de la question: G. Mamoulia, *Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945)*, Paris 2009.

géorgienne. L'attitude de la France elle aussi a évolué. Après la signature du traité franco-soviétique de non-agression en mois de novembre 1932 la situation des Géorgiens en France a empiré (aussi bien en ce qui concerne les possibilités de la diplomatie géorgienne tolérée jusqu'à ce moment par gouvernement français que des citoyens géorgiens qui furent obligés d'accepter les passeport dits de Nansen au lieu des documents d'identité délivrés par les autorités géorgiennes en France et reconnues par les autorités françaises)¹. La position internationale des Géorgiens a été ainsi réduite à celle des autres nations conquises par les Soviétiques. La seule possibilité qui leur restait était la coopération avec d'autres nations qui se trouvaient dans la même situation. Il faut souligner que les Géorgiens étaient des actifs participants des organisations des émigrés depuis des années. Parmi les différentes organisations internationales anti-bolchéviques une des plus intéressantes et moins connues est encore aujourd'hui le mouvement prométhéen. Il a été créé avec une participation importante de la Pologne, pour laquelle il jouait un rôle important dans sa politique orientale. Dans la période de l'entre les deux guerres ce mouvement fut la principale plate-forme de la coopération entre la Pologne et la Géorgie.

Pour comprendre l'intérêt de la Pologne pour le mouvement des nations conquises par les Soviétiques il faut rappeler quels étaient les principes de la politique orientale de Joseph Pilsudski, personnage clé qui a joué un rôle principal dans l'histoire de la Pologne de la première moitié du XXe siècle. Les principes de la nouvelle politique orientale ont été formés vers la fin du XIX siècle quand la Pologne était partagée par trois puissances européennes: la Prusse, l'Autriche et la Russie². L'idée principale de Pilsudski et de ses collaborateurs du Parti Socialiste Polonais était la suivante – l'Empire Russe qui domine sur l'Europe par son territoire et le nombre de sa population est en réalité formé des nations non-russes gouvernées et rusifiées par les Russes. Aucune de ces nations ne peut seule faire face à l'Empire, mais leur coopération peut créer une situation très difficile pour la Russie et c'est la seule façon de lutter pour retrouver l'indépendance perdue. Les sources de ces idées étaient présentes dans la tradition et la pensée politique polonaise déjà vers la fin du XVIII siècle: elles étaient liées aux tentatives de coopération avec des différentes nations contre l'ennemi commun – l'Empire Russe. Les principales étapes étaient l'alliance avec les cosaques de Philippe Orlik, la politique orientale du prince Adam Czartoryski et d'autres. Bien évidemment des tentatives semblables étaient mises en place par d'autres nations et organisations – celle qui a laissé une empreinte très forte était l'Office des Nationalités créé par l'émigré lithuanien Juozas Gabrys en Suisse³.

Pilsudski a commencé à mettre en œuvre son idée vers la fin du XIX siècle. C'est alors qu'il parlait des peuples du Caucase parmi lesquels il considérait les Géorgiens comme l'allié le plus important. On estime que ses idées principales ont été exposées dans le mémoire qu'il adressa aux Japonais en 1904. Il y parlait de son but qui était «la décomposition de l'état russe en principales parties constitutives et de rendre la souveraineté perdue aux pays incorporés de force à l'Empire [russe]»⁴. Il essayait de mettre ces idées en œuvre surtout dans les années 1919-1920. C'est alors qu'il tentait de créer une alliance avec Lithuanie, une alliance militaire avec l'Ukraine et d'envoyer une mission diplomatique spéciale au Caucase en 1920. Au poste du chef de la mission fut nommé un proche collaborateur de Pilsudski, Tytus Filipowicz. La mission devait partir au Caucase vers la fin du 1919, mais suite aux problèmes de nature interne au Ministère des Affaires Etrangères de Pologne Filipowicz est arrivé à Tiflis seulement en mars 1920. Cette tentative de construire une

¹ Voir plus en détail l'étude sur la question géorgienne dans les relations franco-soviétiques: M. Wołos, *Francja-ZSRR. Stosunki polityczne w latach 1924-1932*, Toruń 2004, pp. 87-97, 107-108, 173-175, 245-246, 506, 543-544, 609-612.

² Les partages de la Pologne ont eu lieu vers la fin du XVIII siècle, en 1772, 1793 et en 1795. La Pologne n'a réussi à reconquérir son indépendance qu'en 1918.

³ Sur les traditions prométhéennes polonaises voir: P. Libera, *'The International of the conquered' – the Promethean movement and Polish authorities during 1926-1939*, "История", Vol. 26, no 6, 2018, p. 612-635.

⁴ J. Piłsudski, *Pisma zbiorowe*, t. II, Warszawa 1937, p. 253.

série d'alliances politiques et militaires en 1919-1920 a échoué¹. Seule conséquence visible de ces projets était la tentative de construire une organisation des émigrés des pays conquis par la Russie bolchévique en 1920. L'Alliance des Peuples Renais Unis basée à Varsovie avec une filiale à Helsinki en était produit principal. Les Géorgiens faisaient partie de cette organisation. L'organisation était dotée d'un hebdomadaire « Przymierze » (l'Alliance). L'hebdomadaire a cessé de paraître en 1921 quand l'organisation a cessé de fonctionner.

La réalisation de cette politique de Pilsudski a été arrêtée avec son départ du pouvoir en 1923. Seul point réel de ses projets était l'admission de quelques dizaines d'officiers caucasiens dans l'Armée Polonaise. Ce n'est qu'à partir de 1926 quand Pilsudski est revenu au pouvoir suite au coup d'état que la politique de coopération avec les émigrés politiques a pu être mise en œuvre à nouveau. Le symbole du nouveau mouvement fut choisi le Prométhée, un héros mythique qui luttait pour retrouver la liberté au Caucase. Il a donné le nom au nouveau journal de l'organisation, qui paraissait à Paris en français depuis le mois de novembre 1926. Le mouvement fut appelé prométhéen.

II/ Les officiers géorgiens dans l'Armée Polonaise.

La présence des officiers caucasiens et ukrainiens dans l'Armée Polonaise était seulement un des volets du mouvement prométhéen, mais elle a laissé des traces très fortes dans les mémoires de l'époque. Il faut souligner que le sujet des officiers géorgiens dans l'armée polonaise a été déjà étudié en détail par les historiens géorgiens, polonais et ukrainiens². Cela ne veut pas dire que le sujet est suffisamment connu, bien au contraire il nécessite des nouvelles recherches qui désormais sont possibles entre autres grâce aux nouvelles collections d'archives³.

Pour rappeler en bref l'essentiel de ce vaste sujet je vais me limiter à retracer ses lignes essentielles déjà étudiés par d'autres historiens. Les officiers géorgiens ont été admis dans l'armée polonaise dès la fin du 1922. Ensuite d'autres militaires ont été admis dans l'armée polonaise, surtout les Azerbeïdjanés et les Montagnards du Caucase du Nord. Les plus nombreux furent les Géorgiens. A cette époque les militaires polonais ont refusé d'enrôler dans l'armée polonaise des Arméniens à cause de leur rusophilie⁴. Il faut remarquer cependant que cela concernait seulement les émigrés arméniens et non les Polonais d'origine arménienne qui vivaient en Pologne depuis environ cinquante ans. Ceux-ci étaient considérés toujours comme des Polonais très patriotiques et dévoués à leur Patrie. A partir de l'année 1928 des officiers ukrainiens à leur tour ont été admis aussi dans l'armée polonaise. Les projets d'accueillir des officiers d'autres nations liées au mouvement prométhéen étaient en phase de discussion mais n'ont jamais été appliqués.

Le nombre exact des tous les officiers étrangers dans l'Armée Polonaise reste inconnu. On

¹ Cette question est étudiée en détails par la Commission Historique Polono-Géorgienne qui travaille depuis 2017 sous la direction du dr David Kolbaia (voir le premier volume des travaux de la Commission: *Polish-Georgian Historians' Commission Collected Works*, vol. I, edited by D. Kolbaia, Warsaw 2019, 207 p.).

² Parmi les plus importants travaux il faut énumérer: M. Mamoń, *Oficerowie kontraktowi w Wojsku Polskim. Realizacja idei prometejskiej w II Rzeczypospolitej*, Uniwersytet Jagielloński, 1993-1994, (manuscript).; R. Karabin, *Gruzińscy podchorążowie i oficerowie kontraktowi w Wojsku Polskim 1921-1939*, „Pro Georgia” 1994, no 4 i 6; M. Mamoń, *Wygnaniec z Kaukazu. Przyczynek do dziejów oficerów kontraktowych w II RP*, „Niepodległość” vol. 47, 1995, p. 185-217; Z. G. Kowalski, *Najlichniesza mniejszość. Gruzini, Azerowie i inni przedstawiciele narodów Kaukazu w Wojsku Polskim w okresie międzywojennym*, [dans:] Z. Karpus (red.), *Mniejszości narodowe i wyznaniowe w siłach zbrojnych Drugiej Rzeczypospolitej 1918-1939*, Toruń 2001, p. 177-199; A. Rukkas, *Georgian Servicemen in the Polish Armed Forces (1922-1939)*, „The Journal of Slavic Military Studies”, vol. 14, September 2001, nb 3, pp. 93-106; D. Kolbaia, *Pod skrzydłami Rzeczypospolitej. Emigracja gruzińska w Polsce 1921-1939*, 2e édition révisée et augmentée, Warszawa 2019 (en version bilingue géorgien et polonais). (Il faut souligner que la liste citée ci-dessus n'est pas complète, une bibliographie complète du problème nécessite un article consacré exclusivement à cette question).

³ Voir par exemple Sh. Murusidze, *Archive Heritage of Ivane Nanuashvili and Polish Emigrants Kept in K. Kekelidze Georgia National Centre of Manuscripts*, in: *Polish-Georgian Historians' Commission Collected Works*, vol. I, edited by D. Kolbaia, Warsaw 2019, p. 179-184.

⁴ Voir: *II Rzeczypospolita wobec ruchu prometejskiego*, édité par P. Libera, Warszawa, 2013, p. 94.

éstime le nombre des officiers étrangers qui servaient dans le cadre du mouvement prométhéen dans l'Armée Polonaise à la fois à 100-120 personnes environ, mais il ne s'agissait pas d'un groupe stable. Certains d'entre eux résignaient, prenaient leur retraite, ou bien partaient pour d'autres raisons et d'autres étaient accueillis à leur place¹. Bien évidemment au même temps des officiers géorgiens servaient aussi dans d'autres armées de l'Europe, surtout dans l'armée perse, grecque et française².

L'analyse des documents militaires polonais nous pousse à en tirer les conclusions suivantes. Les étrangers accueillis dans l'armée polonaise étaient aussi bien des officiers que des élèves-officiers. Le service des officiers géorgiens avait pour le but principal de les former à occuper des postes responsables dans l'armée géorgienne dans l'avenir. Ils n'étaient pas tous ensemble dirigés dans une unité spéciale destinée aux étrangers comme en France (La Légion Etrangère), des telles unités n'existaient pas au sein de l'armée polonaise à l'époque. Ils servaient tous dans les unités polonaises, mais après avoir passé des formations spéciales ils ont été envoyés dans différents types d'armes – artillerie, cavalerie, génie et même dans la marine. Cette dispersion accélérât leur adaptation au nouveau milieu et l'apprentissage de la langue polonaise. Ce qu'il faut souligner particulièrement ce qu'ils participaient assez souvent aux différents cours spéciaux et diverses formations militaires.

Les officiers géorgiens en Pologne étaient subordonnés à un commandement polonais – comme les autres soldats de l'armée – mais tout ce qui les concernait était d'avance discuté avec leur supérieur géorgien qui était le général Aleksandre Zakariadze. Ce dernier était désigné à ce poste par le gouvernement géorgien à Paris et restait en contact avec ses supérieurs géorgiens. D'après les mémoires d'officiers polonais on sait que les Géorgiens ont été admis généralement avec de la sympathie, ils ont relativement vite appris le polonais, certains d'entre eux s'étaient mariés avec des Polonaises et étaient bien notés par leur supérieurs. Les exceptions étaient assez rares, mais bien évidemment présentes.

Ils ont tous participé à la seconde guerre mondiale aux rangs de l'armée polonaise³. Une partie d'entre eux a été fait prisonnier et envoyé aux camps d'internement allemands. D'autres qui participaient aux combats à l'est se sont retrouvés prisonniers des Soviétiques. La plupart d'entre eux a trouvé la mort dans des prisons russes. On sait que la NKVD les cherchait avec une attention particulière. Ceux qui ont été identifiés dans les camps comme étant d'origine géorgienne ont tous été envoyés à Moscou et plus personne n'a entendu parler d'eux. Certains d'entre eux ont servi dans l'armée polonaise pendant la seconde guerre mondiale ou bien dans le mouvement de la résistance polonaise. Seulement rares d'entre eux ont choisi de s'allier aux Allemands. Après la seconde guerre mondiale la plupart des officiers géorgiens qui ont servi dans l'armée polonaise a décidé de partir à l'étranger – ils étaient bien conscients que leur situation serait bien difficile en Pologne dirigée par les communistes. Seulement quelques uns ont choisi de rester en Pologne.

III/ Le mouvement prométhéen – une véritable plate-forme de coopération.

La guerre polono-bolchévique s'est terminée par le traité signé à Riga en mars 1921. Un des articles du traité obligeait la Pologne à cesser tout soutien aux formations militaires

¹ Les listes successives des candidats et des officiers géorgiens dans l'Armée Polonaise ont été trouvées pour des moments précis: 4 mars 1922, le mois de novembre 1922, 19 avril 1923, 1 octobre 1924, 17 octobre 1926, 9 décembre 1927 (publiées dans: *II Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego*, édité par P. Libera, Warszawa, 2013, p. 69-77, 91-92, 102-104, 135-139, 143-147), 20 avril 1934 (publiée dans: A. Rukkas, *Georgian Servicemen ...*, p. 100-101), 1 août 1938 (publiée dans: A. Wszendyrówny, *Polskie działania specjalne przeciw ZSRR w dwudziestoleciu międzywojennym*, [in:] J. Gmitruk, W. Włodarkiewicz (red.), *Stosunki polityczne, wojskowe i gospodarcze Rzeczypospolitej Polskiej i Związku Radzieckiego w okresie międzywojennym*, Warszawa – Siedlce 2012, p. 202-204).

² Dans le cas de la France il s'agissait bien évidemment de la Légion Etrangère. Le cas de Dimitri Amilakvari (1906-1942), officier de l'armée française était une exception (voir: J.- P. Huet, *Dimitri Amilakvari. Un prince combattant*, Chamalières 2020).

³ Voir l'article de Wojciech Materski, *Gruzini – oficerowie kontraktowi Wojska Polskiego w kampanii wrześniowej 1939 r.* „Pro Georgia” 2016, vol. 26, pp. 243-284.

antibolchéviques. Cet article visait surtout les détachements et organisations russes (de Boris Savinkov), ukrainiennes, biélorusses et cosaques. Cependant les autres nations, surtout celles qui venaient des états conquis par la Russie communiste après 1917-1921, étaient aussi visées par ce traité. Pour cette raison toute forme d'aide accordée aux émigrés et leur organisations ne pouvait être que secrète. Pendant la première période de 1921 à 1926 l'aide légale était fournie surtout aux émigrés géorgiens et aux militaires géorgiens dans l'armée polonaise¹. Cela était strictement respecté après le départ de Pilsudski du pouvoir en 1923 jusqu'à son retour en mois de mai 1926.

La situation a diametralement changé en 1926. C'est alors que la politique orientale de Pilsudski a été relancée. Ses hommes de confiance ont été délégués au Ministère des Affaires Etrangères et au Deuxième Bureau de l'Etat Major de l'Armée Polonaise.

Parallèlement des émissaires du maréchal ont participé à la formation de l'organisation des émigrés politiques nommée La Ligue de Prométhée². Son siège était basé officiellement à Paris, mais des filiales étaient fondées à Constantinople, Helsinki et Varsovie. Le mouvement prométhéen était constitué par les représentants de Caucase – la Géorgie, le Caucase du Nord, l'Azerbaïdjan et d'autres nations: l'Ukraine, des Tatares de Volga (ou bien Idél-Oural), des Tatares de Crimée, les Turkestanais, les peuples habitant la Karélie et l'Ingrie et enfin des fractions liées au mouvement libre cosaque des Cosaques du Don, Kouban et Kalmyk. Des tentatives de joindre d'autres nations au mouvement étaient entreprises, mais malgré des longs pourparlers leur succès était très limité. Seule l'Arménie a joint le mouvement et ce n'est qu'en mois de mai 1940³. La Pologne ne participait pas officiellement au mouvement, car elle n'était pas un Etat conquis par la Russie soviétique et officiellement ne pouvait pas participer aux mouvements anti-bolchéviques. Sa position géopolitique – entre deux grands ennemis: l'Allemagne et la Russie – l'obligeait à adopter une politique dite de l'équilibre qui consistait à garder la même distance vis-à-vis les deux voisins. Cela voulait dire que la Pologne devait avoir les rapports semblables avec les deux voisins et ne favoriser aucun d'entre eux au détriment de l'autre. Les traités signés avec la Russie bolchévique en 1921⁴ et 1932 lui interdisaient de participer et de soutenir toute activité anti-bolchévique. Bien que cette obligation était réciproque cela n'empêchait pas les communistes de financer et diriger le Comintern qui était en réalité une gigantesque fourmillère d'espionage au profit du pays des Soviets. Malgré ces serieuses limites la Pologne jouait un rôle important dans le mouvement prométhéen. Tout d'abord elle donnait au mouvement un appui financier important et fournissait l'aide à ses cadres et ses institutions. La plupart des institutions et journaux prométhéens étaient subventionnés par la Pologne. Les prométhéens bénéficiaient de l'aide des divers représentants de l'Etat polonais à l'étranger et en Pologne et à certaines périodes le siège principal de l'organisation se trouvait en Pologne.

L'activité principale du mouvement prométhéen se réalisait dans quatre domaines principales: les affaires étrangères et la diplomatie, l'encadrement des jeunes cadres, la propagande de la cause des peuples soumis par la Russie Soviétique et l'aspect militaire.

Il ne fait pas de doute que la question des affaires internationales était parmi les plus

¹ Pendant la même période servaient dans l'armée polonaise dans les mêmes conditions les officiers du Caucase du Nord et d'Azerbaïdjan, mais ils étaient de loin moins nombreux que les Géorgiens.

² R. Smal Stocky, *The Struggle of the Subjugated Nations in the Soviet Union for Freedom, Sketch of the History of the Promethean Movement*, „The Ukrainian Quarterly” 1947, vol. III, nr 4 ; R. Woytak, *The Promethean Movement in Interwar Poland*, „East European Quarterly”, vol. XVIII, no. 3 (September 1984) ; G. Mamoulia, *Les combats indépendantistes des Caucasiens...* L'ensemble de la bibliographie de ce sujet a été présenté dans: J. Pisuliński, *Prometeizm – problemy i pytania historiograficzne*, [w:] *Ruch prometejski i walka o przebudowę Europy Wschodniej (1918-1940)*, M. Kornat (red.), Warszawa 2012, s. 91-104; P. Libera, *II Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego*, Warszawa 2013, s. 18-27.

³ P. Libera, *Ormianie i ruch prometejski w pierwszej połowie XX wieku. Zarys problematyki*, „Nowy Prometeusz” 2015, no 2, p. 295-313.

⁴ Entre autres à cause du traité polono-bolchévique signé en mars 1921 à Riga qui interdisait à la Pologne de maintenir des organisations anti-soviétiques. Le traité a été étudié en détail dernièrement par: Jerzy Borzecki, *Soviet-Polish peace of 1921 and the creation of interwar Europe*, New Haven: Yale University Press 2008.

importantes. En pratique l'activité du mouvement était concentrée sur l'information de la société internationale des violations du droit international par la Russie Soviétique qui occupait les territoires des nations conquises. De plus des efforts considérables étaient appliqués pour informer régulièrement la société européenne sur le sort des habitants, des activistes patriotes et la terreur qui y régnait. Le mensuel « Le Prométhée » jouait un rôle essentiel dans ces campagnes d'information, mais pas unanime – le mouvement prométhéen bénéficiait de l'aide des autres journaux européens avec le fameux « Journal de Genève » en tête. L'activité internationale des émigrés était surtout la voix des peuples conquis dans le monde libre. Des appels et des pétitions régulières à la Société des Nations étaient leur œuvre. Leur délégués étaient présents aux importantes réunions internationales et grâce au mouvement prométhéen ils parlaient tous d'une voix qu'il était plus difficile d'ignorer que les voix dispersées des petites nations. Parmi les campagnes de propagande les plus importantes on peut mentionner celle qui fut organisée au moment où la Russie s'apprêtait à entrer dans la Société des Nations. Bien évidemment cela n'a pu changer le cours de la politique internationale dictée par les grandes puissances, mais le sort des peuples soumis était rappelé.

La propagande était exercée aussi bien par les journaux livres et brochures. Ils étaient imprimés aussi bien pour le public international en langues française, anglaise et allemande que pour les émigrés eux mêmes et leur compatriotes. Chaque groupe national éditait quelques titres de presse en langues nationales. L'organe principal du mouvement était «Le Prométhée» qui était édité en français à Paris dès le mois de novembre 1926 jusqu'en 1940¹. Parallèlement chaque nation éditait ses propres revues, brochures et livres consacrés à la cause nationale et au combat commun. Des tentatives de faire transporter une partie des journaux en langues nationales vers l'URSS étaient régulièrement entreprises, mais avec le cloisonnement des frontières de plus en plus fort dans les années 30. cela était de plus en plus difficile. Le mouvement prométhéen fut doté de trois agences de presse, deux ukrainiennes «Ukrintag» en Roumanie, «Ofinor» à Genève et Agence Télégraphique Express en Pologne.

Le volet scientifique était réalisé par la création de l'Institut Oriental et de l'Institut National Ukrainien², tous les deux à Varsovie et par un système des bourses destinés aux jeunes des nations membres du mouvement. Chaque année environ trente étudiants de différentes nationalités recevaient des bourses pour pouvoir continuer leur études. Pour la plupart d'entre eux il s'agissait des études en Pologne, seuls quelques uns étudiaient à l'étranger. Le choix des boursiers était le suivant: l'initiative et la proposition du candidat venait des responsables des organisations nationales respectives, mais la proposition devait être acceptée par les Polonais. Par la suite le boursier était noté aussi bien par son organisation nationale d'origine que par les Polonais. Parmi les Géorgiens on peut rappeler Nelly, la fille de Simion Mdivani ou bien Akaki Ramichvili, le fils de Noé Ramichvili.

Le volet militaire se réalisait principalement à travers l'institution des officiers de contrat décrit ci-dessus. Le régime de leur service militaire fut mis en place au début des années 20. et a peu change dans les années suivantes. Seule modification importante était d'élargir cette possibilité aux officiers ukrainiens en 1928. Des pourparlers sur la possibilité d'enrôler dans l'armée polonaise des turkestanais étaient en cours dans les années trente, mais il semble que le projet ne soit pas réalisé. Il faut remarquer par ailleurs que depuis 1928 dans le cadre de l'armée ukrainienne existait un Etat-Major et un service de renseignement dont l'existence bien évidemment demeurait secrets. Dans le cas de l'émigration géorgienne une organisation secrète – l'Organisation Militaire Géorgienne – était créée à Paris. Elle comptait quelques dizaines de personnes et avait pour but de

¹ Suite aux reformes internes le mensuel a changé de rédacteur en chef et de nom en 1938. A partir de cette année il paraissait sous le nom de «la Revue de Prométhée». Voir plus: Г. Мамуліа, *Отчет Георгия Гвазава «Прометей». Ноябрь 1926 – ноябрь 1934 г.». Новый документ по истории журнала «Прометей», „Nowy Prometeusz” nr 10, 2016, pp. 163-169.*

² I. P. Maj, *Działalność Instytutu Wschodniego w Warszawie 1926-1939*, Warszawa 2007; E. Wiszka, *Emigracja ukraińska w Polsce 1920-1939*, Toruń 2005, p. 256-264; S. Kozak, *Ukraiński Instytut Naukowy w Warszawie (1930–1939)*, „Warszawskie Zeszyty Ukrainoznawcze” 2008, no 25-26, p. 15-22.

préparer des hommes pour des opérations de diversion militaire. Des officiers géorgiens qui servaient dans l'armée polonaise venaient régulièrement pour les former. Le plus engagés dans ces activités furent les officiers Nikloz Matikachvili, Valiko Tevzadze et Vano Nanuachvili¹.

Il faut enfin rappeler que le but principal du mouvement était de construire un bloc stable et solide des nations conquises par l'URSS. Cela n'était pas une cause facile surtout à cause des conflits entre les nations voisines. Cela était vrai pour la question de l'appartenance de la péninsule de Crimée que se disputaient les Ukrainiens et les Tatares de Crimée, cela était vrai d'autant plus pour la région du Caucase habitée par les nations qui pouvaient s'entendre difficilement. Pour cette raison l'idée de la création de la Confédération du Caucase fut une des principales préoccupations du mouvement. L'idée était présente dans l'histoire des nations du Caucase et des tentatives de la mise en place d'une telle confédération furent mises en place dans la première moitié des années 20. Plus tard l'idée était fortement encouragée par les Polonais. Finalement un Comité de l'Indépendance du Caucase fut créé. Les négociations ont mené à le consolider par la signature du Pacte de la Confédération du Caucase par la Géorgie, l'Azerbaïdjan et les Montagnards du Caucase du Nord en 1934 à Varsovie (officieusement à Bruxelles). Une place libre fut réservée à l'Arménie. Un an après la Confédération fut dotée d'un organe dirigeant – le Conseil de Caucase².

Le rapprochement polono-géorgien dans la période de l'entre les deux guerres fut provoqué par la menace de l'indépendance de deux Etats de la part de la Russie Soviétique. Ce danger était la principale cause de la mission spéciale polonaise envoyée au Caucase en 1920, puis des relations proches qui furent établies après l'invasion russe de la Géorgie. Une conséquence logique de ces relations était l'idée d'unir les forces des différentes nations qui se trouvaient dans la même situation. C'est ainsi qu'a été créé le mouvement prométhéen. Dans le cadre de ce mouvement s'exécutait la coopération entre les Polonais et les Géorgiens. Leur aspect le plus visible était la présence des officiers Géorgiens dans l'Armée Polonaise. Mais il n'était pas le seul ni le plus important. Cette coopération n'a pas mené à la restauration immédiate de l'indépendance de la Géorgie. Bien au contraire, la seconde guerre mondiale a conduit à assujettir d'autres nations – y compris la Pologne – à la Russie Soviétique, mais le fruit de ces années était surtout l'éveil de la conscience de l'importance d'un combat commun.

¹ Pour plus d'informations voir l'édition des documents sur l'activité du mouvement prométhéen: *II Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego*, édité par P. Libera, Warszawa, 2013.

² Sur l'histoire de la Confédération de Caucase voir: Г. Мамулия, *Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (сборник документов)*, Москва 2012; P. Libera, *Polish authorities and the attempt to create the Caucasian Confederation (1917–1940)*, "Studia z dziejów Rosji i Europy Środkowo-Wschodniej", vol. 52, no 3 (2017), pp. 231-252.

იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალთ

შესავალი

1920-იანი და 1930-იანი წლების პოლონეთის და მისი ლიდერის, იუზეფ პილსუდსკის (1867-1935) საქმიანობა ყოველთვის იყო ქართული ემიგრანტული პრესის ყურადღების საგანი. საქართველოს ბევრი რამ აკავშირებდა პოლონეთთან და პირადად პილსუდსკისთან. 1935 წლის 12 მაისს, პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში გამოქვეყნდა მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სტატიები. ერთ-ერთი ემიგრანტული ქართული გაზეთი წერდა: „საუბედუროდ, საქართველო მოკლებულია საშუალებას, გაგზავნოს მისი წარმომადგენლები მარშალი პილსუდსკის ცხედრის პატივსაცემად და გამოსთქვას თავისუფლად გრძნობა თავის თანაგრძნობისა პოლონელ ერისადმი“.¹

ოკუპირებულ და გასაბჭოებულ საქართველოში მართლაც შეუძლებელი იყო პრესაში თავისუფალი აზრის გამოთქმა.² გაზეთ „კლდის“ თქმით, ის რის გაკეთებაც არ შეეძლოთ საქართველოში, უნდა გაეკეთებინათ ემიგრანტ ქართველებს და „საზღვარგარეთული თავისუფალი პრესის საშუალებით“ და „მთელი ქართველი ერის სახელით“, პოლონეთისთვის გამოეცხადებინათ გულწრფელი თანაგრძნობა.³ პილსუდსკის გარდაცვალებას გამოეხმაურა მთელი ქართული ემიგრანტული პრესა, ყველა პოლიტიკური მიმართულების გამოცემა:

- სოციალ-დემოკრატების („ბრძოლის ხმა“);
- სოციალისტ-ფედერალისტების („სახალხო საქმე“);
- ეროვნულ-დემოკრატების („სამშობლო“);
- რადიკალ-ნაციონალისტების („ორნატი“, „კლდე“);
- პატრიოტულად განწყობილი სამხედროების („მხედარი“).

¹ რ. მკურნალი. მარშალი პილსუდსკი - „კლდე“, 1935, №11-12, გვ. 9

² საბჭოურ პრესაში, პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქვეყნდებოდა მხოლოდ მოკლე ცნობები და მოსკოვის რუსული გაზეთებიდან თარგმნილი მასალები. საბჭოთა რეჟიმის პირობებში პილსუდსკის წარმოადგენდნენ, როგორც მტერს. გაზეთი „კომუნისტი“ 1935 წლის 14 მაისს იუწყებოდა იუზეფ პილსუდსკის გარდაცვალების შესახებ და გამოაქვეყნა მოკლე ბიოგრაფიული ცნობა „იუზეფ პილსუდსკი“. ეს იყო რუსულიდან თარგმნილი ტექსტი და მთავრდებოდა მოკლე შეფასებით: „პილსუდსკის ხელთ ეპყრა მთელი ძალაუფლება და წარმოადგენდა პოლონეთში გაბატონებული რეჟიმის იდეურ ხელმძღვანელს. იგი სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და სიკვდილამდე პოლონეთის სახელმწიფოს სახელმწიფოს პოლიტიკის წარმმართველი იყო“. * („კომუნისტი“, 14 მაისი 1935, №111). პილსუდსკის გარდაცვალებასთან ერთად პოლონეთს საბჭოთა პრესიდან თავს დაატყდა სიცრუის ახალი ტალღა. გაზეთმა „კომუნისტმა“ 15 მაისს „იზვესტიიდან“ გადმოიბეჭდა რადეკის სტატიის ნაწყვეტი, სადაც იმედი იყო გამოთქმული, რომ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ დამთავრდებოდა საბჭოთა კავშირთან მტრობის ხანა: „ჩვენ გვინდა, რომ პოლონეთის საზოგადოებამ, მარშალ პილსუდსკის დამარხვასთან ერთად, დამარხოს უნდობლობა საბჭოთა კავშირისადმი“ და შეიგნოს, რომ საბჭოთა კავშირიდან საფრთხე არ ემუქრება („კომუნისტი“, 1935 წ. 15 მაისი, № 112). თუ რამდენად მართალი იყო ეს სიტყვები, სულ რაღაც ოთხი წლის შემდეგ მკაფიოდ გამოჩნდა. პილსუდსკის დაკრძალვასთან დაკავშირებით კი გაზეთი „კომუნისტი“ მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა: „პილსუდსკის დაკრძალვენ 18 მაისს, კრაკოვში“ („კომუნისტი“, 1935 წ. 17 მაისი, № 114). იმ ღრმა პატივისცემის აღნიშვნა, რომელიც პილსუდსკისადმი გამოხატა პოლონეთმა, ბოლშევიკური ცენზურისთვის მიუღებელი იყო.

³ რ. მკურნალი. მარშალი პილსუდსკი - „კლდე“, 1935 № 11-12, გვ. 9

პუბლიკაციების ნაწილი ხელმოუწერელია ან ფსევდონიმით არის ავტორი წარმოდგენილი.¹

ამ პუბლიკაციებში კარგად ჩანს ის დიდი პატივისცემა, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებში იმსახურებდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, საუბარია პილსუდსკის დამსახურებაზე პოლონეთის წინაშე, მაგრამ ამავე დროს იმ მხარდაჭერაზეც, რასაც პილსუდსკი ქართულ ემიგრანტულ წრეებს და, შესაბამისად, საქართველოს გათავისუფლების საქმეს უწევდა.

პუბლიკაციებში კარგად ჩანს ასევე იმ პოლიტიკური მიმდინარეობების სახეც, რომლის წარმომადგენელიც წერდა პილსუდსკის შესახებ. ყველაზე მოზომილად და მშრალად ქართველი სოციალ-დემოკრატები, ყველაზე ვრცლად და თბილად – ქართული სამხედრო-პატრიოტული წრეები. ეს გასაგებიცაა – პილსუდსკი ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის ყოფილი სოციალ-დემოკრატი იყო, ემიგრაციაში მყოფ ქართველ სამხედროებს კი ყველაზე დიდი დახმარება პილსუდსკიმ გაუწია. სოციალ-დემოკრატიული პრესისგან განსხვავებით, ყველა დანარჩენი პუბლიკაცია პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ, რადგანაც ამ პუბლიკაციებში ჩანს პილსუდსკის საქართველოსადმი და ქართული საზოგადოების პილსუდსკისადმი დამოკიდებულება. გავლენულია პარალელები საქართველოსა და პოლონეთის ისტორიას შორის.

პილსუდსკი ქართული სოციალ-დემოკრატიის თვალთ

პილსუდსკის გარდაცვალების გამო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიურმა ორგანომ, „ბრძოლის ხმამ“, რომელიც პარიზში გამოდიოდა, 1935 წლის ივნისში ვრცელი სტატია გამოაქვეყნა სათაურით – „იოსებ პილსუდსკი“. მასში გადმოცემულია პილსუდსკის ბიოგრაფია, რომელსაც „პოლონეთის ეროვნულ გმირს“ უწოდებენ.

სტატიაში დაწვრილებით მოთხრობილია პილსუდსკის ბიოგრაფიის იმ პერიოდზე, როდესაც ის პოლონეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო. სტატიაში აღნიშნულია, თუ რატომ გახდა პილსუდსკი სოციალისტი. პილსუდსკიმ დაინახა, რომ პოლონეთის არისტოკრატია აპათია-პესიმიზმს მისცემოდა, სამაგიეროდ „ერის დაბალ ფენებში რევოლუციური ალტყინება არა თუ არ გამქრალიყო, არამედ თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა“.

ცალკეა აღნიშნული 1906 წელს პოლონელ სოციალისტებს შორის გაშლილი დიდი ბრძოლა ეროვნული საკითხის გარშემო. პილსუდსკი გადაჭრით ემხრობოდა პოლონეთის დამოუკიდებლობას.

სტატიაში მოყვანილია ასევე პოლონელი სოციალისტების ლიდერის, ნედზალკოვსკის სიტყვები, რომ პილსუდსკი მართალია, ჩამოშორდა სოციალისტურ პარტიას, მაგრამ დარჩა პარტიის მეგობრად და მოკავშირედ.

აღსანიშნავია, რომ „ბრძოლის ხმაში“ გამოქვეყნებული პილსუდსკის ბიოგრაფია მხოლოდ მშრალი ფაქტებისგან შედგება და არაფერია ნათქვამი პილსუდსკის საქართველოსადმი დამოკიდებულებასა და ქართული ემიგრაციისთვის გაწეულ დახმარებაზე. ამ „მშრალი ფაქტების“ უკან იგრძნობა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, პილსუდსკის სახით, მაინც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ, რომელიც ქართული ემიგრაციის არასოციალისტურ წრეებს ეხმარებოდა.

პილსუდსკი - პოლონეთის უდიდესი შვილი

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის არასოციალ-დემოკრატიული ნაწილი, პილსუდსკის როლის შეფასებისას, სიტყვებს არ იშურებდა და მას პოლონეთის უდიდეს მოღვაწედ მიიჩნევდა.

¹ ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში დაბეჭდილი სტატიები იუზეფ პილსუდსკის გარდაცვალების გამო ჩემ მიერ თავმოყრილია კრებულში: იუზეფ პილსუდსკი ქართული ემიგრაციის თვალთ. თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2019 – 72 გვ.

ა. ჩხაიძე იმასაც აღნიშნავდა, რომ ი. პილსუდსკის ღვაწლის დაფასებას, სხვა ხალხებთან შედარებით, ყველაზე უკეთ ქართველები შეძლებდნენ, რადგანაც იმავე მტერთან ისეთივე ბრძოლას აწარმოებდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. „არ იქნება გადაჭარბება რომ ვსთქვათ: ვერც ერთი ხალხი ვერ გაიგებს, ვერ იგრძნობს და ვერ შეაფასებს მარშალის ნამოქმედარს ისე, როგორც ჩვენი ქართველი ხალხი, სწორედ ჩვენი ხალხი იმავე დროს და იმავე მტრისაგან ჩაგრული“, – წერდა ა. ჩხაიძე.¹

პილსუდსკი ისეთივე მნიშვნელობის მოღვაწე იყო პოლონეთისათვის, როგორც დავით აღმაშენებელი საქართველოსთვის, ბისმარკი გერმანიისთვის, ჯუზეპე გარიბალდი – იტალიისთვის, – წერდა ჟურნალი „ორნატი“.² ჟურნალის შეფასებით, „პილსუდსკი მთელი ეპოქა პოლონეთისათვის“, პილსუდსკი იყო „საუკეთესო მხედარი“, „ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე“ და „კარგი პუბლიცისტი“.³ პილსუდსკის ცხოვრება ეს იყო „შეურიგებელი ბრძოლა პოლონეთის ეროვნულ განთავისუფლებისათვის ყველა მისი დამპყრობელთან“.⁴

გაზეთ „სამშობლო“ შეფასებით, ი. პილსუდსკი იმ იშვიათ მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომლებიც გარდაცვალებისთანავე ან სიცოცხლეშივე იკავებენ თავიანთ ადგილს ისტორიაში.⁵ პილსუდსკის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეებისთვის უდავოდ იყო მიჩნეული, რომ „პილსუდსკის უკვე დამკვიდრებული და მოპოვებული ჰქონდა ადგილი პოლონეთის უდიდეს მოღვაწეთა პირველ რიგებში“.⁶ პილსუდსკი იყო პოლონეთის ახალი სახელმწიფოს ფუძემდებელი. მან „მახვილით ხელში არარაობის უფსკრულიდან გამოიყვანა ერი“, „არარაობიდან შეჰქმნა მძლავრი სახელმწიფო და განამტკიცა იგი“,⁷ რომ „იოსებ პილსუდსკის მოღვაწეობამ ჩაუყარა მტკიცე საძირკველი პოლონეთის განთავისუფლებისა და აღორძინების საქმეს“.⁸

ხაზი ესმოდა პილსუდსკის მაღალ მორალურ თვისებებსაც, რომ ის იყო „დიდი და ნათელი პოლიტიკური ფიგურა ომისშემდგომ ევროპის ფონზე“.⁹ პილსუდსკიმ „უცვლელად შეინარჩუნა ის რაინდული მორალი და იდეალიზმი, რომელიც წინად ბევრს ჰქონდა ევროპაში, მაგრამ ჩვენ დროს იშვიათად თუ ვისმე გამოჰყვა“.¹⁰ პილსუდსკი იყო „დიდი და ნათელი პოლიტიკური ფიგურა ომის შემდეგი ევროპის ფონზე“.¹¹

პილსუდსკი იყო ეროვნული იდეის განსახიერება და ამიტომ „მისი პიროვნება და მოღვაწეობა სათაყვანებელია სხვა ერებისთვისაც, ყველა იმისთვის, ვინც მაღლა აყენებს ეროვნულ არსებობას და იბრძვის მისი თავისუფლებისათვის“.¹²

პილსუდსკი და საქართველო

გაზეთი „სამშობლო“ აღნიშნავდა, რომ სხვა ქვეყნების მოღვაწეთა დაფასების დროს ემიგრაციაში მყოფი ქართველები ითვალისწინებდნენ ამ ადამიანის დამოკიდებულებას საქართველოსადმი – და ხაზგასმით აღნიშნავდნენ საქართველოსა და ქართველი ერისადმი პილსუდსკის თბილ დამოკიდებულებას და მხარდაჭერას. გაზეთ „სამშობლო“ თქმით, პილსუდსკისთან დაკავშირებით, ქართველობას ბევრი რამ აქვს „მაღლობით მოსაგონარი და დასაფასებელი“.¹³ „პილ-

¹ ა. ჩხაიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, №19, გვ.32

² ნელი. იოს. პილსუდსკი - „ორნატი“, 1935, № 8, გვ.3

³ ნელი. იოს. პილსუდსკი - „ორნატი“, 1935, № 8, გვ. 3

⁴ პოლონეთის პირველი მარშალი - იოსებ პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, №19, გვ.6

⁵ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935 № 17-18, გვ. 1

⁶ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935 № 17-18, გვ. 1

⁷ პოლონეთის პირველი მარშალი იოსებ პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, №19, გვ. 11

⁸ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935, № 17-18, გვ.3

⁹ რ. მკურნალი. მარშალი პილსუდსკი - „კლდე“, 1935, № 11-12, გვ.9

¹⁰ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935, № 17-18, გვ.2

¹¹ რ. მკურნალი. მარშალი პილსუდსკი - „კლდე“, 1935, № 11-12, გვ.9

¹² იოს. პილსუდსკი - „სახალხო საქმე“, 1935, № 8, გვ.24

¹³ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935, № 17-18, გვ.2

სუდსკის, თავის ქვეყნის უდიდეს მამულიშვილს, კარგად ესმოდა ქართველების მდგომარეობა და ყოველთვის იყო საქართველოს გულთადი მეგობარი“¹, „პილსუდსკი საქართველოს დიდი და გულწრფელი მეგობარი იყო“².

ამავე დროს ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ ეს არ იყო მხოლოდ პილსუდსკის პიროვნული თვისება. ეს იყო გამოხატულება ზოგადად პოლონელების დამოკიდებულებისა საქართველოსადმი, გამოხატავდა პოლონელი ერის საერთო განწყობას. პილსუდსკი „ღირსეულად გამოსახავდა ქართველი ერისადმი იმ კეთილშობილურ რაინდულ გრძნობას, რომელსაც განიცდიდა ყოველი პოლონელი, განურჩევლად მიმართულებისა და მდგომარეობისა“³.

მარშალ პილსუდსკის დამოკიდებულება ქართველი ერისადმი იყო მთელი პოლონეთის ხალხის დამოკიდებულების გამოხატულება. პოლონელთა დამოკიდებულება ქართველებისადმი, ისევე როგორც ქართველებისა პოლონელებისადმი, გამომდინარეობდა ამ ორი ერის საერთო ბედიდან. „პოლონეთმა რუსეთის ხელში განიცადა იგივე მწარე ბედი, რაც საქართველომ. ჩვენ ერთად ვიტანჯებოდით და ერთად ვიბრძოდით. ამან ბუნებრივად დაგვაახლოვა და დაგვაკავშირა“⁴.

ქართული ემიგრანტული პრესა იმედოვნებდა, რომ პოლონეთის სიმპათია და მხარდაჭერა საქართველოსადმი შემდგომშიც გაგრძელდებოდა: „გვინდა დავიჯეროთ, რომ პოლონეთის ერი ამ მეგობრობის გრძნობას არც ერთ მძიმე მომენტში არ დაივიწყებს“, – აღნიშნავდა გაზეთი „ორნატი“⁵.

პილსუდსკის პოლონეთი იყო ნიშნულში ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისათვის. პილსუდსკი დიდი მორალური მაგალითი იყო სხვა ერებისათვის, რომლებიც თავისუფლებისათვის ბრძოლას აგრძელებდნენ.⁶ საქმე მარტო მორალურ მაგალითში არ იყო. პილსუდსკის მაგალითი მისაბადი იყო ქართველებისათვის – როგორ უნდა იბრძოლო ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად და ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის. გენერალი ა. ჩხაიძე აღნიშნავდა: „ვინ იცის ამ დიდი ადამიანის ისტორიამ რომ მიაღწიოს ჩვენ ხალხამდე, ბევრ რამეზე აუხელს მას თვალებს, გააკვინებს წარსულ შეცდომებს და მომავლისათვის ბევრ რამეს ასწავლის“⁷.

პილსუდსკის მოღვაწეობა ეს იყო შეუწყვეტელი ბრძოლა თავისი ერის განთავისუფლების, აღდგენის და გაძლიერებისათვის და საჭირო იყო ამ გამოცდილების ყურადღებით შესწავლა, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მისი გამოყენების მიზნით. პილსუდსკის გამოცდილება „მოითხოვს დიდს ყურადღებას და ფართო შესწავლას“, – აღნიშნავდა „სახალხო საქმე“⁸. იმავეს აღნიშნავდა „მხედარი“: „პილსუდსკის მოღვაწეობის შესწავლა „პოლონეთის ისტორიის ეს დიდი ნაწილი სავალდებულო სახელმძღვანელოდ შეიქმნება ყველა ანალოგიურ მიზნით გატაცებულთათვის“⁹. პილსუდსკის ბიოგრაფია „პოლონეთის ერის, მისი თავისუფლების აღდგენის და განმტკიცების ისტორიაა“¹⁰.

ა. ჩხაიძის თქმით, რადგანაც მოსკოვის მიერ ოკუპირებულ საქართველოში შეუძლებელი იყო ი. პილსუდსკის შესახებ სიმართლის დაწერა, პილსუდსკის გამოცდილების შესწავლა ქართული ემიგრაციის საქმე იყო. ა. ჩხაიძეს პილსუდსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა მიაჩნდა „სამშობლოსათვის საბრძოლველ ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ“¹¹.

¹ იოს. პილსუდსკი - „სახალხო საქმე“, 1935, № 8, გვ.25

² ნელი. იოს. პილსუდსკი - „ორნატი“, 1935, № 8, გვ.3

³ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935, № 17-18, გვ.2

⁴ იოს. პილსუდსკი - „სახალხო საქმე“, 1935, № 8, გვ.25

⁵ ნელი. იოს. პილსუდსკი - „ორნატი“, 1935, № 8, გვ.3

⁶ მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935, № 17-18, გვ.5

⁷ ა. ჩხაიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.32

⁸ იოს. პილსუდსკი - „სახალხო საქმე“, 1935, № 8, გვ.24

⁹ პოლონეთის პირველი მარშალი - იოსებ პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.12

¹⁰ ნ მა-ლი. პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.36

¹¹ ა. ჩხაიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.32

პილსუდსკი და ჟორდანია: საქართველოსა და პოლონეთის 1918-1921 წლების ისტორიის შედარებითი ანალიზი

პარალელებს საქართველოსა და პოლონეთს შორის ხშირად ავლენდნენ ქართულ ემიგრანტულ პრესაში. მაგალითად, „ბრძოლა“ 1926 წელს ეხებოდა პილსუდსკის ფრთხილ დამოკიდებულებას საბჭოთა რუსეთისადმი და აღნიშნავდა: „ჩვენ, ქართველებს, ჩვენი საკუთარი მწარე გამოცდილების მიხედვით, ადვილად შეგვიძლია გავიგოთ მისი შიში. რიგის ხელშეკრულება, ისე როგორც ჩვენთვის 7 მაისის 1920 წლის ხელშეკრულება არა საიმედო ფარია“.¹

ქართულ ემიგრანტულ პრესაში გავლებულია პარალელი პოლონეთსა და საქართველოს შორის. ორივე ქვეყანა ერთი და იმავე მტრის ხელში იყო მოქცეული. ამ ორმა ქვეყანამ დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მოიპოვა დამოუკიდებლობა, თუმცა საქართველომ, პოლონეთისგან განსხვავებით, ვერ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

ცალკე უნდა გამოვყოთ ჟურნალი „მხედარი“, რომლის მთელი ნომერი (1935 N19) მთლიანად მიეძღვნა იოსებ პილსუდსკის. მათი ავტორები (ა. ჩხეიძე, ლ. მა-ლი, ვ. ნა-ლი და სარედაქციო სტატიები), პროფესიით სამხედროები, იდგნენ ეროვნულ-პატრიოტულ პოზიციაზე და უარყოფდნენ სოციალიზმს.

1918 წელს საქართველო და პოლონეთი „იმავე დროს და იმავე მტრისაგან ჩაგრული, საერთო ისტორიის მსვლელობამ მიგვიყვანა განთავისუფლებამდე“.²

მათი აზრით, 1918 წელს პოლონეთისთვის დამოუკიდებლობის აღდგენა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე საქართველოსთვის, მაგრამ პოლონეთმა, საქართველოსგან განსხვავებით, დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ევროპის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. „ვერ გამოვიჩინეთ მტკიცე სურვილი, მივიყუჩეთ ჩვენი ხალხის ტრადიციული სიძლიერე“, – წერდა ა. ჩხეიძე.³

ავტორთა აზრით, 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა დაკარგვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მას არ ჰყავდა ი. პილსუდსკის მსგავსი ლიდერი. „ბედი ოღონდ უფრო ღმობიერი გამოდგა მათთვის და ამ ძნელ წუთებში მოუვლინა კაცი, რომლის რკინის ნებისყოფამ, აღელვებულ ცხოვრების ტალღებზე პოლონეთის გემი გამოცდილი ხელით იქმნე და ისე ატარა, ვიდრე ის სასურველ და მყუდრო ნავთსადგურთან არ მიიყვანა“.⁴ „მხედარის“ გარშემო თავმოყრილი ავტორების აზრით, „ერის ისტორიას პიროვნებანი ჰქმნიან, კარგსაც და ავსაც. მათი დამსახურება და ბრალია, თუ ერი, ათეული წლების სიგრძეზე, ბედსა ან უბედობაში ჩავარდება და პოლონეთის მაგალითზე ეს აქსიომა კიდევ ერთხელ დამტკიცდა“.⁵

აქ გვარის დაუსახელებლად შედარებას ახდენდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ ნოე ჟორდანიასთან (1868-1953) და ყურადღებას ამახვილებდნენ იმ ფაქტორებზე, რაც განაპირობებდა პოლონეთისა და საქართველოს ამ პერიოდის ისტორიის განსხვავებულ შედეგს:

– პოლონეთსა და საქართველოში ბევრი აღმოჩნდა მემარცხენე პარტიების რიგებში. ეს მოვლენა სასარგებლო იყო რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევის პერიოდში, მაგრამ ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის დროს მემარცხენეობის დომინირება ზიანის მომტანი იყო: ამის მაგალითი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი. მემარცხენეობის დომინირებამ „დასცა და მოაღუნა ეროვნული შეგნება და ამით აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა იმ ერებს მაინც, რომელთა ცხოვრება ცალკე კალაპოტით მოწყობას ითხოვდა“.⁶ ამის მაგალითი იყო საქარ-

¹ პოლიტიკური მიმოხილვა - „ბრძოლა“, 1926, № 15, გვ.12

² ა. ჩხეიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.32

³ ა. ჩხეიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.32

⁴ ბ. მა-ლი. პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.36

⁵ ბ. მა-ლი. პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.36

⁶ ბ. მა-ლი. პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.36

თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი. „პოლონეთსაც იგივე გზა არ ასცდებოდა, რომ საქართველოს „მზგავსი პირობები დარჩენილიყო“.

– პილსუდსკისათვის სოციალიზმი ერის განთავისუფლების საშუალება იყო და მან სოციალისტური ძალები პოლონეთში ააცილა ეროვნულ ნიჰილიზმს. „კლასიური ინტერესები და სულისკვეთება საერთო ეროვნულ მიზნებსა და ინტერესებს დაუმორჩილა“, „სოციალიზმი ერთ-ერთი საშუალებათაგანია სამშობლოს გასათავისუფლებლად“ და „პოლონელი სოციალისტი უნდა მიისწრაფოდეს დამოუკიდებელი პოლონეთისაკენ“.¹ „სამშობლო“ აღნიშნავდა, რომ პოლონეთისათვის უადრესად საშიში იქნებოდა თუკი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში პოლონეთი „ორ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ბანაკად იქნებოდა გაყოფილი“. ამ პერიოდში „ვიწრო კლასიური სულისკვეთებით გამსჭვალულსა და ეროვნული ნილილიზმით შეპყრობილს, შედარებით მცირე ძალასაც შეეძლო შეფერხება ეროვნულ დროშის ქვეშ მებრძოლ ძალების მოქმედებისა, მისი შებორკვა და პარალიზაცია“.² ნ. ჟორდანიას წლების მანძილზე თავად იდგა ეროვნული ნიჰილიზმის პოზიციაზე.

– პილსუდსკიმ კლასობრივი მიზნები ეროვნულ ინტერესებს დაუმორჩილა, სოციალისტობაზე უარი თქვა და არჩევანი პოლონეთის სასარგებლოდ გააკეთა. ჟორდანიას ეროვნული ამოცანების გადაწყვეტას კლასობრივი პოზიციებიდან უდგებოდა. მას დამოუკიდებელი საქართველო „სოციალიზმისაკენ სვლისათვის“ სჭირდებოდა.

– პილსუდსკი პოლონეთის შეიარაღებული ძალების მთავარი ორგანიზატორი და გამარჯვებათა სულისჩამდგმელი იყო. ჟორდანიამ სათანადოდ ვერ დააფასა სამხედრო დარგის მნიშვნელობა. არადა, „სახელმწიფოს მეთაურთათვის სამხედრო დარგის მნიშვნელობის აღიარება და ამ დარგით უადრესობამდე დაინტერესება პირველი საფუძველია ამ პიროვნების წონის და ერის ბედ-იღბალისაც“.³

– საქართველო არ მოემზადა განმეორებითი ბრძოლისათვის. ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ორი ნაწილისგან შედგება. პირველია დამოუკიდებლობის მოპოვება. საქართველოში ამან ადვილად ჩაიარა და „დამოუკიდებლობა ფაქტიურად მოვიპოვეთ“.⁴ დამოუკიდებლობის მოპოვება ვერ კიდევ არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას. ყოფილ დამპყრობელთან გარღვეულია „განმეორებითი ომი“, როდესაც ყოფილი დამპყრობელი კვლავ ცდილობს განთავისუფლებული ქვეყნის ხელახლა დაპყრობას. ამჯერად საჭიროა ბრძოლა არა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, არამედ დამოუკიდებლობის დასაცავად. „ამ ომში ყოფილ მფლობელს მუდამ მეტი შანსები აქვს გამარჯვებისა“. ცხადი იყო, რომ „ეს ომი ჩვენ უეჭველად გვექნებოდა რუსეთთან, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იმეფებდა კრემლის კედლებში“.⁵ საქართველო ვერ მოემზადა ამ ომისათვის და დაკარგა დამოუკიდებლობა.

– პოლონეთს ჰყავდა ეროვნული ლიდერი პილსუდსკის სახით, რაშიც არ გაუმართლა საქართველოს.

ქართველი ემიგრანტების აღნიშნული ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლონეთის გამოცდილების შესწავლას, რომელმაც, საქართველოსგან განსხვავებით, შეძლო ეროვნული ძალების მობილიზება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და განსაკუთრებით მისი დამოუკიდებლობის დასაცავად. მათი აზრით, პოლონეთის გამოცდილების შესწავლას საქართველოსთვის პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც დამოუკიდებლობა ხელახლა იყო მოსაპოვებელი.

¹ ა. ჩხაიძე. მარშალი იოსებ პილსუდსკის ცხოვრება და მოქმედება - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.16

² მარშალი პილსუდსკი - „სამშობლო“, 1935 № 17-18, გვ.5

³ ნ. მა-ლი. პოლონეთის განთავისუფლება და მარშალი პილსუდსკი - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.38

⁴ ვ. ნა-ლი. განახლებული პოლონეთის უდიდესი ბრძოლები - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.48

⁵ ვ. ნა-ლი. განახლებული პოლონეთის უდიდესი ბრძოლები - „მხედარი“, 1935, № 19, გვ.48

დასკვნა

პილსუდსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში საუბარი იყო არა მხოლოდ მის ბიოგრაფიასა და ღვაწლზე, არამედ დასმულია მნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემებიც, რომლებიც, ავტორთა აზრით, საგულდაგულო შესწავლის საგანი უნდა გამხდარიყო ქართველი მკვლევრებისათვის. ეს იყო, პირველ რიგში, საქართველოსა და პოლონეთის ისტორიის შედარებითი ანალიზი, განსაკუთრებით 1918-1921 წლებისა. ასევე პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილების შესწავლა მის გამოსაყენებლად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მიმდინარე ბრძოლაში. საქართველოსა და პოლონეთის უახლოესი წარსულის შედარებისას გამოტანილი იქნა დასკვნები, თუ რამ განაპირობა პოლონეთის მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნება და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მარცხი.

დღეს, როდესაც უფრო დიდი დრო გვაშორებს განხილული პერიოდიდან, რომელიც უფრო მეტად არის შესწავლილი ორივე ქვეყანაში, გაცილებით უფრო ფართო ფაქტობრივი მასალის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს საქართველოსა და პოლონეთის XIX-XX საუკუნეების ისტორიის შედარებითი ანალიზი, რაც დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ სამეცნიერო ამოცანად შეიძლება მივიჩნიოთ.

Malkhaz Matsaberidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

JÓZEF PIŁSUDSKI THROUGH THE LENSE OF GEORGIAN EMIGRATION RESUME

The famous polish political actor, Jozef Pilsudski (1867-1935) was in the focus of interest of the Georgian emigration press. Georgia was intimately connected to Poland and to Pilsudski personally. The death of Pilsudski (1935) was mentioned by the entire Georgian emigration press with its different political directions. The materials dedicated to the death of Pilsudski mentioned not only his biography and deeds, but also highlighted some important scientific problems, which, according to the authors, should be thoroughly analysed by the Georgian scholars; particularly the comparative study of the history of Georgian and Poland in 1918-1921.

საბჭოთა ოკუპაცია და ათეისტური პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი ქუთაისის მაზრაში XX საუკუნის 20-იან წლებში

1921 წლის საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულად საშიში ძალა ქართული ეკლესია გახლდათ, როგორც ყველაზე მასობრივი და ტრადიციულად ეროვნული ორგანიზაცია. აქედან გამომდინარე, ათეისტ ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, რომ, ვიდრე ასეთი ავტორიტეტული და მოსახლეობის უდიდეს ნაწილზე – მორწმუნეებზე დიდი სულიერი გავლენის მქონე ფენომენი იარსებებდა საქართველოში ხალხის მხრიდან, მათი ხელისუფლების მხარდაჭერასა და ნდობაზე საუბარი ფუჭ ოცნებას წარმოადგენდა. ამით იყო გამოწვეული ის გააფთრებული შეტევა, რომელიც ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ განახორციელეს¹.

1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, რომელიც თითქოს მხოლოდ სინდისის თავისუფლების გარანტიებს ეძღვნებოდა, მაგრამ შეიცავდა მეტად მზაკერულ მუხლებს. კერძოდ, არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არ ჰქონდა უფლება, ჰქონოდა საკუთრება. მათ ერთმოდართ იურიდიული უფლებაც. ქვეყანაში არსებული საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებული იყო სახალხო კუთვნილებად². ეს, ფაქტობრივად, ნიშნავდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონგარეშედ გამოცხადებას. ქართული ეკლესიის მსახურები, რიგით მედავითნით დაწყებული, კათალიკოსით დამთავრებული, ყოველგვარი ქონებისა და სახსრების გარეშე დარჩნენ.

საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წინ აღუდგა იმ უგზურ პოლიტიკას, რასაც ქართველი კონდოტიერები და უცხოელი ოკუპანტები ახორციელებდნენ. სწორედ ამან გამოიწვია 1922 წლის თებერვალში, საკათალიკოსო საბჭოს თანხმობით, კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციისათვის მემორანდუმის გაგზავნა. ამ დოკუმენტმა, რომელიც, ფაქტობრივად, იყო საბჭოთა ხელისუფლების დანაშაულობებში მხილება, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონფერენციის მონაწილეებზე. მასში ნათქვამი იყო: „გალატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჯენ მისი სისხლითა და ოფლით მოწეულ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან, ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უზღუდავენ წმიდათაწმიდას, - სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისს. თავისუფლების დროშის ქვეშ ნებას არ აძლევენ დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილება, მისი სამღვდლოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია – ეს ძველისძველთავე ფაქტორი საქართველოს სახელმწიფოებრივი ამალგებისა და ძლიერებისა – დღეს უფლება აყრილია... ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველა დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ, რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყვი მე, მისმა სულიერმა მამამ და, დღესდღეობით, ერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამოძავალი იდუმალი ძაფები და, რომელსაც, უშუალოდ, ესმის მისი კვნესა და ვაება“³.

ასეთი სულისკვეთებით შედგენილმა მემორანდუმმა მძიმე დღეში ჩააგდო კონფერენციის მონაწილე საბჭოთა რუსეთის დელეგაცია. როგორც ქართველ ბოლშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი,

¹ მჭედლიძე გ., კეხევაძე მ., ქუთაის-გაენათის ეპარქია, ქუთ., 2010, გვ. 434

² კანონთა ქრონოლოგიური კრებული 1959, გვ. 13

³ ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., 2001, გვ. 73-74

ბუდე მდივანი ამბობდა, აღნიშნული დოკუმენტი დიდი ვნების მომტანი იყო. დაიწყო მკაცრი რეპრესიები კათალიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრთა მიმართ. ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი იმდენად შეავიწროვეს, რომ იძულებული გახდა, ეპარქია მიეტოვებინა. იგი შეხვდა და დახმარება სთხოვა ხელისუფლების წარმომადგენელს, ს. ქავთარაძეს. შედეგად, სიტყვიერი დახმარება მიიღო, რეალურს კი ვერაფერს ეღირსა¹.

საქართველოს საგანგებო კომისიამ („ჩეკამ“) კათალიკოს-პატრიარქზე აშკარა ფსიქოლოგიური ზეწოლა დაიწყო. 1923 წლის 12 იანვარს ჩეკამ მიიღო გადაწყვეტილება კათალიკოს-პატრიარქის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შესახებ. დაპატიმრებულთა შორის იყო ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი, რომელსაც „ბრალი ედებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაციასა და სიონისა და სვეტიცხოვლის საეკლესიო ქონების გაფლანგვაში მონაწილეობის მიღება“².

საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადებით, ჩეკისტებმა, თავიანთი აგენტების საშუალებით, ქუთაისში, „არქიელის გორაზე“, მეუფე ნაზარის სახლის აივნის ქვეშ, მიწაში აღმოაჩინეს ოთხი ყუთი საეკლესიო საგანძური, რომელიც სიონის და მცხეთის ტაძრებიდან ყოფილა წამოღებული. აღწერის შედეგად ყუთებში აღმოჩნდა 97 დასახელების საეკლესიო ნივთი, ამასთანავე, 15-მდე ნივთი, რომელიც არ იყო სიაში შეტანილი. საეკლესიო განძის თბილისიდან ქუთაისში გადმოტანაში მონაწილეობა მიუღიათ იმდროინდელ კათალიკოს-პატრიარქს, ლეონიდს (ოქროპირიძე) და საეკლესიო საბჭოს წევრებს, მღვდელმთავრებს – იასონ კაპანაძეს, მარკოზ ტყემალაძეს, დიმიტრი ლაზარიშვილს და სიონის საყდრის მთელ საკრებულოს. განძი უშუალოდ ჩაუბარებიათ არქიმანდრიტ პავლე ჯაფარიძისა და ეპისკოპოს დავით კაჭახიძისათვის. ქუთაისში განძის ჩამოტანის შემდეგ, ე. თაყაიშვილის და ბ. ჩხიკვიშვილის ნებართვით, საგანძური სადგურიდან ქუთაისის „სობოროში“ გადაუტანიათ, ხოლო იქიდან – მეუფე ნაზარის სახლში. განძის მიწაში ჩაფლვის შემდეგ ლეონიდე ჯერ გელათს, შემდეგ თბილისში წასულა, ხოლო არქიმანდრიტი პავლე – მცხეთის ტაძარში. საგანგებო კომისია აცხადებდა, რომ „მთელი ეს „ისტორია“ კარგად სცოდნია ეხლანდელ კათალიკოს ამბროსის, რომელიც სდუმდა აღნიშნული განძის აღმოჩენამდე“³.

მიტროპოლიტი ნაზარი ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, 1924 წლის აპრილში, ამნისტიით გაათავისუფლეს, მაგრამ თითქმის ყველა უფლება ჩამოართვეს. იგი საკუთარ რეზიდენციაში არ შეუშვეს და იძულებული გახდა, ძმის ოჯახისათვის შეეფარებინა თავი.

1923 წლის 13 იანვრის განკარგულებით კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დაპატიმრების შემდეგ საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. რაიონის კომუნისტი ხელმძღვანელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოქმედი ეკლესიების დახურვასა და საეკლესიო ქონების დატაცებაში. დამკვიდრდა ნამდვილი ანტირელიგიური ისტერია. ეკლესიას კი საერთო ხელმძღვანელობა აღარ ჰყავდა. ვითარებიდან გამოსავალი იმით გამოინახა, რომ უმაღლესი საეკლესიო ხელმძღვანელობა თავისთავზე აიღეს პატიმრობას გადარჩენილმა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა. მათ დროებითი მმართველობის თავმჯდომარეობა მიანდვეს ურბნელ ეპისკოპოსს, ქრისტეფორეს (ციციქიშვილს), წევრები კი იყვნენ ეპისკოპოსები – დავით კაჭახიძე, სვიმეონ ჭელიძე, ნესტორ ყუბანეიშვილი; საერო პირები: პარმენ გოთუა, ივანე რატიშვილი და იპოლიტე ვართაგავა⁴.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით გააჩაღა ქუთაისის მაზრაში. 1923 წლის იანვარში ქუთაისის თეატრში მოაწყო სარწმუნოების გასამართლება, „რომელიც მეტად დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. თეატრი ხალხით სავსე იყო და მრავალი მსურველი ვერ დაესწრო გასამართლებას. სარწმუნოების წინააღმდეგ ბრალმდებ-

¹ იქვე

² გ. ასათიანი, ქუთათელი-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი, თბ., 1995, გვ. 16

³ გაზ. „კომუნისტი“, 1923, №112

⁴ ს. ვარდოსანიძე დასახ. ნაშრ. გვ. 78

ლებად გამოვიდნენ მეცნიერების წარმომადგენელი, მუშები, გლეხები და მუშა ქალები. პროცესის ბოლოს სარწმუნოების და მისი ქურუმების წინააღმდეგ გამოვიდა ადგილობრივი მღვდელი ბუაჩიძე, რომლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე¹. ამ პროცესზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ქუთაისის მაზრაში საფუძველი ჩაეყრდა ანტისარწმუნოებრივ კამპანიას. მართლაც, მაზრის ყველა მსხვილ რაიონსა და თემში გაიმართა ანტირელიგიური ღონისძიებები².

პირველი სამიზნე ეკლესია-მონასტრების დახურვის გზაზე მოწამეთის მონასტერი გახდა. 1923 წლის 22 თებერვალს სამაზრო აღმასკომის მიერ დანიშნულმა კომისიამ დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების ლუსკუმა გახსნა³.

სამაზრო აღმასკომის ორგანიზებით ამ ანტირელიგიურ მანიფესტაციას დაესწრნენ საქართველოს რაიონებიდან და სოფლებიდან მოწვეული დელეგატები, რამაც ბიძგი მისცა ხელისუფლებას, დასავლეთ საქართველოში გაეჩაღებინა ფართო ანტირელიგიური მოძრაობა. ამ მიზნით მოწამეთას მონასტრის წმინდა ნაწილები ჩამოატარეს სხვადასხვა რაიონებსა და სოფლებში, იმართებოდა მიტინგები და ხელისუფლების წარმომადგენელთა წინადადებით ხდებოდა ეკლესიების დახურვა და მათი გადაცემა სასოფლო საბჭოების ხელში, სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით⁴.

ანტირელიგიური მოძრაობის მთავარი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი – ვ. ბახტაძე – სწორედ ამის გამო იკეზნინდა, რომ „საქართველოში, მეონი, პირველად, ჩვენ მივეცით ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე საკითხს ხასიათი მასიური კამპანიისა და მასიური ბრძოლისა“⁵.

წმინდანთა ნაწილებს, მართლაც, განადგურება ემუქრებოდა, მაგრამ სამოქალაქო გმირობა ჩაიდინა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორმა და საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს რწმუნებულმა ქუთაისში, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ტრიფონ ჯაფარიძემ. მისი თხოვნა დააკმაყოფილა ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა და ამ ორგანოს 1923 წლის 23 ივნისის საფუძველზე, დავითისა და კონსტანტინეს ნემტი ქუთაისის მუზეუმს გადასცეს დასაცავად⁶.

1923 წლის ანტირელიგიურ ისტერიას ვერც ქუთაისის საკათედრო ტაძარი გადაურჩა. ცნობილი რუსი მხატვრისა და არქიტექტორის – გ. გაგარინის პროექტით 1851 წელს დაწყებული ტაძრის მშენებლობა 1871 წელს დასრულდა. ის იდგა ახლანდელ ბალისკიდის ტერიტორიაზე. თავიდან იკურთხა ალექსანდრე ნეველის სახელზე, ხოლო დანგრევამდე რამდენიმე წლით ადრე – დავით აღმაშენებლის სახელობისა გახდა. ამ დროისთვის (1919 წლის 2 ოქტომბრიდან) ტაძრის წინამძღვარი ვასილ დოლაბერიძე იყო. 1923 წლის 8 მარტს ჯვარი ჩამოიხსნა, თვით ტაძარი კი კომკავშირს გადასცეს. ბოლშევიკური ვანდალიზმით შეძრწუნებულმა ქართული სიძველეებისა და საქართველოს ისტორიის დიდმა მოამაგემ, ტრიფონ ჯაფარიძემ, ტაძრის გადარჩენის მიზნით, სამაზრო აღმასკომს „სობოროში“ საეკლესიო მუზეუმის მოწყობა შესთავაზა. ამით იგი შენობის შენარჩუნებასა და საეკლესიო ნივთების ერთ ადგილზე დაცვა-თავმოყრას ფიქრობდა., მაგრამ მის ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა.

ქუთაისის „სობოროს“ დანგრევის თვითმხილველი და აქტიური მონაწილე ს. უგლავა იგონებდა: 1923 წლის შემოდგომაზე ტაძრიდან გამოტანილ და ბალისკიდის წინ დაყრილ ხატებზე ფეხებით დავდიოდით კომკავშირლები. ამ საქმეს „იარლი კომუნისტი“ ვალია ბახტაძე და ვანო სტურუა ხელმძღვანელობდნენ. სამრეკლოზე მდგარი ვ. სტურუა ძირს შეკრებილ ხალხს უყვი-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1923, №39

² გ. ტყეშელაშვილი, 1923 წლის საეკლესიო რეფორმა ქუთაისში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XIX, ქუთ., 2009, გვ. 70

³ გაზ. „კომუნისტი“, 1923, №45

⁴ გ. ტყეშელაშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 71

⁵ გაზ. „მუშა და გლეხი“, 1923, №42

⁶ მოგვიანებით, სუკმა ეს დამსახურება „არ დაუვიწყა“ პოლიტპატიმარ ტრიფონ ჯაფარიძეს. მას იგი ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად წაუყენეს 1937 წელს. უფრო ვრცლად იხ. ც. მუმლაძე, 1993, გვ. 44.

როდა: ნაცრად ვაქცევთ აქაურობას; თუ ღმერთი არსებობს, მოვიდეს და გვეჩვენოს, თუ რაიმე შეუძლიაო“.

„სობოროს“ მაღალგუმბათიანი სამრეკლოს თავზე აღმართული ჯვრის ღეროს ნაწილი, ადრე ქვის კეცის მთელლად მომუშავე ონისიმე ხობუამ გადაჭრა. შეეცადა ბოლომდე მისი გადატეხვა, მაგრამ რომ ვერ მოახერხა, იფიქრა, გადავლუნავ და გადმოვარდებო. ჯვარი მაინც არ მოტყდა და „სობოროს“ სრულ დანგრევამდე ასე გადალუნული დარჩა¹.

მისი საბოლოო ბედი გადაწყდა 1924 წლის 30 იანვარს, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, სადაც ვკითხულობთ: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო). მასალა გამოყენებული იქნეს ძმათა სასაფლაოს შემოსაღობად, იმ ადგილზე კი გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილზე დაიდგეს ამხ. ლენინის ძეგლი“. 1924 წლის 3 ივნისს დაწყებული ტაძრის დანგრევა აგვისტოსთვის დაუსრულებიათ, ხოლო მისი ქვები გამოყენებულ იქნა ძმათა სასაფლაოს გალავანისათვის².

კრიტიკოს ე. თავბერიძის თქმით, ტაძარი, რომელიც „თვრამეტ წელიწადს შენდებოდა, ოთხ თვეში მიწასთან გაასწორეს“³.

მართალია, გელათის მონასტერს დანგრევა არ შეხებია, მაგრამ მისი, როგორც სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცენტრის ლიკვიდაცია, მიჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ ვანდალურ აქტად დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. გელათის, როგორც მართლმადიდებლური ქრისტიანობის უძძლავრესი ცენტრის ფუნქციონირებას, საბჭოთა ხელისუფლება, რასაკვირველია, ვერ შეეგუებოდა, ამიტომ შეუდგნენ ისეთი „ნაკლის“ გამოძებნას, რაც გახდებოდა საუკეთესო მიზეზი მისი ლიკვიდაციისათვის. ასეთ მიზეზად დასახელდა აბსურდული ბრალდება – საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სასტიკად აკრძალული და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ქმედება – გელათელი ბერების მიერ თითქოს სხვისი შრომის ექსპლოატაცია და დაქირავებული მუშახელის გამოყენება. ბერებს ევალებოდათ, რომ მათთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები თვითონ დაემუშავებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს ადგილები ჩამოერთმეოდათ.

1923 წლის 11 აპრილის დადგენილებით, სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმი შეუძლებლად მიიჩნევადა გელათელი ბერებისათვის მცირე ნაკვეთების დაბრუნებას, ხოლო 1 ივნისის დადგენილებით, გელათის მონასტერი დახურულად გამოცხადდა. 5 ივნისს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჯგუფმა დაკეტა და დალუქა მონასტრის ყველა ეკლესია, ხოლო მონასტრის კრებულს მიეცა წინადადება, ერთი კვირის ვადაში დაეტოვებინათ გელათის მონასტრის ტერიტორია.

სამაზრო აღმასკომმა მონასტრის კრებულის 6 ივნისის წერილობითი თხოვნა, რითაც ისინი ითხოვდნენ შემოდგომამდე მონასტერში დატოვებასა და მოსავლის აღების უფლებას, 13 ივნისს განიხილა და ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მოსავლის ასაღებად ერთ სენაკში დარჩენის ნება დართეს ორ ბერს, დანარჩენები კი იძულებულნი გახდნენ, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ მონასტერი⁴.

გაზეთ „მუშა და გლეხის“ კორესპონდენტი, ვინმე „დამსწრე“, იუწყებოდა ქუთაისში ეკლესიების დახურვისა და ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ჩამორთმევის შესახებ. სტატიიდან ირკვევა, რომ მიტინგის დასრულების შემდეგ პეტრე-პავლეს ეკლესია ჩაუბარებია ქართულ წითელ ჯარს, კულტურული საქმიანობის გამოყენების მიზნით⁵.

¹ ე. თავბერიძე, სანიტარული დღე, ქუთ., 2005, გვ. 331-334

² ვრცლად იხ. მ. კეზევაძე, 1924 წელი ქუთაისის ეპარქიაში, ჟ. „განთიადი“, 1989, №3; მჭედლიძე, კეზევაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 439

³ ე. თავბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 336

⁴ იხ. მჭედლიძე, კეზევაძე დასახ. ნაშრ., გვ. 444-447

⁵ იხ. „მუშა და გლეხი“, 1923, №18

1923 წლის 29 აპრილს გაზეთ „მუშა და გლეხის“ ცნობით, წმინდა გიორგის ეკლესია დაუხურავთ ქუთაისში, არქიელის გორაზე. „დამსწრე“ აღნიშნავს, რომ ეკლესიის ეზოში გამართული მიტინგი გაუხსნია და სიტყვით გამოსულა ახალგაზრდა კომკავშირის წევრი გ. ძიგრაშვილი, რომელსაც განუცხადებია: „ეკლესიების დახურვა აუცილებელია, რათა სიბნელის ცენტრები გადაიქცნენ კულტურის გამავრცელებელ ცენტრებად“. აქვე სიტყვა წარმოუთქვამთ კობახიძეს, ჯიჯაძეს, დევდარიანს, მიქაძეს, შარაბიძეს და სხვ. მიტინგის დასასრულს ეკლესიის გუმბათზე წითელი დროშა ააფრიალეს¹.

ეკლესიები მასიურად იხურებოდა ქუთაისის მაზრის სოფლებშიც. დანიერ-ქვიტირისა და ცხუნკურის თემებში კრებამ დაადგინა ეკლესიების დაკეტვა და მღვდლების გათავისუფლება. „დამსწრეს“ ცნობით, ასევე მოხდა ამალლების თემშიც, სადაც დაიკეტა ოთხი ეკლესია, გორდის თემში დაუხურავთ ათი ეკლესია, ხოლო სადემეტრიანოს თემში კი – სამი მოქმედი ეკლესია. ასეთივე ბედი ეწია ტყებულის, მუხიანის, ბაშის, ფარცხანაყანევის, როდინაურის, ქვედა სიმონეთის, კინჩხის, ოფურჩხეთის და სხვ. ეკლესიებს. საბჭოთა ხელისუფლება აიძულებდა სასულიერო პირებს, თვითონვე უარი ეთქვათ მღვდლობაზე. პრესაში გამოქვეყნდა ბაღდათის რაიონის ყოფილი მღვდლების – მ. ჩიქვინაძის, დ. კარგარეთელის, ა. კელენჯერიძის, ა. თვალავაძის, ნ. კამიას, ი. ცხადაძის განცხადებები მღვდლობაზე უარის თქმის შესახებ.

მღვდლობაზე ასევე უარი თქვეს: მუხიანის თემიდან – ა. ჭიპაშვილმა, ბაშის თემიდან – გ. ნაცვლიშვილმა, ფარცხანაყანევის თემიდან – ლ. ფხაკაძემ და ტრ. ფხაკაძემ, ხოლო დეკანოზობიდან გადადგა გ. ფხაკაძე².

ეკლესიები დაუხურავთ ვანის რაიონშიც, სადაც დააბოქლომეს, საწყობებად და საქონლის ფარეხებად გადააქციეს სალოცავები, ზოგიერთი მათგანი მიწისაგან პირისა აღგავეს კიდევ. ადგილობრივი რეკომის გადაწყვეტილებით, დაუხურავთ სოფელ მთისძირში აგებული ღვთისშობლის შობისა და ასევე ქედის ეკლესიები, ხოლო სოფელ დინაშოს ეკლესია დაუნგრევიათ. აქ მოღვაწე სასულიერო პირებზე დეკანოზ იოანესა და მამა თეოფანეზე კი რეპრესიები განხორციელდა³.

სამტრედიის დახურული 15 ეკლესიიდან შვიდი ადგილობრივ ბოლშევიკურ ხელისუფლებას გადაეცა. პატრიკეთის თემში დაუხურავთ 7 მოქმედი ეკლესია. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ მღვდლობაზე უარი განუცხადებიათ ცხუნკურის თემის მღვდლებს – ისაია ხაჭაპურიძესა და ილარიონ ჩინჩალაძეს. ხელისუფლების ტერორით შეშინებული სასულიერო პირები იძულებულნი გახდნენ, რომ პრესით შემდეგი განცხადება გაეკეთებინათ: „ამ ბოლო ხანებში ხალხმა ზიზლით დაგვიწყო მზერა. ზოგი მათგანი მატყუარას გვიწოდებდა, ამიტომ ვარჩიეთ პატიოსანი შრომა, რომლითაც შეგვიძლია ჩვენი თავი და ოჯახი დავაკმაყოფილოთ“⁴.

„კომუნისტის“ კორესპონდენტი იმედოვნებდა, რომ, თუკი სარწმუნოებასთან ბრძოლა ასეთი ტემპით გაგრძელდებოდა, ახლო მომავალში მთელს მაზრაში არ დარჩებოდა არც ერთი ეკლესია და არც ერთი სასულიერო პირი⁵.

დახურვას ვერ გადაურჩა, ვერც ხონის წმინდა გიორგის ეკლესია. მოგვიანებით იგი საწყობად გამოიყენებოდა. დაანგრეს მთავარანგელოზისა და მაცხოვრის სახელობის ეკლესიები. ასევე

¹ იქვე, №21

² იქვე

³ მსჯელობისათვის იხ. ბ. სვანაძე, ვანი – ოქრომრავალი ქვეყანა, ვანი, 2010, გვ. 64-67

⁴ იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1923, №81; მსჯელობისათვის კ. წენგუაშვილი, ტოტალიტარული სახელმწიფოს ათეისტური პოლიტიკისა და პრაქტიკის პირველი ეტაპი, წიგნი – მ. ნათელაძე, აღ. დაუშვილი, მ. ჯაფარიძე, კ. წენგურაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების პირველი ეტაპი (1921-1923), თბ., 2008, გვ. 102

⁵ გაზ. „კომუნისტი“, 1923, №81

სასოფლო ეკლესიების უმრავლესობა, დაამტკრიეს ქართული ჭედური ხელოვნების ისეთი იშვიათი ძეგლი, როგორც იყო ხონის წმინდა გიორგის ხატი¹.

ქუთაისის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი ვასილ დოლაბერიძე იგონებდა, რომ ქუთაისის მაზრაში ეკლესიების მასიური დაკეტვა მიმდინარეობდა. მთელ მაზრაში 1923 წლისათვის სამი-ოთხი ეკლესია თუ მოქმედებდა. ეკლესიების დაკეტვის შემდეგ ხელი მიჰყვეს მის ნგრევას. საუკეთესო ეკლესიები დააქციეს, ბევრი მათგანი კი თეატრად და სამკითხველოებად გადააქციეს. განიავდა დაბლა მალლაკის „ოქონის“ ეკლესიის ქონება. როცა ჯერი ზედა მალლაკის მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ეკლესიების ქონების განიავებაზე მიდგა, ხალხმა ხმა აღიმალლა ამ უმსგავსო საქციელის წინააღმდეგ და თორმეტი კაცი მიუჩინეს ეკლესიებს სადარაჯოდ².

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც აღინიშნა, არნახულ რეპრესიებს ახორციელებდა საეკლესიო პირთა მიმართ. „გასაბჭოებისთანავე, ქართული ეკლესია უმძიმესი, ჯერარნახული განსაცდელის წინაშე დადგა, - წერდა ცნობილი დისიდენტი მერაბ კოსტავა, - იმხანად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ამოიწურებოდა ანტირელიგიური პროპაგანდითა და მატერიალიზმის ქება-დიდებათ. იდეოლოგიის, პრესისა და ტრიბუნის გარდა, მთელი ძალით მოქმედებდნენ დამსჯელი ორგანოები, ღვთისმსახურთა ფიზიკურ განადგურებასაც რომ არ ერიდებოდნენ. ზოგჯერ, რელიგიასთან ბრძოლის ლოზუნგით, ისინი აწამებდნენ მღვდელმსახურებს, ცხვირის საკრეჭი მაკრატლით აჭრიდნენ ცხვირს, ყურებს, უვსებდნენ თვალებს“³.

გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ სტატიასში – „აღდგომა“ ახლოვდება“, ავტორი, ვინმე ა. მთიელი, სიამაყით აცხადებდა, რომ საქართველოში არ იყო დარჩენილი თითქმის არც ერთი მიყრუებული სოფელი, სადაც არ დაეწყოთ ბრძოლა ეკლესიისა და სასულიერო პირების მიმართ⁴.

რეპრესიების სუსხი იწვნია ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ერისკაცობაში – ნესტორ ლეჟავა). იგი 1868 წელს დაიბადა სოფელ დიდ ჯიხაიშში. სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1901-1905 წლებში სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქ. ველენსკისა და ქ. კლევანის სასულიერო სასწავლებლებში. 1918 წლის 14 ოქტომბერს ნაზარი ქუთაისის ეპისკოპოსად აკურთხეს, ხოლო მომდევნო წელს მიტროპოლიტის წოდება მიანიჭეს. სწორედ მისი მიტროპოლიტობის პერიოდს დაემთხვა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია⁵.

საბჭოთა ხელისუფლება მიტროპოლიტ ნაზარს ბრალს სდებდა საეკლესიო განძის გადამალვასა და გენუის საერთაშორისო კონფერენციისადმი 1922 წელს გაგზავნილ მიმართვაში მონაწილეობაში. ამ ბრალდებით დააპატიმრეს კიდევ. 1924 წლის აპრილში ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლებული მიტროპოლიტი დაუბრუნდა თავის ეპარქიას, მაგრამ სამიტროპოლიტო რეზიდენციაში არ შეუშვეს და, როგორც აღვნიშნეთ, იძულებული გახდა, თავის ძმას შეეკედლებოდა.

რეპრესირებულ მღვდელმთავარს ლანძღავდნენ და ამცირებდნენ ახალგაზრდა კომკავშირელები და ურწმუნო მოხელენი. ერთხელ ბზობის დღესასწაულზე, ეკლესიის ეზოდან, ბავშვებთან ერთად, ანთებული სანთლებით გამოსული მიტროპოლიტისათვის კომკავშირელებს ლანძღვა-გინება

¹ პ. ვაჭრიძე: ხონის ისტორიიდან, თბ., 1998, გვ. 252-253

² იხ. ვ. დოლაბერიძე, ჩვენი ეკლესიის ტრაგიკული ფურცლები, ჟ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №3, 2006

³ მ. კოსტავა, მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში, ჟ. „არტანუჯი“, №2-3, 1999, №2-3

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 1923, №75

⁵ იხ. მჭედლიძე, კეზევაძე დასახ. ნაშრ., გვ. 430-431; ზ. ჟვანია, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და მღვდელმთავარნი 1917 წლიდან, ქუთ., 1994, გვ. 69

დაუწყიათ. მიტროპოლიტს გზა დინჯად გაუგრძელება, ისე, რომ გამლანდველთათვის პასუხი არ გაუცია¹.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით საშიშ პიროვნებად მიჩნეული ნაზარისა და მისივე კრებულის დაპატიმრების მიზეზი გახდა „ნებადაურთველი კრების მოწყობა“. კერძოდ, 1924 წლის 2 აგვისტოს ვინმე „მეთვალყურე“ სვირის რაილმასკომისადმი გაგზავნილ განცხადებაში იუწყებოდა, რომ „როდინოულის თემში მოვიდა ვიღაც გადაცემული მღვდლები, ახთენენ კრებებს ამელამ და მიაქციეთ სასწრაფოთ ყურადღება“-ო. აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის – ჯუღელის დავალებით, დატყვევებულ იქნა 11 პირი და საქმე გამოსაძიებად გადაეგზავნა ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს ბრალდებით - „მთავრობის საწინააღმდეგო არაღებულური კრების მოწყობა და ადგილობრივი მმართველობის დაუმორჩილებლობა“. დატყვევებულთა შორის იყვნენ: მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზები – გერმანე ჯაჯანიძე, ვასილ დოლაბერიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდლები – სიმონ მჭედლიძე, პოლიევქტი ვარდოსანიძე, დომენტი გიორგაძე, პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მთავარდიაკონი ისიდორე სვანიძე.

მილიციის უფროსის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მიტროპოლიტი ბაწრით შეუკრავთ და ურემზე შიშველი დაუსვამთ. გზაში ყვიროდა თურმე: „მე ვარ ქრისტე ღმერთის მორწმუნე, მაწამებენ ურჯულო კომუნისტები, როგორც აწამებდნენ ურჯულოები თვით ქრისტესო“. მღვდელ-მთავარი სვირის კანცელარიაში მიიყვანეს და, დანარჩენ მღვდლებთან ერთად, კანცელარიის ერთ პატარა ოთახში დაამწყვდიეს. გამთენიისას სიცივისაგან აკანკალებულ ნაზარის, სასულიერო პირთა თხოვნით, სამოსელი მოუტანეს. გამოძიების დასრულების შემდეგ გამოტანილ დადგენილებაში ვკითხულობთ: „მე, ქუთაისის მაზრის პ/ბპ/პ რწმ. თანაშემწემ, შონიამ, განვიხილე რა საქმე №590 ბრალდების გამო ქუთათელი მიტროპოლიტი ლეჟავა ნაზარის, დეკანოზ ჯაჯანიძის გერმანესი, მღვდელ ვარდოსანიძე პოლიევქტისა, პროტოდიაკონი კუხიანიძე ბესარიონისა, მთ/დ. მღვდელ სვანიძე ისიდორესი, ბრალდებები: სვირის რაიონის როდინოულის თემის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე წინააღმდეგობის გაწევის, ხელისუფლებისა და კომპარტიის ლიდერების გინებაში, რა წინააღმდეგობით აიძულეს მთავრობის პირები ჩაეღინათ ნებადაურთველი და გადაჭარბებული მოქმედებები მთავრობის წარმომადგენლებს, რა საქმეც კვლევა-ძიების და წინასწარი გამოძიებით გამორკვეულია სავსებით, დავადგინე: მოწმეებისა და ბრალდებულის დაკითხვის გაგრძელება შეწყდეს და იქნეს გამოტანილი ბრალდებულის მიმართ დადგენილება“. 1924 წლის 1 სექტემბერს დამნაშავედ სცნეს 5 სასულიერო პირი – მიტროპოლიტი ნაზარი, დეკანოზები – გერმანე ჯაჯანიძე და იეროთეოზ ნიკოლაძე, მღვდელი სიმონ მჭედლიძე და არქიდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე და მათ, საგანგებო სამეულის გადაწყვეტილებით, სიკვდილით დასჯა მიუსჯიათ... განაჩენი იმავე დღეს იქნა აღსრულებული – გამთენიისას, წყალწითელას ზემოთ, ებრაელთა სასაფლაოს მახლობლად, საფიჩხიაზე ხუთივე სასულიერო პირი დახვრიტეს².

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს გაზეთ „მუშა და გლეხში“ 1923 წლის 28 ოქტომბრის №44-ში გამოქვეყნებული ცნობა ქუთაისში საქართველოს კომპარტიის V კონფერენციის ჩატარების შესახებ, სადაც ერთ-ერთ საკითხად განხილულ იქნა ხელისუფლების მიერ გაწეული ანტისარწმუნოებრივი აგიტაცია-პროპაგანდის შედეგები და „მომავალი ტაქტიკა ეკლესიის საკითხებში“. მომხსენებელი ვალია ბახტაძე აღნიშნავდა, რომ კმაყოფილი იყო ანტირელიგიური აგიტაციის შედეგებით და მიაჩნდა, რომ ამ მიმართულებით თავიდანვე სწორი ხაზი იყო აღებული. ვ. ბახტაძის აზრით, დახურული ეკლესიები უნდა გამოყენებულიყო კულტურული საქმიანობისათვის³.

¹ მსჯელობისათვის იხ. დ. მელიქიშვილი, წმინდა მღვდელმოწამენი – ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდლო კრებული, კრ. „დიდაჭარლობა“, ხულო, 2010, გვ. 10

² მსჯელობისათვის ვრცლად იხ. თ. ამყოლაძე, ერთობიანი ქუთ., 2008, გვ. 3-45; მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10-14; მჭედლიძე, კეზევაძე დასახ. ნაშრ., გვ. 440-442; თ. ამყოლაძე, მიტროპოლიტ ნაზარის უკანასკნელი დღეები, ჟურ. „ცისკარი“, №11. 1998; ასათიანი დასახ. ნაშრ., 1995

³ „მუშა და გლეხი“, 1923, №44

ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის განდევნისა და ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოსულმა ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა წამოიწყეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ეროვნული და სულიერი ფასეულობის დამცველი ორგანიზაციის წინააღმდეგ. მათ მიზანს შეადგენდა, ჯერ დაესუსტებინა, ხოლო შემდეგ საერთოდ გაეუქმებინათ იგი. 1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის სტატუსი, რაც ნიშნავდა, რომ დადგა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებული სისასტიკით გააჩაღა ქუთაისში, სადაც დაანგრეს საკათედრო ტაძარი (სობორო), დახურეს ათეულობით ეკლესია და სალოცავი. გაანადგურეს დიდძალი საეკლესიო ქონება. მოწამეთაგან გამოიტანეს და შეურაცხვეს წმინდა მოწამენი: დავითისა და კონსტანტინეს ნეშთი. არნახული რეპრესიები განხორციელდა სასულიერო პირთა მიმართ, რის გამოც ბევრი მათგანი ჩამოსცილდა წირვა-ლოცვას.

ანტირელიგიურ მოძრაობას ბევრი ღირსეული მამულიშვილი შეეწირა. სიცოცხლის მსხვერპლად გაღებით, მათ მომავალ თაობებს შეუნარჩუნეს ქრისტიანული რწმენა, ეკლესია კი ვერ იხსნეს ბოლშევიკთა მარწუხებისაგან. ეს მომავლის საქმე იყო. სამოცდაათწლიანი საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კათალიკოსპატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მეთაურობით, წარმატებით დაადგა განახლება-აღორძინების გზას.

Kakhaber Kebuladze

Akaki Tsereteli State University

SOVIET OCCUPATION AND SOME ISSUES OF ATHEIST POLITICS IN KUTAISI MAZRA IN THE 20S OF THE 20TH CENTURY RESUME

The Georgian church as one of the most traditional and national organization, became the most frightening power for the government after 1921 year's Soviet occupation. So, the theist Bolshevik's knew well enough that before this authorized spiritual phenomenon existed in Georgia, they would not even dream about the support of the people. This was the real reason of the Bolshevik a party and the Soviet Union's furious attack on the Georgian Orthodox church.

The Georgian revolution committee made a decision #21 about. The separating church from the country and the church from the educational system. This just seemed to be dedicated to only the independence of conscience, but it really included insidious plans, for example: "The religious organizations are allowed to own prosperities, they don't have the legal rights, the whole property of the church belongs to the society. Actually, this was an announcement that the Georgian church became outlaw. The servants of the Georgian church, beginning from the psalm readers ending to the patriarch were left without any property.

Georgian Orthodox church got against this imprudent politics was being fulfilled by the Georgian coordinators and foreign occupants. This caused sending the memorandum letter of the Georgian patriarch Ambrosi to Genua international conference in February, 1922. This document what actually was the evidence of the Soviet government's in the crimes, greatly impressed the participants of the conference.

Soviet Russian delegation had tough time while the conference. According to Georgian Bolshevik Budu Mdivani, the document mentioned above became a matter of the huge concern. That is why the repressions began against the members of the catholicon counsel and the patriarch.

Qutatel Metropolitan Nazari was so oppressed that he had to leave the eparchy. He met and asked for a help the representative of the government. S. Qavtaradze who promised to help but didn't keep it.

Georgia Orthodox churches with the help of Katholikos-patriarch, saint and blisfullest Ilia II successfully raised the woy of renewal and regeneration.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი ქუთაისში

იმ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ევროპაში გატანის საქმეში, არის გერმანელი მწერალი, პროფესორი, მთარგმნელი და მოგზაური ფრიდრიხ ბოდენშტედტი, რომელიც დაიბადა 1819 წელს პეინში, პანოვერის ახლოს. სწავლობდა გიოტინგენსა და მიუნხენში. 1841 წელს კი ჩამოვიდა მოსკოვში, როგორც გერმანული ენის მასწავლებელი.

მოსკოვში ყოფნისას ბოდენშტედტი პირადად გაეცნო იმდროინდელ რუს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. რუსული ლიტერატურის გერმანიაში პროპაგანდის მიზნით, გერმანულ ენაზე თარგმნა რუს მწერალთა თხზულებები, დაწერა საყურადღებო ნაშრომი „ლერმონტოვის პოეტური მემკვიდრეობა“ (1852 წ.) და სხვ.

1844 წელს კავკასიის მთავარმართებელმა ალ. ნეიდჰარდტმა ბოდენშტედტი მოიწვია საქართველოში, კერძოდ თბილისის გიმნაზიაში, ფრანგული ენის მასწავლებლად. იგი თავადაც სწავლობდა ქართულ ენას.

ხანგრძლივი არ ყოფილა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, უფრო მეტს სწავლობდა, ვიდრე ასწავლიდა. მოგზაურობდა და აგროვებდა მასალებს შრომებისათვის, რომლებიც გერმანიაში დაბრუნებისას დაბეჭდა, ესენია: „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის“ (1848 წ.), „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (1850 წ.). ცნობისმოყვარე პოეტი დიდი ხნით არ გაჩერებულა თბილისში, მოიარა სამხრეთ საქართველო, სომხეთი, შემობრუნდა თბილისში. ზამთარი აქ გაატარა. მერე ქუთაისის, გურიის, შავი ზღვის სანაპიროების გავლით, ჩავიდა ყირიმში, ყირიმიდან – კონსტანტინეპოლში და დაბრუნდა გერმანიაში¹.

გერმანიაში დაბრუნებულმა ბოდენშტედტმა უდიდესი სიყვარულით ასახა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ავტორის დროინდელ ყოფასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი.

იმის ნათელსაყოფად, საქართველოსადმი გერმანელი მწერლის ამგვარი დამოკიდებულების შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, აქ თუნდაც იმ განმარტების გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც ბოდენშტედტმა ქართველი ხალხის ტომობრივ მრავალფეროვნებასა და ქართული ენის დიალექტების ერთმანეთთან მიმართებას მისცა².

იმ დროს, როცა რუსეთის იმპერიული ხელისუფლება და მის სამსახურში ჩამდგარი პოლიტიკოსები და მეცნიერები თავგამოდებით უარყოფდნენ ქართველი ერისა და ქართული ენის გენეტიკურ ერთობასა და მთლიანობას, გერმანელი მწერალი და მეცნიერი თავის მკითხველებს ასეთ დასკვნას სთავაზობდა: ქართლელი, იმერელი, გურული, მეგრელი თუ სვანი - ესენი ყველანი „რტოებია ერთი ტომისა, მრავალ სხვასთან ერთად რომ შეადგენდა ერთიან დიდ სახელმწიფო სხეულს, რომლის სათავეშიც საქართველო იდგა. ყველანი დასაბამითვე ლაპარაკობდნენ ერთიან დედაენაზე, ქართულ ენაზე, იბერიულ ენათა ჯგუფს რომ ეკუთვნის და ბატონობდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, თერგიდან არარატამდე“³.

ფრ. ბოდენშტედტი საქართველოში ჩამოსვლამდე წერდა: „ის აზრი, რომ ვნახავდი დასაბამიდან სახელგანთქმულ კავკასიას, ესენი რომ კაცთა მოღმის აკვანს ეძახიან, სხვები კი კედელს, რომელსაც შეეღწეა ოდესღაც აღმოსავლეთიდან წამოსული ველური ხალხების ტალღა,

¹ ფრ. ბოდენშტედტი, ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, თარგმანი, შესავალი აკ. გელოვანი, თბ., 1965, გვ. 9

² ავ. ნიკოლეიშვილი, ოთ. ნიკოლეიშვილი, ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები), ქუთ., 2012, გვ. 183

³ ფრ. ბოდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 13

- მარტო ეს აზრი ისე მალეღებდა, რომ ჩემს გარშემო გადაშლილი ახალი სამყარო ორმაგ სიხარულს მანიჭებდა¹.

ფრიდრიხ ბოდენშტედტი ასევე მაღალი აზრისაა ქართველთა სილამაზესა და ღირსებებზე: „მთლიანად აღებული, ქართველი ხალხი, უდავოდ, ერთი უმშვენიერესთაგანია დედამიწაზე მოსახლე ხალხთა შორის. მაღალ, ახოვან, ჯანმავარ მამაკაცებსა და კონტა, ტანსარო ქალებს, რომელთაც სწორი, უმრავლეს შემთხვევაში კეთილშობილური სახეები და ფართო, მშვენიერი თვალები აქვთ, აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით, უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ხალხებში - თვით ჩერქეზთა, ბერძენთა და სომეხთა შორისაც კი... დედამიწის ზურგზე არაა ქართველ მამაკაცებით ლამაზი და კეთილშობილი ხალხი. სტუმართმოყვარენი არიან, როგორც კავკასიელები საერთოდ, საიმედონი, როგორც მათი მახვილები, მარდნი და ფიცხელნი, როგორც მათი მერნები, მამაცნი ბრძოლის ველზე და ალერსიანი საკუთარ ოჯახში... სამოსი და მორთულობა ხომ აქ უფრო მდიდრული და ფაქიზია, ვიდრე რომელიმე სხვა ხალხის რომელიმე სხვა ქალაქში“.

სამწუხაროდ, ფრ. ბოდენშტედტი საქართველოში დიდხანს არ დარჩენილა და 1845 წელს იგი სამშობლოში დაბრუნდა. გზად მან გაიარა ქუთაისში და იქ ყოფნის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებიც აღწერა თავის ზემოთ ნახსენებ წიგნში, სადაც წერს: „ქუთაისი, რიონის ორსავე მხარეს გაშლილი ქალაქია, ჩინებული ჰავით, კარგი წყლითა და მოდენილი მდებარეობით გამოირჩევა. მოსახლეობა უგარნიზონოდ, ორ-სამ ათას კაცს არ აღემატება. უმრავლესობა – იმერლები, სომხები, ებრაელები და რუსები. აქა-იქ შეხვდებით რამდენიმე თურქსა და ბერძენსაც. ქალაქის მთავარი საქმიანობა ვაჭრობაა. ქუთაისის ყველა ღირსშესანიშნაობა ადგილს პოულობს დიუბუა დე მონპერეს მშვენიერ აღწერილობაში. იმერული სახლები აღმოსავლეთ საქართველოს დამახასიათებელი შენობებიდან საგრძნობლად გამოირჩევიან და ჩვენებურ გემოვნებას უფრო უახლოვდებიან. პატარა ხის სახლებია, წვეტიანი სახურავით, თუმცა ქალაქის მდებარეობა მომხიბლავია, ისეთ დიდებულ სანახაობას მაინც ვერა ქმნის, როგორც, მაგალითად, გორი, სადაც ყველაფერი პირქუში, გმირული სიძველის იერს ატარებს. არ გაბრძავეს, მაგრამ მოგწონს, ფიქრებს აღძრავს და უნებურად გაიძულებს, თვალი მიაპყრო გარდასულ საუკუნეთა წყვილადს².

ფრ. ბოდენშტედტი გვამცნობს იმერეთის მცხოვრებთა რაოდენობას და იგი იმოწმებს ქუთაისის მაზრის უფროსის მონაცემებს, რომლის მიხედვით, იმერელთა რიცხვი ორასი ათასი უნდა იყოს, აქედან ხუთი ათასი თავადია და თერთმეტი ათასი აზნაური. ეს ციფრებიც საკმარისია თანამედროვე იმერეთის არისტოკრატიაზე გარკვეული აზრის შესაქმნელად, აგრეთვე „თავადის“ ცნებაში რაღაც თვალსაჩინოების შესაცნობად.

რაც შეეხება იმერეთის მცხოვრებთ, ფრ. ბოდენშტედტი ასევე ახასიათებს მათ და მიაჩნია, რომ „იმერეთის მცხოვრებნი არიან დიდნი და ტანადნი ქართლის ხალხივით, მაგრამ უფრო ლამაზნი და მკვირცხლნი. ამ ქვეყნის გლეხები ისე გამოიყურებიან, თითქოს წარჩინებული გვარისანი იყვნენ³.

ისინი იცავენ სისუფთავესა და წესრიგს, მათი ტანსაცმელი. ცხენები, იარაღი და აღჭურვილობა მუდამ საუკეთესოდ გამოიყურება. ისინი არიან მკვირცხლნი ლაპარაკსა და საქმეში. კონტანი მოძრაობისას, ცეცხლოვანი, ძლიერნი და მამაცნი, მაგრამ აკლიათ ამტანობა, როგორც ბრძოლაში, ისე ყველა სხვა საქმეში, რასაც ხელს მოჰკიდებენ⁴.

უხვები არიან და ცოტას ფიქრობენ სიმდიდრის დაგროვებაზე, ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელივით, არ ფიქრობენ მომავალზე, ისინი არიან მუსიკის და სიმღერის მოყვარულნი, უმრავლესობას აქვს კარგი ხმა, მათ რწმენა და ენა აქვთ ქართლის“.

¹ ა. კარბელაშვილი, ბოდენშტედტი და სიმენსი ქუთაისში, გაზ. „ქუთაისი“, 1989, 31 მაისი, გვ. 3

² ფრ. ბოდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 160

³ ვ. ქორიძე, ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ. ჟურ. „ცისკარი“, 1988, №3, გვ.

⁴ იქვე, გვ. 124

ამ სიტყვებით ახასიათებს ვახუშტი ბატონიშვილი გასულ საუკუნის იმერლებს, ასეთები იყვნენ ისინი რამდენიმე საუკუნის წინ. იგი ზოგადად ემთხვევა იმერლების დღევანდელ დახასიათებას, თუმცა, ქვეყნის ახალმა მმართველობამ, რუსეთთან ხშირმა ურთიერთობამ და განსაკუთრებით ხალხის მტანჯველმა სიღარიბემ არასასურველი ცვლილებები გამოიწვია.

ასე რომ, დღეს ძალიან ბევრი ვინმე თუ წარმოიდგენს იმერეთის გლეხებს თავიანთ კონკეტში წარჩინებულ გვარის ხალხად, ვერც მათ ცხენებზე, იარაღსა და აღჭურვილობაზე იტყვი, საუკეთესო მდგომარეობაშიაო. დიდი ნაკლებობაა ცხენებსა და შინაური ცხოველების საერთოდ. სამაგიეროდ, ღვინო ამ კუთხეში ჭარბად არის. მხოლოდ უკეთესად შეიძლება ვახის კულტურის მოვლა და ღვინის დამზადება¹.

ფრ. ბოდენშტედტი აგრძელებს და ამბობს, რომ იმერეთში ძირითადი კულტურა რომელიც მოჰყავთ, არის თურქული ხორბალი. აქ სიმინდად წოდებული (და რატომღაც თურქული ხორბალი სიმინდი, იგი არ აკეთებს განმარტებას, ალბათ, სიმინდი საქართველოში თურქეთიდან შემოვიდა და იმიტომ - ვ.წ.). ღომი - (ლათინური პანტიკუმი - ტალიკუმი), მათგან იმერლები ამზადებენ ისეთ საჭმელს, რომელსაც წლების მანძილზე შემორჩენილია (მჭადი, ღომი) და რომლის გარეშეც მათთვის სადილი წარმოუდგენელია. აქ იზრდება, აგრეთვე ხორბალი, რომელიც პირველად ცნობილმა ფრანგმა კონსულმა გამბამ შემოიტანა იმერეთში (ხორბალი ხომ უფრო ადრე იყო ცნობილი ჩვენში, რატომ გონია ბატონ ბოდენშტედტს, რომ ხორბალი გამბამდე იმერეთში და საერთოდ საქართველოში არ იყო - ვ.წ.). სამშობლოში საარსებო საშუალებათა მოპოვების ნაკლებობის გამო იმერეთის ნაწილი გადასახლდა თბილისში, სადაც ისინი მტვირთავებად მუშაობენ. მათი პატიოსნება ეტალონად არის გამხდარი².

ფრ. ბოდენშტედტი აგრძელებს თხრობას და ამბობს, რომ ქუთაისი მდიდარია დიდებული ნანგრევებით, მაგრამ მალე, ალბათ, აღარაფერი დარჩება, რადგან ახალი ხელისუფალნი (იგულისხმება რუსეთის ცარიზმი - ვ.წ.), რუსეთის მეფის მოხელეები ეკლესიებისა და ისტორიული სიმაგრეების ნანგრევთა ქვას საშენ მასალად იყენებენ (არა მარტო რუსები, ქართველებიც გვარიანად იყენებენ, მაგალითად ბაგრატიის ტაძრის ნანგრევ ქვას - ვ.წ.).

განსაკუთრებით დიდებული სანახავია ძველთაგანვე სახელგანთქმული ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები. რიონის მეორე მხარეს აღმართული ფრიალო მთის მწვერვალიდან რომ გადმოსცქერის ქალაქს. დიუბუამ თავის ბრწყინვალე სამგზავრო ჩანაწერებში ამ სიმაგრის ვრცელი აღწერა მოგვცა³.

ფრ. ბოდენშტედტი აგრძელებს ქალაქის დახასიათებას და ამბობს, რომ, თუმცა ქალაქის მდებარეობა ბრწყინვალეა, მაგრამ ქუთაისი, გორის მსგავსად, თავისთავად ისეთ დიდებულ სანახაობას წარმოადგენს, სადაც ყველაფერს მიმქრალი სიძველის ნიშანს ატარებს, გატყვევებს და არ გაბრძალებს, მოგონებებს იწვევს და უნებლიეთ სულსა და თვალს უკან, წარსული საუკუნეებისაკენ მიგაპყრობინებს⁴. მისი აზრით, მთლიანად ქუთაისი თითქმის თანამედროვე ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად ბუნების მშვენიერი სურათებისა, რომლებიც მის მწვანე ჩარჩოს ქმნიან.

ფრ. ბოდენშტედტის ინფორმაციით, ვინაიდან იმერეთში მიწათმოქმედება მეტად დაბალ დონეზე იდგა, რის გამოც იქაური მოსახლეობა თვით მოსავლიან წლებშიც კი „გაჭირვებით აკმაყოფილებდა ოჯახის მთავარ მოთხოვნებს“, იმდროინდელი ქუთაისისა და იმერეთის მკვიდრნი საარსებო სახსრის საძიებლად თბილისში მიდიოდნენ, თუმცა გერმანელი სტუმარი იქვე ხაზგასმით იმასაც აღნიშნავდა, რომ, ამგვარი გაჭირვების მიუხედავად, იმერელი მუდამ კეთილი, კეთილშობილი და სტუმართმოყვარეა და ქურდობა და მტაცებლობა რაღაც გაუგონარი რამ არის ამ ქვეყანაში. არავითარი საფრთხე არ ემუქრება ამ მხარეში მგზავრს.

¹ იქვე, გვ. 124

² ვ. ქორიძე, ფრიდრიხ ბოდენშტედტის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 124

³ ფრ. ბოდენშტედტი, დასახ. ნაშრ., გვ. 160

⁴ ვ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124

ფრიდრიხ ბოდენშტედტი თავის ნაშრომში წერს, რომ ქუთაისი გუბერნატორის რეზიდენცია იყო, საიდანაც მართავდნენ გურიას, სამეგრელოსა და აფხაზეთს¹.

ფრიდრიხ ბოდენშტედტის ნაშრომმა არაერთი გერმანელს შეუქმნა გარკვეული წარმოდგენა საქართველოსა და ქუთაისის შესახებ. მათ შორის უნდა დავასახელოთ ცნობილი გერმანელი, მეცნიერი და გამომგონებელი ვერნერ სიმენსი, რომელსაც იტაცებს საქართველო და ქართველი ხალხის ყოფა; სწორედ ბოდენშტედტის ნაშრომის გაცნობის შემდეგ დაებადა მას დიდი სურვილი საქართველოში და ქუთაისში ჩამოსვლისა. ეს კი ცალკე თემაა.

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University
FRIEDRICH BODENSHTEDT'S IN KUTAISI
RESUME

Among the figures who have taken care of bringing Georgian culture to Europe is Friedrich Bodenshtedt, a XIX century German writer, translator, traveler and professor. He was born in 1819, in Payne, near Hanover, studied in Gottingen and Munich. In 1841 he arrived in Moscow as a teacher of German language.

While he was in Moscow, he was personally acquainted with Russian writers and public figures of that time. He translated the works written by Russian writers into German language in order to propagate in Germany. He wrote a work "Lermontov's Poetic Heritage" (1852) and etc.

In 1844, Alexander Neidhart, the commander-in-chief of the Caucasus, invited Bodenshtedt in Georgia, in particular as a teacher of French language at the Tbilisi Gymnasium. Bodenshtedt studied Georgian at the same time.

Bodenshtedt's pedagogical work in Georgia was not long. He was learning more than he was teaching. He was traveling and collecting materials for his work, which were printed when he returned to Germany "The people of the Caucasus and their struggle for freedom" (1848) "Thousand One Day in the East" (1850). The curious person didn't stay in Tbilisi for a long time. He visited the South Georgia, Armenia and then returned to Tbilisi. Then he visited Kutaisi, Guria, arrived in Crimea via Black Sea coasts. From Crimea he arrived in Constantinople and last in his homeland.

Returning to Germany Bodenshtedt reflected on many issues related to the history of our country and to the authors time.

As for Bodenshtedt's information about Kutaisi, he draws particular attention in his work to the fact, that Kutaisi was a rich city with "great ruins". The German scientist first identified the ruins of the famous Bagrati Cathedral and expressed his concern that the authorities didn't do anything special to rescue, this and other similar ruins. According to Bodenshtedt's information, land cultivation in Imereti was at a very low level, which made it difficult for the local population even to meet the basic needs of the family, even in the early years. Bodenshtedt also said that despite such hardships, people in Imereti are always kind, generous and hospitable. Robbery and predation are something unheard in this country. There is no danger to the passenger in this area. This is Bodenshtedt's views on Kutaisi and Imereti in general.

¹ ვ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 124

ქართული საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი XIX საუკუნეში

რუსეთის შემადგენლობაში ინკორპორირებული საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში, იმპერიის დანარჩენ მკვიდრთა მსგავსად, რამდენიმე წოდებად, კლასად თუ ფენად იყო დანაწევრებული, თუმცა საზოგადოების სოციალურ დიფერენციაცია კვლავ გრძელდებოდა და ძლიერდებოდა.

ქართველთა ცხოვრების ტრადიციული წესი საუკუნეთა განმავლობაში ფეოდალური იყო და ასეთად რჩებოდა იგი საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებიდან რამდენიმე ათწლეულის განმავლობაშიც. ფეოდალური წესრიგითა და ცნობიერებით ხანგრძლივმა არსებობამ იმდენად ღრმა კვალი დაატყო ჩვენი მოსახლეობის ყველა ფენას, რომ მათი გარდაქმნა და ახალ რეალობასთან ადაპტაცია ერთობ გაძნელდა და გაჭიანურდა.

შევეცდები, განვმარტო, რით იყო ეს გამოწვეული და რა ფაქტორები განაპირობებდა ქართველი საზოგადოების წარუმატებელ მოდერნიზაციას, მაგრამ ჯერ თავად მოდერნიზაციის ცნების შესახებ:

ცნობილი ბრიტანელი პოლიტოლოგის ენდრიუ ჰეივუდის თანახმად, მოდერნიზაცია სოციალური და პოლიტიკური ცვლილების პროცესია, რომელმაც წარმოშვა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებები, უზრუნველყო კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგისა და ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება-განვითარება.¹

ტერმინ „მოდერნიზაციით“ პოლიტიკურ მეცნიერებებში აღნიშნავენ ტრადიციული, სასოფლო, აგრარული საზოგადოებიდან მოსახლეობის ინდუსტრიული, ურბანისტული საზოგადოებად ტრანსფორმაციას.

საზოგადოებას, ჩვეულებრივ, სიანხლის, თუნდაც პროგრესულის, სხვაგან გამოცდილისა და დანერგვისადმი ფრთხილი დამოკიდებულება, არცთუ იშვიათად კი შიშით ახასიათებს. სიფრთხილე ჭკუადაძვადარი, გონიერი მოქმედების წინაპირობაა, ხოლო ცვლილებებისადმი შიში პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური უნდობლობითაა გამოწვეული. შერვეულის, ტრადიციულის მოშლის, კომფორტის დარღვევისა და დაკარგვის საფრთხე, უპირველესად ქონების, საკუთრების მქონე ადამიანს (ადამიანთა ჯგუფებს, სოციალურ კლასებს) ხელს უშლის თვალი გაუსწოროს, დროულად მიიღოს და მოერგოს ახალ სინამდვილეს. ასე დაემართა ქართველი საზოგადოების არისტოკრატიულ ნაწილს, რომელსაც ბოლომდე გაურკვეველი მომავლის სანაცვლოდ, არ ეთმობოდა არსებული და ჯიუტად მის შენარჩუნებას ცდილობდა. ქართველი ფეოდალი თავის მთავარ ქონებას - მიწას არასდროს უყურებდა, როგორც კაპიტალს, რომელმაც უნდა მოიტანოს მოგება. მას არ ესმოდა მეურნეობის კომერციალიზაციის არსი, - მამული, მასზე ყმა-გლეხის შრომა-ცხოვრება, ღალა თუ ბეგარა-გადასახადები არსებობის წყაროდ წარმოედგინა და არა გამდიდრების საშუალებად.

ქართველ თავადაზნაურობას გაუძნელდა სოციალური ტრანსფორმაცია და საკუთარი ცხოვრების ახალ სინამდვილესთან მისადაგება, ვერ შეძლო ამ დროის განმსაზღვრელი იმ ტენდენციებისა და ფასეულობების ორგანული შეთვისება, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ადამიანთა აზროვნებასა და საზოგადოებრივ ყოფაზე. სხვის ხარჯზე ცხოვრებას დაჩვეული ეს დარდიმანდი ხალხი ახალ ვითარებაშიც ძველი ზნე-ჩვეულებით ცდილობდა ლელოს გატანას,

¹ ე. ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურსი, თბ., 2004, გვ. 384.

არადა ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შემოჭრა და გაღრმავება, რაციონალიზმისა და გონების კულტის დამკვიდრება, ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ღირებულებათა სისტემაზე გადასვლა სულ სხვა ალღოსა და უნარს მოითხოვდა.

ახალი რეალობა მტკივნეულად აისახებოდა ქართველ თავადაზნაურობაზე, რომელიც მოუმზადებელი აღმოჩნდა სიანლისათვის. ნატურალური, თვითკმარი მეურნეობის პირობებში ფეოდალური საზოგადოების განვითარება შეფერხდა. დროის რიტმს და გამოწვევას ქართველ მიწისმფლობელთა მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა უწყობდა ნაბიჯს. ამის გამო თავადაზნაურობა, როგორც წოდება, თავისი სოციალური პასიურობის გამო, ვერ იქცა ერის პროგრესულ მედროშედ და უნუგემოდ ჩამორჩა დროს. ქართველი თავადაზნაურობის გაბატონებულ მდგომარეობას ეკონომიკური საფუძველიც ეცლებოდა. ამ საყრდენის გარეშე კი ფეოდალური არისტოკრატის უპირატესობაც ფერმკრთალდებოდა, რომ არაფერი ითქვას, თავადაზნაურობის პრესტიჟის საერთო დაკნინებაზე.¹

რამ განაპირობა ეს ყოველივე, რატომ აღმოჩნდა ამგვარი უგერგილო ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შეუცვლელი საყრდენი იყო?

როგორც იაკობ გოგებაშვილი შენიშნავდა: საქართველოში რუსეთის გაბატონების შედეგად „თავად-აზნაურობამ დასტოვა ღვაწლიანი არსებობა, მარტივი ყოფაცხოვრება და მიეცა ცუდაობას და პირუტყვულ ფუფუნებას“. იგი „მოაკლდა უწინდებულ ვაჟ-კაცურთ თვისებათა და დაიწყო ამაცობა, ამპარტავნობა არისტოკრატობით, გვარიშვილობით, რომლის იქით აღარაფერი გააჩნდა“.² არადა, როგორც აკაკი ბაქრაძე შენიშნავდა, ისეთი დრო დგებოდა, როდესაც „ჭკვიანი ადამიანები აღარ ყოყნიობენ არისტოკრატული წარმომავლობით. ისინი ჩქარობენ ფული დააგროვონ და ტექნიკას დაეუფლონ“.³

უნდა ითქვას, რომ ჩვენში - რუსეთის კოლონიად ქცეულ, იმპერიის განაპირა მხარეში, თავად ახალი დრო დადგა გვიან. აქ, ცხადია, არ გველისხმობ მხოლოდ „ხანგრძლივ მეცხრამეტე საუკუნეს“, როგორც ამ ასწლეულს ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰოსბაუმმა უწოდა. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს საერთოდ ფეოდალური ურთიერთობის უჩვეულო გაჭიანურება. „საქართველო, ობიექტურ მიზეზთა გამო, ჩამორჩა დასავლურევროპული განვითარების აღმავალ პროცესს. იგი ევროპის თანადროულად ვერ ეზიარა ახალ ერას – ბურჟუაზიული განვითარების ეპოქას XVI საუკუნიდან რომ დაიწყო და წინააზიური, შედარებით შეფერხებული თუ „დაგვიანებული“ ცივილიზაციის გარემოცვაში აღმოჩნდა“.⁴

ბურჟუაზიული მიმართულებით ქვეყნის განვითარების ჩამორჩენამ და „ე. წ. გვიანი ფეოდალიზმის პერიოდის უსამელოდ გაგრძელებამ ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის სიღრმეში ბატონყმური ფსიქიკა ჩაკირა; ბატონყმობა ჩვენი ეროვნული ხასიათის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებად იქცა“.⁵

მოკლედ გადავავლოთ თვალი ფეოდალიზმის სპეციფიკას საქართველოში.

ქართული ფეოდალიზმის აღსაწერად რამდენიმე ტერმინი გამოიყენება, კერძოდ: „უფალ-მონობა“, „პატრონყმობა“, ხოლო XV საუკუნიდან - „ბატონყმობა“. მათგან უფრო სპეციფიური „პატრონყმობა“ მოსჩანს.

¹ ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 72.

² ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ. <https://www.aura.ge/103-saskolo/8513-iakob-gogebashvili-ranivikavit-gushin.html>

³ ა. ბაქრაძე, თხზულებანი. თბ., 2006, გვ. 101-102.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 11.

⁵ ა. ჯოხაძე, 800-წლიანი ბატონყმობის მარწუხებში, კრებულში „ჭკუა ვაისაგან“, თბ., 1994, გვ. 29.

ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, საქართველოს მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრება პატრონელობაზე იყო დამოკიდებული. „ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმთავრეს და დამახასიათებელ მოვლენას სწორად ეს „პატრონელობა“ შეადგენდა“.¹

ზოგიერთი ისტორიკოსი (მაგალითად, მარკ ბლოკი) ფეოდალიზმს მხოლოდ დასავლურ ევროპულ ფენომენად მიიჩნევდა, არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევრის აზრით კი, ფეოდალიზმი უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენდა. არსებობს საპირისპირო შეხედულებაც, მაგრამ ამ საკითხის სიღრმისეული განხილვა ახლა ჩემს ინტერესს არ შეადგენს.

მარქსიზმის კლასიკოსთა თვალსაზრისით, ფეოდალიზმი „ანტაგონიზმზე დაფუძნებული ურთიერთობაა“.² რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა დრო-ჟამი, როდესაც მგელსა და ცხვარს ერთად ეძოვოს. არისტოკრატია და დაბალი სოციალური ფენები ყოველთვის სხვადასხვა ცხოვრებით ცხოვრობდნენ. წინააღმდეგობა და კონფრონტაცია ცხოვრების საზოგადოებებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ იგივე ფეოდალიზმის პირობებში არც წოდებათა შორის კოლაბორაცია-თანამშრომლობა ყოფილა უცხო და მიუღებელი. მეტიც, არაერთ ქვეყანაში სოციალურ ფენების ფუნქციებიც კი გამიჯნული იყო (Orator, Bellator, Laborator. მლოცველი, მეომარი, მშრომელი), თითოეული წოდება ძირითადად თავისი საქმით იყო დაკავებული, რაც, გარკვეული თვალსაზრისით, ხელს უწყობდა ე. წ. „კლასობრივ ზავს“.

„პატრონელობა“ მკაფიოდ ჩანს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ამსახველ ისეთ ეპოსში, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“. შოთა რუსთაველის პოემა თავისი ეპოქის ქართული სოციალური სინამდვილის ანარეკლია. როგორც ნიკოლოზ ურბნელი შენიშნავდა, „ვეფხისტყაოსანი“ არის „ხელოვნური მატთანე, ლექსად მოთხრობილი ვრცელი ისტორია ჩვენის ოქროს საუკუნისა“. სხვა ავტორის მიხედვით, რუსთაველს თავისი ქმნილების „ქარგად XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გაუხდია“ და რომ: „ვეფხისტყაოსანში“ დახატულია ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს სურათი“.³

საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის გადმოცემა. კითხვაზე: „ჩვენში თავადი ბატონი არ იყო და გლეხი ყმა?“ „დედა ენის“ ავტორი პასუხობს: „ჩვენის ქვეყნის მდგომარეობა, პოლიტიკური გარემოებანი იყო იმ გვარი, რომ ბატონ-ყმობის უღელს ამსუბუქებდა და შეჰქონდა მასში სათნო ელემენტი, ადამიანური ურთიერთობა გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის. ...ქართველი დამჩაგრეულს უღელს მონობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნევებდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა“.⁴

აკაკი წერეთელი გვიამბობს: „პატრონელობა ჩვენში პირობით იყო და არა უსაზღვრო, როგორც სხვაგან. ყმებმა იცოდნენ, რა უნდა გადაეხადათ, ბატონებმა – რა უნდა გადაეხდევინებინათ, და ორივე მხარე შეურყეველად ასრულებდა თავის მოვალეობას“.⁵

როგორც თედო ჟორდანიას აღნიშნავდა, „საქართველოში ბატონს და გლეხს შუა მჭიდრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი მეფობდა. ქართული ბატონელობა ანუ დამოკიდებულება გლეხებსა და ბატონებს შორის ნებაყოფლობითი იყო, უფრო ზნეობრივი ოჯახური კავშირი ორისავე მხრისთვის სასარგებლო“.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე. ნაკვეთი პირველი, ტფ., 1928-1929, გვ. 52.

² К. Маркс. Метафизика политической экономии. К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные сочинения. т. 3 М., 1987, с. 69.

³ გ. მჭედლიშვილი, შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 2000, გვ. 12, 29.

⁴ ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ. <https://www.aura.ge/103-saskolo/8513-iakob-gogebashvili-ranivikavit-gushin.html>

⁵ ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, წიგნში, აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1989, გვ. 37.

ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც წერდა: „საქართველოში მებატონეთ ყმობა მონად ...არ ითქმის. მართალია სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონებას არ აცხადებს“.¹

როგორც ჩანს, საქართველოში ძველად არსებულ სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის შესახებ ანალოგიური შეხედულება საკმაოდ იყო გავრცელებული. წოდებათა შორის მამაშვილური ურთიერთობის თეორიას იცავდა XIX საუკუნის ბევრი სხვა მოღვაწეც. მაგალითად, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი წერდა: „სიტყვა ბატონი უწინარეს ამისა არ იყო სათაკილო. თავმოწონებული გლეხი ამაყად იტყოდა: ჰე, მე უპატრონოდ ნუ გგონივარ, ბატონიცა მყავს და პატრონიც. ბატონყმური სიყვარული იყო მტკიცე და შეურყვნელი“. საქართველოში „ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობა გაცილებით კორექტული, დახვეწილი და ურთიერთსარგებლიანი იყო, ვიდრე მსოფლიოს თუნდაც ყველაზე მოწინავე ქვეყნებში“.²

ალექსანდრე ხახანაშვილის მოსაზრებით კი, „ბატონყმობას საქართველოში ჰქონდა ბევრი საერთო სახე ამგვარასვე წყობილებასთან ევროპასა და რუსეთში“. თუმცა, მკვლევარი იქვე დასძენდა, რომ „ქართული ბატონყმობა ჰუმანურია ევროპულ და რუსულ ბატონყმობასთან შედარებით. ...სანამ საქართველო რუსეთს შეუერთდებოდა, ქართველი ბატონი იყო ქართველი გლეხისთვის მფარველი და პატრონი, ხოლო XIX საუკუნის დამდეგს საქართველო შეუერთდა რუსეთს, თავადაზნაურობამ დაჰკარგა სახსარი სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა მიეღო, ფეოდალებს მოაკლდათ ძველი დიდება და ამასთანავე იმატა უსაქმობის გამო განცხრომის მიდრეკილებამ. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებამ გამოიწვია ყმათა გადასახადის დაბეგვრის მომატება, რუსეთთან შეერთებამდე, ყველაფერი მამაშვილურ დამოკიდებულებაზე იყო დამყარებული, არავითარი კლასთა ბრძოლა არ იყო, რომ ყმა მამასავით უვლიდა თავის ბატონს“.³

იაკობ გოგებაშვილი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „მტრული განწყობილობა, საშინელი სიძულვილი ყმებსა და ბატონებს შორის, ტვინის ამოწოვა გლეხებისა ბატონების მხრივ, წყვეტა და ჟლეტა ბატონებისას გლეხების მხრივ - ყოველივე ეს დაიბადა ამ საუკუნეში (იგულისხმება XIX საუკუნე, - ო. ჯ.), როცა ბატონსა და ყმას შუა ჩამოსდგა შტიკი და შუბი, რომელთა მოხმარება გლეხების წინააღმდეგ ადვილი იყო“.⁴

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია საუკუნეების განმავლობაში ევროპისაგან ზურგშექცევით ცხოვრობდა და ვითარდებოდა. ეს ვითომ ევროპული სახელმწიფო ნამდვილი ევროპისათვის შიშისა და საფრთხის მომგვრელი მრისხანე გოლიათი იყო. ცნობილია, რომ საღვთო კავშირის შექმნიდან (1815 წ.) თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში რუსეთი ევროპის ჟანდარმის როლსაც ასრულებდა და მისი „ევროპულობა“ დიდწილად ამით განისაზღვრებოდა. ამიტომაც წერდა გერონტი ქიქოძე, რომ რუსული ნაციონალიზმისა და მესიანიზმის საფუძველი უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე ისტორიულ-ფილოსოფიური და, რომ „მისტიკური ბუნების მიუხედავად, მას საგრძნობლად უდიოდა ყაზახური ჩექმების სუნი“.⁵

როდესაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ საქართველოში თავისი სოციალური წყობის (სისტემის) ნიველირება დააპირა და ქართული პატრონყმობის ნაცვლად რუსული ბატონყმობა დანერგა, ვითარება ნამდვილად შეიცვალა. საქართველოს ადგილობრივ ადმინისტრაციას გლეხობის მემამულეთა მორჩილებაში მოქცევა დაევალა და საამისოდ სამხედრო ეგზეკუციების ნებაც დაერთო. ქართველ თავადაზნაურობას, მსგავსად რუსი თავადაზნაურობისა, თავიანთი ყმა გლეხე-

¹ ა. ორბელიანი, უწინდელს დროს ბატონყმობა საქართველოში, ჟურნ. „ცისკარი“, 1859, № 11, გვ. 215.

² ნ. ვახანია, ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი. <http://www.bu.org.ge/x1282?lang=geo>

³ ალ. ხახანაშვილი, პატრონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ტფ., 1890, გვ. 5.

⁴ ი. გოგებაშვილი, რანი ვიყავით გუშინ. <https://www.aura.ge/103-saskolo/8513-iakob-gogebashvili-rani-vikavit-gushin.html>

⁵ გ. ქიქოძე, დასავლეთის კარები, გაზ. „საქართველო“, 1916 წ., №279, წიგნში - ევროპა თუ აზია? თბ., გვ. 331.

ბის ჯარში გამწესების ან ციმბირში გადასახლების უფლება მიეცა და სხვ. რუსეთიდან შემოვიდა ადრე საქართველოში უცნობი არაერთი სასჯელი, მათ შორის „როზგი“, რომლის სახელი ქართველებმა ადრე საერთოდ არ იცოდნენ.¹

იმპერიულმა პოლიტიკამ, ილია ჭავჭავაძის სიტყვით თუ ვიტყვით, გამოწვია ის, რომ „თავადს აზნაური სძულს, აზნაურს თავადი, გლეხს ორივე“. ამ დროიდან წოდებათა შორის ხიდნატეხილობა და ურთიერთგაუცხოება დროის „წყველა-კრულვიან პრობლემად“ (ილია) იქცა.

ისე რომ არ გამოვიდეს, თითქოს ყველაფერი რუსეთის იმპერიას ბრალდება, აუცილებელია ითქვას ქართული წარჩინებული წოდების - თავადაზნაურობის განათლების დონის სვალალო მდგომარეობაზეც, რაც სულაც არ ყოფილა მეორეხარისხოვანი ამ წოდების დეგრადაციის გზაზე.

რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით, მარტო თბილისის გუბერნიაში აღრიცხული 29 347 თავადაზნაურიდან დაახლოებით 30 % წერა-კითხვის უცოდინარი იყო.² ჩვენებური ფეოდალები რომ ამრეზით უცქერდნენ სწავლა-განათლებას, ამას არაერთი საისტორიო წყარო მოწმობს. მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთი დიდგვაროვანი პერსონაჟი, გორელი თავადი ამილახვარი დარწმუნებით ამბობს, რომ „ცოდნამ დააქცია ქვეყანა“, ხოლო ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“-ს უკვდავი გმირი ლუარსაბ თათქარიძე გაიძახის: „წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, - ეგ ხომ ქალის საქმეაო“.

შეუძლებელია არ ვენდოთ იოანე ბატონიშვილსა და ილია ჭავჭავაძეს და ისინი ვითარების დრამატიზებაში დავადანაშაულოთ, მაგრამ უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის დოკუმენტურ მასალასაც მოვიშველიებ. იონა ხელაშვილის ეპისტოლურ კრებულში დაცულია XVIII საუკუნის ერთი ქართველი ფეოდალის წერილი, რომელშიც აღნიშნულია: „მამასა და პაპასა არა სცოდნით წიგნი, მაგრამ თვისის გვართა მდიდრათ უცხოვრიათ გვარეულისა სახელოებითა. წიგნები მხოლოდ მღუდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიც მდივნებად არიან და ვაჭრად; და აგრეთვე ქალებმა შამშობლობთა მისწერენ ქარტათა და შეიტყობენ სიცოცხლეთა და სიკუდილთა. ...თავი რისათვის აიტკიოს დიდმან კაცმან წიგნით და ანგარიშით“.³

XIX საუკუნის შუახანებისათვის ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას თითქმის მთელ რუსეთში ღრმა კრიზისი დაუდგა. თვითმპყრობელობა იძულებული გახდა, სერიოზულად დაფიქრებულიყო ამ დრომოჭმული სისტემის გარდაქმნაზე. 1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გატარებული რეფორმის ძალით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი გახდა, იგი ყმობისაგან განთავისუფლდა, თუმცა მიწა კვლავ ძველი პატრონის საკუთრებად დარჩა.

საბატონყმო რეფორმას ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი „ეპოქალურს“ უწოდებს. რეფორმამ მართლაც შეუწყო ხელი საერთოცივილიზაციურ პროგრესს, მაგრამ მისი შედეგები ვერ გამოდგა ამ მასშტაბის. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ ვერ ჩამოყალიბდა საშუალო ფენა - თავისუფლებისმოყვარე, ინიციატივანი, სოციალურად მობილური ადამიანების ერთობა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების წინაპირობა.

რეფორმამ საქართველოში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია. შეჩვეული ცხოვრების დარღვევით, მით უფრო, მისი საფუძვლიანი მოშლით, ქართველი თავადაზნაურობის აბსოლუტური უმრავლესობა დაინტერესებული არ ყოფილა. მან მომავალი რეფორმა უსამართლო, „დიდად სამწუხარო“ საქმედ მიიჩნია, რადგან გლეხთა განთავისუფლება საკუთარი კეთილდღეობის ხელყოფად აღიქვა. იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში დაწყებულ ბატონ-ყმობის რეფორმასა და ხმებს ყმების განთავისუფლების შესახებ დიდი აქტივობით არც ქართველი ყმა-გლეხობა ხვდებოდა.

¹ ა. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, წიგნში, აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1989, გვ. 41.

² Первая всеобщая перепись населения Российской империи 1897 г. 69. Тифлисская губерния, СПб., 1905, с. XIII.

³ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბ., 1936, გვ. 10-11.

ბატონყმობის გაუქმება „თავის დღეში არ მოხდება, ამას ვერც თქვენ და ვერც თქვენი შვილები ვერ მოესწრებიანო“, - ეუბნებოდნენ ქართველი მემამულეები თავიანთ ყმებს. თუმცა ბევრს ეჭვი ეპარებოდა, რომ გლეხთა განთავისუფლების პროცესს ველარაფერი შეაჩერებდა და წუხდა: „რაღა ექნათ მერე, რომ მართლა ყმები წაგვართვან, რიღათ ვიცხოვროთ, რიღათ გავიდეთ ქვეყანაში. ვაი ჩვენ დღეს, თუ მართლა ეს მოხდა, მაშინ რაღა გზა გვაქვს, თავი ქვას უნდა ვახლოთ და ან ავლაბრის ხიდიდამ მტკვარში გადავცვივდეთ, ან სხვაგან სადმე“.¹

სხვებიც არ მალავდნენ: „ჩვენ არ შეგვიძლია არც მუშაობა, არც გუთანზე ჯდომა, არც ხენა, ბოსტნის ბარვა და თოხნა, არც საქონლის და ცხვრის დევნა“, ამ გვარის მდაბიო ცხოვრებისათვის გლეხია შობილიო.²

მართალია, იმპერიაში გატარებული საგლეხო რეფორმით ბატონ-ყმობა ჩვენშიც გადავარდა (1864-1871 წწ.), მაგრამ, როგორც ქართული გაზეთი 1875 წელს წერდა: „იმისი დალი ზედვე დაგვრჩა: უნიციატივობა, სხვის ხელში შეყურვა, სხვისი იმედით ცხოვრება“.

სამწუხაროდ, ასე კარგა ხანს გაგრძელდა. XX საუკუნის პირველ დეკადაშიც კი, ფილიპე გოგიჩაიშვილი გულისტკივილით მიუთითებდა: „ეკონომიკური ცხოვრების იმ ძირითად ცვლილებებს, რაც კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრას მოაქვს, ქართველობა მოუშხადებლად, ძველი ცხოვრების ზნე-ჩვეულებებით, გონებრივი შემეცნებითა და სულიერი განწყობილებით დაუხვდა. მან დროზე ვერ აუღო ალღო ამ სიანლეს და უაღრესად ჩამორჩა. მეცნიერისა და პუბლიცისტის აზრით, ჩვენს ეკონომიკურ დაბრკოლებას 4 უმთავრესი მიზეზი განაპირობებდა: „1. დროს ჩამორჩენილი საეკონომიო აზროვნება ქართველობისა, 2. „აზნაურული“ ფსიხიკა, 3. პატრიარქალურ ჩვეულებათა ნაშთი და 4. სუსტი ინდივიდუალობა“.³

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში რუსეთის დამკვიდრებით, ქართველმა წარჩინებულმა წოდებამ დაკარგა მართვა-გამგეობის სამეკვიდრეო პრივილეგიები, თავადაზნაურობა უწინდებურად გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. რიცხობრივად ქართველი არისტოკრატია მთელი მოსახლეობის 5,6%-ს არ აღემატებოდა (დასავლეთ საქართველოში (6,86%), აღმოსავლეთ საქართველოში - 4,2%), მაგრამ ეკონომიკურად და უფლებრივად კვლავაც იგი დომინანტობდა.

პარალელურად, მიმდინარეობდა სათავადოთა სისტემის ბუნებრივი ღრვევისა და თავადთა პოლიტიკურ შეუვალობის ძირგამომთხრელი პროცესი. ეს იყო სათავადო სახლების ოჯახებად გაყრა-დანაწევრება, ქონებისა და ადგილ-მამულის გამიჯვნა, რომელიც შლიდა პატრიარქალურ საერთო-საგვარეულო მიწისმფლობელობას და მემამულეებს ინდივიდუალურ მესაკუთრებად აქცევდა. ეს მოვლენა, თუ ერთის მხრივ ქართველი თავადების დამცრობას განაპირობებდა, იმავედროულად ხელსაყრელ პირობებსაც ქმნიდა სოფლად პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ხავსმოდებულ ფეოდალურ სინამდვილესთან შედარებით.

მემამულეთა უმრავლესობამ, განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმების შემდგომ, როცა მას ყმა-გლეხობა ფაქტობრივად შემოეცალა, არსებობის სხვა ფორმა აირჩია და ხელი მიჰყო მიწების გაყიდვას. ფულზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად, მიწა საქართველოში გაცხოველებული ვაჭრობის საგნად იქცა. მიწას ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები ყიდდნენ, მაგრამ უფრო მეტად - თავადები და აზნაურები. მყიდველი ძირითადად ვაჭართა, მეკახშეთა, მრეწველთა და სხვ. არაქართულ წრეს განეკუთნებოდა. მიწის გარკვეული ნაკვეთების შეძენას არცთუ იშვიათად გლეხებიც ახერხებდნენ.

ფართოდ გავრცელდა ვალის სარგებელში მამულის დაგირავების შემთხვევები, რაც უმეტესად მიწის ნაკვეთის კრედიტორთა საკუთრებაში გადასვლით მთავრდებოდა. უფრო მეტად ქონების დაკარგვა, ვიდრე შეძენა, მოსდევდა შედეგად ჩვენში დაახლოებით იმავე დროიდან დამკვიდრებულ აზრტულ თამაშებს, რომლებიც თავადაზნაურთა წრეებში მეტად პოპულარული იყო.

¹ ზ. ჭიჭინაძე, ბატონ-ყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები, თფ., 1919, გვ. 6.

² ქ. რაჭველიშვილი, ილია ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1937, გვ. 50.

³ ფ. გოგიჩაიშვილი, ჩვენ და ცხოვრება, ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1909, 6, გვ. 1.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში ძველი საოჯახო სალონები ადგილს უთმობენ სათავადაზნაურო, ოფიცერთა და სხვა კლუბებს, რომლებიც აზარტული თამაშების ასპარეზს წარმოადგენდნენ. აზარტული თამაშების მანიკერებაზე მიუთითებდა პოეტი ვახტანგ ორბელიანი, რომლის ერთ ლექსში ხაზგასმულია: „ზოგთა თვისი ქონება ბითურ ცხრაში წააგეს და თავისი ცოლ-შვილი მშიერ-მწყურვალ დააგდეს!“¹

ცალკე უნდა ითქვას მაშინდელ კიდევ ერთ ბედოვლათურ საქციელსა თუ „ახირებულ ჩვეულებაზე“, კერძოდ, იმ დროის ქართველობის მიდრეკილებაზე გადამეტებული ქეიფის, მოლხენისა და დროსტარებისაკენ, რაც წარმოუდგენლად დიდ თანხებს მოითხოვდა.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო, ქართველ ფეოდალთა მსხვილ მამულიანობას თანდათან ბოლო ედებოდა, ხოლო მცირე მამულის მფლობელნი კიდევ უფრო ღარიბდებოდნენ. არაერთი გვარი თუ ოჯახი საერთოდ გაკოტრდა. წარმოიქმნებოდა მატერიალურად შეჭირვებული, ხელმოკლე აზნაურობის („კეთილშობილ ლატაკთა“) და მიწის წვრილმესაკუთრეთა მნიშვნელოვანი მასა.

ქართული საზოგადოების მოდერნიზაცია გააძნელა იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატია ძირითადად სოფლად ცხოვრობდა და მას ქალაქებთან, როგორც ვაჭრობის, ეკონომიკისა თუ კულტურის მთავარ ცენტრებთან ინტენსიური კავშირი არ ჰქონია. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართველი თავადაზნაურობისათვის არათუ პრესტიჟული, შეიძლება ითქვას, საერთოდ უცხო იყო ისეთი ურბანული პროფესიები, როგორიცაა ბანკირი, ექიმი, ვეჟილი, მოსამართლე, ინჟინერი, ტექნიკოსი, მექანიკოსი და სხვა, რომლებიც სპეციალურ ცოდნა-განათლებას მოითხოვდნენ, რის გამოც სამხედრო კარიერის ალტერნატივად არც კი მოიზარებოდნენ.

XIX საუკუნეში გაიზარდა ქალაქების როლი და მნიშვნელობა საქართველოს როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ცხოვრებაში. მართალია, თბილისმა, როგორც ქვეყნის დედაქალაქმა, თავისი სტატუსი დაკარგა, მაგრამ მალე იგი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული, პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლში მოგვევლინა.

1846 წელს საგუბერნიო ქალაქად გამოცხადდა ქუთაისი, რამაც მისი ზრდა-განვითარება შესამჩნევად დააჩქარა. აღმავლობის გზას ადგენენ სამაზრო ქალაქებიც: გორი, თელავი, სიღნაღი, ოზურგეთი, ახალციხე, ღუშეთი და სხვ. სწრაფად დაწინაურდა სოხუმი, ფოთი და ბათუმი. მნიშვნელოვანი საკვანძო ფუნქციები დაეკისრათ სარკინიგზო პუნქტებს ხაშურს, ზესტაფონსა თუ სამტრედიას. 60-იანი წლების დამდეგისათვის ქალაქის მოსახლეობის რიცხვი სოფლის მოსახლეობის ხარჯზე გასამმაგდა და 140 ათასს გადააჭარბა. ურბანიზაციის ტემპი კიდევ უფრო საგრძნობი იყო მომდევნო ათწლეულებში.

შეიცვალა ქალაქის მკვიდრთა სოციალური შემადგენლობაც. ნელ-ნელა დაირღვა ზღვარი წოდებათა შორის და განმსაზღვრელი ქალაქელთა ქონებრივი მდგომარეობა და საქმიანობის ხასიათი გახდა. წარმოიშვნენ კაპიტალისტური საზოგადოების ახალი ფენები: ერთი მხრივ, საწარმოო საშუალებათა მფლობელები, რომლებიც ბურჟუაზიად მონათლა და მეორე მხრივ, ნებით დაქირავებული მუშები, რომელთაც პროლეტარები ეწოდათ. მომრავლდა ვაჭართა და საშუალო მეწარმეთა ე. წ. წვრილბურჟუაზიული ფენა, გაიზარდა მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა და სხვ.

საქალაქო ცხოვრებაში გამოიკვეთა ისეთი სოციალური ელემენტის როლი, როგორიც იყო მოქალაქე. მოქალაქეთა ფენა ჯერ კიდევ შუა საუკუნეების წიაღში წარმოიშვა, მაგრამ XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან იგი თვალსაჩინო და ანგარიშგასაწევ ძალად გადაიქცა. მოქალაქის წოდება და პრივილეგიები მემკვიდრეობით გადაეცემოდა, თუმცა ქონებრივი თვალსაზრისით განირჩეოდნენ პირველხარისხოვანი, შეძლებული, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქეები. პირველხარისხოვანი მოქალაქენი ამ დროიდან რუსეთში არსებულ საპატიო მოქალაქის კატეგორიას გაუ-

¹ ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1816-1845, ზ. მთაწმინდელისა, თბ., 1885, გვ. 11.

თანაბრეს. 1897 წლის აღწერის თანახმად, საქართველოში საპატრიო მოქალაქის სტატუსის მქონე 7 ათასი პირი მოითვლებოდა.

რამდენადაც თავადაზნაურობა ნივთიერად ღარიბდებოდა და ქვეითდებოდა, იმდენად მოქალაქეობა, როგორც წოდება, იზრდებოდა და ძლიერდებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის მოსახლეობის უმრავლესობას არაქართველნი, კერძოდ სომხები შეადგენდნენ. ბევრი მათგანი ვაჭრობასა და ხელოსნობაში იყო დასაქმებული, მაგრამ ქონებრივი ცენზის შესაბამისად, მოქალაქის სტატუსსაც ფლობდა.

საქართველოს ქალაქების, უმთავრესად კი თბილისის მცხოვრებთა შორის რეფორმის შემდგომ ხანაში გამოიჩინოდა ახლადწარმოშობილი შეძლებულბული ადამიანების ფენა, რომელიც, როგორც ითქვა, ბურჟუაზიად იქნა სახელდებული და რომელიც საზოგადოებრივ იერარქიაში თანდათან მოწინავე პოზიციებს იჭერდა.

ტერმინი „ბურჟუაზია“ ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა (bourgeoisie) და შუა საუკუნეებში ქალაქის მცხოვრებთ - ბიურგერებს აღნიშნავდა. მოგვიანებით ცნების მნიშვნელობა შეიცვალა და ბურჟუაზია ეწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ფლობდნენ ფულს, წარმოების საშუალებებს, იყენებდნენ დაქირავებული შრომას და ცხოვრობდნენ საკუთრებიდან მიღებული შემოსავლებით.

როგორც ცნობილია, ბურჟუაზიის წარმოშობა ევროპაში ეკონომიკურმა აღმავლობამ, შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, სამრეწველო პროდუქციის ზრდამ, საშინაო და საგარეო ბაზრის გაფართოებამ, ტექნიკის განვითარებამ და სხვამ განაპირობა.

ბურჟუაზიულ წოდება საზოგადოების სხვადასხვა ფენისაგან ფორმირდებოდა, კერძოდ: ქალაქის მცხოვრები ვაჭრების, მევანშეების, გილდიათა ოსტატების, გლეხთა შეძლებული კატეგორიის და თავადაზნაურობის იმ ნაწილისაგან, რომელიც სოფლის მეურნეობის წარმოების კაპიტალისტურ ფორმებს ეზიარებოდა და ცხოვრებაში ნერგავდა. XIX საუკუნიდან ბურჟუაზია, პოლიტიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისით, კაპიტალისტური საზოგადოების წამყვანი, უმაღლესი კლასის სინონიმად იქცა.

შედარებით ახალმა, მაგრამ აღმავალმა ამ კლასმა ქონებრივად გაუსწრო დეგრადაციის გზაზე დამდგარ ფეოდალურ არისტოკრატიას, რომელსაც უკვე უფლებებშიც ეცილებოდა. ბურჟუაზიის დაწინაურება თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო, თუმცა ეროვნული თვალსაზრისით საქართველოში იგი მრავალ საფიქრალსა და თავსატეხს წარმოშობდა. აქ ფაბრიკა-ქარხნებისა თუ წარმოების სხვა საშუალებათა მეპატრონენი, ნაცვლად ქართველისა, უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ. არაქართველთა ხელში იყო ასევე მოქცეული ვაჭრობის მნიშვნელოვანი სადავეებიც. უმეტესწილად დასავლეთ ევროპელი, სომეხი, რუსი, ბერძენი ან თურქი საქმოსნები ედგნენ სათავეში ჩვენში არსებულ მსხვილ საწარმოებს, კომერციულ კომპანიებს, სააქციო საზოგადოებებს, საშუამავლო თუ სასაქონლო ნაწარმის შემომტან ფირმებსა და სხვ. „უამრავ ადელხანოვს, მანთაშევს, არამიანცს, როტშილდს, ზემელს, სერებრიაკოვსა თუ სიდერიდს შორის ობოლი მარგალიტივით გამოკრთოდა ქართველ მეწარმეთა სახელები და მათი პროდუქციის სარეკლამო ფირნიშები. მცირერიცხოვანი ქართველი ბურჟუაზიის ინტერესები ეჯახებოდა როგორც მეტროპოლიის, ისე საქართველოში მომძლავრებული სომხური ბურჟუაზიის ინტერესებსა და გავლენას. ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება ამ დაწინაურებული კლასის წარმომადგენელთა შორისაც თანდათან ეროვნულ-პოლიტიკურ ჭრილში გადადიოდა და ეთნიკური დაპირისპირების ხასიათსაც იძენდა“.¹

XIX საუკუნის საქართველოში კაპიტალიზმი ფაქტობრივად ქართველი კაპიტალისტების გარეშე ვითარდებოდა, რადგან რიცხვი იმ ქართველი შეძლებული ადამიანებისა, რომელთაც ცნება კაპიტალისტი ზუსტად მიესადაგება, თითებზე ჩამოითვლებოდა.

¹ ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 73.

რა იყო ამის მიზეზი? რით შეიძლება აიხსნას ქართველი კაპიტალისტების სიმცირე იმ დროის საქართველოში?

ქართველ ფეოდალთა წიაღიდან საფრანგეთის „მესამე წოდებისა“ და ინგლისის „ახალი თავადაზნაურობის“ მსგავსი ფენა ვერ წარმოიშვა. ვნახოთ, რა ვითარება იყო ბურჟუაზიული წოდების შემავსებელ აზნაურთა, ვაჭართ, ხელოსანთა და საზოგადოების სხვა კატეგორიაში.

ქართველ აზნაურთა ფენა, რომელსაც მცირე მამული და მოკრძალებული შემოსავალი გააჩნდა, მრავალრიცხოვანი იყო. აზნაურობა, მართალია, საიმპერიო ხელისუფლებამ ეკლესიისა თუ თავადთა ვასალური დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლა და, რანგით ამაღლებული, თავადებთან ერთად რუს მემამულე-პომეშჩიკებს გაუთანაბრა, მაგრამ ამით მისი ქონებრივი შესაძლებლობა არ გაუმჯობესებულა. მრავალი აზნაურის ხვედრი მუდმივი გაჭირვება და ხელმოკლეობა გამხდარიყო. ბევრ მათგანს ცხოვრების ძველი გზა დაეგდო, ყანა-ვენახში გლეხკაცვიით ტრიალებდა, ხნავდა, თესავდა, ხარ-კამენს უვლიდა, მაგრამ უმნიშვნელო მიწა-წყლის მფლობელს სიღარიბისაგან თავი მაინც ვერ დაეღწია.

მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში ცალკე აღირიცხებოდა სასულიერო წოდება, რომლის პროცენტული წილი ქვეყნის მცხოვრებთა საერთო რაოდენობის 1,6 %-ს შეადგენდა. იგი ორთოდოქსული პრინციპების ერთგული რჩებოდა და შეიძლება ითქვას, მოდერნიზაციის პროცესში არც მონაწილეობდა.

საქართველოს მოსახლეობის ყველაზე ჭარბი კატეგორია გლეხობა იყო (83,6%). ქართველი გლეხი, ჩვეულებრივ, თავის დარდსა და ვარაშს მიწასთან ჭიდილში კლავდა, შრომასა და გარჯას არ გაურბოდა, თუმცა მემამულეთა თუ მძიმე სახელმწიფო გადასახადებისაგან შეწუხებული, წელში ვერა და ვერ გამართულიყო.

დაწყებული სოციალური ცვლილებები გლეხურ წიაღშიც ქონებრივ უთანასწორობას აღრმავებდა. გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილის გადატაკების პარალელურად, იზრდებოდა საშუალო და შეძლებულ გლეხთა (ე. წ. კულაკთა) ოდენობაც. გამოანგარიშებულია, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის საქართველოში საშუალო გლეხთა რიცხვი მთელი გლეხური მოსახლეობის 60 %-ს, უღარიბესი ფენა 35-ს, ხოლო „კულაკობა“ - 5 %-ს შეადგენდა.¹

წოდებრივი მიწათმფლობელობა, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც ძალაში დარჩა, სოფელს გასაქანს არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, გაჩნდნენ მდიდარი გლეხებიც, რომლებმაც ათეულობით ჰექტარი მამული საკუთრებად შეიძინეს და კიდევ უფრო მეტს იჯარით ამუშავებდნენ ნებით დაქირავებული მუშახელის ხარჯზე.

კახეთში, ბორჩალოსა და სხვა ადგილებში ზოგიერთი ყოფილი გლეხი დიდი მესაკუთრეც გახდა და მიწის ვრცელი ფართობის გარდა, დიდძალი გამწვევი და პროდუქტიული პირუტყვის მფლობელადაც იქცა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მრავალ გლეხს რამდენიმე ათასსულიანი ცხვრის ფარა ჰყავდა, ერთეულებმა მოზრდილი საქონლის ჯოგი და ცხენის რემა გაიჩინეს, რომლებსაც მოჯამაგირენი და ქირაზე მომუშავე მწყემსები უვლიდნენ. არაერთმა გლეხმა დასავლეთ საქართველოშიც თვალსაჩინო ქონება დააგროვა მეურნეობის გაუმჯობესებისა თუ ვაჭრობა-წარმოებაში ჩაბმის გზით.

ეს, როგორც იტყვიან, წვეთი იყო ზღვაში, თუმცა აშკარად მიანიშნებდა იმაზე, რომ გლეხობის ცნობიერებაში გარკვეულ ტრანსფორმაცია იწყებოდა. იურიდიულად თავისუფალი გუშინდელი ყმა სოციალურად აქტიური ხდება, ცდილობს ახლებურად გაიაზროს საზოგადოებაში თავისი ადგილი, როლი და ფუნქცია, მაგრამ მრავლად იყვნენ ისეთი გლეხებიც, რომლებიც ჩარჩნენ ძველი ყოფის ტყვეობაში და ვერ აყვნენ დროის მოთხოვნებს.

¹ საქართველოს ისტორია. XIX საუკუნე, თბ., 2004, გვ. 167.

ქართული სინამდვილისათვის უცხო არ ყოფილა ღარიბ-ღატაკი, თითქმის უმიწაწყალო და უსახლკარო გლეხობა, რომლის ერთი ნაწილი თავს ხელისბიჭობა-მოჯამაგირეობით ირჩენდა, ხოლო დანარჩენი მუდმივად გარესამოვარზე გადიოდა.

არასახარბიელო იყო ხიზანთა ცხოვრების პირობებიც. ერთსა და იმავე ადგილზე მრავალწლიანი სახლობა-მუშაობის მიუხედავად, გლეხობის ეს ნაწილი კვლავ უმიწოდ რჩებოდა და მის დაუფლებას ემუშრებოდა.

ჩვენში ფართოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ „ქართველი კაცის ბუნება ვერ ეგუებოდა ვაჭრობას, ვერ ეგუებოდა ჩარჩობას, ვერ ეგუებოდა მეგანშეობას, მასში ვაჟკაცური და რაინდული ხასიათი სჭარბობდა. ხან იბრძოდა ერის და მამულის გადასარჩენად, ხან ეკლესია-მონასტრებს, ტაძრებს აშენებდა, ხან ყანას უგლიდა. ვაზის ახალი ჯიშები გამოჰყავდა, ხან აგიოგრაფიულ ნაწარმოებს სწერდა, ხანაც რაინდული სულით გაჟღენთილ პოემებს (ვეფხისტყაოსანი, ვეფხისა და მოყმის პოემა) წერდა და ასე ჰქმნიდა საკუთარ ისტორიას“.¹

ვაჭრობა ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. როგორც მეურნეობის საგულისხმო დარგი და ეკონომიკური საქმიანობის სახე, იგი უძველეს დროში ჩაისახა და უმთავრესად ადებ-მიცემობასა და საქონლის გაცვლაში გამოინატებოდა. ვაჭრობის ადრეული ფორმა - ბარტერი საქონლისა თუ მომსახურების სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გაცვლით შემოიფარგლებოდა. ვაჭრობით, თავდაპირველად, თვით საქონლის მწარმოებლები (გლეხები, ხელოსნები) იყვნენ დაკავებულნი. ცოტა მოგვიანებით, მზა ნაწარმს ხელოსნისაგან ვაჭარი ყიდულობდა, მიჰქონდა იგი მომხმარებელამდე და ასაღებდა. იმთავითვე მოგებაზე ორიენტირებული ვაჭრები იმაზე გაცილებით მეტ ფულს ფლობდნენ, ვიდრე ცალკეული ხელოსნები, ამიტომ ვაჭარს, აუცილებლობის შემთხვევაში, ხელოსნისათვის კრედიტის მიცემაც შეეძლო. ეს პროცესი ორივე მხარისათვის სასარგებლო აღმოჩნდა. ხელოსანთა ნაწილმა ამ გზით წარმოება გააფართოვა, ხოლო ვაჭრებმა წარმოების გარდა კაპიტალის სხვა სფეროში დაბანდებაც დაიწყეს. ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ნიადაგი თანდათან მზადდებოდა.

რა ვითარება იყო ამ მხრივ საქართველოში?

ცნობილია, რომ აღმოსავლეთ ჩინეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალი უძველესი სავაჭრო მაგისტრალის, ე. წ. აბრეშუმის გზის ერთ-ერთი მარშრუტი საქართველოს ტერიტორიაზეც გადიოდა. საქართველოს კვეთდა ასევე, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზაც, რომელიც მას ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან აკავშირებდა. ყოველივე ეს ჩვენ ქვეყანას საშუალებას აძლევდა, ჩაბმული ყოფილიყო საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობაში. ამის პარალელურად, ვითარდებოდა საშინაო ვაჭრობა და ვითარდებოდა შიდა ბაზარიც.

საქართველოდან სხვადასხვა დროს გაჰქონდათ სელი, მარცვლეული, ხე-ტყე, ლითონი, აბრეშუმი, მატყლი, ხალიჩები, სინდიყი (ვერცხლისწყალი) და სხვ. ქვეყნის საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი საქონელი იყო ასევე: ოქროქსოვილები, ბზა, თაფლი, ცვილი, ღვინო, ენდროს საღებავი, ბულატის ხმალი და ა. შ. ისტორიულად თბილისი სამხრეთ კავკასიის მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი იყო. რეგიონში რუსეთის გაბატონების შემდგომ რომანოვთა იმპერია ახლო აღმოსავლეთთან ვაჭრობას ძირითადად თბილისის მეშვეობით აწარმოებდა. გამოანგარიშებულია, რომ თბილისის სავაჭრო ბრუნვა 1885 წლისათვის შეადგენდა 30 მლნ. მანეთს, 1890 წლისათვის კი - 37 მლნ. მანეთს.²

ეს ყველაფერი ცხადყოფს, რომ ვაჭრობა საქართველოშიც სათანადო დონეზე არსებობდა და ვითარდებოდა. ბუნებრივია, იყვნენ ვაჭრებიც და არცთუ უმნიშვნელო რაოდენობის. მაგრამ ვაჭართა წრეს ჩვენში უპირატესად აქ მოსახლე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები შეადგენდნენ, რომლებიც საქართველოში ძველი დროიდანვე მრავლად ცხოვრობდნენ. ვაჭრები ძირითადად ებრაელები და სომხები იყვნენ.³

¹ ლ. ბერაია, ვ. ხიმშიაშვილი, ცოტა რამ წარსულიდან. <http://georoyal.ge/?MTID=5&TID=45&id=3835>

² ა. ბენდიანიშვილი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-191 წწ.; თბ., 1960, გვ. 5; 45; 49; 51.

³ ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008, გვ. 9. 18.

ვაჭრებთან დაკავშირებით ჩვენში ფართოდაა გავრცელებული შოთა რუსთაველის ფრაზა „ვეხისტყაოსნიდან“: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ“. ეს შეხედულება საუკუნეებს გადმოწვდა და სტერეოტიპად დამკვიდრდა.

ქართულ სინამდვილეში ცნება ვაჭარი ნეგატიურ კონოტაციას ატარებდა. ქართველთა წარმოდგენით, თვით XIX საუკუნეშიც კი, ვაჭრობა მეორეხარისხოვან საქმიანობად იყო მიჩნეული. ამასთან, იგი ერთი მხარის მიერ მეორის ხარჯზე გამდიდრების მექანიზმად აღიქმებოდა და ბუნებრივად იწვევდა უარყოფით დამოკიდებულებას.¹ ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, „ვაჭრობის შესახებ ...იტყოდნენ თამამად: ქართველი კაცის არც ვაჭრობა თქმულა და ქმნილაო, არც ჩოტკი და არც დავთარიო“.²

ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა რეალისტურმა ქართულმა მწერლობამ. არაერთი ლიტერატურული ნაწარმოებში აღწერილი ვაჭარი თუ მეღუქნე მევახშის სახელთან გაიგივდა და არა წესიერ და ნამუსიან კომერსანტთან.

საისტორიო წყაროები კი სხვას მოწმობენ. მაგალითად, ცნობილია, რომ თამარის ეპოქაში დიდვაჭრები სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ საქმეებშიც იღებდნენ მონაწილეობას და თვით სამეფო ცხოვრებაშიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ. თუმცა, „ვაჭრების უმრავლესობა პირად თავისუფლებას მოკლებული იყო და სოციალურად ყმა გლეხის მდგომარეობაში იდგა. მისი შეწირვა და გაყიდვა ისეთივე თავისუფლად შეიძლებოდა როგორც გლეხისა“.³ საგულისხმოა, რომ პირველწყაროთა თანახმად, ზოგიერთი დიდვაჭარი ქართველი მეფის „მეგობრად“ და „მამად“ მოიხსენიება.⁴

მსხვილ ვაჭართა როლი და მნიშვნელობა კარგად ჩანს XIV საუკუნის ქართულ საკანონმდებლო ძეგლებშიც. ინტერესმოკლებული არც ისაა, რომ იმავე პერიოდში მსხვილი ვაჭრები ვაჭრებისა და მოქალაქეთა სხვა ფენების მოსამართლეებად ინიშნებოდნენ. ერთი სიტყვით, ამგვარი ვაჭარი „საპატო კაცია“, „საქმის ქმნელია“. ვაჭარი შესულია ფეოდალურ იერარქიაში და უფლებრივ-პოლიტიკურად ვაჭართა წოდებათა აზნაურის, მსახურის იდენტურია.⁵

ვაჭრობა, როგორც ფართოშემოსავლიანი დარგი, სიმდიდრისა და კეთილდღეობის წინაპირობა, კაპიტალიზმის განვითარების კვალდაკვალ საქართველოშიც აღმავლობას განიცდიდა. ქართველი საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა გააცნობიერა ვაჭრობის როლი და ალებ-მიცემობაში ჩაერთო. უნდა აღინიშნოს, რომ ვაჭრობას ახლა ხელმოკლე აზნაურებიც აღარ თაკილობდნენ, რომელთა წარმომადგენლებმაც გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. მომრავლდნენ გლეხთა წრიდან გამოსული ვაჭრებიც. ცნობილია ამ პერიოდის არაერთი შეძლებული კომერსანტი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: დათა და როსტომ ჭედიები, ძმები პაჭკორიები, ბეჟან და მიხეილ ქავთარაძეები, მამუკა, გრიგოლ და იაკობ ნიკოლაძეები, გიგო თოფურია და სხვ. მთლიანობაში კი, ქართულმა ელემენტმა აქაც დააგვიანა და უპირატესობა კომერციაშიც სომხურ თემს დარჩა.

ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, ურბანულ ცხოვრებას ქართველ თავად-აზნაურებზე უფრო მომზადებული სომეხი ვაჭრები შეხვდნენ. სომხური თემი ე. წ. „ეთნოსპეციალიზირებაში“ ვაჭრობისა და ხელოსნობის სფეროში, სომხებს კაპიტალის სხვა დარგებში გამოყენების პრიმატი და აქაც წამყვანი პოზიციების დაკავების შესაძლებლობა მისცა. სერგი მესხი 1874 წელს გაზეთ „დროებაში“ წერდა: „ახლანდელი თბილისის კომერციულ ცხოვრებაში წამყვან როლს სომეხი ვაჭრები თამაშობენ; მათ ეკუთვნით უძრავ-მოდრავი ქონების დიდი ნაწილი“.⁶ სომეხმა ვაჭრებმა საქართველოში პოზიციები იმითაც განიმტკიცეს, რომ ისინი კავკასიის ადმინისტრაციასთან დაკავშირებული იყვნენ.

¹ <http://www.tabula.ge/ge/story/57149-ras-mogvitans-evropastan-tavisufali-vachroba>

² ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით სარაჯიშვილი. თბ., 1909, გვ. 29.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 145.

⁴ История монголов, по армянским источникам, в. II, СПб., 1874, с.79.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 772.

⁶ ს. მესხი, ნაწერები, თბილისი, 1903, ტ. I, გვ. 222-223.

ტრაციის უმაღლესი მოხელეებისაგან მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას განიცდიდნენ: „აძლევენ მათ პრივილეგიებს, მონოპოლიებს, სამხედრო იჯარებს, სესხებს და ანიჭებდნენ სხვა უპირატესობებს“.¹ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის კვლევის თანახმად, „სომხური ბურჟუაზიისადმი მთავრობის ხელშეწყობამ თავიდანვე ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეკონომიკური ცხოვრების სადავეები სულ მალე სომეხი ვაჭრების ხელში აღმოჩნდა და რუსული კაპიტალის ინტერესებსაც კი დაუპირისპირდა“.²

ქართველი ვაჭრები თავიანთ სომეხ კოლეგებს დიდ კონკურენციას ვერ უწევდნენ. ცნობილი მრეწველისა და მეცენატის, დავით სარაჯიშვილის დაკვირვებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი „სამოქალაქო კულტურის“ (იგულისხმება საქალაქო ცხოვრების ტრადიცია) არ ქონაში მდგომარეობდა, რადგან ქართველებისათვის უფრო დამახასიათებელი სოფლად ცხოვრება იყო. ამასთან, სარაჯიშვილისავე აზრით, „ჩვენებური წვრილი ვაჭრების მიზანია ორიოდე გროში იშოვოს, ჩერქეზულად ჩაიცვას, ლეკური და ხანჯალი დაიკიდოს, კნიაზი“ გახდეს და თავისი მეზობლები ფულის ხარჯვით გააკვიროს. სომხის მიზანი სულ სხვაა, ის ფულს ფულზე აწებებს, რო ერთ დროს „კუპეცი“ შეიქნეს, კლუბში ჩაეწეროს, ხმოსნად გავიდეს - ერთი სიტყვით, მოქალაქედ გადაიქცეს“.³

საუკუნეთა გასწვრივ მტერთაგან შევიწროებული სომხები საქართველოსა და მის დედაქალაქში საიმედო თავშესაფარს პოულობდნენ. ახალ რეალობაში, როდესაც ქართველი ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში იყო ჩაბმული, სომხებს ამ ბრძოლისათვის მხარი არ დაუჭერიათ. ისინი უფრო პრაგმატული საქმეებით იყვნენ დაკავებული: ეწეოდნენ სარფიან ვაჭრობას, იძენდნენ ადგილ-მამულს, აშენებდნენ სახლებს, აგროვებდნენ ფულსა და სხვ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მათ ხელი მიჰყვეს თავმოყრილი სიმდიდრის წარმოებაში დაბანდებს და სულ მალე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს.⁴

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ხაზგასმულია ისიც, რომ ადგილობრივი სომხური ბურჟუაზია, რომელიც უპირატესობას აღწევს ამ ხანის საქართველოში და კავკასიის ზოგ სხვა რაიონში, „ანტაგონისტურად განწყობილი აღმოჩნდა ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისადმი“.⁵

მსოფლიო ისტორიიდან კარგადაა ცნობილი, რომ ფეოდალურიდან კაპიტალისტურ ურთიერთობაზე გადასვლას არსად ჩაუვლია წინააღმდეგობების გარეშე. ბურჟუაზია თავის პოზიციებს ყველგან სხვა სოციალური ფენების ხარჯზე იმკვიდრებდა, რაც მათ შორის დაპირისპირებას წარმოშობდა. იმის გამო, რომ საქართველოში ბურჟუაზია არა ქართული, არამედ სხვა ეთნოსების წარმომადგენლების, - ძირითადად სომხებისაგან შედგებოდა, სოციალურ კონფლიქტებს აქ „ეთნიკური ელფერიც ეძლეოდა. კომერსანტი, რომელიც სხვების სიღარიბის ფონზე მდიდრდებოდა, ვალების დაბრუნებას მოითხოვდა, მიწის ნაკვეთებს ეპატრონებოდა და ამ ყველაფრით გარშემომყოფთა უკმაყოფილებას იწვევდა, სხვების თვალში იყო არა მხოლოდ ბურჟუა, არამედ ასევე უცხოტომელიც. ამიტომ, უარყოფითი დამოკიდებულება სოციალური ნიშნით გადადიოდა უარყოფით დამოკიდებულებაში ეთნიკური ნიშნითაც“.⁶

¹ გ. მაისურაძე, ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიოგრაფიიდან <https://iberiana.wordpress.com/armenia-georgia/maisuradze-saq-som-2/>

² პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 6, თბ., 1979, გვ. 339.

³ დავით სარაჯიშვილის სახსოვრად, თბ., 1911, გვ. 62.

⁴ ო. ჯანელიძე, საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბ., 2009, გვ. 50.

⁵ გ. მელიქიშვილი, ქართველები. მათი წარმომავლობის საკითხი, წიგნში - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970, გვ. 330. <https://burusi.wordpress.com/2009/10/05/giorgi-melikishvili/>

⁶ დ. ბატაშვილი, ქართულ-სომხური ურთიერთობების შესახებ. <http://www.tabula.ge/ge/tablog/65266-qartul-somxuri-urtiertobebis-shesaxeb>

ქართველ-სომეხთა დაპირისპირების გაღვივებას ხელს უწყობდა სომხური პოლიტიკური პარტია „დაშნაკუთიუნი“, რომელიც 1890 წელს თბილისში ჩამოყალიბდა და თავისი ანტიქართული შეხედულებებითა და საქმიანობით გამოირჩეოდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებისათვის (გ. გოლიცინის მთავარმართებლობის ხანა) რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სომხებისადმი შეიცვალა და არმენოფობიაშიც კი გადაიზარდა. ამის მიზეზი სომეხთა შორის ეროვნული ცნობიერების გაღვივებაში, ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიაში სომეხთა ეროვნული მოძრაობის დაწყებასა და „დიდი სომხეთის“ იდეის ხორცშესახმელად სომხური პოლიტიკური ორგანიზაციების გააქტიურებაში უნდა ვეძებოთ. ამ გარემოებას მიმდინარე ქართულ-სომხურ წინააღმდეგობებში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებას დიდად ვერც ის ფაქტი ანელებდა, რომ სომხური წარმოშობის ბურჟუაზიის გარკვეული ნაწილი თითქმის გაქართველებული იყო.

რაც შეეხება საქართველოს მოსახლეობის კიდევ ერთ კატეგორიას - ხელოსნებს, ისინი სოციალური კიბის ერთ-ერთ ქვედა საფეხურზე იდგნენ. თავიანთი შრომით ხელოსნები საზოგადოების მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და მისი კეთილდღეობის შექმნას ემსახურებოდნენ, თუმცა უფლებრივად შეზღუდულნი იყვნენ. ცალკეულ უსტაბაშსა თუ ოსტატს შეეძლო გაეფართოებინა საკუთარი წარმოება და კაპიტალისტად ქცეულიყო, მაგრამ ახალი დაზგებისა და დანადგარების შეძენას, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას შესაბამისი ფინანსები ჭირდებოდა, რაც ქართველ ხელოსანთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნდა. ამიტომ ამ წრიდან მსხვილი მეწარმეები და კაპიტალისტები ნაკლებად გამოვიდნენ, უფრო შესამჩნევი იყო სხვა პროცესი, რაც ღარიბ ხელოსანთა მიერ მუშათა კლასის რიგების შევსებაში გამოიხატებოდა.

აქვე უნდა ითქვას, რომ დიდვაჭართა თუ გამდიდრებულ ოსტატთა მეწარმეებად ქცევა არ ყოფილა კაპიტალისტთა რიგების შევსების ერთადერთი გზა. მსხვილი კაპიტალის მფლობელი შეიძლება გამხდარიყო ფინანსისტი, ბანკირი, წარმატებული ტექნოლოგი, სახელმწიფო მოხელე და სხვა, რომელთაც შეეძლოთ უშუალოდ ადარც ემუშავათ, დაექირავებინათ კარგი მენეჯერები და თვითონ საქმის ზოგადი ხელმძღვანელობა გაეწიათ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანებიც ქართველთა შორის ცოტანი იყვნენ.

რუსეთის მეფის მთავრობა იმპერიის შიდა ცხოვრების მოწესრიგებაზე გაცილებით მეტ ყურადღებას სამფლობელოების გაფართოებას, ამ მიზნით ჯარისა და შეიარაღების გაზრდას უთმობდა. სამხედრო საქმე სახელმწიფოში პრიორიტეტული იყო და ყველა სხვა სფეროზე მაღლა იდგა. რუსეთში სამხედრო საქმის პრესტიჟულობითაც შეიძლება აიხსნას, რომ ქართველი თავადაზნაურობის უმეტესობა სამხედრო სამსახურით იყო გატაცებული და საქმიანობის სხვა ასპარეზს არც დაეძებდა.

ქართული არისტოკრატია თავისი დამოუკიდებელი ცხოვრებით არ ცხოვრობდა. იგი იმპერიის ელიტაში იყო ჩართული და მიყვებოდა იმ მდინარებას, რომელსაც საზოგადოების ამ ფენას იმპერიული სისტემა უსაზღვრავდა. განსაკუთრებით ვორონცოვის მმართველობის დროიდან (1845-1854 წწ.) ქართველი თავადაზნაურობის სწრაფვამ იმპერიის სამხედრო ასპარეზისაკენ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, „ძველებურად ... სამხედრო სამსახურს გაყვევით და რუსის მხედრობაში შესვლას, სხვა ყველაფერს მოვევსხლიტეთ და მოვშორდით“.¹

რომ მრეწველობა, სამეურნეო განვითარება, ბიზნესი რუსეთის იმპერიაში უფრო პატივში ყოფილიყო, მაშინ საქართველოში გენერალზე მეტი წარმატებული მეურნე და მეწარმე გვეყოლებოდა და შესაბამისად, ეროვნული ბურჟუაზიაც ჩამოყალიბდებოდა, რომელიც, დასავლეთის ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც ერის პროგრესის მესაჭეობას ითავებდა, რაც, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

¹ ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში. დავით სარაჯიშვილი. თბ., 1909, გვ. 27.

თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით შეეცადნენ ქართული სინამდვილის გარდაქმნას (ევროპეიზაციას) განათლების, პრესის, მხატვრული ლიტერატურისა თუ თეატრის მეშვეობით და საამისოდ დიდი ძალისხმევაც გასწიეს, მაგრამ ზემოთ განხილული მიზეზებისა და გარემოებების გამო, ქართველი საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი XIX საუკუნეში ვერ დასრულდა. იგი ნელა მიდიოდა წინ და 1916 წლისათვისაც კი, ტიცთან ტაბიძის სიტყვით, ჩვენში მხოლოდ ნიადაგი იყო მომზადებული მოდერნიზმისათვის.¹

Otar Janelidze

Gori State Teaching University

**THE PROCESS OF MODERNIZATION OF GEORGIAN SOCIETY IN THE XIX CENTURY
RESUME**

The article discusses the process of modernization in Georgian society in the XIX century and analyzes its social, economic, psychological, and other factors on the basis of the first sources.

The absolute majority of the Georgian nobility found it difficult to adapt their lives to the new reality and social transformation. One of the many reasons for this was that the feudal aristocracy lived mainly in rural areas and had no intensive connection with cities as major centers of trade, economy, or culture. The honorary class was more occupied with military services, and would not look for any other field of activity.

The nobility, which never regarded its main property - land - as a capital asset and understood little of the essence of commercialization of the economy, could not accept the fundamental changes in the economic sphere, was unprepared to face the invasion of monetary relations and the rising of bourgeois development. It was behind in time and, as a class, failed to become the nation's progressive flag bearer.

The formation of a national bourgeoisie was also difficult in Georgia. A social layer similar to the "third class" of France and the "new nobility" of England could not emerge from the Georgian feudal lords. Large entrepreneurs and capitalists were not born in the circles of Georgian craftsmen, who were never distinguished by wealth.

After the abolition of slavery, some peasants became successful merchants or large landowners, but it was a drop in the ocean. As for trade, according to Georgians, even in the XIX century, it was considered a secondary activity, due to which the Georgian element was delayed in this area and the Armenian the community gained an advantage in commerce.

The famous group of activists in the sixties (Samotsianelebi, Tergdaleulebi) under the leadership of Ilia Chavchavadze tried to transform the Georgian reality through education, press, literature, and theater and made great efforts to do so, but the process of modernization of Georgian society did not end in the XIX century.

¹ ჟურნ. „ციცხვერი ყანწები“, 1916, ქუთაისი, №1, გვ. 25.

**ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში
(1944-1953)**

მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტაპზე საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისთვის ემზადებოდნენ. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ მოექცა თურქეთის შემადგენლობაში შესული საქართველოს ისტორიული ტერიტორია. 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულებითა და 1921 წლის 13 ოქტომბრის რუსეთ-ოსმალეთ-საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის ტერიტორიად აღიარა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი – ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი.¹ შემდგომ წლებში, ისევ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას 1921 წელს დადგენილი საზღვრების გადასინჯვის საკითხი აღარ დაუყენებია. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დადგენილი საბჭოთა რუსეთ (საბჭოთა კავშირ)-ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო საზღვარი უცვლელად დატოვა 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა კავშირ-თურქეთის პარიზის ხელშეკრულებამ.² 1935 წელს მხარეებმა ხელშეკრულება ათი წლით გააგრძელეს.³

1941-1945 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების წინ, 1941 წლის 24 მარტს, საბჭოთა კავშირმა ვალდებულება აიღო, დაეცვა თურქეთი იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს რომელიმე ქვეყანა დაესხმოდა თავს. ეს იყო პრევენციული ღონისძიება გერმანია-თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლის მიზნით. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიზანს ვერ მიაღწია. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1941 წლის 18 ივნისს, დაიღო გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ გერმანია-თურქეთის დაახლოება კვლავ გრძელდებოდა. 1942 წლის 26 აგვისტოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თურქეთში გერმანიის ელჩთან ფონ პაპენტან საუბრისას განაცხადა: „...Турция, как прежде, так и теперь, самым решительным образом заинтересована в возможно более полном поражении большевистской России“.⁴ ცხადია, მას შემდეგ რაც მეორე მსოფლიო ომში გერმანია მარცხს მარცხზე განიცდიდა თურქეთის დამოკიდებულება გერმანიის მიმართ იცვლებოდა. 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ეს იყო ფორმალური აქტი და მას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. იოსებ სტალინისათვის ეს სულაც არ იყო საკმარისი. თურქეთს პასუხი უნდა ეგო პროგერმანული ორიენტაციისათვის. 1945 წლის 19 მარტს, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, საბჭოთა კავშირმა 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა.⁵

¹ ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია. ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში. თბილისი, 2013, გვ. 22.

² Документы Внешней Политики СССР. Том Восьмой. Москва, 1963, стр. 739-741.

³ <http://www.obraforum.ru/lib/book3/section1.htm>.

⁴ Документы Министерства иностранных дел Германии. Выпуск II. Германская политика в Турции (1941-1943 гг.). Москва, 1946, стр. 92.

⁵ Внешняя политика Советского Союза в период Отечественной Войны. Документы и материалы. Том III. Москва, 1947, стр. 146.

მართალია, იოსებ სტალინი თურქეთის დასასჯელად ემზადებოდა, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთის გაწირვას არ დაუშვებდნენ, თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა ომი ევროპასა და აზიაში. ომი კი ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

1945 წლის მაისში მოკავშირეების ომი გერმანიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის კაპიტულაციით დასრულდა. 1945 წლის სექტემბერში კაპიტულაცია გამოაცხადა იაპონიამაც. გამარჯვებულ მოკავშირეთა მიერ ევროპასა და აზიაში საზღვრების გადასინჯვის საკითხი უკვე პრაქტიკულად დაისვა.

1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარეობდა მოკავშირეთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა (საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) პოლიტიკური ლიდერები: იოსებ სტალინი, უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი. კონფერენციის 1945 წლის 22 ივლისის სხდომის დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის მოთხოვნით შევიდა საკითხი თურქეთის შესახებ. სხდომაზე საბჭოთა კავშირმა უკვე აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გადასინჯვის შესახებ.¹

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვიაჩესლავ მოლოტოვს კონფერენციისათვის წარუდგენია თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის რუკა. სამწუხაროდ, ეს რუკა ვერ მოვიპოვეთ. ვიაჩესლავ მოლოტოვის გამოსვლის ტექსტში თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებად მიხნეულია: ყარსი, ართვინი და არტაანი. ცხადია, რუკაზე უფრო დაწვრილებით და ზუსტად იქნებოდა მინიშნებული ის ტერიტორია, რომელზედაც იოსებ სტალინი კანონიერ პრეტენზიას აცხადებდა.

1944 წლის გაზაფხულზე აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ რუსულ ენაზე დაწერა ნარკვევი „**К вопросу о грузинских территориях включенных в состав Турции**“. რატომ დაინტერესდა სიმონ ჯანაშია ამ შინაარსის ნარკვევის დაწერით? აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსის მეცნიერულ მიზნებზე ვერ ვისაუბრებთ. სიმონ ჯანაშია ამ პრობლემატიკით მანამდე არასდროს დაინტერესებულა. ნარკვევის შინაარსის დაწვრილებით შესწავლამ აშკარა გახადა, რომ იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთითაა შესრულებული. ვინ და როდის შეუკვეთა სიმონ ჯანაშიას აღნიშნული ნარკვევის დაწერა, საარქივო მასალებიდან არ ირკვევა, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ სიმონ ჯანაშიას ნარკვევი 1944 წლის 26 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანის მაგიდაზე აღმოჩნდა.² მნიშვნელოვანია ისიც, რომ სიმონ ჯანაშიას ნარკვევი „**К вопросу о грузинских территориях включенных в состав Турции**“ საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით შესრულებულ მეორე დოკუმენტს, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ცნობილ წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელიც სიმონ ჯანაშიას ნარკვევისაგან განსხვავებით 1945 წლის დეკემბერში პრესაშიც გამოქვეყნდა.³

საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისადმი მოსალოდნელი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება, ცხადია, დიდ ინტერესს აღძრავდა საბჭოთა სომხეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. 1945 წლის 7 ივლისს სომხეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. არუთინოვმა სპეციალური წერილით მიმართა იოსებ სტალინსა და ვიაჩესლავ მოლოტოვს. წერილში აღნიშნული იყო, რომ სომხეთს პრეტენზია ჰქონდა თურქეთის შემადგენლობაში შემავალ ყარსის ოლქზე. ანალოგიური წერილით იოსებ სტალინს მიმართა სრუ-

¹ http://www.hist.msu.ru/ER/Text/War_Conf/berlin.htm, p.p. 1,2,13-15.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 25, საქმე 229, ფურცელი 33-56.

³ გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 14 დეკემბერი, გვ. 3; Газета „Заря Востока“, 1945, 15 декабря, #247, стр. 3.

ლიად სომეხთა კათალიკოსმა გეორგ VI-მ.¹ ამასთან ერთად ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა საქართველო და საბჭოთა სომხეთი ვერ შეთანხმდებოდნენ თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიების გადანაწილებისას. კერძოდ საქართველოსა და სომხეთს შორის სადაო იყო არტაანისა და ოლთისის ყოფილი ოკრუგები.² მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ტერიტორიის გადასვლა ჯერ რეალურად არ იდგა, საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს შორის უთანხმოება კარგის მიმანიშნებელი არ იყო.

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციას სამწუხაროდ ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის თურქეთისათვის ჩამორთმევის საკითხი არ გადაუწყვეტია. კონფერენციამ მთელი ყურადღება ევროპაში საზღვრების დადგენას დაუთმო. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინი საკითხს დახურულად არ აღიარებდა, რაც სულ მალე გახდა ცხადი. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“.³ 15 დეკემბერს წერილის სრული რუსული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთში „Заря Востока“.⁴ სულ მალე, 1945 წლის 20 დეკემბერს სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი გადაიბეჭდა გაზეთებში „Правда“ და „Известия“, ხოლო 22 დეკემბერს გაზეთში „Правда Украины“.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ გამოქვეყნების დროისათვის (1945 წლის დეკემბერი) საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. თურქეთის მთავრობა, ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი, პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთისადმი, ასევე საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის გადასინჯვასთან დაკავშირებით. ამიტომ იყო, რომ ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის (1945 წლის ივლის-აგვისტო) შემდგომი პერიოდი საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში სერიოზული დაძაბულობით აღინიშნა. 1945 წლის 6 დეკემბერს გაზეთში „Правда“ გამოქვეყნდა შენიშვნა „Фашистские бесчинства в Стамбуле“.⁵

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს, 1945 წლის 15 დეკემბერს, გაზეთი „Правда“ კვლავ უბრუნდება სტამბოლის დემონსტრაციას და ამჯერად აქვეყნებს მასალას სათაურით „По поводу демонстрации в Стамбуле“.⁶

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ცხადია, მოსკოვის მითითების თანახმად, დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, გამოქვეყნდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა გამოხმაურებები სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილზე. კერძოდ, გამოხმაურებები გამოაქვეყნეს (ჩამოვთვლით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით):

1. პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ.⁷
2. ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრმა, აჭარის ყაღმა რასის სულეიმანის ძე ბერიძემ.⁸
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ.⁹
4. პროფესორმა სერგი ჯიქიამ.¹

¹ Территориальные претензии СССР к Турции. _ <http://ru.wikipedia.org/wiki>.

² Территориальные претензии СССР к Турции. _ <http://ru.wikipedia.org/wiki>.

³ გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 14 დეკემბერი, №246, გვ. 3.

⁴ Газета „Заря Востока“, 1945, 15 декабря, #247, стр. 3.

⁵ Внешняя политика СССР. Сборник документов. Том VI. Москва, 1947, стр. 99-100.

⁶ Внешняя политика СССР. Сборник документов. Том VI. Москва, 1947, стр. 101.

⁷ Газета „Заря Востока“, 1945, 20 декабря, #250, стр. 3.

⁸ გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 28 დეკემბერი, №256, გვ. 3.

⁹ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 8 იანვარი, №6, გვ. 3.

5. პროფესორმა დ. ზავრიევა.²

6. პროფესორებმა ნადიმ ნიჟარაძემ, ჯემალ ნოლაიდელმა, მემედ სტამბოლიშვილმა და ხუ-სეინ ახვლედიანმა.³

7. პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა.⁴

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით შეიქმნა, მაგრამ არ გამოქვეყნებულა კიდევ ერთი ნარკვევი. ეს არის აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“. ეს ნარკვევი მეცნიერს 1946 წლის 7 იანვარს დაუსრულებია და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის წარუდგენია.⁵

1946 წლის 25 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა გაზეთში „Правда“. კანდიდ ჩარკვიანი შეეხო თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასაც.⁶

გაზეთ „პრავდაში“ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერის კანდიდ ჩარკვიანის იმ მოხსენების დაბეჭდვა, რომელშიც ყოველგვარი შეფარვის გარეშე იყო საუბარი თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, იმის მანიშნებელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის შემდეგაც იგივე აზრზე რჩებოდა – თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებს დღის წესრიგიდან არ ხსნიდა. ცხადია, კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებაში არც მასალის და არც შეფასებების მხრივ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილიდან განსხვავებული არაფერია. კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება პოლიტიკური დოკუმენტი იყო და იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციას გამოხატავდა.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ცინცაძე) გამოხმაურებას, ასევე ქართველი მეცნიერების (ექვთიმე თაყაიშვილის, სერგი ჯიქიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვ.) წერილებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. განსაკუთრებით აღშფოთებით შეხვდნენ ქართველ მეცნიერთა წერილებს თურქეთში.⁷

საინტერესოა, რომ თურქეთის გარდა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნების პრესაში დაიბეჭდა გამოხმაურებები ქართველი მეცნიერების ნაშრომებზე, მაგალითად, ამ საკითხს გამოეხმაურა ინგლისის, აშშ-ის, საფრანგეთის, კანადის, ეგვიპტის, ინდოეთის, დანიის, ბრაზილიის, შვეიცარიის, ფინეთის, იტალიის პრესა.⁸

იოსებ სტალინი რომ თურქეთისადმი ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უა-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 29 იანვარი, №21, გვ. 3.

² გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 3 მარტი, №46, გვ. 3.

³ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 7 მაისი, №91, გვ. 3.

⁴ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 25 მაისი, №104, გვ. 3-4; 26 მაისი, №105, გვ. 2-3.

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 353, ფურცლები 1-14 (გამოქვეყნებულია: **ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია**. აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“. – „მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 2012, გვ. 118-125).

⁶ Газета „Правда“, 1946, 25 февраля, №48, стр. 2.

⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253, ფურცელი 62-67.

⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253, ფურცელი 76-84.

რის თქმას არ აპირებდა, ეს კარგად ჩანს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვრცელ განცხადებაში, რომელიც 1946 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“. ამერიკელი ისტორიკოსი ედუარდ მარკი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობამ 1946 წლის აგვისტოში ისეთ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სერიოზულად დაიწყეს მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური ომისათვის. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იგრძნო შექმნილი საფრთხე და უკან დაიხია. ვიაჩესლავ მოლოტოვი მოგვიანებით აცხადებდა: „Хорошо, что вовремя отступили“.¹

ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, თუ რატომ არ იყო მოხსენებული არც ერთ დოკუმენტში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი. თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის გადასვლის საკითხთან შედარებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო სხვა საკითხები, თუნდაც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის შეცვლის საკითხი. იოსებ სტალინმა შექმნილ ვითარებაში უკან დაიხია და თურქეთს მხოლოდ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მომავალ რეჟიმთან დაკავშირებით უყენებდა პრეტენზიებს. ასე რომ, 1945-1946 წლებში შექმნილ ვითარებაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გადასვლა, იოსებ სტალინის სურვილის მიუხედავად, არარეალური იყო. საბჭოთა კავშირის გეოსტრატეგიული ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას ითვალისწინებდა.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა 1946 წლის შემდეგ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იოსებ სტალინი რეალობას შეეგუა – ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის დაბრუნებაზე ხელი აიღო, თუმცა თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას არ ჩქარობდა. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარების შესახებ. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო ნოტიო თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა თურქეთისადმი ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.² ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისათვის ოცდაცხრაწლიანი (1944-1953 წწ.) დაძაბული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

დიდ სახელმწიფოთა ნებით დაკანონებული უსამართლობა უსამართლობადვე დარჩა. საქართველოს ბედი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობებში წყდებოდა, ქართველი ერის ინტერესები დიდ პოლიტიკას შეეწირა.

Levan Jikia

Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
**TAO-KLARJETI AND LAZETI ISSUE IN THE INTERNATIONAL RELATIONS
(1944-1953)
RESUME**

At the final stage of the World War II the Soviet Union, Great Britain and the USA were preparing for re-distribution of the world. From July 17 to August 2, 1945 the Berlin (Potsdam) Conference of Alliance was being held. In the agenda of the Meeting of July 22 Conference the issue on Turkey was taken according to the demand of the Soviet Union. At the meeting the Soviet Union very obviously without concealing set the issue on reconsidering the Soviet Union-Turkey

¹ Территориальные претензии СССР к Турции._ <http://ru.wikipedia.org/wiki>.

² Заявление советского правительства правительству Турции от 30 мая 1953 года._ <http://www.obraforum.ru/pdf/fourth.pdf>.

state border. Viacheslav Molotov, People's Commissar of Foreign Affairs of the Soviet Union had presented a map of the territories captured by Turkey to the Conference. It is unknown for us what areas the map included though in the text of Viacheslav Molotov's speech the territories captured by Turkey are considered the following: Karsi, Artvini and Artaani i.e. Tao-Klarjeti and Lazeti.

In spring 1944 Simon Janashia, the academician, wrote the work **“К вопросу о грузинских территориях включенных в состав Турции” (on the issue of Georgian Territories included in Turkey)** in Russian on base of the order of Georgian politician government of the SU. In the work Simon Janashia confirms legitimacy of taking back Georgian territories existing in Turkey. The letters with analogue contents were published by Professor Arnold Chikobava, the member of Ecclesiastical Department of Muslims of Transcaucasia, Rasikh patronymic Suleiman Beridze, Islamic Judge of Adjara; Kalistrate Tsintsadze, Catholicos-Patriarch of the whole Georgia; Professor Sergi Jikia; Professor D. Zavriev; Professors Nadim Nizharadze, Jemal Noghaideli, Memed Stambolishvili and Khusein Akhvlediani.

Powerful states, especially the USA and Great Britain, opposed the request of political government of the Soviet Union on reconsidering Turkey state borders. American historian Edward Mark affirms that the Soviet Union-Turkey relations reached such a critical peak in August 1946 that the USA seriously launched preparing for atomic war against the Soviet Union. Political government of the Soviet Union predicted the existing threat and retreated. Later Viacheslav Molotov announced: „It is good that they retreated on time“.

After death of Joseb Stalin new political government of the Soviet Union made decision on settling tensed relations between the Soviet Union and Turkey. On the 30th of May, 1953 Ministry of Foreign Affairs of the SU specially informed Turkey government that the soviet government denied the territorial claims put forward earlier. 39 year-tensed struggle (1944-1953) for Tao-Klarjeti and Lazeti ended without a result.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია და პირველი ნაბიჯები

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხის განხილვა ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი სუფთა ფურცლის შევსების საშუალებას იძლევა, რაც ამ თემის კვლევის აქტუალობას განაპირობებს. ქართველ ავტორთა მიერ სკანდინავიის ისტორიის საკითხების განხილვა დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. წინამდებარე სტატია ამ საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება და წარმოდგენას გვიქმნის იმის თაობაზე, თუ რა კუთხით განიხილავდა ქართული ისტორიოგრაფია სკანდინავიის ისტორიის საკითხებს და პერსპექტივაში როგორ უნდა გაშუქდეს ეს თემატიკა.

შესასწავლი საკითხი სცილდება ერთი სამეცნიერო სტატიის ჩარჩოებს და მას შეიძლება მცირე მონოგრაფიაც მიეძღვნას. ამიტომ წინამდებარე სტატიაში ყურადღებას მივაპყრობთ ორ მომენტს – საკითხის პერიოდიზაციასა და სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის გაშუქება-პოპულარიზაციის პირველ მცდელობებს საქართველოში. არ შეგვხვით სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხთა განხილვას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს თემატიკა პროფესორ მერაბ კალანდაძის კვლევის საგანია.

მოსაზრება, რომლის თანახმად, საქართველოში გასაბჭოებამდე ამ სფეროში არაფერი გაკეთებულა, სიმართლეს არ შეესაბამება. სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესახებ პირველ მწიფ ინფორმაციას ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ვაწყდებით. ამ ინფორმაციის სიმწირის მიუხედავად, მისთვის გვერდის ავლა სწორი არ იქნება და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. საქმე გვაქვს სკანდინავიის ისტორიის პოპულარიზაციის პირველ მცდელობასთან, რომლის შეუფასებლობა სრულიად უმართებულო იქნებოდა.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაცია დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ისტორიის პოპულარიზაციასთან შედარებით, ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. ეს ადვილად აიხსნება სრულიად ცხადი მიზეზის გამო. სკანდინავიის ქვეყნების ისტორიას არ ჰქონდა იმდენად ფართო რეზონანსი და ის გაცილებით უფრო ლოკალურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ზემოხსნებულ რეგიონთა ქვეყნების ისტორია. შესაბამისად, ქართული საზოგადოების თვალში სკანდინავიის ქვეყნების ისტორია ნაკლებად საინტერესო ჩანდა.

გასაბჭოების შემდეგ სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკითხებმა მეტ-ნაკლებად მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, მაგრამ აქ იდგა ისტორიის მარქსისტული თვალთახედვით შეფასების პრობლემა. საბჭოთა საქართველოში შემუშავებული მსოფლიო ისტორიის შესწავლის კონცეფცია სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს მისი უკიდურესად პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული ხასიათის გამო. პროფ. მ. კალანდაძემ აღნიშნული საკითხის ახლებური ხედვა შემოგვთავაზა. რომელიც ამ სფეროში 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენაზე ორიენტირებული. ეს წვლილი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეგნებულად იყო მიჩქმალული და ფაქტობრივად ამოშლილი. პროფ. მ. კალანდაძის ძალისხმევამ ამ ვითარების გამოსწორებისკენ არის მიმართული.¹ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მისე-

¹ კალანდაძე მ., საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006; კალანდაძე მ., მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007; კალანდაძე მ., ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009; კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011; კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში,

ულ ხედვას და ამჯერად მას განვავრცობთ საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გა-
შუქებისა და პოპულარიზაციის საკითხებზე. მ. კალანდაძისეული ხედვა ნამდვილად ახლებურია, მას
გამოკვეთილად პოლემისტური მუხტი გააჩნია და ის მიზნად ისახავს მსოფლიო ისტორიისადმი
მარქსისტულ-ლენინისტური მიდგომის არგუმენტირებულად გაბათილებას.

* * *

სტატიის თემატიკის განხილვისას, პირველ რიგში, შევეხებით საკითხის პერიოდიზაციას. სა-
ქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკითხებით დაინტერესებას თავისი წარსული გა-
აჩნია, რომელიც უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვიდრე ეს აქამდე მიიჩნეოდა. პირველი ნაბი-
ჯი სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის გზაზე გადაიდგა არა საბჭოთა პერიოდის
ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ
ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე. ამ ფაქტის შეუფასებლობა გაუმართლებელია და ქართუ-
ლი ისტორიოგრაფიის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესებამ ევოლუცია განიცადა და ის
სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს მკვლევარებს დიდი ხნის განმავ-
ლობაში ესახებოდათ. ვგულისხმობთ საკითხის პერიოდიზაციას, რომლის გაშუქება, აქტუალურად
გვესახება. საქმე ის გახლავთ, რომ უმთავრესად, საბჭოთა იდეოლოგიის წყალობით, საქართველოში
სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებუ-
ლი იქნა. ჩვენ ვცადეთ გამოგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღგვედგინა ისტორიული რეალობა.

ამ საკითხის კვლევისას ყველაზე უფრო რთულ ასპექტად პირველი პერიოდის განსაზღვრა
გვესახება. ვფიქრობთ, ეს გარემოება ჩვენ მიერ საკვლევი საკითხის შესახებ არსებული ინფორმაცი-
ის სიმწირითაა გაპირობებული. აღნიშნული საკითხის პერიოდიზაციას ერთი თავისებურება ახასია-
თებს – ის აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მას მკვეთრად გამოსახული პოლი-
ტიკურ-ისტორიული სარჩული უძევს საფუძვლად. ასეთია ჩვენ მიერ საკვლევი სივრცის მოცემუ-
ლობა.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების ათვლის წერტილად, ალ-
ბათ, უფრო მართებული იქნება მივიჩნიოთ არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია,
არამედ XX საუკუნის დასაწყისი, როდესაც ჩნდება პირველი სპორადული ცნობები სკანდინავიის
ქვეყნების ისტორიის შესახებ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს თარგმნილი ლიტერატურა,
რომელიც იმ დროს არსებული ვაკუუმის შევსების ერთ-ერთი გზაა და საქართველოს სუვერენულ
რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სა-
ხელმძღვანელოები. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის უგულე-
ბელობა მიზანშეუწონელია. სავსებით ვიზიარებთ პროფ. მერაბ კალანდაძის მოსაზრებას, რომ აქცენტი
უნდა გაკეთდეს არსებული მასალის არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე.¹ ამ მხრივ, ზემოხსენებუ-
ლი თარგმნილი ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ნამდვილად ქებას იმსახურებს.

სკანდინავიის ქვეყნების მიმართ ინტერესი ყველაზე უფრო მკაფიოდ 1918-1921 წლებში სა-
ქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო
სახელმძღვანელოებში გამოიკვეთა. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესება
პირობითად სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს, რასაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური-ისტო-
რიული ფონი აქვს.

თბ., 2015; კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016;
კალანდაძე მ., სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის
პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები, 13, თბ., 2017; კალანდაძე მ., საქართველოში
მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1-2, 2016.

¹ კალანდაძე მ., დასახ., ნაშრ. თბ., 2011. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ.,
2019.

რა ადგილი შეიძლება მიუჩინოთ არსებულ მცირე ინფორმაციას საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში? მიუხედავად ამ ინფორმაციის სიმწირისა, ჩვენი მოსაზრებით, XX საუკუნის დასაწყისი, კერძოდ, 1900-1921 წლების მონაკვეთი, პირობითად, საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. ამგვარი მიდგომისას საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაცია სამ - გასაბჭოებამდელ, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდად იყოფა. ეს განსაკუთრებით ვერსია. შესაძლებელია, წარმოვადგინოდ პერიოდიზაციის მეორე ალტერნატიული ვერსიაც, კერძოდ, XX საუკუნის დასაწყისში პირველად დაფიქსირებული მწირი ინფორმაცია საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების ერთგვარ განაცხადად, გარკვეულ წილად შესავლად შეიძლება იქნას აღქმული. ამ ვერსიის მიხედვით საკვლევი საკითხი ორ - საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდად დაიყოფა. აღსანიშნავია, რომ ორივე ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა ჩვენი მოსაზრებით, სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესახებ გასაბჭოებამდელ პერიოდში არსებული ინფორმაცია, მისი სიმწირის მიუხედავად, ნამდვილად ღირებულია. ასე რომ, უფრო მართებული იქნება განსახილველი საკითხის ისტორია წარმოვადგინოდ სამ და არა ორ პერიოდად.

სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა და პოპულარიზაცია საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991) საინტერესო და აქტუალური საკითხია. საქმე ეხება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ სკანდინავიის ისტორიის საკითხთა შეფასებას. ეს სულაც არ განსაკუთრებით ადვილი საქმე, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. თემა არის რთული და მრავალწახნაგოვანი. მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითი ან უარყოფითი შეფასება საკმარისი ვერ იქნება და აღნიშნული საკითხის შესახებ სრულყოფილ და ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.¹

საბჭოთა ისტორიოგრაფიის გაწონასწორებული შეფასების მცდელობად გვევლინება პროფ. მერაბ კალანდაძის პოზიცია. მკვლევარი ცდილობს თავიდან აიცილოს ორივე უკიდურესობა, საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური ან პირიქით, დამაკინებელი შეფასება. ის მისწრაფვის გამოკვეთოს შუალედური გზა, რომელიც საშუალებას იძლევა წარმოდგინდეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის შექმნილი და აიხსნას ამგვარი პალიტრის მოტივაცია. ჩვენ ეს მოსაზრება სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის მიუხედავად. საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებამ სამეცნიერო-პოპულარული ელფერი შეიძინა, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო და ერთ ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის გვერდის ავლა, ცხადია, უმართებულო იქნება. ეს მედლის ერთი მხარეა, რომელსაც გააჩნია მეორე მხარეც - ვიწროდოგმატურად გაგებულმა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის დამყარებამ განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით გაუფერულება. ეს ჩიხური გზა იყო, რამაც საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი გამოიწვია.²

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის, მესამე პერიოდი მკვეთრად გამოკვეთილ ქრონოლოგიურ, ჩარჩოებშია მოქცეული და ის პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართულ რეალობასთან ასოცირდება. ეს პერიოდი იწყება XX საუკუნის ადრეულ 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და დღემდე გრძელდება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს დაძლიოს მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის მიერ დანატოვარი არასახარბიელო მემკვიდრეობა. ამგვარი ტენდენცია, ცხადია, ღირსებას მატებს თანამედროვე ქარ-

¹ კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თავი პირველი.

² კალანდაძე მ., საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015; კალანდაძე მ., დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1999; კალანდაძე მ., პროფესორი უშანგი სიღამონიძე, თბ., 2004; კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019, თავი პირველი.

თულ ისტორიოგრაფიას და ყურადსაღებია მკვლევართა მიერ. ამ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები აღნიშნული პრობლემის ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებად შეიძლება იქნას აღქმული.

ამ სტატიაში ყურადღებება ძირითადად მიპყრობილია გასაბჭოებადელ საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის საკითხზე.

* * *

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების ათელის წერტილად XX საუკუნის დასაწყისი შეიძლება იქნას მიჩნეული. ის ქრონოლოგიურად მოიცავს 1900-1921 წლების პერიოდს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მონაკვეთი შეიძლება მოაზრებული იქნას საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების პირველი პერიოდად. თავის მხრივ, ის კიდევ შეიძლება დავყოთ ორ ქვეპერიოდად. მათ შორის ნიშანსვეტად, ბუნებრივია, გვევლინება 1918 წელი, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ეს პერიოდი ორად იყოფა: ესაა 1900-1918 წლები და საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის არსებობის წლები, (1918-1921). ფაქტობრივად, ეს განსაკუთრებით საკითხის შიდა პერიოდიზაცია.

პირველი სპორადული ცნობები სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესახებ საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში ჩნდება. ამან ძირითადად გამოძახილი თარგმნილ ლიტერატურაში ჰპოვა. საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა და უმთავრესად, საცნობარო ლიტერატურაში, ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა.

1918 წლამდე სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ საუკუნის გარიჟრაჟზე 1900 წელს გამოსული წიგნი შვედეთის მეფე გუსტავ ვაზაზე.¹ ამგვარი არჩევანი, ცხადია, საყურადღებოა და პირველ ყოვლისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ სულისკვეთებასთან ასოცირდება. ეს თარგმანი გარკვეულწილად ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც ამ სფეროს შესახებ ქართულ ლიტერატურაში არსებობდა. შესაბამისად, თარგმნილი ლიტერატურის შეუფასებლობა მიზანშეწონილი ვერ იქნება. პროფ. მერაბ კლანდაძემ თარგმანით ვაკუუმის შევსებას „კოჭლი გამოსავალი“ უწოდა. ამ წიგნის თარგმნა, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკური ჩანდა იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც სკანდინავური პრობლემატიკის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი. გუსტავ ვაზას შესახებ დაწერილი წიგნის თარგმანი ენმანებოდა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ახლობელ ეროვნულ-განმათავისუფლებელ განწყობას. ამ თარგმანის გამოცემა უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და ფაქტობრივად წარმოადგენდა სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის პირველ თუ არა, ერთ-ერთ პირველ მცდელობას.

შვედეთის მეფე გუსტავ პირველი ვაზა (1523-1560) შვედეთის ახალ ისტორიაში ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო. მის სახელთან ასოცირდება შვედეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება. მან გაათავისუფლა თავისი სამშობლო შვედეთი დანიელთა ბატონობისგან. მისი ძალისხმევით 1523 წელს ფაქტობრივად დაიშალა კალმარის უნია² (ამ უნიამ ოფიციალური არსებობა შეწყვიტა 1570 წელს).

გუსტავ ვაზას შესახებ არსებული წიგნის ქართულად თარგმანის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ამ მეფის საქმიანობაში ძვეს. ქართული საზოგადოების თვალში მისი მთავარი დამსახურება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან იყო დაკავშირებული. მას აღიქვამდნენ როგორც დანიელების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სულისჩამდგმელსა და გმირს. გუსტავ პირველი ვაზას მოღვაწეობის დადებითი შეფასება, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ალბათ უმთავრესად მთარგმნელის (მისი ვინაობა გამოცემაში მითითებული არ არის) პროგ-

¹ გუსტავ-ვაზა, თბ., 1900.

² История Швеции, М., 1974. გვ. 149-170.

რესულ-ლიბერალური შეხედულებებით აიხსნება. დიდად სავარაუდოა, რომ ამ წიგნის თარგმანი ეროვნულმა მუხტმა განაპირობა. ჩვენი ვარაუდით ის გუსტავ ვაზას როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ სულისჩამდგმელს და ლიდერს პატივს მიაგებდა და სიმპატიით კიდელობდა.¹

გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაცია პიკს აღწევს საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში (1918-1921). სკანდინავიის ქვეყნებისადმი ინტერესმა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად, აისახა იმ წლებში გამოხატულ საცნობარო ლიტერატურასა და ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი და სიახლე იყო. შეიქმნა პირველი პრეცედენტი ამ მიმართულებით ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის შევსების საქმეში. ეს კი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის უგულებელყოფა გაუმაართლებელია. დარგის ისტორიიდან 1918-1921 წლების მონაკვეთის ელიმინირება განსახილველ საკითხს მრუდე სარკეში აირეკლავს და არასრულყოფილად წარმოაჩენს.

1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოცემულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია მცირე ინფორმაციით სკანდინავიის ქვეყნების, სახელდობრ შვედეთის ისტორიის შესახებ. შვედეთის ისტორიის წინ წამოწევა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ განზავთ და ეს ადვილი გასაგებია: XVI საუკუნიდან მოყოლებული სწორედ, შვედეთი ასრულებდა სკანდინავიაში რეგიონული ლიდერის როლს. შვედეთის ისტორიის საკითხები უფრო აქტუალური ჩანდა და ლოკალური ხასიათით არ გამოირჩეოდა. შვედეთი აქტიურად აღმოჩნდა ჩაბმული ევროპულ პოლიტიკაში.²

პირველ ეროვნულ ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებას ერთი თავისებურება ახასიათებს - უმთავრესად აქცენტი კეთდება არა სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის კომპლექსურ განხილვაზე, არამედ ცალკეული ქვეყნების, კონკრეტულად, შვედეთის ისტორიის საკვანძო მომენტებზე, აქტუალურ საკითხებზე. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო, ამგვარი მიდგომა საფუძველს მოკლებული სულაც არ ჩანს და ის ადვილად გასაგებია. პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში წარმოდგენილ მცირე ინფორმაციას, უპირველეს ყოვლისა, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი - მოსწავლე ახალგაზრდობას აკვალთანებდა და შვედეთის ისტორიის აქტუალურ საკითხთა შესახებ ზოგად წარმოდგენას უყალიბებდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახელმძღვანელოებმა კულტურტრეგერულ მისიას მეტ-ნაკლებად გაართვეს თავი.

დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. პირველი ნაბიჯები კარგად გაითვალა და გადაიდგა. გაკეთდა ის, რისი გაკეთებაც მოესწრო. გაკეთებულის სიმცირის მიუხედავად, ეს არ იყო პატარა საქმე და მისთვის გვერდის ავლა არასწორი იქნება. მთავარი ზარისხია და არა რაოდენობა. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში მეტის გაკეთება უბრალოდ ველარ მოესწრებოდა.

საქართველოში ამ მიმართულების განვითარება აღმავალი ხაზით მიმდინარეობს და ის არავითარ რეგრესსა და სტაგნაციას არ განიცდის. არანაირ წყვეტას, ჩავარდნას, ამ სფეროში ადვილი არ ჰქონია. საპირისპირო მოსაზრება რეალურ ვითარებასთან შეუსაბამო იქნებოდა.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის საქმემ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ და პროგრესი განიცადა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ პერიოდში გამოხატული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. როგორც ზემოთ ითქვა, იქ მოიძიება გარკვეული ინფორმაცია სკანდინავიის ქვეყნების, კონკრეტულად კი შვედეთის ის-

¹ მ. კალანდაძე, სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციის ერთი მცდელობა. ხელნაწერი, იბეჭდება.

² История Швейцарии, т. 1. М., 1974. გვ. 166-170.

ტორიის შესახებ. ეს მასალა საკადრისადაა შესაფასებელი. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტიკი უმდი საზომად ნამდვილად არ გამოდგება. ავტორთა წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა და მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. დასახულ ამოცანას სახელმძღვანელოთა შემდგენლებმა ნამდვილად გაართვეს თავი. გასათვალისწინებელია, რომ მანამდე ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი იყო გაკეთებული. ეს გარემოება უკეთ წარმოგვიჩინს ხსენებულ სახელმძღვანელოთა როლს. ისინი დაიწერა იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც სკანდინავიის ქვეყნების, თუნდაც შვედეთის ისტორიის შესახებ, ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იყო დაწერილი, და ცხადია, ამგვარი სახელმძღვანელოებით ნაბიჯი წინ გადაიდგა.

ახლა კონკრეტულად ვნახოთ თუ როგორაა გაშუქებული სკანდინავიის ქვეყნების, კერძოდ კი შვედეთის ისტორიის აქტუალური საკითხები ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს ამ საკითხის განხილვის პირველი მცდელობაა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოებში, უპირატესად, აქცენტი კეთდება სკანდინავიის ქვეყნების, სახელმძღვანელოებში შვედეთის ისტორიის XVI-XVIII საუკუნეების საკვანძო საკითხებზე. ეს არცაა გასაკვირი და დიდწილად აიხსნება იმ დროინდელი შვედეთის მნიშვნელოვანი როლით საერთაშორისო ასპარეზზე. სწორედ ამიტომ იყო ისტორიკოსებისათვის შვედეთის ისტორიის ეს მონაკვეთი აქტუალური. საქმის ვითარება არსებითად შეიცვალა ჩრდილოეთის ომში (1700-1721) შვედეთის წარუმატებლობის შემდეგ. შვედეთს თანდათანობით მოუწია წამყვანი პოზიციების დათმობა. მისმა როლმა უფრო ლოკალური ხასიათი შეიძინა, შესაბამისად იკლო ისტორიკოსთა ინტერესმა.

სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების გაშუქებას ქართული სახელმძღვანელოების ავტორები, უპირატესად, პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ. აქცენტი კეთდებოდა ისტორიული მოვლენებისადმი მრავალპლანიან მიდგომაზე, თავისუფალ აზროვნებაზე, პლურალიზმზე. ეს იყო ამ საკითხის მეცნიერული ხედვა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა და მასში 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილი მოჩანს. XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიას. სწორება ევროპულ სტანდარტებზეა.

დავიწყოთ დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოთი, სადაც ჩვენ მიერ განსახილველი საკითხი შედარებით უფრო ვრცლად და სავსედ არის წარმოდგენილი. აქ საუბარია რეფორმაციაზე, შვედეთის მეფე გუსტავ პირველ ვაზაზე (1523-1560), შვედეთის სახელმწიფოს აღზევებასა და გაძლიერებაზე, ოცდაათწლიან ომზე, შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფზე (1611-1632).

ქრონოლოგიური თანამიმდევრობის პრინციპის მიხედვით თვდაპირველად ყურადღება რეფორმაციაზე შევაჩეროთ. დ. უზნაძისა და ივ. გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში რეფორმაცია დანიასა და შვედეთში განხილულია მოკლედ, ლაკონურად. სახელმძღვანელოს ლიბერალურად განწყობილ ავტორთა სიმპათია ახალი იდეების გავრცელების, რეფორმაციის მხარეზეა. ხაზგასმულია ლუთერანობის წარმატება. რეფორმაციასა და კონტრრეფორმაციას შორის დაპირისპირების დროს მათი სიმპათია გაცილებით უფრო პროგრესული საწყისისაკენ იხრება.

ყურადღებას იპყრობს შვედეთის მეფის გუსტავ პირველი ვაზას (1523-1560) მოღვაწეობისადმი დადებითი დამოკიდებულება. ეს შემთხვევითი არ იყო და ამის მიზეზები, პირველ ყოვლისა, სახელმძღვანელოს შემდგენელთა მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ისინი შვედეთის მეფეს გუსტავ ვაზას აღიქვამდნენ დანიელების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ სულისჩამდგმელად და წინამძღოლად. მათი კეთილგანწყობა შვედეთის მეფის გუსტავ პირველი ვაზასადმი, სწორედ, ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული. როგორც ჩანს, გუსტავ ვაზას მოღვაწეობა შეესაბამებოდა სახელმძღვანელოს შემდგენელთა პოლიტიკურ იდეალს. ჩვენი თვალთახედვით, დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი გუსტავ ვაზას მოღვაწეობის შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან უდგებოდნენ და ამიტომ მასზე საკმაოდ მაღალი აზრისა იყვნენ.

შვედეთის სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს, ცხადია, გუსტავ მეორე ადოლფის დროს (1611-1632) მიაღწია,¹ ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი მოღვაწეობისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის დამოკიდებულება. ალბათ, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ისინი შვედეთის მეფის გუსტავ ადოლფის მომხრეთა ბანაკში მოიაზრებიან. საინტერესოა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასათაურება: „ოცდაათწლიანი ომი. გუსტავ ადოლფი“. აქ შვედეთის მეფისადმი დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა. ეტყობა, მათი ყურადღება მიიპყრო შვედეთის მეფის თავბრუდამხვევმა წარმატებებმა, რამაც ისინი მისადმი სიმპათიით განაწყო. აქ ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას, რომელიც ჩვენი მხრიდან კრიტიკული შენიშვნის საფუძველი გახდა. რა თქმა უნდა, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ გუსტავ ადოლფი, უეჭველად, იყო ოცდაათწლიანი ომის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა და ამაში სახელმძღვანელოს ავტორებს დიმიტრი უზნაძესა და ივანე გველესიანს ვერაზინ შეედავება, მაგრამ არის ერთი ნიუანსი. ვფიქრობთ, აქ დიდად გადაჭარბებულ შეფასებას ჰქონდა ადგილი. გუსტავ ადოლფი ერთ-ერთი გამორჩეული და არა ყველაზე მეტად გამორჩეული პიროვნებაა ოცდაათწლიანი ომის სინამდვილეში. მხოლოდ მის როლზე აქცენტირება ჩვენი აზრით, საკამათოა. ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა: ნებსით თუ უნებლიედ ხომ არ ვაჟინებთ ოცდაათწლიანი ომის სხვა გამოჩენილი მოღვაწეების როლს? ასე მაგალითად, რიშელიეს ან ვალენშტაინს.

აქ საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. როგორც ჩანს, უზნაძესა და გველესიანს გუსტავ პირველი ვაზა და გუსტავ-ადოლფი საქართველოსთვის საკმაოდ მიმზიდველ პოლიტიკურ ფიგურებად ესახებოდათ. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოს ავტორები შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფის შესახებ საკმაოდ მაღალი აზრის უნდა ყოფილიყვნენ. ეს, ცხადია, შემთხვევითი არაა. ავტორებს კარგად ჰქონოდათ გაცნობიერებული ისტორიაში პიროვნების როლი. გუსტავ ვაზასა და გუსტავ ადოლფის მოღვაწეობისადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა.

ფაქტობრივი გადაცდომები დამახასიათებელი არაა დ. უზნაძის და ივ. გველესიანის სახელმძღვანელოსათვის და უნდა ითქვას, რომ ერთგვარ მოულოდნელობადაც კი გვევლინება. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ 1632 წლის 6 ნოემბერს ლუცენთან ბრძოლაში შვედების დამარცხებაზე საუბარი, ალბათ, მაინც მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. „ვალენშტაინმა შვედების წინაშე თავისი მარქაფი ჯარი გააგზავნა და შვედებმა უკან დაიხიეს. ამ ბრძოლაში გუსტავ ადოლფი მოკლეს“² (შესაძლოა, გუსტავ ადოლფი ამ ბრძოლაში კი არ დაიღუპა, არამედ მოკლეს, როგორც ამას პროფ. ბორის პორშნევი ვარაუდობს.³) ეს სწორია, მაგრამ ბრძოლა შვედების გამარჯვებით დასრულდა.

სასურველი იქნებოდა, ნახსენები ყოფილიყო ნიორდლინგენტთან ბრძოლა 1634 წლის 7 სექტემბერს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად, ამ სრულდება ოცდაათწლიანი ომის შვედური პერიოდი. შვედებმა სასტიკი მარცხი იწვნეს. ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება საინტერესო იყო და ამ თემის თხრობას შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა.

გუსტავ ადოლფის მოღვაწეობა დ. უზნაძისა და ივ. გველესიანის სახელმძღვანელოში გარკვეული თვალსაზრისით თავისებურადაა შეფასებული. ფაქტობრივად, აქცენტი კეთდება გუსტავ ადოლფის საგარეო პოლიტიკაზე, ხოლო მისი საშინაო პოლიტიკის მიღწევები საგარეო პოლიტიკური წარმატებების ჩრდილშია მოქცეულია. ეს ადვილი გასაგებია. მისი საგარეო პოლიტიკური წარმატე-

¹ История Швеции, М., 1974.

² უზნაძე დ, გველესიანი ივ. ახალი ისტორია (XVI-XVIII სს.), თბ., 1920.

³ Поршнев Б. Тридцатилетняя война и вступление в нее Швеции и Московского государство, М., 1976.

ბები გაცილებით უფრო წონადი და აქტუალური იყო, ვიდრე საშინაო პოლიტიკა,¹ თუმცა ასეთი მიდგომა, რა თქმა უნდა, სასურველი არაა, მაგრამ გააჩნია თავისი ახსნა.

ისტორიკოს სიმონ ავალიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს აქილევსის ქუსლად სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქების სრული უგულებელყოფა მიგვაჩნია. ფაქტობრივად, ამ თემაზე სახელმძღვანელოში არაფერი თქმულა, თუმცა არსებობდა ამის ხელსაყრელი შესაძლებლობა, ვგულისხმობთ რეფორმაციას. სიმონ ავალიანის სახელმძღვანელოში რეფორმაციის მიმოხილვა ევროპაში ახალი იდეების გავრცელების არეალის შესახებ სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას არ ქმნის, სასურველი იქნებოდა მოკლედ გაშუქებულიყო რეფორმაცია სკანდინავიის ქვეყნებში. ეს შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს და უფრო სრულყოფილად წარმოაჩენდა რეფორმაციის სურათს ევროპაში. იგივე შეიძლება ითქვას ოცდაათწლიან ომზეც, მასში შვედეთის როლზე, გუსტავ ადოლფზე. ეს თემა ყურადღების მიღმა აღმოჩნდა.²

ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა ალექსანდრე წერეთლის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. თუმცა ევროპულ რეფორმაციაზე საუბრისას ავტორი გვერდს უვლის სკანდინავიის ქვეყნებს. რაც შეეხება ოცდაათწლიან ომს, სიმონ ავალიანისაგან განსხვავებით ალ. წერეთელი ამ თემას, ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით ეხება. ეს ხდება ფაქტის კონსტანტაციის დონეზე, რაც ცხადია, საკმარისი არაა და ამ საკითხის შესახებ სრულყოფილ წარმოდგენას ვერ ქმნის. ალ. წერეთლის სახელმძღვანელო ჩრდილში აქცევს ოცდაათწლიან ომში შვედეთის როლსა და გუსტავ ადოლფის მოღვაწეობა.³

ამრიგად, 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქების სამ სხვადასხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე: 1) ჩვენი აზრით, ღიმილზე უზნაძისა და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ სახელმძღვანელოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკითხები შედარებით სრულადაა წარმოჩენილი. ამ თვალსაზრისით, ეს სახელმძღვანელო საუკეთესოდ მიგვაჩნია; 2) ალექსანდრე წერეთლის სახელმძღვანელოში ამ თემატიკის გაშუქება გარკვეულწილად უკმარობის გრძობას ტოვებს. აქ ეს საკითხი შედარებით მკრთალადაა განხილული. ეს იმით გამოიხატება კერძოდ, დანიასა და შვედეთში რეფორმაციის იდეების გავრცელებაზე ღუმილითაა გვერდი ავლილი. ძალიან მოკლედ, ლაკონურადაა საუბარი ოცდაათწლიანი ომისა და შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფის შესახებ. 3) სიმონ ავალიანი თავის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოში არ აშუქებს ამ ეპოქის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკითხებს, რაც მისი სახელმძღვანელოს ნაკლად მიგვაჩნია.⁴

სკანდინავიის ქვეყნების, სახელდობრ შვედეთის ისტორიაზე, მცირე ინფორმაცია წარმოდგენილია ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის აკადემიკოს ელსტ ლავისის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომელიც 1918 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე და გამოიცა ქუთაისში. „შვეციამ პროტესტანტებს 1529 წელს მიიღო. მონაწილეობდა ოცდაათწლიან ომში. შვედეთის მეფე გუსტავ ადოლფი ამარცხებს გერმანიის იმპერატორს (1630-1632) და შვეცია XVII საუკუნის განმავლობაში უძლიერესი სამეფოს.

კარლოს XII რუსეთის დამარცხების შემდეგ (1709) შვეცია პროვინციებს კარგავს ბალტიის ზღვაზე. ასი წლის შემდეგ ნაპოლეონს ებრძვის, 1815 წლის ტრაკტატით ის იერთებს ნორვეგიას,

¹ История Швеции, М., 1974. გვ. 185-192. გუსტავ ადოლფზე ქართულად იხ. კალანდაძე მ. „ჩრდილოეთის ლომმა“ კამარა შერა, ისტორიანი, №12, 2019 და №1, 2020.

² ავალიანი ს. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, ნაწილი პირველი, თბ., 1920.

³ წერეთელი ალ. მსოფლიო ისტორია, ნაწილი მესამე, ახალი საუკუნეები, თბ., 1920.

⁴ თეიმურაზ ჭუმბურიძის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოთი (1920) სარგებლობა, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, ვერ მოვახერხეთ რადგან იგი ვერ იქნა მოძიებული ბიბლიოთეკებში. (პანდემიის გამო)

რომელსაც დანიის მეფეს ართმევს“.¹

ფრანგული განმანათლებლობის პატრიარქის ვოლტერის თხზულების „კარლოს XII ისტორიის“ გამოცემა სკანდინავიის ქვეყნების, სახელდობრ კი, შვედეთის ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის შეტანილი წვლილის აქტივს უნდა მივაკუთვნოთ. ამიტომ საჭიროდ მივიჩნევთ ვოლტერის ამ ნაშრომზე ყურადღების შეჩერებას, რადგან ამის გარეშე წინამდებარე სტატიამი განსახილველი საკითხის შესახებ ვერ შეგვექმნება სრულყოფილი წარმოდგენა. ვოლტერის თხზულება, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, შვედეთის მეფის კარლოს XII (1697-1718) მოღვაწეობას ეხება და ბიოგრაფიულ ჟანრს განეკუთვნება.

პირველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ამ ნაშრომის გამოცემას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა ჰქონდა და წარმოადგენდა საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების, კერძოდ, შვედეთის ისტორიის პოპულარიზაციის კიდევ ერთ მცდელობას. ეს, ცხადია ნამდვილად დადებითი ფაქტი იყო და ხელს უწყობდა გასაბჭოებამდელ ქართულ სინამდვილეში სკანდინავიის შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შევსებას. გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოში რეგიონის ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში, რაც იმ დროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო.

ამ საშური საქმის მოთავედ მოგვევლინა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი კონსტანტინე (ჯაჯუ) ჯორჯიკია.² ეს გამოცემა არ წარმოადგენს ვოლტერის ნაშრომის თარგმანს. მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ დაბეჭდილია ფრანგული ტექსტი ასევე მოკლე კომენტარებით. ამ სახით გამოცემა დიდად შეუწყობდა ხელს ქართველი ახალგაზრდების მიერ ფრანგული ენის დაუფლებას, ამის მიუხედავად, ეს გამოცემა გარკვეულ წილად მაინც აჩენს უკმარობის გრძნობას. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა ვოლტერის თხზულების თარგმანს ქართულად და ფრანგული ტექსტის პარალელურად ქართული თარგმანის წარმოდგენა. ამით გაფართოვდებოდა წიგნის ქართველ მკითხველთა წრე და კიდევ უფრო ვფიქტურად იქნებოდა შესაძლებელი ამ გამოცემის გამოყენება ფრანგული ენის სასწავლო მასალად.

ყურადღებას იპყრობს შესავალი წერილი. მას საპროგრამო დატვირთვა გააჩნია. ამის დასტურად შემდეგი ამონარიდი გამოდგება:

„ვოლტერის ისტორია კარლოს XII-ისა დაწერილია ისეთი მსუბუქი და მხატვრული ენით, რომ ეს თითქმის ყველა ქვეყნის საშუალო სასწავლებელში საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა.“

დღემდე ამ წიგნის ზოგიერთი ავტორი ცდილობდა „კარლოს XII“-ის ზოგიერთი ადგილი შემოკლებინათ და გადიდებულად გადმოეცათ ყველაფერი ის, რაც რუსეთს შეეხებოდა. განსაკუთრებით პეტრე დიდის ცხოვრებას აქცევდნენ უმთავრესად ყურადღებას. ჩვენ კი ვცადეთ კარლოს XII ისტორია ამ მეფის და არა რუსეთის და პეტრე დიდისა, ამისათვის ჩვენ დაგვეჭირდა ზოგიერთი ადგილის ამოღება. ამ სახით კი ეს ნაწარმოები ჩვენი მოზარდი თაობისათვის, ვფიქრობთ, უფრო მიმზიდველი ხდება“.³

კონსტანტინე (ჯაჯუ) ჯორჯიკიას კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ვოლტერის ნაშრომის მნიშვნელობა, რაზეც მეტყველებს ამ წიგნის შესახებ მის მიერ გამოთქმული დადებითი შეფასება. ცხადია, ამან განაპირობა გადაწყვეტილება საქართველოში ვოლტერის ხსენებული ნაშრომის გამოცემის შესახებ.

ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გამოიწვიოს. ვოლტერის თხზულების სასწავლო ლიტერატურისადმი მიკუთვნება, ალბათ, მაინც სიფრთხილეს მოითხოვს და საკამათო შეიძლება იყოს, რადგან ვოლტერის თხზულება ისტორიულ ნაშრომს წარმოადგენს.⁴ წინასიტყვაობის მიხედვით, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს წიგნი არ იქნა

¹ ლაისი, ახალი ისტორია, ქუთაისი 1918წ. გვ.76.

² სხვათა შორის, ის, როგორც პროფ. მერაბ კალანდამძემ გვითხრა, ცნობილი კალაბურთელის ევროპის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის და თასის მფლობელის, ნოდარ ჯორჯიკიას მამაა.

³ ვოლტერი, კარლოს XII ისტორია, გადმოკეთებული ჯ. ჯორჯიკიას მიერ. ქუთაისი, 1919.

⁴ Историография новой и новейшей истории стран Европы и Америки, М., 1977. გვ. 27-28.

აღქმული ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომად და ითარგმნა როგორც სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნიმუში.

ფაქტია, რომ ვოლტერის წიგნის გამოცემამ თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების, სახელმძღვანელო შვედეთის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების პიკად, ჩვენი მოსაზრებით, უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის მიერ 1918-1921 წლებში შეტანილი წვლილი. საბჭოთა ტრადიციისამებრ ამ მონაკვეთის ქართული ისტორიოგრაფიიდან ამოღება სრულიად გაუმართლებელია და მას სამეცნიერო საფუძველი არ გააჩნია.

* * *

ამრიგად, სტატიაში განხილული ფაქტების ანალიზის მიხედვით საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა-პოპულარიზაციის ათვლის წერტილად უნდა მოვიხზოთ არა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, არამედ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაცია უმთავრესად ხორციელდებოდა თარგმნილი ლიტერატურისა და იმ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების მეშვეობით. ამ მასალისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამგვარი ნიჰილიზმი საბჭოთა კონცეფციის წისქვილზე ასხამს წყალს. გასაბჭოებამდე სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებას ქართველი მოღვაწეები პროგრესული ბერძნული პოზიციებიდან ცდილობდნენ. ბუნებრივია, მათ მიდგომას გააჩნდა თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი. იკვეთებოდა ამ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრები და კონტურები. გარკვეულწილად მოესწრო სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაცია, მაგრამ ამ ქვეყნების ისტორიის მიმართ ინტერესი, მეცნიერულ კვლევაში არ გადაზრდილა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ ინტერესმა სხვა ხასიათი შეიძინა და სულ სხვა მიმართულება მიიღო. ისტორია იქცა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მსახურად, გაბატონდა გასაბჭოებამდე ავტორთა ნაშრომების უგულვებელყოფის, მათი იდეოლოგიზებული რევიზიის ან ისტორიოგრაფიიდან სრულად ამოღების ტენდენცია. მოსაზრება, რომ თითქოს გასაბჭოებამდე საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა პოპულარიზაციის მხრივ არაფერი გაკეთებულა სიმართლის შესაფერისი არ იქნება და გააგრძელებს საბჭოთა მითოლოგიის მცდარ ტრადიციას¹. რეალურად სკანდინავიის ქვეყნების ისტორიისადმი ინტერესი საქართველოში XX საუკუნის დასაწყისში გამოვლინდა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მკაფიოდ აისახა დემოკრატიული საქართველოს პერიოდის 1918-1921 წლების ისტორიოგრაფიაში.

¹ კალანდაძე მ., ქართული მედიევისტის სათავეებთან, თბ., 2009. გვ. 74-79. კალანდაძე მ., ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011, გვ. 359-378. კალანდაძე მ., ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015. გვ. 253-260; კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016. გვ. 144-154; კალანდაძე მ., სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, თბ., 2017; გვ. 214-245. კალანდაძე მ., საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, №1 და 2, 2016.

Tamar Antadze

Ivane Javakhihvili Tbilisi State University

**PERIODIZATION AND FIRST STEPS OF THE STUDY OF THE HISTORY
OF SCANDINAVIAN STATES IN GEORGIA
RESUME**

The study of the history of Scandinavian States in Georgia started long ago. The history of this study is goes beyond the framework of one scientific paper. Therefore, the given paper focuses on the topic of periodization and first steps of the study of the history of Svandinavian States in Georgia.

The interest towards the history of Scandinavian States in Georgia embraces several stages. Periodization of the issue is interesting and goes far beyond purely academic framework due to clear-cut political grounds. It can be divided into several periods. The interest towards the history of Scandinavian states arose in Georgia at the beginning of the 20th century, when the first sporadic data on Scandinavian history began to appear. Namely, this period embraces the years 1900-1921. This period can be considered as an introduction or pre-history of the study of the history of Scandinavian states in Georgia (according to one version, we will distinguish three periods, whereas according to another version, two periods will be distinguished).

The second period embraces the study of the history of Scandinavian states in the Georgian historiography of the Soviet period - 1921-1991).

The third period embraces the study of the history of Scandinavian states in the Georgian historiography of the post-Soviet period. It started in the beginning of the 90s of the past century, when the Soviet Union was disintegrated, and lasts until today.

Promotion of the history of Scandinavian states in Georgia underwent interesting evolution. Initially, the history of Scandinavian states was reflected in the translated literature and the first national school manuals of recent history. On the background of the Georgian historiography of that period, this was a significant step forward. Therefore, this fact should not be neglected. In the pre-Soviet period, the study of topical issues of Scandinavian history in Georgia was chiefly due to multi-dimensional attitude to historic events, free thinking, pluralism, progressive-liberal values. The scientific attitude to the given issue naturally has its pluses and minuses. Therefore, both neglect and over-statement of the material would be excessive and unreasonable. Such attitude to the given issue is, naturally, purposeful. This attitude has its grounds: it was influenced by the demographic situation in the sovereign Republic of Georgia. In this case, we should mention the influence of European, and, above all, Russian historiography.

პოლონეთის არქივში „Archiwum Akt Nowych“ დაცული სოსიპატრე ასათიანის ორი წერილის შესახებ

პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში – „Archiwum Akt Nowych“ – ბევრი საინტერესო საბუთია საქართველოს შესახებ დაცული სხვადასხვა ფონდებში. ერთ-ერთი ასეთი 1191-ე პოლონეთის რესპუბლიკის (1918-1939) სამხედრო ატაშეების ფონდი. ამ ფონდიდან განსაკუთრებით საინტერესოა კონსტანტინოპოლში მყოფი სამხედრო ატაშეს საქმეები, სადაც საინტერესო დოკუმენტების საქართველოს შესახებ.

სწორედ ამ ფონდში ინახება სოსიპატრე ასათიანის ორი წერილი, რომლებიც 1922 და 1923 წლებით თარიღდება. ამ დროს კონსტანტინოპოლში პოლონეთის სამხედრო ატაშე იყო გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ლეონ ბობიციკი.

სოსიპატრე ასათიანის წერილები დაწერილია რუსულ ენაზე ხელით. ამავე საქმეში (A II-33) ინახება წერილების ფრანგული თარგმანი, მანქანაზე დაბეჭდილი. პირველი წერილი დაწერილია 1922 წლის 13 ივნისს და ოთხი ხელნაწერი გვერდია. მეორე დაწერილია 1923 წლის 3 სექტემბერს და ორი ხელნაწერი გვერდია. ორივე წერილის გამოგზავნის ადგილად მითითებულია საქართველოს ლეგაცია პარიზში. ადრესატიც ორივე შემთხვევაში არის თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე. პირველ შემთხვევაში, 1922 წელს ეს არის გოგიტა ფალავა, ხოლო მეორე შემთხვევაში - 1923 წელს, კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი.

პირველ წერილში შემდეგი შინაარსისაა:

„საქართველოს ლეგაცია. 13 ივნისი 1922. პარიზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს (ტფილისი)

ჩვენი წერილი გენუის კონფერენციის¹ მუშაობის შესახებ თქვენ ალბათ უკვე მიიღეთ. გაცნობებთ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს. ჩვენ უკვე გწერდით, რომ მიუხედავად ყველა სახელმწიფოსა და ერების წარმომადგენლები სიმპათიით ეპყრობოდნენ საქართველოს (ქართულ) საკითხს და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მხარს გვიჭერდნენ ჩვენ, ინგლისის წარმომადგენელი და კონკრეტულად ლოიდ-ჯორჯი ყველა კომისიაში ან თავს იკავებდა ან ჩვენი წინააღმდეგი იყო, ყოველთვის, როდესაც ჩვენი საკითხი დგებოდა. ირკვევა შემდეგი: ლოიდ-ჯორჯი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსებთან და სურდა მათთან შეთანხმება. მან რუსებს აღუთქვა იურიდიული აღიარება, კრედიტის მოხერხება ინგლისში. სამაგიეროდ ცდილობდა რუსებისგან უპირატესობა მოეპოვებინა კავკასიის ნავთობის საკითხებში. ამ მიზნისთვის, ლოიდ-ჯორჯი არჩევდა, რომ კავკასია დარჩენილიყო რუსები ელში და მათი მეშვეობით მოეხდინა მისი ექსპლოატაცია. ინგლისელებმა ვერ შეძლეს ბერძნების მეშვეობით თურქების დამარცხება. ბერძნები უმეტესად ვაჭარი ხალხია და მათთვის იოლი არ იყო შევგებობდნენ ხალხს, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება აქვს და ბრძოლისუნარიანია.

¹ გენუის კონფერენცია გაიმართა 1922 წლის 10 აპრილი - 20 მაისი. მონაწილეობდა 30-მდე სახელმწიფო. მთავარი თემა იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი მძიმე ეკონომიკურ-ფინანსური ვითარების განხილვა და გამოსავლის მოძებნა. თუმცა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაც. საბჭოთა რუსეთი კონფერენციაზე წარმოადგენდა მის მიერ უკვე დაპყრობის სახელმწიფოებსაც, მათ შორის საქართველოს. ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვდა და ცდილობდა, რათა წარმომადგენელი დაემშვათ კონფერენციაზე ოფიციალურად. საბჭოთა რუსეთის საპასუხო მცდელობის გამო ეს არ მოხერხდა. სწორედ გენუის კონფერენციას მიმართა საპროტესტო წერილით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსი ხელაიამ.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს მორალურად და მატერიალურად ინგლისელები უჭერდნენ მხარს.

ეხლა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, ლოიდ-ჯორჯი ცდილობს დაეყრდნოს რუსებს, გაამაგროს ისინი კავკასიაში და რუსების მეშვეობით შეაჩეროს რუსები. ბერძნებმა არ გაამართლეს მისი იმედები, ეხლა კი სურს რომ სცადოს რუსები. ამბობენ, რომ დღეს მას რუსების აღარ ემინია, რადგან ლოიდ-ჯორჯის აზრით დღეს რუსები სუსტები არიან, შეიძლება მათი გამოყენება თურქების წინააღმდეგ. შემდეგ კი როდესაც საჭირო იქნება, რუსებსაც მიუჩენს ადგილს.

ჩვენ არ ვიცით რამდენად განახორციელებს ამ თამაშს ლოიდ-ჯორჯი. მაგრამ ჩვენ მთელი ენერგიით უნდა შევებრძოლოთ მის ავანტიურას - კავკასიაში განამტკიცოს ბოლშევიკები და აქედან მოახდინოს გავლენა თურქებზე.

ჩვენ მიემართეთ ოპოზიციის ლიდერებს: მაკდონალდს, ჰენდერსონს და სხვებს. ავუხსენით მათ ყველაფერი და ვთხოვეთ ენერგიული მხარდაჭერა ამ ავანტიურის წინააღმდეგ.

თუ ინგლისის მუშათა პარტია, რომელიც 8 მილიონ წევრს ითვლის და ინგლისის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მძლავრი ფაქტორია, ნამდვილად მხარს უჭერს საკუთარ პრინციპს - ცალკეული ერების დამოუკიდებლობის შესახებ და სურს პატიოსნად შეასრულოს საკუთარი პროგრამა, საქმით უნდა დაუდასტუროს ეს მთელ მსოფლიოს და უნდა გამოვიდეს ჩვენი, თურქების და სხვა დაჩაგრული ხალხების დასაცავად.

მაკდონალდმა და ჰენდერსონმა ენერგიული მხარდაჭერა აღვეითქვეს. უახლოეს ხანებში მაკდონალდი დიდ სიტყვას წარმოთქვამს ლოიდ-ჯორჯის აღმოსავლურ პოლიტიკაზე, სადაც მკაცრად გააკრიტიკებს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას თურქებთან დაკავშირებით.

ერთი ჩვენი გავლენიანი ნაცნობი ესაუბრა ლოიდ-ჯორჯის მეუღლეს, რომელიც თან ახლდა ქმარს გენუაში. როდესაც მას (ლოიდ-ჯორჯის მეუღლეს) კითხეს, თუ რატომ მუშაობს მისი მეუღლე ასე პატარა ერების წინააღმდეგ, მან უპასუხა. ეხლა საერთაშორისო ვითარება ისეთია, რომ პატარა ერები უნდა შეეწირონ დიდების ინტერესებს. ამკარაა, ის საკუთარი მეუღლის აზრს გამოხატავდა.

თქვენ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისას (во время оккупации нашей страны), ინგლისელებს ჩვენი რკინიგზით გადაყავდათ საკუთარი ჯარი და გადაქონდათ სამხედრო მასალები. ამის გამო ჩვენი რკინიგზა თითქმის სრულიად გაცვდა (были почти изношены). ამის გამო ინგლისელებს ჩვენთვის უნდა გადაეხადათ რამდენიმე ათეული ათასი ფუნტი სტერლინგი. ამ საქმესთან დაკავშირებით ჩვენ აღვოკატად ავიყვანეთ გიორგი გვაზავა. ის მუშაობს, მაგრამ აქამდე არაფერი გამოვიდა. მათ არ უნდათ გადახდა და ყოველთვის ნახულობენ გარკვეულ მიზეზებს.

საინფორმაციო განყოფილების დირექტორი ს. ასათიანი¹

მეორე წერილში წერია:

„საქართველოს ლეგაცია. 3 სექტემბერი 1923. პარიზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარეს (ტფილისი)

როგორც თქვენ იცით, ლოზანის კონფერენცია² დასრულდა. თურქები ამ ბრძოლიდან გამარჯვებულები გამოვიდნენ. რომ არა მათი გამირული რეზილენცია და მათი გამირული თავგანწირვა, ყოველივე მათთვის ასე ბრწყინვალედ არ დასრულდებოდა.

მოსაზრება, რომ თურქები გააკეთებდნენ იმას, რასაც ჩინური და მოსკოვი უკარნახებდა არ გამართლდა. მართალია, მე პროფესიით სამხედრო ვარ, კარიერით დიპლომატი არ ვარ - ისმეთ ფაშა³ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე და ღირსეულად გამოვიდა ლოზანის შეჯიბრებიდან.

¹ პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych“ ფონდი 1191, საქმე A II, გვ. 185-188

² კონფერენცია ლოზანაში მიმდინარეობდა 1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე. მას ესწრებოდნენ: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, რუმინეთის, სერბების ხორვატებისა და სლოვენელების სამეფოს, სსრკ-ის, იაპონიის, აშშ-სა და თურქეთის წარმომადგენლები. განიხილეს: თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადება და შავი ზღვის სრუტეების (დარდანელი და ბოსფორი) საკითხი. სრუტეების საკითხზე მიღებული კონვენცია შემდგომში გადაისინჯა 1936 წელს, მონტრეს კონფერენციაზე.

³ ისმეთ ფაშა იყო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და დელეგაციის ხელმძღვანელი.

რუსეთის სურვილის, აქციოს შავი ზღვა რუსეთის ტბად და მბრძანებლობდეს იქ როგორც სურს, დაეშუქროს და გაბატონდეს ზღვის მოსაზღვრე ყველა სახელმწიფოზე, ნამდვილად საუკუნოდ დაიმარხა.

სრუტეების შესახებ კონვენციის მეთორმეტე პუნქტში არის ადგილი, რომლითაც საქართველოს უფლებ ეძლევა თავისი წარმომადგენელი ყავდეს სრუტეების საერთაშორისო საკონტროლო კომისიაში.

ჩვენი მთავრობის წევრებისა და სხვა პოლიტიკოსების თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მჭიდროდ ვითანამშრომლოთ იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც რუსეთი თავის იმპერიალისტურ ზრახვებში ყოველთვის ეშუქებოდა წარსულში და დაეშუქრება მომავალში და რომლებსაც თავდაცვის საკითხებში საერთო ინტერესები და საქმეები აქვთ. გადაწყდა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს თურქეთს და მასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებას, რადგან თუ თურქეთი ჩვენი საერთო საქმის მიღმა იქნება ამან შეიძლება დიდი ზნით გადადოს ჩვენი საკითხის გადაწყვეტა. ასევე შეიძლება კავკასიაში შეიქმნას ვითარება, როდესაც კავკასიაში მცხოვრები ხალხები დაიღლებიან და გამოიფიტებიან დამპყრობელთან ბრძოლით, რაც თავისთავად ნიშნავს რუსების მბრძანებლობას და განმტკიცებას კავკასიაში.

ოცდაშვიდმა პოლიტიკოსმა და საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ამ თათბირზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდნენ რუსულ ბატონობას საქართველოში და ყველა საშუალებით შევეცადოთ სამშობლოს დამპყრობელი მტრისგან გათავისუფლებას.

საინფორმაციო განყოფილების დირექტორი ს. ასათიანი.¹

პირველ წერილში განხილულია გენუის კონფერენციაზე ლოიდ-ჯორჯის „ანტიქართული“ პოზიცია და ახსნილია ინგლისის პრემიერმინისტრის ასეთი პოზიცია. საინტერესოა, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები აქტიურად თანამშრომლობდნენ ინგლისში არსებულ ოპოზიციურ, თუმცა საკმაოდ გავლენიან ლეიბორისტულ პარტიასთან და მათ ლიდერებთან. ამ ურთიერთობაში, ალბათ, თავის როლს თამაშობდა არა მხოლოდ იდეოლოგიური სიახლოვე, არამედ 1920 წელს რამსეი მაკდონალდის საქართველოში ვიზიტიც.

საინტერესოა, ვინ იყო ის „ერთი ჩვენი გავლენიანი ნაცნობი“, რომელიც არაფორმალურად ესაუბრა ლოიდ-ჯორჯის მეუღლეს, თუმცა ამას, ალბათ, ვერ გავიგებთ. შესაძლოა, გულუბრყვილო ნაბიჯი იყო ინგლისის პრემიერმინისტრის მეუღლესთან საქართველოზე საუბარი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ყველანაირი ხერხი გამოეყენებინათ, რათა ოკუპირებული საქართველოს საკითხი საერთაშორისო დონეზე აქტუალური ყოფილიყო.

ინგლისელების მიერ საქართველოში ყოფნისას რკინიგზის გამოყენებისა და ამასთან დაკავშირებით გარკვეული ფინანსური ვალდებულებების საკითხი ცნობილი ფაქტია. ამ წერილში ეს კიდევ ერთხელ დასტურდება, ისევე როგორც გიორგი გვაზავას მონაწილეობა. ნიშანდობლივია, რომ გიორგი გვაზავა ეროვნულ-დემოკრატი იყო, მთავრობა სოციალ-დემოკრატიული, მაგრამ როცა ამას საქართველოს ინტერესები ითხოვდა ხერხდებოდა პარტიული კუთვნილების მეორე პლანზე გადაწევა და საერთო საქმის ერთად კეთება.

დოკუმენტში არის ერთი საინტერესო ადგილი. ინგლისელების საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებით სოსიპატრე ასათიანი იყენებს ტერმინს - „ოკუპაცია“. ორიგინალში რუსულად წერია - „во время оккупации нашей страны“, ფრანგულ თარგმანში წერია - „Vous savez que pendant L' occupation de notre pays par les anglaie“. დანამდვილებით რთული სათქმელია, შეფასება - „ოკუპაცია“ შემთხვევით გამოყენებული ტერმინია თუ მიზანმიმართულად. ვფიქრობ, რომ მაინც შეგნებულად არის გამოყენებული. ასევე რთული სათქმელია, ეს შეფასება ემიგრაციაში მყოფი მთავრობის ზოგადი განწყობა იყო თუ პირადად სოსიპატრე ასათიანის. ყოველ შემთხვევაში გარკვეულწილად

¹ პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych“, ფონდი 1191, საქმე II, გვ. 189-190

გამოხატავს ემიგრანტი ქართველი პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ინგლისელების საქართველოში ყოფნის არც თუ მანკადამაინც სასიამოვნო შეფასებას.

მეორე წყაროში ძირითადად საუბარია ლოზანის კონფერენციის შემდეგ შექმნილ ვითარებაზე. გამოტანილია დასკვნა, რომ თურქეთმა, იგულისხმებიან ქეძალისტები, შეძლო დაეცვა საკუთარი პოზიციები და ამავე დროს არ აღმოჩნდა ბოლშევიკების ნების დამყოლი და მათი სურვილების გამტარებელი. ამავე დროს საქართველოში მოქმედ დამოუკიდებლობის კომიტეტს აცნობენ ემიგრაციაში მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ აქტიურად აპირებენ თანამშრომლობას შავი ზღვის ქვეყნებთან, რომლებსაც პოტენციურად მოელით საფრთხე საბჭოთა რუსეთიდან. ეს სრულიად მართებული პოზიცია იყო, სხვა საკითხია აქედან რეალურად რა გამოვიდა. ასევე სავსებით სწორი გათვლა იყო, რომ აქცენტი უნდა გაკეთებულიყო თურქეთზე, როგორ შავი ზღვის აუზის სახელმწიფოებიდან ყველაზე ძლიერზე და რაც მთავარია საქართველოს უშუალო მეზობელზე.

წერილში არის საინტერესო დეტალი, რომელიც ეხება უფლებას, რომ საქართველოს წარმომადგენელი ყავდეს სრუტეების საერთაშორისო საკონტროლო კომისიაში (В двенадцатом пункте конвенции о проливах есть место которым предоставляется Грузии право иметь своего представителя в интернациональной контрольной комиссии проливов). ცხადია აქ საუბარია საბჭოთა საქართველოზე. წერილიდან არ ჩანს თუ რატომ ანიჭებდა ამ ფაქტს ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდ მნიშვნელობას და რა სახით სურდათ ამის გამოყენება, თუმცა აღსანიშნავია, რომ სრუტეების საკონტროლო კომისიაში საქართველოს წარმომადგენლის საკითხს ემიგრანტული პრესაც განიხილავდა.

სოსიპატრე ასათიანის ორივე წერილთან დაკავშირებით ჩნდება რამდენიმე კითხვა: რატომაა დაწერილი წერილები რუსულად? ვისთვის იყო განკუთვნილი წერილების ფრანგული თარგმანი? როგორ აღმოჩნდა წერილები პოლკოვნიკ ლეონ ბობიციკის ხელში? ამ კითხვებზე ცხადია ზუსტი პასუხის გაცემა რთულია. შესაძლოა მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა.

რატომაა წერილები რუსულ ენაზე? საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოღვაწეთა ნაწილს უფრო უადვილდებოდა რუსულად წერა, სავარაუდოდ, თავის დროზე რუსულად მიღებული განათლების გამო (მაგ. გენერალი გიორგი კვინიტაძე, გენერალი ილია ოდიშელიძე, პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია და სხვ.), თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ სოსიპატრე ასათიანი თითქმის ათი წელი (1908-1917) შვეიცარიაში ცხოვრობდა და უმაღლესი იურიდიული განათლებაც იქ მიიღო, ჟენევის უნივერსიტეტში.¹ შესაძლოა, ადრესატებისთვის იყო უფრო ადვილი რუსულად წაკითხვა. გოგიტა ფაღავა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა,² კონსტანტინე ანდრონიკაშვილსაც რუსეთში ჰქონდა მიღებული განათლება მოსკოვში და კიევიში.³ წერილები აშკარად სოსიპატრეს მიერ არის დაწერილი და არ წარმოადგენს ვინმეს მიერ გადაწერილს. ამას ადასტურებს ხელმოწერაც და ისიც, რომ ორივე წერილში გვხვდება გადაშლილი და ჩასწორებული ადგილები. თუ შეიძლება ითქვას, წერილები პირველი პირია და არა შემდეგ გადაწერილი მეორე თუ მესამე.

ვისთვის იყო განკუთვნილი ფრანგული თარგმანები? ფრანგული იმ დროს ჯერ კიდევ საერთაშორისო დიპლომატიური ენა იყო და, შესაძლოა, ამიტომაც ითარგმნა, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ წერილი განკუთვნილი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისთვის და წერილში არსებული ინფორმაცია მხოლოდ ქართველებისთვის იყო ღირებული. შესაძლოა, ფრანგულად ტექსტები პოლონელებმა თარგმნეს, რათა თავად გამოეყენებინათ საჭიროებისამებრ.

როგორ აღმოჩნდა წერილები კონსტანტინოპოლში პოლონეთის სამხედრო ატაშესთან? ჩემი შეფასებით, ევროპის ქვეყნებიდან პოლონეთი ყველაზე აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში (ამას ადასტურებს პოლონეთის არქივში ნანახი დოკუმენტებიც). ქართველების მხარდაჭერისა და დახმარების პროცესში ძალიან აქტიურად იყო ჩართული კონსტანტინოპოლში არსებული პოლონური მისია და მათ შორის სამხედრო ატაშეც. რამდენიმე

¹ ენციკლოპედია-ლექსიკონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) თბ. 2018. გვ. 38

² ენციკლოპედია-ლექსიკონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) თბ. 2018. გვ. 437

³ ენციკლოპედია-ლექსიკონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) თბ. 2018. გვ. 29

მოსაზრების გამოთქმა შეიძლება: პოლონური მისი ეხმარებოდა ქართველებს კორესპონდენციების გადაზავანაში, ქართული მხარე საჭიროდ თვლიდა პოლონელების ინფორმირებას, პოლონელებმა თავად მოიპოვეს წერილები და სხვ. ძნელია თქმა რომელი ვარაუდია უფრო რეალური.

საინტერესოა, რომ ამავე საქმეში, ზემოთ აღნიშნულ ორ წერილთან ერთად ინახება კიდევ ერთი რუსულად ხელით დაწერილი წერილი. ეს უკანასკნელი წერილი იგზავნება საქართველოდან (ვინ აგზავნის არ ჩანს) და ადრესატია ნოე ჟორდანიას. წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ის დაწერილია 1923 წელს.

წერილის პირველ ნაწილში მოკლედ არის მიმოხილული საქართველოში არსებული ვითარება, ხოლო შემდეგ საუბარია უკვე თურქეთის მნიშვნელობაზე საბჭოთა რუსეთთან დაპირისპირებაში და არის თხოვნა, რათა ემიგრაციაში მყოფმა მთავრობამ გამოარკვიოს თურქეთის პოზიცია ზოგადად კავკასიისადმი და კონკრეტულად საქართველოში მოქმედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი.

„საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს (პარიზში)

თქვენი წერილი საერთაშორისო ვითარებისა და საზღვარგარეთ თქვენი მუშაობის შესახებ მივიღეთ.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ამჯერად ახალს ვერაფერს გაცნობებთ. ის ფრიად საგალალოა, მთელი ქვეყანა გაპარტახებულია ოკუპანტების მიერ და არ არსებობს არავითარი უახლოესი სასიკეთო პერსპექტივა. მოსკოვის ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ (HEP) სრული კრახი განიცადა. მთავრობის მიერ აქ ისეთი მაღალი გადასახადებია დაწესებული და ისე თვითნებურად და ქაოტურად, რომ ვერავითარი საქმე ვერ განვითარდება წარმატებით. ყველა კომერციული წამოწყებები, რომლებიც დაიწყო HEP-ის დასაწყისში, უკვე გაკოტრდა. უცხოელებთან ყოველგვარი ვაჭრობა შეჩერებულია მოსკოვის მიერ, ადგილობრივი წარმოების დაცვისა და უცხოელთა კონკურენციის მოცილების გამო დაწესებული მაღალი ბაჟის მიზეზით. გლეხებში, მუშებსა და ინტელიგენციაში სრული სიღატაკე სუფევს. კეთილდღეობს მხოლოდ სპეკულიანტების პატარა ჯგუფი.

საქართველო იმართება რუსეთის კომუნისტური პარტიითა და რუსეთის საოკუპაციო არმიით. ტფილისის „საბჭოთა მთავრობა“, რომელიც შედგება ქართველი კომუნისტებისგან, დაინიშნა მოსკოვის მიერ და მისი მორჩილი აგენტია. ეს წესრიგი არსებობს დღემდე.

მთელი ქვეყანა გავსებულია ჩეკისტებით და მათ მოუთოკავობას საზღვარი არ აქვს. არ არსებობს არც პრესისა და არც შეკრებების თავისუფლება. ეროვნული ლიტერატურა და მშობლიური ენა საფრთხეშია. არა მარტივია აზრის ჩანაშობილი, არამედ მორწმუნეებს საკუთარი რელიგიური რიტუალების აღსრულებაც არ შეუძლიათ, რადგან რელიგიური დაწესებულებები თითქმის ყველგან დაკეტილია.

ციხეები გადავსებულია ინტელიგენციით, მუშებით, გლეხებით და სამხედროებით. ასეულობით მათგანი გაძევებულია რუსეთის ცივ, ჩრდილოეთის რაიონებში და მრავალი მათგანი მძევალია, რომელიც, შესაძლოა, დახვრეტილი იყოს საოკუპაციო ხელისუფლების მიმართ ნებისმიერი მტრული აქციის გამო.

არასდროს ქართველი ხალხის სიბუღვილი რუსების მიმართ არ ყოფილა ისეთი ღრმა როგორც ეხლანდელ დროს. აი, უკვე ორ წელზე მეტია, გრძელდება ჩვენთან ბოლშევიკები სისასტიკე, მაგრამ მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, შეურყეველია თავის გადაწყვეტილებაში, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მიაღწიონ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ქართველ ხალხში, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამყიდველ ელემენტებს, არ არსებობს სოციალური ფენა, რომელიც მხარს უჭერდეს ბოლშევიკებს. ჩვენში ბოლშევიკური რეპრესიები ეყრდნობა საოკუპაციო ხელისუფლებას და უცხო ეროვნების ელემენტებს - ებრაელებს, სომხებს და სხვ. სოლოლაკელი მდიდარი სომხები გახდნენ კომუნისტები, ხოლო მათი შვილები - ჩეკისტები, იცავდნენ რა საკუთარ „წითელ მამებს“.

საქართველოში მოქმედ და დამოუკიდებლობის კომიტეტში შემაგალი ყველა პარტიას შორის არსებობს სრული სოლიდარობა და ერთიანობა ყველა მთავარ საკითხში. ეროვნული ფრონტი ერ-

თიანია და მტკიცე. ხალხი მხნედ არის და სჯერა მომავლის.

ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს აზერბაიჯანელებთან და გვაქვს მათთან საორგანიზაციო კავშირი, ასევე – დაღესტანთან. კავკასიის ხალხების ერთიანობა არის პირველი პირობა ოკუპანტებისგან გათავისუფლებისა.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის კეთილგანწყობა. თქვენი მოსაზრება, რომ კავკასიის რესპუბლიკებს მოუწევთ დაამყარონ ახლო ურთიერთობა სახელმწიფოებთან და თურქეთთან, რომელთანაც კავკასიის რესპუბლიკებს ბევრი საერთო ინტერესი აქვთ, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ. თურქეთთან ურთიერთობა უნდა იყოს კიდევ უფრო მჭიდრო, რადგან ის ჩვენი უშუალო მეზობელია.

ჩვენ რამდენჯერმე ვთხოვეთ, გაგერკვიათ თურქეთის დამოკიდებულება ჩვენდამი. ლოზანის კონფერენციამდე თქვენ გვპასუხობდით, რომ თურქეთი ეომებოდა ანტანტას და კავკასიის საკითხით რაა დაინტერესებული. ეს გარკვეულწილად გასაგები იყო. ლოზანის კონფერენციის შემდეგ ეს დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად უფრო ნათელი უნდა გახდეს.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ვიცოდეთ, რომ თურქეთს აინტერესებს კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობა და ის კეთილმეზობლურადაა მათდამი განწყობილი. კავკასიის ხალხებმა იციან, რომ არ ჰყავთ მეგობარი ჩრდილოეთიდან, მაგრამ, თუ დარწმუნდებიან, რომ მეგობარი არც სამხრეთიდან ჰყავთ, ეს ძალიან დაასუსტებს ამ ხალხების უნარს, შეეწინააღმდეგონ რუსეთის საოკუპაციო ძალას.

ამას დღეს კარგად ითვალისწინებენ ბოლშევიკები. ისინი თავის დახურულ სხდომებზე, ხშირად კი აშკარადაც გახეთქებში ანდაც შეკრებებზე საუბრობენ, რომ თურქეთი კავკასიელი ხალხების მტერია, სურს ჩვენი დაპყრობა და თუ ჩვენ აქედან წავალთ, ისინი მეორე დღესვე აქ მოვლენ. ამიტომ თქვენს ინტერესებშია, არ მოითხოვოთ რუსეთის ჯარების გაყვანა და, პირიქით, შეეგუოთ არსებულ ვითარებასო.

ჩვენ ვიცით, რომ ეს ბოლშევიკების დემაგოგიური სატყუარაა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხალხის მორალური მხარდაჭერისთვის, ჩვენთვის აუცილებელია, აქედან კარგი ურთიერთობა დავამყაროთ თურქეთთან, რადგან შეუძლებელია, რომ თურქეთისთვის კავკასია თავისი 8-10 მილიონიანი მოსახლეობით არ წარმოადგენდეს ინტერესს, როგორც ბარიერს რუსეთის წინააღმდეგ.¹

სამწუხაროდ, ეს წერილი ვერ გვეხმარება, პასუხი გავცეთ ზემოთ დასმულ სამ კითხვას, თუმცა, თავისთავად, რამდენიმე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს.

ვფიქრობ, პოლონეთის არქივში შემდგომმა მუშაობა შესაძლოა, ნათელი მოჰფინოს ჩვენთვის საინტერესო საკითხებს.

Mikheil Bakhtadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ABOUT TWO LETTERS BY SOSIPATRE ASATIANI STORED IN THE POLISH ARCHIVE
„ARCHIWUM AKT NOWYCH“
RESUME**

There are many interesting documents about Georgia in The Archiwum Akt Nowy chin the Polish New History Archive in various foundations. One of the foundations is the Military Attaché Fund of the Republic of Poland 1191. In this foundation are kept two letters by Sosipatre Asatiani dated 1922 and 1923. At that time the Polish military attaché in Constantinople was Colonel of the General Staff Leon Bobitsky.

In the first letter is discussed Lloyd's "anti-Georgian" position at the Geneva Conference and this

¹ პოლონეთის ახალი ისტორიის არქივი „Archiwum Akt Nowych“ ფონდი 1191, საქმე A II, გვ. 180-183.

letter explains the position of the English Prime Minister. It is interesting, that the members of the Government of the Democratic Republic of Georgia, who had emigrated, actively collaborated with the opposition, though quite influential Labor Party in England and their leaders. The question of the use of the railway by the English during their stay in Georgia and certain financial obligations in this regard is a well-known fact. This letter proves this again, as does Giorgi Gvasava's participation.

The second (other) source mainly deals with the situation after the Lausanne Conference. It is concluded that Turkey was able to defend their positions and at the same time did not appear to be in line with the will of the Bolsheviks and their wishes. At the same time, the Independence Committee in Georgia was informed about a decision made by the emigrants that they intend to cooperate actively with the Black Sea Countries potentially threatened by Soviet Russia. This was a perfectly right position, another matter is what really came out of it. It was also quite correct to speculate that Turkey should focus on the most powerful of the Black Sea states and, most importantly, Georgia's immediate neighbor.

ისტორიული პერსონაჟი და მხატვრული ტექსტი

შესავალი: რომანის დიდოსტატს, კონსტანტინე გამსახურდიას, არასოდეს სჭირდება ნაწარმოებისათვის ეპოქა, როგორც ფონი თავის პერსონაჟების მოქმედების გასათამაშებლად. უამრავ ლოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ის თავის მხატვრულ შემოქმედებით ლაბორატორიაში ქმნის ეპოქას თავისივე გმირებით, თუმცა არცთუ იშვიათად ისტორიულ რომანს ურთავს წინასიტყვაობასა ან ბოლოსიტყვაობას, რომელშიც ხაზს უსვამს, რა აიღო ისტორიიდან და რა შეცვალა (ასევე, რატომ შეცვალა). მიუხედავად ამისა, ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც მკვლევარი ეხება საანალიზოდ, თავად ქმნის ახალ რეალობას და დეკონსტრუქციის პროცესში ლიტერატურათმცოდნეობის ქმნილებათა მკითხველს აცნობს ძველს, გადახარშულს, ინტელექტუალური მწერლის შემოქმედებაში მისაღებ-გასაგებად. ასე მოხდა კიდეც კ. გამსახურდიას ტეტრალოგიის, „დავით აღმაშენებლის“ შემთხვევაშიც, რომელიც გამოსვლისთანავე მოხვდა მკვლევართა, კრიტიკოსთა მხედველობის არეალში (ს. სიგუა, ა. კალანდაძე და სხვ.). ეს პროცესი გრძელდება რომანის ბოლო ნაწილების გამოსვლის მომენტიდან დღემდე. ჩვენი კვლევის არეალში ამჯერად მოხვდა, ერთი შეხედვით, მეორე ხარისხოვანი პერსონაჟი, ბიზანტიაში გათხოვილი ქართველი ქალი მარიამ (მართა), დავით აღმაშენებლის მამიდა, ბაგრატ IV-ის ასული, რომელსაც „ჭემშიარტი დედოფალი“ უწოდა გიორგი მთაწმინდელმა. პერსონაჟი I წიგნიდან შემოდის რომანში და, მიუხედავად იმისა, რომ რაღაც სამჯერ იყო გათხოვების შემდგომ სამშობლოში, განუყოფელი ნაწილია მთელი სიუჟეტისა, თუმცა ბოლომდე ქართველთათვის რჩება „უცხოებაში გათხოვილ ქალად“. მცირე, ძალზე მცირე ინფორმაციაა დაცული მის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ ავტორმა მოიძია და მხატვრული ფანტაზიით სრულყო მარიამ (მართას) სახე უცხოურ ნაწარმოებშიც. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც ქართული ისტორიული რეალობის წარმოჩენის, ისე ბიზანტიურ, არაბულ, ასე ვთქვათ დასავლურ-აღმოსავლურ სამყაროს წარმოსახვის თვალსაზრისითაც.

აღნიშნულ საკითხზე მინიშნება გააკეთა მეცნიერმა, ისტორიკოსმა მანანა გაბაშვილმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიამ. ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების ქართული პოლიტიკური იდეა“, რომელშიც უცხოელ (ა. კომნენის, ბ. ლეიბის, პ. გოტიერის, ი. სპათარაკის, მ. მიულეტის) და ქართველ მეცნიერთა (ა. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, შ. ამირანაშვილის, ვ. კოპალიანის, თ. ბრეგაძის, ი. ნოდიას, რ. მეტრეველის, ჯ. სამუშიას, თ. ცქიტიშვილის, ა. ალექსიძის) ნააზრევზე დაყრდნობით, აღნიშნავს: „ცნობილია, რომ მარიამ დედოფლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხო ქართული მწერლობაც. კ. გამსახურდიამ რომანში „დავით აღმაშენებელი“ სწორი აქცენტები დასვა, სწორად დაინახა და შეაფასა მართა-მარიამის ისტორიული როლი“ (მ. გაბაშვილი, 2013). კ. გამსახურდია მიაჩნებდა ტეტრალოგიის ბოლოსიტყვაობაში: „ჩემს მკითხველს, ალბათ მოეხსენება, რომ ჩემი დიდოსტატი და დავით აღმაშენებელი მარტოოდენ ქართულ ისტორიულ ქრონიკებს როდი ემყარებიან ამ რომანის გმირები მოძრაობდნენ საკმაოდ ვრცელ სამყაროში, რომელიც განფენილია ჩინეთის გალავნიდან – ეგვიპტემდის, გულგალადან – ანისამდე, ანისიდან – დიდი ბრიტანეთის კუნძულებამდის.

ეს ამბები ხდებოდა საქართველოში, სომხეთში, კიევის რუსეთში, სირია-პალესტინაში მთელს ევროპაში, მეთაუ-მეთორმეტე საუკუნეთა მანძილზე.

უნდა ვალიარო: მე უპირატესად ევროპელი ხალხების ისტორიაში მიმუშავნია განსწავლისა და მოგზაურობის წლებში (1912-1923 წლამდის)¹. თუმცა ისტორიულ მასალასთან რომანის პერსონაჟთა სრულყოფილი მიმოხილვა ლიტერატურათმცოდნეობაში მწირია.

ამდენად, ბიზანტიაში ორი მეფის ცოლყოფილი დედოფლის პერსონაჟის გამსახურდასეული პორტრეტი მნიშვნელოვანია კვლევის თვალსაზრისით, რომლის მცდელობაცაა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში.

ძირითადი ნაწილი. ისტორიულად ინფორმაციას მარიამ (მარია) დედოფლის შესახებ გვაწვდის¹ „ქართლის ცხოვრებიდან“ „მატიანე ქართლის“, რომელშიც ჩართულია (თქმის ნუსხებშია მხოლოდ) ნაწყვეტი „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან“ (ათონის კრებული, თბ., 1901).

„მას ჟამსა ოდეს თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა [და] შვილად თუ სად აღზარდოს. ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდთა წარმოგზავნა შვილი თვესი მართა კაცთა თანა საკუთართა თვეთა“². ესეც თავისებურად იმ პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ბაგრატის დედამ წამოიწყო ჯერ კიდევ მისი დაქორწინებით რომანოზ არგიროსის ძმისშვილ ელენეზე და მიზნად ისახავდა ქართული პოზიციების გამყარებას ბიზანტიასთან მიმართებაში. მართა – ასეა მოხსენებული გ. მთაწმინდელთანაც, თუმცა მას მარიამს უწოდებს ავტორი და არა თავისი ნებით. IV წიგნის ბოლოს თავში – „უკანასკნელი ომი“ – სასიკვდილო სარეცელზე მწოლი მარიამის დახასიათებისას, ავტორი აღნიშნავს, რომ მარიამ უკვე აღარ ჰგავდა იმ პორტრეტს, „რომელიც ვატიკანშია ამჟამადც შემონახული. ამ სურათს ქვედა კიდეზე ასეთი წარწერა აქვს: „მარია ბაგრატიონ, პრინცესა დე გეორგია, იმპერატრიცე დე ბიზანტია, იმპერიე ღომანაე დე ორიენტე – მარიამ ბაგრატიონი „საქართველოს პრინცესა, იმპერატრისსა აღმოსავლეთ რომისა“³. ეტყობა, ბიზანტიაში მას მარიამდ მოიხსენიებდნენ, თუმცა იმავე „ქართლის ცხოვრებაში“ ბაგრატ IV-ის სიკვდილის ეპიზოდშიც მოხსენიებულია მისი ასული მარია: „და მოვიდა დედა მისი მარიამ დედოფალი, და ცოლი მისი ბორენა, და ასული მისი მარიამ“⁴ ჩვენი ვარაუდით, ან მარიამ მართას სახელია ბერძნულად, ან კიდევ ჰყავდა ბაგრატს სხვა ასული მარიამი. რომან „დავით აღმაშენებელში“ იგი მოფერებით „მაიკოდაც“ მოიხსენიება.

მარიამს საქართველოშიც ხატავდნენ – გვამცნობს ავტორი და ამის ნიმუშად ასახელებს გელათის ტაძარში მარიამის განსახოვნებას ღვთისმშობლის ფრესკაში: „ახალი საქმეები გამოუჩნდა მარიამს, ნაჭარმაგვეში ეახლა მას მხატვართუხუცესი თევდორე და სთხოვა, ნება მიეცა, დაეხატა მისი სურათი გელათის ღვთისმშობლის ფრესკისათვის“⁵ და იქვე შენიშვნაც, ავტორისეული რემარკა: „ხსენებული პორტრეტი გელათის ღვთისმშობლისა, მოზაიკის სახით გაკეთებული, რომელიც ზუსტად ჰგავს ვატიკანში შემონახულ სურათს მარიამისას, დღესაც ამკობს გელათის ტაძარს“⁶, მაგრამ შენიშვნაში, რომელიც თან ახლავს I წიგნს („ხახულის ღვთისმშობელი“), კ. გამსახურდია, ემყარება რა ვენელი არქეოლოგის, პროფ. სტრციგოვსკის შრომიდან („ბიზანტილშე ცაიტშრიფტ“) ინფორმაციას „მიხეილ VII ლუკას მეუღლის – მარიამ დედოფლის სახე გამოსახულიაო ხახულის ღვთისმშობლის ხატზე, ხოლო მარიამის, ნიკიფორე ბოტანიტიესის ცოლისა – ვატიკანის მუზეუმში დაცულ ერთ-ერთ მინიატურაზე; პროფ. სტრციგოვსკის, როგორც ჩანს, არა სცოდნია, რომ ამ ორივე – იმპერატორის მეუღლე მარიამ, ეს იყო ბაგრატ IV-ის ასული, მარიამ, მართაყოფილი“⁷. ამკარაა, აქ წყაროს ინფორმაციას და, სავარაუდოდ, საკუთარი თვალთ ნანახს (?) ერთგვარად აჯერებს ავტორი და თვით მიდის ბუნდოვან-

¹ გამსახურდია კ; თხზ. სრ. კრებ. ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1962, გვ. 803-804

² ქართლის ცხოვრება, ტ 1, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ.307

³ გამსახურდია კ; ტ4, გვ.792

⁴ ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 314

⁵ გამსახურდია კ; ტ 4, გვ. 751

⁶ გამსახურდია კ; თხზ. სრ. კრებ. ტ. 4 1960, გვ.751

⁷ გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.3, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960. გვ.732

ნებადღე: რომელია მარიამის პორტრეტი, ხახულის ღვთისმშობლისა თუ გელათის ფრესკისა, თანაც აქვე მინიშნებაა, რომ მარიამს ადრე მართა ერქვა.

აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მკვლევარი მ. გაბაშვილი, რომ ხახულის ღვთისმშობლის ხატზე „მართა-მარიამი იმპერატორ მიხეილი VII დუკასთან ერთად არის გამოსახული (მ. გაბაშვილი, 2013).

მარიამის პორტრეტს უკვე (ანნა კომნენის ინფორმაციაზე დაყრდნობით) მხატვრულად წარმოგვიდგენს ავტორი ერთ-ერთ თავში: „მარიამი მაღალი იყო, კვიპაროზით ტანკენარი და თოვლივით თეთრი, მომრგვალო სახე ჰქონდა, გაზაფხულის ვარდის სიმწითურით აყვავებული. ვინღა შესძლებს თვალთა მისთა მშვენების თუნდაც მიახლოებით აღწერას?... იგი იყო ცოცხალი, მსუნთქავი ჰარმონია თავათ, მშვენიერის მოყვარულთა გონების წამლები და მომნუსხველი. იგი იყო იმპეროსი თავად ჩვენს მიწაზე ხორცშესხმულად წარმოვლენილი“¹. აშკარაა, ეს ციტირება ანნა კომნენის „ალექსიადიდან“ (1928). მითითებით წყაროსი და ამდენად ესთეტი ავტორისათვის ქართველი ქალის მშვენიერების (სულიერ და ხორციელ) წარმომჩენიც.

მარიამი მამის სურვილით გათხოვდა საბერძნეთში, თუმცა წუხილი მშობლიური მიწიდან მოწყვეტის გამო სულ თან სდევს ორი დუკას ცოლყოფილ დედოფალს. „როცა ბაგრატ მეოთხის მცირეწლოვანი ასული, მარიამ, მართაყოფილი, თავის ტიკინებინად მოიყვანეს ბუკოლეონის სასახლეში და იმპერატორს, მიხეილ მეშვიდეს, დუკას მიათხოვეს, მამისა და უფროსი ძმის მაგივრობას იოანე უწევდა უთვისტომო, ყმაწვილ დედოფალს, რომელიც საკუთარი ოჯახის და დაკარგული სამშობლოსათვის დაღვრილი ცრემლებით აღტობდა ბუკოლეონის გვინიკვას ღინღლიან ბალიშებს“². სამშობლოში ჩამოსულსაც იმ წარსულ დროს უახლებს ყოველი ნივთი, ბუნება, ადამიანები. დარდი და სევდა რომ გაინელოს, საბერძნეთში, ქრისტოპულოს სასახლის გარშემო, ქართული ბაღი გააშენებინა „უცხოებაში გათხოვილმა ქალმა“, ხეხილით, ყვავილნარით. წარსულში დარჩა მისი გრძნობა არტავაზისადმი (რაც ავტორის ფანტაზიის ნაყოფია) და მის მსგავსებას ნიანია ბაკურიანის ძესთან პოულობს.

ორი სამყაროა მარიამის სამყოფელი: ბიზანტია, თავისი სამეფო ღიღებულებითა თუ ინტრიგებით, სადაც ერთადერთი ძე, კონსტანტინე პროფიროგენეტი ცხოვრობს, მიხაილ დუკასგან შექმნილი ვაჟი. ალექსი კომნენიც არცთუ იშვიათად ნანობს, რომ მარიამ არ ითხოვა და ამიტომ აპატიებს მისი გარშემომყოფების მიერ შეთქმულების მომწყობთ და მეორე, ქართული სამყარო, სადაც ძმა და საყვარელი ძმისშვილი დავითი. გულმოკლულია დედისმიდისადმი სიყვარულის გამო, ხოლო, სამეფო კარის ინტრიგებში გახლართული, ძალაუფლებისმოყვარე რატი გაღიზიანებულია მისი პოზიციით.

ნაწარმოებში იკვეთება მარიამის პოზიცია: მას სურს მშვიდობა საქართველოში, დაპირისპირებულთა მორიგება-შემომტკიცებისაკენ ისწრაფვის. ამიტომ იგი დავითის მხარესაა, სიყვარულის მხარესაა, საქართველოს მხარესაა, თუმცა ქართველნი ზურგს უკან მას ბერძენთა სასახლეებში მათ ინტრიგებში გახლართულ, მათი წეს-ჩვეულებათა საქართველოში გადმომტან ქალად მიიჩნევენ. კ. გამსახურდია ფიქრობს, რომ ასეც უნდა მსჯელობდნენ „უცხოეთში გათხოვილ ქალზე“, მაგრამ სწორედ მწერლის ოსტატობით უნდა გაიხსნას მარიამის ჭეშმარიტი სახე. ამისი მცდელობაცაა რომანის თითქმის ყველა თავში. ავტორი მაინც აღწევს მიზანს, მკითხველს დავით აღმაშენებლის პიროვნებასთან ერთად უყვართ მარიამ დედოფლის პერსონაჟი. იცოდებენ, ტირიან თუ უხარიათ მასთან ერთად. ეს კი ისტორიული სინამდვილის გადმოცემის ჭეშმარიტად დიდი ოსტატობაცაა, რაც არასოდეს იწვევს გაღიზიანებას და სავსებით ამართლებს ანნა კომნენის აზრს, რომ მარიამ ჰარმონიული პიროვნებაა, თავისი ვნებებით, მრისხანებით, თვით ქალური ეშმაკობითაც.

¹ გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.3, გვ.536-537

² გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.3, გვ.531

საოცარი სითბოთია გამსჭვალული კ. გამსახურდიასეული დახასიათება, რაც არაერთხელ გაიელვებს რომანში:

„უკეთუ ჩემმა ნათხრობმა თავი არ მოგაწყინა, ჩემო მკითხველო, შენც დარწმუნდები, ეგ ძელიცხოველი მშვიდობით ჩააღწევს იმ აღრეულ დროს ხუფთიდან კონსტანტინოპოლს. მერმე ნიკეადან გადაივლის სელჯუკიანთა სასულთნოს ერაყის გზით, რა თქმა უნდა, მარიამ დედოფლის წიგნის წყალობით, რადგან მარიამს შორიდან ეტრფოდნენ როგორც ნიკეას სულტანი ქილირჯ არსადანი, ისე მისი სარწმუნო კაცი ბიზანტიონში – ამირ აბდულ ვაჰიდი და იერუსალიმის მპყრობელს ნეჯიმ-ედდინ ილ-ლაზსაც განაგონი ჰქონდა ორი კეისრის ცოლყოფილის სიტურფის ამბავი“¹.

მარიამი მართლაც ზეთისხილის რტოა, რომელსაც ზოგჯერ ცდილობენ გამოიყენონ, რათა ქართული საქმე აკეთოს უცხო ქვეყანაში, თუმცა ეს არ გამოხდით, ვერც შეთქმულებაში ჩაითრიეს, ვერც თავის იარაღად გამოიყენეს. ამიტომ მისდამი კრძალვას განიცდიან მტრები თუ მოყვარენი. პირდაპირ ვერასოდეს ეუბნებიან სათქმელს, უბრალოდ გაცხადებენ გამოხატავენ მისი უანგარობის გამო. მარიამმა მინც ვერ შეითვისა ბუკოლეონის სასახლის მფლობელთა უცნაური და უხეში გართობანი ცხოველებით. ბოტანაისტესმაც კი მხარი დაუჭირა მის თხოვნას.

მარიამი განსწავლული ქალია, იცის ბერძნული, კითხულობს პლატონს, მსჯელობისას ხშირად იყენებს ბრძნულ გამონათქვამებს: „ანნა კომენამ შემაყვარა პლატონის „ნადიმი“. პლატონი გვასწავლის სულთა გარდავლენისა და ხელმეორედ აქ მოსვლის ამბავს.

თითქოს სიკვდილის შემდეგ სახენაცვალი ჩვენი სული სხვა ადამიანი, სხვა არსების სახით კვლავ უბრუნდებოდეს ამ პლანეტას“².

მარიამის შინაგან ბუნებას ასე ხსნის ავტორი: „თავად შეურყენელი ბუნების პატიოსანი, მარიამი, ყოველ ადამიანს გაცილებით მეტ კეთილშობილებას მიაწერდა, ვიდრე ეს ნამდვილად გააჩნდა მას, ნდომიერი და გულადი იყო თავადაც. ამიტომაც მოყვასისაგანაც თავანკარა ნდობას მოითხოვდა ხოლმე“³.

ავტორი თავად მარიამს ათქმევინებს გულმოკლულს: „ეჰ, ჩემო მელიტა, კვნესოდა მარიამი, ვერც სილამაზემ, რომელსაც შენ მომაწერ, ვერც ქრიზოტიკლიანის სასახლის ბრწყინვალეობამ, ველარც მოოქროვილმა დაღმატიკამ ვერაფერი მიშველა, როგორც მშვიერი მეჯადაგის ცოლმა ნაცარი, ვითარცა პური ვჭამე ჩემი სიცოცხლის მანძილზე და სასურველი ჩემი ტირილითა ჩემითა განვაზავე. ოჯახი დამენგრა და სამშობლოს დამეკარგა, მელიტა“⁴.

თავად ავტორს უნახავს ქრისტეპოლის სანახებში, კონსტანტინეპოლის მახლობლად, ორ მინარეთს შორის მდებარე პატარა ტაძარი, სადაც თავი შეაფარა გამონახვებულმა მარიამმა კონსტანტინე პორფიროგენეტის სიკვდილის შემდეგ. აქვე აღესრულა სამშობლოდან მძიმე მგზავრობის შემდეგ გადაღლილი მარიამი, რომელიც აღსასრულის ჟამს უკვე აღარ ჰგავდაო გელათში ღვთისმშობლის ფრესკას ან ვატიკანში დაცულ მინიატურას.

იდეალიზებულია თუ არა მარიამის სახე რომანში? ვფიქრობთ, კ. გამსახურდიას მიერ მისი სახის შექმნაში იმ სიტყვებმაც იქონია დიდი მნიშვნელობა, რომელიც გიორგი მთაწმინდელის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში იყო გაცხადებული: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“⁵.

ივანე ჯავახიშვილიც, „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში ზუსტად ემყარება მათიანე ქართლისას“ და გიორგი მთაწმინდელის ინფორმაციას და ასკვნის: „ამ ორს ზემოაღნიშნულს (დისწულის ალფარსლანზე გათხოვებასა და მართას მიხეილ დუკაზე) ცნობას საქართველოს ისტორიისათვის მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ სპარსეთის სულტანისა და ბიზანტიის

¹ გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.3, გვ.274

² გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.4, გვ.224

³ გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.4, გვ. 341

⁴ გამსახურდია კ. თხზ. სრ. კრ. ტ.4, გვ. 429

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ.307

კეისრის ბაგრატ მეფესთან დამოყვრებას საქართველოსათვის მშვიდობიანობა და მყუდროება უნდა მოეტანა და ძლიერ მეზობელ სახელმწიფოთა შემოსევისაგან უნდა უზრუნველყო¹ მანანა გაბაშვილის საფუძვლიანი კვლევით, სწორედ მართა-მარიამიც იყო, დავით კურაპალატიდან მოყოლებული, ქართველი მეფეების პოლიტიკურ ინტერესებშიც, „რომელიც ბიზანტიის ქართული ლობის მეშვეობით მოხერხებულად ლავირებდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის“ (მ. გაბაშვილი, 2013). აშკარაა, ესაა ბაგრატ IV-ის ხაზის გაგრძელება მარიამ-მართა დედოფლის სახით. ამიტომ ანიჭებს დიდ მნიშვნელობას მარიამის პერსონაჟს კ. გამსახურდია თავის ტეტრალოგიაში და „უცხოებაში გათხოვილი ქალის“ სახით ავრცობს ისტორიულ რეალობას მშვიდობისმოყვარეობისა და საქართველოს განმტკიცების იდეით ფრთაშესხმული. იდეალიზაცია თვითმიზანიც არის და მწერლის ხელთ არსებული წყაროების მეშვეობით, ფაქტის კონსტატაციაც, ამიტომ სჭირდება ავტორს ეს იდეალიზაციაც.

Tamar Gogoladze
Gori State Teaching University
HISTORICAL PERSONS AND ARTISTIC TEXT
RESUMME

K. Gamsakhurdia's Historical Novel - Tetralogy "David Aghmashenebeli" has become several times the object of study of researchers in the context of the historical reality in the fictional texts in the XX century. In this work we will refer only to the type of a grand aunt of the King David the Builder, Mariam the Queen, on the basis of the information review of one of the subjects (Chapter 13, Chapter 13) in the context historical reality;

In "Kartlis Tskhovreba" and in the II Volume of Georgian Nation History by Ivane Javakhishvili rather small amount of material is found about the daughter of King Bagrat IV, who was made to get married by force in the royal court in Byzantium and whose fate was closely tied to Byzantine political events. However, her role from the historical view did not appear to be important in the ongoing process, but we suppose that George Mtatsmindeli's famous phrase concerning Theodora the Queen's death," call all that as the Queen went out and the Queen entered" could have become the starting point for a historical novel by Konstantine Gamsakhurdia for creating not only one subchapter but also for the entry and development of the king's daughter's character. If we relay Ivane Javakhishvili knitting family ties between the King Bagrationi and the Byzantine emperor had to establish "peace and calm";

In the thirteenth chapter, Martha the queen is mentioned for the first time in the novel (she is mentioned as Mary in the novel) and a very complex information about her is presented, artistically written by the writer's imagination, draws the reader's attention throughout the whole tetralogy;

For the historians or literary scientists the character of Queen Mary (Martha) should be considered as a typical and interesting event in the background of the political periphery of the history of Georgia, which is also presented in our present article.

¹ ჯგავახიშვილი ივ. თხზ. 12 ტომად, ტ. 2, თსუ, თბილისი, 1983, გვ.154

ACTIVITIES OF KING DAVID THE BUILDER (AĞMAŞENEBELI) ACCORDING TO ISLAMIC SOURCES

There have been statesmen who left great marks in the history of every nation. They carry their countries and nations further from where they are and lay the foundation for ascension. Thanks to their achievements, reforms and future plans, their states and nations rise to the top of their power. King David the builder is such a person for Georgians. We aim to try to reveal the perspective of Islamic historians on King David's activities with our proceeding we present at this meeting held for his memory.

When David came to power at the age of sixteen, Georgia had been under the Seljuk rule for nearly a quarter of a century. During the Caucasus campaign of Sultan Alp Arslan in February 1064, the country was captured by the Seljuks. The Seljuk army, which entered Anatolia from here, conquered Ani Castle on August 16, 1064.¹ When King Bagrat realized that resisting against the Seljuks would not be beneficial, he decided to come to an agreement with Sultan Alp Arslan. The Georgian King would pay taxes to the Seljuk ruler, and in return for it he would continue to rule his country. Bagrat broke the treaty in 1065 by attacking the Shaddadid allies of the Seljuks. Upon this, Alp Arslan set out for a campaign against the Georgians for the second time in 1067-1068 and forced Bagrat to obey again.² After his death in 1072, King Giorgi captured the Klarjeti and broke the agreement with the Seljuks. However, the new Sultan Malik-Shah, who was on the Seljuk throne, did not remain silent. As soon as he prevented the inner throne fights, he sent an army against the Georgians in 1076.³ The places captured by Georgians were taken back.⁴ The Seljuk army controlled Derbent, Tbilisi and Shirvan. Thereupon, Giorgi had to offer his loyalty to the Seljuk Sultan.⁵ This was the situation in the country when David ascended to the throne. Moreover, some lords wanted to take power by cooperating with the Turks.

The death of Malik-Shah in 1092 led to a new era in the history of the Seljuk. The Seljuk Empire which was at the height of its power, was dragged into a great crisis due to the throne fights. While the Seljuks were handling these problems, the Crusade started. Therefore, a great confusion arose in the Islamic world. All these changes gave David the opportunity he was looking for. David wanted to make his country independent again, but did not have enough political unity and military power to do so. Moreover, Sultan Malik-Shah was in the Seljuk throne, who brought his state to the top of his power. There was no choice but to wait for the appropriate time for what was thought to be done under these conditions.

The death of Malik-Shah in 1092 led to a new era in the Seljuk history. The state, which was at the height of its power, was dragged into a great crisis due to the throne fights. The Crusade,

* Ondokuz Mayıs University Faculty of Arts and Sciences Department of History, SAMSUN/TURKIYE.

¹ M. Brosset, **Histoire de la Georgie**, Vol. I, Saint-Petersburg 1849, p. 327; Stephannos Orbelian, **Histoire de la Siounie**, Vol. I, Saint-Petersburg 1864, p. 215; Kamāl al-Dīn ibn al-‘Adīm, **Buğyat at-Talab fī Tārīh Halab**, translated by A. Sevim, Ankara 1976, p. 17; Şemsüddin Ebû'l-Muzaffer Yusuf b. Kızıoğlu Sibt İbnü'l-Cevzî, **Mir'âtü'z-Zeman fī Tarihi'l-Âyan**, translated by A. Sevim, Ankara 1968, p. 117; Gregory Abû'l-Farac, **Abu'l-Farac Tarihi**, Vol. I, translated by Ö. R. Doğrul, Ankara 1987, p. 316; İbnü'l Esîr, **El-Kâmil fi't-Tarih**, Vol. X, translated by A. Özeydin, İstanbul 1991, pp. 50-51; Müverrih Vardan, "Türk Fütuhâtı Tarihi" translated by H. D. Andreasyan, **Tarih Semineri Dergisi**, Vol. I-II, İstanbul 1937, p. 177; **Urfalı Mateos Vekayi-Nâmesi (952-1136) ve Papaz Grigor'un Zeyli (1136-1162)** translated by H. D. Andreasyan, Ankara 1987, pp. 119-120.

² Sadruddin Ebu'l-Hasan Ali ibn Nasır ibn Ali el-Hüseyni, **Ahbâr üd-Devlet is-Selçukiyye**, translated by N. Lugal, Ankara 1943, pp. 24-25, 30-31; V. Minorsky, **Studies in Caucasian History**, London 1953, p. 75.

³ Mariam Lordkipanidze, **Georgia in the XI-XII. Centuries**, Tbilisi 1987, p. 75.

⁴ W.E.D. Allen, **A History of The Georgian People**, London 1932, p. 93.

⁵ **Anonim Selçuknâme**, translated by F. N. Uzluk, Ankara 1952, p. 9.

which started while the Seljuks were handling these conflicts, caused a great problem for the Islamic world. All these changes gave David the opportunity he was looking for.

King David behaved very carefully against the Seljuks who settled in his country. He did not attack them. He tried to reach his goal by organizing expeditions to Turks in different regions at various times. The campaign he organized to the Samshilde region in 1100 was the first of these and he managed to drive the Turks away.¹ This was David's first victory against the Seljuks who settled in his country. He successfully returned from the expedition he organized to Maslata in 1110. Then in 1115, he took Rustavi, which was very important for the Turkish raids, and forced them to move away from their winter headquarters. The Turks here had to come to the Tao. The King, who entered the Sp'eri (Ch'orokhi) Valley in February the following year, attacked the Turks in Klarjeti in March. As a result of this campaign, he took Tao and Klarjeti back from the Turks.²

While forcing the Turks to retreat, David was trying to subordinate the dissident nobility in his country. In this respect, he achieved significant success in his activities in 1116 and 1117. While these were happening in the country, there were developments in the world that were closely related to Georgians. While David was trying to control his opponents, the Seljuk Sultan Mohammed Tapar and Byzantine Emperor Alexios died. Internal turmoil arose in both states. This was an important opportunity for David. However, a significant part of his country was still under the Seljuk rule and he needed more soldiers to put an end to this. He decided to have it from his relatives, Kipchaks.

King David got in touch with the Kipchaks who were trapped in the north of the Black Sea under the pressure of the Russians. He married the daughter of Atrak, who was the leader of the Kipchaks in the region in 1109-1110. He developed good relations with that Kipchak group, which started to accept Christianity from the beginning of the century. When the Georgian King was in contact with the Kipchaks, the Kipchaks under the Atrak rule were generally defeated in the wars they had with the Russians from 1103 to 1116 and had to retreat to the Don-Kuban region.³ Stuck with the Russian pressure, Atrak accepted the invitation of his son-in-law David in 1118 and decided to go to the Georgian king.⁴ David made an agreement with Ossetians to prepare the passage route of the Kipchaks who were preparing to migrate to his country and took Daryal passage under control for them to pass. After that, the Kipchaks started to descend from Abkhazia to the south.⁵

The number of Kipchaks who migrated to the country at David's invitation was sufficient enough to have an army of forty thousand people.⁶ Before this great migration, five thousand soldiers had come to the country. Thus, a Kipchak group of forty-five thousand families migrated to Georgia. Although Atrak soon returned to the steppe along the Don river,⁷ most of the Kipchaks who migrated to the country remained in Georgia. With the coming of the Kipchaks to Georgia, there have been important changes in the political, economic and social structure of the country. While inviting the Kipchaks, David was thinking of removing the Seljuks from the country and eliminating the Tbilisi emirate.⁸ In return for each Kipchak family to send a horse-drawn soldier, David gave them land to settle down. The Kipchaks made up the two-thirds of David's army, which consist of sixty thousand men. The Kipchaks' warrior skills were well known by the tribes in the

¹ Robert W. Thomson, **Rewriting Caucasian History**, Oxford 1996, pp. 316-317.

² M. F. Brosset, **Histoire de la Géorgie**, p. 359; **The Georgian Chronicle The Period of Giorgi Lasha**, edited by S. Qaukhchishvili, translated by K. Vivian, Amsterdam 1991, pp. 16-17; **Juansher's Concise History of the Georgians**, translated by R. Bedrosian, New York, 1991, p. 110; Michael Pereira, **East of Trebizond**, London, 1971, p. 72.

³ Peter B. Golden, **Türk Halkları Tarihine Giriş** translated by O. Karatay, Ankara 2002, p. 233.

⁴ Akdes Nimet Kurat, **IV-XVIII. Yüzyıllarda Karadeniz Kuzeyindeki Türk Kavimleri ve Devletleri**, Ankara 1992, pp. 83-84.

⁵ R. W. Thomson, **Caucasian History**, pp. 327-328.

⁶ **Juansher's Concise History of the Georgians**, p. 112; M. F. Brosset, **Histoire de la Géorgie**, p. 364.

⁷ L.N. Gumilëv, **Hazar Çevresinde Bin Yıl** translated by A. Batur, İstanbul 2000, p. 270.

⁸ Guili Alasania, "Gürcistan Kıpçakları", **Türkler**, Vol. II, Ankara 2002, p. 793-794.

Caucasus. That's why they were afraid of Kipchaks.¹ This support took effect in a short time. Abkhazians who opposed David's authority had to side with David.² With the arrival of the Kipchaks, the lands left without population in the border regions were reopened for settlement.³ Thus, the Kipchaks gained the character of being the only factor supporting the demographic structure in favor of the Georgians among the nomads who came to the region.⁴

The activities of David for his country since 1100 can be mostly followed by the works of Georgian historians. His victories against the Seljuks caused Armenian historians to be interested in the events. However, Islamic historians were unaware of these events. Because they were following closely the throne struggle that the Seljuk State fell into after the death of Malik-Shah. The Crusade, which started while this turmoil had been going on, was of great interest to Islamic historians. The Crusaders' seizure of Jerusalem, Tripoli, Antioch and Edessa was a great devastation for the Muslims. Consequently, Islamic historians were also busy with recording these events in detail. Therefore, they could not pay attention to the developments in the Caucasus.

When the Kipchaks entered under the service of David, the internal turmoil continued in the Seljuk Empire. Sultan Mohammed Tapar died and his son Mahmud replaced him. However, the Sultan's brother Sencer seized power by dethroning his nephew.⁵ In Anatolia, on the other hand, the struggle between the Turks and the Crusaders continued.⁶ Under these conditions, David started a great operation against the Seljuks in his country. His first job was to remove the Turkmens in the Kura and Sp'eri valleys. One year after the victory achieved in 1120, the Georgian King captured the Borchaly region and conquered the region from Kura to Panaki.⁷ Gazi, the emir of Ganja, who wanted to stop his progress, had a heavy defeat against the Georgian army. Ganja was also under the control of Georgians. Those who survived this war sought refuge with the leader of the Artukids, Il-Gazi, son of Artukh (Arduq').⁸

In 1121, after Turks escaping from Georgians took refuge in Artukids, Islamic historians began to show interest in David's activities for the first time. Until this time, the historians of Islam, who could not follow the developments in the region for various reasons, now started to include the stories of the Turkmens who had to migrate from the Caucasus.

The activities carried out by the Georgian King against the Seljuks and the success he achieved had worried the Muslim people of Tbilisi. The people, who did not want to be under the rule of David, appealed to Il-Gazi in 1121 and called him to the region and declared that they wanted to gounder the Artuklu administration.⁹ Upon this, an army was formed with the participation of reinforcements from Syria, Ganja and Aleppo under the leadership of Il-Gazi and they organized an expedition against the Georgians. The Turkish army reached Manglisi on August 18, 1121 and from there to Didgori, where it encountered the Georgian army. However, he suffered a heavy defeat and had to retreat.

The Didgori war is the first event in which Islamic sources showed great interest in David and his activities. The work of the Georgian king since 1100 to save his country from Seljuk rule had not attracted the attention of Islamic historians. His capture of various regions from the Turks did not find a place in Islamic sources. Likewise, they did not know about the Kipchaks migrating to Georgia. In other words, the entry and development stages of David's plans to make his country

¹ R. W. Thomson, **Caucasian History**, p. 328.

² Valeri Beygua, **Abhazya Tarihi** translated by P. M. Tuna, İstanbul 2000, p. 37.

³ W. E. D. Allen, **A History of the Georgian People**, p. 99.

⁴ Hayrapet Margarian, "The Nomads and Ethnopolitical Realities of Transcaucasia in the 11th-14th Centuries", **Iran&Caucasus**, Vol. 5, 2001, p. 76.

⁵ Müneccimbaşı Ahmed b. Lütfullah, **Câmiu'd-Düvel**, Vol. I translated by A. Öngül, İzmir 2000, pp. 112-117.

⁶ **Azîmî Tarihi Selçuklularla İlgili Bölümler** translated by A. Sevim, Ankara 1988, p. 53-54.

⁷ **Kartlis Tskhovreba** edited by R. Metreveli, Tbilisi 2014, p. 179.

⁸ **Urfalı Mateos Vekayi-Nâmesi**, p. 268.

⁹ Ahmed b. Yusuf b. Ali İbnu'l-Ezrak, **Meyyâfârikîn ve Âmid Tarihi** translated by A. Savran, Erzurum 1992, p. 34.

independent cannot be followed from the Islamic sources. They faced the result of these plans in 1121. This was remarkable news for Islamic historians when the Turkish lords in Eastern Anatolia came together to stop the Georgian advance. That's why they gave much detailed information about what happened in Didgori¹ as their other colleagues.² Thus, Islamic historians were added to Georgian and Armenian historians who talked about David's activities.

The victories of David in 1120-1121 were the most important success of the Georgians against the Seljuks until then. The Georgian kings, who had been trying to escape from the Seljuk rule since the Bagrat period, could not achieve these goals. Consequently, the authorities of the kings were shaken and the feudal lords gained power due to the instability. That is why, the achievements in a short period of two years are one of the turning points in Georgian history. Georgians rightly began celebrating the victory in Didgori as the "didgoroba" holiday in mid-August.³ Seljuks started to leave Georgia.

Seeing that there was no serious force left to oppose him, David marched over Tbilisi in the following year of his victory at Didgori. He captured the town without encountering any significant resistance. Thus, Tbilisi, which had been under the rule of Muslims for four hundred years, came under the control of Georgians. However, only some of the Islamic sources that give information about the Didgori war inform regarding the capture of Tbilisi.⁴ The same situation manifests itself in the incident in 1123. This time, David organized an expedition to the Shirvanshahs, one of the most important allies of the Seljuks in the Caucasus. Thus, for the first time, he was trying to spread his domain by crossing the eastern borders. He was also successful in it. He tied the Shirvanshahs to taxes.⁵

David, who took the control of Shirvan, organized a new operation in the spring of the same year and entered the Eastern Anatolia region. The Georgian army seized the fortresses of Somkhiti, Gagta, T'erunak'al, Kavazin, Norbed, Manasgom and Talinjakar without any resistance, captured Javakheti, K'ola, K'arnifor, Basiani.⁶ Thus, the Georgian king started to spread to the places where the Bagrat family once ruled, by taking over the places where the Turks were dominant in Anatolia. His capture of these places gained him a great reputation among the Christians in the region. It is possible to clearly understand it from Armenian sources.⁷ However, it is not possible to obtain information about these events from Islamic historians.

The last event reported by Islamic historians regarding the David era is the war fought in Shamakhi in 1123. The people of Shirvan, who came under the control of the Georgians, sent a message to the Iraq Seljuk Sultan Mahmud and asked him for help. According to some Islamic sources, upon this development the Seljuk ruler went on a campaign against the Georgians. It is noteworthy that after a long time a Seljuk ruler went on a campaign against the Georgians. Another feature of this expedition is that after a long time the Seljuks dominated the Georgians.⁸ However, this superiority will not last long. On August 20, 1124, a delegation from Ani asked King David for help to protect themselves against the Turks. Upon this, the Georgian King immediately took an action and seized the town. Islamic historians did not show interest in this event, which has a great

¹ Ebu Ye'la Hamza b. Esed et-Temîmî İbnu'l Kalanisi, **Zeyl Tarihu Dimeşk** published by Amedroz, Beyrut 1908, pp. 204-205; İmâdu'd-Din İsmail Ebu'l Fida, **Tarih**, Vol. II, İstanbul 1864, p. 247; Kemâluddîn Ebu'l-Kâsım Ömer İbnu'l Adîm, **Buğyetu't-Taleb fî Tarih Haleb**, Vol. II, Şam 1954, pp. 199-200 vd.; İbnu'l-Ezrak, **Meyyâfârikîn ve Âmid Tarihi**, p. 35.

² Juansher's **Concise History of the Georgians**, p. 113; M. F. Brosset, **Histoire de la Géorgie**, p. 366; Smbat Sparapet's **Chronicle**, p. 68; Urfalı Mateos Vekayi-Nâmesi, p. 270; R. W. Thomson, **Caucasian History**, pp. 331-332; **Abu'l-Farac Tarihi**, Vol. II, p. 357.

³ Ronald Grigor Suny, **The Making of the Georgian Nation**, London 1989, p. 36.

⁴ İbnu'l-Esir, **El-Kâmil fî't-Tarih**, Vol. X, p. 450; İbnu'l-Ezrak, **Meyyâfârikîn ve Âmid Tarihi**, pp. 35-36.

⁵ R. W. Thomson, **Caucasian History**, pp. 334-335.

⁶ M. F. Brosset, **Histoire de la Géorgie**, p. 369; **Kartlis Tskhovreba** edited by R. Metreveli, p. 182.

⁷ Urfalı Mateos Vekayi-Nâmesi, p. 276; Smbat Sparapet's **Chronicle**, p. 69.

⁸ İbnu'l-Esir, **El-Kâmil fî't-Tarih**, Vol. X, pp. 486-487; El-Feth b. Ali b. Muhammed el-Bundârî, **Zübdetü'n-Nusra ve Nuhbetü'l-Usra (Irak ve Horasan Selçukluları Tarihi)** translated by K. Burslan, İstanbul 1943, p. 133.

place in Armenian and Georgian sources.¹ However, the town, which had been in the hands of the Seljuks since 1064, fell into the hands of Christians sixty years later. Although the Turkish emirs in the Eastern Anatolia tried to recapture the city after a year with the army they gathered, they could not be successful.

David, who brought the Georgian Kingdom to its golden age, died on Saturday, January 24, 1125, at the age of fifty-three after thirty-six years of power, and his son Demetre replaced him.² Thus, a very important period of Georgian history came to an end.

As a result, King David took his place in the pages of history as a person who saved his country from the Seljuk rule. He not only gained independence but also provided the political unity in his country by strengthening the central authority. In doing this, David took every opportunity well. He took advantage of the throne fights in the Seljuks. By inviting the Kipchaks to his country, he gained the military power he needed. He subdued the lords who opposed against this authority. Starting from 1100, he took action against the Turkmens in his country and forced them to migrate through the expeditions he organized. It is possible to closely follow these activities which gained intensity following the year of 1115 from Georgian and Armenian sources.

Islamic historians were unaware of this when King David was initiating a major change in his country. In general, they were discussing issues that concern Muslims. Therefore, they closely followed the throne struggles that started in the Seljuks after the death of Malik-Shah and the Crusades that started at that time. They did not spare too much space for what was happening in Georgia. However, when some of the Turks who escaped from the Georgians in 1121 took shelter in Il-Gazi and told what happened to them, Islamic sources started to show interest in the developments in the Caucasus and Eastern Anatolia. Because Il-Gazi was praised by the Muslims with his victories against the Crusaders and was followed closely by historians. The defeat of the Turkish emirs, who went on an expedition to stop the Georgians under his leadership, in Didgori is the most important event of Islamic sources. Even though they also mention the capture of Tbilisi by David and the war between the Seljuks and Georgians in Shamakhi, the developments in the region did not lead to Islamic historians to show any interest in.

¹ Juansher's Concise History of the Georgians, p. 115; Urfah Mateos Vekayi-Nâmesi, pp. 279-280; Smbat Sparapet's Chronicle, p. 70.

² R. W. Thomson, *Caucasian History*, p. 353.

დიმიტრი უზნაძე ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე

წინამდებარე ნაშრომი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს, გამოარკვიოს ერთი კონკრეტული საკითხი – როგორაა გაშუქებული დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხები. ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს ნაშრომი ამ თემის გაშუქების პირველი მცდელობაა.

დიმიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ყურადღება ექცევა ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქებას. აქ არ გვხვდება ავსტრიის ახალი ისტორიის გაბმული თხრობა, მაგრამ სხვადასხვა კონტექსტში ისინი ეხებიან ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებს. ეს სწორი მიდგომა იყო, ავსტრიის ისტორია კადრს მიღმა არ რჩება და ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმოდენობითი ბაზა ძალზე მწირია. ისინი ამ თემას ეხებიან, „ახალი ისტორიის“ პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვა არჩევანი არ გავაჩნია, იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს.

ამ მარტივ, მიაშიტურ მსჯელობას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე-ახალგაზრდობას კარგად დააკვლიანებს და ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებს, მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ის ამართლებს თავის დანიშნულებას¹. ფაქტობრივად, საძირკველი ჩაუყარა საქართველოში ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების სწავლებას, შესწავლას, პოპულარიზაციას. მან მკვეთრად შეიძინა ეროვნული მუხტი. ეს იყო სერიოზული, წინგადადგმული ნაბიჯი, რომლის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

ავსტრიის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების განხილვის დროს დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებზე იდგნენ. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლიუსები და მინუსები. ამიტომ, სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის აპოლოგეტური შეფასება ანდაც შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნება, ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია. უნდა ვეცადოთ, გამოვძებნოთ საშუალო ხაზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად ვცადოთ, ავხსნათ მისი გამოწვევი მიზეზები. ასე გვესახება საკითხებისადმი მეცნიერული დამოკიდებულება.

აღნიშნული პრობლემის განხილვის დროს ისინი, როგორც თავად სახელმძღვანელოს ავტორები აღნიშნავენ, ეყრდნობიან ცნობილი რუსი ისტორიკოსების პროფ. პავლე ვინოგრადოვის ახალი ისტორიის² სასკოლო სახელმძღვანელოს.

¹ უზნაძე დ. დავგველესიანი ივ. „ახალი ისტორია XVIII-XIX სს.“, თბ., 1919.

² Виноградов П. Учебник всеобщей истории, часть 3. Новая время. М., 1913.

ასეთი არჩევანი, ცხადია, საყურადღებოა, შემთხვევითი არ გახლავთ და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის უმთავრესად მათი ლიბერალური შეხედულებების თანხვედრითაა განპირობებული. მათ იმიტომ გააკეთეს არჩევანი პავლე ვინოგრადოვის სახელმძღვანელოზე, რომ ის სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს, მსოფლმხედველობას. აქცენტი კეთდებოდა ლიბერალურ ღირებულებებზე. ამიტომ, ჩვენი აზრით, მთელი ეს მსჯელობა, მათეულად შეიძლება იქნას აღქმული. ისინი იზიარებდნენ იმ შეხედულებებს, რომლებიც პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოში ამოიკითხეს, პროფ. პავლე ვინოგრადოვის სახელმძღვანელოზე აპელირება, ჩვენი აზრით, არაფრით აკნინებს ამ სფეროში მათ დამსახურებას. ეს ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალია იმ ექსტრემალურ ვითარებიდან, რომელიც შეიქმნა დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკაში, 1918-1921 წლებში. სახელმძღვანელოს დაწერას დრო სჭირდებოდა, დრო კი მათ არ ჰქონდათ, რისი გაკეთებაც მოასწრეს, გააკეთეს. ეს გახლდათ წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული ნაბიჯი. საჭირო იყო, შექმნილი ვითარებიდან სასწრაფოდ მოეძებნათ გამოსავალი, რაც გააკეთეს კიდევ. ეს მათი პლუსი იყო. ისინი ცდილობენ, ფეხი აუწყონ, არ ჩამორჩნენ იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში. ამან, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, განსაზღვრა ამ სახელმძღვანელოს მაღალი მეცნიერული დონე. ამიტომ ამ მისადმი ნიჰილისტური მიდგომა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილად არ მიგვჩნია¹.

უწინარესად, საჭიროა, სწორი კრიტერიუმი შევიშუშაოთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას მოგვცემს, კვლევა მეცნიერულ კალაპოტში წარვმართოთ, ადეკვატურად გავიაზროთ მათი წვლილი აღნიშნული პრობლემის სწავლებისა და პოპულარიზაციის საქმეში. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად ვერ გამოგვადგება. ასეთ მაღალ მიზნებს სახელმძღვანელოს ავტორები – დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი არ ისახავდნენ. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა და ავსტრიის ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ კულტურტრეგერულ მისიას სახელმძღვანელოს ავტორებმა, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათი წარმატება იყო. აი, ეს არის სწორედ მთავარი. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ავსტრიის ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი იწერებოდა, ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და საქართველოში აღნიშნული თემატიკის პოპულარიზაციის პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

თავდაპირველად უნდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც აქტუალური იყო მაშინაც და ასეთად რჩება დღესაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებით დ. უზნაძეს და ივ. გველესიანს იმაში, რომ სკოლის სახელმძღვანელო გადატვირთული არ უნდა იყოს ფაქტობრივი მასალით. ეს ურთულებს მოსწავლეებს მთავარი სათქმელის აღქმას. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ფაქტების გროვას. ასეთი სახელმძღვანელო საინტერესო არ იქნებოდა, მაგრამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ისინი, ეტყობა, სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდნენ. ეს იმით გამოიხატება, რომ ისინი ცდილობენ, სახელმძღვანელო განტვირთონ ფაქტობრივი მასალისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტი მოუვიდათ. მთელ რიგ ისტორიული მოვლენების თარიღებს, რომელზეც მიმდინარეობს მსჯელობა, სახელმძღვანელოში არ ასახელებენ. კონკრეტულად, არ მიუთითებენ, მეფეების ზეობის თარიღებს, ასე მაგალითად, ისინი წერენ იოსებ მეორის გარდაცვალების თარიღს – 1790 წელი, მაგრამ არ ახსენებენ მისი ზეობის ხანას (ის მეფობდა

¹ კალანდაძე მ. დიმიტრი უძანაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს შესახებ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17., თბ., 2017.

1780-1790 წლებში). თუ დაასახელებენ მისი გარდაცვალების თარიღს, ლოგიკური იქნებოდა, მიგვეთითებინა მისი ტახტზე ასვლის თარიღიც, ამას შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს¹. ამიტომ, საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება არათანმიმდევრულად მიგვაჩნია. წიგნი არ უნდა დავამდიმთ ფაქტებით, მაგრამ თარიღებისაგან მისი სრული განტვირთვა მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. უნდა გამოვძებნოთ ოქროს შუაგული. ვფიქრობთ, აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება, ისინი ამ საკითხის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესში იმყოფებიან.

ავსტრიის ახალი ისტორიის საკითხებს დიმიტრი უზნაძე და ივანე გველესიანი პირველად ძალიან მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით ეხებიან მონაკვეთში „კათოლიკური რეაქცია ავსტრიაში“ და რეფორმაციას და კონტრრეფორმაციას შორის დაპირისპირების კონტექსტში განიხილავენ. ეს იყო სწორი ნაბიჯი. აქცენტების დასმა საინტერესოა და კარგად გამოხატავდა ლიბერალური წრეების განწყობილებას. მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ამით აისხნება, რომ მათი სიმპათია გაცილებით უფრო პროგრესული საწყისისაკენ იხრება და რეფორმაციის ბანაკს თანაუგრძნობს, ხოლო კონტრრეფორმაციის მომხრეებს, რომელთა ერთ-ერთი ლიდერის როლში ავსტრია გამოდიოდა, სიმპათიებით არ ეკიდება. ასეთ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და ამ საკითხზე მათი მსჯელობის პლიუსია. ამგვარი დამოკიდებულება სავსებით მართლზომიერი ჩანს და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ისინი, როგორც ლიბერალები, მხარს უჭერენ ახალი იდეების გავრცელებას, რეფორმაციას. ამგვარი უარყოფითი განწყობილება, ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და კონტრრეფორმაციისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების ლოგიკური გაგრძელების ექოდ გაისმის.

საინტერესოა მათი დამოკიდებულება ავსტრიის იმპერატორების – რუდოლფ მეორის (1576-1612) და ფერდინანდ მეორისადმი (1619-1637). ისინი მათზე მაინცდამაინც ძალაღიჯის არ უნდა ჩანდნენ. მათი ზეობის თარიღს რატომღაც არ მიუთითებენ. ამის გაკეთება სასურველი იქნებოდა². მათ შემეცნებითი დატვირთვა გააჩნიათ.

სახელმძღვანელოს ავტორები ავსტრიის ისტორიას მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში „განათლებული აბსოლუტიზმის“ კონტექსტში განიხილავენ და განსაკუთრებით დიდი ყურადღებას უთმობენ იოსებ მეორის (1780-1790) რეფორმებს. ამ შემთხვევაში პრიორიტეტული ავსტრიის საშინაო პოლიტიკა ხდება. ხაზგასმულია, რომ რეფორმების გატარების საქმეში იოსებ მეორის უშუალოდ წინამორბედად მარი ტერეზა (1740-1780) გვევლინება. რეფორმების მიმართულებით პირველი ნაბიჯი სწორედ მარი ტერეზამ გადადგა. „ჯერ კიდევ მარი ტერეზამ შეიტანა თვალსაჩინო გაუმჯობესება საფინანსო მდგომარეობაში, საეკლესიო წეს-წყობილებაში, მაგრამ ეს ფრთხილი რეფორმები არ აკმაყოფილებდა იოსებ მეორეს და იგიც იმთავითვე სახელმწიფო ცხოვრების ყველა დარგის გარდაქმნას შეუდგა“³. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. სასურველი იქნებოდა, მითითებული ყოფილიყო ავსტრიის იმპერატორის ზეობის ხანა – 1740-1780 წლები.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში მარი ტერეზას რეფორმების გაშუქებამ უწინარესად მაინც გარკვეული უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა. ეს იმით გამოიხატა, რომ ამ თემის გაშუქებას პერიფერიული დატვირთვა ენიჭება. ეს საკითხი განხილულია სასხვათაშორისოდ, ძალზე მოკლედ და სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. ის იოსებ მეორის რეფორმების გაშუქების ისტორიული ფონად შეიძლება იქნას მოაზრებული. ნებისმიერ შემთხვევაში არ ვაკნინებთ მარი ტერეზას რეფორმების მნიშვნელობას? ავსტრიის იმპერატორიცა მარია ტერეზას (1740-1780) სახით საქმე გვაქვს „განათლებული მონარქის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან და ამის

¹ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

² უზნაძე დ., გველესიანი ივ. ახალი ისტორია (XV-XVII სს.) თბ., 1920, გვ. 92-93.

³ უზნაძე დ., გველესიანი ივ. ახალი ისტორია (XV-XVII სს.) გვ. 74-75.

გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, გამართლებული არა უნდა ჩანდეს. „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეის მომხრეების სია არასრული იქნება.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ერთი გარემოება, მრავლისმეტყველად მიგვაჩნია, რომ დ. უზნაძე და ივ. გველესიანი კრინტს არ ძრავენ და დუმილით უვლიან გვერდს 1776 წელს ციხეში პატიმრების წამების აკრძალვას, რაც მარი ტერეზას რეფორმების პლიუსია. ყურადღებას გამახვილებთ ორ გარემოებაზე. ერთი ძნელი საფიქრელია, რომ დ. უზნაძეს და ივ. გველესიანს ეს ფაქტი არ სცოდნოდათ. მეორე – დიდი ალბათობით, ამ ფაქტისადმი მათი, როგორც ლიბერალების დამოკიდებულება, უარყოფითი არ შეიძლება ყოფილიყო. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ იყო და მარი ტერეზას რეფორმისადმი მათი გულგრილი დამოკიდებულებების მწვერვალად შეიძლება იქნას მოაზრებული¹. რომელ „ფრთხილ რეფორმებზეა“ საუბარი? ასეთი დამოკიდებულება უცნაური გვეჩვენება და მათი მსოფლმხედველობის საერთო კონსტექტიდან ამოვარდნილი უნდა ჩანდეს. ამგვარად, მარი ტერეზას რეფორმებისამდმი სახელმძღვანელოს ავტორების, დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის დამოკიდებულება ამ თემაზე მათი მსჯელობის აქილევსის ქუსლად შეიძლება აღვიქვათ.

სასკოლო სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ეთმობა სიახლეებს და ნოვაციებს იდეების სფეროში „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეით დაინტერესება ამის ექოდ გაისმა. სწორედ ამ კონტექსტშია განხილული ზოგადად ავსტრიის ისტორია. კონკრეტულად კი იოსებ მეორის მოღვაწეობა, მისი რეფორმები.

„განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეისადმი, სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ივ. გველესიანის სიმპათია ცხადია, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში ძევს. საქმე ის გახლავთ, რომ „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეა შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. რევოლუცია ზემოდან, ზომიერი გარდაქმნები, ლიბერალური რეფორმები. ასეთი მონარქის საუკეთესო ნიმუშად, მათ ესახებოდათ პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე (1740-1786) და ავსტრიის იმპერატორი, იოსებ მეორე (1780-1790).

შეიძლება ითქვას, რომ ისინი, როგორც ლიბერალები, იოსებ მეორეს მოღვაწეობაზე საკმაოდ მაღალი აზრის უნდა ჩანდნენ. ავსტრიის იმპერატორის მიერ განხორციელებული რეფორმების დადებითი შეფასება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და მისი მიზეზები, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ის, „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეისადმი სიმპათიის გამოძახილია. ისინი იოსებ მეორის რეფორმების შეფასებას პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ, ეს არის საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ისინი სწორად გადმოგვცემენ იოსებ მეორის რეფორმების შინაარსს, რაც ემპირული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკურ შედეგად გვევლინება. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი პლუსია.

სახელმძღვანელოს ავტორებს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული იოსებ მეორის რეფორმების მნიშვნელობა და მასზე, როგორც „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეის მომხრეზე, დადებითი აზრის არიან. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრიის საშინაო პოლიტიკაში რეფორმების გატარება პრიორიტეტულად იქცა. ასეთი კურსი, რა თქმა უნდა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, როგორც ავსტრიის ისტორიის კომპეტენტური რუსი მკვლევარი პ. მიტროფანოვი დასძენდა, პირველ ყოვლისა, „მარი ტერეზას და ოსებ მეორის რეფორმები წარმოადგენდა არა მოღური ფილოსოფიით გატაცებას, არამედ განპირობებული იყო პრაგმატუ-

¹ Шмидт А. Франц II и Мария Терезия, «Льезеры, р.д., 1997. Митрафанов П. История Австрии, СПб., 1910. Пристер Е. История Австрии, М. 1952 კალანდაძე მ., მარი ტერეზა, საქართველოს ქალი, №5-6. 2001. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002.

ლი მოსაზრებით, სახელმწიფო ინტერესებით“¹. ის არ ატარებდა წმინდა კონიუნქტურულ ხასიათს. ეს კარგად უნდა ესმოდეთ დ. უზნაძესაც და ივ. გველესიანსაც.

ავსტრია წარმოადგენდა მრავალეროვან სახელმწიფოს, რომელსაც თანამედროვეებმა „ნაჭრებიანი მონარქია“ შეარქვეს. ავსტრიის მონარქიის აქილევსის ქუსლი მუდამ იყო სუსტი ცენტრალიზაცია. მარი ტერეზას და იოსებ მეორის რეფორმები სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. სახელმწიფოს ცენტრალიზაციის, უნიფიკაციის, პროცესი, უდავოდ, პროგრესულ ხასიათს ატარებდა და გააჩნდა თავისი შუქ-ჩრდილები. რამდენად ჰქონდათ გაცნობიერებული სახელმძღვანელოს ავტორებს ეს საკითხი? ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით გამოვარკვიოთ ეს. „როდესაც იმპერატორი იოსებ მეორე დახვსებულ დაწესებულებებს აუქმებდა და მოქალაქეობრივი თავისუფლება შემოჰქონდა, იგი ცდილობდა ნახევრად ფეოდალური მიწა-წყალი ერთგვარად ბიუროკრტიულ სახელმწიფოდ გარდაექმნა, რომ იგი მისი მორჩილი ყოფილიყო“². ამ მიმართულებით გადადგმულ კიდევ ერთ სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენდა ერთიანი ზომის წონის ერთეულის შემოღება. „სახელმწიფოში ახალი დანაწილება შემოიღო. ამ დანაწილებას საფუძვლად მან არა ისტორიული, არამედ მათემატიკური პრინციპი (თანასწორ-ზომიერება) დაუდო“³. ამის შემდეგ ისინი დასძენდნენ „განკარგულება მოახდინა, რომ ყველა ოფიციალურ დაწესებულაში მხოლოდ გერმანული ენა ყოფილიყო ხმარებული, თუმცა უნგრები, სლავები, ბელგიელები, ღრმად შეურაცყოფილნი დარჩნენ მათ ეროვნული ენის წინააღმდეგ გალაშქრებით“⁴. ამ ფაქტისადმი მათი, როგორც ლიბერალების დამოკიდებულება დადებითი არ უნდა ყოფილიყო. მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა და რუსეთის იმპერიის ანალოგიის ანარეკლი მოჩანს. როგორც ხედავთ, სახელმწიფოს უნიფიკაციის პროცესის ავკარგიანობის გაცნობიერების მცდელობასთან გვაქვს საქმე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებითი მხარეა. ისინი ცდილობენ, გაცნობიერონ სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პროცესის პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა, მაგრამ არც მისი მინუსები ავიწყლებათ.

იოსებ მეორის რეფორმებიდან, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს აგრარულ სფეროში განხორციელებული ღონისძიებები, „მან (ე. ი. იოსებ მეორემ – მ.კ.) მოსპო აზნაურთა უპირატესობა სასამართლოს წინაშე ყველა წოდების წარმომადგენებს გაუხსნა გზა თანამდებობებისაკენ. მემამულეებს გლეხებზე სასამართლო და საპოლიციო უფლებები ჩამოართვა. სამფლობელოების უდიდეს ნაწილში ბატონყმობა გააუქმა და მიწები გლეხებს საკუთრებაში მისცა. სადაც ბატონ-ყმობა კიდევ დარჩა, ყმების ვალდებულებები ძალიან შემამსუბუქა“⁵ ეტყობა, აქ ისინი გულისხმობდნენ, იმას, რომ 1782 წელს მიიღეს კანონი, რომელმაც პირადი დამოუკიდებლობა მინიჭა ჩეხების, ბოჰემიის, გალიციის და კრაიოვას გლეხობას. 1785 წელს ეს კანონი გატარებული იყო უნგრეთში. 1789 წელს მიიღეს კანონი, რომელმაც გააუქმა საბატონი ბეგარა და გადასახადი. ამიერიდან გადასახადებს აწესებდა ცენტრალური ხელისუფლება. გლეხი ვალდებული იყო, სახელმწიფოსათვის გადაეხადა 12%, ხოლო ბატონისათვის – 18%⁶. ამიტომ გლეხობის სასტიკ ექსპლუატაციაზე აპელირება, როგორც ამას ხაზს უსვამდა, საბჭოთა ისტორიოგრაფია, გადაჭარბებული უნდა იყოს და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას

სახელმძღვანელოს ავტორები – დ. უზნაძე და ივ. გველესიანი ეხებიან იოსებ მეორის რეფორმების შედეგებს, ეს ამ საკითხისადმი მათი დამოკიდებულების თავისებური რეზიუმედ შეიძლება იქნას მოაზრებული. აი, ეს ამონარიდი: „არ არის გასაკვირი, რომ მისმა რეფორმებმა მრავალეროვან სახელმწიფოში უკმაყოფილება და ზოგიერთ ადგილას აჯანყებაც კი გამოიწვია.

¹ Митрофанов П. Политическая деятельность Иосифа II и его сторонники и его враги (1780-1790) СПб., 1907

² უზნაძე დ გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 75

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ უზნაძე დ გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 76

⁶ Баумгарам П., Иосеф II и Мария Терезия, «Каизеры, р/д., 1997.

უმაღლესი კლასები არ სთმობდნენ თავის უპირატესობას. მდაბიო ხალხი არ თანაუგრძნობდა სარწმუნოებრივ რეფორმებს. ყველა სჩიოდა ადმინისტრაციის თვითნებობას, თავხელობას და ყველა უკმაყოფილი დარჩა ნაციონალური გრძნობების დარღვევით... მას (ე. ი. იოსებ მეორეს – მ. კ.) გულს უკლავდა, რომ ხალხმა ვერ გაიგო და დააფასა მისი კეთილშობილური გეგმები და შრომა და სახელმწიფო დამლუპველ ანარქიამდე მიიყვანა. ეს მწვავე ტკივილი მან საფლავში ჩაიტანა“¹.

ამგვარი დასკვნა, ჩვენი აზრით, უფრო შეეხება არა იოსებ მეორის მიერ გატარებული რეფორმების ისტორიულ მნიშვნელობას, რომელსაც ისინი, როგორც ლიბერალები, დადებითად აფასებდნენ, არამედ მისი განხორციელების ფორმას. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი მივიღეთ, რეფორმების შინაარსის მისაღებად ესახებოდათ, ხოლო მისი განხორციელების მეთოდი კი აფიქრებდათ. მათი სკეფსისის გასაღებად, ვფიქრობთ, სწორედ აქ ძეგს.

იმპერატორის მისწრაფება ცენტრალიზაციისაკენ, მისი სურვილი, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მიეღწია დასახული მიზნისათვის, განაპირობებდა სხვადასხვა სოციალური ფენების უკმაყოფილებას, რაზეც სავსებით სამართლიანად აპელირებენ სახელმძღვანელოს ავტორები. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ გარდაქმნების ის მეთოდი, რომელიც იოსებ მეორემ აირჩია, ნაკლებად შეესატყვისებოდა ისეთ რთულ და მრავალეროვან კონგლომერატს, როგორსაც წარმოადგენდა ავსტრიის იმპერია, მიუხედავად ჰაბსბურგთა სამფლობელო სპეციფიკურობისა, იოსებ მეორის რეფორმები პროგრესულ ხასიათს ატარებდა და დადებით შეფასებას იმსახურებს, ამაში სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ივ. გველესიანი ცამდის მართლები იყვნენ. ეს რეფორმები ავსტრიის ისტორიაში წინდაგადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა, მან მნიშვნელოვნად უზრუნველყო ავსტრიის სახელმწიფოს ფუნქციონირება ახალ დროში, თავისუფალი მეწარმეობის პირობებში².

მაშ ასე, ისინი, როგორც ლიბერალები იოსებ მეორის საქმიანობას ცოტა შელამაზებულად, ვარდისფერში შეიძლება წარმოაჩინდნენ, მაგრამ მის მიერ განხორციელებული გარდაქმნების დადებითი შეფასება ყურადღებას იმსახურებს, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებითი მხარედ გვეკვლინება. ამგვარი მიდგომის გასაღები მათ მსოფლხედველობაში უნდა ვეძიოთ და „განათლებული აბსოლუტიზმის“ იდეასადმი სიმპათიის ექოდ გაისმის. მათ დამაჯერებლად უჩვენეს ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, იოსებ მეორის რეფორმების პროგრესული ისტორიული მნიშვნელობა. მისი შემეცნებითი დატვირთვა, სწორედ ამაში მდგომარეობდა. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია. იოსებ მეორის რეფორმები სავსებით შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს, რევოლუცია ზემოდან, ლიბერალური რეფორმები, ზომიერი გარდაქმნები „მინიმუმ დემოკრატია“.

საფიქრელი იყო, რომ, თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, უფრო ხისტი გახდა, რაც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ.

ფაქტობრივად, ამით სრულდება ავსტრიის ახალი ისტორიის ერთი აქტუალური თემა და გადავდივართ მეორეზე, რომელიც ქრონოლოგიურად პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. აქ საუბარია ავსტრიის ისტორიის გაშუქებაზე XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში. თემა არის საინტერესო და აქტუალური. რა შეიძლება ითქვას მასზე?

¹ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 76

¹ Котова Е. Династия Габсбургов, Новая и новейшая история, №4. 191

სახელმძღვანელოს ავტორები ეხებიან ორ თემას: როგორი იყო ავსტრიის სამეფო კარის დამოკიდებულება საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი და „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ აღსასრულს.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოების ავტორები დ. უზნაძე და ივ. გველესიანი საუბრობენ საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი ევროპის მონარქების, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის დამოუკიდებლობაზე¹. ეხებიან იმ მიზეზს, რომელმაც შეაფერხა ევროპის სახელმწიფოების ინტერვენცია საფრანგეთში. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთი დაკავებული იყო პოლონეთის მეორე განაწილებით 1792 წელს და საფრანგეთის რევოლუციისათვის, ცხადია, არ ეცალა. გამოცდილმა ავსტრალიელმა დიპლომატმა გრაფმა კაუნიცმა კარგად შენიშნა „იმპერატორიცა (ე. ი. ეკატერინე II – მ. კ.) უცდის მხოლოდ იმას, რომ ავსტრია და პრუსია ჩაერიონ საფრანგეთის საქმეებში. რათამ თვითონ ყველაფერი გადააბრუნოს პოლონეთში“². ძნელია დავეთანხმოთ ცნობილ ფრანგ ისტორიკოსს, აკად. ალბერ სორელის, „საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ არაფერი არ შეცვალა ეკატერინე მეორის პოლიტიკაში, რომელსაც მთლიანად განაპირობებდა პოლონეთის საკითხი“³. სახელმძღვანელოში ეს ხდება ფაქტის კონსტატაციის დონეზე და, ცხადია, ძალიან კარგია.

ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ძალიან მოკლედ, ფაქტის კონსტატაციის დონეზე, აღნიშნულიყო პირველი კოალიციის შექმნა. 1791 წლის 27 აგვისტოს ხელმოწერილი იქნა პილნიცის დეკლარაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა პირველ კოალიციას. 1792 წლის 7 თებერვალს გაფორმდა ავსტრია-პრუსიის კავშირი რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ.

მეორე სერიოზული თემა, რომელიც დ. უზნაძის და ივ. გველესიანის „ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოშია წინ წამოწეული, ეს გახლავთ „გერმანული ერის საღვთო რომის იმპერიის“ აღსასრული 1806 წლის 6 აგვისტოს. საქმე გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან.

კიდევ ერთი სერიოზული საკითხი, რომელიც ავსტრიის ახალი ისტორიიდან არის, განხილული დ. უზნაძისა და ივ. გველესიანის სასკოლო სახელმძღვანელოში, ეს გახლავთ ევროპა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, ვენის კონგრესი. „საღვთო კავშირი“. ფაქტობრივად, ეს გახლავთ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია და, ცხადია, ის ევროპულ კონსტრუქტშია წარმოჩენილი, ქრონოლოგიურად ის წინა თემის ლოგიკური გაგრძელებაა.

„ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ივ. გველესიანი ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ ევროპაში შექმნილ ვითარებაზე საკმაოდ კარგად უნდა ჩანდნენ ინფორმირებულნი. ეს არცაა გასაკვირი და ემპირიული, ფაქტობრივი, მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის პლუსია.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში შექმნილი ვითარების შეფასებას ისინი პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობენ, რაც, პირველ ყოვლისა, პ. ვინოგრადოვის სახელმძღვანელოსთან ასოცირდება.

ისინი ხაზს უსვამენ იმ ნეგატიურ პროცესებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, კონსერვატორული ტენდენციების რეანიმაციის სახით. ეს ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელზეც ისინი ინფორმირებული არიან, მედალს გააჩნია მეორე მხარე, რომლის გვერდის ავლა, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში შექმნილ ვითარებაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი შეგვიქმნის. აქ, ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი საკითხი, რამდენად ჰქონდათ დ. უზნაძეს და ივ. გველესიანს გარკვეული ის სიახლეები და ნოვაციები, რომელიც ფეხს იკიდებს ევროპაში 1815 წლის შემდეგ? ვენის კონგრესი და „საღვთო კავშირის“ მთავარი ამოცანა იყო არა რეს-

¹ უზნაძე დ. გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 99.

² Лукин Н. Царизм и французская буржуазная революция 1789 года по донесениям И. М. Силолина – Лукии Н. Избранные труды. Т. 1. 1960.

³ Сорель А. Европа и Французская революция, СПб., 1892.

ტავრაცია, არამედ სტაბილიზაცია. ეს კი უკვე სულ სხვა რამეა. ისინი, როგორც ლიბერალები, ხომ არ ამუქებენ საქმის რეალურ ვითარებას და ხომ არ აჭარბებენ ვენის კონგრესის და „საღვთო კავშირის“ კონსერვატიზმს?.

სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ჩნდება ახალი ტენდენციები, რომელზედაც თვალის დახუჭვა, ცხადია, არ ივარგებს, იმართება კონგრესები, შეხვედრები, ელჩების და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ცდილობენ, შეიმუშავონ კონფლიქტების თავიდან აცილების მექანიზმი. „ვენის სისტემა“ წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების პირველ ფაზას ინდუსტრიული საზოგადოების დროს¹.

სასურველი იქნებოდა, მითითებულიყო „საღვთოს კავშირის“ დაარსების თარიღი. ეს მოხდა 1815 წლის 26 სექტემბერს². ამას შემეცნებითი დატვირთვა ექნებოდა. „მიუხედავად იმისა, რომ ვენის კონგრესი ცოტათი თუ ბევრად ცხოვრების არსებულ პირობებს ანგარიშს უწევდა და ამ მხრივ დათმობის გზა ადგა, მთელი მისი მოქმედება მაინც ახალი ცხოვრების წინააღმდეგ იყო მიმართული, 1814 და 1815 წლის გამარჯვებები ძველი დროის აღდგენისას და რევოლუციანზე რეაქციის გამარჯვებას ნიშნავდა. კონგრესის რეაქციონერული მიმართულების მთავარი გამომხატველი ალექსანდრე პირველი იყო“³. აქცენტი კეთდებოდა არა პოზიტივზე, არამედ ნეგატივზე. ეს, ნებსით თუ უნებლიეთ, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. ასეთი დამოკიდებულება სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს, მაგრამ დღეს, ცხადია, უკვე ყავლი გაუვიდა და მოძველებულია.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპის ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო და კოლორიტული ფიგურაა ავსტრიის კანცლერი კლემენტ ვენცელ მეტერნიხი (1773-1859). ამერიკელი პოლიტიკოსი და დიპლომატი. ჰენრის კისინჯერი მას აღიქვამს, როგორც „საერთაშორისო მასტაბების დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში“⁴. მეტიმეტი ხომ არ მოსდის ამერიკელ პოლიტიკოსს?

ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, ვცადოთ და გამოვარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება ყოფილიყო დიმიტრი უზნაძისა და ივანე გველესიანის დამოკიდებულება ავსტრიის კანცლერისადმი. საკითხი არის საინტერესო და ამ კუთხით ის ისტორიული სამეცნიერო ლიტერატურაში გაშუქებული არ ყოფილა. ჩვენ შევეცდებით ამის გამორკვევას.

მეტერნიხისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება ასე გვესახება. მეტერნიხის სახით საქმე გვაქვს ტიპიურ კონსერვატორთან, იმპერიული ამბიციებით, რომელიც საფიქრელია, რომ დ. უზნაძისა და ივ. გველესიანისთვის, როგორც ლიბერალებისათვის, მიუღებელი უნდა ყოფილიყო, ეს არცაა გასაკვირი, მეტერნიხი, როგორც პოლიტიკოსი, არ შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. ავსტრიის კანცლერის მოღვაწეობისადმი, მათი დამოკიდებულება „საღვთო კავშირისადმი უარყოფით დამოკიდებულების ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. „საღვთო კავშირის“ პრაქტიკულ ხელმძღვანელად ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი შეიქმნა. როდესაც იგი პირველად გაეცნო პროექტს, ზიზღი შენიშნა: „ყველაფერი ეს „ცარიელი ფრაზებია“, მაგრამ შემდგომში საუცხოოდ გამოიყენება ეს „ცარიელი ფრაზები“. ავსტრიის ინტერესებისათვის და ავსტრიის აბსოლუტიზმის განსამტკიცებლად. მეტერნიხი გრძნობდა, რომ ამგვარი სახელმწიფოსთვის, როგორც ავსტრია იყო, ცვლილებები ზარალის მეტს არაფერს მოუტანდა, რომ ეს სახელმწიფო მხოლოდ უძრაობით იყო მაგარი და, თუ ნაციონალური მოძრაობა იჩენდა აქ თავს, ეს სახელმწიფოს დაღუპვის გზაზე დადგომის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მეტერნი-

¹ Ревякин А. История международных отношении нового времени, М., 2004. Орлик А. Россия в международных отношения, 1815-1829 гг. М., 1998. Дагоев В. Внешняя политика россии в Международный системе, М., 2004.

² უზნაძე დ გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 142.

³ იქვე.

⁴ Киссинжер Г. Дипломатия, М., 1997.

ნი ამაში არ ცდებოდა, ამას დღევანდელი რევოლუცია (1818 ამტკიცებს), რომელმაც ეს ძალით შეკოწიწებული სხეული მრავალ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ აქცია. თავისი პოლიტიკის მიზნად ავსტრიამ მთელს ევროპაში რეაქციის გამეფება დაისახა და „საღვთო კავშირის“ იდეა, სწორედ ამას ემსახურებოდა“¹ (აქ უნებლიეთ არის გაპარული ერთი ფაქტობრივი გადაცდომა, რომელიც კორექტურა უნდა იყოს, არა 1818 წელს. არამედ 1918 წელს).

ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ იდეალურ რეჟიმად მეტერნიხს ესახებოდა არა როგორც დინამიკური პროცესი, არამედ სტატიკურად, უძრავად. „ეს სახელმწიფო მხოლოდ უძრაობით იყო მაგარი“. ცხადია, აქ ლაპარაკია ავსტრიაზე. უნდა ითქვას, რომ მეტერნიხს ფართო არჩევანი არც ჰქონია. ან უძრაობა, ან ჰაბსბურგთა იმპერია ხუხულასავით დაიშლებოდა. რა თქმა უნდა, მეტერნიხმა პრიორიტეტულად უძრაობა აირჩია. გასაგებია, რომ ეს არ წარმოადგენდა პანაცეას. ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. 1848 წლის რევოლუციამ ყველაფერ ამას წერტილი დაუსვა².

ამ ამონარიდიდან მეტერნიხისადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირველად და დადებითად ძალიან ძნელია მოვიაზროთ. ისინი კარგად გაერკვნენ ავსტრიის კანცლერის პოლიტიკის კონსერვატიულ ხასიათში, ანტირევოლუციურ მიმართულებებში, ანტიეროვნულობაში, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის რაციონალური მარცვალია, მაგრამ მისი პოლიტიკის ნეგატიურ ასპექტებზე აქცენტირება ავსტრიის კანცლერის საქმიანობაზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მისი პოლიტიკის დადებითი მომენტები, ფაქტობრივად, კადრში ვერ ხვდება. მეტერნიხს სურდა არა რესტავრაცია, არამედ სტაბილიზაცია, ეს კი ერთი და იგივე არაა³. ისინი, როგორც ლიბერალები, ხომ არ ამუქებენ საქმის რეალურ ვითარებას? მათთვის როგორ ლიბერალებსათვის, მეტერნიხი, როგორც ტიპური კონსერვატორი, თავისი იმპერიული ამბიციებით, რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა.

მაშ ასე, ავსტრიის კანცლერ მეტერნიხისადმი მათი, როგორც ლიბერალების დამოკიდებულება, ხისტად მიგვაჩნია. ისინი მეტერნიხის მოწინააღმდეგე ისტორიკოსების ბანაკში შეიძლება მოვიაზროთ, რომლებიც ავსტრიის კანცლერის მოღვაწეობას დადებითად არ ეკიდებიან. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

დომიტრი უზნაძე და ივანე გველესიანის „ახალი ისტორია“ პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, ჩერდებიან 1848 წლის რევოლუციაზე ავსტრიაში. როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციისადმი სახელმძღვანელოს ავტორების დამოკიდებულება? ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით გამოვარკვიოთ ეს საკითხები.

დავიწყოთ იმით, რომ ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციის გაშუქებას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, მოსწავლე ახალგაზრდობას და ეხმარება ამ საკითხზე ზოგადი წარმოდგანა შეიქნას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ კულტურტრეგერულ მისია. მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიოდ როდის გაართვეს თავი. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს.

ეს ქართულ სინამდვილეში ავსტრიის 1848 წლის რევოლუციის გაშუქების პირველი თუ არა ერთ-ერთი პირველი მცდელობა გახლავთ. მისი მნიშვნელობა ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

¹ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 143-144.

² Рахимир П. Князь Меммерних как человек и политик, Пермь, 2005. Винаградов В. был ли князь Меммерних «кучером Европы», Новая и новейшая история, №4. 2007. ანთაძე თ. ავსტრიელი დიპლომატი მეტერნიხი – ქართული დიპლომატია, წელიწადული 17. თბ., 2015.

³ Рахимир П. დასახ. ნაშრომი, Винаградов В. დასახ. ნაშრომი, ანთაძე თ. დასახ. ნაშრომი.

1848 წლის რევოლუცია ძალიან კარგად შეესატყვისებოდა მათ პოლიტიკურ იდეალს. მათთვის, როგორც ლიბერალებისთვის, სავსებით მისაღები იყო პრინციპი „სჯობს შენობა შევაკეთოთ, ვიდრე დავანგრეთ“. ავსტრიის 1848 წლის რევოლუცია სავსებით თავსდება ამ ჩარჩოებში. ისინი მიესალმებოდნენ ავსტრიის 1848 წლის რევოლუციას, როგორც რევოლუციას ზემოდან, რომელიც გამოიჩინა ზომიერებით, ლიბერალური გარდაქმნებით, „დემოკრატიის მინიმუმით“.

თავდაპირველად, ისინი ცდილობენ გამოარკვიონ რევოლუციის გამომწვევი მიზეზები. ეს იყო სწორი მიდგომა. ხაზს უსვამდნენ ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციის გამოიწვევე პოლიტიკურ მიზეზებს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სწორია.

სასურველი იქნებოდა, ორიოდე სიტყვა თქმულიყო რევოლუციის გამომწვევე სხვა ფაქტორებზე, უწინარესად კი, სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებზე. ამიტომ, ამგვარ მიდგომა აღნიშნულ საკითხებზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. „ასეთ პირობებში, ცხადი იყო, რომ ვენის მთავრობა რევოლუციას ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ საკმაო აღმოჩნდა სტუდენტების მრისხანე პეტიციაც კი, რათა ევროპის კანონმდებელს თავადს მეტერნიხს ავსტრია მიეტოვებინა და ინგლისში გადახვეწილიყო“. აქ კიდევ ერთხელაა ხაზგასმული მეტერნიხისადმი მათი დამოკიდებულება.

ისინი აღნიშნავენ 1848 წლის ავსტრიის რევოლუციის ორმაგ ბუნებას რევოლუციურს და ეროვნულ-განმათავსებელს, „ნაციონალისტების და ლიბერალების ასეთი სწრაფი გამარჯვება იმით აიხსნება, რომ კავშირის უმთავრეს სახელმწიფოებში უფრო რთული ხასიათის რევოლუციური მოძრაობა არსებობდა, ვიდრე დანარჩენებში. ავსტრიაში ბურჟუაზიულ-რევოლუციური მოძრაობასთან ერთად ანგარიშგასაწვეი იყო აგრეთვე ნაციონალური მოძრაობაც, იმის მაგიერ, რომ გაერთიანების სასარგებლოდ ემუშავათ. ავსტრიაში პირიქით, კერძო ეროვნებები განცალკევებისაკენ მიისწრაფოდნენ ვენის მთავრობა ყველა ეროვნებას ეზიზღებოდა, მაგრამ არც ერთმანეთი უყვარდათ. ავსტრიის მრავალსაუკუნოებრივი ისტორიამ ვერ შეძლო ერთი ერისა და ძლიერი სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნა“¹. აქ, ცხადია, საუბარია ავსტრიის იმპერიის მთავარ თავისებურებებზე, სუსტ ცენტრალიზაციაზე. ალბათ, არა შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ავსტრიისადმი ასეთი დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და ამკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ის, უწინარესად, რუსეთის იმპერიისადმი დამოკიდებულების ექოდ გვევლინება.

1848 წლის რევოლუცია მეტერნიხის პოლიტიკის კატასტროფა იყო. „ასეთ დროს მეტერნიხის პოლიტიკური მთავრობა იმასაც კი არ ცდილობდა, რომ ფეოდალიზმის ნაშთები მოესპო. პოლონელი და უნგრელი აზნაურები კვლავინდებურად ყმების შრომითა და სენიორული იურისდიქციით სარგებლობდნენ“². აქ მეტერნიხისადმი მათი დამოკიდებულება ვფიქრობთ, კიდევ გამჭვირვალეა. მათთვის, როგორც ლიბერალებისათვის, მეტერნიხის პოლიტიკა მიუღებელი რჩება.

„იმპერატორმა ფერდინანდმა ავსტრიის საერთო კონსტიტუციის შესადგენად დამფუძნებელი კრება მოიწვია. ვენა შეიარაღებული სტუდენტების და ბურგერების ხელში იყო. ბუდაპეშტში მადიარების პატრიოტებმა ვექილის კოშუთის მეთაურობით ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და ცალკე სახელწიფოს მოწყობას შეუდგნენ, ხოლო პრალაში ჩეხებმა გაიმარჯვეს“³.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, საუბარია ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციის შედეგებზე, „თუმცა გაჭირვებით, მაგრამ რეაქციამ ავსტრიაშიც გაიმარჯვა. ავსტრიის საერთო დამფუძნებელმა კრებამ, მართალია, რამდენიმე სასარგებლო ზომა მიიღო, მაგალითად, ზოგიერთი ფეოდალური ვალდებულებები სრულად გააუქმა, მაგრამ მის გავლენას ძირშივე სპობდა ის გარემოება, რომ იგი საერთო კონსტიტუციის შექმნას ცდილობდა, მაშინ, როდესაც ავსტრიის ერებს გაერთიანებისა არაფერი სწამდათ და ყველა დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა, როდესაც

¹ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 169-170.

² უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 170.

³ იქვე.

ფერდინანდმა ტახტი თავის ძმისწულს, ფრანც იოსებს გადასცა, რეაქციამ ავსტრიაში ენერგიული სახე მიიღო: მინისტრ შვარცენბერგის დახმარებით, ფრანც-იოსებმა რევოლუციის წინააღმდეგ გადამჭრელი ნაბიჯი გადადგა. ჯერ გენერალი ვიდიშგრეცის მეთაურობით პრაღა იქნა აღებული და ამ გზით სლავების ეროვნული კრების იდეა ჩაიფუშა და შემდეგ ვენასაც იგივე ბედი ეწია¹. როგორც ხედავთ, ისინი არ მიუთითებენ იმპერატორ ფერდინანდის და ფრანც-იოსებ მეორის ზეობის ხანას, ფერდინანდი მეფობდა 1835-1848 წლებში, ხოლო ფრანც-იოსები 1848-1916 წლებში.

აღნიშნული საკითხის გაშუქების დასკვნით აკორდად უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბარი გვეკლინება. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ადვილი გასაგებია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ქართული საზოგადოების სიმპათიითაა გაჯერებული. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა ამ მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერი ლაიოშ კოშუთი². სახელმძღვანელოს ავტორები დ. უზნაძე და ივ. გველესიანი ცდილობენ, ეს ხაზი გააგრძელონ. ავსტრიის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი, ბუნებრივია, კოშუთს თანაუგრძობენ. საზგასმულია უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩანშობის საქმეში მეფის რუსეთის და იმპერატორ ნიკოლოზ პირველის (1825-1855) უარყოფითი როლი. „ივნისში რუსეთის ჯარი პასკევიჩის მეთაურობით უნგრეთში გადავიდა და უკვე 3 აგვისტოს ვიდიშგრეცთან მადიარების მთელი ჯარი დაამარცხა. „უნგრეთი თქვენი უდიდებულესობის ფეხთქვეშ არის“ შეუთვალა პასკევიჩმა ნიკოლოზ პირველს, ამის შემდეგ კვლავ ავსტრიის შეუერთა. „საერთაშორისო ჟანდარმმა“, როგორც ნიკოლოზ პირველს უწოდებდნენ, მადიარების თავისუფლება დამარხა“³. შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიაში უფრო დამკვიდრდა ტერმინი „ევროპის ჟანდარმი“.

სასურველი იქნებოდა აღნიშნულიყო, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი, ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს. მოსწავლეებს ისტორიისადმი ინტერესს კიდევ უფრო გაუღვივებდა.

ავსტრიის მრავალეროვანი სახელმწიფოსადმი მათი დამოკიდებულება, ცხადია, დადებითი ვერ იქნებოდა. ამგვარი მიდგომა აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მასში რუსეთის იმპერიისადმი მათი ნეგატიური დამოკიდებულების არაპირდაპირი ანარეკლი მოჩანს.

დემიტრი უზნაძის და ივანე გველესიანის „ახალი ისტორიის“ პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ავსტრიის ისტორიის საკვანძო საკითხების განხილვას შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა და შედარებით მკვეთრად, სუსტადაა გაშუქებული. ისინი მე-19 საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში ახსენებენ ავსტრიის ისტორიის ფაქტებს: დუალისტური იმპერიის შექმნა სამი იმპერატორის კავშირს, სამთა კავშირის ჩამოყალიბებას⁴. ფაქტობრივად, ეს განხილვა კონსტატაცია და სხვა მეტი არაფერი, რომელსაც წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი გადასახედიდან ეს უახლესი ისტორია იყო, ამ თემატიკისადმი თავშეკავებული დამოკიდებულების გასაღები, ვინ იცის, იქნებ, სწორედ, აქ ძვეს?

აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად საინტერესო დასკვნებამდე მივდივართ, რომელიც საქართველოში ამ დარგის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის, შესწავლის სულ სხვა სურათს გვიხატავს, ვიდრე ეს აქამდე იყო. მას გააჩნია პოლემისტური მუხტი, რომე-

¹ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 173.

² წერეთელი გ. ლუდვიგ კოშუთი, კვალი, 1893. 13. ვ. ღონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970. გვ. 317-319.

³ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 174.

⁴ უზნაძე დ., გველესიანი ივ. დასახ. ნაშრომი. გვ. 195.

ლიც მიზნად ისახავს, გააბათილოს ამ პრობლემისადმი საბჭოთა მიდგომა. ის ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ საკითხის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება.

1. პირველ ყოვლისა, ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის შესწავლის საერთო სურათი, რომელიც, უმთავრესად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებული იქნა. დავაზუსტეთ საკითხის პერიოდიზაცია. საქართველოში აღნიშნული საკითხით დაინტერესების საქმეში სუვერენული საქართველოს წყვილი იგნორირება საბჭოთა მიდგომის აქილევსის ქუსლია. ეს ხანმოკლე მონაკვეთი საქართველოში ავსტრიის ახალი ისტორიის გაშუქების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. მან სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და უმთავრესად ასახვა ჰპოვა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. გაჩნდა პირველი ინფორმაცია ავსტრიის ახალი ისტორიის საკითხებზე. გადაიღვა პირველი ნაბიჯები საქართველოში ამ ეპოქის ავსტრიის ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის, საქმეში. ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს, მას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. დროის ამ მცირე მინაკვეთში მათ უბრალოდ მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ამიტომ აქცენტი კეთდება მხოლოდ წინამძღვრებზე, სიმპტომებზე. პირველ ნიშნებზე.

2. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესების პირველმა ნიშნებმა, სიმპტომებმა, თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის საქმე თვისებრივი, ხარისხობრივი, ცვლილებები ხდება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას საბჭოთა იდეოლოგია გვიმტკიცებდა, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე ქართულ ენაზე თითქმის არაფერი არ იყო დაწერილი, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

3. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების დროს სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდნენ სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ძირითადად აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ დირექტივებზე. ეს იყო საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების აპოლოგეტური შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს. ცხადია, არ ღირს, ზედმეტია და ისევე მიუღებელია, როგორც შეუფასებლობა, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა პერიოდში. პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ავსტრიის ახალი ისტორიის შესწავლამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული, მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრა-

ფიის ჩარჩოებში აღმოჩნდა მოქცეული, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინადადდულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ.

4. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო მომენტებისადმი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ასეთ ერთგვაროვან, სწორხაზოვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ესახებოდათ. მან რთული და საინტერესო ფერისცვალება, ევოლუცია, განიცადა, რომელიც ზიგზაგისებურად, სპირალურად, წარმოგვიდგენია. თავისუფალი აზროვნებიდან, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომიდან, პლურალიზმიდან. პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებიდან, მარქსიზმ-ლენინიზმისკენ, ერთი იდეოლოგიის დიქტატისკენ, მონისტური პრინციპებისაკენ, კლასობრივი ბრძოლის და ფორმაციული მიდგომისაკენ, ახლა კი ისევ თავისუფალი აზროვნებისკენ, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომისკენ, პლურალიზმისკენ, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებისკენ.

აი, ასეთი იყო რეალობა, რომელიც უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამო რეალური სურათი ადგევდგინა. ამ დარგში 1918-1921 წლებში სუვერენულ საქართველოს რესპუბლიკის წვლილს დაუბრუნეთ არსებობის უფლება, რომელიც საბჭოთა წლებში, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ჰქონდა „სამართალმა პური ჭამა“. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“. მითებს რეალობა მასხვრევს.

მაშ ასე, სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების პოპულარიზაციის აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების სწავლების და პოპულარიზაციის გზაზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამაზე, თვალის დახუჭვა, გამართლებული არ იქნებოდა. ეს ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ყველა სიკეთე საბჭოთა ხელისუფლებასთან როდი ასოცირდება.

დ. უზნაძემ და ივ. გველესიანმა თავისი წვლილი შეიტანეს და შეძლებისდაგვარად შეეცადნენ, წინ წაეწიათ საქართველო მსოფლიოს ისტორიის, კონკრეტულად კი, ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების სწავლება და პოპულარიზაცია. ამ საკითხში მათი მთავარი დამსახურება სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს.

თუ ამ ინფორმაციას, რომელიც ავსტრიის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე სახელმძღვანელოში, ერთად მოუყრით თავს, მივიღებთ ერთ საინტერესო, მცირე მოცულობის სამეცნიერო-პოპულარულ ნარკვევს რომელიც, ჩვენი აზრით, წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ და მას ღირსებები გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე ნაკლი. საკითხოსადმი მიდგომა არის მეცნიერული და, უმთავრესად, აქცენტი კეთდება პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

მეცნიერული პაექრობა რამდენიმე მიმართულებით შეიძლება გაიშალოს:

1. საკითხები, რომელიც წმინდა მეცნიერული კამათის საგანია. ასეთად მიგვაჩნია:

ა) მარი ტერეზას რეფორმებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება.

ბ) საკამათო ავსტრიის კანცლერი მეტერნიხისადმი ხისტი დამოკიდებულება.

2. საკითხისადმი მიდგომა, რომელიც იმ პერიოდის ისტორიოგრაფიაში მიღებული იყო, მაგრამ დღეს, ცხადია, ყავლი გაუვიდა, მოძველებულია, ასეთად მიგვაჩნია ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში კონსერვატიული ტენდენციების გადაჭარბება.

3. მისასალმებელია სახელმძღვანელოს თარიღებისაგან განტვირთვა, მაგრამ ისინი ახლა სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდნენ. სასურველი იყო მითითებული ყოფილიყო მეფეების ზეობის

თარიღები. ზოგიერთ თარიღს უთითებენ, მაგრამ ზოგიერთს არა. ასეთი მიდგომა არათანმიმდევრული შეიძლება იყოს.

4. ზოგიერთ საკითხზე მსჯელობას კონკრეტულობა აკლია და მეტად ზოგადია. მისი შინა-არსობრივად გამდიდრება გამორიცხულად არ მიგვაჩნია.

5. სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის გაცნობის შემდეგ, ბუნებრივია, გიჩნდება სურვილები, რომელიც არავითარ ჩრდილს არ აყენებს ამ საკითხზე მათი მსჯელობის შეშუპებით დატვირთვას და ამ მონაკვეთის შემდგომი სრულყოფის, დახვეწის, სურვილითაა გამოწვეული.

Merab Kalandadze

Gori State Teaching University

**DIMITRI UZNADZE ON KEY ISSUES OF AUSTRIAN HISTORY
RESUME**

The present paper is of historiographical nature and aims to find out how the key moments of the Modern history of Austria are covered in the first national school textbook of Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani. The discussion of the issue in this regard is interesting and relevant. This topic has not been explored to date with this recourse.

The authors of the textbook, in their first national textbook "Modern History", naturally address the key issues of Austrian modern history and discuss it in different contexts.

Eighteenth-century Austrian domestic politics is discussed in connection with the idea of "educated absolutism." Joseph II (1780-1790) paid special attention. The positive assessment of these reforms is conditioned by their sympathy for the idea of "educated absolutism" and is in line with their political ideal: revolution from above, moderate transformations, liberal reforms, "at least democracy". Such an approach would lift the mood of liberal circles.

The history of Austria in the late eighteenth and nineteenth centuries is mainly discussed in the context of the history of international relations, the Great French Revolution, the Austrian royal reaction, the Napoleonic Wars, and the end of the "Holy Roman Empire of the German Nation." The policy of the Austrian Chancellor Metternich on the political situation in Europe after the defeat of Napoleon, on the 1848 revolution in Austria.

The history of Austria in the second half of the 19th century is relatively dimly covered in the textbook. From a weak point of view then it was in fact the most recent history of Austria. The date of some important facts is indicated, the creation of a dualistic empire, the formation of a union of three emperors, a union of three.

The authors of the textbook, Dimitri Uznadze and Ivane Gvelesiani, tried to assess the current issues of the Modern history of Austria from a progressive-liberal position. It was a scientific approach to the issue, which naturally has its strengths and weaknesses.

ეგრის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი პავლე ინგოროყვას ნაზრევში

ეგრის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის და წინამდებარე გამოკვლევაში გათვალისწინებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის - პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) მონუმენტური, 1150-გვერდიანი ნაშრომი „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, რაც ჯერ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ (1949-1952 წლებში), ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. მასში უამრავი პრობლემა და მოვლენა მკვლევრის მიერ სრულიად ორიგინალურადაა გააზრებული და შეფასებული. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის IV თავი: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“¹. მასში პ. ინგოროყვა მსჯელობს აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში, აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიის შესახებ.

პ. ინგოროყვამ უარყო ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე მიღებული შეხედულებანი დასავლეთ საქართველოს, „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების შესახებ და „საისტორიო მასალების პრეციზული ანალიზის შედეგად“ (მისივე სიტყვებით) შეძლო შემდეგი საგულისხმო დასკვნები გამოეტანა:

1. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების დროისთვის (VIII ს.), აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები - საკუთრივ აფხაზები, აბსილები (აფსილები, აფშილები), მისიმიანები და სანიხები (სანიგები) ქართული წარმოშობისანი იყვნენ, დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი ქართველი ტომების (ქართვები, მეგრელები და სვანები) მსგავსად².

2. აფხაზეთში მოსახლე ქართველ ტომს - აფხაზებს დასავლეთი საქართველო კი არ დაუპყრია, არამედ ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით როგორც აფხაზეთის, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების განთავისუფლებას ბერძენთა ბატონობისაგან. იგი იმოწმებს ისტორიული პირველწყაროს - „მატიანე ქართლისას“ ცნობას, რომ აფხაზეთი ერისთავი „გაადგა ბერძენთა (ე. ი. ბიზანტიელთა - ი. კ.), დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე (ხაზგასმა ავტორისა - ი. კ.)“. აფხაზეთი ერისთავმა, დაასკვნის პ. ინგოროყვა, „აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან“³. მკვლევარი იმოწმებს „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების შესახებ მოტანილ განმარტებას, რომ, თითქოს, აფხაზეთი ერისთავმა ლეონ II-მ, ისარგებლა რა VIII საუკუნის დამლევს ბიზანტიაში არსებული არასახარბიელო პოლიტიკური სიტუაციით, და ხაზართა მეფის დახმარებით შეძლო, ადვილად დაეპყრო ეგრისის დაუძღურებული სამეფო და არგვეთი, ვიდრე ლიხის მთამდე და დაეარსებინა „აფხაზეთის სამეფო“⁴.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, გვ. 114-145.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 116.

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 116.

⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 115-116; საქართველოს ისტორია, თბ., I, 1948, გვ. 146-147.

3. ბიზანტიის ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთთან ერთად) გათავისუფლების შემდეგ შექმნილ „აფხაზეთის სამეფოში“ იწყება წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებულ მთავარ სახელმწიფო ენას – ბერძნულს ქართული ჩაენაცვლა და საეკლესიო წირვის ენადაც ქართული იქნა შემოღებული. იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია ამიერიდან ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს დაექვემდებარა¹. „დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო, - წერს პ. ინგოროყვა, - შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი აფხაზები“².

ამის შემდეგ პავლე ინგოროყვა ვრცლად მსჯელობს აფხაზეთის მხარეთა (აფხაზეთის საერისთავო VIII ს-ში) ტერიტორიული მოცულობის შესახებ, იმოწმებს ძველქართული და ბიზანტიური საისტორიო წყაროების ჩვენებას, და დაასკვნის: აფხაზეთის მხარეები ვრცელდებოდა ჩრდილოეთით ნიკოფსიის (ნიკოფსისის) ხეობამდე (მდ. ნიკოფსია ერთვის შავ ზღვას ტუაფსესა და გელენჯიკს შუა, ტუაფსიდან 20 კმ-ის დაშორებით და მის ჩრდილოეთით), ხოლო სამხრეთით ვრცელდებოდა კელასურის ზღუდე-კელამდე (ძველი წყაროების კორახის ზღუდე, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“, ქალაქ სოხუმის სამხრეთით, 4 კმ-ის დაშორებით; იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, გასდევდა მდინარის მარცხენა ნაპირს, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთით, ქეჩის მთის ხაზით გადადიოდა ფანავის ქედზე და აღწევდა კოდორის ხეობამდე). აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს კავკასიონი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს შავი ზღვა წარმოადგენდა. მდ. ნიკოფსიის ხეობით აფხაზეთი გამოეყოფოდა დიდ ჯიქეთს, ხოლო კელასურის ზღუდე-კელლით - ეგრისს. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების მიხედვით ეს ტერიტორია მოიცავდა სოხუმის, გუდაუთისა და გავრის რაიონებს მთლიანად, გულრიფშის რაიონის ნაწილს, აგრეთვე ადლერის, სოჭისა და ტუაფსის რაიონებს³.

აფხაზეთში პავლე ინგოროყვას მოსაზრებით 4 ადგილობრივი ტომი მოსახლეობდა: **აფხაზები** - მთიანი აფხაზეთის, ანუ ძირითადი აფხაზეთის ტერიტორიაზე (ბზიბის, ფსოუსა და მძიმთის ხეობების შუა და ზემო წელი), **სანიგები/სანიხები ანუ ჰენიოხები** - ზღვისპირა აფხაზეთის, ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთის (სანიხეთის, სანიგეთის) ტერიტორიაზე (სოხუმის, ლიხნი-ბიჭვინთის, გავრისა და ადლერის სექტორები), **აბსილები (აფსილები)** - მდ. კელასურის ხეობის ზემო წელზე, გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე, და **მისიმიანები (კლავდიოს პტოლემეაიოსისეული „სუანო-კოლხები“)** - წებელდის ზემოთ, მდ. კოდორის ხეობაში, ვიდრე ქლუხორის უღელტეხილამდე. აფხაზეთის ჩრდილოეთით ჰენიოხების მიწა-წყალზე ჩამოსახლებულნი იყვნენ იმიერკავკასიის მკვიდრი ტომები - ჯიქები, რაც ირკვევა ანტიკური ხანის წყაროებითა და შუა საუკუნეების ქართული მატრიანების ჩვენებით („ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“: „ქართლის ცხოვრება“) აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი მოქცეული იყო ტერიტორიას მდ. ახუნთასა (შახე) და ნიკოფსიას შორის, ახლანდელ ტუაფსის რაიონს. ამასთანავე, ჰენიოხთა ტომი უძველესი დროიდან მოსახლეობდა სოჭის რაიონის ტერიტორიაზე, დაწყებული დასავლეთით მდ. აბასხის (მძიმთის) ხეობიდან, ვიდრე მდ. ახუნთამდე (შახე). ეს იყო ჰენიოხეთის (სანიხეთი, სანიგეთი) შუა ნაწილი, რაც ჰენიოხებს შეუნარჩუნებიათ შუა საუკუნეებშიც⁴.

პავლე ინგოროყვა ასახელებს კიდევ ერთ პროვინციას, რაც, „თუმცა არ შეადგენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხანად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან“⁵. ეს მხარე, „ბუფერული ზონა“ მოიცავდა ტერიტორიას აფხაზეთსა და შიდა ეგრისს შუა, მოქვისა და დრანდის თემებს, და ისაზღვრებოდა ჩრდილო-დასავლეთით კელასურის კელლით, სამხრეთ-

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 117.

² იქვე, გვ. 117.

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 119-122.

⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 122-127.

⁵ იქვე, გვ. 127.

ადმოსავლეთით - საისტორიო წყაროების ეგრისწყლით (ბედიის სექტორი). ჩრდილოეთით ბუნებრივ მიჯნას ფანავის ქელი წარმოადგენდა, სამხრეთ-დასავლეთით - შავი ზღვა. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით აღნიშნული ბუფერული ზონა თავსდებოდა ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე და გულისრევის რაიონის სამხრეთ ნაწილზე¹. ეს პროვინცია, პ. ინგოროყვას აზრით, ისტორიულ-ეთნოგრაფიულად შიდა ეგრისის ნაწილს შეადგენდა და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, კერძოდ, VI-VII სს-თა ფარგლებში, მხოლოდ პოლიტიკურად იყო დაკავშირებული აფხაზეთთან. ქართულ მატრიანეებში, კერძოდ „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“-ში მოხსენიებული „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა“, მოგვიანო ხანის საისტორიო ძეგლში, კერძოდ, ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“, შუა სოფლად მოიხსენიება. ნ. დადიანის ცნობით, შუა სოფელი იწყებოდა სოხუმის სამხრეთით და მდ. ღალიძგამდე აღწევდა. „ამრიგად, - დაასკვნის პ. ინგოროყვა, - ეს უძველესი დროიდან მომდინარე სახელწოდება „შუა სოფელი“ დაცული ყოფილა ადგილობრივ და მიემართებოდა ამ მხარეს იმავე ტერიტორიულ ფარგლებში, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ მატრიანეებში“².

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვიანობაზე მსჯელობისას პავლე ინგოროყვა ყურადღებას ამახვილებს აფხაზეთის სამთავროს ძირითად მხარეზე. ესაა XVII ს-ის თურქი მოგზაურის - ევლია ჩელების მიერ მოხსენიებული, მეგრულ ენაზე მოსაუბრე ჩაჩის თემი. ამ ტემის, ანუ საშერვაშიძეოს ცენტრი იყო ლიხნში და მოიცავდა თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ანაკოფიის (ანალი ათონის) სექტორიდან ბზის ნავსადგურამდე, მდ. მიჭიმის ხეობამდე³.

პ. ინგოროყვა აფხაზეთა ეთნიკურ ვიანობასთან დაკავშირებით იმოწმებს მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროებისა და ეთნოლინგვისტური მასალის ანალიზის საფუძველზე არკვევს, რომ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, კერძოდ, „აფხაზეთის სამეფოს“ ჩამოყალიბების დროისთვის, აფხაზეთის მხარეებში განსახლებული იყო ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები⁴.

დიდი მეცნიერის მრავალი დებულების სისწორეს ადასტურებს შემდგომდროინდელი კვლევის შედეგები, კერძოდ ანთროპოლოგიური მონაცემები, თქმულება-გადმოცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, აფხაზეთა გვარ-სახელები და ა. შ.

ნაშრომის IV თავში წარმოდგენილია პ. ინგოროყვას „სპეციალური ექსკურსი“⁵, რითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს და მათ კავშირს ქართულ ენობრივ სამყაროსთან. იმოწმებს მხოლოდ ანტიკურ და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ 136 ტოპონიმს, რითაც უმთავრესად ხაზს უსვამს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითადად მესხურ (ქართულ) წარმომავლობას. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება ადილეურ-ჩერქეზული წარმოშობის არც ერთი ტოპონიმი, რაც საფუძველს აცლის და სრულიად აშკარას ხდის ამ მხარეში ძირითადი მოსახლეობის ჩერქეზული შტოსადმი მიკუთვნების შესახებ გამოთქმული შეხედულების უმართებულობას⁶. „გეოგრაფიული სახელწოდებანი, - წერს პ. ინგოროყვა, - იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე

¹ იქვე, გვ. 127-128, 132.

² იქვე, გვ. 129.

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 133.

⁴ იქვე, გვ. 129-145.

⁵ იქვე, გვ. 146-188.

⁶ იქვე, გვ. 146.

ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“¹.

ბედიის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელ დასვა ა (პირველმა – ი.კ.) მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაითგან ჰპოვა ბედი“². ვახუშტი ეყრდნობა და სავსებით იზიარებს წინამორბედი მემატანის – ლეონტი მროველის შეხედულებას ბედიის დაარსებასა და სახელწოდების წარმოშობაზე. ამ განმარტებებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

აფხაზეთში ოსმალური გავლენის გაძლიერების გამოძახილია წყაროებში დადასტურებული ვარიანტი სახელწოდებისა – **ბედია-ჩუკი**³.

სახელწოდების შესახებ დონ კრისტოფორო დე კასტელი გვაუწყებს: მთებში სანადიროდ წასულ საქართველოს მეფეს თავიდან ღოღბანდი გადმოვარდნია და იმ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია. მეფეს უთქვამს – კარგი ბედი მქონიაო და გაუცია ბრძანება იქვე ეკლესიის აშენებისა და ძვირფასეულობით მისი გაძლიერების შესახებ⁴.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილ მწირებს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე შეუმჩნევიათ და აღტაცებით შესძახეს – „ბედია!“ მწირები იქ დარჩენილან, ხოლო იმ ადგილას შემდეგ ბედიის ტაძარი აშენებულა⁵.

კ. ჰანის განმარტებითაც „**Бедия** гр. (мингр.) bedi беди=счастье счастливое, богатое“.

მამასადაძე, ზემოთ მოტანილი ისტორიული წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია ბედთან. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ხვედრი – ილბალი, ბედნიერება“⁷.

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა **ბედია** სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და საერთოდ, მეგრულთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“. ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩაღრმავებულ ადგილს, ქვაბულს“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადაა დაკავშირებული აგრეთვე **ბედე**, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩაღრმავებებით, ღომის ჩასაგებად⁸. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სამეგრელოში, ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო გაშენებული, **ბედიანაჩენს** უწოდებდნენ⁹.

ბედია სიტყვის ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ დაცული ინფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახელებული, ხატისთვის მიჩენილი ტყე ან მიწა“, და 2. „ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 146.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 780.

³ Брокгауз, Ефрон 6, 1892: 346; კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, გვ. 79.

⁴ დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 171.

⁵ Ермолова 1912: 7; გ. კალანდია, ოდიშის საეპისკოპოსოები, გვ. 2004, გვ. 79.

⁶ Ган К., *Экспедиция в Нокалакеви летом 1903, Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества*. вып. II, Москва. 1909:24.

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქველ), ტ. I, თბ., 1990, გვ. 124.

⁸ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010, გვ. 60.

⁹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 60.

დღვანა. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი რუკაზე მოქვის ხეობის ქვემო წელში აღნიშნავს პუნქტს დღვანას სახელწოდებით. ეს ტოპონიმი საქართველოში სხვაგანაც გვხვდება (მარტვილისა და ხულოს რაიონები). პ. ინგოროყვა ტოპონიმებში - **დღვანი//დღვანა, დვანი//ღვანა** გამოყოფს გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ ბოლოკიდურს -ნა, და იმოწმებს მსგავსი წარმოების სხვა ტოპონიმებსაც (აღპანა, ასკანა, ბოდორნა, ნანანა...)¹. მეგრულში დღვანა აღნიშნავს საფლობს, ტალახს; ხოლო **დღვანი//დღვანილი** იგივეა, რაც ატალახებული, ალუფხული.

ზუფუ. ლიხნის უწინდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რაც, ვახუშტის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაგან, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა“; ხოლო მდ. ხიფსთას, როგორც ფიქრობენ, **ზუფუს-წყალი** რქმევია. მდინარის სახელწოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია ლიხთიმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც.

ტოპონიმ „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პროფ. შ. მესხია შენიშნავდა: „დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი, ზუფ-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისთვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო². ს. ბახია-ოქრუაშვილი ჩამოთვლის აფხაზეთის ჰიდრონიმებს: ფსოუს, ფსისთას, ხიფსთას, იუფშარას, ლაშიფსეს, ფსირცხას, გუმისთას, მჭიმთას, შავწყალას, კელასურს, ტყვარჩელს, მაჭარას, ცხუმს, ზუფუს, ამტყელს, ჩხალთას, ცხენისწყალს, ოხოჯას და ა. შ., და აღნიშნავს, რომ „ამ მდინარეების სახელწოდებათა უმეტესობა სემასიოლოგიურად წყალს და წყალთან სიახლოვეს გულისხმობს და შეიცავს იმ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ წყლის ან წყლიანი ობიექტების აღსანიშნავად გამოიყენება“³. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება **ზუფუ**, რაც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი **ზუფ-//ზოფ-** მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში⁴. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ უნდა მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა **მოზუფუნც** აღიღებული მდინარის სწრაფ დინებაზე მიუთითებდეს. ამასთანავე, **ზუფუ** და **ურზუმი** გაუვალნი, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგველო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ->ზუბუ->ზუბდიდი->ზუგდიდი)⁵. ა. ქობალიას განმარტებით, **ზუფო, ზუფუ, ზეფე** იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნაწველი“⁶. იქვე მოცემულია **ზუფუა** სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ლუილი; უხვად მოსკდომა (წყლისა)“⁷. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუწყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებიტიანობაზე.

როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

ილორი სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში, ლალიძგის მარცხენა მხარეს. აერთიანებს სოფლებს: სუკს, ზენს, ილორგანსა და ნავგალოუს. ილორი ზ. დ. 10 მ-ის სიმაღლეზეა და ოჩამჩირეს 3 კმ აშორებს.

¹ იქვე, გვ. 169.

² შ. მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. საისტორიო ძეგანი. ტ. III, თბ., 1967, გვ. 250.

³ ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზეთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010, გვ. 196.

⁴ ა. ჩიქობავა ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1997, გვ. 25, 276.

⁵ ც. ქირია, რატომ ჰქვია ჩვენს ქალაქს ზუგდიდი?! (ეტიმოლოგიური მონოგრაფია). გაზ. „მებრძოლი“, №79, 1963, გვ. 4.

⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 311.

⁷ იქვე.

3. ინგოროყვას მოსაზრებით, სოფლის სახელწოდება **ილორი** „თავისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა“¹. მკვლევარი იმომბებს აღნიშნული სუფიქსით გაფორმებულ სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: სხვიტორი, კოდორი, შაორი, გომბორი; თუმცა არაფერს ამბობს სახელწოდება „ილორის“ პირველ კომპონენტზე ილ-². ისტორიკოსი კ. ოკუჯავა ოიკონიმ „ილორში“ ორ კომპონენტს გამოყოფს. პირველ კომპონენტს – „ილ“, ა. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე“ მითითებით, გაიზრებს როგორც „ძვალს“, ხოლო ზანურ (ჭანურ) -ორ სუფიქსს ადგილმდებარეობისა და წარმომავლობის მაწარმოებლად მიიჩნევს. იმომბებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს (ოლორი, კოდორი, სულორი, ჩიხორი, შაორი, ქვილიშორი, ვიწორი, ცხუმორი, ქუთემორი...) და დაასკვნის: ილორი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, ან სოფელს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე საძვალე (სასაფლაო) იყო³.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სეხნია ტოპონიმი (ყოფილი ოიკონიმი), ილორის სახით, სამტრედიის რაიონშიც გვხვდება, პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ფიქრობენ, რომ ილორი კოლხური სახელწოდება უნდა იყოს. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია ელ?რ (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება)⁴. ცნობისათვის: ილორი ასევე ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას წყალტუბოს რაიონის სოფ. ქვილიშორში.

ლორი, ილორი მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორებად დასაჭრელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ილორია განმარტებულია როგორც „მორისა, ძელისა; მორვადი, ხლეჩადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო ილორილი როგორც „დამორილი“⁵. იმავე ლექსიკონის მიხედვით **ილორუა** მეგრულში აღნიშნავს „მორებად ხლეჩას, დამორვას (ილორუ იხლიჩება, იმორება)“⁶. ილორის ვარიანტი ლორი იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „ლორი მორი, ნახეთქი ხისა; უპირატესად, შუაზე გახეთქილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი, იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხე-სიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“⁷. **ლორია** იგივეა, რაც „ნამორი, ჯირკუტანა“; **ლორილი** აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთქილ ხეს“, ხოლო ლორიში – „ნახეთქი მორის ნაგებობას (საზოგ.); ხეში გამოღებულ ნავს“⁸. ტყეში საცხოვრებლად გამიზნული და დახეთქილი, გაუჩორკნავი ხეებით აგებული ქოხი, მორის კარავი **ლორიშ კარედ** იწოდებოდა⁹. მორებად დახლეჩილი ხეებით აგებულ ციხეს **ლორიშ ჯიხას** უწოდებდნენ¹⁰. ამასთანავე, **ოლორე** სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო **ოლორუე** აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს¹¹. ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის აღმნიშვნელი სიტყვა **ლორი** ფიგურირებს აგრეთვე სამეგრელოში ჩაწერილ ორ ტოპონიმში. კერძოდ, **ლორიშკარე** ეწოდება ტყე-სადოვარს ნათიფურში, ბურღონაშკარსა და ფართო წიფრონს შუა; ამავე სახელს ატარებდა ტყე ქ. წალენჯიხისა და ს. ალერტკარის (ყოფილი გრიგოლიშის) საზღვარზე¹².

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 176.

² იქვე.

³ კ. ოკუჯავა, ბედია და მისი შემოგარენი (ტოპონიმიკური და ონომასტიკური დაკვირვებები), საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. თბ., №3, 2000, გვ. 17.

⁴ პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 251.

⁵ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

⁷ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 383.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე.

¹² პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, თბ., 1999, გვ. 65-66; მისივე, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ჩხოროწყუს რაიონი, ტ. IV, თბ., 2008, გვ. 202.

3. ცხადია ფიქრობს, რომ სოფ. ფახულანში, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება **ოლორიც** - პრეფიქსითაა წარმოქმნილი. ოლორი დარქმევა ჯერ ტყეს, სადაც ლორი (კედლის ფიცარი) მზადდებოდა, შემდგომ მეტონიმის გზით ხეობას და ბოლოს მდინარეს, რაც ამ ხეობაში გაედინება¹. მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებებიც: **ილორიმ ნიში** „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩამიც ესვენა ხატი“; **ილორიმ ოხვამე** „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; **ილორგანი** „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე)²“.

ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება „ილორი“ გავიაზროთ როგორც „ლორის – მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“.

კაპოეტის წყალი. საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მკვლევართა მიერ ბზიფთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს კეპეტჰი-ს ფორმით³. ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“ გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

ფიქრობენ, რომ მდ. ბზიფის ძველი სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია იყოს ქართველური სიტყვა **კაპოეტი**, რაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობითაა მოცემული: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“; 3. ერთგვარი ბალახი 4. ქვაკაპოეტი ანუ ქვა პატიოსანი; იგივე ზურმუხტი. სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება სიტყვის ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ მნიშვნელობასთან იყოს მისადაგებული⁴. 3. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ კაპოეტის წყალი წმინდა ქართული სახელწოდებაა. სულხან-საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მითითებით დიდი ქართველი მეცნიერი დაასკვნია, რომ მდინარის სახელწოდება კაპოეტისწყალი, ისეთივე წარმომავლობისაა, როგორცაც საკალმახე, ოკალმახე, კაპარჭინა//კაპარჭინის წყალი და სხვ., და უკავშირდება კალმახორაგულის ჯიშის თევზის სახეობას. „იგი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში“⁵. კაპოეტს ეძახიან ჩვეულებრივ ქაშაპს. კაპოეტს, როგორც თევზის სახეობას, იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, **კაპოეტი**, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხუანიცა“⁶.

„კაპოეტის“ ეტიმოლოგიის გასარკვევად საყურადღებოა **კაბეტი**, **კაპეტი** სიტყვების კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელთაგან შესაძლებელია მომდინარეობდეს საკვლევი ჰიდრონიმი. კაბეტი და კაპეტი სამეგრელოსა და სამურზაყანოში აღნიშნავს როგორც „დიდს, მოზრდილს“, ისე „მსუქან, ნასვენ, ძნელად დასამუშავებელ, მაგრამ ნოყიერ მიწას“⁷.

კაპეტი გადატ. „მაგარის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგ. კაბეტდინა//კაპეტდინა მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მიწაა. მაგარ, აულებელ ციხეს **კაპეტიმ ჯიხას** უწოდებდნენ; **კაპეტუშქური** მაგარი ვაშლია (ვაშლის ჯიში); ამასთანავე, **კაპეტი** საზოგადოდ ეწოდება გარეულ

¹ 3. ცხადია ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, 1999, გვ. 66.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

³ დიუბუა I, 1937: 100.

⁴ ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზეთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010, გვ. 193.

⁵ 3. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 181.

⁶ ვახუშტი, არწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV, 1973, გვ. 43.

⁷ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 351.

მონადირე ფრინველს; კალმახ-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზსაც სამეგრელო-სამურზაყანოში **კაპეტი** ჰქვია; კაპელი დიდთაველიანი ღობის ჯიშია¹.

ამდენად, სიტყვის ზემოთ მოტანილი მნიშვნელობებიდან საკვლევ ჰიდრონიმს, ჩვენი აზრით, შეესაბამება „დიდი, მოზრდილი“. შესაბამისად, თუკი ჰიდრონიმ „კაპოეტს“ („კაპეტი“, „კაპეტი“) მდინარის სიდიდის ამსახველ სახელწოდებად მივიჩნევთ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ობიექტური ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა ნამდვილად არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას.

კაპეტი სიტყვა ფიგურირებს სამეგრელო-იმერეთის შემდეგ ტოპონიმებში: **კაპეტბოგაშ ღალ** – ღელე ლეგახარეში; **კაპეტი ტობა** – მორევი ნაფიჩხუში; **კაპეტი წყურგილი//თულოლენი** წყურგილე – წყარო საბერულავოში²; **კაპეტგოჭკადილი** „დიდი გაჭედილი“ – ხიდი ინწირაზე, კუხეში³; **კაპეტი ოჩაიე** „დიდი საჩაიე“ – ჩაის ფართობი პ. ეწერში⁴; **კაპეტნეძი** „დიდი კაკლის ხე“ – მინდორი ლეთკანთში⁵; **კაპეტქუა//ღუტუშ** ქუა – ლოდი ორშუაფუში, ზ. ლიაში⁶; **კაპეტი//გორე** – საბალახო მარტვილში⁷; **კაპეტი** – სახნავი ხუნწის საზღვარზე, ქვათში⁸; **კაპეტი ოთიფურე//ოთიფურე** – ტყე-საძოვარი ტალერის სატყეო უბანში⁹; **კაპეტები** – ბუჩქნარი მალლაკში; მინდორი მოწამეთაში; საძოვარი შუა ბაშში; სახნავები იანეთში, დიდ კუხში, გუბისწყალსა და მალლაკში; ტყე მოწამეთაში; ჩაი ნახახულევში; სახნავები ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ქვიშანჭალაში¹⁰.

მოქვი სოფელია იმავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე, ოჩამჩირის რაიონში. მოქვი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი იყო დასავლეთ საქართველოში (ეგრის-აფხაზეთი). აქ ეკლესიისა და საეპარქიო ცენტრის დაარსებას ქართული საისტორიო წყაროები აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967 წწ.) სახელს უკავშირებს¹¹.

მდინარის სახელწოდება **მოქის** ფორმით დასტურდება ანონიმი მემატინანის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიგანიდან ტარსურას წყლამდე, რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება, 120 სტადიონი, ანუ 16 მილიონია¹².

მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“¹³. რუკაზე მდინარე **ოქუის-მცპარი-ს**, ხოლო საეპისკოპოსო – **ოგუის-ის** ფორმითაა აღნიშნული¹⁴.

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 354.

² საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II, თბ., 1999, გვ. 211.

³ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. წაღწევის რაიონი. ტ. I, თბ., 2004, გვ. 46.

⁴ იქვე, გვ. 46.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ ი. კეკელია, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2008, გვ. 29; მისივე, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009, გვ. 68.

⁸ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი, სამხრეთი ნაწილი. ტ. V, 2010, გვ. 71.

⁹ პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი). ტ. VI, თბ., 2012, გვ. 256.

¹⁰ საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, თბ., 2003, გვ.137; პ. ცხადაია, ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005, გვ. 32.

¹¹ „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 270.

¹² გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ - ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეორე შვესებული გამოცემა. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ - წიგნი XVI - თბილისი - 1965, გვ. 6.

¹³ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ.201.

¹⁴ თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. შურნ. „მაცნე“, 3, თბ., 1971, გვ. 148.

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობდა სახელოვანი მეცნიერი პ. ინგოროყვა, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“ მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებითა და ბოლოკიდური ფორმანტით უდარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვ.) და დასძენდა, რომ მსგავსი სახელი „მოქვთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში¹.

ტოპონიმის შესახებ მიამიტურ განმარტებას გვთავაზობს კ. ჰანი: „**Моква** груз. (монастырь) отъ мокъла мокъла=успокойся, почивай, умри“².

პროფ. თ. მიბზუანის დაკვირვებით, „ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მუქვ“, რაც მიწის ზვინს აღნიშნავს. „მუქვარ“-ს (მრავლობითში) თხუნელების ან ვირთხების მიერ გადანათხარ ადგილს უწოდებენ“³.

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიბზუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა ისტორიკოსმა კ. ოკუჯავამ, თუმცა საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს⁴.

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზეც ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **მოქვი** დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრულთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში მოქვი, მოქვილი განმარტებულია, როგორც „რიყიანი“⁵. მოქვის მეორე მნიშვნელობა – „მოფქული, ფქვილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათეთრებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს⁶.

მუწისწყალი//მუწუსწყალი. ვახუშტი ბატონიშვილი მუწის წყალს უწოდებს მდინარეს, რაც „ზუფუს დასავლით“ მიედინება⁷. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მდინარეს ამჟამად მჭიშთა ეწოდება.

ჰიდრონიმი გვხვდება ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშიც (1621 წ.), **მუწუს-წყლის** ფორმით. პ. ინგოროყვა სახელწოდებას ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და შენიშნავდა, რომ გარკვეულ მანძილზე მდინარის მიწისქვეშ დინება უნდა გამხდარიყო ასეთი სახელდების მიზეზი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრით, მდინარის თავდაპირველი ფორმა **მიწის წყალი** უნდა ყოფილიყო, საიდანაც უნდა მიგველო მუწისწყალი⁸. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ⁹.

მაშასადამე, ფიქრობენ, რომ სახელწოდება მიწისქვეშა მდინარის, კარსტული მდინარის აღმნიშვნელია (შდრ. მიწისქვეშა წყარო – წყარო სოფ. დრეში (ატენის თემი, გორის რ.)).

შესაძლოა ამ სახელწოდების ეტიმოლოგია დაუკავშირდეს სიტყვას – **მუნწილი//მუნჭილი**, რაც მეგრულ ენაში აღნიშნავს დაბუწულს, მოკუმულს, დახურულ სივრცეს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მუნწუა//მუნჭუა განმარტებულია როგორც „მუწვა (ტუჩებისა)“¹⁰. ამ შემთხვევაში **მუწისწყალი ((მუნწილწყარი))** აღნიშნავს მდინარეს, რაც დახურულ სივრცეში დის (ვოკლუსს).

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 168.

² Ган К., Экскурсия в Нокалакеви летом 1903, Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества. вып. II, М., 105.

³ თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 257.

⁴ კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ., 2002, გვ. 97.

⁵ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 479.

⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 479.

⁷ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 784.

⁸ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 181.

⁹ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 287; მსჯელობისათვის იხ. კ. ოკუჯავა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში. თბ., 1998; ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, 2010, გვ. 200.

¹⁰ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 499.

ამასთანავე, მურწა ერთგვარი თევზიცაა (მურწა ჩხომი „წვრილი თევზი“) და ბალახიც¹. მუნწი/მუწი ეწოდება ლოფორთქინას, ლალის ჭიას. მუწიში ლალისყურია, ხოლო მუწიმ წყარი იგივეა, რაც ლალის წყალი².

ცხომი/ცხუმი/სოხუმი. უძველესი ქალაქის სახელწოდების წარმომავლობით დაინტერესდა პ. ინგოროყვაც. ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელწოდებისა – სოხუმი/სუხუმი, პ. ინგოროყვას აზრით, მომდინარეობს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII ს-იდან (ჯუანშერის მატთანე) დადასტურებული პირველადი ფორმიდან: ცხომი/ცხუმი. მეცნიერი სახელწოდებაში გამოყოფდა **ომ-ი** ბოლოკიდურ ფორმანტს, ადარებდა მას ასეთივე დაბოლოების მქონე ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (წრომი, ბორჯომი, ბათომი, დილომი, თორთომი...) და ფიქრობდა, რომ ცხომი/ცხუმი თავისი გრამატიკული გაფორმებით ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვა დამატებით იმოწმებს მსგავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: ცხუმარი//ცხმარი – თემი სვანეთში, ცხმორი – სოფელი რაჭაში, ცხმორისი – სოფელი აჭარაში, ცხომარეთი – სოფელი იმერეთში, საჩხერის რაიონში, საცხომარიო – ხობის ერთ-ერთი უბანი, ცხ მარისგა – სოფელი გალის რაიონის ლეკუხონის თემში. ასევე ვარაუდობს, რომ ცხომი/ცხუმი უნდა უკავშირდებოდეს მხარის სახელწოდებას – ჩხუმს³.

ასეთია ქართველი მეცნიერის მსჯელობა ცხომ/ცხუმის მნიშვნელობის შესახებ, თუმცა თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე პ. ინგოროყვას საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს.

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ქართულობას ადასტურებს მასში **ცხ** კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურს არ ახასიათებს⁴.

„სუხუმის“ თურქული წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევას მხარს უჭერდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია. თურქებს ამ ქალაქისათვის სუგუმი (და არა **სუხუმი**) უნდა ეწოდებინათ, რაც მდ. გუმისთას სახელის მიხედვით „გუმის წყალს“ უნდა ნიშნავდეს, – ფიქრობდა დ. გულია და თავისი მოსაზრების „გამყარებას“ იმ ფაქტით ცდილობდა, რომ გუმისთა ჯიქთა მიერ იწოდებოდა, როგორც „გუმ-ფსი“⁵.

აფხაზი ისტორიკოსები – ვ. ფაჩულია, ო. ბლაჟბა და ს. ლაკობა მხარს უჭერენ ტოპონიმ „სოხუმის“ ძალიან საეჭვო ეტიმოლოგიას, რომ, თითქოს, ეს სახელწოდება შედგება სამი კომპონენტისაგან: „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ“ – წყალი, „ხუმ“ – ქვიშა, „კალა“ – ციხესიმაგრე, ქალაქი“⁶.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **სუხუმი** ქართველური **ცხუმის** თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს **ც** აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენ ავერ ჰგუობს, ამიტომ „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა **სუხუმუ** და **სუხუმი**. სწორედ ამ ვარიანტებით გვხვდება სახელწოდება „ცხუმი“ თურქულ და არაბულ წყაროებში⁷.

ფიქრობენ, რომ ცხუმი შესაძლებელია თურქულად წარმოითქვას როგორც „სუხუმ“, ასევე როგორც – „სოხუმ“. იმის გათვალისწინებით, რომ 1923 წლამდე თურქული დამწერლობა კონსონანტური ტიპისაა და, ძირითადად, თანხმოვანი ასონიშნების შემცველ არაბულ ანბანს ეფუძნებოდა, ისტორიკოსი კ. კვაშილავა (პროფ. გ. ანჩაბაძის მიერ გაწეული კონსულტაციის საფუძ-

¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 500.

² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 501.

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, გვ. 147.

⁴ ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, №12, თბ., 1956.

⁵ Гулия Д., История Абхазии, I, Тифлис, 1925, 148.

⁶ Мачавариани К Орисательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу с историко-этнографическим очерком Абхазии. Сухум, 1913, стр. 224; Бгажба Х., Лакоба С., История Абхазии. Сухум, 2006 стр. 175; Шамба Г., Древний Сухум (Поиски, находки, размышления). Сухум, 2005, стр. 94.

⁷ თ. გვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. ჟურნ. „არტანუჯი“, №10, თბ., 2000, გვ. 88; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117.

ველზე) ფიქრობს, რომ „ცხუმის“ თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე არაბული ასო-ნიშანი, რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია“¹. მკვლევარი საილუსტრაციოდ მოიხმობს XVIII-XIX სს. ზოგიერთ წყაროში დადასტურებულ ფორმებს – „Сокум-Кала“, „Согум-кала“². მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელწოდება ცხუმის//ცხომის ამოსავალი უნდა იყოს სვანური **ცხუმ//ცხვიმ//ცხგმ**, რაც რცხილას, ცხემლას ნიშნავს. ცხუმში რცხილნარია, ცხუმრა – რცხილის ხე³. ეს მოსაზრება პირველად მ. ქალდანმა გამოთქვა, რაც შემდეგ გაიზიარეს გ. მელიქიშვილმა, თ. მიბჩუანმა, გ. გასვიანმა, თ. გვანცელაძემ, ვ. ზუზუაძემ და სხვებმა⁴.

აკად. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, კუთხის სახელწოდება „ლენხუმი“ და ჰენიოხური ქალაქის ძველქართული სახელწოდება „ცხუმი“ სვანური წარმოშობისა უნდა იყოს⁵. მკვლევარი მოიხმობს საილუსტრაციო მასალას: ცხუმარი, ცხუმელური, ცხუმ ზაგარ//ცხვიმ ზაგარ („რცხილნარი ქელი“), ცხმორი, ცხომარეთი, ცხემარისგა. გ. გასვიანის დაკვირვებით, ცხუმისა და ცხუმარის დაკავშირებას მცენარე რცხილის სვანურ სახელთან, მხარს უჭერს მსგავსი სახელწოდებების ფართოდ გავრცელება სვანეთსა და სვანთა ნამყოფ ადგილებში. მკვლევარი სახელწოდება „ლენხუმის“ ლეცხუმიდან წარმომავლობასაც ნაკლებ საეჭვოდ მიიჩნევს და დაასკვნის: „აფხაზეთის ქალაქ ცხუმის სახელწოდების შემოქმედი თავის დროზე სვანურენოვანი მოსახლეობა იყო... ის ცხუმ-რცხილიდან წარმოდგება და პრეისტორიული, ფუძე ქართული ტოპონიმია“⁶.

თუკი ტოპონიმ „ცხუმის“ სვანური წარმომავლობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ჩვენის მხრივ დავამატებდით ფონეტიკური და შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისით მეტნაკლებად ნიშანდობლივ მიკროტოპონიმებს: ცხვიმ – 1. სათიბ-საბალახოები ეცერის თემის სოფლებში – უღვალსა და ისკარში; 2. სახნავი სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); ცხვიმალდ – სოფელი ლენტეხის რაიონში; ცხვიმანი – ტყე სვიფსა და ლეზგარაში (ცხუმარის თემი); ცხვიმი ლალკან შუკვ – გზა სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); ცხვიმიმ სარაგ – წყარო სვიფში (ცხუმარის თემი); ცხვიმიყ – სათიბი ლახუშდში (ლატალის თემი); ცხვიმგლდშიმ ცხეკ//ცხვიმგლდშია ცხეკ – ტყე თავარარში (ნაის თემი); ცხომარ – ტყე-ფერდობი ფარში (მესტიის რ.); ცხუმანი – ეკლესიის შემოგარენი და სათიბ-საძოვარი ჟიბე ლევშერში (ჩოლურის თემი); ცხუმარ – სათიბი ლამხერში (ფარის თემი); ცხუმამ – ყანა ძულარეში (ხელედის თემი); ცხუმელილაღე ლაჯოგ – მთა ყვედრეში; ცხუმერი – სახნავი ზემო მამში (ჩოლურის თემი); ცხუმირ-ზაგარ – რცხილნარი ნესგუნში (ლენჯერის თემი); ცხუმრა ლარალ – საძოვარი მაცხვარიში (ლატალის თემი); ცხგმარე ქვან – ფლატე კალაში (ეცერის თემი)...

„ცხუმისა“ და „სოხუმის“ ეტიმოლოგიის გარშემო სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები (კ. ჰანი, მ. ქალდანი, გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, შ. ინალ-იფა...) მიმოიხილა ს. ბახია-ოქუაშვილმა და ა. ჭკადუას ნაშრომზე მითითებით შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „ცხომ//ცხუმში სემანტიკური, ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო ქართველურია. მოტივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის“ არსებობა. მაგ.: ქართული ცხემლოვანი, ცხინვალი,

¹ კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა - 1840 წელი. თბ., 2011, გვ. 144.

² კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა - 1840 წელი, გვ. 144, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

³ კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 359.

⁴ თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, გვ. 264-265; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1991: 206; თ. გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998: 52; კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ., 2002, გვ. 86.

⁵ გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 341.

⁶ გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 206.

ცხმორისი, მეგრ. ცხემურონი, ცხიმურონი, ცხემურეში, ჭან. ცხემურეფუნა, სვან. ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხმაარ, ლეცხუმერ. სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს, როგორც ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის წარმოადგენს ძველქართული გეობოტანიკური ტერმინი ქრცხემლ- ან ქრცხილ-. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო სვანურისათვის ამოსავალი იქნება ცხუმ-¹.

მ. თავდიშვილის მოსაზრებით წყლის ხმაურის აღმნიშვნელი ხუ ელემენტი უნდა გამოიყოს ტოპონიმ „სუხუმში“: „ამჟამად, რომ სუ წყლის აღმნიშვნელი ტერმინია (ვსუამ, სუამ, სუამს). ხუ ხმაურის, კერძოდ, წყლის ხმიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სუ-ხუმი რომ წყალს აღნიშნავს, ამას ამტკიცებს ამ ქალაქის აფხაზური სახელწოდება აქუა. აქუა ნიშნავს წყალს. აქუა შესაძლოა იყოს აყუა სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი. აყუა ისევე წყალს ნიშნავს“². მნიშვნელობითა და შედგენილობით „სუხუმის“ ადეკვატური აგებულების სახელწოდებებად მიიჩნევა მკვლევარი ხევსურეთსა და შუხუთს³. ჩვენი აზრით, მ. თავდიშვილის მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია.

ა. დიაჩკოვ-ტარასოვი ტოპონიმ ცხუმს უკავშირებდა „ცხელი“ სიტყვის მეგრულ შესატყვისს – ჩხე⁴.

პროფ. ზ. პაპასქირის ვარაუდითაც, ცხუმი შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის ჯიშების მეგრულ სახელებს – თხუმუს ან ცხიმურს⁵.

პროფ. გიორგი ფიფიას მოსაზრებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ამოსავალია რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, რაც იწერება ერთი თანხმონითა და ირაციონალური ხმოვნით. ესაა ც , რამაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ“) შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი ცხუმ ანუ „მშრალი რცხილა“. მკვლევარი იმოწმებს აფხაზეთში ჩაწერილ, ხმელი ხის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმს. ესაა გალის რაიონის სოფ. ხუმუშქურის სახელწოდება, რაც „ვაშლის ხმელ ხეს“ ნიშნავს⁶. ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს ყუმურხუმლა „გამხმარი ტყემალი“ – ფერდობი სოფ. რეჩხში; ჭყონხუმლა „გამხმარი მუხა“ – სოფელი ჭყურხინჯის თემში. ატრიბუტული მსაზღვრელის პოსტპოზიციურობა ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს⁷.

ტოპონიმ „ცხუმის“ პროფ. გიორგი ფიფიასეული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის“ ერთ-ერთი კომპონენტია ხუმ- სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც მშრალი, არამედ – ხმელი. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისია ცხემური//ცხიმური, ხოლო ცკ იგივეა, რაც თელა და თელადუმა⁸.

ამდენად, ცხემი//ცხომი უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა“.

¹ ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, გვ. 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა.

² მ. თავდიშვილი, ბახმარო. ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, №11, თბ., 1973.

³ იქვე.

⁴ ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. თბ., 2003, გვ. 65.

⁵ ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე, თბ., 2004, გვ. 27.

⁶ გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის. გაზ. „სახალხო განათლება“, №10, 1990, გვ. 13.

⁷ პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და ტანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004, გვ. 110.

⁸ მაყაშვილი 1991: 152.

Igor Kekelia

Akaki Tsereteli State University

SOME OF THE POINTS ABOUT EGRIS-ABKHAZIA'S HISTORICAL GEOGRAPHY AND TOPONYMY IN THE WORK OF PAVLE INGOROKVA RESUME

The work of a famous Georgian Scientist Pavle Ingorokva *“George Merchule – a Writer of the 10th Century”* gives us important information about Egris-Abkhazia's historical geography and toponymy. The work was published as a separate book in 1954.

The scientist gives us information about Abkhazia's historical ethnography. The book tells us about the population's ethnical composition in the antique period and middle ages. We also get information about the tribes that lived on the territory of Abkhazia and the history of the foundation of “the Kingdom of Abkhazia”, West Georgia there.

P.Ingorokva's discussion about the geographical names of parts of Abkhazia that can be found in Historical works is analyzed in the study. Different etymology of the toponyms can also be found here.



**გორის მუზეუმის ერთი ექსპონატის ისტორიისათვის
(თეთრახევის სამშენებლო წარწერიანი ქვა ფიქალი)**

გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდი მოიცავს განსაკუთრებული კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე სულიერი და მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს, რომელთა ქრონოლოგია იწყება ძვ.წ. IV ათასწლეულით და მოდის XX საუკუნის დასასრულამდე. მათი გარკვეული ნაწილი განთავსებულია ექსპოზიციასზე. თითოეული მათგანი მნახველთა უდიდეს ინტერესს იმსახურებს, თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუზეუმში დაცული ექსპონატების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს ჰუმანიტარული მიმართულების მკვლევართათვის. ჩვენი დღევანდელი მოხსენების მიზანიც გახლავთ ის, რომ მუზეუმი წარმოვაჩინოთ ინსტიტუტად, რომლის მუშაობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა იყოს და იგი არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ კულტურულ ტურიზმზე (ვფიქრობ, ეს ტერმინის თავის მხრივ სადაა). ახალი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ სწორედ ამ მიზნით იქნა დაარსებული XX საუკუნის 20-30-იან წლებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმები მთელი ქვეყნის მასშტაბით. მათმა დამაარსებლებმა კარგად იცოდნენ, რომ მხოლოდ ასეთი ტიპის მუზეუმების არსებობა მისცემდა საშუალებას განადგურებისაგან გადაერჩინათ უმნიშვნელოვანესი მასალა, რომელთა კვლევამაც შემდეგში საქართველოს (და არა მხოლოდ) ისტორიის არაერთ უცნობ ფაქტს და მოვლენას მოჰფინა ნათელი.

მუზეუმში დაცული არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გვერდით საპატიო ადგილს იკავებს ქვის ექსპონატთა განყოფილება, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ეპიგრაფიკული ძეგლები წარმოადგენს.

მუზეუმის ექსპოზიციის არქეოლოგიის დარბაზში გამოფენილია ქვა ფიქალი ასომთავრული წარწერით. მისდამი ინტერესი სხვადასხვაგვარია: უცხოელ ტურისტებში უფრო აღფრთოვანებაა მეტი, ხოლო ადგილობრივ დამთვალიერებელთა დიდ ნაწილს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ დეტალური ინფორმაცია. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი ამჟამინდელი კვლევა. შესაძლებელია, სი-ახლე ვერ ვთქვათ, მაგრამ ვეცდებით, თავი მოვუყაროთ მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატის შესახებ დღემდე არსებულ ცნობებს.

მუზეუმის ძირითად შემოსულობათა წიგნში ვკითხულობთ: „გიემ №3784 ქვა ფიქალი-ასომთავრული წარწერით, სულ 12 სტრიქონი. თარიღდება მე-11 საუკუნით. ლაპარაკია ზუროთ-მოძღვარ ყანჩელზე. ნადარბაზევის მახლობელ ეკლესიის კედელში ყოფილა ჩატანებული. მოტანილია 1942 წ. 7 ოქტომბერს კასპის რაიონის სოფელ თეთრახევიდან. სამ ნაწილადაა გატეხილი“.

მიუხედავად იმისა, რომ ქვა სამადაა გატეხილი და მისი უნიკალური შინაარსის მქონე ტექსტი დამახინჯებულია ვანდალების მიერ, ტექსტი უკვე დიდი ხანია წაკითხულია (ამას ქვემოთ მოგახსენებთ) და შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე აღიდე შენ მიერ დამყარებული უძლეველი ბაგრატ კურაპალატი რამეთუ მათსა ზე აღეშენა წმიდაი ესე ეკლესიაი უდაბნოისა სახლი წმიდისა ნათლისმცემლისაი სალოცველად მეფობისა მათისა ხელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ სამთავნელ ებისკოპოზისა ძისა ვაჩე ყანჩელისა (შეიწყალე) ღმერთო“.

ეს სამშენებლო წარწერიანი ქვა ფიქალი უცხო არ არის მკვლევართა წრისათვის, თუმცა მასზე ინფორმაციის მოძიებისას, აღმოვაჩინეთ, რომ მიუხედავად წარწერის ამოკითხვისა და წარმოებული კვლევებისა, არსებობს დეტალები, რომლებიც ითხოვს დაზუსტებას.

უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესია დავაზუსტოთ, საიდან, რომელი ეკლესიიდან არის ეს წარწერა. ამისათვის, ვეცადეთ, შეგვეკვრიბა ყველა ჩვენს ხელთ არსებული ცნობა აღნიშნული ძეგლის ირგვლივ. ჩვენი ამჟამინდელი კვლევის მიზანია წარწერაზე ვისაუბროთა, არა როგორც ეპიგრაფიკულ ძეგლზე, არამედ ვაჩვენოთ მისი გზა ტაძრიდან მუზეუმამდე.

გორის მუზეუმში ქვა მოუტანია კასპის სტამბის მუშას ზაქარია გასიტაშვილს, რომელსაც ის უნახავს 1942 წ. ზაფხულში, ექსკურსიაზე ყოფნისას, თეთრახევის ეკლესიის ნანგრევებში. შემდეგ, როგორც ჩანს, დაკავშირებია მუზეუმს და ოქტომბრის თვეში წარწერა მოუტანიათ, რაშიც მუზეუმს, რომლის დირექტორიც სერგი მაკალათია გახლდათ, 100 მანეთიც გადაუხდია (ვფიქრობთ, მხოლოდ ტრანსპორტირებაში). ამის დასტურია მუზეუმის საბუღალტრო არქივში დაცული დოკუმენტი.

მკვლევარ გივი სოხაშვილის დაკვირვებით, ეს წარწერა ძეგლს 1936 წლამდე გააჩნდა. საფიქრებელია, დაზიანებული ძეგლი 1940 წელს მომხდარი მიწისძვრის დროს კიდევ უფრო დაინგრა და ამ დროს ჩამოვარდა ძეგლის მასივიდან წარწერიანი ქვები. არსებული წარწერა უკვალოდ გამქრალა და მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ უპოვნია ზაქარია გასიტაშვილს.¹ მოგვიანებით, 1962 წელს, გ. სოხაშვილს და კასპის მუზეუმის ერთდანი დაზვერვითი ექსპედიციის წევრებს მოუძიებიათ მეორე წარწერიანი ქვა, რომელიც ასევე დაშლილი იყო რამდენიმე ნაწილად. ეს ქვა დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ცხადია, მათთვის ცნობილი იყო მეორე ქვის არსებობაც, თუმცა ის ვერ უნახავს სერგი მაკალათიას იმავე წლის ივლის-აგვისტოში მდ. ლეხურის ხეობაში წარმოებული ექსპედიციის დროს. მას მოუნახულებია თეთრახევი, თუმცა საექსპედიციო დღიურში საერთოდ არ ახსენებს მას.²

პირველი, ვინც თეთრახევის ქვები მოინახულა, ჩაიხატა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა, გახლავთ ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი დიმიტრი მელვინეთსუცესისშვილი. იგი ძეგლს ეწვია 1848-49 წწ. ქართლში მოგზაურობის დროს. მისი დაკვირვებით: „აშურიანის თეთრად ხევიშია მივარდნილს უდაბნოს ალაგას არის დაქცეული პატარა ეკლესია ქვითა და აგურით ნაშენი... სადაცა ოდესმე განდევილთა ბერებთა უცხოვრიათ ეკლესიაზედ სამხრეთისაკენ კარების კედელზედ მარცხნის გარედამ სწერია ..“³ და მოჰყავს ზემოთ აღნიშნული ტექსტი ოდნავი განსხვავებით. მას აქვე, აღმოსავლეთის მხარეს დაუდასტურებია მეორე ქვა შემდეგი წარწერით: „ქ.სახელითა ღვთისათა მე ილარიონ სამთავნელმან ძემან ვაჩე ყანჩაელისამან აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია, საყოფელად წმიდისა ნათლისმცემლისა, ბრძანებით ფასისა მიღებითა სულკურთხეულისა მამისა ჩემისა ქორონიკონსა სნბ ვინ რაითაცა მიზეზითა ესე უდაბნოი წმინდისა საყდრისა სამთავისისა ამოხსკროლა სიტყვითა ღვთისათა“.⁴ უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისთვის ორივე წარწერა მთელი და დაუზიანებელი იყო. ამიტომაც მოხერხდა მათი უშეცდომოდ ამოკითხვა. მელვინეთსუცესისშვილს არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი წარწერებზე, თუმცა, რომ არა მის მიერ შესრულებული ჩანახატები, შემდგომი პერიოდის მკვლევარებს გაუჭირდებოდათ ტექსტის სრულად და უშეცდომოდ წაკითხვა მათი ძლიერი დაზიანების გამო. შემდგომში ისინი შეისწავლა და გამოაქვეყნა მარი ბროსემ,⁵ არა დამოუკიდებელ კვლევად, არამედ ძირითადად სამთავისის ტაძართან მიმართებაში.

¹ გივი სოხაშვილი, სამთავისი, მასალები ტაძრის ისტორიისათვის, თბ. 1973, გვ.88.

² გიემ (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) 8095/1, პროფ. სერგი მაკალათია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიცია ლეხურის ხეობაში, გვ. 2-4.

³ იოსებ სოსო აღიმბარაშვილი, დიმიტრი მელვინეთსუცესისშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 89-90

⁴ იქვე.

⁵ M. Brosset, rapports...III, გვ. 126

XIX საუკუნის 70-იან წლებში თეთრახევის მამების ეკლესია მოუნახულებია პლატონ იოსელიანს. ეკლესია დაშლილი ყოფილა, ქვიტკირით ნაგები და ლამაზად მოჩუქურთმებული. ორივე წარწერა კვლავ შერჩენილი ჰქონია ეკლესიის კედლებს.¹

სამეცნიერო წრეებში ამ წარწერას იცნობენ, როგორც აშურიანის წარწერას, თეთრახევის წარწერას, წარწერას მამების ეკლესიიდან, ხუროთმოძღვარ ყანჩელის წარწერას. ასევე განსხვავებული სახელებით შეიძლება დავებნოთ ინფორმაცია ინტერნეტში. სხვადასხვა საძიებო სიტყვების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება უცხო არ არის თანამედროვე ტექნოლოგიებისათვის, თუმცა, ვთვლით, რომ საჭიროა აღნიშნულ საკითხში მეტი სიცხადე შევიტანოთ.

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რა ეწოდება ადგილს და იმ ეკლესიას, საიდანაც არის ქვა-ფიქალი წამოღებული. ეს გახლავთ ე.წ. „მამების“ ეკლესია, რომელიც მდებარეობს კასპიდან დასავლეთით, 6-7 კილომეტრის დაშორებით, წლევის ტყეში. ამ ადგილს მოიხსენიებენ როგორც აშურიანად, ასევე თეთრახევადაც. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „კასპს ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას, სტეფან წმინდისა, თათესაგან, იგი (13) მამათაგანის, ქმნული დაფლულა წმინდა თათე მუნ...“... ასევე, „კლდენი მალაღნი და ქვაბნი გამოკვეთილნი მრავალნი. კლდენი ესე აშურიანამდე, ვითარცა სარკინეთისა, მერმე თირი... კვალად კასპის დასავლეთ მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა(ნახირი,თ.კ) სიმრავლე და თბილი ზამთარი“.² სწორედ აშურიანის ველს კასპიდან დასავლეთით, რამდენიმე კილომეტრში ჰკვეთს კოწახურას და საყდრიანის ხევი და მის სათავეში კი მდებარეობს თეთრახევი. ამდენად, ლოგიკურად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ეკლესიის და იქ აღმოჩენილ წარწერებთან მიმართებაში დამკვიდრდეს სახელი-თეთრახევი და არა აშურიანი, როგორც ეს ხშირად გვხვდება. აშურიანი მთლიანი დიდი ველის სახელია, რომელიც ოდითგან საძოვრებად გამოიყენებოდა, ხოლო თეთრახევი უშალოდ ის ადგილია, სადაც ტაძარი მდებარეობს. ასევე მნიშვნელოვანია სახელწოდება მამება, როგორც მას ვახუშტი უწოდებს და ხალხი დღესაც მოიხსენიებს. ამავე სახელწოდებითაა ეკლესია შესული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის V ტომში.³

ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთი წინადადებით გვამცნობს თეთრახევი ეკლესიის და სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელზე. ეს გახლავთ თათე სტეფანწმინდელი. „თათე, როგორც ვიცით, იყო ერთი იმ ცამეტი სირიელი მამათაგანი, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ VI საუკუნეში. ბერები დასადგურდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ებრძოდნენ წარმართობას და ხელს უწყობდნენ ქრისტიანობის განმტკიცებას ჩვენში“.⁴ ამგვარად, მუზეუმის ერთი ექსპონატის ისტორიის კვლევამ მიგვიყვანა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების პირველ ხანებამდე და მოღვაწეებამდე.

ცამეტ ასურელ მამათაგან თათე შედის იმ მოღვაწეთა რიცხვში, რომელთა შესახებ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ამას წუხს თვით მიხეილ საბინინი და აღნიშნავს: „ცხოვრებამან მათთა ჩუენობამდის არა მოაწია-არა უწყით თუ სადა ვპოვოთ იგი“ და რომ რამდენიმე მამაზე მან ამბები შეიტყო მხოლოდ იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრებიდან.⁵ იგი მოგვითხრობს ქართლში მოსული თათესა და მისი თანამოაზრეების მიერ განვლილ გზაზე. ის თავდაპირველად ზედაზენში მოღვაწეობდა, შემდეგ კი. „აღილო წმ. ჯუარი და სახარება და მოვლო ქადაგებითა მთისა სანახნი, სადაცა აღაშენა მრავალნი ეკლესიანი... შემდეგ მრავლისა მოღვაწეებისა კუალსა ზედა მოციქულთასა, ინება რათა აღაშენოს მონასტერი; ამისა თვის აღმოიჩნია მთა მალაღი და ტყიანი წლევი, მდინარესა ზედა რეხულისა მთასა. მთასა ზედა წლევისასა გამოქუაბა ნეტარმა მცირე

¹ П. . Иоселиани Кавказ”, 1871 г, №6,

² ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს ისტორია, თბ., 1885, გვ. 72.

³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის V ტომში, თბ., 1990, გვ. 130.

⁴ კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1923 წ. გვ. 153

⁵ მიხეილ საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 301,

სენაკი. რომელსა შინა დაჰყო ფრიადი დრო... ისურვა აღშენება მონასტრისა და ეკლესია მისთვის. თხემსა ზედა მის მთისასა აღაშენა ნეტარმა ეკლესია სახელსა ზედა წმ. სტეფანესი¹. ამგვარად, თათეს ეკლესია აუგია წმ. სტეფანეს სახელზე. მას არც ამის შემდეგ დაუტოვებია სენაკი და სიცოცხლის ბოლომდე იქ იმყოფებოდა. მ. საბინინის გადმოცემით, უამრავი სასწაული მოუხდენია თათეს საფლავს. ამასვე აღნიშნავს ვახუშტიც. მისი თქმით, მამებაში გამოდიოდა თათეს ნაწილი და სასწაულებს ახდენდა.²

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თეთრახევეში თათემ წმ. სტეფანეს სახელზე ააგო ეკლესია, მაგრამ, როგორც შემდგომი მასალებიდან ირკვევა, აქ ფუნქციონერებდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, რომელსაც ცამეტ ასურელ მამასთან და განდევნილ ცხოვრებასთან დაკავშირებით „მამების“ მონასტრად მოიხსენიებენ დღემდე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ორივე წარწერაში თეთრახევის ეკლესია ნათლისმცემლის სახელით იხსენიება. მაშ, როდის უნდა მომხდარიყო ეკლესიისთვის სახელის ცვლილება? აი, სწორედ ამ საკითხს (და არა მარტო) ჰფენს ნათელს თეთრახევის სამშენებლო წარწერები. როგორც გორის მუზეუმში დაცული ქვის წარწერიდან ვგებულობთ, თეთრახევის ნათლისმცემლის ეკლესია სამთავნელ ეპისკოპოს ილარიონ ვაჩეყანჩაელის ძეს აუშენებია ბაგრატ კურაპალატის დროს. წარწერაში მოხსენიებულია მეფე ბაგრატ IV (1027-1072წწ.), რომელიც კურაპალატის ტიტულს 1030 წლიდან ატარებდა. ამ წელს აშენდა სამთავისი, ხოლო 1032 წელს თეთრახევი, როგორც ამას კასპის მუზეუმში დაცული წარწერიდან ვიგებთ. გარდა ამისა, წარწერა სამთავნელის საქმიანობაზეც გვატყობინებს: „აღეშენა წმინდა ესე ეკლესია... ხელითა ჩემ გლახაკისა ილარიონ სამთავნელ ეპისკოპოსისა ძისა ვაჩეყანჩაელისა... ამ შემთხვევაში „ხელი“, რა თქმა უნდა, უშუალოდ ილარიონის ხელობა-საქმიანობის მაჩვენებელია. ილარიონ სამთავნელი რომ ხუროთმოძღვარია, ამას სამთავისის 1056წ. შესრულებული წარწერაც ადასტურებს... ნაშრომი ხელითა მისთანი და უფლისა ვაკურთხოთ ქენი იყო სოვ.“³ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ილარიონ ვაჩეყანჩაელის ვინაობის დადგენა მოხდა აკად. შალვა ამირანაშვილისა და ვუკოლ ბერიძის კვლევების შემდეგ. იქამდე იგი ქტიტორად იყო მიჩნეული. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან შეიძლება მაგალითების მოყვანა სასულიერო პირთა ხუროთმოძღვრობის შესახებ (ოშკი, დოღისყანა, დიდი გომარეთი), მაგრამ ზემოთ უკვე განხილულიც საკმარისია იმის წარმოსადგენად, რომ XI საუკუნის სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონ ვაჩეყანჩაელი სამთავისის ტაძრის და თეთრახევის (აშურინის) ეკლესიის ხუროთმოძღვარია.

თეთრახევეში დადასტურებულ ეკლესიაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული სერგი მაკალათიას. ლომლის მიხედვითაც, აქ ორი ეკლესია ყოფილა-ნათლისმცემლისა, რომელიც დანგრეულია და, მისი აზრით, ორივე ქვაფიქალი გადმოტანილია იქვე მახლობლად მდებარე იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ნანგრევებიდან, რომლის ნაშთიც უკვე აღარ არის და დ. მეღვინეთხუცესიშვილს და პლატონ იოსელიანს სწორედ ის დანგრეული ეკლესია აქვთ აღწერილი. მეცნიერის მტკიცებით, „მამების ეკლესიის აღდგენა-განახლების დროს, ნათლისმცემლის ეკლესიის ნანგრევის მასალა გამოუყენებიათ. ორივე წარწერიანი ქვაფიქალი წამოუღიათ და მამების ეკლესიის კარიბჭეში ჩაუშენებიათ.“⁴ რა აძლევს აღნიშნულის თქმის საფუძველს, დიდი მეცნიერი არ ასაბუთებს. იქნებ მუზეუმის ჩანაწერში სოფელ ნადარბაზევის დასახელება, რომლის გავლითაც შესაძლებელი იყო ტირიფონის ველიდან თეთრახევეში მოხვედრა და ამიტომ გაჩნდა ეს პუნქტი იქ. რადგან ს. მაკალათია ვერ ამყარებს თავის მოსაზრებას, ამიტომ, ჩვენთვის რთულია მისი გაზიარება, მით უფრო, რომ არც სხვა რომელიმე მკვლევართან დასტურდება რაიმე მსგავსი.

¹ მ. საბინინი, იქვე.

² ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

³ გ. სოხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90

⁴ სერგი მაკალათია, ლეხურის ხეობა, თბ., 1964 წ. გვ. 15-16

მიუხედავად იმისა, რომ თეთრახევეში ეკლესიის დამაარსებელი ცამეტ ასურელ მამათაგანია, რომ აქ დადასტურებულ წარწერებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, მისით შედარებით ნაკლებად ინტერესდებოდნენ ქართველი მკვლევარები, ამაზე სწუხს გ. სოსხაშვილი. მისი დაკვირვებით: ბროსეს შემდეგ დიდმა ხანმა განვლო, სანამ აშურიანის ეკლესიით და მისი წარწერებით ვინმე დაინტერესდებოდა, 1875 წელს დიმიტრი ბაქრაძემ აშურიანის შესახებ გაიმეორა ბროსეს მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ამ ძეგლს შეეხო თ. ჟორდანიაც მხოლოდ იქ, სადაც სამთავისის ტაძრის დამათარილებელი მონაცემები მოაქვს.¹ უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ასეთი დამოკიდებულება სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია. სამთავისი და თეთრახევის (აშურიანის) ეკლესია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი ტაძარია. ორივე ერთ პერიოდში და ერთი მისიის მატარებელ მოღვაწეთა დაარსებულია და ორივეს ერთი ხუროთმოძღვარი-ილარიონ ვაჩე ყანჩელის ძე ჰყავს.

სერგი მაკალათიას მიხედვით, თეთრახევის ეკლესიაში მსახურება 1917 წლამდე მიმდინარეობდა, ხოლო მისი ექსპედიციის დროს „ეს მონასტერი მივიწყებულია, არავინ იცის მისი სახელწოდება და ადგილმდებარეობა. ამის გამო ძნელი მისაგნებია და მისასვლელიც“.²

ამას ვერ ვიტყვით თანამედროვე პერიოდზე.

აღმოჩნდა, რომ ძნელად მისადგომი და უცნაური ლანდშაფტის თეთრახევი და იქ მდებარე ეკლესია, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია, დღეისათვის ძალზე პოპულარულ ტურისტულ მარშრუტს წარმოადგენს ნადარბაზევის ტბასთან და უფლისციხესთან ერთად. აქაურობას ასევე ხშირად სტუმრობენ ადგილობრივები, თუმცა, თუ ბოლო პერიოდში გადაღებული ფოტოებით ვიმსჯელებთ (რომლებიც მომაწოდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა), ეს უძველესი, დიდი კულტურულ-ისტორიული და სულიერი დატვირთვის მქონე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია.

ამრიგად, ჩვენს დღევანდელ მოხსენებაში შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორი საინტერესო და მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მეცნიერებისათვის მუზეუმის ექსპოზიციაზე გამოფენილი ერთი ჩვეულებრივი ექსპონატი. ვთვლით, რომ თეთრახევის ეკლესიის შესახებ ლიტერატურა მაინც ღარიბი და უმნიშვნელოა, თუმცა იქ აღმოჩენილი წარწერები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდა, როგორც თვითონ ეკლესიის აშენების თარიღის დადგენა, ასევე ხუროთმოძღვრისა და ქტიტორის საკითხიც. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ შევძელით შეგვეკრიბა ყველა ცნობა, თუ მოსაზრება აღნიშნული თემის ირგვლივ. ვფიქრობთ, მოხსენებაში გამოკვეთილ გარკვეულ საკითხებზე კვლევა კვლავ გავაგრძელოთ.

¹ გ. სოსხაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89

² სერგი მაკალათია, ლეხურის ხეობა, თბ., 1964 წ. გვ. 15.

Tamila Koshoridze
Gori State Teaching University;
Sergi Makalatia Gori Historical-Ethnographic Museum
**FOR THE HISTORY OF ONE EXHIBIT
OF GORI MUSEUM
(TETRAKHEVI BUILDING INSCRIPTION
STONE SLATE)
RESUME**

The slate stone with Asomtavruli inscription is exhibited in the archaeology hall of the Gori Historical-Ethnographic Museum consisting of a total of 12 lines. It dates back to the 11th century. This is connected to the architect Kancheli. The stone, which is broken into three parts, was once embedded in the wall of Tetrakhevi Church near Kaspi and was accidentally found in the ruins during the excursion. Later, in 1962, a second inscribed stone was also found nearby, which is currently preserved in the Kaspi Museum of Local Lore.

These building stones are not unfamiliar to the circle of scholars, the text has been read and researched. It is about the son of Bishop Ilarion Vache Kancheli of Samtavisi, who was considered to be the architect of the Samtavisi temple. Examination of Tetrakhevi inscriptions revealed that he was not the person who ordered the construction, but, in fact, the architect.

The church was built in Tetrakhevi by one of the 13 Assyrian fathers, Tate Stephantsmindeli. The fathers came to Georgia in the 6th century and preached Christianity. Although the founder of the church in Tetrakhevi is one of the thirteen Assyrian fathers and the inscriptions confirmed he had a great historical significance, Georgian scholars were relatively less interested in him.

Dimitri Meghvinetkhutsesishvili, one of the most important representatives of Georgian historiography, was the first to visit, sketch and bring Tetrakhevi stones into scientific circulation. He visited the monument during a trip to Kartli in 1848-49. It should be noted that by that time both inscriptions were intact and undamaged. Exactly this made it possible the inscriptions to be read correctly. Meghvinetkhutsesishvili did not comment on the inscriptions, however, had it not been for the sketches made by him, other scholars would have found it difficult to read the full text without error due to their severe damage. They were subsequently studied and published by Marie Brose. Pl. Ioseliani, T. Jordania, S. Makalatia, G. Sokhashvili were also interested in these inscriptions.

The monastery was forgotten for some time. However, the same cannot be said about the modern period - it turned out that the difficult to reach, strange Tetrakhevi landscape and the damaged church located there is a very popular tourist route today together with Nadarbazev Lake and Uplistsikhe. This place is also often visited by locals.

In this article, we have tried to show how important one exhibit on display in a museum can be for science. We are far from thinking that we have been able to gather all the information or opinions around this topic. We think we will continue to research certain issues highlighted in the article.

გორის სასწავლებლები XIX საუკუნის ქუთაისის პრესაში ¹

XIX საუკუნეში ქალების როლის შესახებ უამრავი მოსაზრება არსებობდა. ფემინისტურად მოაზროვნე და ანტიფემინისტურად განწყობილი ფილოსოფოსებიც კი თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ქალის ადგილი მხოლოდ ოჯახშია და მან უნდა იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობისათვის. ამიტომ იმ პერიოდისათვის ქალის როლის მოაზრება არ გაცდენილა დიასახლისის როლისა და ოჯახის ჩარჩოებს.

იმდროინდელმა პოლიტიკურმა და სოციალურმა გარემომ, დიდი ხნით დაახშო ქართველი ქალის ასპარეზიც და მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრების სარბიელზე.

ქალის კარჩაკეტილი ცხოვრება, უფულებობა, დაუფასებლობა, ხალხსა და საზოგადოებისგან მოწყვეტა თავისთავად დიდი სულიერი ტრავმად გახლდათ. წლობით იბრძოდა ქალი თანასწორუფლებიანობისათვის, ემანსიპაციისათვის, მოქალაქეობრივი უფლების მოპოვებისათვის, რათა თავისი ადგილი დაეჭირა საზოგადოებაში.

საზოგადოებრივ ასპარეზზე სწორედ ქართველ ქალთა ბრძოლის პირველ ნაბიჯებს თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობისათვის ნათლად ასახავს XIX საუკუნის 80-90-იანი წლებში ქუთაისში გამოძვარილი პერიოდული პრესა.

სოციალური სქესი ანუ გენდერი (ქალი და მამაკაცი) მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების პრესაში აქტიურად არ დომინირებს. მასში მხოლოდ ქალების პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული, რომლებიც გენდერული ნიშნით ხასიათდებიან, იქნება ეს განათლების, ძალაუფლებისა თუ შრომის განაწილება, სოციალური თუ ეკონომიური ცხოვრების საკითხები.

საგანმანათლებლო რეფორმების მხრივ ქალთა მოძრაობის შესახებ მოგვითხრობს ქუთაისში დაარსებული პირველი გაზეთი „შრომა“, რომელიც 1881-1883 წლებში გამოდიოდა.

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი მხოლოდ ორშაბათობით იბეჭდებოდა. ქუთაისში გამოძვარილი პირველი ქართული გაზეთი „შრომა“ დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობის ორგანოს წარმოადგენდა. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოზიციისა იყო.

გაზეთის რედაქტორი გახლდათ დიმიტრი დადიანი, გამომცემელი კი დ. ნაზაროვი. გაზეთი „შრომა“⁴ გვერდიანი იყო.

გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე ქალთა განათლების შესახებ ბევრ საპოლემიკო და სადისკუსიო წერილებს შევხვდებით. მასში ნათლად იკვეთებოდა ის აზრი, რომ ქალები განწირულნი იყვნენ არასრულფასოვანი განათლების მიღებისათვის. ასეთი განათლება კი არ აძლევდა მათ ხელს, რომ გამხდარიყვნენ საქართველოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ამასთან, ქალთა სამსახური უკეთ განათლებული მამაკაცების ქვეშევრდომობით იზღუდებოდა.

გაზეთ „შრომის“ 1881 წლის ჩვიდმეტევე ნომერი მოიცავს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლებში არსებულ პრობლემებსა და მასწავლებელთა ღვაწლს. მასში აშკარად არ ჩანს ქალების სწავლებისადმი აქტიურობა, არ ჩანს მოთხოვნა იმის, რომ ყველა „შკოლა საქალ-ვაჟო“ ყოფილიყო.

მაშინ, როცა სერგეი მესხი თავის სტატიაში – „რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაეძებენ ისინი“ – მკითხველს ამცნობდა: „ამერიკაში ძალიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებელი და

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR17-178]

შკოლაა, სადაც ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ; ხშირად 15-16 წლის ახალგაზრდა ქალი და 18-20 წლის ყმაწვილი კაცი ერთად სხედან... საქალ-ვაჟო სასწავლებელში არასოდეს არც ზნეობის დამრღვევი და არც საზოგადოთ გასაკიცხი რამ შემთხვევა არ მომხდარა“.¹

ასეთი გენდერული თანასწორობა საქართველოს სასწავლებლებში ჯერ კიდევ ნაადრევი რეფორმა გახლდათ, ხოლო, რაც შეეხება ქალთა მოღვაწეობას სკოლებში, პირდაპირ თუ ირიბად, გამოკვეთილად არაა წარმოდგენილი მათი როლი.

სერგეი მესხის მსგავსად, ქალებისადმი თანაგრძნობას გამოხატავს გაზეთ „შრომის“ ფურცლებზე დაბეჭდილი უცნობი ავტორის წერილი – „ქალების წარმატება“: „კარგა ხანია, რაც ქალებმა როგორც საკუთრად თავიანთის, აგრეთვე საზოგადოების კეთილ დღეობისათვის საჭიროდ დაინახეს მიიღონ მათ ისეთი სწავლა და განათლება, რომლის საშუალებითაც შეეძლოთ არა თუ მარტო თავიანთი თავის შენახვა, არამედ სხვების შეწევნაც და ამასთანავე ისურვეს, რომ კაცებს გვერდით ამოუდგნენ და უღელი გაუწიონ თუ ოჯახის და თუ საზოგადოების დასაწინაურებლათ. ეს ქალების სანაქებო სურვილი მეტათ გაძლიერდა ამ უკანასკნელ დროს. თუმცა მათ ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდათ, მაგრამ ცოტ-ცოტად თავიანთის ენერგიულის მოქმედებით ქალები ცხადათ უმტკიცებენ ჯიუტ კაცებს, რომ საზოგადოების კეთილ დღეობისათვის არა თუ სასარგებლოა, არამედ მოუცილებელი საჭიროა, რომ ქალები იყვნენ სწავლულნი და განათლებულნი“.²

ქალების მოღვაწეობა საგანმანათლებლო კამპანიაში, თავდაპირველად, ზოგან ცოდნის კერების დაფუძნებითა და ზოგან საქველმოქმედო საქმიანობით შემოიფარგლებოდა.

ამის მაგალითია ინფორმაცია „ადგილობრივი ამბები“-დან: „გორში გაიხსნა ქალების პროგიმნაზია ანასტასიისა. პროგიმნაზიას ეს სახელი დიდის მთავრის, მიხაილ ნიკოლოზის ძის ქალიშვილის, ანასტასის სახელის სახსოვრად დაერქვა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით გორის საოსტატო სემინარიის დირექტორმა ბ. სემიონოვმა აღნიშნა: „თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებისა და კეთილ-დღეობისთვის ქალების განათლებას“. ქალაქის თავმა ასევე გამოაცხადა, რომ პროგიმნაზიის გახსნის გამო გორის სამოქალაქო საზოგადოება დიდად გახარებულია და ეს საზოგადოება სასწავლებელს ფულით შემწეობასაც გაუწევს. პროგიმნაზიის უფროსმა კნენა მაყაევისამ გამოაცხადა, რომ „გახსნისთანავე ამ სასწავლებელში მიღებული იქნა 51 ქართველი ქალიშვილი, 35 სომეხი, 6 რუსი, 2 ფრანცუზი, 1 ოსი და ერთი ნემეცი, - სულ 91 ქალიშვილი“.³

გაზეთი „შრომის“ 1882 წლის პირველი ნომერი იანვრის დასაწყისში დაიბეჭდა და წლის ბოლომდე სულ 49 ნომერი გამოვიდა.

მის ფურცლებზე უკვე იგრძნობოდა ქალების გააქტიურება პირადი და სოციალური თავისუფლებისადმი, სადაც ისინი თანასწორუფლებიანობის მიუღებლობისათვის უკვე აშკარად იყვნენ ჩაბმულნი პოლემიკაში.

მეორე დიდი ბეჭდვითი ორგანო იმერეთში 1883-1910 წლებში გახლდათ სასულიერო ორკვირეული ჟურნალი „მწყემსი“, რომელიც გამოდიოდა ყვირილაში.

მისი რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დავით ღამბაშიძე იყო. სწრაფმბეჭდავი სტამბა ზედგენიძისა და ფერაძისა ქუთაისში ფუნქციონირებდა, სადაც „მწყემსი“ იბეჭდებოდა.

1887 წლიდან სტამბა ღამბაშიძისა და ხელაძის გახდა და 1902 წლიდან „მწყემსის“ ბეჭდვა ყვირილაში გადაიტანეს.

ყოველ თვეში „მწყემსის“ 24 ან 26 ნომერი გამოდიოდა, რომლის თითო ნომერი 12 ან 16 გვერდს წარმოადგენდა.

¹ფირცხალავა ს. (1903), „ნაწერები სერგეი მესხისა“, თბილისი, გვ. 15.

²„ქალების წარმატება“ (N3, 16 სექტემბერი, 1881, გვ. 2), გაზეთი „შრომა“.

³„ადგილობრივი ამბები“ (N4, 23 სექტემბერი, 1881, გვ. 2), გაზეთი „შრომა“.

სასულიერო ორგანიზაციული ჟურნალი „მწყემსი“ აშუქებდა სასულიერო, ქართული სკოლისა და საქართველოს ისტორიის საკითხებს. 1903 წლამდე დავით ღამბაშიძე სცემდა აგრეთვე „მწყემსის“ რუსულ გამოცემას სახელწოდებით „ПАСТЫРЬ“.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა თავისი მოძღვრებით და ინსტიტუციური სტრუქტურით თანასწორუფლებიანობის დამცველად მოგვევლინა. ადრე დაწესებული ნორმისაგან განსხვავებით, იესო ქრისტე ხშირად და ღიად აღიარებდა ქალების ღირსებას. მისი სიკვდილის შემდეგ ქალები მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიების ინსტიტუტების შექმნაში. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, როცა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა. ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა საეკლესიო იერარქიასა და თემის ხელმძღვანელობაში. თანასწორუფლებიანობა პატრიარქალური ინსტიტუციური სტრუქტურებით შეიცვალა. ასეთ ცვლილებებს თან ახლდა საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომელიც პატრიარქალურ წესრიგს ღვთის ნებას მიაწერდა და დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცსა და ქალს შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მამაკაცი ხელმძღვანელობს, ხოლო ქალი მისი მორჩილია. როგორც ბიბლია გვარიგებს: „ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიის“.

ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს.

ამის სათვალსაჩინო მაგალითია გორის სასულიერო პირთა მიერ ვაჟებისათვისათვის სასწავლებლის გახსნის თაობაზე ზრუნვა: „ჯერ კიდევ ახალი და სამაგალითო ნაბიჯი გორის მაზრისა ყველასათვის სათვალ-საჩინო და სამაგალითო იყო. აქაური თავად-აზნაურობის გადაწყვეტილება თავიანთ შვილების აღზრდის შესახებ. ამათი მოქმედება სხვა მაზრებისათვის დღესაც სამაგალითოა. რადგან იმდენი ფული ვერავინ შეიწერა, რამდენიც გორის მაზრის თავად-აზნაურობამ თავის შვილების აღსაზრდელად. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებო არის, რომ პირველად გორის მაზრამ მისცა ხმა და მხარი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებას, რითაც სხვა მაზრის თავად-აზნაურობამაც გაამხნევა. არა ნაკლები ყურადღების ღირსია გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელთაგანაც.“

5 მარტს გორის ოლქის სამღვდელთაგანაც ჰქონდა არა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც უნდა განეხილა მის მაღალ ყოვლად უსაღმდებლოესობის პავლეს წინადადებით სმეტა და პლანი მომავალ სასულიერო სასწავლებლის შენობისა. პლანი, უნდა მოგახსენოთ, მშვენიერია. მაგრამ მაგარი ის არის, რომ 64648 მანეთი უნდება ამ სასწავლებლის აშენებას. ვიდრე კრება დაიწყებოდა, ყველა დეპუტატი დაფიქრებულები და დაღონებულები იყვნენ. ისინი, ალბათ, გრძნობდნენ ამ შენობის აშენების საჭიროებას, მაგრამ შეძლების უქონლობაც აწუხებდათ, მაგრამ ამ ღრუბელმაც მალე გადაიარა. გახსნეს კრება ჩვეულებრივის ლოცვით, აღმოიჩინეს თავიანთ შორის თავმჯდომარეთ ქვემო - ხანდაკის მღვდელი მ. გრიგორი რუსიევი, ხოლო საქმის მწარმოებლად მაყის მღვდელი მ. მიხეილ მახათაძე. შემდეგ საქმის მოსმენისა ყველამ ერთხმად წარმოსთქვეს: „უარის თქმა, არ შეიძლება; ისიცა კმარა, რომ ჩვენ ვიტანჯებით. ჩვენი შვილები მაინც ავაცილოთ ამ გაჭირებას“. კრებას შემდეგ, ამისა დარჩა აღმოეჩინა წყარო ამ უზარ-მაზარ შენობისათვის.

თავმჯდომარემ მისცა რამდენიმე წინადადება კრებას ამის აღსასრულებლად. კრებამ მშვიდობიანად, დარბაისლურად გასინჯა ყველა მისი წინადადება და გადასწყვიტა შემდეგი: „ეთხოვოს მისს მაღალ ყოვლად უსაღმდებლოესობას პავლეს შუამავლობა უწმინდესი სინოდის წინაშე, რომ მან ასესხოს 30 000 მანეთი ფული 20 წლით, რომელიც ეხლავე, შეძლების და გვართ სამ კატეგორიით გაიწერეს“.¹

¹ერთი მაყურებელთაგანი, (N7, 3-1 აპრილი, 1885, გვ. 11), „გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელთაგანაც დეპუტატთა შეკრებილება ქ. გორში“, გაზეთი „მწყემსი“.

წერილში მოცემულია ამ თანხების ყოველწლიური დაფარვის ვარიანტები, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება და სამაგიეროდ საფუძვლიანი შენობა აიგება. კრებამ თავისი ვალი სინდისიერად შეასრულა და იმედი დაიტოვა მისი უსაღმდეგოესობის დახმარებისა.

ეს სტატია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ გორში ერი და ბერი ერთნაირად იყო მოწადინებული სწავლა-განათლების განმტკიცებისათვის, რადგან სწამდათ რომ ცოდნა იქნებოდა მყარი საფუძველი ქვეყნის წინსვლისათვის.

გაზეთ „მწყემსის“ ფურცლები ასევე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გორის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა მიღების შესახებ: „ვისაც სურს გორის სასულიერო სასწავლებელში ბავშვის შემოყვანა, თხოვნა უნდა წარმოადგინოს სასწავლებლის სამმართველოს სახელზედ აგვისტოს ოცდა ხუთამდის. მიღების მოსურნე ყმაწვილები, რომელთათვისაც საჭირო იქნება, გამოიცდებიან აგვისტოს ოცდა მეშვიდე დღეს; ყმაწვილები, რომლებსაც არ ექნება ნება მეტრიკის მოწმობა წლოვანებაზე და აგრეთვე ყვავილის ხდისა ან აცრის მოწმობა, სასწავლებელში არ მიიღებიან.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი დავით დათოშვილი“¹

გაზეთი „მწყემსის“ ფურცლებზე ჩვენ ვხვდებით არა მარტო ინფორმაციული სახის წერილებს გორში მიმდინარე სასწავლო პროცესების შესახებ, არამედ ქალი ავტორების წერილებსაც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გორელი ქალის ავტორობით დაბეჭდილი სტატია „სხვა და სხვა ამაოდ მორწმუნოებანი და თქმულებანი“: „რედაქცია აშუქებს ერთი გორელი ქალისაგან შეკრებილ თქმულებებს, რომელიც ჩვენს ხალხში ძველი დროიდან არის შემორჩენილი. ამასთან ავტორი ქალი მოითხოვს ამ ცრუ თქმულებებს ყურადღება მიაქციონ მღვდლებმა, რათა შეძლებისდაგვარად აუხსნან სამწყსოთ ამისთანა წრმენების უსაფუძვლობა“²

თქმულებებში ბევრ ტრადიციებზეა ყურადღება გამახვილებული, რომელიც ცრუ წრმენებზეა აგებული.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან ქუთაისში გამომაველ გაზეთების ფურცლებზე გახშირდა სხვადასხვა სახის ინფორმაციები გორში მიმდინარე საგანმანათლებლო თუ საყოფაცხოვრებო შინაარსის შემცველი წერილებისა.

ასე რომ, დღევანდელი საგანმანათლებლო განსხვავებით, XIX საუკუნეში საზოგადოებრივი აზრის ასახვისა თუ ინფორმაციის მასობრივად გავრცელების მთავარი საშუალება ბეჭდური მედია გახლდათ, რადგან გაზეთებში ქვეყნდებოდა იმ დროის მნიშვნელოვანი მოვლენები და საკითხები.

მათ შორის გახლდათ იმერეთში გამომაველი გაზეთები, რომლებმაც საგანმანათლებლო ტალღის ფუნქციონირებაში ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა.

¹დათოშვილი დ. (N15, 1 აგვისტო, 1885, გვ. 3), „გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან“, გაზეთი „მწყემსი“.

²„სხვა და სხვა ამაოდ მორწმუნოებანი და თქმულებანი“, (N23, 30 ნოემბერს, 1885, გვ.6), გაზეთი „მწყემსი“.

Mariam Marjanishvili
Niko Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum
GORI SCHOOLS IN KUTAISI 19TH CENTURY PRESS¹
RESUME

The political and social environment of that time, for a long time, also diminished the presence of Georgian women and their active participation in the race of public life.

The deprived life of a woman, her negligence, her lack of authority, her separation from people and society was itself a great spiritual tragedy. For years, she fought for equality, for emancipation, for citizenship, to assert her place in society.

In the public arena, the first steps of the struggle of Georgian women for freedom, equality and equality clearly reflect the periodical press coming out of Kutaisi in the 80s and 90s of the 19th century. In its first newspaper, Labor (1881-1883), the work of women in the educational campaign was narrated, initially limited to the establishment of centers of knowledge and charity in some places.

An example of this is information from Local News: "The Gymnasium of Anastasia opened in Gori. The name of the progymnasium was named after Anastas, the daughter of the son of the Great Prince Mikhail Nicholas. The Director of Gori Post Office Seminary B.B. Semyonov noted, "The importance of educating women for the well-being and well-being of people."

The second major printing body in Imereti in 1883-1910 was the theological weekly magazine Shepherd, which was published in a screaming article, entitled "Assembly of Priests of the Gori Theological School District". In Gori. " It deals with the construction of a clerical school building for male students.

Thus, it is clear from this information that the entire population of Gori was unanimously eager for the development of an educational system that became more relevant after the formation of a literacy community among Georgians.

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR17_178].

ქუთაისელი ფრანგის ქართული წერილები
ირანიდან არგენტინაში

მრავალსაუკუნოვან და მრავალმხრივ ქართულ-სპარსულ ურთიერთობებში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსამხეურებელი და შესასწავლი. ამ ფონზე მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს 2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული კოლექტიური ნაშრომი – „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“. ეს არის ერთგვარი ანგარიში სამეცნიერო პროექტისა, რომელიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. კვლევით ჯგუფში შედიან ამ ინსტიტუტის თანამშრომლები: გიორგი სანიკიძე და ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, ასევე მოწვეული სპეციალისტები – ისტორიკოსი და არქივმცოდნე ანტონ ვაჭარაძე და ხელოვნებათმცოდნე დავით ჩიხლაძე. გამოცემის რედაქტორები არიან – ნიკოლოზ ნახუცრიშვილი და გიორგი სანიკიძე.

ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგად გამოვლინდა არაერთი უნიკალური მასალა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ბევრი დღემდე უცნობი ინფორმაცია. მათ შორის ყურადღებას იქცევს ცნობები კომპანიონების – საქართველოდან ირანში ემიგრირებული გაქართველებული ფრანგების შესახებ. ამ საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენლის ბიოგრაფიას ავტორებმა შეძლებისდაგვარად გააღვიწყეს თვალი ქუთაისიდან ვიდრე თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაომდე.

ანტონ ვაჭარაძის გამოკვლევაში, რომელიც საარქივო მასალებს ეყრდნობა, კომპანიონებს მთელი თავი ეძღვნება: „თეირანის დულაბის სასაფლაოზე დაკრძალული სტეფანე კომპანიონის და საქართველოში კომპანიონების საგვარეულოს კვლევა თბილისსა და ქუთაისში დაცული სარქივო მასალების მიხედვით“ (გვ. გვ. 45-47). გარდა ამისა, წიგნში შესულია ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის ნაშრომი „დამატებითი მასალები კათოლიკე კომპანიონების საგვარეულოს შესახებ საქართველოსა და ირანში“ (გვ. გვ. 78-82). წიგნში დანართის სახით დაბეჭდილია აგრეთვე ცნობილი ამერიკელი ირანისტის დონალდ სტილოს სპეციალურად ამ პროექტისათვის დაწერილი მოგონება კომპანიონთა ერთ-ერთი წარმომადგენლის – ანტუან კომპანიონის შესახებ, რომელთანაც მას ახალგაზრდობაში ქართულის გაკვეთილებზე უვლია. „ახალგაზრდა ამერიკელი სწავლობს ქართულს განსაკუთრებული ადამიანისგან“ – ასეა დასათაურებული დოქტორ სტილოს მოგონება, რომელიც სამი თავისაგან შედგება (გვ. გვ. 118-122). დასაბამია, რომ ეს მრავალმხრივ საინტერესო ტექსტი, წიგნში მხოლოდ ინგლისურად არის დაბეჭდილი და არ არის ქართულად ნათარგმნი.

კომპანიონებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები (სულ სამი) ამ გამოცემაში მოცულობით ალბათ მხოლოდ მინადორა ხოშტარიას სარკოფაგის თუ ელენე ბენაშვილის ირანული ცხოვრების კვლევის მასალებს ჩამოუვარდება.

საკმაოდ ფართო და სერიოზული შესწავლის მიუხედავად, ქუთაისელი კომპანიონების ზოგიერთი წარმომადგენლის ბიოგრაფიაში ესა თუ ის ფაქტი კვლავ უცნობი და დაუზუსტებელია. ვფიქრობთ, ამ მხრივ შემდგომ კვლევას დიდად შეუწყობს ხელს გაქართველებულ კომპანიონთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენლის – ანტონ (იგივე ანტუან) კომპანიონის შვიდი წერილი თამარ და აკაკი პაპაევებისადმი, რომლებიც აქამდე უცნობია საზოგადოებისათვის. ისინი ბუე-

ნოს-აირესის თანამგზავრ ქალაქ ლომას-დე-ზამორაში ინახებოდა მზია პაპავა-ჭეიშვილთან და 1997 წელს ჩვენ ჩამოვიტანეთ საქართველოში. 2014 წლიდან ეს წერილები კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თამარ და აკაკი პაპავების მემორიალურ კაბინეტშია დაცული მთელ მათ არქივთან და მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად.

ანტუან კომპანიონის წერილების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანით ერთგვარად შეივსება გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევართა მიერ მიღწეული შედეგები და კარგი მაგალითიც იქნება სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებისა და სხვადასხვა სფეროს მკვლევართა თანამშრომლობისა.

მიუხედავად იმისა, რომ ირანიდან არგენტინაში გაგზავნილი ეს შვიდი წერილი 20 წელიწადზე მეტია ჩვენს ხელთაა, აქამდე არ გვექონია საკმაო მასალა მათ მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად. და რომ არა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ეს ანგარიში, ალბათ არც ჩვენი ახლანდელი პუბლიკაცია იქნებოდა.

ანტუან კომპანიონის შვიდი წერილიდან პირველი 1959 წლის 5 დეკემბერს არის გაგზავნილი თეირანიდან ლომას-დე-ზამორაში, ბოლო, მეშვიდე კი – 1964 წლის 15 სექტემბერს. მათგან ექვსი ქართულ ენაზეა დაწერილი, ერთი – ფრანგულად. შვიდიდან ექვსი წერილი წარმოადგენს ეგრეთწოდებულ აეროგრამას და დაწერილია საჰაერო ფოსტისათვის განკუთვნილ სპეციალურ ფორმის ფურცელზე, რომელიც დაკეცვის და დაწებების შემდეგ კონვერტად იქცევა. ექვსივე კონვერტს ლათინური ასოებით აწერია მიმღების ვინაობა (პირველ და მეორე წერილის შემთხვევაში – თამარ პაპავა, მეორე, მესამე, მეოთხე წერილების შემთხვევაში – აკაკი პაპავა, მე-6 წერილის შემთხვევაში – თამარ და აკაკი პაპავები) და მისამართი: ალვარეს თომასის 125 / ლომას-დე-ზამორა / ბუენოს-აირესი / არგენტინა (Alvarez Thomas 125 / Lomas de Zamora / Buenos Aires / Argentine). ქვეყნის დასახელება წერია სპარსულადაც. თითოეულ კონვერტს დაკრული აქვს ირანის ავიაფოსტის 8-რიალიანი წითელი მონოქრომატული მარკა თეირანის ხედის, თვითმფრინავისა და სამხედროფორმიანი მოჰამედ რეზა-შაჰ ფეჰლევის გამოსახულებით მარკის მარჯვენა კიდეზე. გზავნილის უკანა მხარეს დატანილია შტამპი – გამგზავნის მისამართი ლათინური და არაბული ასოებით. ლათინური მთავრული ასოებით წერია:

A. COMPAGNONI
INGÉNIEUR E.S.C.M.
AVE. NADERI – RUE NOW – BAHAR
TEHERAN – IRAN

ძნელია, დაზუსტებით ითქვას, კონკრეტულად რისი სპეციალისტი იყო ინჟინერი ანტუან კომპანიონი და რას ნიშნავს აბრევიატურა E.S.C.M. როგორც გავარკვეეთ, მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. ამ შემთხვევაში შეიძლება ეს იყოს მარსელის უმაღლესი საკომერციო სკოლა – École Supérieure de Commerce de Marseille (SemoklebiT – E.S.C.M.), რაკი მე-6 წერილიდან ირკვევა, რომ ანტუან კომპანიონს ოდესღაც მარსელში უცხოვრია და თავისი საქმეც ჰქონია.

შვიდიდან ექვსი წერილი ქართულად არის დაწერილი და კალიგრაფიის მიხედვით, მათი დამწერისთვის ქართული მშობლიური თუ არა, მშობლიურივით ახლობელი უნდა იყოს. ერთი წერილი (მე-3) ფრანგულად არის დაბეჭდილი საწერ მანქანაზე.

მე-7, ბოლო წერილი განსხვავებულია წინა ექვსისაგან. იგი დაწერილია ემბლემიან ფურცელზე. ემბლემა შედგება ჯვრის, გვირგვინისა და ორი გადანასკვული გულის გრაფიკული გამოსახულებებისგან. ეს ემბლემა თავისი სიმბოლიკით შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე ქრისტიანულ საქველმოქმედო თუ გულმოწყალების ფონდს ან ჰოსპიტალს, შეიძლება ეკლესიასაც, ვთქვათ – ესპანელთა კათოლიკურ ეკლესიას თეირანში. წერილი მოთავსებულია ავიაფოსტის საერთაშორისო სტანდარტის კონვერტში, რომლის წინა მხარეს ლათინური ასოებით აწერია მიმღების გვარი და სახელი (თამარ პაპავა) და იგივე მისამართი, რაც წინა ექვს წერილზეა,

თუმცა ქვეყნის სახელი აქ არაბულად ასოებით აღარ წერია. კონვერტს დაწებებული აქვს სამი სხვადასხვა ნომინალისა და სხვადასხვა ფერის სტანდარტული მარკა ერთნაირი გამოსახულებით – პერსეპოლისის ხედი და მოჰამედ რეზა-შაჰ ფეჰლევი სამოქალაქო ფორმაში მარკის მარცხენა კიდეზე. კონვერტის უკანა მხარეს გამგზავნის მისამართია, რომელიც იდენტურია წინა ექვსი კონვერტის წარწერებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორებს სწორად დაუდგენიათ ანტუან კომპანიონის მისამართი და 2018-2019 წლებში უძებნიათ კიდეც მისი კვალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერანაირი დამატებითი ინფორმაცია მათ ვერ მოიპოვეს. კოლეგები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ „ისლამური რევოლუციის შემდეგ დარჩენილმა კომპანიონებმა დატოვეს ირანი“.

წიგნში ჩვენს ხელს არსებული წერილების ავტორი მოხსენიებულია, როგორც ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონი, მაგრამ რაკი შვიდიდან მხოლოდ ერთ წერილში უწოდებს იგი თავის თავს „ანტონს“, ხოლო დანარჩენ ექვსს „ანტუანად“ აწერს ხელს, რითაც ალბათ თავის ფრანგულ წარმომავლობას უსვამს ხაზს, ჩვენც ასე უნდა ვუწოდოთ.

რაც შეეხება კომპანიონების ფრანგობას: გამომდინარე გვარის იტალიური ჟღერადობიდან და დაწერილობიდან, შეიძლება გვევარაუდა, რომ ისინი წარმოშობით არა საფრანგეთიდან, არამედ იტალიიდან იყვნენ და ფრანგებად მათი კათოლიკობის გამო მოიხსენიებოდნენ, რაც ჩვეულებრივი ამბავი იყო საქართველოში. ამისკენ უნდა ებიძგა მათი გვარის ლათინურ დაწერილობასაც – Compagnoni. ასე წერია ეს გვარი მათ საგვარეული საფლავის ქვაზე თეირანში. ასე წერს თავის გვარს ანტუან კომპანიონი. ამ გვარის ერთი წარმომადგენელი, სახელოვანი იტალიელი ალპინისტი აკილე კომპანიონი (Achille Compagnoni) თანამემამულე ლინო ლაჩადელისთან ერთად 1954 წელს პირველი ავიდა მსოფლიოს მეორე უმაღლესი მწვერვალ ჩოგორიზე.

ქართულ, ინგლისურ, ფრანგულ თუ რუსულ ინტერნეტ-რესურსებში ადვილად იძებნება ანტუან კომპანიონი, მაგრამ ეს სხვა კომპანიონია, ჩვენთვის საინტერესო პიროვნების სრული სეხნია – ბელგიელი მეცნიერი და კრიტიკოსი ანტუან კომპანიონი (დაიბ. 1950), როლან ბარტის მოწაფე, ფრანგული და კომპარატივისტული ლიტერატურის პროფესორი კოლუმბიის უნივერსიტეტში (1985 წლიდან) და კოლეჟ დე ფრანსის ფრანგული ლიტერატურის პროფესორი (2006 წლიდან). იგი ასწავლიდა აგრეთვე პენსილვანიის უნივერსიტეტში, სორბონასა და ოქსფორდში, თუმცა მისი გვარის ლათინური დაწერილობა (Compagnon) ბოლო ასოთი განსხვავდება გაქართველებული კომპანიონების გვარის ლათინური დაწერილობისგან (Compagnoni). გარეშეთათვის ალბათ სწორედ ამით უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფრანგი და იტალიელი კომპანიონები. ამ შეუსაბამობას ნათელი ეფინება დონალდ სტილოს მოგონებაში, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ბატონ ანტუან კომპანიონის (სწორედ ასე, ბატონობით იხსენიებს იგი მას) სახელი ფრანგული ჰქონდა, გვარი კი კორსიკული. ესე იგი გაქართველებული კომპანიონები კორსიკიდან ყოფილან, სადაც იტალიურად ლაპარაკობენ, და ანტუანიც, როგორც ჩანს, ამიტომ წერდა თავის გვარს იტალიურად – Compagnoni.

ანტონ ვაჭარაძის, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის გამოკვლევებზე დაყრდნობით და დონალდ სტილოს მოგონებისა თუ ჩვენს ხელთ არსებული შვიდი წერილის შინაარსის გათვალისწინებით, შეგვიძლია ესკიზურად მოვხაზოთ ანტუან კომპანიონის პორტრეტი.

ანტუან (ანტონ) კომპანიონი დაბადებულია ქუთაისში 1905 წელს.

როგორც ჩანს, იგი პირველი შვილიშვილი იყო ევროპიდან (საფრანგეთიდან, კორსიკიდან) ქუთაისს გადმოსახლებული ანტუან ფრანცისკეს ძე კომპანიონისა და სახელიც პაპის პატივსაცემად მისი დაურქვემიათ.

ანტუან კომპანიონის მშობლები და უახლოესი ნათესავები იყვნენ:

მამა – სტეფანე ანტონის ძე კომპანიონი (1883-1962);

დედა – შუშანა (სუზანა) გრიგორის ასული ზუბიევა (1983-1981);

და – გენრიეტა-ვენერა კომპანიონი (1906-?);

ძმა – ლუდვიგ-ნაპოლეონ კომპანიონი (1910-1930);

პაპა (მამის მამა) – ანტონ (ანტუან) ფრანცისკეს ძე კომპანიონი (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია);

დიდედა (მამის დედა) – მაკა ივანეს ასული ხითაროვა (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია).

ბიძები (მამის ძმები):

იოსებ-კონსტანტინ ანტონის ძე კომპანიონი (1884-1947);

კლემენტ-ფრანც ევგენი ანტუანის ძე კომპანიონი (1887-1937);

ივანე-სტანისლავ (ჟან-სტანისლავ) ანტუანის ძე კომპანიონი (1894-1944).

ანტონ-ანტუანისა არ იყოს, აქ ჩამოთვლილ კომპანიონთა ერთი ნაწილის სახელები შეიძლება დასაზუსტებელი იყოს იტალიურ ან ფრანგულ ყაიდაზე. საარქივო საბუთებსა და შესაბამისად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მომზადებულ გამოცემაში სახელები გაქართულებულია, თეირანის საფლავის ქვებზე კი სახელები ფრანგული შესატყვისებით წერია. მაგალითად, ივანე კომპანიონის საფლავის ქვას „ჟან კომპანიონი“ აწერია.

თარიღებში უმნიშვნელო შეუსაბამობა ვაჭარაძისა და ნახუცრიშვილი-სანიკიძის სტატეის მონაცემებს შორის. სადაც ეს შესაძლებელია, ჩვენ საფლავის წარწერებს ვეყრდნობით.

ყველა დანარჩენი კომპანიონი, იოსებ ანტონის (ანტუანის ძე) კომპანიონის ოჯახის გარდა, როგორც ჩანს, ირანს გადასახლებულა 20-იანი წლების დასაწყისში. იოსები კი საქართველოში დარჩენილა და ქუთაისში გაუგრძელებია მუშაობა სამთამადნო საქმის სპეციალობით. მას დარჩენია ქალიშვილი – ვარვარა (ჟანა) იოსების ასული კომპანიონი (1918-1997), საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი. მას საკუთარი ოჯახი არ ჰქონია და შთამომავალი არ დარჩენია.

პირველი კომპანიონი – ანტუან ფრანცისკეს ძე საქართველოში XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოსულა, აქვე შეურთავს ცოლი და ოთხივე მისი ვაჟი, მათ შორის – სტეფანეც, ქუთაისში უნდა იყოს დაბადებული. ანტონ ვაჭარაძემ საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში ძიების შედეგად ისიც დაადგინა, რომ „ქუთაისში კომპანიონები ცხოვრობდნენ პოლიციის ქუჩაზე, რასაც ადასტურებს სანოტარო რეესტრში დაფიქსირებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ქუთაისში პოლიციის ქუჩაზე მდებარე სახლი ძმებ კაჩუხოვებისგან [...] იყიდა, სავარაუდოდ, სტეფანეს მამამ ანტონ ფრანცისკეს ძე კომპანიონიმ“.

ანტონ ვაჭარაძის მიერ მოძიებული საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ანტუან სტეფანეს ძე კომპანიონი ბავშვობიდან კათოლიკედ მოუნათლავთ და 18 წლისა, უკვე სტუდენტი, იგი მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქუთაისში, პოლიციის ქუჩაზე. თუმცა დაუდგენელია, სად, რომელ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა ქუთაისში მცხოვრები ახალგაზრდა. როგორც ცნობილია, მაშინ ქუთაისში უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა.

ანტუანის მამის შესახებ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევრებმა ლია და გურამ გაბუნიების პუბლიკაციის (გაზ. „ახალი განათლება“, 2011 წლის 2-8 ივნისი, № 21, გვ. 10) საფუძველზე დაადგინეს, რომ „იგი ასწავლიდა ქუთაისში 1908 წელს კონსტანტინე მკურნალის მიერ გახსნილ ვაჟთა გიმნაზიაში. ამ გიმნაზიამ 1918 წლამდე იარსება“, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ „სტატეის მიხედვით არ ჩანს, თუ როდემდე და რას ასწავლიდა იქ სტეფანე კომპანიონი, რომლის კვალიც 1919 წლის მერე საქართველოდან ქრება“.

როდემდე ასწავლიდა არა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან ირკვევა, თუ რას ასწავლიდა სტეფანე კომპანიონი ქუთაისში. მე-2 წერილში ანტუან კომპანიონი წერს, რომ თეირანში 79 წლის მამამისი კერძო გაკვეთილებს აძლევს მათემატიკაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქუთაისის გიმნაზიაში იგი სწორედ მათემატიკის მასწავლებელი იყო.

რაც შეეხება ანტუან სტეფანეს ძე კომპანიონის, მის შესახებ ნ. ნახუცრიშვილისა და გ. სანიკიძის გამოკვლევაში ვკითხულობთ: „ჩვენ მიერ ამერიკელ-პოლანდიელი ირანისტის, ირანუ-

ლი ენებისა და დიალექტების ცნობილი სპეციალისტის დ-რ დონალდ სტილოსაგან მოპოვებული ინფორმაციით, ანტონ სტეფანეს ძე 1960-იანი წლების დასაწყისში ცოცხალია, ცხოვრობს თეირანში, ნადერის (ამჟამად ჯომჭურის) პროსპექტზე, ნოუბაპარის ქუჩის ერთ-ერთი ჩიხის ბოლოში, სომხური კლუბის „არარატის“ მახლობლად. დონალდ სტილო, მაშინ ჯერ კიდევ ირანისტიკის სტუდენტი, რომელიც რამდენიმე წელი ირანში გადიოდა სპარსული ენის სტაჟირებას, დადიოდა ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონისთან ქართული ენის შესასწავლად. მისი მოგონებით, სიმპათიური, კარგი აღნაგობისა და სასიამოვნო ხმის მქონე ანტონი ჯერ კიდევ ქუთაისში დაინვალიდა, როცა უხერხულად ჩახტა ხიდიდან რიონში და წელს ქვემოთ მოწყვეტილი იყო. ანტონს პერიოდულად სახლში აკითხავდნენ კათოლიკე მოწყალეების დები და შეძლებისდაგვარად უვლიდნენ მას. დ. სტილო ვერ იხსენებს ანტონის დედას სუზანას (შუშანას). სავარაუდოდ, მამამისი სტეფანე იმ დროისათვის ახალი გარდაცვლილია. დონალდ სტილომ საკუთარი მოგონებები ანტონ სტეფანეს ძე კომპანიონის შესახებ ინგლისურ ენაზე მოგვავოდა“ (გვ. 81).

როგორც ზემოთ ითქვა, წიგნს ერთვის დოქტორ სტილოს ეს ინგლისური ტექსტი, სადაც რამდენიმე ფრაზა ქართულადაც ჩაურთავს. როგორც ჩანს, სწორედ დონალდ სტილოსაც გულისხმობდა ანტუნ კომპანიონი, როცა თავის მე-2 წერილში წერდა, რომ მასაც მამამისის მსგავსად „რამოდენიმე მოწაფე“ ჰყავდა, რომელთაც ლოგინში მწოლიარე ამეცადინებდა. დონალდ სტილოს მოგონებები ამ წიგნის ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია და ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მომავალში, რაკილა წიგნის ავტორების თქმით, პროექტი კვლავაც გრძელდება, ეს ინგლისური ტექსტი ქართულადაც ითარგმნება, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველასთვის. აქ კი ჩვენეული თარგმანით ჩავრთავთ ამ ტექსტის ერთი ფრაგმენტს, რომელიც რამდენადმე უფრო რელიეფურს გახდის ანტუნ კომპანიონის ვერბალურ პორტრეტს:

„ბატონი კომპანიონი ზორბა კაცი იყო, მაღალი და ახალგაზრდობაში ათლეტური უნდა ყოფილიყო. ჰქონდა ძალიან ძლიერი ხმა, მაგრამ მისი სხეული ხის კუნძივით სრულიად უმოდრაო იყო. როცა შევხვდი, 55 წლისა იყო და აქედან 30 წელიწადი, ცხოვრების ნახევარზე მეტი, პარალიზებული იყო. მისი ხელები და ფეხები განეკუთვლიყო და მედდები და ექიმებიც კი ვერ ახერხებდნენ მათ ამოდრავებას. არანაირი მოძრაობა! როგორ მოხდა ეს? თუ ამბავი სწორად მახსოვს, იგი ასე მიაბნეს: როცა ის ოცდახუთი წლისა იყო, მისმა მეგობრებმა ქუთაისში როგორღაც წყალში გადასახტომად შეაგულიანეს (ხიდიდან? განა ეს შესაძლებელია?) რიონის ძალიან ცივ წყალში. ამ ნახტომის შედეგად იგი რევმატიოიდული ართრიტით დაავადდა და მთლიანად პარალიზებული დარჩა. ეს ამ ამბის სევდიანი ნაწილია, საამური კი ის გახლავთ, რომ ის მუდამ ილიმდა ან იცინოდა, იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდა. მას უყვარდა სიმღერა, უყვარდა ადამიანები და ზრუნავდა მათზე. მისი სხეული პარალიზებული იყო, მაგრამ სული ზეიმობდა. ის ძალიან დიდ მონდომებას იჩენდა ჩემთან, რაკი ანბანი როგორღაც თავად უნდა მესწავლა, რადგანი მას ხელით წერა არ შეეძლო. ეს ამბავი კიდევ უფრო ეგზოტიკური ხდება იმით, რომ ბატონო კომპანიონი კათოლიკე იყო. (მე გავიგე, რომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტია კათოლიკე.) ხანდახან, ჩვენი გაკვეთილების დროს კარზე ზარი ირეკებოდა და საწოლს მიჯაჭვული ჩემი ქართულის მასწავლებლის მნახველები მოდიოდნენ. ზოგჯერ შვიდი ან რვა ესპანელი მონაზონი (თეირანის ესპანული ეკლესიიდან) მოდიოდა მისთვის სალოცავად. მათ არ იცოდნენ სპარსული და საბაზო ფრანგულით ურთიერთობდნენ, მე კი ხშირად მიხდებოდა თარჯიმნობა ესპანურიდან რუსულად. ერთხელ კათოლიკე მღვდელი მოვიდა, რათა დაელოცა და ეზიარებინა იგი. სხვა მომკითხველები მისი ქართველი მეგობრები იყვნენ, რომლებიც მის ძლიერ ხმას თავის ხმებს შეუწყობდნენ ხოლმე და მშვენიერ პოლიფონიურ ქართულ სიმღერებს მღეროდნენ. ერთხელ ირანელი მედდები მოვიდნენ, რათა დაეზილათ მისი გახევებული სხეული, რომ სისხლის მიმოქცევა გაუმჯობესებინათ და ნაწოლები აეცილებინათ“.

დონალდ სტილოს მოგონებიდან ვიგებთ, რომ ანტუნ კომპანიონს სპარსულის გარდა, სცოდნია ქართული, ფრანგული და რუსული ენები, და რომ საწოლს მიჯაჭვული თავის ფრანგულის და რუსულის კერძო გაკვეთილებით ირჩენდა. თავად სტილო, იტალიური წარმოშობის

ამერიკელი სკოლარი, მაშინ 22 წლის ახალგაზრდა, როგორც ჩანს, მისი ერთადერთი მოწაფე იყო, რომელსაც იგი ქართულს ასწავლიდა.

სწავლული და პოლიგლოტი დონალდ სტილო თავის ამ მოგონებაში 1963 წლის ამბებს იხსენებს და მისი მონათხრობი ანტუან კომპანიონის შესახებ ჩვენს ხელს არსებული წერილებითაც დასტურდება, კერძოდ – მისი მისამართი და ისიც, რომ მამამისი 60-იანი წლების დასაწყისში ახალი გარდაცვლილია და რომ თავად ინვალიდია და კათოლიკე მოწაფეების დები აკითხავენ და ზრუნავენ მასზე.

არგენტინაში ირანიდან გაგზავნილი წერილებით დამატებით ირკვევა, რომ რაკი იგი ლოგინს არის მიჯაჭვული და დამოუკიდებლად წერა არ შეუძლია, ამ საქმეში მას, როგორც თავად ეძახის, მოხალისე მდივნები ეხმარებიან. ეს მოხალისე მდივნები დოქტორ სტილოს მიერ ნახსენები ის კათოლიკე მოწაფეების დები არ არიან. უეჭველია, რომ ისინი ესპანელები კი არაა, ქართველები უნდა იყვნენ, რომლებიც, როგორც წერილების კალიგრაფიიდან ჩანს, გვარიანად გაწაფულნი უნდა ყოფილიყვნენ ქართულ-წერა კითხვაში. „ჩემი მშობლები ძალზედ მოხუცდნენ, და ჩემი მეგობრები საუბედუროთ ქართულ ენაზედ ვერ მიწერავენ წერილებს. ორი ქართველი რომლებიც მოხალისე მდივნებათ მყავს იშვიათათ იმყოფებიან თეჰირანში, და მეც როგორც მოგეხსენებათ ჩემის ხელით წერვა არ შემიძლია“. ერთმა ამ მდივანთაგან, როგორც ჩანს, ფრანგულიც კარგად იცის და საწერ მანქანაზე ბეჭდვასაც არის დაუფლებული. არ არის გამორიცხული, რომ ეს ჟან კომპანიონი იყოს, რომელიც თავისი პროფესიით მედიცინასთან იყო დაკავშირებული (წიგნის მე-80 გვერდზე იგი ფარმაცევტად არის მოხსენიებული, 81-ე კი – ექიმად) და სწორედ ამის გამო სხვა ნათესავებზე უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა 11 წლით მასზე უფროს ინვალიდ მმასთან. კალიგრაფიით თუ ვიმსჯელებთ, ეს არ არის უცხოობაში ნასწავლი ქართული წერა. ცალკე უნდა გამოიყოს მეოთხე წერილი, რომელიც, თუმცა გაწაფული, მაგრამ სხვებისაგან რამდენადმე განსხვავებული ხელით არის ნაწერი და რომელშიც სხვაგან ანტუან კომპანიონად მოხსენიებული ავტორი ანტონ კამპანიონად იხსენიება.

ალბათ, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ირანიდან არგენტინაში გაგზავნილ ექვს ქართულ წერილში ირანის დადაქალაქის სახელწოდება ხუთი სხვადასხვა ფორმით წერია: თეჰერანი (მე-2 წერილი), თეჰირანი (მე-4 წერილი), თეირანი (მე-5 წერილი), თეირანი (მე-6 წერილი), თეგრანი (მე-7 წერილი).

კიდევ ერთი რამ ირკვევა ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან: იმის მიუხედავად, რომ ლოგინს არის მიჯაჭვული და შინიდან ფაქტობრივად ვერ გადის, ანტუან კომპანიონი კარგ წრეში ტრიალებს, კარგი სამეგობრო თუ სანაცნობო წრე ჰყავს. პირველ წერილში იგი თავის დიდ მეგობრად იხსენიებს ირანელ მწერალსა და მკვლევარს ემინე პაკრავანს, მე-4 წერილიდან ვიგებთ, რომ თეირანში შვეიცარიის ელჩის მეუღლე მისი კარგი მეგობარია, რომელმაც საქართველოსადმი მიძღვნილი ჟურნალი ჩამოუტანა შვეიცარიიდან. გარდა ამისა, მე-5 წერილიდან ჩანს, რომ ანტუან კომპანიონის მეგობრები ჰყავს პარიზსა და მადრიდში, იცნობს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ალექსანდრე მანველიშვილს, ვიკტორ ნოზაძესა და მიხეილ ჯაყელს. პარიზელ მეგობართაგან იგი ახსენებს ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ლევან ზურაბიშვილს. მართალია, მადრიდელთაგან იგი არავის ასახელებს, მაგრამ რაკი ვიცით, ვინ ცხოვრობდა მაშინ ქართველთაგან მადრიდში, მისი იქაური მეგობრები ირაკლი ბაგრატიონს, რაფიელ ინგილო ივანიცკისა და მადრიდელ ბერიძეთა შორის უნდა ვიგულოთ. სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველებთან ანტუან კომპანიონის კავშირზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თეირანში იგი ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთს ღებულობს. პაპავებთან მიმოწერა უშუალო დასტურია ანტუან კომპანიონის ფართო სანაცნობო და სამეგობრო წრის არსებობისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რადგან მიმოწერა მისთვის ერთადერთი საშუალება იყო ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობისა, ამიტომ ვფიქრობთ, მისი წერილები სხვა ემიგრანტულ არქივებშიც არის საგულვეტული, საქართველოსა თუ უცხოეთში.

ჩვენს ხელთ არსებული მიმოწერა ნაკლულია. გარდა იმისა, რომ დაკარგული ან ჯერჯერობით მიუკვლეველია აგრენტინიდან ირანში გაგზავნილი წერილები, ირანიდან არგენტინაში გაგზავნილებიც არ არის შემორჩენილი სრული სახით. როგორც ჩანს, თამარ პაპავას ყველა წერილის შენახვა საჭიროდ არ ჩაუთვლია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, სულ მცირე, კიდევ უნდა იყოს ერთი გერმანული წერილიც (1962 წლის ახალწლის მილოცვით), რომელიც მე-4 წერილშია ნახსენები. ამავე წერილიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტუან კომპანიონიმ ქართულთან, ფრანგულთან და რუსულთან ერთად გერმანულიც იცოდა.

პაპაეები კომპანიონის კამპანიონად იხსენიებენ. ასეა აკაკი პაპავას მინაწერში მეორე წერილზე და ასევე წერს თამარ პაპავა იმ კონვერტზე, რომელშიც შევიდევ ეს წერილი იყო მოთავსებული. ეს გახლავთ კავკასიის სამთო ასოციაციის კონვერტი, რომელზეც გერმანულადაა დაბეჭდილი წარწერა KAUKASISCHER GRUBENVEREIN GmbH (შპს კავკასიის სამთო ასოციაცია) და მისი მისამართი ჰამბურგში: HAMBURG 13, HARTUNGSTRASSE 3. არ ვიცი, თამარ პაპავამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათი კორესპონდენციის დახარისხებისას შემთხვევით ჩალო ანტუან კომპანიონის წერილები ამ კონვერტში, თუ საგანგებოდ, რისი დაშვების საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ თამარ პაპავა კორესპონდენციის დასახარისხებლად სხვადასხვაგვარ კონვერტებს იყენებდა. ასეა თუ ისე, მეტ-ნაკლები ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტუან კომპანიონი თუ არა, მამამისი მაინც უშუალო შეხებაში უნდა ყოფილიყო ჭიათურის მარგანეცის წარმოებასთან თუ მის ტრანსპორტირებასთან. ამ ვარაუდი ირიბ საფუძველს გვაძლევს კომპანიონების ოჯახის გადასახლება ირანში, რაც, ვფიქრობთ, იმ პერიოდში მარგანეცის მრეწველობაში შექმნილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების შედეგი უნდა იყოს. ამის გარკვევა შესაძლებელი გახდება საქართველოსა თუ უცხოეთში დაცული არქივების („ჩემოს“, „კარუტოს“, კავკასიის სამთო ასოციაციისა თუ სხვ.) გამომხეურებისა და შესწავლის შემდეგ.

ჩვენს ხელთ არსებული პირველი წერილიდან ჩანს, რომ ეს წერილი მანამდე დაწეხებული მიმოწერის გაგრძელებაა. ახლა შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის დაიწყო მიმოწერა ანტუან კომპანიონსა და პაპაეებს შორის, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ევროპაში ცხოვრებისას უკვე იცნობდნენ ერთმანეთს და, როგორც ჩანს, მიმოწერაც ჰქონდათ – პირადად და ალბათ საქმიანიც. პაპაეების ოჯახის წევრებს კომპანიონი თავის ფრანგულად ენაზე დაწერილ წერილში (მე-3 წერილი) საუკეთესო მეგობრებად იხსენიებს.

ამ შვიდი წერილიდან კარგად ჩანს, რომ ანტუან კომპანიონი პირადად იცნობდა თამარ და აკაკი პაპაეებს. მისი წერილების ადრესატი ხან თამარია და ხან – აკაკი.

მივევთ წერილებს ქრონოლოგიურად:

წერილი 1-ლი (5. XII. 1959)

მართალია, ჩვენ ხელთ არ გვაქვს არგენტინიდან თეირანს გაგზავნილი წერილები, მაგრამ თეირანიდან ლომას-დე-სამორაში მისული და დღემდე მოღწეული პირველივე წერილიდან ირკვევა, რომ თამარ პაპავას მანამდე ირანს გაუგზავნია 1937 წელს პარიზში გამოცემული თავისი წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“, რომელიც ნახსენებია ირანელი მწერლისა და მეცნიერის ემინე პაკრავანის წიგნი აბას მირზას შესახებ. ეს წიგნი ფრანგულად გამოუცია სპარსულ-ფრანგულ ინსტიტუტს. თამარ პაპავას ანტუან კომპანიონისთვის პაკრავანის წიგნი უთხოვია. როგორც ცნობილია, აბას მირზა – ირანის ჯარების სარდალი რუსეთ-სპარსეთის ომების დროს, ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა თამარ პაპავას მიერ აღწერილი მოვლენებისა და არაერთხელ არის ნახსენები მის წიგნში. გარდა ამისა, იმ პერიოდში თამარ და აკაკი პაპაეები მუშაობდნენ

თავიანთ მნიშვნელოვან ერთობლივ ნაშრომზე „მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველო-სი“ და ამინე პაკრავანის წიგნი ალბათ ამისთვისაც დაისაჭიროვეს.

წერილი მე-2 (27. I. 1960)

ეტყობა, აკაკი პაპავამ ირანში მყოფი ქართველების შესახებ ჰკითხა თავის წერილში და ანტუან კომპანიონიც თავის პასუხში აცნობს მათ. აქ იგი ჩამოთვლის ზურაბ მაჩაბლის, მიშა ქორქიას, ივანე ვარაზაშვილის, პროკოპი ლეჟავას, ედუარდ პაპავას სახელებს. გარდა ამისა, მოკლედ ახასიათებს თავის მშობლებს, მათ საქმიანობას.

აკაკი პაპავას, რასაკვირველია, ყველაზე მეტად თავისი ძმის, ედუარდ პაპავას და თავისი ძველი თანაპარტიელის, მიშა ქორქიას ამბავი აინტერესებდა.

მე-2 წერილის მინდორზე მას ასეთი მინაწერი გაუკეთებია:

„კამპანიონის ცნობები სპარს. ქართველ. ამბებზე

ედუარდი მოიტაცესო და ჰგავს თბილისის ციხეში გადაიკვალაო.

სხვები დაიხოცნენ ან დაბრუნდნენო.

ეხლა 10-15 კაცი დარჩაო. მათში სოც. ფედ. რაზმელი მიშა ქორქიაო.

ვ. ვარაზი † 1958 წ. და სხვ.“

აკაკი პაპავას დარად, ეს წერილი ალბათ განსაკუთრებით საინტერესოა უნდა იყოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მომზადებული წიგნის ავტორთათვისაც.

წერილი მე-3 (10. IX. 1960)

მესამე წერილი ფრანგულად არის მიწერილი. სწორედ ამ წერილში ჩანს, რომ ანტუან კომპანიონი, საწოლს არის მიჯაჭვული და მიმოწერისას ღიდად არის დამოკიდებული თავის ქართველ მოხალისე მდივანზე, რომელსაც აკაკი პაპავას წიგნით აღფრთოვანებულმა აღარ დაუცადა და წერილი სხვას გადააწერინა ფრანგულად საწერ მანქანაზე. წერილი წარმოადგენს გამომხატვრებს აკაკი პაპავას ლექსების წიგნზე „1500 წლოვან თბილისს“, რომელიც 1960 წელს გამოიცა სანტიაგო-დე-ჩილეში. ეს არის ლექსებისა და წერილების კრებული, რომელსაც უძღვის „მეგობრის“ (თამარ პაპავას ფსევდონიმი) წინასიტყვა. წიგნი ავტორს, როგორც ჩანს, გამოსვლისთანავე გაუგზავნია თეირანში.

ამ წერილის ერთი ფრაზა გვაფიქრებინებს, რომ ანტუან კომპანიონი განათლებული, კულტურული, დახვეწილი პიროვნება იყო. სხვაგვარად, ძნელი ასახსნელი იქნება მისი ეს სიტყვები: „ბოდიშს გიხდით, რომ გწერთ ენაზე, რომელიც თქვენ ალბათ კარგად არ იცით, მაგრამ ჩემი სურვილი, გამოუმეხატა თქვენდამი მადლიერება, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი მოთმინება, დავლოდებოდი ჩემი ქართველი მოხალისე მდივნის დაბრუნებას“.

წერილი მე-4 (14. I. 1962)

წერილში ლაპარაკია სამ გამოცემაზე:

„შესანიშნავ ქართულ გრამატიკაში“, რომელიც „პროფესორ ჩხენკელს გამოუცია“ ანტუან კომპანიონი გულისხმობს კიტა ჩხენკელის ნაშრომს „ქართული ენის შესავალი“, რომელიც მან ციურიხში, თავისივე დაარსებულ გამომცემლობა „ამირანში“ გამოსცა 1962 წელს და რომელიც დღემდე კლასიკურ სახელმძღვანელოდ ითვლება გერმანულენოვან სამყაროში. ეს გამოცემა კარგად არის ცნობილი ჩვენში.

„სამაგიეროდ“ დღემდე თითქმის სრულიად უცნობია შვეიცარიული ჟურნალი „ატლანტი-სი“, რომლის 1961 წლის ერთი ნომერი მთლიანად საქართველოს მიეძღვნა. ჟურნალში ქართველი თუ უცხოელი მწერლები და მეცნიერები, მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც, საქართველოს, მისი ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ მოუთხრობენ მკითხველს. თავის წერილში ანტუან კომპანიონი სწორედ ჟურნალის ამ ნომერს ახსენებს, რომელიც მისთვის შვეიცარიის ელჩის მეუღლეს ჩამოუტანია ციურიხიდან. ზუსტად 45 წლის შემდეგ, 2007-ში, ამ ჟურნალის ერთი ეგ-

ზემპლარი ციურიხიდან თბილისში ჩამოგვიტანა ცნობილი ავსტრიელი მუსიკისმცოდნის, პროფესორ კლაუს განტერის მეუღლემ ანა-მარია განტერ-ჰესმა. თავის დროზე ჟურნალის სწორედ ამ ეგზემპლარით ისარგებლა გრიგოლ რობაქიძის ნაწერების მონუმენტური ხუთტომეულის შემდგენელმა, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა ლალი ცომაიამ. გამოცემის მე-5 ტომში ჟურნალის გარეკანი და რამდენიმე გვერდის ფოტოებიც არის დაბეჭდილი (გვ.გვ 456-457, 764). ჟურნალ „ატლანტისის“ ეს ნომერი დღეს ჩვენს ბიბლიოხეუშშია დაცული, დიდი ხანია, მზად გვაქვს მისი მიმოხილვა სტატიების თარგმანებითურთ და მალე გამოვაქვეყნებთ კიდევ.

რაც შეეხება ამ წერილში ნახსენებ მესამე გამოცემას – 1962 წლის PETIT LAROUSSE-ს გვიჭირს დავადგინოთ, რა სტატია შეამცირა ამ ფრანგულმა ენციკლოპედიამ და რა სახის პროტესტი გაუგზავნა ანტუან კომპანიონმა გამომცემლობას ირანიდან. თუმცა დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტატია საქართველოს შეეხებოდა.

წერილი მე-5 (12. III. 1963)

ეს წერილი უწინარესად მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ზუსტად არის დაფიქსირებული ავტორის მამის – სტეფანე კომპანიონის გარდაცვალების თარიღი – 1962 წლის 25 თებერვალი, რითაც დასტურდება, ნიკოლოზ ნახუცრიშვილისა და გიორგი სანიკიძის მიერ თავიანთ ნაშრომში გამოთქმული ვარაუდი, რომ კომპანიონთა საგვარეული საფლავის ქვის ფრანგულ წარწერაში მითითებული ეტიენ კამპანიონი, რომელსაც დაბადება-გარდაცვალების თარიღებად 1883-1962 წლები აწერია, იგივე სტეფანე კომპანიონია. ხოლო წიგნში დაბეჭდილ საფლავის ფოტოზე აღბეჭდილი მეორე ქვა, რომელსაც ქართულად „სტეფანე კომპანიონი“ აწერია და დაბადება-გარდაცვალების თარიღებად 1882-1962 წლებია მითითებული, არა საფლავის, არამედ მემორიალური უნდა იყოს და (ალბათ მოგვიანებით) სწორედ იმიტომ არის დადებული, რომ დაბადების თარიღებში ეს ერთწლიანი შეცდომა გამოესწორებინა. ჩვენი აზრით, სტეფანე ეტიენ კომპანიონი 1882 წელს უნდა იყოს დაბადებული, ხოლო მეტრიკული ჩანაწერი მისი დაბადების შესახებ, როგორც სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ სტატიის ავტორები, 1883 წელს არის შესრულებული ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში. ის ფაქტი კი, რომ კომპანიონების საგვარეულოში ორ-ორი სახელი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ოჯახის სხვა წევრთა ორმაგი სახელებითაც დასტურდება.

ნიშანდობლივია, რომ წერილში დედამისთან ერთად ანტუან კომპანიონი სახელის გარეშე ახსენებს თავის დას (გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასულ კომპანიონის), რომლის გარდაცვალების თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ამ წერილით ირკვევა, რომ იგი 1963 წელს ცოცხალია. რაც შეეხება ანტუანისა და გენრიეტა-ვენერას ძმას, როგორც ზემოთ ნახსენები საგვარეული საფლავის ქვა გვაუწყებს, ლუი კომპანიონი 1930 წელს გარდაცვლილა 20 წლისა. არ უნდა დაგვაბნიოს სახელმა „ლუი“ – იგი „ლუდვიგის“ ფრანგული ვარიანტია, ხოლო ანტონ ვაჭარაძის გამოკვლევით ვიგებთ, რომ ანტუანის ძმას სწორედ ლუდვიგი, უფრო ზუსტად – ლუდვიგ-ნაპოლეონი ერქვა.

წერილში ნახსენები „მოწამეთობა“ გახლავთ – აკაკი პაპავას ლექსების მეოთხე, ბოლო წიგნი „მოწამეთობა“, გამოცემული 1962 წელს ნიუ-იორკში ავტორისავე წინასიტყვაობით.

წერილი მე-6 (12. XII. 1963)

ავტორის მიერ ნახსენებ ნიუ-იორკში დაბეჭდილ გაზეთში, სადაც აკაკი პაპავაზე იყო ლაპარაკი, გაზეთი „ქართული აზრი“ იგულისხმება. საუბარია, კერძოდ, ამ გაზეთის 1962 წლის ნოემბრის ნომერში (№ 51-52), მე-6 გვერდზე დაბეჭდილ მცირე კორესპონდენციაზე „მოწამეთობა“, რომელსაც ხელს აწერს „დონი“ (სავარაუდოდ, დიმიტრი სინჯიკაშვილი) და რომელიც აკაკი პაპავას ლექსთა ახალ კრებულის მიმოხილვას წარმოადგენს.

ლეონიდ ბრეჟნევი, რომელსაც ანტუან კომპანიონი ბერეჟნიოვს უწოდებს, თეირანში ოფიციალურ ვიზიტად ხრუმროვის ეპოქის მიწურულს, 1963 წლის ზაფხულში ჩავიდა. მაშინ მას

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანამდებობა ეკავა და ირანს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით ეწვია. სწორედ იმ დღეს, როცა ბრეჟნევი ირანის მეჯლისში (პარლამენტში) სიტყვით უნდა გამოსულიყო, საბჭოთა საჰაერო დაცვის ძალებმა ირანის სამოქალაქო თვითმრინავი ჩამოაგდეს, რომელიც როგორც ამბობდნენ, უნებართვოდ შეიჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. ბრეჟნევის გამოსვლის წინ მეჯლისის დეპუტატებს შორის მყისიერად გავრცელდა ცნობა ამ ინციდენტის შესახებ, ხოლო ბრეჟნევი თავისი გამოსვლა ვითარების გარკვევამდე გადადო. საბჭოთა წყაროებში წერია, რომ ირანის ხელისუფლებამ ძალევე დაადგინა, რომ მათი თვითმფრინავი საბჭოთა ტერიტორიაზე სამოქალაქო ხელისუფლების ნებართვის გარეშე შევიდა და შაჰის ოფიციალური ბოდიშის შემდეგ ბრეჟნევი შემრიგებლური სიტყვით გამოსულა პარლამენტში. ეს ვიზიტი მართლა გახდა ერთგვარი დათბობის დასაბამი ორ ქვეყანას შორის, იქამდე, რომ ირანელებმა ორი საფოსტო მარკაცი მიუძღვნეს ამ მოვლენას. ხოლო საბჭოთა მხარემ ვიზიტი ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმში ასახა. ფილმის სცენარის ავტორი გახლავთ მაშინ ახალგაზრდა ჟურნალისტი მელორ სტურუა, რომელიც თან ახლდა დელეგაციას ირანში.

სწორედ ამ ვიზიტის ამბავს იხსენებს ანტუან კომპანიონი თავის წერილში.

წერილის პოსტსკრიპტუმში ნახსენები ცაცა ფალიაშვილი, რომლის ამბავსაც ეკითხება ანტუან კომპანიონი აკაკი და თამარ პაპავებს, თავისი ცოლის – თამარ ჭილაიას მკვლეელი ქართველი ემიგრანტია, ჯერ გერმანიაში, მერე იტალიაში, უფრო მერე – ესპანეთსა და ბოლოს არგენტინაში მცხოვრები.

ბუენოს-აირესში გამოძავალი ქართული ჟურნალი „მამული“ თავის მეოთხე რვეულში (ნოემბერი, 1951) დაბეჭდილ კორესპონდენციაში „სავალალო და სამარცხვინო ამბავი“ ასე აღწერს მომხდარს:

„20 ოქტომბერს იგი იმის მიუხედავად რომ აკრძალული ჰქონდა, შევიდა მასთან ოთახში, იძრო რევოლვერი, დაადგა ქალს თავზე და... და შედეგი: ორი ტყვია მუცელში, ერთი ტუბუში, ერთი მკლავში... თვითონ კი თავისი უბედური თავი დაზოგა, არ გაიმეტა სასიკვდილოდ – წავიდა პოლიციაში და გამოცხადდა. თამარი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. იცოცხლა ტანჯვით ერთი კვირის განმავლობაში – რა გადაარჩინდა! და ტანჯვითვე განუტევა სული. ამ სამარცხვინო და შემარცხვენელმა მკვლელობამ ქართველთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. მგლოვიარე ქართველებმა და უცხოელმა მეგობრებმა თამარის გვამი სათანადო პატივით, 29 ოქტომბერს, ჩიკარიტას სასაფლაოს მიაბარეს. დასაფლავების წესი შეასრულა მამა ნიკოლოზ ზამბახიძემ.“ (გვ. 156.)

ანტუან კომპანიონის მე-6 წერილის პოსტსკრიპტუმში სხვა მხრივაც არის საინტერესო. ამ პოსტსკრიპტუმიდან ვიგებთ, რომ მას ქარხანა ჰქონია მარსელში, რომელშიც იმ ცოლისმკვლელ ცაცა ფალიაშვილს უშუშავია თავის დროზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტუან კომპანიონს ერთხანს ევროპაშიც უცხოვრია. ჩემი ქარხანაო, რომ ამბობს, ეს შეიძლება მცირე რამ საამქრო იყო (ქართველი ემიგრანტები ყველა ასეთ პატარა საწარმოს “ქარხანას“ ეძახდნენ), მაგრამ ფაქტია, რომ მას მარსელში თავისი საქმე ჰქონია.

წერილი მე-7 (15. IX. 1964)

ეს სამძიმრის წერილი თამარ პაპავას სახელზეა გაგზავნილი უკვე აკაკის გარდაცვალების შემდეგ, 1964 წლის 15 სექტემბერს. ნიუ-იორკში გამოცემული გაზეთიდან გავიგე ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავი, – ანტუან კომპანიონი წერს, – ძლიერ დაგვიანებითო. ნიუ-იორკში გამოცემული გაზეთი, აქაც „ქართული აზრია“, რომელშიც ორჯერ დაიბეჭდა აკაკი პაპავას ნეკროლოგი – 1964 წლის ივნისში (დ. სინდიკელი, № 66) და ოქტომბერში (რ. ინგილი, „ადარა გვყავს აკაკი“. № 67-68, გვ. 6). ანტუან კომპანიონს აკაკი პაპავას გარდაცვალება დ. სინდიკელის (დიმიტრი სინჯიკაშვილის) ნეკროლოგიტ შეუტყვია, რადგან წერილი მანამდეა გაგზავნილი არგენტინაში, სანამ ის რაფიელ ინგილოს ნეკროლოგი დაიბეჭდებოდა. ასე რომ, დაგვიანებით კი

არა, მეგობრის გარდაცვალება მას სწორედაც დროულად გაუგია – აკაკი პაპავა 1964 წლის 27 ივნისს გარდაიცვალა და მისი ნეკროლოგის გამოქვეყნება რედაქციას ივნისშივე მოუსწრია. ანტუნ კომპანიონი სამხედრო თეირანში („თეგრანში“) მცხოვრები ქართველების დავალებითაც უგზავნის თამარ პაპავას. ჩანს, იგი ირანში მცხოვრები ქართველების ერთგვარი გამაერთიანებელი ფიგურა იყო.

ანტუნ კომპანიონის წერილები თამარ და აკაკი პაპავებს

1.

ანტუნ კომპანიონი – თამარ პაპავას

5. 12. 59 წ.

დიდათ პატივცემულო ქ-ნო თამარ!

რამოდენიმე დღის წინათ მე მივმართე სპარსულ ფრანგულ ინსტიტუტს, რომ თქვენთვის გამოეგზავნათ „აბას მირზა“, უკანასკნელი შრომა აწ უკვე განსვენებულ ქ-ნ პაკრავანისა. ვიმედოვნებ, რომ თქვენ ეს წიგნი უკვე მიღებული გექნებათ.

ქ-ნ პაკრავანს მოხსენებული აქვს თქვენი შრომა, რომელიც მე თავის დროზე გადაუთარგმნე ნაწილობრივ. მეორე ტომი ამ წიგნისა მალე გამოიცემა.

პირველი ტომის უკანასკნელ ფურცლებში თქვენ ალბათ მიაქცევდით ყურადღებას ლაი ჩინ ხანის პიროვნებას, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია სპარსელებს. ქ-ნი პაკრავანის აზრით ეს უნდა ყოფილიყო ერეკლე მეფის შვილის შვილი, რომელიც სხვა და სხვა მოსაზრებით თავის ნამდვილ სახელს არ ატარებდა. საინტერესოა ამაზე თქვენი აზრი. რასაკვირველია ეს არ არის არც ალექსანდრე ბატონის შვილი და არც თეიმურაზი, რომელიც ხშირად მოხსენებული აქვს ქ-ნ ამინე პაკრავანს.

ამ წიგნში მოხსენებულია ბ-ნი მანუელი შვილი, რომლის მასალები მე მას მივაწვდინე, რომელიც დღეს დღეობით იმყოფება ვაშინგტონში.

განსვენებული ქ-ნი პაკრავანი ჩემი დიდი მეგობარი იყო. ის გადაიცვალა 14 ივლის 1958 წ.

პირადად რაც მე შეემხება, მე მუდამ მწოლიარე ავად მყოფი ვარ. მხოლოდ სულიერად მაგარი და ურყევი ვარ და ოპტიმიზმით სავსე.

ვიმედოვნებ, რომ ბ-ნი აკაკი კარგად არის და ყველა თქვენ მთელი ოჯახის შემადგენლობით.

გისურვებთ მომავალ დღესასწაულებს მხიარულად და ჯანმთელად შეხვედროდეთ ყველა თქვენიანებით. აგრეთვე ვისურვებ გაისამდროს საქართველოში მოგველოცნოს ერთმანეთისათვის დღესასწაულები.

მუდმივ თქვენი პატივ მცემელი ანტუნ კომპანიონი

2.

ანტუნ კომპანიონი – აკაკი პაპავას

27. I. 1960 წ.

დიდათ პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

თქვენ მიერ გამოგზავნილი ბარათი მივიღე, რომელმაც მასიამოვნა და გამახარა.

ვიმედოვნებ, რომ ქ-ნი თამარი, ეხლა უკეთ იქნება და ღმერთსა ვსთხოვ, მათი მუდმივ ჯანმთელობას და დღეგრძელობას.

თეპერანში ერთ დროს ქართველები დაახლოვებით ასამდინ იყვნენ. უმრავლესობა მათგანი რომლებიც ეკუთვნოდნენ ძველ თაობას გარდაიცვალენ. რაც შეეხება ახალგაზრდობას ოც-ოცდახუთამდისინ უკან გაბრუნდნენ საქართველოში ომის შემდეგ. ესენი როგორც ემჩნეოდა დავალებით იყვნენ ჩამოსული. ომის დროს სპარსეთიდან იქნენ გატაცებული რვა კაცამდე. ამ ჯგუფში ედუარდი პაპავაც უნდა იყოს. ედუარდი 1941 წ. აქ ჩვენთან თეპერანში ცხოვრობდა. რუსების შე-

მოსვლის შემდეგ ის გადაიხიზნა სამხრეთში, და მის შემდეგ მასზე არავითარი ცნობა არა გვაქვს. 1958 წ. ერთი გაქართველებული აისორი ჩამოვიდა თბილისიდან, რომელმაც გვიამბო, ელუარდი თბილისის ციხეში გადაიკვალაო. სინამდვილეა თუ არა არ ვიცი.

დღეს დღეობით 10-15 კაცამდისინ ცხოვრობენ სპარსეთში ქართველები. მათ შორის ბ-ნი ზურაბ მაჩაბელი. შეიძლება კიდევაც იცნობდეთ. აქ ცხოვრობს ერთად ერთი ფედერალისტი, ყოფილი ბათუმის პარტიზანული რაზმის არა უმნიშვნელო წევრი მიშა ქორქია, რომელიც თქვენი შეფობით ამაყობს. ის არის ჩემი კარგი და ერთგული მეგობარი. 1958 წ. გარდაიცვალა ინჟ. ივანე სოფრომის ძე ვარაზაშვილი, ყოფილი შავ ქვის მრეწველი. პირველ ხანებში მას აქ კარგად ქონდა საქმე, რკინისგზის ამღმენობაში მუშაობდა და დიდი მოიჯარადრეც იყო, ხოლო საუბედუროთ გამოურკვეველი მიზეზების გამო მან ცუდათ დაამთავრა თავისი სიცოცხლე, საშინელი სიღარიბეში გარდაიცვალა.

მამა ჩემს შეუსრულდა 77 წ. მიუხედავად ამისა განაგრძობს მუშაობას მატემატიკის დარგში კერძო გაკვეთილების მიცემით. მეც რამოდენიმე მოწაფე მყავს რომლებსაც ლოგინში მწოლიარეთ ვამაცადინებ, დედასაც შეუსრულდა მამასავით 77 წ. მაგრამ მხნეთ არის. დედა ჩემის წყალობით ჯერჯერობით პირის გემო არ გვაკლია. ხშირათ გვიკეთებს ქართულ საჭმელებს.

მეორე ტომი „აბას მირზა“ ჯერ არ გამოსულა. როგორც გამოვა თუ არა გამოვიგზავნით.

უზომო მადლობელი ვიქნები თუ შეწუხდებით და გამომიგზავნით „თამარ დედოფალს“ რისთვისაც წინდაწინვე გიხდით უზომო მადლობას.

ჭიათურელ, ბ-ნ პროკოფი ლეჟავამ, როგორც იქნა თავი დაახწია კომუნისტურ ჩინეთს და გადასახლდა ავსტრალიაში თავისი ოჯახობით. ეს ამბავი არ ვიცი როგორ ვაცნობო ბ-ნ ვ. ნოზაძეს და ბ-ნ ჯაყელს ჩილეში, რომლების მისამართი არ ვიცი. ბ-ნი პროკოფი ლეჟავა არის შავი ქვის მრეწველის სესია ლეჟავას უმცროსი ვაჟი.

მუღმივ თქვენი კეთილის მდომი და პატივისმცემელი ანტუან კომპანიონი

3.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

Téhéran, le 10 Septembre 1960

Cher Maitre,

Le grand écrivain italien Gabriel d' Annunzio, dans un de ses livres, dit que la poésie est l'art par excellence et que rien ne peut exprimer une pensée aussi bien qu'un vers parfait.

J'ai lu vos beaux poèmes avec émotion et souvent à travers les larmes.

Permettez-moi de vous adresser par la présente mes vifs remerciements et de vous renouveler l'assurance de mon profond respect.

L'homme d'élite et le grand chrétien que vous êtes mérite l'admiration de tous. Et comme tels vous n'appartenez pas seulement à votre patrie, mais à tout le monde.

Je vous prie de transmettre mes respectueux hommages à Madame Tamara et à vos charmantes filles. Aux autres membres de votre famille mes meilleurs amitiés.

Je m'excuse de vous écrire dans une langue que vous ne connaissez peut être pas très bien, mais mon désir de vous exprimer ma reconnaissance a été plus fort que ma patience d'attendre le retour de mon secrétaire benevole georgien.

L'état de ma santé est satisfaisant, malheureusement il m'est impossible d'écrire moi-même.

Mes parents, ages de 79 ans, ont beaucoup apprécié vos poèmes et me chargent de vous transmettre avec leurs meilleures salutations, leurs sincères compliments.

Croyez toujours, cher Maitre, à mes sentiments les plus dévoués.

Antoine Compagnoni

თარგმანი:

თეირანი, 10 სექტემბერი, 1960

ძვირფასო ბატონო,

დიდი იტალიელი მწერალი გაბრიელ დ'ანუნიო ერთ-ერთ თავის წიგნში ამბობს, რომ პოეზია ყველაზე აღმატებული ხელოვნებაა და არაფერს შეუძლია გამოხატოს აზრი სრულყოფილ ლექსზე უკეთ.

მე ვკითხულობ თქვენს მშვენიერ ლექსებს ემოციით და ხშირად ცრემლით.

ნება მიბოძეთ, გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლიერება თქვენდამი და დაგიდასტუროთ ღრმა პატივისცემა.

კეთილშობილი პიროვნება და დიდი ქრისტიანი, როგორც თქვენ ბრძანდებით, საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს. და ამიტომ თქვენ ეკუთვნით არა მარტო თქვენს სამშობლოს, არამედ ყველას.

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულითადი მოკითხვა ქალბატონ თამარს და თქვენს საყვარელ გოგონებს, აგრეთვე თქვენი ოჯახის სხვა წევრებს, ჩემს საუკეთესო მეგობრებს.

ბოდიშს გიხდით, რომ გწერთ ენაზე, რომელიც თქვენ ალბათ კარგად არ იცით, მაგრამ ჩემი სურვილი, გამომეხატა თქვენდამი მადლიერება, უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი მოთმინება, დავლოდებოდი ჩემი ქართველი მოხალისე მდივნის დაბრუნებას.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, წერა არ შემეძლია.

79 წლის ჩემს მშობლებს დიდად მოეწონათ თქვენი ლექსები და მოხოვეს გადმომეცა თქვენთვის მათი საუკეთესო სურვილები და გულწრფელი კომპლიმენტები.

მულამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძვირფასო ბატონო, ჩემს უაღრეს ერთგულებაში.

ანტუან კომპანიონი

4.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

14 იანვარი 1962 წელი

ქალაქი თეჰირანი

ღრმად პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

უპირველეს ყოვლისა ბოდიშს ვითხოვ თქვენს წინაშე თუ ხანდისხან უცხო ენებზედ მიხდება თქვენთან საუბარი.

ჩემი მშობლები ძალზედ მოხუცდნენ, და ჩემი მეგობრები საუბედუროთ ქართულ ენაზედ ვერ მიწერავენ წერილებს. ორი ქართველი რომლებიც მოხალისე მდივნებათ მყავს იშვიათათ იმყოფებიან თეჰირანში, და მეც როგორც მოგეხსენებათ ჩემის ხელით წერვა არ შემეძლია.

მამასადამე მე იძულებული ვიყავი დღესასწაულები მომელოცა თქვენთვის გერმანულად და უკანასკნელად გამოგიგზავნეთ ფრანგულ ენაზედ დაწერილი წერილის ასლი.

მე პროტესტი გამოუცხადე წერილობითი ლარუსის გამომცემლობას იმ შემცირებისთვის რომელიც იმათმა მოახდინეს 1962 წლის გამოშვებულ PETIT LAROUSSE.

ამ წერილის ასლი პარიზში ორ მეგობარ ქართველებს გაუგზავნე მხედველობის მისაღებათ.

ერთმა ჩემმა დიდმა მეგობარმა, შვეიცარიელ ელჩის მეუღლემ მომიტანა ერთი სპეციალური ნომერი ჟურნალის Atlantis-ის №10, ოქტომბერი 1961 წლის, გერმანულ ენაზედ გამოცემული ქალაქ ციურიხში, შვეიცარიაში.

მშვენიერი ფოტოგრაფიული სურათები არის მოყვანილი და ტექსტიც ცნობილი მწერლების, უცხოელების და ქართველების მიერ არის დაწერილი.

თუ თქვენ ეს ჟურნალი არ გაქვთ ნახული და თუ მანდ ვერ იშოვნით, გთხოვთ მაცნობოთ და მე დიდის სიამოვნებით გამოგიგზავნით. ამ ქალბატონმა აგრეთვე სასიხარულო ამბავი ჩამომიტანა ციურიხიდან, რომ პროფესორ ჩხენკელს გამოუცია შესანიშნავი ქართული გრამატიკა.

ვიმედოვნებ რომ თქვენ და თქვენი ოჯახის შემადგენლობა ყველა კარგად იმყოფებით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ წასულ დღესასწაულებს, თქვენ და თქვენი ოჯახის შემადგენლობას და გისურვებთ რომ მომავალს საქართველოში შეხვედროდეთ. დიდი მოკითხვა ჩემი მშობლებისგან.

მუდმივ თქვენი კეთილის მდომი და პატივის მცემელი ანტონ კამპანიონი.

5.

ანტუან კომპანიონი – აკაკი პაპავას

ქალაქ თეირან

12 მარტი 1963 წ.

ღრმად პატივცემულო ბ-ნო აკაკი!

თქვენ მიერ გამოგზავნილი პოემები (მოწამეთობა) მივიღე რამაც ძლიერ გამახარა. უდიდეს მადლობას გიძღვნი. დიდი ხანია თქვენთან ამბავი არ მქონდა. ჩემი უკანასკნელი სამი წერილი უპასუხით დარჩა, რაც ძლიერ მაწუხებდა. პარიჟში და მადრიდში შევეკითხე ჩემ მეგობრებს თქვენი ამბავი. პასუხი მივიღე რომ თქვენ ყველანი კარგად ბრძანდებით. მიღებულმა (მოწამეთობამ) სავსებით დამარწმუნა რომ თქვენ თქვენი ოჯახობით კარგად ბრძანდებით. მე საუბედურით შარშან 25 თებერვალს 1962 წ. ჩემი საყვარელი მამა დავკარგე. ეს ამბავი მე თავისი დროზედ თქვენ გაცნობეთ. პარიჟის მეგობრებმა დიდი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ ჩემ მწუხარებაში, განსაკუთრებით ბ-ნ ზურაბიშვილმა, კოლონიის თავმჯდომარემ. (მოწამეთობამ) გამახსენა ჩემი ბავშვობა, დედაჩემმა ჩემმა დამ და მე ცრემლებით წავიკითხეთ თქვენი მშვენიერი ლექსები. მე ჯანზედ კარგად ვარ, მხოლოდ ჩემი ხელით წერვა კიდევ არ შემიძლია.

გულითადი სალაში ქ-ნ თამარას და ყველა თქვენ ოჯახის წევრებს, მოგილოცავთ მომავალ ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას და გისურვებთ ყველას ჯანმრთელობას.

თქვენი ღრმად პატივცემული ანტუან კომპანიონი.

6.

ანტუან კომპანიონი – თამარ და აკაკი პაპავებს

ქალაქ თეირანი

12 ქრისტეშობისთვე 1963 წ.

ღრმად პატივცემულო ქ-ნ თამარა და ბ-ნო აკაკი!

ზაფხულში ერთ ნიუორკში დაბეჭდილ გაზეთში თქვენზედ იყო ლაპარაკი. ფიქრებმა გამიტაცეს და მე ვეკითხებოდი ჩემს თავს თუ თქვენ 12 ათასი კილომეტრით მოცილებული სამშობლოდან უფრო მეტათ არ განიცდით ჩვენზედ სურვილს საქართველოს ნახვისა. ჩვენ თეირანში უფრო ახლოს ვართ რასაკვირველია მაგრამ საზღვარი კავკასიასთან გადაულახავ უფსკრულს წარმოადგენს!..

ბერეჟნიოვი კიდევ თეირანში იყო და ბუღბუღლის ხმით სიყვარულს უხსნიდა სპარსელებს, როდესაც საზღვართან ახლოს რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა სპარსელების პაწაწინა სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდო!..

ღმერთო ძლიერო, მოგვეცი მოთმინება და რწმენა, რომ ოდესმე სიმართლე და სამართალი გაიმარჯვებენ ჩვენს ქვეყანაზედ.

ვიმედოვნებ რომ თქვენ ჯამრთელათ ბრძანდებით და ყველა თქვენი ოჯახის წევრებით სიმხიარულით შეეგებებით მომავალ ბრწყინვალე ქრისტეშობას და ახალწელს.

მოგილოცავთ დედაჩემი და მე თქვენ და ყველა თანამემამულეებს და გისურვებთ ბედნიერებას ცხოვრებაში.

თქვენი ღრმათ პატივცემული ანტუან კომპანიონი!

P.S. ცაცა ფალაშვილი რომელიც ცოლის მოკვლისთვის ციხეში იყო, თუ გაანთავისუფლეს. ის 1933 წელში ჩემს ქარხანაში მარსელში მუშაობდა.

7.

ანტუან კომპანიონი – თამარ პაპავას

ქ. თეგრანი

15 ენკენისთვე 1964 წელი

დიდათ პატივცემულო ქალბატონო თამარა!

ნიუორკში გამოცემულ გაზეთიდან გავიგე, მხოლოდ ძლიერ დაგვიანებით, ბატონ აკაკის გარდაცვალების ამბავი. დედაჩემი და მე გთხოვ მიიღოთ ჩვენი თანაგძნობა თქვენ ღრმა მწუხარებაში. თქვენთან ერთად მგლოვიარობთ ამ დიდ ქართველის დაკარგვას, რომლის სახელი მუდამ დარჩება ჩვენ გულში.

თეგრანში მცხოვრებ ქართველების დავალებით მწუხარე სამძიმარს გითვლით თქვენ და ყველა თქვენი ოჯახის წევრებს.

თქვენი ერთგული ანტუან კომპანიონი

შენიშვნები

წერილების ორთოგრაფია და პუნქტუაცია დაცულია ყველგან, სადაც კი გავლენას არ ახდენს შინაარსზე.

ფრანგული წერილი თარგმნილია ჩვენ მიერ გუგლტრანსლეიტორის დახმარებით.

წერილებში ნახსენები საკუთარი სახელები ქვემოთ გაწყობილია ქართული ანბანის რიგზე. თითოეული ცნობის ბოლოს ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს, თუ კერძოდ რომელ წერილშია პიროვნება ნახსენები.

აბას მირზა (1789–1833) – ყაჯართა დინასტიის მეშვიდე უფლისწული, შაჰის ნაცვალის აზერბაიჯანში, სპარსეთის ჯარების სარდალი რუსეთთან და თურქეთთან ომებში, ხელი მოაწერა თურქმენჩაის ხელშეკრულებას, 1829 წელს ჩავიდა პეტერბურგში ალექსანდრე გრიბოედოვისა და თეიარანის რუსეთის საელჩოს თანამშრომელთა მკვლელობის გამო გართულებული ერთიერთობის დასარეგულირებლად. (1)

ბატონიშვილი (ტექსტში – ბატონისშვილი) ალექსანდრე (1770–1844) – ერეკლე მეფის ძე, ალა მაჰმად ხანის მიერ დანგრეული თბილისის აღდგენის ხელმძღვანელი, 1812 წლის კახეთის აჯანყების მეთაური, რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 წლების ომის მონაწილე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს იგი საქართველოს მეფედ ჰყავდათ შეგულებული, დიდხანს ცხოვრობდა სპარსეთში, იქ გარდაიცვალა და იქვეა დაკრძალული (1).

ბატონიშვილი თეიმურაზ (1782–1846) – ერეკლე მეფის შვილიშვილი, გიორგი XII-ის ძე, 1803 წელს ჩავიდა სპარსეთში ბიძამისთან, ალექსანდრე ბატონიშვილთან და მასთან ერთად იბრძოდა საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ (1).

ბერეჟიოვი (უნდა იყოს ბრეჟნევი) [ლუონიდ ილიას ძე] (1907-1982) – საბჭოთა კავშირის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველი (1964 წლიდან) და გენერალური მდივანი (1966-1982), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1960-1964, 1977-1982). (6)

დ'ანუნციო გაბრიელე (1863-1938) – იტალიელი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, სამხედრო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, იტალიური კინემატოგრაფის ერთ-ერთი მესაძირკვე, იტალიის მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, ავიატორი, მაიორი, ფიუმეს რესპუბლიკის ფაქტობრივი დიქტატორი, იტალიის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მუსოლინის მხარდამჭერი. (3)

ერეკლე მეფე – ერეკლე II (1720-1798) – კახეთის (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე; კახეთის გამგებლისა (1733-1744) და ქართლის მეფის (1744-1762) თეიმურაზ II-ის ძე; ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორი შტოს დამაკავშირებელი. (1)

ვარაზაშვილი ივანე სოფრომის ძე (-1958) – ინჟინერი, ჭიათურის მანგანუმის მრეწველი, შემდეგში სპარსეთში მცხოვრები; მონაწილეობდა ირანის რკინიგზის მშენებლობაში (2)

ზურაბიშვილი ლევან (1906–1975) – ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე მრავალი წლის განმავლობაში, ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი, საქართველოს მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მამა. (5)

ლაი ჩინ ხანი – მის შესახებ ვერ მოვაპოვეთ ვერავითარი ინფორმაცია, გარდა იმისა, რომ ანტუან კომპანიონის ცნობით, ირანელ მწერალს ემინე ფაქრავანს იგი ერეკლე მეორის შვილიშვილად მიაჩნია, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო სახელი ჰქონდა შეცვლილი. ჩვენ ამ პიროვნებით, ისევე როგორც ემინე ფაქრავანის შემოქმედებით დავაინტერესეთ სპარსული და ფრანგული ენების შესანიშნავი მცოდნე, პროფესორი გიორგი ლობჯანიძე და იმედი გვაქვს, იგი ბევრ საინტერესო მასალაც მოიპოვებს. (1)

ლეჟავა პროკოფი (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – ჩინეთიდან ავსტრალიაში გადასახლებული ქართველი ემიგრანტი, წარმოშობით ჭიათურელი, ჭიათურის მანგანუმის მრეწველის სესია ლეჟავას უმცროსი ვაჟი. (2)

ლეჟავა სესია (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – ჭიათურის მანგანუმის მრეწველი. (2)

მანუელიშვილი (უნდა იყოს მანველიშვილი) ალექსანდრე (1904-1997) – ვალეში დაბადებული ქართველი კათოლიკე, თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობდა ვალესა და ახალციხეში, 1929 წლიდან ემიგრაციაშია, ცხოვრობდა თურქეთში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იყო ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი იდეოლოგი და ხელმძღვანელი, ავტორია ისტორიული თემატიკის წიგნებისა. (1)

მაჩაბელი ზურაბ (1891-1960) – თეირანში მცხოვრები და იქვე გარდაცვლილი ქართველი (2)

ნოზაძე ვიკტორ (1893-1975) – უცხოეთში (საფრანგეთი, არგენტინა, ჩილე, ესპანეთი) მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, მეცნიერი რუსთველოლოგი, გამომცემელი, ჟურნალისტი, მესტამბე. (2)

პაკრავანი, ემინე (1890–1958) – ფრანგულენოვანი ირანელი მწერალი, ავტორი წიგნებისა „აბას მირზა“, „უწარსულო უფლისწული“ და სხვა, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს ქართველი მკითხველისთვისაც. პროფ. გიორგი ლობჯანიძის შენიშვნით, მისი გვარის სწორი დაწერილობაა ფაქრავანი. (1)

პაპავა აკაკი (1890–1964) – მწერალი, ჟურნალისტი, პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე (სოციალისტ-ფედერალისტი), საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი; თამარ პაპავას მეუღლე. (1-6)

პაპავა ედუარდ (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – აკაკი პაპავას ბიძაშვილი; ცხოვრობდა ევროპასა და სპარსეთში; მას ასე იხსენებს თამარ პაპავა თავის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მემუარებში: „ერთხელ მოულოდნელად ახალგაზრდა სტუმარი გვეწვია. საქართველოდან გადმოხვეწილი, სამშობლოს სიყვარულისთვის დევნილი, როგორც ქარიშხალი, ისე მოვარდა ჩვენთან კაკიჩის (აკაკი პაპავას – პ.ნ.) ბიძის შვილი ედუარდ პაპავა – მალხაზი, ნიჭური ახალგაზრდა; ჩამოვიდა აქ რომ ემცნო ყველასათვის და საფრანგეთში გადმოხვეწილი ჩვენს ყოფილ მთავრობისთვის, თუ რა ხდებოდა ჩვენს სამშობლოში. ქართული ემიგრაციის ყველა დაჯგუფებას ის მკერდით ასკდებოდა და ევედრებოდა: მიმიხმარეთ და მომეხმარეთ, გავაკეთოთ რამე, ვუშველოთ სამშობლოში მათ, ვინც იქ ჩვენგან იმედს ელიანო... მაგრამ ეს იყო ნორჩის, ანთებულის მკერდით ცივ კედლების დაჯახება... ვინ და როგორ უნდა მოხმარებოდა? დაბოლოს ისიც წავიდა სხვაგან, შორს აქედან სპარსეთისკენ – სამშობლოსთან ახლოს მაინც ვიქნებო,

იქნება იქ მაინც გაგაწყო რამეო და ასე ჩვენთვის სულ დაიკარგა ეს დიდი ენერგიით და სიყვარულით ანთებული ახალგაზრდა პატრიოტი. ისიც იმ თავგანწირულთა გზას გაჰყვა, იმ გზას, რომელსაც ამდენი ქართველი შეეწირა. ეხლა ირკვევა და გვწერენ (აქ თამარ პაპავა სწორედ ანტუან კომპანიონის წერილს უნდა გულისხმობდეს – პ.ნ.), რომ ის სპარსეთში ბოლშევიკებმა მოიტაცეს და გააქრეს.“ (2).

პაპავა თამარ (1888–1976) – მწერალი, ჟურნალისტი; ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გერმანიასა და არგენტინაში; აკაკი პაპავას მეუღლე. (1, 2, 5-7)

ფალიაშვილი ცაცა (დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია) – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი ემიგრანტი; გერმანიაში ცოლად მოიყვანა თამარ ჭილაია, რომელთან ერთად იტალიასა და ესპანეთში ცხოვრების შემდეგ ბუენოს-აირესში დასახლდა, სადაც 1951 წლის 20 ოქტომბერს სიცოცხლეს გამოასალმა თავისი მეუღლე; ცაცა ფალიაშვილი გაასამართლეს და პატიმრობა მიუსაჯეს. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. (6)

ქორქია მიხეილ (1900-1964) – ირანში მცხოვრები სოციალისტ-ფედერალისტი, ბათუმის პარტიზანული რაზმის ყოფილი წევრი. (2)

ჩხენკელი [კიტა] (1895-1963) – შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, ჰამბურგის უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის დოქტორი, ციურიხის უნივერსიტეტის პროფესორი, შვეიცარიის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი და მეთაური, გამომცემელი, გერმანელთათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს და ქართულ-გერმანული ლექსიკონის ავტორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ძმა. (4)

ჯაყელი [მიხეილ] (დაბადებული უნდა იყოს 1913 ან 1914 წელს, გარდაცვალების წელი უცნობია) – ჯერ ესპანეთში, შემდეგ ბელგიაში და ბოლოს, 1949 წლიდან ჩილეში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრისა და ჭიათურის მანგანუმის მადნის საექსპორტო საზოგადოების („ჩემო“) თავმჯდომარის ალექსანდრე (საშა) ჯაყელის შვილი, საფრანგეთში სახელმძღვანელო არქიტექტორის ოთარ ჯაყელის ძმა; სანტიაგოში ჰქონია ფარმაცევტული ლაბორატორია „Prince Michael“; 1960 წელს სტუმრად ყოფილა პარიზში თავის ბიძაშვილთან ალექსი ჯაყელთან. მას მერე არავის უნახავს; ცოლ-შვილი არ ჰყოლია. (2)

კომპანიონი სტეფანე ანტონის ძე (1883–1962) – 1918 წლამდე ასწავლიდა მათემატიკას ქუთაისში, კონსტანტინე მკურნალის ვაჟთა კერძო გიმნაზიაში; სავარაუდოდ, სპარსეთშიც მათემატიკას ასწავლიდა, ჰყავდა კერძო მოსწავლეები; სუზანა (შუშანა) კომპანიონის მეუღლე, ანტუან კომპანიონის მამა; (2- 5)

კომპანიონი (ზუბიევა) სუზანა (შუშანა) (1882-1981) – სტეფანე კომპანიონის მეუღლე, ანტუან კომპანიონის დედა. (2-7)

კომპანიონი გენრიეტა-ვენერა სტეფანეს ასული (1906-?) - ანტუან კომპანიონის და (5, სახელის გარეშე).

Paata Natsvlshvili

Grigol Robakidze University

GEORGIAN LETTERS BY A KUTAISI FRENCHMAN FROM IRAN TO ARGENTINA RESUME

The article provides a detailed analysis of seven letters from the archives of Tamar and Akaki Papava, Georgian emigrants who lived in Argentina, Lomas de Zamora. These letters were sent from Tehran to Argentina by Antoine Kompagnoni, a representative of a family of descendants of French Catholics who settled in Kutaisi, Georgia in the middle of the 19th century.

The first of seven letters was sent on December 5, 1959, and the last on September 15, 1964. Six of them are written in Georgian and one in French.

დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის ერთი დაკარგული საისტორიო აქტის შესახებ
(1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთი მთის
წმ. გიორგის მონასტრისადმი)

1465-1467 წლებში ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ (1465-1478 წწ.) მთის წმ. გიორგის მონასტერს განუახლა დავით აღმაშენებლის და დემეტრე I-ის მიცემული შეწირულობები და თავადაც შესწირა სხვა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც შესაბამისი იურიდიული აქტით გაფორმდა.¹

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე მთასაყდარის სახელწოდებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის უკიდურეს სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თავზე დაჰყურებს ოკრიბას. თარიღება დაახლოებით IX ს-ის II ნახევრიდან X ს-ის I ნახევრით, მთავარი ნავის ჩრდილოეთ მინაშენი X ს-ის დასასრულით ან XI ს-ის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით.² მონასტრის კოორდინატებია – 42°26'10.45"; 42°58'32.15".

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება აღნიშნულ იურიდიულ აქტში სხვადასხვა პერიოდის ორი ფენის გამოჯვანას და უფრო ძველი საბუთის იურიდიული ნორმების დაზუსტებას.

აღნიშნული საბუთი დიდი ხნის წინ მოექცა მკვლევართა ყურადღების ქვეშ და რამდენჯერმე იქნა გამოქვეყნებული.³ აღნიშნული კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია აღნიშნული საბუთის სრული ტექსტის კიდევ ერთხელ პუბლიკაცია და უფრო ძველი იურიდიული აქტის ფენაზე მიმანიშნებელი სიტყვებისა თუ ფრაზების მკვეთრად (*Bold, Italic*) გამოყოფა.

თქუენ წმიდაო გ(იორ)გი მ[თისა] მთავარ მოწა²მეო! *რაგუარაც დავით აღმაშენებლისა* **β** *და ძისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული* ⁴ *ყოფილიყო და [ი]ყო*, ჩუენ მეფეთ-მეფემა⁵ნ, ორთავე სა ელმწიფოთა, ლიხთ-იმერისა და ⁶ ლიხთ-ამერისა თ თ ფლობით მპყრ⁷ობელმან, პირმშომან ბაგრატ და თანა⁸მეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა⁹-დედოფალმან ელენე და ძეთა ჩუენტა ¹⁰ გ(იორ)გი და ალექსანდრე, ვიგულვეთ

¹ ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბ. 2011, გვ. 204-216. საბუთის თარიღის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ჩემი აზრით საბუთი 1465-1467 წწ-ით უნდა დათარიღდეს (იხ.: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. შურნ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, №XII, თბ. 2010. გვ. 144-154.).

² გ. ბოჭორიძე, იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბ. 1995, გვ. 85-90; მ. დვალი, ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია. შურნ.: „მაცნე“, №4, თბ. 1968, გვ. 155-165.

³ ვრცლად იხ.: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთის დედნისა და პირების ურთიერთმიმართებისათვის (საბუთის შემორჩენილი პირები, სამეცნიერო გამოცემები და დაკარგული დედნის XIX ს-ის უცნობი ანოტაცია), კრებული „საქართველო და ქრისტიანობა“, თბ. 2011, გვ. 95-122; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს თინათინ ენუქიძემ, დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ. 2014, გვ. 155-158. კორპუსის შემდგენლებმა გამოიყენეს ჩემი 2011 წ-ის პუბლიკაცია საბუთის დედნისა და პირების ურთიერთმიმართების შესახებ, სადაც პირველად გამოქვეყნდა საბუთის დედნის XIX ს-ის ანოტაცია, თუმცა, სამწუხაროდ, მათ გამორჩათ უშუალოდ საბუთის დაზუსტებული ტექსტის პუბლიკაცია, რომელიც იმავე 2011 წელს გამოვაქვეყნე. ამ ხარვეზის გამო საბუთის ტექსტის ციტირებისას უპირატესობას ჩემს 2011 წლის პუბლიკაციას ვანიჭებ.

თქუენი¹¹სა ძალმწეობისა მომართ და ვიგუ¹²ლსმოდგინეთ და ელყავით ახლად ¹³ აღშენებად და შემკობად ტაძარსა შენსა ¹⁴ და გარდავჭედეთ ზეთ ტყუივითა და ¹⁵ სპილენძითა და მოვჭედნეთ ხატნი წმი¹⁶დის გ(იორ)გისანი და წმიდისა მარინასნი და სხუა¹⁷ნი ძველნი ბნელნი ხატნი გავაახლენით ¹⁸ და შეეკაკაზმენით, კარნი ავაბენ და მოუჭედ¹⁹ენ და კლიტენი მოუწყუენ და დავა²⁰მაგრენ და **ახლად დაუბტკიცენ** და შემო²¹ვსწირენ მამულნი და გლეხნი:

სახადს ²² აგარა, მათითა სახლი-კართა, სასაფლა²³ოთა, წყლითა, წისქულითა, ჭალი²⁴თა, სათიბითა, საყანითა, ტყითა, ველითა, ²⁵ მზღურითა სამართლიანითა, უცილებელად, ²⁶ უცვალებელად, უცვალებლად, შეუც²⁷ვალეზლად.

შაორი, ვითა ძველთაგან ²⁸ შაორისა მთავარმოწამე იქ სვენებუ²⁹ლიყო. დიდი სოფელი ყოფილიყო შაო³⁰რი და ახორებულებო ყაძისა გამოსრ³¹ულობისათვის და აწ ახლად ელუყაუი³²თ აღშენებად და კაცის დასახლებად და სო³³ფელი შევჭქმენი.

აწ ახლად შემოვწირეთ და ³⁴ დაგიმკუიდრეთ დვალთ სამარხსა და შარეუ³⁵ლას შუ[ა] წყალსა გამოღმა და გაღმა და სა[(ვ)³⁶წალიკეს აქეთი, ასრე რომე თუ არა მეფემან ³⁷ და მებართლომემან, ვერავინ იკადროს ნად³⁸ირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა თიბუ³⁹ა და ვერცა წყლისა და თევზთა ნადირობა.

ას⁴⁰რე მკუიდრად და უსარჩლავად დაგუიმტკი⁴¹ცებია [შაორს მსხდომნი] კაცნი სა[მნი] ს⁴²ულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძენი, ყუ⁴³ელანი მ[ა]თითა მზღურითა სამართლიანითა ⁴⁴ სა ლკართა, ეკლესიითა, სასაფლაოთა, წისქუი⁴⁵ლითა, ჭალითა, სა[თ]იბითა, ტყითა და ველი[თა], ⁴⁶ მზღურითა სამართლიანითა ყოველთა. ასე და ⁴⁷ ამა პირსა ზედან, რომე გარაყანიდისა გუა⁴⁸რსა კაცსა არავისრა ელი შეუვიდოდ⁴⁹ეს, არცარა საქმე დაიდვას.

თხმორი, ვითა ძვე⁵⁰ლთაგანც ყოფილა მისითა მიმდგომითა ⁵¹ ზღვრითა სამართლიანითა.

ძმუისი ცხრათავით[ა] ⁵² ძველთაგან ყოფილიყო მისითა მიმდგომითა ⁵³ მზღურითა სამართლიანითა.

კაციეთს მსხდომნი ⁵⁴ ბულუშაძენი და ზაქარიაძენი, მათითა მიმდგო⁵⁵მითა მზღურითა სამართლიანითა და შემოგ⁵⁶წირეთ კაციეთის ადგილი სრულიად სომეყეთის ⁵⁷ ჭალას აქეთ და ზემო კერძო საზღვარს ⁵⁸ ქვა ყუნტა წოდებული ადგილი, ზენათ ⁵⁹ შუა ველიეთის მინდორს აქეთ და ს[ო]მ[ყე]⁶⁰თის ჭალას აქეთ. ამ სამზღურებს შუა შემო⁶¹მიწირავს ყოველის კაცის უცილებლ⁶²ად.

წყნორს მითათაშეილები და ჭლიკაძენი ⁶³ და **აგარა, რომე სასახლედ ქონებია მებარ⁶⁴თლომესი.** მას აქეთი მიმო და სოფელნი, ⁶⁵ გლეხნი:

ჭამლთას ჭუნჭულაძენი, ქოთბოძეძე, ⁶⁶ მათი მიმდგომითა სამართლიანითა, ასე და ამა ⁶⁷ პირსა ზედან, რომე ინასარიძემან გვარმან ⁶⁸ ამას ზედან არა საქმე დაიდვას.

ბობოთს ⁶⁹ ერაძენი, სრულიად მათითა წისქულითა, ⁷⁰ წყლითა, ვენახითა, ტყითა და ველითა მზღური⁷¹თა და როგორათაც პირველად, ასე და ამას პირსა ⁷² ზედან დაღანიძემან და ძაგანისშვილთა მომა⁷³ვალთა საქმე ვერა დაიდვას.

ფონას [ნოზიგბეძე] ⁷⁴ მათით[ა] მზღურითა სამართლიანითა, ამა პირსა ⁷⁵ ზედან სურამი ვისი გინდა იყოს, მებართლ⁷⁶ომეს მეტსა კაცსა ხელი არავის შეუვი⁷⁷ლოდეს არა[ვის] [ა]რა.

ესე წმიდისა გ(იორ)გი მ⁷⁸თისა მთავარ მოწამეო, ჩუენ მეფეთა-მე⁷⁹ფემან ბაგრატ, **ვითარ პირველთაგა⁸⁰ნ ჰაპათა ჩუენტაგან შემოწირული და ⁸¹ განჩენილი იყო, აწ ჩუენ ახლად დაგიმ⁸²ტკიცეთ და შემოვწირეთ** ჩუენად სადიდებ⁸³ლად და ჩუენისა მეფობისა წარსამა[რ]თებე⁸⁴ლად.

აწ ვითა არა კადრებულ არს ეგრეთ⁸⁵ვე ნუმცა ვის მოუგონია და უკადრებია, ⁸⁶ და თუ ვინმე ავაზაკმა კაცმან გვამად მთი⁸⁷სა მთავარ მოწამე ხატი ჳელყოს გატეხა⁸⁸დ

მისი სახსარი სხვა არა იქმნების – ძელს აც⁸⁹ვან. მის აქეთ ვინც შეცოდებით შეს[ცო]⁹⁰ლოს, ან ჯოგი წაუსხას და ან მოპაროს [მი]⁹¹სი მისი შემოქცევს და საუბატიო კაცი გა⁹²მარტოს და გაუუპატიოს საუბა[ტიო]⁹³თ მისდა შეცოდებისა. წმიდისა გ(იორ)გის შეცო⁹⁴დე[ბა] იქნება: ასი ათასი ძველი თეთრი დაეურვო⁹⁵ს [ვი]საც წმიდის გ(იორ)გის მამულის შვილი შე⁹⁶აკუდეს, გინდა უზედაესსა და გინდა უქვედაეს[სა] ესე ⁹⁷ჩუენთაგან განჩენილი აბჯრიან-გაზრდი⁹⁸ლიანსა – ას სამოცი ათასი თეთრი დაეურვოს, ⁹⁹სანახშირო – ორი ათასი თეთრი დაეურვო¹⁰⁰ს და მას ქვეშემან – ასი ათასი თეთრი სის¹⁰¹ხლი დაეურვოს და სანახშიროთ – ათასი თეთრ¹⁰²ი გერში დადი. ცოლის წახთენა და წაღება ¹⁰³და ქალის დაგდება ვინც ყოს – ამან სიგელმა¹⁰⁴ და მონასტერმან სამართლიანითა ასი ათა¹⁰⁵სი თეთრი დაეურვოს.

აწ<ე> ჩუენ მეფეთა მე¹⁰⁶ფის ბაგრატის დამტკიცებული ესე შეწი¹⁰⁷რულობის წიგნი ესე ვინც ნახოთ შე¹⁰⁸მდგომად ჩუენსა მომავალთა მეფემან ან[უ] დე¹⁰⁹ლოფალმან, კარისა თქუენისა ვაზირთა, მეჭურ¹¹⁰ჭლეთა, დიდებულთა, ერისთაუთა ციხე-ქვეყა¹¹¹ნათა ხელსა ქუეშე მპყრობელთა, მოურაუთა ¹¹²და ყოველთაუე და დიდთა და მცირეთა, თქ¹¹³ვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით და ¹¹⁴[ნურცა რას დააკლებთ, ნუ დიდთა და ნუ] მცირეთა თუ[ი]ნიერ თანა დგომისა და შეწვენის¹¹⁵ა.

აწ ვინც ხელ ყოს ამისდა შლად და ¹¹⁶ქცევად კრულიცა არის პირველად დაუსა¹¹⁷ბამოსა ღ(მრ)თის პირითა და უფროსად კურთხე¹¹⁸ულ დედოფლისა ჩუენისა ღ(მრ)თის მშობე¹¹⁹ლისა, მარადის ქალწულისა მარიამისა, მად¹²⁰ლითა და პატიოსნისა ჯუარის მადლითა და ¹²¹წმიდათა მოციქულთა და ათორმეტთა სამო¹²²ციქულთა საყდართა და მოსაყ[დ]რეთა მად¹²³ლითა, [შვიდთა კრებათა მადლითა, ექმნების მას კეთრი გეზისი, ძრწონა კაენისა, მოშობა გმირთა, დაწვა და რისხვა სოლომელთა, დანთქმა დათან და აბირონისი, გვემა მეგვიპტელთა, შიშთუილი იუდასი, მეხისტენა დიოსკორესი, სირცხვილი კრისკენტი და საბიანესი და ყოველთა მგმობართა თანამც არს ნაწილი და სამკ დრებელი მისი და ვინცა ვინ მტკიცედ იაყრას, ღ(მერთმა)ნ აკურთხენ და წ(მიდა)მან კათოლიკე და სამოციქულომან საყდარმან] და წმიდამან მღუდელთ-მოდღუარ¹²⁴მან ნიკოლაოს, ამინ. ¹²⁵

(მეფე ბაგრატის ხელრთვა)

ძველი საბუთის გამცემები და თარიღი

საბუთის დასაწყისში ბაგრატ VI განმარტავს მის მიერ გაცემული იურიდიული აქტის შინაარსს (რენგა), რომლის მთავარი საფუძველი ძველი მეფეების შეწირულობის განახლებაა.¹ 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის მიხედვით ზუსტად ვერ დგინდება თუ რასთან გვაქვს საქმე: დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის საერთო სახელით გაცემულ ერთ შეწირულობის საბუთთან, თუ ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაცემულ საბუთთან. სავარაუდოდ საქმე უნდა გვქონდეს საერთო – მეფისა და მისი ძის სახელით გაცემულ საბუთთან, რადგან 1465-1467 წწ-ის საბუთში ბაგრატ VI წერს, რომ შეწირულობა გაცემული იყო დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – ღიმიტრის მიერ. როგორც ვხედავთ, აქ არც მამა და არც შვილი არ იწოდება მეფედ, თუმცა, დავითის მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიებას შეიძლება ის ახსნა მოვუძებნოთ, რომ XV ს-ში დავით IV-ს მთავარ ზედწოდებად უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინი „აღმაშენე-

¹ ნ. ჟღენტის, მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბ. 2011, გვ. 210-211.

ბელი¹ და საბუთის დამწერმა არ ჩათვალა საჭიროდ მისი სამეფო ტიტულატურით მოხსენიება. ხოლო დემეტრეს შემთხვევაში, მსგავსი ან სხვა რაიმე სახის ახსნა არ გამოდგება. ბუნებრივია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ორივე პირის მეფის ტიტულის გარეშე მოხსენიება ბაგრატ VI-ის საბუთის ტექსტის შემდგენელს ეკუთვნის, თუმცა, არსებული მწირი მოცემულობით, საბუთის ამ ნაწილის თავისებურების გათვალისწინებით (ერთი მონარქის მხოლოდ ზედწოდებით მოხსენიება, ხოლო მეორის მხოლოდ მისი ძეობისა და სახელით მოხსენიება) ვფიქრობ სწორი იქნება ვარაუდი საერთო შეწირულობის საბუთის გაცემის შესახებ, იმ პერიოდში, როდესაც დემეტრე ჯერ კიდევ უფლისწული იყო და არ ატარებდა მეფის ტიტულს.

საბუთის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად დავით აღმაშენებლის გარდაცვალების თარიღი – 1125 წ. ავიღე. ხოლო ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად, თავდაპირველად, დემეტრე I-ის დაბადების თარიღი, რომელიც, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, 1093 წ-ა.² ბუნებრივია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დავით IV-ს ძესთან ერთად შეწირულობის საბუთი 1093 წ-სვე ან ამ თარიღის ახლო ხანებში გაეცა, როდესაც დემეტრე ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო. თუმცა, თეორიულად, ჩვენამდე შემორჩენილი მწირი მოცემულობის მიხედვით, ეს აზრიც დასაშვებია. მითუმეტეს, ჩვენ არ ვიცით სხვა პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც გვეცოდინებოდა, თუ რა ასაკში იწყება უფლისწულ დემეტრეს მოხსენიება საბუთებში, როგორც იურიდიულ აქტების ერთ-ერთი მონაწილისა. მოგვიანებით, დავაკვირდი რა საბუთში მოხსენიებული მთის წმ. გიორგის მონასტრის სპეციალური მოხელის/მოურავის „მეხართლომეს“ საკითხს,³ რომელიც კიდევ ერთ – 1510-1529 წწ-ის გელათურ საბუთში იხსენიება, როგორც გელათის მონასტრის სამძოსწვერი, ვივარაუდე, რომ დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის შეწირულობის საბუთით მთის წმ. გიორგის მონასტერი გარკვეული სახით დაექვემდებარა გელათის მონასტერს. ცნობილია, რომ გელათის მშენებლობა დავითმა დაიწყო 1106 წ-ს,⁴ რის გამოც დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი შეწირულობის საბუთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი 1106 წ-ით განვსაზღვრე.⁵

1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთის შინაარსი

როგორც აღინიშნა, 1106-1125 წწ-ის საბუთის დედანი და პირი არ შემორჩენილა, რის გამოც საბუთის ზუსტი ტექსტის დადგენა, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. თუმცა, 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის რიგი ფორმულირებები (წარსულ ფორმაში) გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ შინაარსობრივად უფრო ძველი ფენები, რომელიც ამ მოგვიანო საბუთში 1106-1125 წწ-ის შეწირულობის საბუთიდან დაილექა. 1465-1467 წწ-ის საბუთის ტექსტის კონკრეტული ციტატების მიხედვით შესაძლებლობა გვაქვს მიახლოებით მაინც დავადგინოთ 1106-1125 წწ-ის საბუთის შინაარსის ნაწილი: თუ კონკრეტულად რა შეწირულობები გასცეს დავით აღმაშენებელმა და დემეტრემ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი.

¹ ნ. ჟღერტი, მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტები, (შევსებული გამოცემა), წმინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის მოამბე, №1, თბილისი-მარტვილი, 2015-2016, გვ. 48-60.

² ჯ. სტეფნაძე, დემეტრე პირველი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ. 1991, გვ. 5-7.

³ ვრცლად იხ.: ნ. ჟღერტი, კიდევ ერთხელ მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემულ 1465-1467 წლების საბუთში მოხსენიებული სამოხელეო წოდების „მეხართლომე“-ს შესახებ, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, №X-XI, თბ. 2010-2011 გვ. 244-260.

⁴ რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ. 1986, გვ. 86.

⁵ ნ. ჟღერტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორების ისტორიიდან – გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები, წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, მასალები, თბ. 2020. გვ. 89-96.

ქვემოთ მოყვანილია უძრავი ქონების სია, რომელიც 1465-1467 წწ-მდე, ბაგრატ VI-მდე, საბუთის მიხედვით სწორედ დავით აღმაშენებელსა და დემეტრეს უნდა შეეწირათ მონასტრისთვის. სწორედ ეს სია უნდა იყოს 1106-1125 წწ-ის საბუთის ძირითადი შინაარსი. ესენია:

1. აგარა, ნიკორწმინდის მიდამოებში, რომელსაც ადრე სახადი ეწოდებოდა¹: „...ახლად დაუმტკიცენ და შემოქმედებდნენ მამულნი და გლეხნი: სახადს |²² აგარა...“.²
2. სოფ. შაორი: „...შაორი, ვითა ძველთაგან |²⁸ შაორისა მთავარმოწამე იქ სვენებუქ²⁹ლიყო. დიდი სოფელი ყოფილიყო შაოქ³⁰რი და აონრებულიყო ჟამისა გამოსრქ³¹ულობისათვის...“.
3. სოფ. თხმორი: „...თხმორი, ვითა ძველ⁵⁰თაგანც ყოფილა, მისითა მიმდგომითა მქ⁵¹ზღვრითა სამართლიანითა...“.
4. სოფ. ძმუისი და მის თავზე მდებარე მთა სახელწოდებით „ცხრათავი“³: „...ძმუისი ცხრათავით[ა] |⁵² ძველთაგან ყოფილიყო მისითა მიმდგომითა |⁵³ მზღურითა სამართლიანითა...“.
5. აგარა (უბანი) სოფ. წყნორში: „...და აგარა, რომე სასახლედ ქონებია მებარქ⁶⁴თლომესი...“.

წარმოდგენილ საბუთში დალექილი შინაარსობრივად უფრო ფენის უკეთესი აღქმისათვის, ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გამოიჯნულია დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის 1106-1125 წწ-ის საბუთით შეწირული უძრავი ქონება, ამ ძველი შეწირულობების განახლება ბაგრატ VI-ის მიერ 1465-1467 წწ-ში და მისი სახელით გაცემული ახალი შეწირულობები უძრავი ქონებისა და საეკლესიო ყმების სახით.

დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის 1106-1125 წწ-ის საბუთით შეწირული უძრავი ქონება	ბაგრატ VI-ის მიერ 1465-1467 წწ-ის საბუთით განახლებული უძრავი ქონების შეწირულობები	ბაგრატ VI-ის მიერ 1465-1467 წწ-ის საბუთით შეწირული ახალი ქონება და გლეხები
სახადის აგარა (ქვემო რაჭა)	სახადის აგარა (ქვემო რაჭა)	
სოფ. შაორი (ქვემო რაჭა)	სოფ. შაორი (ქვემო რაჭა)	მის მიერ აღდგენილი სოფ. შაორში მოსახლე აზნაურები ⁴ : სულაძე, გუენცაძე და ფაქიოტიძეები (ქვემო რაჭა)
სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორია დვალეების სამარხს, მდ. შარეულას შუა წელსა და მთა საწალიკეს შორის (ქვემო რაჭა)	სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორია დვალეების სამარხს, მდ. შარეულას შუა წელსა და მთა საწალიკეს შორის (ქვემო რაჭა)	

¹ მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტი გამოცემისათვის), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 29-30; ქართული ისტორიული საბუთები კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1987, გვ. 44.

² მართალია საბუთის ამ მონაკვეთში არაა დაზუსტებული ამ პუნქტის შეწირულობა ძველი მოვლენა თუ ბაგრატის თანადროული, ვფიქრობ წინა წინადადების კონტექსტიდან გამომდინარე და ასევე ძველად შეწირული სოფლების ჩამონათვალში რიგით პირველ ადგილზე ყოფნა გულისხმობს, რომ სახადის აგარაც დავითისა და დემეტრეს დროინდელი შეწირულობა უნდა იყოს.

³ დ. ბაკურაძე. ვახუშტი ბატონიშვილთან დადასტურებული ტოპონიმები დღევანდელი მონაცემების მიხედვით. ქართველური მემკვიდრეობა. IV. ქუთ. 2000, გვ. 64.

⁴ აღსანიშნავია, რომ 1465-1467 წწ-ის საბუთის დაკარგული დედნის აღწერილობაში ეს გვარები უბრალოდ სამ კომლად იხსენიებიან, ხოლო საბუთის უძველეს პირში, რომელიც 1484-1491 წწ-ს შორის უნდა იყოს შექმნილი, აზნაურებად (იხ.: ნ. ჟღენტა, მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთის დედნისა და პირების ურთიერთმიმართებისათვის (საბუთის შემორჩენილი პირები, სამეცნიერო გამოცემები და დაკარგული დედნის XIX ს-ის უცნობი ანოტაცია), კრებული „საქართველო და ქრისტიანობა“, თბ. 2011, გვ. 95-122). როგორც ჩანს, ამ პერიოდისთვის ეს სამი გვარი აღზვედა და მთის წმ. გიორგის მონასტრის აზნაურებად იყვნენ დადგენილები.

სოფ. თხმორი (ქვემო რაჭა)	სოფ. თხმორი (ქვემო რაჭა)	
სოფ. ძმუისი და მთა ცხრათავი (ოკრიბა)	სოფ. ძმუისი და მთა ცხრათავი (ოკრიბა)	
აგარა (უბანი) სოფ. წყნორში (ოკრიბა)	აგარა (უბანი) სოფ. წყნორში, სადაც მეპართლომეს სასახლე მდებარეობდა (ოკრიბა)	სოფ. წყნორის გლეხები: მითათაშვილები და ჭლიკაძეები (ოკრიბა)
		სოფ. კაციეთის გლეხები: ბულუშაძეები და ზაქარიაძეები (ოკრიბა)
		სოფ. კაციეთის მიწები სომეხების ჭალას, ველიეთის მინდორსა და ქვაყუნტას შორის (ოკრიბა)
		სოფ. ჭაშლეთის გლეხები: ჭუნჭულაძეები და ქობოძეები (ოკრიბა)
		სოფ. ბობოთის გლეხები: ერაძეები (ოკრიბა)
		სოფ. ფონას გლეხები: ნოზიგბეძეები (ლიხის ქედზე, სურამთან)

საბუთში გეოგრაფიული თანმიმდევრობითაა ჩამოთვლილი შეწირული სოფლები და სოფლის გლეხები. ჯერ ჩამოთვლილია ქვემო რაჭის სოფლები (სახადის აგარა, შაორი, თხმორი) შემდეგ კი ზემო იმერეთის, კერძოდ ოკრიბის სოფლები (ძმუისი, წყნორი, კაციეთი, ჭაშლეთი, ბობოთი). ამ ჩამონათვალში, სულ ბოლოს გვხვდება ლიხის ქედზე, სურამის მოსაზღვრე სოფ. ფონა, რომელიც ერთი შეხედვით, გეოგრაფიული პრინციპით, კონტექსტიდანაა ამოვარდნილი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ 1465-1467 წწ-ში (საბუთის გაცემის დროს) ქართლის და იმერეთის სამეფოებს შორის მიმდინარე ბრძოლას, გასაგები ხდება ლიხის ქედზე მდებარე ამ სოფლის გლეხების მთის წმ. გიორგის მონასტრისათვის შეწირვის დატვირთვა.¹

თუ ზემოთ მოყვანილ სქემას დაუვკვირდებით, ვნახავთ, შეწირულობები იყოფა როგორც შინაარსობრივი, ასევე გეოგრაფიული-ქრონოლოგიური პრინციპით.

შინაარსობრივი პრინციპით აღნიშნული შეწირულობები იყოფა ორ ჯგუფად: სოფლები და გლეხები. საბუთის ძველი ფენა – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის შეწირულობები – მოიცავს მთლიან სოფლებს (სახადის აგარა, შაორი, თხმორი, ძმუისი) ან სოფლის განსაზღვრულ ტერიტორიებს (სანადირო, სათევზაო და სათიბი ტერიტორია დვალეების სამარხს, მდ. შარეულას შუა წელსა და მთა საწალიკეს შორის; მთა ცხრათავი ძმუისის თავზე; უბანი სოფ. წყნორში). ხოლო საბუთის მეორე ფენა – ბაგრატ VI-ის შეწირულობები – წარმოადგენს არა მთლიანი სოფლების შეწირულობას, არამედ უმეტესწილად სხვადასხვა სოფლის გლეხების შეწირულობას. ეს შეიძლება საინტერესო მინიშნება იყოს ამ ორ სხვადასხვა პერიოდში სამეფო მიწის ფონდში არსებული რესურსების შესახებ.²

გეოგრაფიულ-ქრონოლოგიური პრინციპით იკვეთება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დროს მონასტრისთვის შეწირული სოფლების და ტერი-

¹ ვრცლად იხ.: ნ. ჟღენტა, მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის. ჟურნ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, №XII, თბ. 2010. გვ. 144-154.

² ბუნებრივია თუ ვიფიქრებთ, რომ გარდა მთლიანი სოფლების შეწირულობისა, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის საბუთში, ბაგრატ VI-ის საბუთის მსგავსად, იქნებოდა ასევე სხვადასხვა სოფლის გლეხების ცალკეული შეწირულობებიც, რომლებიც (გლეხთა გვარები) 1465-1467 წწ-მდე გადაშენდნენ. შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ბაგრატ VI-ის ახლად შეწირული გლეხები მონასტრისათვის მიცემული კომპენსაცია იყო სწორედ იმ ძველი საბუთის ნორმების გათვალისწინებით (გამქრალი გლეხების სანაცვლოდ). თუმცა, ბაგრატ VI-ის საბუთის სტილი ამაზე არ მეტყველებს. ამ საბუთში კარგადაა გამოჩენილი ძველი და ახალი შეწირულობები, სადაც ამ მოსაზრებაზე მცირედი მინიშნებაც კი არაა.

ტორიების ძირითადი ნაწილი მოდის ქვემო რაჭაზე, ვიდრე ოკრიბაზე, ხოლო ბაგრატ VI-ის შეწირულობები ძირითადად ოკრიბის სოფლების გლეხებზე. რთულია ასეთი მცირე მონაცემებით რაიმე დასკვნამდე მივიდეთ, თუმცა, შემძლია გამოვთქვა ფრთხილი ვარაუდი, რომ ეს შეიძლება მიანიშნებდეს მონატრის სამეურნეო და სხვა საჭიროებებზე ამ ორ სხვადასხვა პერიოდში. არ არის გამორიცხული, რომ 1106-1125 წწ-ში მონასტერს ფეხის მოკიდება უფრო ქვემო რაჭაში სჭირდებოდა ვიდრე ზემო იმერეთში, მითუმეტეს ამ დროს ქვემო რაჭაში უკვე მოქმედებდა ნიკორწმინდის ძლიერი საეკლესიო სენიორია, ხოლო სახადის აგარა და სოფ. შაორი ნიკორწმინდის უშუალო სიახლოვეს მდებარეობდა.¹ საერთოდაც, სახადი სწორედ ნიკორწმინდის მიდამოებს ეწოდებოდა.² ეს მოსაზრება უფრო ლოგიკურად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ, იგივე 1106-1125 წწ-ში, მთის წმ. გიორგის მონასტერი გარკვეული სახით გელათის სამონასტრო სენიორიისთვის უნდა დაექვემდებარებინათ. ეს კი, თავის მხრივ, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ნაწილი უნდა ყოფილიყო, რომელიც რაჭის ერისთავების, ბალვაშთა განაყოფის, კახაბერისძეთა ფეოდალური სახლის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო.³

ხოლო 1465-1467 წწ-სთვის მონასტრის ინტერესები უფრო მეტად ოკრიბის მიწათმფლობელობისკენ ჩანს მიმართული. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს შიდაპოლიტიკური კონფლიქტების დროს, იმერეთის მეფეების ძირითად ძალას სწორედ რაჭველები წარმოადგენდნენ და იმერელი ბაგრატიონების პოზიცია რაჭაში ისედაც ძლიერი იყო.⁴ ბაგრატ VI-ის შეწირულობები მონასტრის მიმართ რომ მართლაც იმერეთის მეფის ინტერესებით განისაზღვრა ადასტურებს ქვემო რაჭისა და ზემო იმერეთის შეწირულობების შემდეგ, მის მიერ გაცემული შეწირულობებიდან სულ ბოლო – ლიხის ქედზე მდებარე სოფ. ფონას გლეხები ნოზიგბეიძეები. როგორც ზემოთაც ვახსენე, ეს სწორედ აღნიშნული პერიოდის შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ანარეკლი უნდა იყოს. როგორც საბუთის ამ ნაწილშია აღნიშნული, ფონელ ნოზიგბეიძეებზე ვრცელდებოდა მხოლოდ მთის წმ. გიორგის მონასტრის სამეურნეო მოხელე მებართლომეს იურისდიქცია, ხოლო სურამის მმართველისგან, რომლის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაშიც შე-

¹ ამ მხრივ საინტერესოა, რომ ნიკორწმინდის 1071/1080 წლის დაწერილში, რომელიც XI ს-ის შუა ხანებში მოღვაწე ნიკორწმინდის წინამძღვრის ანგარიშს წარმოადგენს და რომელშიც ჩამოთვლილია მის დროს ნიკორწმინდისათვის მოპოვებული უძრავ-მოძრავი ქონება, არ იხსენიება სოფ. შაორი. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ დროს სოფ. შაორი უბრალოდ არ არსებობდა, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, რაჭის სოფ. შაორი X-XI სს-ში უკვე არსებობდა (იხ. ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობისა და საეკლესიო სიწმინდეების ისტორიიდან - სოფ. შაორი და შაორის მთავარმოწამის ხატი, საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, სტატიების კრებული, თბ. 2019 (მზადდება გამოსაცემად)). ხოლო სახადის აგარა იმ პერიოდში უნდა ყოფილიყო სოფ. ხოტევის ზედა აგარა (ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის მონასტრის სიწმინდეების ისტორიიდან – აგარის წმ. გიორგის ხატი და მისი წარმომავლობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, №13, თბ. 2019), სადაც, ამ საბუთის მიხედვით ნიკორწმინდელმა სახლი, ორი ბოსელი და ბელელი ააშენა (იხ.: ქართული ისტორიული საბუთები კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა. თბ. 1987, გვ. 41). როგორც ჩანს, მოგვიანებით ხოტევის ზედა აგარა დამოუკიდებელ ერთეულად იქცა და მთლიანად მთის წმ. გიორგის მონასტრისათვის იქნა შეწირული.

² მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“ (ტექსტი გამოცემისათვის), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34. თბ. 1962, გვ. 29-30.

³ ნ. ჟღენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორების ისტორიიდან — გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები, წმ. გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია“, მასალები, თბ. 2020. გვ. 89-96.

⁴ ნ. ჟღენტი, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლისა და XV საუკუნის ბოლო მეოთხედის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან: მეფე კოსტანტინე II-ის მიერ იმერეთის მეოთხედ შემოერთება (მთის წმ. გიორგის მონასტრის 1491 წლის საბუთის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი), საისტორიო კრებული, ტ. 7, თბ. 2019, გვ. 58-67.

დიოდა როგორც ჩანს ამ დროს სოფ. ფონა, ნოზიგბეიძეები სრული იმუნიტეტით იყვნენ დაცულნი.¹

როგორც აღინიშნა, საბუთის დასაწყისში ბაგრატ VI განმარტავს მის მიერ გაცემული იურიდიული აქტის შინაარსს (რენგა), რომლის მთავარი საფუძველი ძველი მეფეების შეწირულობის განახლებაა.² საბუთის ბოლოს ბაგრატ VI კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მან მისი პაპების საბუთი განაახლა. აქ ბაგრატ VI უნდა გულისხმობდეს არა უშუალოდ მის პაპებს,³ არამედ სწორედ დავით IV აღმაშენებელსა და მის ძეს – მეფე დემეტრე I-ს. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ბაგრატ VI ე.წ. „პროვინციის მეფე“ იყო და დავით აღმაშენებლისა და დემეტრეს მის უშუალო წინაპრებად (პაპებად) მოხსენიება, მათ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას და მისი გამეფების ლეგიტიმიზაციას ემსახურებოდა.⁴

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. საბუთის მიხედვით, სოფ. ფონას ნოზიგბეიძეებამდე საბუთში დასახლებულია სოფ. ბობოთის გლეხები ერაძეები. მეფე ბაგრატმა, ისევე როგორც ფონას ნოზიგბეიძეების შემთხვევაში, დაუწესა იმუნიტეტი ადგილობრივი ფეოდალებისგან. ნოზიგბეიძეების შემთხვევაში იმუნიტეტი მათ იცავდა ზოგადად სურამის ნებისმიერი მმართველისგან. ბობოთელი ერაძეების შემთხვევაში კი დაკონკრეტებულია თუ ვისგან მიენიჭათ მათ იმუნიტეტი. ესენი იყვნენ ლაღანიძეებისა და ძაგანისშვილების ფეოდალური სახლები. 2015 წ-ს სურამის ციხის წმ. გიორგი ეკლესიაზე გამოვლინდა საამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვითაც სურამის ციხის ამ ეკლესიის ქტიტორები იყვნენ მეჭურჭლეთუხუცესი და პირის მწვე გიორგი ლაღანიძე და მისი მეუღლე – თამარ ქუაბულისძე. წინასწარი დაკვირვებით, წარწერა XV-XVI სს-ით დათარიღდა (იხ. ი. გელაშვილი, თ. გოგლაძე, თ. ჯოჯუა, სურამის ციხის წმ. გიორგის ეკლესიის უცნობი სააღმშენებლო წარწერა (XV-XVI სს.) მეჭურჭლეთუხუცესისა და პირის მწვის გიორგი ლაღანიძისა და მისი მეუღლის თამარ ქუაბულისძის მოხსენიებით (წარწერის მიკვლევისა და შესწავლის ისტორია; ტექსტის პუბლიკაცია), ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV-XV, თბ. 2016-2017, გვ. 340-345). ამგვარად, 1465-1467 წწ-ის საბუთის მიხედვით ცნობილია, რომ ლაღანიძეებს ხელი მიუწვდებოდათ ოკრიბის სოფ. ბობოთზე. სურამის ციხის ეკლესიის XV-XVI სს-ის საამშენებლო წარწერა კი ადასტურებს ლაღანიძეების უფლებას სურამზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ლაღანიძეთა მოხსენიების შემდეგ მოდის სწორედ სოფ. ფონელი ნოზიგბეიძეებისა და სურამის მმართველის თემა. ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: ხომ არ მიუთითებს მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთის ეს მონაკვეთი ლაღანიძეებისა და ქ. სურამის ურთიერთმიმართებაზე? ხომ არ იყვნენ ჯერ კიდევ 1465-1467 წწ-ში ქ. სურამის მმართველები ლაღანიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები? იმედი მაქვს აღნიშნული წარწერის მიმდინარე სიღრმისეული კვლევის შედეგად უფრო დაზუსტდება წარწერის თარიღი, მასში მოხსენიებული პირების ბიოგრაფიული ცნობები და ლაღანიძეთა ფეოდალური სახლის მიწათმფლობელობა, რაც, უფრო მეტ საინტერესო მინიშნებას მოგვცემს 1465-1467 წწ-ის საბუთის შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.

² ნ. ჟღენტა, მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IV, თბ. 2011, გვ. 210-211.

³ ბაგრატის VI-ის ნამდვილი პაპა მამის მხრიდან იქნებოდა მეფე კოსტანტინე I (1407-1412 წწ.), რადგან ე. მეტრეველის გამოკვლევის მიხედვით ბაგრატი იყო მეფე ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) ძმის – გიორგის ძე (ე. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, „ელენე მეტრეველი – ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, ნაკვ. I, თბ. 2007, გვ. 186-188). უცნობია ბაგრატის პაპა დედის მხრიდან, რადგან ამ ეტაპზე არაა დადგენილი ბაგრატის დედის ვინაობა. თუ თეორიულ დონეზე მაინც დაუშვებთ, რომ ბაგრატ VI საბუთის ამ ნაწილში გულისხმობს მის რეალურ პაპებს, მაინც წარმოუდგენლად მეჩვენება მეფე კოსტანტინე I-ს მის მოყვარესთან ერთად გაეცა საერთო შეწირულობის საბუთი. ასეთ შემთხვევაში უფრო რეალური იქნებოდა გვეფიქრა, რომ კოსტანტინე I-ს და ბაგრატ VI-ის დედის მამას ცალ-ცალკე ჰქონოდათ გაცემული შეწირულობის საბუთები მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი, თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მსგავსი ვარაუდები თეორიულ დონეს ვერ გასცდება.

⁴ 1465-1467 წწ-ის საბუთის ახლავს ასევე მონასტრის ყმებზე სისხლის ფასის განსაზღვრის ტექსტი (სტრ. 84-105). დადგენილია, რომ სასისხლო სიგელები შედარებით მოგვიანო პერიოდის მოვლენაა (მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები (XI-XV სს.), თბ. 2006, გვ. 155-185). ამ სასისხლო სიგელის კონტექსტიდანაც ჩანს, რომ ეს ნაწილი უშუალოდ მეფე ბაგრატის მიერაა ჩამატებული შეწირულობის წიგნში, რაც, როგორც ჩანს, შექმნილი ფეოდალური მდგომარეობით იყო გამოწვეული. მ. სურგულაძის აზრით, მთის წმ. გიორგის სასისხლო სიგელი მსგავსია სხვა ძეგლებისა (ბიჭვინთის იადგარი, გელათის იადგარი, ხოფის იადგარი), „რომელთა საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეები უნდა განხილულიყო სენიორიის ფარგლებში“ (მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები (XI-XV სს.), თბ. 2006, გვ. 170).

ამგვარად, აღნიშნული კვლევის შედეგად, პირველად მოხერხდა ბაგრატ VI-ის 1465-1467 წწ-ის მთის წმ. გიორგის მონასტრის შეწირულობის საბუთში დალექილი უფრო ძველი – 1106-1125 წწ-ის იურიდიული აქტის ფენის გამოიკვინა მოგვიანო ფენისგან და მისი ზოგადი შინაარსის დადგენა. შინაარსზე დაკვირვებით გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები როგორც მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობის კუთხით, ასევე დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – დემეტრე I-ის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ.

მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის შეწირულობის საბუთის სახით ჩვენ გვაქვს უნიკალური ცნობები დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – დემეტრე I-ის ძალზედ საინტერესო 1106-1125 წწ-ის იურიდიული აქტის შესახებ, რომელიც, ამ ორი დიდი მეფის კანცელარიის სხვა უამრავ ისტორიულ საბუთთან ერთად, დაკარგულად ითვლება. თუმცა, ამ შემთხვევაში, საბედნიეროდ, მოხერხდა ამ დაკარგული საბუთის ძირითადი იურიდიული ნორმების განსაზღვრა.

Nikoloz Zhghenti


Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

**ABOUT ONE LOST HISTORIC JURIDICAL ACT GRANTED BY THE KINGS DAVID
THE BUILDER AND DEMETRE I
(MTIS ST. GEORGE MONASTERY DEED OF DONATION OF 1106-1125)
RESUME**

In 1465-1467, King of Kartli and Imereti Bagrat VI granted the deed of donation to Mtis St. George Monastery. The Monastery is located on the western part of Racha Ridge, on the border of Lower Racha and Upper Imereti (Okriba) regions. According to the text of the document, King Bagrat renewed the old donations – the villages, which were given to the Monastery by King David IV the Builder and his son King Demetre I. The text of the document also indicates some notes about Gelati Monastery, construction of which began in 1106. King David died in 1125. Accordingly, the old deed of donation, mentioned in 1465-1467 document, should be dated with 1106-1125 years. Apart from these renewed donations, King Bagrat also donated multiple peasants of some villages to the Monastery from his name.

As a result of the research the content of a lost document of King David IV the Builder and his son King Demetre I was revealed in the document of the later period (1465-1467). The differences and similarities of these two chronological layers of the document reveals interesting issues of the land ownership of Mtis St. George Monastery, which appeared to be strong ecclesiastical seigniorship and took important place in the internal policy as for King David IV the Builder and his son King Demetre I in 12th c., also for King Bagrat VI in 15th c.

მთის წმ. გიორგის მონასტრის მიწათმფლობელობა 1106-1125 წწ-ის დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის დაკარგული შეწირულობის საბუთის შინაარსისა და 1465-1467 წწ-ის ბაგრატ VI-ის შეწირულობის საბუთის მიხედვით



**ბიბლიური პერსონალები საისტორიო თხზულებაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“
და მათი სიმბოლური მნიშვნელობა**

„ქართლის ცხოვრების“ შემადგენელ თხზულებათაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს დავით აღმაშენებლის ისტორიას, რომელიც, ისტორიულთან ერთად, მაღალმხატვრულ ნაწარმოებად გვევლინება, რასაც გვაფიქრებინებს მწერლის მხატვრულ-ესთეტიკურ ხედვასთან შეზავებული რიტორული სტილი. ამიტომ მისი განხილვა, როგორც ესთეტიკური ფენომენის მქონე საისტორიო თხზულებისა, ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურის მახასიათებელ კანონზომიერებათა შესწავლას ბევრს ჰმატებს. იგი ამაღლებული სტილითა და მასში წარმოსახული მხატვრული სამყაროთი არაფრით ჩამოუვარდება სიტყვაკაზმულ ლიტერატურულ ძეგლებს, რომელთა ლიტერატურულ-ესთეტიკური დონე მისი თანამედროვე ეპოქის მოთხოვნებს შეესაბამება. ცნობილი ფაქტია, რომ ისტორიკოსები თავიანთ თხზულებებს აგებენ გარკვეული კომპოზიციური თანმიმდევრობით, იყენებენ შედარების, მეტაფორის, სიმბოლოს, ალუზიის, ენიგმის მხატვრულ ხერხებს, რისთვისაც ძირითადად ბიბლიური სიუჟეტები და პერსონალები, ბიბლიური სიმბოლოებია მოხმობილი; ხშირად ქართველ მეფეებს ადარებენ ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებს, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ პერსონაჟებს, აღმოსავლეთის ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ მოქმედ პერსონაჟებს მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის მსგავსების საფუძველზე; პერსონაჟების მეტყველებაში გვხვდება ბიბლიური წარმომავლობის კონსტრუირებული სიტყვები; მსჯელობისა და მეტყველების ამგვარი სტილი ამაღლებულთან ერთად მშვენიერების ესთეტიკითაა გაჯერებული. კლასიკური ეპოქის ყოველი ისტორიული ნაწარმოები სიმბოლური და ალეგორიული აზროვნების ნიმუშიცაა, რომელშიც გამოყენებულია ჰიპოდამურ-პარადიგმული სტრუქტურისათვის დამახასიათებელი პარალელური სახეები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, ე. წ. სახეთა პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რაც ყოველი ცალკეული პასაჟისა და მთლიანი ნაწარმოების სრულად აღქმაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ქართლის ცხოვრება“ ბიბლიას ემსგავსება ჟანრული სპეციფიკით, ისტორიის საზრისით, ისტორიოგრაფიული აზროვნებით, იდეური მრწამსით. მათ შორის მსგავსებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სიმტკიცის იდეა, რომელიც ღირებულებათა სისტემების გააზრებას ემყარება, ორივე ერის შინა-არსის გააზრება და თითოეულის მისიის განსაზღვრა. ბიბლია, როგორც ქრონოლოგიურად ადრე შექმნილი წიგნი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ერთ-ერთ საფუძვლად დაედო „ქართლის ცხოვრების“ ისტორიოგრაფიულ, სტრუქტურულ და მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურ მახასიათებლებს, და ამჯერად რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მხატვრულ-ესთეტიკურ სამყაროს, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულმა საისტორიო მწერლობამ იმეძკვიდრა ჰაგიოგრაფიის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, საშუალებები, სიმბოლური სააზროვნო სისტემა, რაც თავის ძირითად მიზანდასახულობას შეუხამა. საისტორიო თხზულებათა ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით კვლევისას საჭიროა ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, როგორიცაა: ნაწარმოების სტრუქტურა და კომპოზიცია; სიუჟეტის განვითარება და თხრობის თანმიმდევრობა; ისტორიკოსის მიერ პერსონაჟის

ექსპონირების მხატვრული ხერხის გამოყენებით ისტორიული პირის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის, ხატვის პრინციპები; ბიბლიური მოტივებისა და პერსონალების სიმბოლური და მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა; მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები პერსონაჟთა თუ ცალკეულ მოვლენათა წარმოსაჩენად. ამჯერად შევჩერდებით იმ ბიბლიურ პერსონალიათა მხატვრულ და სიმბოლურ ფუნქციებზე, რომლებსაც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოიხმობს თავის საისტორიო თხზულებაში. მემატთანე ისტორიული პირის, კერძოდ დავით აღმაშენებლის, როგორც ლიტერატურული პერსონაჟის, მხატვრულად წარმოსახვისას ძირითადად ჰაგიოგრაფია-ჰიმნოგრაფიაში შემუშავებულ სახეობრივ პრინციპებს, გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს მიჰყვება. ამ კვალობაზე ისტორიული თხზულების ლიტერატურული თვალსაზრისით შესწავლა თვით ისტორიულ პირთა ხასიათის, თვისების, ზნეობის, სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს სრულყოფილად აღსაქმელადაა აუცილებელი; მემატთანე ისტორიული სიტუაციების ბიბლიურთან პარალელების მოხმობით მხატვრულ სიძლიერეს სძენს თხზულებას; პერსონაჟთა ცოდვა და ღვთის რისხვა შედარებულია ბიბლიურთან, რითაც უფრო მკვეთრად წარმოჩნდება ერის სულიერი მისია და თვით პიროვნების სულიერი სამყარო, არსი და დანიშნულება; ცხადია, ანალოგიები ყოველთვის ზუსტი არაა, მაგრამ ისინი ავტორს ისტორიული პირის სულიერი სამყაროს გასახსნელად სჭირდება. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველ ბაგრატიონ მეფეთა, სახელდობრ დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრის, დემეტრეს, შედარება დავით წინასწარმეტყველთან და სოლომონთან, რაც პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ეს ფაქტი არაა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, არამედ თხზულების მხატვრული არსის განსაზღვრადაც უდიდეს როლს ასრულებს.

„ცხოვებაში“ წარმოჩენილია ქრისტიანული სახელმწიფოს მეფის სახე-იდეალი, ქრისტიანი მეფის იდეალი; ისტორიკოსი დავითს თავის წინაპართა ღირსეულ მემკვიდრედ მოიაზრებს და მის სახეს ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში წარმოგვიდგენს. მემატთანე მეფის რეალური სახის წარმოსაჩენად ეყრდნობა მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს, მხატვრულ ხერხებს, სიმბოლურ სახისმეტყველებას, რითაც იქმნება ესთეტიკური ფენომენი. შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებათა ესთეტიზაციის საფუძველს ძირითადად ბიბლიური წიგნებისა და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ძეგლების მხატვრული ფენომენის ამ ჟანრისათვის მისადაგება წარმოადგენს. მთავარი ისაა, თუ რითაა ნასაზრდოები ქართული საისტორიო მწერლობა იდეურ-მსოფლმხედველობრივი, სიმბოლური და მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით, როგორ იყენებს მემატთანე ბიბლიას, მსოფლიო ლიტერატურის მხატვრულ სამყაროს, ანტიკურ მითოლოგიას, აღმოსავლურ ლიტერატურას, მათ ტროპოლოგიას.

„ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“ სიმბოლური და მეტაფორული აზროვნების ნიმუშადაც გვესახება, რადგან მასში გამოყენებულია სახეთა პარალელიზმის პრინციპი, რაც ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ხატ-სახეთა ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას ეფუძნება, აგრეთვე, კონტრასტული პარალელიზმის მხატვრული ხერხი, რითაც მემატთანე ისტორიული ფაქტების ბიბლიურთან პარალელის გავლებით მხატვრულ სიძლიერეს სძენს თხზულებას; ანალოგიები ყოველთვის ზუსტი შეიძლება არ იყოს, – არც არის აუცილებელი, – მაგრამ ისინი ავტორს ისტორიული პირის სულიერი სამყაროს გასახსნელად სჭირდება, რითაც თხზულება ლიტერატურულ ღირებულებასაც იძენს.

დავით აღმაშენებელი შედარებულია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ისტორიულ პიროვნებებთან თუ მხატვრულ თხზულებათა პერსონაჟებთან, ანტიკური ეპოქის ისტორიულ პირებთან, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიურ პერსონაჟებთან, აღმოსავლური ქვეყნების მხატვრული ლიტერატურის მთავარ გმირებთან მათი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდის ან თვისების მსგავსების მიხედვით; კერძოდ, აქილევსთან, ალექსანდრე მაკედონელთან, პტოლომეოს ეგვიპტელთან, ბარამ-გურისთან, ანტონი მეგვიპტელთან, პავლე მოციქულთან, იმპერატორ

კონსტანტინესთან – რწმენით, სიბრძნით, განათლებით, მხედართმთავრობით, ზნეობით, სიქველთა; მისი ომები შედარებულია ტროას ომის გმირთა და ალექსანდრე მაკედონელის ომებთან. აგრეთვე, მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული ბიბლიურ პერსონალებთან მეფის შედარებები. ამიტომ პერსონაჟის პორტრეტი, რომელსაც ავტორი სანთელივით ჩამოქნის, ღრმად მეტყველია, ფსიქოლოგიურ სახესა და ბუნებას ასახავს, იგი საბოლოოდ შტამბეჭდავ მხატვრულ სახედ ჩამოყალიბებული გვევლინება. ისტორიკოსი, ჰაგიოგრაფთა მსგავსად, მრავლისაგან მცირედს გამოარჩევს და მისი მონათხრობი მკითხველზე ტოვებს დიადის, ამაღლებულის შთაბეჭდილებას, რითაც იქმნება თხზულების ესთეტიკური აღქმის საფუძველი.

„უმიში და ყოვლად უძრავი გულითა“, „ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ რადმე წყნარად და უშფოთველად, გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“ (დიდგორის ომში), დავითის საქმეთა გადმოცემა ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება: „ყოვლისა სოფლისა ბრძენთა ვერ შესაძლებელ არს მითხრობად ზედა-მიწვენით ყოვლისავე, და გამომეტყუელთა ენამ იმხილოს ჯეროვნად გამოწულივით თხრობასა ვერ-მიცემად“¹. თხზულებაში დავითის ლომთან შედარება მეტად აქტუალურად ისახება, რადგან ლომი იუდას ჩამომავალთა სიმბოლური პარადიგმაა. დავითი ომებში ყოველთვის წინ უძღოდა თავის ლაშქარს და „ვითა ლომი შეუზახებდა კმითა მალღითა და ვითა გრივალი მი-და-მოიქცეოდა, თვთ გოლიათებრ მიჰმართებდა, და მკლავითა მტკიცითა დაამკობდა ახოვანთა“². ყოველი მისი ბრძოლა გამარჯვებით მთავრდებოდა, რასაც ისტორიკოსი „ძღვევად საკვირველის“ სახელით იხსენიებს და „ტალანტის განმრავლებად“ მიიჩნევს. მეფის ცხოვრების სტილი ფსალმუნურ-აპოსტოლური მოძღვრების კვალობაზეა დანახული და ასახული. დავითის გმირობის, მისი მხედართმთავრული ნიჭით აღფრთოვანებული ავტორი ზოგჯერ გაკვირვებითაც შესძახებს: „რომელმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად!“ (გვ. 192). სხვაგან კი აღნიშნავს: „გარნა მე ერთილა შევსძინო სიტყუად ამათ თანა“ (გვ. 203). ისტორიკოსი მეფეს ხშირად რიტორიკული კითხვების მეშვეობით წარმოგვიდგენს, რაც მწერლის სახისმეტყველურად აზროვნების დადასტურებაა. როდესაც განსაკუთრებულზე, მნიშვნელოვანზე უნდა ყურადღება შეაჩეროს, სწორედ მაშინ მიმართავს რიტორიკულ ხერხებს, კერძოდ, რიტორიკულ კითხვას, რომელიც მხატვრულ-გამომსახველობით ფუნქციას იძენს.

თხზულება ბიბლიურ პირთა სახელების სიმბოლური ხსენებითა და მათი შედარების საგნად დასახვით განსაკუთრებით მდიდარი არაა, – სულ ათი-თორმეტი ბიბლიური პერსონაჟია დასახელებული, – მაგრამ თითოეული მათგანი ჰიპოდიმურია დავით აღმაშენებლის, როგორც თხზულების პერსონაჟთან, მიმართებით, და პარადიგმულად მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, რადგან ისინი ზნეობრივ ორიენტირად ისახებიან და მათ მიღმა მთელი ის ზნეობრივ-ეთიკური სამყარო იკითხება, რაც კაცობრიობამ საუკუნეების განმავლობაში შეიძინა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბიბლიური და საისტორიო თხზულებათა პერსონალები თავიანთი მოღვაწეობით, სულიერი ცხოვრებით წინააღმდეგობრივი თვისებების მქონენიც იყვნენ და ამ მხრივ მათი სახეების ჰიპოდიმურ-პარადიგმული გააზრების საფუძველიც ჩამოყალიბდა.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ სწორედ ამგვარი პრინციპით, ჰიპოდიმურ-პარადიგმული სახეების მეშვეობით წარმოაჩენს დავით აღმაშენებელს, როდესაც მას ბიბლიურ დავითს, სოლომონს, ბესელიელს, მოსეს, ელიას, ზაქქეს ადარებს. როგორც მოსალოდნელი იყო, თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა დავით და სოლომონ წინასწარმეტყველების ჰიპოდიმას, უმეტესად კი – დავით წინასწარმეტყველისას, რომელიც თხზულებაში დავით

¹ ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ., 1992, გვ. 191.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 173.

აღმაშენებლის პარადიგმად იკითხება. სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება არაერთგზის ყოფილა გამახვილებული ბაგრატიონთა საგვარეულოს ბიბლიური დავითის ჩამომავლად მიჩნევის თაობაზე, რაც დავითის მოღვაწეობის პერიოდში უკვე ტრადიციულია და დიდი ხნის დამკვიდრებულია. ამიტომ აქ მას აღარ შევეხებით. „ცხოვრებაში“ საგანგებოაა აღნიშნული დავით აღმაშენებლის, როგორც დავითის ჩამომავლობის იდეოლოგიური ფაქტორი და მისი გამეფების დასაწყისი, როგორც დავით წინასწარმეტყველის სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისის მქონე სულიერი მემკვიდრის მეფობის დასაწყისი. დავიმოწმებ ტექსტს: „ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვარებისათა აღმოჭვრობად, ვინადთგან ათორმეტ წელ ამათ თვთო-სახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან **ამის დავითისმან**, დავით“¹, რაც მემატანის სიტყვით ახსნილი და განმარტებულია როგორც ღვთის წყალობა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველთა მიმართ: „მაშინ რისხვასა შინა მოიქსენა წყალობად (ამბაკ. 3,2)² მან, რომელი „სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს (მდრ.: ებრ. 12, 6), მოაკუდინებს და აცხოვნებს (I მეფ. 2,6)“, რომელი მზა არს წყალობად, უფროდს მამისა მოწყალისა, რამეთუ წერილისაებრ: „არათუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით (ეს. 1,9; ჰრომ. 9,29)“³. გიორგი მეორის მიერ თავისი ერთადერთი მემკვიდრისათვის, 16 წლის ასაკში მყოფი უფლისწულისათვის, სამეფო გვირგვინის თავს დადგმის თაობაზე ისტორიკოსი თხრობას აგრძელებს და შემდეგ უკვე ფსალმუნური სამეტყველო ენით უთითებს დავით აღმაშენებლის მსგავსებას დავით წინასწარმეტყველთან, როგორც სახელმწიფოებრივ და იდეოლოგიურ წინაპართან, ღვთისგან ცხებულების თვალსაზრისით. თხზულების ამ მონაკვეთში თვალსაჩინოა 35-ე ფსალმუნის რემინისცენციები (ფს. 3-5): „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა და, უჭეშმარიტესი ვთქუათა, „თვთ მამამან ზეცათამან პოვა **დავით, მონა თვსი**, და საცხებელი მისი წმიდად სცხო (ფს. 88, 21). რამეთუ ჯელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი“ (ფს. 88, 22); „წყალობად და ჭეშმარიტებად (ფს. 83, 12) შეჰმოსა მას“ (ფს. 92, 1); და „უზეშთაეს ყო იგი უფროდს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა“ (ფს. 88, 28) ვიდრემდის „დავსდგა ზღუასა ზედა ჯელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი“ (88, 26). გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა მრავალთა დღეთა შემდგომად იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუად მან ცხად ყოს“⁴. ტექსტის ამ ეპიზოდში ყურადღებას იქცევს ფსალმუნური **დავით, მონა თვსი**, რომელიც დავით წინასწარმეტყველს ხშირად აქვს გამოყენებული ღვთის მონობის მნიშვნელობით, რაც თავმდაბლობის შეგნების გამოხატულებაა და რასაც ასევე მიმართავს დავით აღმაშენებელი თავის „გალობანში“. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ფსალმუნებს გასდევს თავმდაბლობის მოტივი, ასევე იგივე თავმდაბლობა დავითის ორიგინალური საგალობლისა და მისი მემატანის თხზულების მიხედვით მეფის ერთ-ერთ ძირითად თვისებად წარმოჩნდება.

დავით აღმაშენებლის ლომებრივი ბრძოლები შედარებულია დავით წინასწარმეტყველის გოლიათთან ბრძოლასთან, ამ ბრძოლებში დავით მეფე ყოველთვის იმარჯვებდა. ერთ-ერთი ბრძოლის აღწერისას ყურადღება გამახვილებულია დავით აღმაშენებლის ბრძოლის ამსახველ იმ ეპიზოდზე, როდესაც თვით მეფე ლომივით ხმამაღლა ძლიერად შეუძახებდა თანამებრძოლთ და

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 165.

² ბიბლიური ციტატები აქაც და შემდეგშიც მითითებულია მზექალა შანიძის მიერ მოძიებული წყაროების მიხედვით; იგი ასახულია „ცხოვრებას“ ტექსტის 1992 წლის მზექალა შანიძისეულ გამოცემაში.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 165.

⁴ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 165-166.

გრიგალივით მიმოიქცეოდა, მტერს ეკვეთებოდა „ძველი დავითის“ მსგავსად, რომლის ხელი დასწვდებოდა ხმლის ვადას და მტრის სისხლი ჩაჰყვებოდა, ისე ხმლით დავითის მტერთან ბრძოლისას ხმაღს ჩაყოლილი სისხლი გროვდებოდა და მხოლოდ ბრძოლის დასრულების შემდეგ ხვდებოდნენ, რომ ეს მტრის სისხლი იყო და არა მეფისა: „ხოლო თვით მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თვსთა, ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა ჳმითა მალლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თვით გოლიათებრ მიმართებდა და მკლავითა მტკიცითა დაამწობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა ღამთხუეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა **ბუელსა დავითს** ელიაზარის (I ნეშტთა, თავი 24) ჳელი ჳრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჳრმლით მისით უკომდინარითა სისხლითა წელინი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჳდისა და სარტყლისა განწნისა საცნაურ იქმნა, ქუეყანად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად. და მას ღღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ჳელა მჯდომმან სრულ ყო მის ღღისა ომი. და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირელი და კნინი წარმოვთქვთ“¹. ეს ეპიზოდი არაერთხელ გამხდარა მკვლევართა დაკვირვების საგანი, როგორც მებრძოლი მეფის ბუნების საჩვენებლად. აქ ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ დავით აღმაშენებლის ხმალი და ხმაღს ჩაყოლილი მტრის სისხლი, მის სამოსელში ჩავროვილი, დავით წინასწარმეტყველის ბრძოლის მსგავსადაა ნაჩვენები. მემატთანემ ბიბლიური სიუჟეტი გამოიყენა მტერთან დავითის შეუპოვარი ბრძოლის საჩვენებლად.

„ცხოვრებაში“ მოკლელაა გადმოცემული ლორესა და აგარის ციხეთა აღების ეპიზოდი, რომლის შემდეგაც მემატთანე აღწერს საქართველოს მდგომარეობას, როგორი მოწყალეობით გადმოხელა ღმერთმა და ჳამთარ-ზაფხულ წარმოებულ ბრძოლებში ჳელიზედ მოუტანა გამარჯვებები. დავითის გონიერება, სიკეთემიუწვდომლობა, ღვთის გზით სვლა დავით წინასწარმეტყველის კვალობაზეა წარმოდგენილი: „ხევიდა რად მეფე დავით ესეოდენთა ჳეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯუებათა თვსთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ღაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რადთამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამწირველად და კუალად თვით მის თანა მყოფად და მოღაშქრედმცა კმა ეყვნეს ღაუცხრომელად მიმოსლვასა ღაშქრობასა მისსა ჳამთარ და ჳაფხულ. ამისთ სცა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, **ვითარცა დავით, სულისა მიერ წმინდისა**, აღიღო მალღად (ფს. 74,6) თავი თვსი და მიმოავლო თუალი გონებისა თვსისა და განიცაღა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოღად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა. და მსგავსად აღექსანდრესსა ქმნა და ამანცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმისცა მისთვს, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინმე რქუა მას: „არიანო მრავალნი და ურიცხუნნი სამეფონნი, რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ“².

მემატთანე იმოწმებს დავით წინასწარმეტყველისა და მისი მემკვიდრის, სოლომონის, მოძღვრებას სიბრძნის დასაბამად ღვთის შიშის მიჩნევის თაობაზე: „იტყვს **სოლომონ**: „დასაბამად სიბრძნისა მოიგე სიბრძნეო“. ხოლო **დავით**, მამა ღმრთისა: „დასაბამად სიბრძნისა შიში უფლისაღ“³. ღვთის შიშის სიბრძნის დასაბამად მიჩნევის მოტივი მთელს ქრისტიანულ ლიტერატურაშია გავრცელებული და იგი გარკვეულწიღად საერო ლიტერატურულ თხზულებებშიც გადავიღა. სწორედ ღვთის შიშით წარმართა დავითმა მთელი თავისი საგარეო

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 172-173.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 182.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 200.

და საშინაო პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა საქართველოს და მისი ერის მომავლის საკეთილდღეოდ, რითაც თავისი ორკერძო ცხოვრება მოიძკო: „ესე შიში უფლისა მოიგო სიყრმითგან თვისით დავით, და ჰასაკსა მისსა თანა აღორ-ძნდა, და ჟამსა თვისსა ესევითარნი ნაყოფნი გამოიხუნა, რომლითა ორკერძო ცხოვრება თვისი განაშუენა, რომლითა შეამკუნა საქმენი თვისნი, რომლითა განაგნა ჯორციელნი და წარმართნა სულიერნი“¹.

განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ეპიზოდი, რომელშიც მეფის წიგნებით, განათლებისა და ცოდნის შეძენის დაუოკებელი სურვილი და მისწრაფებაა გადმოცემული. ავტორი სოლომონის იგავთა და ეკლესიასტეს სიტყვების დამოწმებით წარმოაჩენს მეფის ინტერესებს, აჩვენებს, თუ როგორ განიბრძნო ბესელიელსა და ეთამ ისრაიტელზე მეტად: „ხოლო ვთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა საქმეთა შემეცნებანი, პირველ ყოფილთა მეფეთა კეთილ ძღუანებულთა ანუ ვერას წარმართებულთა შემთხუეულნი წინაგანსაკრძალვებლად სახედ არა შემოეხუნეს და არა მოეკმარნეს, ვითარცა იტყვს **სოლომონ**, ვითარმედ: „იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღწნანი იგავთანი (იგ. 1,6) და გარდასრულთა შეამსგავსნის მომავალნი“ (ეკლ. 1,9), - არათუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნანდვლვე დიდი განსაგებელი რათა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან? რამეთუ განბრძნდა უფროდს **ბესელ[იელ]ისსა** (გამოსლ. 31, 2-11; 35, 30-35) და უმეტეს **ეთამ ისრაიტელისა** (III მეფ. 4, 29-30), წერილისაებრ; და ვითარ ვინ აღრაცხნეს რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებლნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილობათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მწედართა განწესებანი, ... სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი, და რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვთა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმეთასა, რომელთა შინა ვერვინ ძუელთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თვისითა ქმნნა“².

მემატიანე გვიამბობს დავითის გარდაცვალების შესახებ და აღნიშნავს, რომ როგორც დავით წინასწარმეტყველმა თავის სიცოცხლეშივე გაამეფა თავისი მემკვიდრე სოლომონი, ასევე დავით აღნაშენებელმა დემეტრეს თავად შეარტყა სამეფო ხმალი წელზე და დასვა მეფედ სამეფო ტახტზე: „რამეთუ იყო მამინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამას ორმოცდახუთი, ხოლო წელიწადნი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი. ხოლო მეფობდა ოცდათექუსმეტ წელ და, ვითარცა **პირველმან დავით სოლომონი**, ამანცა თვისითა ჴელითა დასუა საყდართა თვისთა ძე თვისი დიმიტრი, სახელით ოდენ ცვალებული, მარადლე გარდამონასახნი, ყოვლითურთ მსგავსი მამულთა ძირთა, და დაადგა თავსა შუენიერსა გვრგვნი ქვათაგან პატიოსანთა, ვიტყვ უკუე სათნოებათა მამულთა, და შეარტყა წელთა ძლი-ერთა მახვლი, ეჰა, რაბამ სჯანად ჴმარებული, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა. და დაულოცა ცხოვრება წარმართებული და განგრძობა დღეთა ბედნიერობით, თაყუანისცემად მისა მეფეთა ქუეყანისათა და ყოველთა წარმართთა მონებად მისა, გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშუდობა“³.

თხზულებაში წარმმართველია დავით აღნაშენებლის დავით წინასწარმეტყველთან შედარება და მის კონტექსტში განხილვა. მაგრამ არის ეპიზოდები, რომლებშიც სხვა ბიბლიური პერსონალებიც იხსენიებიან. თითოეულს თავისი სიმბოლური მისია აქვს დაკისრებული. განსაკუთრებული ღირებულება აქვს ესაია წინასწარმეტყველის ხსენებას, რომელმაც იწინას-წარმეტყველა ქალწულისაგან მაცხოვრის შობა, უსჯულოთა დასჯა და უსჯულოებას აყოლილი

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 200.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 205.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 223.

ერის აოხრება-განადგურება. ეს ჰიპოდოგმურ-პარადოგმული სახეები აღსართან კახთა მეფის მოღალატეობრივ საქმიანობის ამსახველ ეპიზოდს შეეხება: „მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან წარვიდა მალიქ-მას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი. ამათ ესევითართა ჟამთა არავე დამშვლნა ქუეყანა, არცა-რა იქმნა ღხინება კაცთა უკეთურებისათჳს მკვდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოვლისა მიმართ უკეთურებისა, და ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდენ განარისხეს, ვიდრემდის თვთ მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათჳს **ესაიას** მიერ მეტყუელისა ესრეთ: „გად ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა, კუალითგან ფერკთადთ ვიდრე თავადმდე, არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა ბრძვლ, არცა შესახუევლ“ (ეს. 1, 4-7) და შემდგომნი: „ამისთჳს ქუეყანად თქუენი ოკერ, ქალაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენთა უცხოთესლნი მოსჭამდენ, და მოოტრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხოტომთასა“¹ (ეს. 1, 4-7). აქვე უნდა ვახსენოთ იერემია წინასწარმეტყველის გოდების ჰიპოდოგმაც, რომლის ხსენებაც მკითხველის წინაშე გოდების თემის ასოციაციას იწვევს და დავითის გამეფების წინ საქართველოს მძიმე მდგომარეობას გვაცნობს: „რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თჳსთა, ხოლო საკურთხეველნი ღმრთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა. და მღდელნი რომელნიმე თვთ შეწირვასავე შინა საღმრთოსა მსხუერპლისასა მუნვე მახვილითა შეწირულ იქმნეს და სისხლნი მათნი აღირივნეს მეუფისათა თანა. და რომელნიმე მწარესა ტყუეობასა მიცემულ იქმნეს, მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეითებულ, ხოლო ჩჩვლნი მიმოდატაცებულ. ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარენი სისხლთანი. ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქუეყანისანი. და რათა თვთ მათ **იერემიასთა** ვიტყოდით, რამეთუ ამან ოდენ კეთილად უწყოდა ჟამისა ამის ჯეროვანი გოდება, ვითარმედ: „ძენი სიონისანი, პატიოსანნი და ბოროტისა გამოუცდელნი, უცხოთა გზათა ტყუეობისათა მოგზაურობენ. ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არაყოფისათვის მათ ზედა მელდესასწაულეთასა. და კელნი დედათა მოწყალეთანი არა საზრდელისა შვილთა მიცემად მოქმედებენ, არამედ საზრდელ თჳსსა ჰყოფენ თვთ თჳსთა მათ საყუარელთა“ (გოდ. იერემ. 4,2; 1,4; 4,10)².

მოსე, ელია, სოლომონ წინასწარმეტყველების პარადოგმული გააზრება ავტორს სჭირდება საქართველოს სამწერლო-საგანათლებლო და კულტურული აღმავლობის საქმეში დავით აღმაშენებლის როლის საჩვენებლად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ: „რამეთუ ვითარცა ღმერთი მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა თუალუხუავითა მით ბჭობითა თჳსითა, და არა სადათ მიდრკებოდა „წამი სასწორისა“, ვითარცა **სოლომონისთჳს** გუესმის საბჭოთა შინა და თვთ **მოსეს-მიერნი** გუაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი. ხოლო თავი სათნობათა, სიწმიდე, ესეოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი; ნუ მეტყვ მისთა სიჭაბუკისათა რადთამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიწესენეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამოწამებითა სწნდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მოწამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა. კუალად ლოცვისა და მარხვისათჳს რადლა საწმარ არს თქმა, რომლისა იგი საქმარ ოდენ იყო. და კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილ-წესიერებასა ლოცვისა და

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 163.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 161.

მარხვისასა. ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის. კუალად წყალობა გლახაკთა ესეოდენი აქუნდა, ვიდრემდის აღავსო ზღუა და ჳმელი ქუელის საქმემან მისმან. რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვბრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილთა, უფროდსლა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალემისანი თვთოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა. კუალად უშორესცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალ ათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა¹. ამ ეპიზოდში მეფის ხატ-სახე იშვიათი მჭევრმეტყველური ენაწყლიანობით სრულყოფილების ნიშნითაა მემატიაანის მიერ წარმოსახული. იგი დავითის მიერ სინას მთაზე, სადაც მოსემ და ელიამ ღმერთი იხილეს, ქართული მონასტრის აღშენების ფაქტსაც მიუთითებს.

ახალი აღთქმის პერსონაჟთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზაქეს სახე, რომელიც ლუკას სახარებიდანაა ცნობილი (ლუკა, 19, 1-5). ზაქეს სახის რემინისცენცია თვალსაჩინოა დავითის მოწყალე ბუნების საჩვენებლად, როდესაც მეფე ხალხში გადიოდა წყალობის გასაცემად და გლახაკთა გასაკითხად: „სხუათავე კეთილთა თანა აქუნდა ესეცა, რამეთუ სღვათა შინა თვსთა სამეფოთასა. სიმრავლითა სპათათა და სიმალთა სღვისათა ვერ აღვილად მიემთხუეოდინ მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმღავრებულნი, განაღა ვიეთ-ღა-მე რომელთა საჭიროდ უჭმდის განკითხვა და შეწევნა მეფობრივი, ნუ უკუე და ვინმე აღვიდის ბორცუსა ზედა რასმე, გზისა მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა, ვითარცა ზაქე. უკეთუ ოდენ ეპოვის ესევითარი რამე, და მუნით საცნაურ ყვის ჳრტინვა თვსი, ამისთვს დაედგინეს კაცნი მართლად მცნობელნი და განმკითხვარნი მოჩივართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს კურნებასა“².

ყოველი შედარება თუ პარალელური სახე გლობალური, ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობის ნიშნებთან ერთად, ღრმა ეროვნულობითაცაა აღბეჭდილი, რაც ერის საჭირობოროტო და მტკივნეულ პრობლემებზე დაფიქრებული მწერლის სულისკვეთებას გვაუწყებს. დავით აღმაშენებელი თხზულების დასასრულს მაცხოვარს მიმსგავსებულად არის წარმოჩენილი და მისი ღვაწლიც სრულყოფილად არის შეფასებული: „აჰა სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანა-შეტყუებული ჩუენისა თვთმპყრობელისა და ყოვლად გამომსახველი სიტყვთ საქმეთა თუალთა ჩუენთა ხილულთა; რამეთუ სიტკბოებისა, სახიერებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისადთ შემოკრებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ესეოდენ ტკბილ შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ ღუმილითა? იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისადთა, შეწყობილ ანაგებითა და ახოვან ტანითა; ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვლითა; საწადელ ღიმილითა, უსაწადელეს მჭმუნვარებითა; მადლიერ ხედვითა, საზარელ ლომებრ მაკრობელობითა; ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევიითა; მარტივ სახითა, მრავალსახე მართებითა; შემრისხველ ყუდროებითა, საქებელ განსწავლულებითა, და არცა ერთსა კეთილთაგანსა შემაშობელ უზომოებითა... ვინ ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ მან შეიკრება ყოველი? ვინ ყოველთაგან ერთი, ვითარ მან სრულებით თითოეული, რომელთა ყოველთათვს შეუძლებელ არს დაკვრება ოდენ, არა თუ მიბაძვება, რომლითა სრულ იქმნა იგი ყოველთა შინა?“³.

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 207-208.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 210.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 219-220.

სიმბოლორობითაა აღბეჭდილი წმ. დავით მეფის გარდაცვალებაც, დაკრძალვაც, საფლავის ქვაზე წარწერაც. თხზულება დავითის ზესთასოფლად გადასვლით მთავრდება, რაც ზეციური მოქალაქობის მოპოვების სიმბოლოთია წარმოსახული; დავითის მეფობის ბრწყინვა გრძელდება მის მემკვიდრეში – დემეტრეში, რომელსაც მეფე დავითი თავისზე აღმატებულად მიიჩნევდა და ღმერთს შეავედრა „გამობრწყინებად დღეთა მისთა სიმართლე და მრავალი მშველობად“¹. მეფის მიცვალება მხატვრული მეტყველებითაა გაჯერებული, მისი გარდაცვალება, მიძინება „რულითა შუენიერთადაა“ აღქმული და აღწერილია გარდაცვალების ადგილი: „საშუალ თვსთა სამეფოთა, ადგილსა, თვთ მის მიერვე წინადთ განჩინებულსა განსასუენებელად და მისაძინებელად, ვითარცა რულითა რადთამე შუენიერთა, დაიძინა მამათა თვსთა თანა“².

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დავითის საფლავის ქვაზე წარწერილი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვები: „ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს აქა დავემკვიდრო მე“. ცხადია, ამასაც თავისი ღრმა სიმბოლიკა და პოეტიკა აქვს: დიდბუნებოვანმა ადამიანმა აჩვენა თავმდაბლობის იშვიათი მაგალითი. საფლავის ქვაზე წარწერილი ფსალმუნის სიტყვებით შეხმიანება მომავალ თაობებთან პოეტური ფორმაა სულიერი წონასწორობისა და სიმშვიდის მოპოვებისა, სულიერი ცხოვრების მოწესრიგებულობისა, თვითგამონახტვისა, რაც ასე თავმდაბლად, ქედმოდრეკით გამოიხატა ფსალმუნის სიტყვებით, ხოლო თვით მეფე დავით აღმაშენებელმა, წმინდანმა, „გალობანით“ თავისი ცხოვრების მიმწუხრს ქედდარეკილის სიმბოლოთი წარმართა თავისი ქრისტიანული გრძნობა-განცდები.

ბიბლიურ პერსონალიათა სახეები მემატთანემ დავით აღმაშენებლის სრულყოფილი სახის წარმოსაჩენად გამოიყენა, რისთვისაც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, მდიდარი სახისმეტყველებითი ხატები მოიხმო და ისტორიულ თხზულებას ესთეტიკური ღირებულებაც მიანიჭა. ამით თავად ისტორიკოსი-მემატთანე ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატადაც მოგვევლინა.

Nestan Sulava

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Samtskhe-Javakheti University*

CARACTERS FROM THE BIBLE IN THE HISTORICAL WRITING “LIFE OF THE KING OF THE KING DAVIT” AND SYMBOLIC FUNCTION OF THEM RESUME

From the historical book “Life of Kartli” there is the most important story about David the Builder, which is the most fiction valuable story beside the historical value it has. The author is the very gifted person having the sense of literary intelligence also the value of eloquent style of him. To discuss his aesthetic phenomenon of his historical writing has sense. At the same time, it will make expression on the studying and research development of fiction of ancient Georgian writings. All historical stories in the classical epoch are the examples of symbolic and allegoric minding. In each of them we meet parallels and sources from the New and Old Testament books characterized the

¹ ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 224.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, 1992, გვ. 221.

paradigm structures of them. The tool of parallelism of fiction, which is common in each episode and the whole story playing the main role of understanding of the whole text.

In the historical writing "Life of King of the King David" king David is compared to the characters differs from their nature, he is compared to the radically different characters, different historical heroes and literary characters, he is compared to the antique historical heroes, to the mythological character from Greece and Rome, to the East countries literary main characters with their life episodes. For example, to the Alexander Macedon, to the Ptolomeos from Egypt, to the Achelous, to the BaramGuristan, Anton from Egypt, Paul the Apostle, Emperor Constantine with faith, wisdom, knowledge, military leader, morality, hero. His battles compared with the battle of heroes on Troy and Alexander Macedon. Each of them has its symbolic meaning. The comparisons with the characters from the Bible have great meaning. There are too many symbols from the Bible, for example ten-twelve characters from the Bible but each of them is hypodigm of David the Builder, as a character and have symbolic meaning. Each of them has moral and ethical principles whole mankind gathered during centuries. The story "Life of King of the King David" shows the meaning of David the Builder with hypodigm and paradigm when he is compared with the Davit from the Bible, from psalms, to the Solomon, Besiel, Moses, Elijah and Zach. There is important attitude to the parading of Davit from the Bible and Solomon, mainly to the paradigm of Davit from the Bible. Those symbolic faces were needed to show the full character of David the Builder. With this the meaning of the King David was fulfilled. For this the historical story got aesthetic value and the author as a historian become the master of Georgian language and fiction.

ძველი ქართული ტექსტის თარგმანის არასწორი გააზრებით
ყივჩაყების 24-საუკუნოვანი „ისტორიის“ შექმნის შესახებ
(თურქულენოვანი მასალების ანალიზი)

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის არასწორი გააზრების გამო მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ **ალექსანდრე მაკედონელის დროს** საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ „ბუნთურქები“/“უნთურქს” („თავდაპირველი თურქები“) და ყივჩაყები (**The Kipchaks**). მეტიც, ზოგი თურქი ავტორი ახ. წ. VIII საუკუნეში ასპარეზზე გამოსულ ყივჩაყებს **24 საუკუნის წინანდელი საქართველოს** მკვიდრ მოსახლეობად აცხადებს (ჭოროხიდან ვიდრე - თბილისამდე!). ეს მცდარი ინფორმაცია სოციალურ ქსელებში არაჯანსაღი დისკუსიის საგანიც ხდება ხოლმე¹. არცთუ იშვიათად, წყაროდ მოხმობილია მარი ბროსეს² მიერ ქართულიდან ფრანგულად თარგმნილი „ქართლის ცხოვრება“ (*Histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'au XIXe siècle*) თუ მისი თურქული ვარიანტი (*Gürcistan Tarihi*)³. სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ვთქვათ: მრავალგზის რედაქტირებული „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“) ნახსენები „ბუნთურქები“ არქაული ქართული ტექსტის მცდარი წაკითხვის გამო **ეთნონიმად**აა გააზრებული არა მხოლოდ უცხოელი, არამედ ქართველი მეცნიერების მიერაც. სინამდვილეში, ძვ. წ. IV საუკუნის ამბების აღწერისას გამოყენებული „ბუნთურქი“ ლტოლვილ „თურქთა“ ერთ ჯგუფს აღნიშნავს, ხოლო ეთნონიმი „ყივჩაყი“ XII საუკუნის ქართველი ავტორის მიერ მეტაფორადაა გამოყენებული და არა - ეთნონიმად.

¹ იხ., მაგ.: <https://bit.ly/2SLFOn4> (დამოწმება: 25.01.2020). ამ გვერდზე ხშირია საქართველოს ისტორიის დამახინჯების ფაქტები.

² მარი ბროსე – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის, ვაჟის, მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თეიმურაზ ბატონიშვილის, მოწაფე და მეგობარი. თეიმურაზ ბატონიშვილსა და მის მრავალი ღირსებით გამოჩენულ ძმებს (დავითს, იოანეს, ბაგრატს, გაბრიელს, ოქროპირს, ილიას, ერეკლეს) რუსეთის იმპერიამ მოუსპო საქართველოში მეფობისა თუ მოღვაწეობის პერსპექტივა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობით მსოფლიოსათვის გაეცნოთ საქართველო. თეიმურაზ ბატონიშვილმა იცოდა რამდენიმე ენა (სპარსული, თურქული, ფრანგული, რუსული და იტალიური...); იგი 1831 წლიდან იყო პარიზის სააზიო საზოგადოების ნამდვილი წევრი. ქართველ უფლისწულებს აკრძალული ჰქონდათ საქართველოში დაბრუნება, ამიტომ შემთხვევითი არ ჩანს, რომ ბატონიშვილის მეგობარი მარი ბროსე, რომელიც კონკურსის შედეგად 1838 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით, 1847-1848 წლებში მოგზაურობს საქართველოში და სწავლობს ქართულ ტექსტებს, კულტურას, არქიტექტურას. მან ფრანგულად თარგმნა და 1849-1858 წლებში შვიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიის“ გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი მეცნიერული კომენტარებითურთ (ამ გამოცემის IV ტომი დაიბეჭდა დავით ჩუბინაშვილის რედაქციით) და სხვ..

<http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00006970/>

(დამოწმება: 15.02.2020).

³ „Gürcistan Tarihi“ - საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან 1212 წლამდე) - 2003 წელს გამოსცა თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ. „ქართლის ცხოვრება“ ქართულიდან ფრანგულად თარგმნა მარი ფელიციტე ბროსემ. ფრანგულიდან თურქულად მთარგმნელი: ჰრანდ დ. ანდრეასიანი. თარგმანს შენიშვნები დაურთო და გამოსაცემად მოამზადა ერდოღან მერჩილმა.

წარმოდგენილ გამოკვლევაში ჩვენი მიზანია „ბუნთურქების“¹ შესახებ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის თურქული თარგმანების კრიტიკული ანალიზი.

ბუნთურქი გამჭვირვალე სიტყვაფორმაა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის მიხედვით: სარკინეში კომპაქტურად დასახლებული მიგრანტი „თურქების“ აღსანიშნავად მემატიანემ შექმნა სპეციალური შესიტყვება: „ბუნი თურქი“ (> ბუნთურქი), რაც ნიშნავს „ერთად დასახლებულ თურქებს“. ეთნონიმი „თურქი“ კი მოცემლ კონტექსტში გამოიყენება ველური ტომის აღსანიშნავად; შესაბამისად, „**ბუნთურქი**“ არ არის დამოუკიდებელი ეთნონიმი². აქვე აღვნიშნავ, რომ ქრისტიანობამდელი საზოგადოების ველურობის თემა აქტუალურია ძველ ქართულ წყაროებში; მაგ., „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით; კერძოდ, საქართველოში (ქართლში) შემოსვლისას ალექსანდრეს (თუ მის ჯარს) დახვდა საკმარისად ჭრელი საზოგადოება, მათ შორის წარმართი ქართველები და სხვა მიგრანტი ტომები. ალექსანდრეს „შემოსვლის“ ამბის გადმოცემისას **დამხედურ მოსახლეობას** (ქართველებსა და საქართველოში დამკვიდრებულ სხვა ტომებს) **მემატიანე** ზუსტად იმავე სიტყვებით ამკობს, რა სიტყვებსაც იყენებს **ორი საუკუნით ადრე ლეონილი ველური ტომების მიგრაციების აღწერის დროს**; შდრ.:

ა) ძვ.წ. IV საუკუნის ამბების აღწერისას: ალექსანდრე *„მოვიდა ქართლად და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიძვისათვის არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ვითარცა მხეცნი და პირუტყენი...“*

ბ) ძვ.წ. VI-V საუკუნეების აღწერისას: *„და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთა-სა. რამეთუ ცოლ-ქმრობისათჳს არა უჩნდათ ნათესაობა; და ყოველსა სულიერსა ჭამდეს; საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს“ (გვ. 16)...*

ამკარაა: „ქართლის ცხოვრების“ ქრისტიანი ავტორისთვისაც ქრისტიანობამდელი ქართველები ისეთივე ბარბაროსები არიან³, როგორც სპარსეთიდან კასპიის ზღვისა და მტკვრის ხეობით (არა - ჩრდილოეთიდან!) საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში მოსული და შემდეგ სარკინეში კომპაქტურად დასახლებული „თურქები“ - **ბუნი თურქები**. ქართულ წყაროებში „ბუნთურქი“ ქრისტიანობამდელი ველური საზოგადოების სახე-სიმბოლოდ დამკვიდრდა.

მოგვიანებით, „ქართლის ცხოვრების“ მცდარი წაკითხვის გამო, ბუნი თურქნი („ერთად დასახლებული თურქები“) ეთნონიმად იქნა გააზრებული⁴. არარსებული „ეთნონიმის“ მიხედვით

¹ ყივჩაყისაგან განსხვავებით, „ბუნთურქი“ არ არის ეთნონიმი, ამიტომ საჭიროების შესაბამისად ამ სიტყვას ბრჭყალებით წარმოვადგენთ.

² მსჯელობისათვის იხ. ტ. ფუტყარაძე, **თურქი/ბუნთურქი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით**, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები, ტომი V, 2015, გვ. 111-120. გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“. **Turk/BunTurk according to the Kartlis Tskovreba (the Georgian Chronicles); works of The Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia Faculty of Humanities and Law, V, 2015, pg., 111-120. Printing House “Georgian University”.**

http://dl.sangu.edu.ge/pdf/journals/hum_publ_V.pdf; **ბუნ-თურქნი: პალეოგრაფიული შეცდომა, თურქულენოვანი ხალხის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ეთნონიმი, კომპაქტურად დასახლებული ლტოლვილი „თურქები“ თუ „სასტიკე წარმართთა“ აღმნიშვნელი მეტაფორა?**, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის I საერთაშორისო სიმპოზიუმი "ქართული ხელნაწერი", თბილისი, 19-25 ოქტომბერი, მოხსენებათა თეზისები, 2009, გვ. 123-125. ISBN 978-9941-4-6. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. **Bun-Tuks: Paleographic Mistakes, One of the Oldest Ethnonim Denoting Turkish Generation, Refugee “Turks” Resettled in Compact Areas or Metaphor Denoting “cruel pagans?”**, Natinal Centre of Manuscripts I International Conference “Georgian Manuscript”, Tbilisi, October 19-25, 2009, Thesises, 2009, pg. 123-125. ISBN 978-9941-4-6 Natinal Centre of Manuscripts <http://www.scribd.com/doc/21513441/Tariel-Putkaradze-turkebi-Turks-bun-turkebi-bunturks>

³ შდრ.: ქართულ ენაში ქრისტიანობამდელი ქართველების რელიგიას ერქვა წარმართობა - სწორადმავლობა. ამ სიტყვამ ნევატიური კონტექსტი შეიძინა ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ.

⁴ შდრ., ი. ჯავახიშვილი, **თხზულებანი 12 ტომად, ტ. VIII, თბ., 1977**, გვ. 114-115: „ბუნთურქი“ ეთნონიმად (და არა ეპითეტად) ესმის დიდ ქართველ ისტორიკოსს; აქვე (გვ. 112) მის მიერ „მოქცევად ქართლისად“ მიჩნეულია „უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებად“. ბუნთურქი“ ეთნონიმად (ეთნიკურ სახელად) აქვს

შეიქმნა ჰიპოთეზა თურქთა ძველი ტომის - ბუნთურქების - შესახებ საქართველოში მკვიდრობის შესახებ. არარსებული „ბუნთურქი“ ეთნოსის, როგორც „კავკასიელი თურქების“, ისტორიის კვლევის მიზნით შექმნილია სპეციალური ვებპორტალიც კი¹. კიდევ ერთხელ საზგასმით აღვნიშნავ: შესიტყვება: **ბუნი თურქი** მიემართება ქაიხოსროსგან (კიასსარისგან) გამოდევნილი ხალხის - „თურქების“ (ჰუნების? სკვითების? თურების?) იმ ნაწილს, რომელიც მცხეთის მამასახლისმა ერთად, „მიხვევით“, კომპაქტურად დაასახლა სარკინეში.

23 საუკუნის წინანდელი ამბების აღწერისას „ქართლის ცხოვრებაში“ ეთნონიმ „თურქის“ გამოყენება შეუსაბამოა, რადგან ეს ეთნონიმი გაცილებით გვიანდელია. როგორ შეიძლება აიხსნას „ქართლის ცხოვრების“ ასეთი შეუსაბამობა?

ვფიქრობ, 24-26 საუკუნეების წინანდელი ამბების თხრობისას „თურქების“, „ხაზარების“ ხსენება არ არის დაუდევრობით გამოწვეული შეცდომა თუ **უნებლიე ანაქრონიზმი**: გვიანდელი მემატიანე თუ რედაქტორი ამ დროის მოვლენების აღწერისას არ იყენებს „თურქ“ ეთნონიმს თავისი ამოსავალი მნიშვნელობით; დიდი ალბათობით, **მემატიანე/რედაქტორი** მომთაბარე (ველური) ტომის აღმნიშვნელ რომელიღაც ძველ (ჩვენთვის უცნობ) ტერმინს ანაცვლებს თავისი დროისათვის გასაგები ტერმინით: წყაროს ავტორი თუ რედაქტორი, რომელიც თანამედროვეთათვის წერდა (არედაქტირებდა) სახელმძღვანელოს (და არა - სამეცნიერო გამოკვლევას), ბუნებრივია, შეეცდებოდა, წინა საუკუნეების არქაული ტექსტის გაუცხოებული, სემანტიკაგაბუნდოვებული ტერმინი ჩაენაცვლებინა თანამედროვეთათვის გასაგები სიტყვით; მოცემულ შემთხვევაში გამოიყენა „თურქი“, რომელიც, ჩანს, მისი თანამედროვეთათვის განზოგადებული იყო ველური მომთაბარე ტომის ზოგად სახელად².

ტექსტის, ტერმინების გათანამედროვეობის ტენდენციის შედეგი უნდა იყოს ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ამბების აღწერისას ახ. წ. IV საუკუნის შემდეგ დამკვიდრებული ეთნონიმების („ხაზარი“, „თურქი“...) გამოყენება. ასეთი ჩანაცვლება ყველა დროსა და ყველა ენაში შეიძლება შეგხვდეს. როგორც წესი, ტექსტების რედაქტორის - სახელმძღვანელოს შემქმნელის - მიზანია არა „ეთნონიმთა“ მეცნიერული კვლევა, არამედ - მოცემული ხალხების საქართველოში მოსვლის ისტორიის გაგებინება მისი თანამედროვე მკითხველისათვის; მაგ., IX საუკუნის არაბულ წყაროებში საუბარია ალექსანდრე მაკედონელის დროს თურქების შესახებ³. ზოგ წყაროში ბაბილონის არსებობის დროს ქალაქი იხსენიება გვიანდელი სახელწოდებით - „ბაღდადი“⁴; XVI საუკუნეში ევროპაში შექმნილ რუკებზე ოსმალეთის იმპერია იხსენიება როგორც თურქული იმპერია⁵:

გააზრებული გ. არახამიასაც: ახალი „ქართლის ცხოვრება“, ვახტანგისეული რედაქცია, ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო, გონელი არახამიამ, თბ., 2017, გვ. 336. აქვე, ეთნიკურ სახელადაა მიჩნეული, თუში, კლარჯი... ვფიქრობ, არც ეს ბოლო სიტყვები არ არის ეთნოსის სახელი. მათ სახელწოდებად უკეთეს ტერმინად მიგვაჩნია ტერმინი „თემონიმი“ (თემის სახელი და არა - ეთნოსის სახელი, ეთნიკური სახელი.

¹ <http://bunturk.livejournal.com> (დამოწმება: 15.02.2020).

² სიტყვა-ფორმა „თურქი“ ახ.წ. V-VI საუკუნეებში ასპარეზზე გამოსული ტომის სახელია, ეთნონიმი. ქართული ენის გარდა, მიწათმოქმედი საზოგადოების ზოგ სხვა ენაშიც ეს ეთნონიმი შუა საუკუნეებში განზოგადდა, გადააზრიანდა მომთაბარე ტომის ანუ „ველური ტომის“ აღმნიშვნელად.

³ იხ. А. Зайончковский, Старейшие арабские хадисты о тюрках (VIII—XI вв.), тюркологический сборник к шестидесятилетию Андрея Николаевича Кононова, Академия Наук СССР Институт Народов Азии, издательство «НАУКА» Главная Редакция Восточной Литературы М. 1966 http://www.orientalstudies.ru/rus/images/pdf/journals/p_ts_1966_23_zayonchkovsky.pdf.

⁴ გონელი არახამია, ერთი ჩანართის შესახებ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში, კრებ. „ისტორიანი“ მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 2019, გვ. 83-91.

⁵ Murat Bardakçı, Bilen bilmeyen herkes konuşuyor ! Osmanlı Devleti'nin Resmi adı "Devlet-i Aliyye" dir. <https://bit.ly/2V10nyj> (დამოწმება: 15.02.2020).



ჩვენს სინამდვილეშიც, არცთუ იშვიათად, რუსეთ-თურქეთის ომებად მოიხსენიება რუსეთ-ოსმალეთის ომები (მაგ., 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ბუნთურქის“ მსგავსად, „ყივჩაყიც“ „ველურის“ მხატვრული სინონიმია (ზედსართავი სახელია, მეტაფორაა) და არა ძვ.წ. IV საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსის სახელი¹: ქრისტიანი მემატინისა თუ რედაქტორის აზრით, ალექსანდრე მაკედონელმა (თუ მისმა ჯარმა) საქართველოში ნახა **ველური წარმართი ქართველები, ასევე, ველური სხვა ტომები** (და არა ბუნთურქები თუ ყივჩაყები), რომლებიც სიველურით ჰგავდნენ ბუნად დასახლებულ თურქებსა და ყივჩაყებს. ადრეულ ქართულ ტექსტებსა და „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში დასახლებული მეტაფორა აღარაა გამოყენებული².

უცხოენივან თარგმანებში ველურის აღმნიშვნელად განზოგადებული ტერმინები: „ბუნთურქი და „ყივჩაყი“ გაგებულია ეთნონიმად; მაგ., **ფრანგულ თარგმანში** („ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლა საქართველოში“ /„Antrée d' Alexandre le Macédonien en G^orgie“/) ვკითხულობთ:

„ალექსანდრე დაიბადა ბერძენთა ქვეყანაში, მაკედონიაში. ის იყო ეგვიპტელი ფილიპ-კატსნობის ვაჟი, როგორც ეს მოთხრობილია ბერძენთა წიგნებში. მან ქვეყანა ოთხივე კუთხით დაიპყრო. ალექსანდრემ, დასავლეთიდან წამოსულმა, გამოიარა სამხრეთი და შევიდა ჩრდილოეთში, გადავიდა კავკასიაში. როდესაც ქართლში მოვიდა, მან ქართველთა შორის ისეთი ბარბაროსული წესები ნახა, რომლებიც სხვა ხალხთან არ უნახავს. მართლაც, ქართველები, მიუხედავად ნათესაური კავშირებისა, ერთმანეთში ქორწინდებოდნენ და მრუშობდნენ. ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას, მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა ეს სამინლად ბარბაროსი ხალხი, რომელიც მტკვარსა და მის სანაპიროზე ცხოვრობდა და, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებსა³ და ყივჩაყებს. ალექსანდრე ფრიად გაკვირვებული დარჩა, რადგან მათ მსგავსად არც ერთი სხვა ხალხი არ იქცეოდა. მან საქართველოში ნახა ძლიერი ქალაქები: წუნდა, მტკვრის სანაპიროზე – ხერთვისი, ღაღოს კლდეში გამოკვეთილი ოძრხე, სპეროს იგივე ჭოროხის ნაპირზე – თუხარისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, დიდი მცხეთა თავისი შემოგარენით, სარსინე, ციხედიდი, ზანავი, სადაც ებრაელები ცხოვრობდნენ, რუსთავი, დედა ციხე, სამშვილდე, მტკვრის ციხე ანუ ხუნანი და კახეთის ქალაქები. ყველა ამ ქალაქსა და ციხეს იცავდა უშიშარი მეომარი მოსახლეობა. ალექსანდრემ ჯარი ნაწილებად დაყო და ალყა შემოარტყა ნახსენებ ქალაქებს. თვითონ, მცხეთაში გაჩერდა. თავისი ჯარი ზემო, ქვემო, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დააგზავნა და შეუტია ნასტატისში ქსანს. რაც შეეხება მტკვრის ციხესა და თუხარისს, იმის გამო, რომ მათი აღება შეუძლებელი იყო, ალექსანდრეს მათზე იერიში არ მიუტა-

¹ ეთნონიმის გამოყენება ეპითეტად, ეთნონიმის ქცევა არსებით სახელად (/ზედსართავად) ჩვეულებრივი მოვლენაა. ცნობილია ისიც, „თურს“ უარყოფითი მნიშვნელობაც ჰქონდა (გ. ალასანია, 2008, გვ. 10).

² საინტერესო ფაქტია ისიც, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორიც არ ახსენებს „ყივჩაყებს“.

³ მარი ბროსეს შენიშვნა: „ქართულ ენაში „ბუნთურქი“ – სიტყვა, რომელიც საჭიროდ ჩავთვალე მეთარგმნა და განმეარტა, ჩვენ ქვემოთაც შეგვხვდება, ესენი გახლავთ თურანები“... როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს მიერ „ბუნთურქი“ განმარტებულია, როგორც „თავდაპირველი თურქი“ და „თურანები“. უფრო ლოგიკური ჩანს, „ქართლის ცხოვრების“ „თურქში“ ვიგულისხმით „თურანები“.

ნია. სხვა დანარჩენი ციხე-ქალაქები ექვს თვეში აიღო. ალექსანდრე, რომელიც შეურაცხვეს სარსინეში მყოფმა პირველყოფილმა თურქებმა, განრისხდა, უარყო მათი წინადადება დანებების შესახებ და შეუთვალა: „ჩემი შეურაცხყოფის გამო თქვენ ჩემივე ხელით ამოხოცვა გელით!“ მან ქალაქი მარწუხებში მოაქცია ისე, რომ ვერავინ შეძლო გაქცევა. თორმეტი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლაში დამაშვრალმა სარსინელებმა ჩუმად დაიწყეს კლდის თხრა. კლდე, რომელიც შედარებით რბილი გამოსატენი იყო გახვრიტეს და ღამით კავკასიაში გაიქცნენ¹.

არასწორი თარგმანი ფრანგულიდან გადავიდა თურქულ თარგმანშიც; კერძოდ, თურქული თარგმანის რედაქტორი ერდოღან მერჩილი წინასიტყვაობაში წერს²: „თურქეთის საისტორიო საზოგადოებამ, შუა საუკუნეების ისტორიის კვლევის განყოფილების გადაწყვეტილების საფუძველზე, 1957 წელს საქართველოს ისტორიის თარგმანი დაავალა ჰრანდ დ. ანდრეასიანს, რომელმაც ფრანგულიდან თურქულად თარგმნა 1212 წლის მოვლენების ჩათვლით. პროფესორმა ნუსრეთ ჰიზირმა აღნიშნული თარგმანი სიღრმისეულად შეისწავლა და 1961 წლის 24 თებერვალს დაწერა სათანადო დასკვნა. იგი, აღნიშნავდა, რომ „თარგმანში იყო შეცდომები, თუმცა, ეს შეცდომები შინაარსს არ ცვლიდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ თარგმანის ზედმიწევნით გაკონტროლების პირობით შეიძლება დაიბეჭდოს“. ანდრეასიანმა ჩაასწორა შეცდომები. აღნიშნული ნაშრომი 1992 წელს თურქეთის საისტორიო საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ რეფეტ იინანჩის მიერ ხელახლა იქნა შესწავლილი. მან გასცა თანხმობა მის გამოცემასთან დაკავშირებით, მაგრამ, რატომღაც, აღნიშნული თარგმანის გამოცემა დაგვიანდა. საბოლოოდ, თურქეთის საისტორიო საზოგადოების ნამდვილი წევრის, პროფესორ ფაჰრეთინ ქირზიოღლუს დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე (ხაზი ჩემია – ტ.ფ.), „საზოგადოების“ მმართველთა საბჭოს 7.6.2000 წლის გადაწყვეტილებით „საქართველოს ისტორიის“ („ქართლის ცხოვრების“ – ტ.ფ.) თარგმანის გამოსაცემად გამზადება მე დამევალა. ზემოაღნიშნული ნაშრომის თურქულ ენაზე თარგმანიდან გავიდა 40 წელზე მეტი. აქედან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვდა, რომ რედაქტირება გაკეთებულიყო თარგმანში არსებული ზოგიერთი სიტყვისა, რომელიც დღეს უკვე აღარ იხმარებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით თარგმანი შევუსაბამეთ დღევანდელ თურქულს... გასწორდა ტრანსკრიფცია“...


წინასიტყვაობის ბოლოს ერდოღან მერჩილი წერს, რომ **თარგმანზე პასუხისმგებელია მთარგმნელი;** მისი მოვალეობა კი იყო ნაშრომის გამოსაცემად მომზადება პროფესორ ნუსრეთ ჰიზირის შენიშვნების გათვალისწინებით (ხაზი ჩემია – ტ.ფ.).

¹ „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული ტექსტი თარგმნილია ქართული ენიდან საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ მარი ბროსეს მიერ: ანტიკური ისტორია, ქრისტეს აქეთ 1469 წლამდე; შანტილის ბიბლიოთეკა, პეტერბურგი, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1849. გამოცემულია აკადემიის განაწესის მიხედვით 1849 წლის ნოემბერში. მუდმივი მდივანი პ. ჰ. ფუსი.

Traduite du géorgien par M. Brosset membre de l'académie impériale des sciences Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J-C. Bibliothèques Chantilly, st. Petersbourg Imprimerie de l'académie impériale des sciences 1849. Publié par ordre de l'Académie en novembre 1849. Le Secrétaire perpetuel P.H, Fuss. ფრანგული ტექსტი:

https://books.google.ge/books?id=xV4Mq9CAglsC&pg=PA32&source=gbs_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false (დამოწმება: 27.01.2020).

² M. Fahrettin Kırzioğlu, Yukarı - Kür ve Çoruh Boyları'nda Kıpçaklar, İlk Kıpçaklar (M.O. VIII.-M.S. VI. yy) ve Son Kıpçaklar (1118, 1195) ile Ortodoks - Kıpçak Atabekleri Hükümeti (1267-1578), (Ahıska/Çıldır Eyaleti Tarihi'nden), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1992.



თურქული ტექსტის ქართული თარგმანი:

ალექსანდრე (ძვ.წ. 356-323) დაიბადა მაკედონიაში, ბერძენთა ერთ-ერთ ქვეყანაში. როგორც ბერძნულ წიგნებში წერია, იგი იყო ეგვიპტელი ფილიპ-კატზნობის ვაჟი და მან ქვეყანა თავიდან ბოლომდე დაიპყრო. ალექსანდრე, რომელიც დასავლეთიდან წამოვიდა, გაემართა სამხრეთისაკენ, შევიდა მის სამხრეთ ნაწილებში და კავკასია გაიარა. ქართლში რომ მოვიდა, ნახა ისეთი ბარბაროსული წესები, რომლებიც სხვა ხალხს არ გააჩნდა. მართლაც, ქართველები არ დაგიდევდნენ ნათესაობას, ქორწინდებოდნენ და მრუმობას სჩადიოდნენ; ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას და მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა მტკვრის გასწვრივ დასახლებული და საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებს და ყივჩაყებს. ეს მან ძალიან გაიკვირვა, რადგან მათი ქმედება და მდგომარეობა არც ერთი სხვა ხალხისას არ ჰგავდა. ალექსანდრემ საქართველოში ნახა წუნდა, მტკვრის სანაპიროზე ხერთვისი, დაღოს კლდეში გამოკვეთილი ოძრხე, სპერი და ჭოროხის ნაპირზე თუხარისი; ურბნისი, კასპი, უფლისციხე; დიდი მცხეთა მისი შემოგარენით, სარსინე, ციხედიდი, ზანავი, რუსთავი, დედა ციხე, სამშვილდე, მტკვრის ციხე ანუ ხუნანი და კახეთის ქალაქები. ყველა ამ ქალაქს და ციხეებს იცავდა გმირულად მეომარი ხალხი. ალექსანდრემ ჯარი ნაწილებად დაყო და ალყა შემოარტყა ნახსენებ ქალაქებს. თვითონ მცხეთაში გაჩერდა, თავისი ჯარი ზემო, ქვემო, მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე დააგზავნა და შეუტია ნასტატისში ქსანს. რაც შეეხება მტკვრის ციხეს და თუხარისს, იმის გამო, რომ მათი ალება შეუძლებელი იყო, ალექსანდრემ მათ არ შეუტია. სხვა დანარჩენი ციხე-ქალაქები ექვს თვეში აიღო. ალექსანდრე, რომელიც შეურაცხვეს სარსინეში მყოფმა თურქებმა, განრისხდა და მათი დანებების წინადადება უარყო. და შეუთვალა: „ჩემი შეურაცხყოფის გამო თქვენ გელოდებათ ჩემივე ხელით ამოხოცვა“. ქალაქი მარწუხებში მოაქცია ისე, რომ ვერავინ გაიქცა. თორმეტი თვის განმავლობაში მიმდინარე ბრძოლაში დამაშვრალმა სარსინელებმა ჩუმად რბილი კლდე გახვრიტეს და კავკასიის შიდა მხარეებში გაიქცნენ“...

როგორც ვხედავთ, **ჰრანდ დ. ანდრეასიანის** თარგმანის ტექსტი სწორად გადმოსცემს მარი ბროსესეულ გააზრებას:

„ალექსანდრე „ქართლში რომ მოვიდა, ნახა ისეთი ბარბაროსული წესები, რომლებიც სხვა ხალხს არ გააჩნდა. მართლაც, ქართველები არ დაგიდევდნენ ნათესაობას, ქორწინდებოდნენ და მრუმობას სჩადიოდნენ; ჭამდნენ ყველანაირ ცოცხალ არსებას და მიცვალებულებსაც კი. ალექსანდრემ ნახა მტკვრის გასწვრივ დასახლებული და საშინლად ბარბაროსი ხალხი, რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ პირველყოფილ თურქებს და ყივჩაყებს. ეს მან ძალიან გაიკვირვა, რადგან მათი ქმედება და მდგომარეობა არც ერთი სხვა ხალხისას არ ჰგავდა“...

ვფიქრობ, ორივე თარგმანში გაუგებრობას სათავე დაუდო ფრაზამ: „რომელთაც ჩვენ ვუწოდებთ“: არც ერთმა მთარგმნელმა ყურდლება არ მიაქცია იმას, რომ ეს ფრაზა არის ჩანართი და იგი ეკუთვნის სულ მცირე 14 საუკუნით გვიან დაბადებულ ავტორსა თუ რედაქტორს.

საინტერესოა შემდეგი ფაქტიც:

„ბუნთურქებთან“ და „ყივჩაყებთან“ მიმართებით განსხვავებულია მარი ბროსეს „საქართველოს ისტორიის“ 1855 წლის ვარიანტის 1895 წელს რუსულიდან ქართულად გადმოთარგმნილი

ანალოგიური ტექსტი: მარი ბროსე „საქართველოს ისტორია“ (მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ზრონოლოგიით) თბილისი, 1895 წელი. ალექსანდრეს მოსვლა საქართველოში (მარი ბროსეს მიერ 1855 წელს რუსულად გამოქვეყნებული ტექსტი ქართულად თარგმნა სიმონ ლობერიძემ)¹:

„ქართლის მატიანე მოგვითხრობს, რომ სპარსეთის მეფის – ქეკაპოს შვილის, ქაიხოსროს დროს რაოდენიმე თურქების ოჯახი, დევნილი ამ მეფისაგან, კასპიის ზღვით და მდ. მტკვარის აყლებით ავიდნენ ქართველების დედაქალაქამდინ, მცხეთამდე, შეევედრენ მამასახლისს დასასახლებლად ადგილის მიცემაზე და აღუთქვეს ქართველებს თავის მკერდით დაცვა სპარსელების მტრობისაგან. მათი თხოვნა შეწყნარებულ იქნა და ამ გვარად ისინი დაესახლენ და სიმაგრეები აიშენეს სარკინეს მღვიმეებში, მცხეთის დასავლეთისაკენ. მეორე თქმულებით, ეს გარდმოსახლებულნი თურქები კი არა, არამედ უფლისწულები ყოფილან ჩინეთისა სამეფო გვარისა - ჯენ-ბაკურისა. ისინი დიდის ჯარით შემოვიდნენ ქართლში ჩრდილოეთის დარიალანის კარით და ითხოვდენ აგრეთვე თავშესაფარს და დასასახლებლად ადგილს იმავე პირობითა, როგორც თურქნი. მამასახლისი დაეკითხა ხალხს და იმის თანახმობით მისცა მათ ორბეთის ციხე, ესლანდელი სამშვილდე, რომელშიაც ისინი დაესახლენ ორბელიანის ანუ ჯამბაკურ-ორბელიანის სახელით... სარკინეთში მცხოვრები თურქები არ დაემორჩილენ და წინააღმდეგობა აღმოუჩინეს მაკედონელებს, რომელთაც ამის გამო სარკინეთის იერიშით ალება განიზრახეს, ხოლო მკვიდრთ მალულად გათხარეს რბილი კლდე, რომელშიაც ქალაქი იყო გამოქვაბული და მთებში გაიქცენ. ამის შემდეგ მაკედონელებმა მთელი მხარე დაიფლეს, ყველა უცხო ტომები ამოწყვიტეს, მათი ცოლ-შვილები ტყვედ წარიტაცეს და მარტო ადგილობრივი მკვიდრნი, ქართლოსის შთამომავალნი შეიწყნარეს“.

აქ ზუსტადაა დაცული „ქართლის ცხოვრების“ არქაული ტექსტის შინაარსი: სარკინეთში დასახლებულნი ლტოლვილებიც „თურქები“ არიან და არა - „უძველესი“ თურქული ეთნოსი - „ბუნთურქები“ თუ „ყივჩაყები“.

„თურქების“/ბუნთურქების საკითხს ზემოთ ვრცლად შევეხეთ. „ყივჩაყების“ შესახებ კი მონაცემები ასე შეგვიძლია შევაჯამოთ:

ფრანგული, თურქული, სომხური და ქართული თარგმანების შეპირისპირება ცხადყოფს, რომ არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მის რომელიმე თარგმანში არ წერია, რომ ალექსანდრე დიდს (თუ მის ჯარს) ძვ.წ. IV საუკუნეში ლაშქრობის დროს საქართველოში (ქართლში) დახვდნენ „ყივჩაყები“.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ალექსანდრე დიდის დროს საქართველოში ყივჩაყების არსებობის შესახებ პირველად განაცხადა მეჰმედ ფაჰრედინ ქირზიოღლუმ წიგნში: „ყივჩაღები მტკვრის ზემო წელსა და ჭოროხის სიმაღლეებში, პირველი ყივჩაღები (ძვ.წ. VIII - ძვ.წ. VI საუკუნეები), ბოლო ყივჩაღები (1118, 1195) და მართლმადიდებელ ყივჩაღ ათაბაგთა მთავრობა (1267-1578), (ახისხის/ჩილდირის ვილაიეთის ისტორიიდან)“, თურქეთის საისტორიო საზოგადოების გამომცემლობა, ანკარა, 1992, გვ. 20-21².

წიგნის დასახელებიდანაც კი ცხადია, რომ ფ. ქირზიოღლუმ ან ვერ გაიგო ჰრანდ დ. ანდრეასიანის მიერ თურქულად თარგმნილი ტექსტი (ერდოღან მერჩილის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ჰრანდ დ. ანდრეასიანის თარგმანს მ. ქირზიოღლუ გაეცნო ამ თარგმანის გამოქვეყნებამდე), ანდა, მიზანმიმართულად დაამახინჯა მისი შინაარსი: მხოლოდ ქართული წყაროების არცოდნით ან ისტორიის მიზანმიმართული გაყალბებით შეიძლება აიხსნას ფ. ქირზიოღლუს დაუსაბუთებე-

¹ გვ. 14, 21. წიგნის ელექტრონული ვერსია: <https://bit.ly/38vZJNp> (დამოწმება: 27.01.2020).

² M. Fahrettin Kirzioğlu, Yukarı - Kür ve Çoruh Boyları'nda Kıpçaklar, İlk Kıpçaklar (M.O. VIII.-M.S. VI. yy) ve Son Kıpçaklar (1118, 1195) ile Ortodoks - Kıpçak Atabekleri Hükümeti (1267-1578), (Ahıska/Çıldır Eyaleti Tarihi'nden), Türk Tarih Kurumu Basımevi, Ankara, 1992.

ლი ვარაუდით ახ.წ. VI-VIII საუკუნეებში ასპარეზზე გამოსული თურქებისა და ყივჩაყების გამოცხადება ძვ.წ. IV საუკუნის საქართველოს მკვიდრ მოსახლეობად: მას „ქართლის ცხოვრების“ გარდა სხვა რაიმე კონკრეტული ისტორიული წყარო დამოწმებული არა აქვს, „ქართლის ცხოვრებაში“ კი მსგავსი რამ არ წერია; შესაბამისად, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომ თითქოს, საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის 339 წელს, ანუ 2350 წლის წინ ყივჩაღები, თუ (ბუნ)თურქები, ცხოვრობდნენ მდინარე ჭოროხსა და თბილისს შორის“. საზგასმით აღვნიშნავ:

ქართული თუ უცხოური წყაროების მიხედვით ამ ტერიტორიაზე ავტოქთონი მოსახლეობა იყო და დღემდეც არის ქართველობა¹. ვფიქრობ, 21-ე საუკუნის გამომცემლებისა თუ მეცნიერების ვალია ისტორიული წყაროების დედანში გადამოწმება. თანამედროვე პირობებში მეცნიერება უნდა იყოს ერთგვარი ზიარჭურჭელი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ასევე, ჯანსაღი ურთიერთობების აგებას რეალური ისტორიისა თუ პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ კონტექსტით სერიოზული შეცდომაა მეტაფორად გამოყენებულ ტერმინ „ყივჩაყის“ გამოცხადება ძვ.წ. IV საუკუნის საქართველოს (ქართლის) მკვიდრ მოსახლეობად და ამ საკითხზე ფეისბუქდისკუსიების პროვოცირება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ:

1. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილის - „მეფეთა ცხოვრების“ - უცნობი ავტორი აღწერს საქართველოში ლტოლვილი „თურქების“ (თურანელების?) შემოსვლასა და ქართველების მიერ მათ მიღებას. ქართველმა ხელისუფლებამ ლტოლვილების მცირე ჯგუფები სხვადასხვა ქალაქში ჩაასახლეს; ერთი დიდი ჯგუფი კი კომპაქტურად დაასახლეს სარკინეში. „ქართველ მეფეთა ცხოვრების“ ავტორი თუ ერთ-ერთი ძველი რედაქტორი სარკინეში კომპაქტურად ჩაასახლებულ თურქებს უწოდებს **ბუნ თურქებს** („ბუნად“, ერთად დასახლებულ თურქებს). მემატია-ნისვე ცნობით, სარკინეში „ბუნად“ დასახლებული „თურქნი“ ალექსანდრე დიდის შიშით გადაიხვეწნენ ჩრდილო კავკასიაში. ტერმინი ბუნთურქი დასტურდება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჩვენამდე მოღწეულ X საუკუნის ხელნაწერშიც (X საუკუნის „შატბერდის კრებულში“). ტერმინ „ბუნთურქის“ წარმოქმნის ისტორია ნათელია მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ („მეფეთა ცხოვრების“) მიხედვით; შესაბამისად, იგი შექმნილი უნდა იყოს უფრო ადრე „ქართლის ცხოვრების“ („მეფეთა ცხოვრების“) ავტორის მიერ.

2. „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი - ლეონტი მროველის სახელით ცნობილი „მეფეთა ცხოვრება“ (ქართველი ერის უძველესი ისტორია დასაბამიდან ახ. წ. IV საუკუნემდე) - დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს ახ.წ. X საუკუნისა. „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტის ერთ-ერთი ბოლო რედაქტორია XI საუკუნის მოღვაწე ლეონტი მროველი (ჩვენამდე მოღწეულია კახეთის მეფის ალექსანდრეს მეუღლის ანა დედოფლის დაკვეთით XV საუკუნის ბოლო წლებში გადაწერილი ხელნაწერი). „ქართველ მეფეთა ცხოვრებიდან“ „ბუნთურქი“ გადმოტანილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტშიც. „მეფეთა ცხოვრების“ პირველადობას მხარს უჭერს ორივე წყაროს შესაბამისი ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზიც.

3. ქრისტიანობამდელი ქართველებისა და სხვა ტომების დასახასიათებლად „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ბოლო რედაქტორი იყენებს მხატვრულ ხერხს - ათანაბრებს მათ „ბუნთურქებთან“ (კომპაქტურად დასახლებულ თურქებთან) და ყივჩაყებთან. **ალექსანდრე მაკედონელის „მოსვლის“ ამბის აღწერისას** სიტყვაფორმები: „ბუნთურქი“ და „ყივჩაყი“ მეტაფორად - „ველურის“ მხატვრულ სინონიმად პირველად გამოყენებული ჩანს XII საუკუნის ავტორის - არსენ ბერის - მიერ.

¹ ჭოროხისა და მტკვრის ხეობების ავტოქთონი მოსახლეობის შესახებ წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები), ქუთაისი, 2005

4. ყივჩაყები/ყივჩალები წყაროებში ჩნდებიან არა 23, არამედ 12 საუკუნის წინ; შესაბამისად, უღლოგიკოა და მეთოდოლოგიურად არასწორია ახ. წ. VIII საუკუნეში გამოჩენილი **ყივჩაყები** გავათანაბროთ ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში საქართველოში მოსულ **ლტოლვილებთან**, რომელთა ეთნიკური ვინაობა დღემდე არაა დადგენილი (მათ არავინ უწოდებს „ყივჩაყებს“ ორიოდე სუბიექტურად განწყობილი მეცნიერისა თუ რამდენიმე ფეისბუქაქტივისტის გარდა).

5. ძველი ქართული წყაროების არც ერთ ავტორს არსად უწერია, რომ ალექსანდრე მაკედონელს საქართველოში დახვდნენ „ყივჩაყები“ ან არარსებული ეთნოსი - „ბუნთურქები“. მსგავსი რამ არ წერია „ქართლის ცხოვრების არც ერთ სხვაენოვან თარგმანში. ორიგინალიდანაც და ყველა აკადემიური თარგმანიდანაც ნათლად ჩანს, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროინდელი წარმართი ქართველები და მათ გვერდით მცხოვრები სხვა ტომებიც, ქრისტიანი ავტორის შეფასებით, არიან ისეთივე ველურები, როგორებიც იყვნენ სარკინეში **კომპაქტურად დასახლებული „თურქები“** (ბუნთურქები) და მისი თანამედროვე **ყივჩაყები**.

6. ლეონტი მროველი, ან „ქართლის ცხოვრების“ სხვა უფრო ძველი თუ უფრო ახალი რედაქტორი, რომელიც სახელმძღვანელოს წერდა (და არა - სამეცნიერო გამოკვლევას) უთუოდ შეეცდებოდა, წინა საუკუნეების **არქაული ტექსტის ეთნონიმები** ჩაენაცვლებინა თანამედროვეთათვის გასაგები ეთნონიმებით. **ტერმინების, ტექსტის გათანამედროვეობის ტენდენციის** შედეგი უნდა იყოს ძვ.წ. VI-IV საუკუნეების ამბების აღწერისას ახ. წ. IV საუკუნის შემდეგ დამკვიდრებული ეთნონიმების („ხაზარი“, „თურქი“...) გამოყენება. ასეთი შემთხვევები ყველა დროსა და ყველა ენაში შეიძლება შეგხვდეს. თურქ-ფუძეზე ორიენტირებული ეთნონიმი ქართულენოვან სივრცეში შემოსულად უნდა ვივარაუდოთ საქართველოში თურქ-სელჩუკების გამოჩენის წინა პერიოდში, დაახლოებით IX-X საუკუნეებში /ქართველ მემპტიანეს ამ ეთნონიმით შეიძლება და ჩაენაცვლებინა თურან-ფუძეზე ორიენტირებული ტერმინი/.

7. ყველა ქართული ხელნაწერის, ასევე, **ფრანგული, თურქული თუ სომხური თარგმანების შეპირისპირება ცხადყოფს**, რომ არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც მის რომელიმე თარგმანში არსად წერია, რომ ალექსანდრე დიდს (/თუ მის ჯარს) ძვ.წ. IV საუკუნეში ლაშქრობის დროს საქართველოში (ქართლში) დახვდნენ „ყივჩაყები“; შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ თითქოს, საქართველოში ძველი **წელთაღრიცხვის 339 წელს, ანუ 2350 წლის წინ ყივჩაყები, თუ (ბუნ)თურქები, ცხოვრობდნენ მდინარე ჭოროხსა და თბილისს შორის**“. ქართული თუ უცხოური წყაროების მიხედვით ამ ტერიტორიაზე ავტოქთონი მოსახლეობა იყო და დღემდეც არის ქართველობა.

8. თანამედროვე პირობებში მეცნიერება უნდა იყოს ერთგვარი **ზიარჭურჭელი**, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნებსა და ხალხებს შორის ინფორმაციის გაცვლას, ასევე, ჯანსაღი ურთიერთობების აგებას რეალური ისტორიისა თუ პერსპექტივის გათვალისწინებით. ამ კონტექსტით სერიოზული შეცდომაა ახ.წ. XI-XII საუკუნეებში მეტაფორად გამოყენებულ ტერმინ „ყივჩაყის“ გამოცხადება ძვ.წ. IV საუკუნის საქართველოს (ქართლის) მკვიდრ მოსახლეობად და ამ საკითხზე ფეისბუქდისკუსიების ნებსითი თუ უნებლიე პროვოცირება. წყაროების არასწორი გააზრება თუ თარგმნა და, მით უფრო, სოციალურ ქსელში, ფართო საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება სახიფათო იარაღად შეიძლება იქცეს რადიკალიზებული ჯგუფების ხელში. ამგვარმა ღეზინფორმაციებმა შეიძლება ავნოს საქართველო-თურქეთის ამჟამინდელ კეთილმეზობლობას და ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის ინტერესებს, რომლის მიზანია საინფორმაციო ომით დააბრკოლოს საქართველოსა და თურქეთის, საქართველოსა და დასავლეთის დაახლოება, რომ ისევ გააძლიეროს თავისი გავლენა კავკასიაში.

Tariel Putkaradze
Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia
ON MISINTERPRETATION OF OLD GEORGIAN TEXT ABOUT KIVCHAGH'S 24
CENTENNIAL HISTORY
(ANALYSES OF TURKISH TEXTS)
RESUME

An unknown author of Georgian Chronicles: “Kartlis ckhovreba”, first part “life of Kings” describes arrival of some Turk refugees (Turadians?) and how Georgians received them. Georgian government gave them dwellings in different cities: one large migrants settled in Sarkineti, author of Georgian chronicles or one of the old editors of the book called them Bun Turks (Bunad- Turks who live in large groups). Author says that, Turks, who settled in Sarkineti went to exile to North Caucasus, because they were afraid of Alexander the great. Term “Bun Turks” are mentioned in “Mokcevai Kartlisai”, the tenth century manuscript. (the tenth century collection of manuscripts “Shatberdi Collaction”). How the term derived is apparent only according to the Georgian Chronicles, thus it must have been created before the chronicles.

Georgian Chronicles first part, known as Leonti Mroveli's “The Georgian Royal Annals”, or chronicles of Georgian Kings (ancient history of Georgia until fourth century) must have been written no later than tenth century AD. One of the last editor of The Georgian Royal Annals, is Leonti Mroveli, XI century, (one of the manuscript , ordered to be copied by queen Ana, spouse of Alexandre, king of Kakheti in XV century, is survived) Bun Turks are mentioned in “Mokcevai Kartlisai”(chronicle of Georgia and life of St. Nino) from the Chronicle of Georgian Kings. Comparative analyses also confirm that “chronicles” is the first source. To describe Georgians and other tribes before Christianity, one of the last editors of Chronicles uses styling of the term and equals them with Bunturks and Kivchaghs. Describing “Coming” (Invasion) of Alexander the Great “terms: Bunturks, Kivchaghs metaphorically mean barbarians and were used by Arsen Beri (Monk Arsen) in the XII century. Kivchaks/kivchaghs first appear in historical texts not in 23 but 12 century ago; therefor, it's illogical and methodically incorrect to make VIII century Kivchaghs equal to refugees in VI-IV centuries B.C .Whose ethnical identity is not clear up to this day (nobody calls them Kivchaghs, except one or two prejudiced scientists and biased bloggers). None of the authors say that Kivchaghs or nonexistent ethnos-“ BunTurks” were in Georgia when Alexander the Great invaded the country . We can't find such facts in the Georgian Chronicles or any of its translations. It's obvious that the original text or its academic translations wanted to say that pagan Georgians and other tribes before Christianity were as barbarians as Bunturks from Sarkineti or their descendants Kivchaghs.

Leonti Mroveli, or any other old or new editor of” the Georgian chronicles”, who wrote a textbook (and not scientific study) might have attempted to alter ethnonyms of old, archaic texts with modern, more understandable ethnonyms. It must have been the result of terms/text renewal when describing VI-IV centuries B.C chronicles in IV century A.D, ethnonyms “Khazari”, “Turks”... were used. Such occurs in every language or era, ethnonyms, oriented in Turk- rooted words might have appeared in Georgian before Turk-Seljuk invasions. Approximately IX-X cc. / chronicler might have altered Turk-rooted terms back then).

It's obvious from the comparison of all Georgian texts and French, Turkish and Armenian translations as well that nowhere in the Georgian Chronicles or in its translations is mentioned Kivchaks in time of Alexander the Great invasion of Georgia in IV century B.C. Therefore, the idea of Kivchaghs or BunTurks, being in Georgia in 339 B.C and lived between Chorokhi and Tbilisi, is without any scientific evidence thus groundless. According to Georgian or foreign sources, the autochthonous population in this area was and is Georgian.

In modern times, science should be kind of vessel sharing, which promotes information exchange between countries and people, creates healthy and fruitful relationships, based on

authentic facts and envisages perspectives; thus, it's a grave mistake to claim Kivchags, metaphorically used terms in XI-XII centuries A.D. were natives of Georgian soil in IV century B.C and to provoke a biased and unfounded discussion on facebook. Misconception of historical texts, or sharing incorrect translation through social networks might be dangerous misleading as disinformation is a dangerous tool, especially for radicals. Such misinformation can cause harm and damage in Georgian-Turkish relationship, it may be a bargaining chip for other countries, such as Russia. Main goal of this country still is to hinder any good relationship and partnership between Georgia and Turkey or Europe thus strengthening its authority in Caucasus.

Краткий обзор основных собраний документов по истории Грузии в русской и советской коллекциях из Архива Гуверовского института войны, революции и мира

Архив Гуверовского института войны, революции и мира (Hoover Institution on War, Revolution and Peace), без преувеличения, является не только одним из самых значимых архивных центров в США, но и учреждением, хранящим в своих хранилищах наиболее представительные по своему составу документы относящиеся к истории России, СССР и стран постсоветского пространства. Среди коллекций архива, соответствующих основным областям научных разработок института, особый интерес представляет т.н. «Русская коллекция» (Russian collection) и коллекция документов по истории Советского Союза и КПСС (Archives of the Soviet Communist Party and Soviet State Microfilm Collection).

Проблемам выявления документов в наиболее значимом архивохранилище США, относящих непосредственно к различным аспектам истории России, посвящены ряд работ российских¹ и зарубежных исследователей². Также *polonica* в русских коллекциях Гуверовского архива являлась предметом специального рассмотрения в польской историографии³.

Неудивительно, что история народов, чьи судьбы поневоле либо добровольно были связаны с историей России и СССР, находит свое отражение в документах, отложившихся в русских и советских коллекциях Гуверовского архива. В полной мере это утверждение следует отнести к истории грузинского народа. Подтверждением этих слов может являться личный опыт работы с этими источниками. Автор этих строк в качестве стипендиата программы Фулбрайта для приглашенных исследователей проводил в 2017-2018 гг. исследования в Калифорнийском университете в Беркли, а весной 2018 г. получил специальную стипендию дирекции Гуверовского архива для работы по теме «Поляки в СССР 1917-1991». Основное внимания было сосредоточено на ознакомлении с русской и, прежде всего, советской коллекциями.

Необходимо подчеркнуть, что целью данной статьи не является полный анализ архивных коллекций Гуверовского института, относящихся к истории Грузии, а исключительно краткий обзор основных собраний документов в упомянутой выше русской и советской коллекциях. Заметим, что в хранилищах архива имеется ряд коллекций, которые непосредственно отображают процессы, происходящие в политической, экономической и культурной жизни Грузии.

В их числе следует упомянуть Грузинскую предметную коллекцию (Georgian subject collection), которая хронологически охватывает период от 1902 по 2016 г. Документы содержатся в 14 коробках. Практика хранения дел и описания архивных материалов в

¹ См.: М.П. Дьячкова, В. И. Звавич, Архивная Россия в справочниках Гуверовского архива // Отечественные архивы. – 1999. – № 4. – С. 35-38. Е. С. Даниельсон, Архивы русских эмигрантов в Гуверовском институте // Вестник архивиста.- 2001. - № 1. - С. 202-211. И. В. Сабенникова, В. Л. Гентшке, Зарубежная архивная Россия: география размещения, выявление, публикация источников. Всероссийский научно-исследовательский институт документоведения и архивного дела. - Москва: Новый Хронограф, 2014. М. В. Плетнева, А. Н. Щелконогова, Архив Гуверовского института войны, революции и мира // Документ. Архив. История. Современность. – 2014. - №14. – С. 300-305.

² См.: Guide to the collections in the Hoover Institution archives relating to Imperial Russia, the Russian revolutions and civil war, and the first emigration / Ed. by C. A. Leadenham. Stanford, 1986. M. Siekierski. Hoover Institution's Polish Collections: An Overview and a Survey of Selected Materials on Polish Soviet Relations, //Polish Review.- 1988.- № 3.- P. 325-341.

³ W. Stępnia. Archiwalia polskie w zbiorach Instytutu Hoovera Uniwersytetu Stanforda, Warszawa, 1997. L. Zasztowt, M. Siekierski. Dwie rosyjskie kolekcje w zbiorach Archiwum Instytutu Hoovera Uniwersytetu Stanforda //Przegląd Wschodni.- 2000.- № 25.- С. 159–182.

Гуверовском архиве существенно отличается от той, с которой исследователь сталкивается на постсоветском пространстве. В частности, американские описи представлены достаточно лаконично, включая краткое описание и хронологические рамки, номер серии, коробки, папки. Отсутствует список документов в деле и количество страниц.

В Гуверовском архиве хранятся фонды личного происхождения общественных и политических деятелей Грузии. К примеру, в архиве находятся воспоминания, дневники и рабочие записи князя Дмитрия Иосифовича Шаликашвили (*Shalikashvili Dimitri writings 1920-1960*), касающиеся грузинской военной миссии в Турции 1920-1921 гг., службы в польской армии в качестве офицера по контракту, а также в Грузинском легионе времен Второй мировой войны и др.

В материалах председателя ЦИК Абхазской АССР Нестора Аполлоновича Лакобы (*Nestor Apollonovich Lakoba papers*), ближайшего соратника И. Сталина, хранится переписка с советскими государственным и партийными деятелями (И. Сталиным, Э. Дзержинским, Л. Берия, С. Орджоникидзе, М. Калинин и др.), уникальные фотографии минувшей эпохи.

В коллекции Александра Дурсуновича Тхилайшвили (*Aleksandr Dursunovich Tkhlaiashvili Photographic Collection*), председателя Совета Министров Аджарской АССР в период с 1954 по 1961 г., а с 1961 г. 1-й секретаря Аджарского обкома Коммунистической партии Грузии, хранятся фотодокументы отображающие визит Н.С. Хрущева и других советских лидеров в Аджарскую ССР в мае 1961 г. Архив располагает бумагами председателя Верховного Совета Аджарской АССР в 1969-1990 гг. Давида Дурсуновича Диасамидзе (*David Dursunovich Diasamidze papers*).

Гуверовский архив располагает также копиями материалов архива КГБ Грузинской ССР (*Sak'art'velos SSR sakhelmtsipo ušišroebis komiteti records.1921-1952*), полученными из Грузии. На данный момент Грузия обладает сравнительно небольшой частью материалов, отложившихся в ходе деятельности КГБ. Как известно, большая часть документов была утрачена в 90-х годах минувшего столетия в результате эвакуации фондов из Тбилиси в Россию. Часть документов сгорела вместе со зданием КГБ.

Возвращаясь к заявленной вначале проблеме выявления документов, касающихся истории грузинских земель, а также общественной и политической деятельности ряда выдающихся грузинских деятелей, обзор следует начать с анализа одного из наиболее ценных по содержанию фондов Гуверовского архива – коллекции меньшевика Б.И. Николаевского. Состав и содержание документов коллекции Б.И. Николаевского являлись предметом специального рассмотрения российских авторов¹. Документы вышеупомянутой коллекции являются ценными источниками не только по истории России, но и народов, входящих в состав Российской империи и эмиграции первой половины XX в. В состав коллекции входят материалы по истории РСДРП, революционеров, политических партий, революций 1917 г. в России; документы о деятельности Госдумы России в 1906-1917 гг.

В частности, в составе коллекции имеются документы представителя известного грузинского аристократического рода Церетели – Ираклия Георгиевича Церетели, социал-демократического деятеля, члена Второй Думы, Временного правительства, одного из лидеров независимой Грузинской Демократической республики, деятеля Грузинской политической эмиграции.

Архив располагает документами официальных царских дипломатических и военных организаций, включая материалы Охранного отделения посольства в Париже, материалами о российском законодательстве, экземплярами предреволюционных периодических изданий и газет, бумагами генерала Н. Н. Юденича и генерала Е.К. Миллера, документами первой волны эмиграции, мемуарами, рукописями и перепиской эмигрантов.

¹ А. С. Ловцов. Документы коллекции Б. И. Николаевского из Архива Гуверовского института войны, революции и мира при Стэнфордском университете (США, Калифорния) – ценный источник по отечественной истории первой половины XX века. // Вестник архивиста.– 2016.– № 3(135).– С. 312-319.

Однако наиболее уникальный ресурс для исследователей XX века, в том числе истории Грузии советского периода, представляют документы, полученные в результате совместного проекта по обмену микрофотокопиями исторических документов, заключенного в 1992 г. между Роскомархивом, Гуверовским институтом и издательской компанией Чедвик-Хили (Кембридж, Великобритания). Согласно договору, в 1993 и 1995 гг. в ГА РФ поступили 4628 роликов микрофильмов Гуверовского института, получивших статус коллекции (Гуверовская коллекция), приравненной к фонду. Впоследствии договор 1992 г. был признан ущемляющим интересы российской стороны и был расторгнут, а вместо него подписан новый¹. Российская сторона получила снятые на микропленку копии эмигрантских коллекций Гуверовского архива, которые хранятся в Москве и Новосибирске.

Согласно сведениям опубликованным В.П. Козловым, руководителем Федеральной архивной службы России в 1996-2009 годах, принимавшим деятельное участие в реализации Гуверовского проекта, его итоги представляются следующим образом. К 1996 г было изготовлено около 1,5 миллионов кадров микрофильмов из трех федеральных архивов – Государственного архива Российской Федерации (ГА РФ), Российского государственного архива новейшей истории (РГАНИ) и Российского государственного архива социально-политической истории (РГАСПИ). Последующий проект по истории ГУЛАГа увеличил этот объем до 3 000 000 за счет копирования документов ГА РФ².

Совершенно очевидным была грандиозность задуманного проекта, а его эффект превзошел все ожидания. Пользователи получили практически неограниченный бюрократическими преградами доступ к широкому кругу источников, открывавшим новые возможности изучения истории советского периода. Масштабное изучение этих документов в рамках международных проектов позволило опубликовать ряд работ, которые не имели аналогов в мировой историографии³.

Документальные комплексы по истории XX столетия из трёх российских архивов, хранящиеся в Гуверовском архиве, отражают ключевые моменты внутренней и внешней политики, процессы политического, экономического и общественного развития не только Советского Союза, но и его составных частей, союзных республик. В их числе следует упомянуть документы высших органов государственной власти, различных министерств, комитетов, управлений и др.

Среди микрофильмованных документов особый интерес вызывает документация Наркомата внутренних дел РСФСР (1917-1930), переписка с Народным комиссариатом по делам национальностей, Советом Труда и Оборона (СТО), Революционным Военным Советом Республики (РВСР), ВЧК-ГПУ-ОГПУ и др. С точки зрения истории Грузии советского периода повышенный интерес вызывают различные документы (переписка с центральными органами государственного управления, партийными органами и др. по вопросам национальной политики) отложившиеся в ходе существования Закавказской Социалистической Федеративной Советской Республики (ЗСФСР) и входящей в ее состав Социалистической Советской Республики Грузия (ССРГ), а после упразднения в 1936 г. ЗСФСР, материалы касающиеся Грузинской Советской Социалистической Республики (ГССР).

Богато также представлена проблематика, отражающая репрессивный характер советской политики, репрессии времен «Большого Террора» и позднейшие высылки, в частности депортации турок-месхетинцев в 1944 г., принудительный труд в системе ГУЛАГа и др.

¹ К.Б. Ульяницкий. Коллекция микрофильмов Гуверовского института войны, революции и мира в ГАРФ // Россия в США: Сборник статей (Материалы к истории русской политической эмиграции; вып. 7) - М.: Институт политического и военного анализа. - 2001. - С. 309-323.

² В. П. Козлов. Российские архивы: проблемы доступа и использования. //Делопроизводство. – 2012.- № 1, С. 7–8.

³ См.: Russia and the Soviet Union at the Hoover Institution Library. A Bibliography of Materials Published or Sponsored by the Hoover Institution on War, Revolution and Peace /ed. M. Molloy. Palo Alto, 2005.

Материалы высших партийных органов представлены документами Секретариата и Политбюро ВКП(б), Политбюро ЦК КПСС и отделов ЦК КПСС. К примеру, Гуверовский архив располагает фотокопиями документов, главным образом за период 1970 - 1991 гг., представленных в Конституционный суд Российской Федерации по так называемому «Делу КПСС»¹. Более подробное описание коллекции копий рассекреченных документов ф. 89, которые были открыты в Архиве Президента РФ, архиве Министерства безопасности, Архиве Министерства иностранных дел, Архиве Верховного Совета РФ, РГАНИ и других хранилищах можно найти в каталоге изданным 1995 г, который снабжен именным и предметно-тематическим указателями².

История последнего периода существования СССР представлена также коллекциями устной истории, советского самиздата, политических партий на территории союзных республик, а также материалами по т.н. «горячим точкам»: Абхазии, Южной Осетии, Приднестровью и др.

Документы данной коллекции являются ценными источниками по истории советского периода стран, входящих некогда в состав СССР. Даже кратчайший обзор состава советской коллекции дает основание утверждать, что дальнейшее изучение этих документов в Гуверовском архиве, в том числе с точки зрения истории Грузии, является перспективным направлением. Возникает закономерный вопрос: не проще ли обратиться к данным документам в местах их постоянного хранения и насколько экономически обусловлена работа в читальном зале архива, расположенном на расстоянии более 10 тысяч километров и вдобавок на другом континенте? Чтобы объективно ответить на этот вопрос необходимо учесть ряд моментов.

В первую очередь хотелось бы отметить организацию работы в читальном зале Гуверовского архива. Приятно удивляет минимальное количество требований, которые исследователь обязан выполнить для начала работы. Требуется лишь документ удостоверяющей личность и заполнение краткой анкеты. В отличие от ряда архивов в постсоветских странах, в соответствии с принятыми правилами, посетителю читального зала не требуется предоставлять отношения от организации, указывать место работы и должность, ученое звание и учёную степень, определять тематические и хронологические рамки исследования. Отметим, что иностранным гражданам не требуется заранее отправлять на электронную почту архива пакет сканированные копии необходимых документов – паспорта и визы.

Выдача архивных документов в читальный зал оформляется по предварительному дистанционному заказу, который должен быть произведен не позднее, чем за день до посещения читального зала. Дистанционный заказ дел доступен пользователям, зарегистрированным в читальном зале архива. Исследователь имеет практически ничем неограниченный доступ пользователя к документам и возможность бесплатного их копирования, кроме материалов, на которые владельцы установили ограничения на доступ. «Гуверовская» модель доступа к документам и их копирования в этом отношении заметно отличается от российской.

Чтобы не быть голословным и необъективным в оценках, отдадим голос российскому исследователю, Михаилу Наконечному, разрабатывавшему в 2012-2017 гг. тему «Смертность и условия содержания в пенитенциарных системах Российской Империи 1885–1915 гг. и СССР 1930–1953 гг.». Будучи аспирантом Санкт-Петербургского института истории РАН ему приходилось «ездить в ГА РФ в Москву, проходя мытарства и бюрократические зловключения для работы над диссертацией». В 2013 г. М. Наконечный был приглашен принять участие в научной конференции в Стэнфордском университете (Hoover workshop on totalitarian regimes, Stanford, USA).

¹ Communist Party of the Soviet Union on trial. Fond 89: archives of the Communist Party and Soviet state. Guide to the microfilm collection in the Hoover Institution Archives, ed. L. Soroka, Stanford, 2001.

² Архивы Кремля и Старой площади. Документы по «делу КПСС». Аннотированный справочник документов, представленных в Конституционный суд Российской Федерации по «делу КПСС». Сост. И. И. Кудрявцев; Под ред. В. П. Козлова. Новосибирск, 1995.

По его собственному утверждению, ему «удалось сделать за две недели бесплатно то, за что я бы в России заплатил тысяч 70 рублей и ждал бы заказа полгода». Позволим процитировать обширный фрагмент из «Отчета о поездке в Гуверовский архив» М. Наконечного, который позволяет оценить все достоинства и преимущества исследовательской работы в читальном зале Гуверовского архива:

«Во-первых, работники очень вежливые и без безумного недовольного блеска в глазах. Ясно, что это вызвано тем, что прежде всего зарплата у них в разы выше, чем у наших архивистов, но человеческое отношение подкупает.

Во-вторых, заказы привозят в течение 15 минут, с ними можно работать сколько угодно в течение нескольких дней. Не нужно писать никаких заявлений на имя начальника архива, оформлять копии с печатями. Вся бюрократия сводится к единовременному заполнению очень коротенькой анкеты.

В-третьих, есть возможность не ксерокопировать, не снимать на фотоаппарат (хотя эти возможности тоже есть), а сразу переносить в виде pdf-файла скан любой страницы любого микрофильма себе на флэшку в неограниченном количестве посредством чудо-технологичной машины Dell. И все это совершенно бесплатно. Для сравнения: мне пришлось четыре раза брать штурмом ГА РФ, прежде чем я получил копии документов. И за копирование я еще и платил деньги, и немалые.

И, наконец, в-четвертых, и это самое главное: в Гуверовском архиве хранятся копии вообще всего документального массива по смертности заключенных санитарного и учетно-распределительного отделов ГУЛАГа. В результате мне удалось скопировать вообще почти все существующие документы (несколько тысяч листов) со статистикой смертности советских заключенных в электронном виде».¹

Представляется, что вышеизложенное как нельзя лучше дает ответ на поставленный вопрос, зачем лететь через полмира в США, чтобы получить документы, хранящиеся в Москве.

Summary

This article focuses on Russian and Soviet archival documents stored at the Hoover Archive in California and concerning history of Georgia in the XX century. The original documents are housed at three Russian archives: RGANI, RGASPI and GARF. The author gives a brief review of Russian Collection and Archives of the Soviet Communist Party and Soviet State Microfilm Collection. As it was established, that documents constitute valuable sources on the history of Georgia of the 20th century and underestimated source especially on the history of the Soviet era.

¹ М. Наконечный. Отчет о поездке в Гуверовский архив, <http://beloedelo.com/actual/actual/?126> (доступ 23.11.2020 г.)

ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში
(1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით)

მდინარე ქსნის სათავე სამი ხეობისაგან შედგება: ქარჩოხის, ცხრაზმის და ჭურთის ხეობე-ბისგან... ქარჩოხი ლარგვისის ზემოთ, ჩრდილოეთით მიუყვება ქსანს, ცხრაზმა – ჩრდილო-აღ-მოსავლეთით... მდინარე ცხრაზმულა ქსნის მარცხენა შენაკადია, ხოლო მდინარე ჭურთულა ლარგვისთან უერთდება ქსანს და მისი მარჯვენა შენაკადია.

ქარჩოხის ხეობის შემდეგ ჟამურის ხეობა იწყებოდა, რომლის ზედა ზოლშიც XVIII საუ-კუნისთვის ოსები იყვნენ დასახლებულები¹. დღეს იქ მხოლოდ ნასახლარებია შემორჩენილი.

მთის სამივე ხეობა კარგად იყო გამაგრებული ციხე-კოშკებით და საუკუნეების მანძილზე საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა როგორც ქსნის ერისთავებისთვის, ისე საქართველოს სამე-ფო კარისთვის. ავბელითობის ჟამს ხშირად იხიზნებოდა ლარგვისში სვეტიცხოვლის საგანძური. „ქრისტეს აქეთ ჩღკ (1723 წ. 10 ივნისი) ყოველი სვეტიცხოვლის სამკაული ლარგვისის მო-ნასტერს იყო ხიზნათ“ – გვამცნობს სვეტიცხოვლის ერთ-ერთი სვინაქსარი².

ქარჩოხის ხეობის დედა-ციხე ამავე სახელწოდების ციხე გახლდათ, რომელსაც ადგილობ-რივები ცხმორის სახელითაც მოიხსენიებენ. თავის დროზე მისი ალება ვერ შეძლო შალვა ქვე-ნიფნეველის წინააღმდეგ გამოლაშქრებულმა დავით მერვემ. 1625 წელს კი მარაბდის ველზე განცდილი მარცხის შემდეგ, ქართველებმა ქსნის ხეობაში, ქარჩოხის ციხესთან გადაუხადეს სპარსელებს სამაგიერო. მტერმა ამ ბრძოლაში 12 000 მეომარი დაკარგა.

ქარჩოხის ხეობა იწყება სოფელ ელოიანიდან, ბოლო სოფელი ჭორჭოხია, ადმინისტრაცი-ული ცენტრი ბალაანი გახლავთ. საბჭოთა ხელისუფლების დროს, ვიდრე ჟამურის ხეობაში მო-სახლეობა ცხოვრობდა, ადმინისტრაციულად ქარჩოხს ექვემდებარებოდა სოფლები: ნავიხევი, ოხირი, ჩიგოანი, ელოიანი, თინიკაანი, წიპტაური, პავლიანი, კარელთკარი, ბალაანი, მიდელაანი, ქენქაანი, ხოზოეთი, ჭორჭოხი³.

მეთვრამეტე საუკუნის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობის (1783 წელი) მიხედვით ქარჩოხის ხეობას მიკუთვნებული აქვს 12 სოფელი: ჭორჭოხი, ახალდაბა (ახლანდელი ბალაანი), შატაკიანთკარი (დორიანი), პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, ვაკე (კარელთკარი), კვე-რიათი (წიპტაურთი), მიდელაანთკარი, ხოზოეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი (ამჟამად ნასოფ-ლარი), კორინთა⁴, უფრო ადრინდელ, 1774 წლის აღწერით ქარჩოხის თემში 11 სოფელი შე-დის - გოლგოლეთის მოსახლეობა სოფელ ქენქაანთკარსაა მითვლილი⁵ და არცაა გასაკვირი, ისინი ერთმანეთთან ახლოს იყვნენ და ორივე სოფელში ქენქაძეები ცხოვრობდნენ.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, სოფელი კორინთა, რომელიც ქარჩოხსაა მითვლილი, ტერი-ტორიულად ქარჩოხის ხეობას საკმაოდაა დაცილებული, იგი ახალგორთან უფრო ახლოსაა, და-ბის ცენტრიდან 7 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს. მეთ-

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 360, გიულდენ-შტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტომი 1, 1962 გვ., 95

² იხ. ვ. ქენქაძე, საჩინოთა უჩინობა, ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №24, 2014, გვ. 51

³ იხ., საქართველო, ენციკლოპედია, თბ., 1997, გვ., 341

⁴ ე. თაყაიშვილი, ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, 1951 გვ. 9-13

⁵ ქსსა, გვ., 39

ვრამეტე საუკუნეში ეს სოფელი ქარჩოხის მოურავის აბრამ თინიკაშვილის სახელოს წარმოადგენდა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ იმ დროისთვის იქ, ძირითადად, სოფელ თინიკაანიდან გადასახლებული თინიკაშვილების რამდენიმე ოჯახი სახლობდა... მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი კორინთის 6 კომლიდან 5 ერისთავს ეკუთვნოდა, ერთიც ფიცხელაურს¹.

ბოლოს კორინთა სათემო ცენტრი იყო სოფლების: გეზვერეთი, გულაწვერი, ნახიდი, საძეგური პირველი, ქვემო ალევნი, ქურთა, ყოჩიანი, შუა ალევნი, წირქოლი, ხერკელაანი².

ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით (ვსარგებლობთ ბეჭდური პირით, რომელიც დაცულია გორის ეთნოგრაფიულ მუზეუმში, იგი ცნობილ მეცნიერს სარგის კაკაბაძეს თავისი შენიშვნებითა და კომენტარებით მუზეუმისთვის 1956 წელს გადაუცია) ქარჩოხის თემში 13 სოფელი შედის: ჭორჭოხი, ახალდაბა, შატაკიანთკარი, პავლიანთკარი, თინიკაანთკარი, კარელთკარი, კვერიათი, მიდელაანთკარი, ხოზუეთი, ქენქაანთკარი, გოლგოლეთი, ლომისა და ოხირი.

აღწერა ჭორჭოხიდან იწყება. მისი ავტორები ლარგვისიდან ქარჩოხის მიმართულებით მგზავრობისას, პირველად სწორედ ჭორჭოხს ესტუმრებოდნენ - მდინარეების ქსნისა და ცხრაზმულას წყალგამყოფ დასავლეთ კალთაზე მდებარე სოფელს, რომელიც ახალგორიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 25 კილომეტრითაა დაშორებული³.

დასაწყისიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 1804 წლის რუსულ ტექსტში მთელი რიგი შეცდომებია. მაგალითად, იასე ფოცხვერაშვილის ნაცვლად ოსიპ პოჩხორაშვილია მითითებული, ბალხამიშვილის ნაცვლად - ბალხამაშვილი, ქაწაშვილის ნაცვლად - ხაწაშვილი, ფოციტაშვილის ნაცვლად პუცეტაშვილი და ასე შემდეგ... შეცდომითაა სოფლის სახელიც, ჭორჭოხის მაგივრად - ქორჩოხი... ასეთ შეცდომებს, სამწუხაროდ, სხვა სოფლების აღწერებშიც ხშირად ვხვდებით...

აღწერის მიხედვით, ჭორჭოხში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში 30 ოჯახს უცხოვრია: აქედან 120 მამრობითი და 73 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, მათ კუთვნილებაშია 136 დღის სახნავი და 188 დღის - სახნავად გამოუყენებელი მიწის ფართობი, თიბავენ 255 თივას, სახელმწიფოსთვის გადახდილი აქვთ 31 მანეთი და 34 კაპიკი. საშუალოდ რომ განვსაზღვროთ, იმ დროისთვის ძროხა 4-5 მანეთი ღირდა, ცხვარი - 1 მანეთი, ქათამი 5 კვერცხთან ერთად - 12 კაპიკი და ასე შემდეგ. „გადასახადებს იხდიან, როგორც ნატურით (ხორბალი, ქერი, ღვინო, კვერცხი, ზეთი, თივა, ოსურ სოფლებში - კამეჩი, ძროხა, ერბო, ყველი, ბატკანი და სხვა. საეკლესიო გლეხები - ცვილითა და სანთლით), ასევე ფულით, ხოლო, ვისაც მიწა არ გააჩნია და ბოგანოა, გადასახადებსაც არ იხდის.“⁴ ქსნის ხეობის მოსახლეობის გადასახადები განსხვავებულია წარმოებითი მეურნეობის მიხედვით, ბარის მოსახლეობა, სადაც მევენახეობა იყო გავრცელებული, გადასახადს ღვინითაც იხდიდა, ქარჩოხის ხეობა მთის ზოლია და აქ გადასახადს ნაწილს ფულის და ნაწილს ნატურის სახით იხდიდნენ, ძირითადად, ქათმით, კვერცხით, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით, ყველით, კარაქით და ასე შემდეგ. თივით გადახდა არ ხდებოდა, აღწერებში უბრალოდ, მითითებულია, რა რაოდენობის თივას თიბავდა მოსახლეობა... აღწერებიდან ჩანს, რომ ჭორჭოხელებს, ისევე როგორც დანარჩენი ქარჩოხის მოსახლეობას, სათიბი მიწების რაოდენობა გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე სახნავი მიწებისა, აქ წამყვანი დარგი მესაქონლეობა გახლდათ...

¹ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გიემ), ყოფილი ქსნის მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486 გვ. 50-51

² კორინთა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტომი 5, თბ., 1980, გვ. 674

³ ჭორჭოხი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტომი 11, თბ., 1987, გვ. 405

⁴ ი. აღიმბარაშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობა 1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 2019, გვ.43

თუ 1783 წლის აღწერას შევადარებთ, ჭორჭორში მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად გაზარდილი, მეთვრამეტე საუკუნის 80-ან წლებში 19 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 33 მამაკაცი იყო¹ ანუ მამრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა თითქმის 4-ჯერ გაიზარდა.

სოფელში ყველაზე მრავალრიცხოვანი ბალხამიშვილები იყვნენ - 12 ოჯახი, შემდეგ საბიაშვილები - 7 ოჯახი, 3-3 ოჯახი ქაწაშვილების და ბუთხუზების, ასევე აქ უცხოვრიათ ფოცხვერაშვილებს - 2 ოჯახი (ბალხამიშვილების განაყარი შტოა და შემდეგ ისევ ბალხამიშვილებად დაეწერნენ), ფოცხვერაშვილებს - 2 ოჯახი და შერმაზანიშვილებს - 1 ოჯახი, რომელიც, ჩემი აზრით, აღწერაში შეცდომით ზაზანაშვილად მიწერილი. ჭორჭორელი საბიაშვილები ქენქაძეების შთამომავლები არიან, 1774 წლის აღწერაში ისინი ქენქაძეებად არიან მოხსენიებული², 1783 წელს კი უკვე საბიაშვილებად³, ხოლო ბუთხუზების განაყარი გვარი გოჭაშვილია.

2008 წლის აგვისტოს ომამდე, ჭორჭორში 26 კომლი ცხოვრობდა: ბალხამიშვილები - 10 კომლი, საბიაშვილები - 7, გოჭაშვილები - 5, პავლიაშვილები - 3 და ბალაშვილების ერთი ოჯახი.

ჭორჭორის შემდეგ აღწერილია ახალდაბა, ხეობის ადმინისტრაციული ცენტრი, ყოველშემთხვევაში უკვე იმ დროიდან, რაც აქ მოურავი აბრამ თინიკაშვილი დასახლდა. 1774 წელს აბრამი ქენქაძის მოსახლეა, 1783 წელს უკვე ახალდაბის მცხოვრებთა შორის ვხვდებით⁴.

1774 წლის აღწერით ახალდაბაში ცხოვრობდნენ მარტიაშვილები, ბალხამიშვილები და ბუთხუზები. 1781 წლის აღწერით: ბალხამიშვილები, ფოცხვერაშვილები (ბალხამიანთ განაყარი) და თინიკაშვილები აბრამი და გიორგი.

1804 წლის აღწერით კი დღევანდელ ბალაანში სამ ოჯახს უცხოვრია: შიო მარტიაშვილის, რომელშიც შედიოდა 11 მამაკაცი და 7 ქალი, შიო ბალხამიშვილის - 7 მამაკაცი და 5 ქალი და პაპა თინიკაშვილის - 10 მამაკაცი და 6 ქალი. სულ სოფელში უცხოვრია 28 მამაკაცი და 18 ქალს, მათ საკუთრებაშია 41 დღის სახნავი მიწა, 42 დღის სახნავად გამოუყენებელი, თიბავენ 80 თივას, გადახდილი აქვთ 4 მანეთი და 57 1/2 კაპიკი (გიემ, გვ., 67). აღწერიდან ჩანს, რომ მოურავების შთამომავალი - პაპა თინიკაშვილი დიდი ოჯახის მესპატრონეცაა და ყველაზე მეტი მამულებისაც, ფლობს 30 დღის სახნავ და 20 დღის სახნავად გამოუყენებელ მიწას. ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გიორგის და აბრამის შთამომავლები ერთ ოჯახად ცხოვრობენ და გვარსაც ჯერ კიდევ თინიკაშვილს ატარებენ... 1774 წლის აღწერიდან ჩანს, რომ აბრამის მამას ბალა ერქვა. სავარაუდოდ, ახალდაბაში დასახლებულმა თინიკაშვილებმა მოურავის მამის პატივსაცემად მიიღეს მოგვიანებით გვარი - ბალაშვილი და სოფელსაც ბალაანი ეწოდა⁵. 1773 წლის აღწერით სოფელი ორი სახელით იხსენიება: ახალდაბის ანუ ბალაანის, ძირითადი მოსახლენიც უკვე ბალაშვილები არიან⁶.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ბალაანში უმრავლესობა ბალაშვილები ცხოვრობდნენ, რამდენიმე ოჯახი იყო ბალხამიშვილების, ქაწაშვილების, ბუნტურების, ელოშვილების, ჩიტიშვილების⁷.

აღწერის მიხედვით შემდეგი სოფელი შატაკიანთკარია, იგი სამთავისის საყდრის დავთარში შეტაკათ კარის სახელითაა მოხსენიებული⁸, ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობაში

¹ ქსსა, გვ. 9

² ქსსა, გვ.42

³ ქსსა, გვ.9

⁴ ქსსა, გვ.10

⁵ დ. ახლოური, სოფელი ახლოურთი, გვ. 27-28

⁶ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 254, საქმე №29

⁷ დ. ახლოური, სოფელ ბალაანის მოსახლეობა 2008 წლის აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 2019, გვ.56

⁸ ქართული სამართლის ძეგლები (ქსმ), ტომი 3, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970 გვ., 1045

- შატაკთ კარის¹, რუსულ აღწერაში კი - შატაგო-კარის²... ეს სოფელი ბალაანიდან ჩრდილოეთით 2-3 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და დღეს დოჩიანის სახელითაა ცნობილი.

1804 წლის აღწერით შატაკიანთკარში 15 ოჯახს უცხოვრია (13 შატაკიშვილების, 2 პავლიაშვილების), 57 მამაკაცი და 45 ქალი. მათ საკუთრებაშია 33 დღის სახნავი მიწა, 88 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 87 თივის ზვინი. გადახდილი აქვთ 4 მანეთი და 90 კაპიკი³. 1781 წლის აღწერით კი, შატაკიანთკარში 9 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 18 მამაკაცი⁴.

სოფელს ყოფს ხევი, მის ჩრდილოეთით შატაკიშვილები ცხოვრობდნენ, სამხრეთით პავლიაშვილები, ნასახლარებიდან ჩანს, რომ ადრე იქ მოსახლე ორივე გვარი 20-ზე მეტი კომლისაგან შედგებოდა. შატაკიშვილების ნასოფლარის ზემოთ წმინდა გიორგის ეკლესიაა, ახალ მოსახლეთაგან აღდგენილი. ნასახლარებზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ პავლიაშვილები აქ უფრო დიდხანს ცხოვრობდნენ, მათი ნასახლარები შედარებით უკეთაა შემონახული.

შატაკიშვილების ერთი ნაწილის გადასახლება ატენის ხეობაში გენერალ-მაიორ გიორგი ერისთავის სახელს უკავშირდება. მისთვის ატენის ხეობის სახაზინო მიწები გენერალ ერმოლოვს იმ მიზნით გადაუცია, რათა შემდგომში იქ საკუთარი გლეხებიდან ანუ ქსნის ხეობიდან 50 ოჯახი დაესახლებინა, ეს აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ ატენის ხეობა „რჩებოდა უდაბური მძარცველთა შიშის გამო“ და იქ ჩასახლებულ მთიულებს სალეკო გზები უნდა ჩაეკეტათ. ზემოთ თქმულის დასტურია წერილი, რომელიც 1819 წლის 15 აპრილს ერმოლოვმა თბილისიდან პეტერბურგში ფინანსთა მინისტრის სახელზე გააგზავნა⁵. ატენის ბატონს ახალ სამფლობელოში ძირითადად ქარჩოხიდან გადაუსახლება ყმები. დღეს იქ მაცხოვრებელი შატაკიშვილები, თინიკაშვილები, კარელიძეები, მიდელაშვილები, პავლიაშვილები, ბალაშვილები და ასე შემდეგ თავის დროზე ქარჩოხის მკვიდრნი იყვნენ. მთიულთა ატენის ხეობაში გადასახლებაზე და მე-19 საუკუნის ატენის უკაცრიელობაზე მივითითებს ს. მაკალათიაც წიგნში „ატენის ხეობა“⁶.

შატაკიშვილების ქარჩოხიდან გადასახლება ერთბაშად არ მომხდარა. 1830 წლის აღწერით შატაკიანთკარში კიდევ 9 ოჯახია⁷.

ძველ შატაკიანთკარში ბოლოს ქარჩოხის ხეობის სხვადასხვა სოფლებიდან გადასახლებული რამდენიმე კომლი ცხოვრობდა: პავლიაშვილები (ძველი მოსახლენი), წიბატაურები, თინიკაშვილები, ხოკრიშვილები, კარელიძეები...

აღწერის მიხედვით მომდევნო სოფელი პავლიანთკარია (ახლანდელი პავლიანი) მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 33 კილომეტრის დაშორებით⁸.

ქსნის ხეობის 1774 და 1783 წლების აღწერებში პავლიანი მოხსენიებულია როგორც პოვლეთ კარი, საკუთარი სახელიც - პოვლია⁹. სამთავისის საყდრის დავთარში კი ვხვდებით - პავლეთ-კარს და პავლე(ს)შვილებს¹⁰.

1804 წლის აღწერაში მითითებულია - პავლენთკარი, გვარი კი - პავლეშვილი.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პავლიანთკარში უცხოვრია 14 ოჯახს, აქედან 77 მამაკაცი და 56 ქალს. მათ მფლობელობაშია 20 დღის სახნავი მიწა, 78 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 260 თივის ზვინი. გადახდილი აქვთ 5 მანეთი და 88 კაპიკი¹¹... მე-18 საუკუნის 80-

¹ ქსსა, გვ., 10

² გსემ, გვ., 68

³ გიემ, გვ., 68-70

⁴ ქსსა, გვ., 10

⁵ ა. ნაზლაძე, შატაკიშვილები, გვ. 32-33

⁶ ს. მაკალათია, ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ., 27

⁷ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი, 254, აღწერა 1, საქმე 1247, გვ., 146-148

⁸ ქსე, ტ.7, გვ., 632

⁹ ქსსა, გვ. 10

¹⁰ ქსძ., 3, გვ.1045

¹¹ გიემ, გვ 70-71

იანი წლების დასაწყისის აღწერას თუ შევადრებთ, 1804 წლისთვის ოჯახების რაოდენობა 9 დან 14 მდეა გაზრდილი, 1783 წლის აღწერით სოფელში 22 მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 1804 წლის აღწერით - 77.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში პავლიანში 78 კაცი ცხოვრობდა...

პავლიანშილების განაყარი გვარია ელოშილები, მაგრამ არც მეთვრამეტე საუკუნეში და არც მეცხრამეტეს დასაწყისში, ქსნის ხეობის მცხოვრებთა შორის ეს გვარი არ ჩანს. გ. ჯალაბაძის მიხედვით, ელო პავლიანშილის ელოიანში დამკვიდრება და გვარის შეცვლა მეოცე საუკუნის 40-ან წლებში უნდა მომხდარიყო¹.

ქარჩოხის ხეობაში ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი გვარი იყო თინიკაშილების, რომლებიც თინიკაანში ცხოვრობდნენ. სოფლის 1804 წლის აღწერაში, რამდენიმე კორექტურულ შეცდომას ვხვდებით. თინიკაშილი ზოგან - თინაკაშილადაა მითითებული, ლოთიშვილის ნაცვლად კი - ლოთიაშვილს წერენ. შეცდომითაა სოფლის სახელწოდებაც - თინის კანდ-კარი... ამ დროს სოფელში 11 კომლს უცხოვრია, 52 მამაკაცი, 43 ქალს, მათ საკუთრებაშია 29 დღის სახნავი მიწა, 56 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 99 თივის ზვინი. გადახდილი აქვთ 5 მანეთი და 70 კაპიკი 1/2 კაპიკი. სოფლის ძირითადი მაცხოვრებლები არიან თინიკაშილები - 7 ოჯახი, 3 ოჯახი - ლოთიშვილები და ერთიც - შადნიაშვილები².

მეთვრამეტე საუკუნის 80-იან წლებში თინიკაანში ასევე 9 ოჯახს უცხოვრია, ოღონდ შესამჩნევადაა გაზრდილი მამაკაცთა რაოდენობა 19 დან 52-მდე³.

თინიკაშილები უკანა ფშავის სოფელ ხოშარადან არიან ქსნის ხეობაში გადმოსულები, რაზეც ყურადღებას ამახვილებს რ. თოფჩიშვილი: „საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ თინიკაშილები ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი აღრინდელი გვარი იყო გაბიდაური. თინიკაშილების გვარშიც აღრინდელი გვარსახელი საკუთარ სახელად იქცა.“⁴ აღნიშნულ საკითხზე ვრცლადაა საუბარი ჩემს წერილში „ფშაველი გაბიდაურები ქსნის ხეობაში“⁵. თინიკაშილების სახლიკაცები ანუ ბიძაშვილები არიან ქსნის ხეობაში მცხოვრები ახლოურები, ბალაშვილები და ხოკრიშვილები.

1804 წლის აღწერაში ძველი ვაკე კარელთკარის სახელითაა მოხსენიებული. სოფლის ახალი სახელწოდება მომდინარეობს გვარიდან - კარელიძე.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კარელთში 8 ოჯახი ცხოვრობდა, 44 მამაკაცი და 36 ქალი. მათ მფლობელობაში იყო 20 დღის სახნავი მიწა, 41 დღის - სახნავად გამოუყენებელი, თიბავდნენ 52 თივის ზვინს. გადახდილი აქვთ 1 მანეთი და 1/2 კაპიკი.⁶

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სოფლის ძირითადი მოსახლეობა კარელიძეები არიან - 5 ოჯახი, 31 მამაკაცი და 24 ქალი, შემდეგ ხოკრიშვილები - 2 ოჯახი, 12 მამაკაცი და 12 ქალი და როგორც ჩანს, სოფელ კვერიათიდან ახალ ჩამოსახლებული გლახა წიპტაური, რომელიც დასაოჯახებელია. თუ ქარჩოხის ხეობის სხვა სოფლებს შევადარებთ, კარელთკარი შედარებით მცირე მოსავლიანი ყოფილა და აქაურები გადასახადსაც ნაკლებს იხდიან, სხვა სოფლების ზოგიერთი მოსახლე ორჯერ და სამჯერ მეტს სახაზინო გადასახადს იხდის, ვიდრე მთელი სოფელი.

აღწერაში კიდევ ერთი ფაქტი იქცევს ყურადღებას; აქ მცხოვრებ ერთ-ერთ ხოკრიშვილს სახელად გაბიდაური ჰქვია. ამ შემთხვევაშიც ძველი ფშაური გვარი საკუთარ სახელადაა.

¹ გ. ჯალაბაძე, ქსნის ხეობის მოსახლეობა, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ., 15

² გიუმ, გვ. 71-73

³ ქსნა, გვ., 10-11

⁴ რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი 1, თბ., 2005, გვ. 188-189

⁵ ფშაველი გაბიდაურები და მათი შთამომავლები ქსნის ხეობაში, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №4, 2013, გვ., 10-12

⁶ გიუმ, გვ., 73-74

უნდა ითქვას ისიც, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის აღწერებში კარელთკარი ვაკეს სახელითაა ცნობილი, 1781 წელს იქ უცხოვრია 6 ოჯახს, აქედან 14 მამაკაცს¹.

კვერიათი ქარხონის ხეობაში მდებარე სოფელი იყო, ქსნის მარჯვენა მხარეს. ცნობილია ზურგიანი კოშკით, რომელსაც IX-X საუკუნეებით ათარიღებენ. კოშკი ხუთსართულიანი უნდა ყოფილიყო, შემორჩენილია დასავლეთი კედელი, ჩრდილოეთ ზურგის და სამხრეთი კედლის მცირე ნაწილი. იგი აკონტროლებდა ხეობისაკენ მიმავალ ყველა გზას²...

კოშკის გარშემო ძველი საფლავები და ნასახლარებია.

რაც შეეხება მოსახლეობას, აქ წიბტაურებს უცხოვრიათ. სამთავისის საყდრის დავთარში კვერიათის მცხოვრებთა შორის ვკითხულობთ გვარს - წიკლაური: წიკლაური გამიხარდი, წიკლაური მახარებელი, წიკლაური ლომია, წიკლაური ელო, წიკლაური ბადილა... ერთი კომლი პავლეურთ გოდერძიც ყოფილა³...

ქსნის ხეობის სტატიისტიკურ აღწერილობაში კი წიკლაურის მაგივრად უკვე წიბტაურს ვხვდებით: წიბტაური გამიხარდის შვილი, წიბტაური ოქროპირის შვილი, წიბტაური ურჯუკას შვილი, წიბტაური ბერის შვილი, წიბტაური დარჩიას შვილი, წიბტაური იასეს შვილი... კვერიათის მცხოვრებთა შორის ისევ გვხვდება გვარი - პოვლეური: პოვლეური პაპიას შვილი⁴...

1804 წლის აღწერაში სოფელი კვერიათი შეცდომით პერიათადაა მოხსენიებული. იმ დროისთვის იქ 7 ოჯახს უცხოვრია, ყველა მათგანი წიბტაურია, სულ 28 მამაკაცი და 12 ქალი, მათ მფლობელობაშია 19 დღის სახნავი მიწა, 32 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 54 თივის ზვინი, გადახდილი აქვთ 8 მანეთი და 21 კაპიკი⁵.

მეთვრამეტე საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში კვერიათში 6 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 9 მამაკაცი იყო. როგორც ვხედავთ, მამაკაცთა რაოდენობა 1804 წლისთვის სამჯერაა გაზრდილი⁶. წიბტაურები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი გვარია საქართველოში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის მონაცემებით, სულ 89 ადამიანი, აქედან ყველაზე მეტი ახალგორის მაცხოვრებელია - 44, 14 რუსთავში ცხოვრობს, 13 - თბილისში და ასე შემდეგ⁷...

აღწერის ავტორები კვერიათიდან მიდელაანში ინაცვლებენ, რომელიც ქსნის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. 1804 წლისთვის მაშინდელ მიდელაანთკარში 8 კომლი ცხოვრობდა, ყველა მათგანი მიდელაშვილი იყო, სულ 68 ადამიანი, აქედან 38 მამრობითი და 30 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია. მოსახლეობის კუთვნილებაშია 30 დღის სახნავი მიწა და 52 დღის სახნავად გამოუყენებელი, 24 თივის ზვინი. გადახდილი აქვთ 4 მანეთი და 90 კაპიკი, რაც ფაქტიურად ერთი ძროხის საფასურია⁸...

მიდელაანში ერთი კომლით მეტს უცხოვრია 1783 წლის აღწერით, ოღონდ მამაკაცთა რაოდენობა 1804 წელთან შედარებით ნაკლებია - სულ 16 კაცი⁹, რაც გამოწვეულია ოჯახებში მოსახლეთა რიცხვის სიმრავლით.

2008 წლის აგვისტოს ომამდე მიდელაანში 20 კომლზე მეტი ცხოვრობდა, ძირითადად მიდელაშვილები, 5 კომლი სხვა გვარის წარმომადგენელი იყო: ახლოურები, გამხიბტაშვილები, გაროზაშვილები - თითო კომლი და 2 კომლიც ქენქაძეები¹⁰.

¹ ქსსა., გვ., 11

² იხ. შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV, თბ., 2008, გვ., 255

³ ქსძ, 3, გვ., 1047-1048

⁴ ქსსა, გვ., 40

⁵ გიემ, გვ., 74-75

⁶ ქსსა, გვ., 11

⁷ კვაჭანტირაძე კ., ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბ., 2017, გვ., 591

⁸ გიემ., გვ., 76-77

⁹ ქსსა, გვ., 11-12

¹⁰ დ. ახლოური, სოფელი მიდელაანი, თბ., 2006, გვ., 25

ხოზოეთი ქარჩოხის ხეობის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფელი იყო, მეოცე საუკუნის ბოლოსთვის უკვე ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს მდინარეების ქსნისა და ჭურთის წყალგამყოფის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფელ ქენქაანის დასავლეთით. ერეკლე მეორის დროს აქ თითქმის იმდენივე ოჯახი ცხოვრობდა, რამდენიც მთის შედარებით ბარის ზოლში, მაგალითად მიდელაანში, ბალაანში, ქენქაანში... დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც.

1804 წლის აღწერით ხოზოეთში 9 ოჯახი ცხოვრობდა. გვარ-სახელების დასახელების დროს, აქაც ვხვდებით შეცდომებს, ისეთსაც კი, საქმეში ჩაუხედავი ადამიანი საერთოდ ვერ მიხვდება, რა უნდოდა იქ იმ გვარის ხალხს. მაგალითად, ოგბაძეს მაგივრად ოხბაძეშვილია მინიშნებული, გაროზაშვილის მაგივრად - ურზულაშვილი და ტრუზაშვილი, ქენქაძის მაგივრად თეკაძე, ქიტას მაგივრად - ტეტია, ოსიას მაგივრად - ოსიპ და ასე შემდეგ...

სოფელში უცხოვია სულ 36 მამაკაცი და 21 ქალს, მათ მფლობელობაშია 47 დღის სახნავი მიწა, 26 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 80 ზვინი, სახელმწიფოსთვის გადახდილი აქვთ 12 მანეთი და 32 1/2 კაპიკი. უმეტესობა გაროზაშვილები და გამხიტაშვილები არიან (3 - 3 ოჯახი), შემდეგ მოდიან ოგბაძეები (2 ოჯახი) და ქენქაძეები (1 ოჯახი)¹.

1783 წლის აღწერით ხოზოეთში 7 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 15 მამაკაცი². ამ აღწერაში ერთი ფაქტიცაა აღსანიშნავი, გაროზაშვილის ოჯახში წევრად მოხსენიებულია ქენქაძე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის აღწერებში სოფლის ერთ-ერთი მეკომლეა. არ მგონია ქენქაძე ამ შემთხვევაში საკუთარი სახელი ყოფილიყო, სავარაუდოდ, იგი გაროზაშვილებს ნაშვილები უნდა ჰყოლოდათ.

აღწერის მიხედვით ქარჩოხის ხეობის შემდეგ სოფელში ქენქაანში 1804 წელს 10 ოჯახს უცხოვრია, მათ შორის ყველა ქენქაძე იყო, 43 მამრობითი სქესის და 34 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, მათ განკარგულებაშია 32 დღის სახნავი მიწა, 41 დღის - სახნავად გამოუყენებელი, თიბავენ 15 ზვინს, სულ გადახდილი აქვთ 13 მანეთი³.

თუ შევადარებთ ერეკლე მეორის დროინდელ აღწერას, 1783 წელთან შედარებით, მოსახლეობა აქაც საგრძნობლად გაზრდილია, ერეკლეს დროს 6 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან 9 მამაკაცი⁴ აღწერიდან, ჩანს, რომ სოფელი მდიდარი იყო და გადასახადიც - მაღალი, შედარებისთვის ვიტყვით, რომ მეზობელ მიდელაანელებს იმ დროს სახელმწიფოსთვის გადახდილი აქვთ 4 მანეთი და 90 კაპიკი, ახალდაბელებს (ბალაანი) - 4 მანეთი და 57 1/2 კაპიკი...

2008 წლის აგვისტომდე ქენქაანში, ქენქაძეების გარდა, ხოზოეთიდან ჩამოსახლებული გამხიტაშვილები და გაროზაშვილები ცხოვრობდნენ, რამდენიმე ოჯახი იყო თინიკაშვილების, მიდელაშვილების, წიბტაურების და შამშალაიძეების.

აღწერაში ხეობის ბოლო ქართული სოფელი გოლგოლეტია, რომელიც დღეს უკვე ნასოფლარია, იგი ქენქაანთან ახლოს მდებარეობდა და ქენქაძეებით იყო დასახლებული. აღწერაში შეცდომით გოგოეთადაა ნახსენები, გვარიც (ისევე როგორც ქენქაანთკარში მცხოვრებთა შემთხვევაში), ხან თენკაძე შვილად, ხან თანკაძე შვილადაა მითითებული).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გოლგოლეტი 10 კომლიანი სოფელია, ცხოვრობს 32 მამაკაცი და 27 ქალი, მათ კუთვნილებაშია 32 დღის სახნავი მიწა, 55 დღის - უხნავი, თიბავენ 41 ზვინს, გადახდილი აქვთ 7 მანეთი და 55 კაპიკი. მეთვრამეტე საუკუნესთან შედარებით მოსახლეობის სიჭარბე აქაც შეიმჩნევა. 1783 წლის აღწერით გოლგოლეტში 8 ოჯახი ცხოვრობდა, აქედან - 14 მამაკაცი⁵.

¹ გიემ, გვ., 77-78

² ქსსა, გვ., 12

³ გიემ, გვ., 78-80

⁴ ქსსა, გვ., 12

⁵ ქსსა, გვ., 12

როგორც ვხედავთ, ზემოთ აღწერილ 11 ქართულ სოფელში არცერთ ოსს ან სხვა ეროვნების წარმომადგენელს არ უცხოვრია, ეს სოფლები ბოლო დრომდე მთლიანად ქართული იყო.

რაც შეეხება ოსურ სოფლებს - ლომისს და ოხირს, აქ მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე ქსნის სათავეებთან დამკვიდრებული ოსები იწყებენ ჩამოსახლებას. როგორც ა. თოიძე აღნიშნავს: ოსების ქართლის შიდა დაბლობში ჩამოსახლება მე-18 საუკუნის დასასრულიდან იწყება¹ ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში ქარჩოხის ხეობაში არცერთი ოსური სოფელი არაა ნახსენები, 1804 წლის კამერალური აღწერით კი, სოფელ ლომისაში, რომელიც ლომისის სალოცავთან ახლოსაა, 8 კომლი ცხოვრობდა, აქედან 31 მამაკაცი, 29 ქალი, სულ 60 ადამიანი², ამდენივე კომლს უცხოვრია სოფელ ოხირში, 37 მამაკაცი, 35 ქალი, სულ: 72)³. ოხირი ლომისის ზემოთ, მის დასავლეთითაა.

ოსურ გვარებს „ფირტ“ - აქვთ დაბოლოება, რაც ძის, შვილის აღმნიშვნელია და არა ოსური - „თი“ ან „ვეი“, მაგალითად: კიბილა კასა ფირტ, ხატუ აფცი ფირტ, მურდა გაჯა ფირტ და ასე შემდეგ... ისინი ქართულ-მიწა წყალზე ხიზნებად იყვნენ მოსულები. „ხიზანი“ იყო გლეხი, რომელიც მემამულეს ან გლეხს თავისი ნებით დროებით ან მუდმივად ემობოდა, შეეხიზნებოდა... მებატონისა და ხიზანის მთავარი საფუძველი იყო მიწა. ხიზანის მიერ დაკავებული მიწის ფართობი განსაზღვრავდა საგადასახადო ნორმებს⁴.

ქსნის ხეობის ოსური მოსახლეობაც, მკვიდრ მოსახლეთაგან განსხვავებით მეტ გადასახადს იხდის. მაგ., სოფელ ლომისში ჩამოსახლებულ კიბილა კასა ფირტს, რომელსაც 6 დღის სახნავი და 12 დღის - სახნავად გამოუყენებელი მიწა აქვს, გადაუხდია 1 ხარი (დაკოდლი), 7 ცხვარი და 4 ბატკანი, სულ 20 მანეთი და 20 კაპიკი. ამდენივეა აქვს გადახდილი ბოაატკო აფცი ფირტს⁵, ზოგს შედარებით ნაკლები, რაც დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე და მოსავლიანობაზე.

ოსური სოფლები - ლომისი, ოხირი, ასევე ქსნის სათავეებთან მდებარე ჟამურისა და ბაგინის სოფლები მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ნასახლარებად იქცნენ, ნაწილი ქართლის ბარში გადასახლდა, ნაწილი მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. ბოლო მოსახლე ვინც ქარჩოხს ზემოთ ჟამურის ხეობაში ცხოვრობდა ილიკო ჩიგოევი იყო, ჩემს ბავშვობაში უკვე ღრმად მოხუცი...

Davit Akhlouri

Gori State Teaching University

THE POPULATION OF KARCHOKHI VALLEY AT THE BEGINNING OF 19TH CENTURY RESUME

The Karchokhi valley is located on the upper body of Ksani river and consists of several villages. Its administrative center is a village Balaani, where existed local council, public school, shops etc. The ongoing work reviews the population of Karchokhi in the beginning of 19th century and is based on population census conducted by Russians in 1804. It also contains the research of demography and economic situation of the villages: Chorokhi, Akhaldaba (today it is called

¹ ა. თოიძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე, წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ., 209

² გიუმ, გვ., 81-82

³ გიუმ, გვ., 83-84

⁴ ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, წიგნში „ოსთა საკითხი“, თბ., 1996, გვ., 194

⁵ გიუმ, გვ., 81

Balaani), Shatakiantkari, Pavliani, Tinikaani, Kareltkari, Kveriati, Midelaani, Khozoeti, Kenkaani, Golgoleti, Lomisi and Okhiri during that same period of time. It describes which clans lived in which village, with what kind of taxes were the residents charged, what kind of labor was spread and so on... There is also shown the demographic changes of each village during the years and how the situation changed after the war and occupation of Akhagori municipality in August 2008. In the Russian cameral census we are facing quite a lot mistakes in the lists of clans and names of villages that are corrected by our means. An important part is dedicated to the description of two Ossetian villages of Karchokhi valley. There is an approximate indication of the date when Ossetians could be appeared on the ruins of earlier Georgian households in the villages of Lomisi and Okhiri and what duties did they have towards the landlords of Ksan.

არსენ ბერთლანი
ინტერდისციპლინური ჰუმანიტარიის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
გიორგი გოცირიძე, ქეთევან გიგაშვილი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტერმინებიდან სისხლიან კონფლიქტებამდე კიდევ ერთხელ ტერმინოლოგიური უწყისობის შესახებ

2017 წლის აგვისტოში ბელგიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჰუმანიტართა კონფერენციაზე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი „ახალი ჰუმანიტარიის დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“. დოკუმენტში საუბარია ჰუმანიტარული დარგის როლზე თანამედროვე სამყაროში, მის პასუხისმგებლობაზე საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილური განვითარებისათვის ხელის შეწყობის საქმეში და სხვა. განსაკუთრებით ხაზი აქვს გასმული მის პრაქტიკულ დანიშნულებასა და ადგილს არა საზოგადოების დაყოფაში, არამედ მის გაერთიანებასა და პლურალისტური იდეების დამკვიდრებაში.¹

ამ კონტექსტში გვინდა განვიხილოთ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეთნონიმ **თუშები-სა** და მათი ენობრივი ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინების საკითხი. თუშები წარმოადგენენ მთიელთა ერთ-ერთ ტომს (ეთნოგრაფიულ ჯგუფს) კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთით. ქართულ წყაროებში თუში პირველად იხსენიება მეფე ფარნავაზთან მიმართებით. მას სამეფო რამდენიმე საერისთავოდ დაუყვია, რომელთაგან ერთ-ერთში თუშებიც შედიოდნენ.

„ქართლის ცხოვრებაში“, IV-XI სს-ის მოვლენებზე საუბრის დროს, გვხვდება ტერმინები „წობა“ და „თუში“. თუშის სახელი დაფიქსირებულია VII ს-ის სომხურ წყაროებში. ვახუშტი ბატონიშვილი და ივანე ჯავახიშვილი თუშეთის მთელ მოსახლეობას, წოვებსა და ჩაღმებს, მიიჩნევენ ერთიან ქართულ ეთნოსად.² ამას მოწმობს მათი საერთო ისტორიული ცხოვრების გზა, ანთროპოლოგია, მატერიალური და სულიერი ცხოვრება, ტრადიციები, თუშეთის ტოპონიმიკა, ეთნონიმიკა, ფოლკლორი, მუსიკა, უამრავი საარქივო და სხვა მასალა. ათასწლეულების განმავლობაში თუშეთის მთლიანი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი და შუა საუკუნეების ისტორიული წყაროები თუშეთისა და თუშების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისას არასდროს არ აკონკრეტებენ, რომელ თემზეა საუბარი, წოვებზე თუ ჩაღმებზე: როდესაც საუბარია თუშებზე, ზოგადად, საუბარია მის შემადგენლობაში შემავალ ყველა თემზე. ასე რომ, წოვების ისტორია მთლიანად თუშების ისტორიაშია ჩაწულ-ჩადულაბებული.³

სადღეისოდ ტომი შედგება ორი ჯგუფისგან – **წოვათუშებისგან** და **ჩაღმათუშებისგან**. წოვათუშები შეადგენენ ერთ თემს (საზოგადოებას) – საკუთრივ **წოვათუშებს**, ხოლო **ჩაღმათუშები** – სამ თემს (საზოგადოებას): **ჩაღმის**, **გომეწრისა** და **პირიქითის** თემებს. უმთავრესი განსხვავება წოვათუშებსა და ჩაღმათუშებს შორის მეტყველებრივია: წოვათუშური ენა მიეკუთვნება მთის იბერიულ-კავკასიური ენების აღმოსავლეთის შტოს ნახურ ჯგუფს. წოვათუშები ბილინგვები არიან და ლაპა-

¹https://en.unesco.org/system/files/od_english_final_version_1010_11082017_2.pdf

² შავხელიშვილი, ა. თუშები / წოვათის თუშების ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა, ტომი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2019, 19-22.

³ გიგაშვილი, ქ. წოვათუშების თანამედროვე ეთნოსოციოლინგვისტური პროფილი, თბ., 2014, 77.

რაკობენ თუშურ და ქართულ ენებზე, ხოლო ჩაღმათუშები მონოლინგვები არიან და ლაპარაკობენ ქართული ენის თუშურ კილოსა და ქართულ ენაზე.

წოვათუშების შიდა (ლოკალური) მოხმარების უდამწერლობო მეტყველებას **თუშური ენა** ერქვა XVIII ს. 70-იანი წლების დასაწყისიდან XX ს. 50-ანი წლების დასაწყისამდე, ლამის ორი საუკუნის განმავლობაში. პირველმა ი. ა. გიულდენშტედტმა უწოდა წოვათუშების მეტყველებას **თუშური ენა** (თუშების ენა), მის მატარებლებს კი – **თუშები**¹. ამავე ტერმინს / ტერმინებს ხმარობდნენ მ. ბროსე,² ა. შიფნერი,³ პ. უსლარი,⁴ ნ. მარი⁵ და ა. შ.

XX ს. 50-იან წლების დასაწყისში ტერმინი **თუშური ენა** შეცვალეს ტერმინით **ბაცბური ენა**⁶, რომელიც წარმოადგენს საშინაო, შიდა მოხმარების სიდიდეს და არ არის გათვლილი საგარეო, სამეცნიერო ტერმინოლოგიური მიმოქცევისთვის (შდრ. **მეგრული ენა – მარგალური ნინა, სვანური ენა – ლუშნუ ნინ** და სხვ.). მას მოჰყვა ტერმინები – **წოვათუშური ენა** და **წოვური ენა**, რამაც გამოიწვია აშკარა ტერმინოლოგიური ქაოსი ნახევარი სოფლის მეტყველებასთან მიმართებით.

თუშების ჩაღმათუშური ნაწილის დიალექტურ მეტყველებას, რომელიც მანამდე მოიხსენიებოდა **ჩაღმათუშურ კილოდ**⁷, XX ს. 60-იანი წლებისთვის მიეკუთვნა ტერმინი **თუშური კილო**, რაც ლოგიკური იყო, გამომდინარე იქიდან, რომ მისი მატარებლები (ისევე როგორც თუშური ენის მატარებლები) ტომობრივად არიან თუშები. თუმცა ალოგიკური იყო **თუშ-** ფუძის მიკუთვნება მხოლოდ ჩაღმათუშების მეტყველებისთვის. ამ ლინგვისტურმა ხარვეზმა შემდგომში ფეხი მოიკიდა ისტორიოგრაფიაშიც (ეთნოგრაფიაში), რაც გამოიხატა იმაში, რომ თუშთა წოვათუშური ნაწილისთვის შემოტანილი და დამკვიდრებული იქნა ტერმინები **ბაცბები, წოვათუშები, წოვები**.

ასე რომ, წოვათუშებს ჩამოერთვათ მანამდე მათი კუთვნილი თუშობა, რითაც ავტომატურად ჩამოეწერათ კუთვნილი ქართველობაც – ეროვნულობა! ტერმინოლოგიური ხარვეზის გადაადგილებამ ლინგვისტიკიდან ისტორიოგრაფიაში და ეთნოგრაფიაში გამოიწვია წოვათუშების უკიდურესი უკმაყოფილება, რასაც რეზონანსულად მოჰყვა პირველი ღია ეთნიკური დაპისპირება თუშობის შიგნით (წოვათუშებსა და ჩაღმათუშებს შორის), სადაც არ არსებობს გარანტია იმისა, რომ გარკვეულ გარემოებებში ის არ გადაიზარდოს ძმათა სისხლიან დაპირისპირებაში. ისტორია იცნობს ტერმინებით გამოწვეულ ეთნიკურ კონფლიქტებს, რაც სისხლიან დაპირისპირებაშიც გადაზრდილა. საკმარისია დავასახელოთ **სამაჩაბლოსთვის** წმინდა პოლიტიკური მიზნით **სამხრეთ ოსეთის** ('Южная Осетия') დარქმევა. სწორედ უბრალო ქაღალდზე დაწერილმა თითქოსდა უვნებელმა ტერმინმა (ახალმა და არალეგიტიმურმა) მოუტანა სამაჩაბლოს, როგორც გეოგრაფიულ სივრცეს, უკიდურესი უბედურება, სადაც აღარაფერს ვამბობთ სისხლით წართმეულ სივრცეზე, როგორც ქვეყნის კუთვნილ ადმინისტრაციულ ერთეულზე. ეს მძიმე ფაქტი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეიძლება „წვრილმანი“ იქცეს მსხვილმანად, წერილობითი სიბრტყიდან ტერმინი გადმოვიდეს ქუჩებში, რათა იქცეს ხანძრად და მოედოს უკეთეს შემთხვევაში ერთ მომცრო რეგიონს, უარესში კი – ქვეყანას, მთელ მსოფლიოს. ამას, როგორც წესი, ვაცნობიერებთ მხოლოდ მას მერე, როცა უკვე მომხდარია ყველაზე უარესი. როგორც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, დაპირისპირების აღმოფხვრას საკმაოდ

¹ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბილისი, 1962; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბილისი, 1964.

² Rapport de M. Brosset, sur une Traduction thouché de l'histoire-Sainte, *Bul. h. p.VI*, 1849.

³ Schiefner, A. Versych über die Thusch-Sprache oder die Khistische Mundart in Thuschetien: *Mém. VI Série, Sc. politiques ets.*, IX, St.-Pétersbourg, 1859;

⁴ Услар, П. Этнография Кавказа, I, Языкозна-ние, Тифл., 1887; Услар, П. Этнография Кавказа, II, Языкозна-ние, Тифл., 1888; Услар, П. Этнография Кавказа, IV, Языкозна-ние, Тифл., 1890.


⁵ Марр, Н. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа: *Изв. АН, Императорская академия Наук*, СПб, 1916; Марр, Н. Кавказские племенные названия и их местные параллели, Петрогр., 1922.

⁶ Чикобава, А. Введение в языкознание, т. I, М., 1953.

⁷ უთურგაიძე, თ. წოვა-თუშურისა და ჩაღმა-თუშურის ურთიერთობისათვის, თეზისები, თსუ ასპირნატთა VI სამეცნ. კონფ., თბ., 1952.

დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება, ბევრჯერ ვერც ლიკვიდირდება და მისი პროვოცირებისთვის შეიძლება საკმარისი გახდეს მარტივი საბაბიც, თუნდაც შელაპარაკება ბაზარში „ორიოდე კილო“ მარწყვის გამო.¹

აღნიშნული ტერმინოლოგიური რღვევა შეიძლება გადმოიცეს შემდეგი სქემის სახით:



ეს სქემა, რომელიც გადამოწმებადია, როგორც საენათმეცნიერო, ისე ისტორიოგრაფიულ-ეთნოგრაფიული წყაროებით, მოიცავს თუშებთან და მათ მეტყველებებთან (წოვათუშების ენასთან და ჩაღმათუშების კილოსთან) დაკავშირებულ მთელ ისტორიას.


ტერმინში **თუშური ენა** პირველი კომპონენტი საერთოა და მიუთითებს გვაროვნულ (ჩვენს შემთხვევაში – ტომობრივ) ნიშანზე. მეორე კომპონენტი, რომელიც საერთო აღარაა, მიუთითებს მეტყველებრივ ნიშანზე. ანუ: თუკი ტომობრივად წოვათუშებიც და ჩაღმათუშებიც არიან „სრულ ერთობილინი“ თუშნი, მაშინ ორივეს მეტყველებას სწორედ რომ უნდა ერქვას საერთო სახელი **თუშური** – იმის გათვალისწინებით, რომ წოვათუშთა მეტყველება **ენას** წარმოადგენს, ჩაღმათუშებისა – **კილოს**.

ამდენად, ტერმინოლოგიური ბალანსი არ ირღვევა, თუკი პარალელურად გამოვიყენებთ ტერმინებს **წოვები** და **ჩაღმები**; დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში დისბალანსს იწვევს სატერმინო **თუშ-** ლექსიკური ფუძის მიკუთვნება ამ ორი ჯგუფიდან მხოლოდ ერთ-ერთისთვის: სწორედ

¹ მაშინდელი საკავშირო ხელისუფლების ოფიციალური ცნობით, სუმგაითის სისხლისღვრა მოხდა სწორედ ამ მიზეზით.

ამის საფუძველზე არსებობს დაპირისპირება თუშთა შორის მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან. ტერმინოლოგიური ბალანსი არც იმ შემთხვევაში დაირღვევა, თუკი გამოვიყენებთ ვარიანტებს **წოვა-თუშური / წოვური ენა** და **ჩაღმათუშური / ჩაღმური დიალექტი**; დარღვევა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ამ ორი მეტყველებიდან მხოლოდ ერთ რომელიმეს მივაკუთვნებთ სატერმინო კომპონენტს **თუშური**, რაც გახდა კიდევაც დაძაბულობის მიზეზი.

წარმოვადგენთ თუშური დაპირისპირების მოსაწესრიგებელ სამსაფეხურიან სქემას:



ქვეყანამ უნდა გააცნობიეროს, რომ წოვათუშები, რა ხანია, მუდმივი თავდაცვისა და თავის მართლების რეჟიმში ცხოვრობენ. მათზე სულიერი თუ ზნეობრივი იერიში ხორციელდება არა მხოლოდ ჩაღმათუშების მხრიდან, არამედ გარედანაც. ამ სტატიაში მოვუხმით სულ რამდენიმე ამგვარ თვალსაჩინოებას – უცხოურსაც, სამამულოსაც, რათა უფრო ღრმად ჩავწვდეთ საკითხის სიმწვავეს.

საქართველოს „გასაწინწკად“ არიან ჩასაფრებულები წოვათუშები, – ბრძანა რესპუბლიკური გაზეთის ფურცლებზე მწერალმა რ. მიშველაძემ.¹ მანამდე „მრგვალი მაგიდის“ სამთავრობო დონის გაზეთში გამოქვეყნდა ოფიციალური შეტყობინება,² თითქოს მზადდებოდა წოვათუშური სეპარატიზმი, რაც, სავარაუდოდ, ჩაღმათუშური მხარის დაუფიქრებელი ინიციატივა იყო. მივაქციოთ ყურადღება: სეპარატიზმი მიეწერა იმ თემს, რომელიც მიტინგებს აწყობდა მხოლოდ იმის გამო, რომ თუშური ერთობიდან რიყავდნენ.

გარდა იმისა, რომ მოკლებული იყო ლოგიკას, ეს საგაზეთო ინფორმაცია ცეცხლზე ნავთის დასხმა იყო იმ დროს.

თუმცა „ტერმინოლოგიური უზუსტობების შემოსვლა ქართულ ცნობიერებაში“ იწყება ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან და, აქედან მოყოლებული, მრავალი „მნიშვნელოვანი აზრობრივი შეცდომა დაფიქსირდა ქართულ ცნობიერებაში ტერმინოლოგიური შეუსაბამობის გამო“,³ მაგრამ ამ ცდომილებაში თავის აპოგეას საბჭოური ცხოვრების წლებში მიაღწია. დღეს კი უთუოდ საჭიროა ამ ტერმინთა თუ ცნებათა უნიფიცირება – განთავისუფლება ცდომილებათაგან.

იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული აქ განხილულ ტერმინოლოგიურ გაუგებრობას, რომ უსასრულოდ გვიწევს გამეორება უმარტივესი რეალობისა: არ არსებობს ბუნებაში არანაირი მეტყველება იმისა, თუ ვისი სახელი იყო თავდაპირველად **თუში / თუშები** – წოვათუშებისა თუ ჩაღ-

¹ მიშველაძე, რ. რა გადაარჩენს საქართველოს?, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 155, 1992, 3-4.

² „ახალგაზრდა ივერიელი“, № 40, 1990, 4-5.

³ ერაძე, გ. ასე ამბობდა დონ ქრისტეფორო კასტელი, მამული, №15, 1993.

მათუშებისა. მეტიც, ზვალ ან ზეგ რომც გამოჩნდეს უტყუარი წერილობითი ცნობა იმაზე, თუ ვისი იყო ეს პირველსახელი, ის გამოდგება მხოლოდ ცნობად, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში საიმისოდ, რომ დღეს უარყოფით თუშთა ან ერთი, ან მეორე ჯგუფის თუშობა, რადგან ეს სახელი, დიდი ხანია, საერთოა ორივე ჯგუფისთვის. ამას ვამბობთ იმ გამოკვლევის მიუხედავად,¹ რომელიც სრულიად თუშეთის ტოპონიმიში დაახლოებით 80%-მდე ავლენს თუშურენოვანი წარმოების მაგალითებს. ვიმეორებთ: დღეს თუშები იყოფიან ორ ჯგუფად – წოვათუშებად და ჩაღმათუშებად, რაც თავისთავად გულისხმობს იმასაც, რომ ორივე მხარის წარმომადგენლებს უსათუოდ უნდა ერქვათ **თუშები**, ხოლო მათ მეტყველებებს (გნებავთ ენას, გნებავთ კილოს) – **თუშური**.

ტერმინოლოგიური წესრიგის აღსადგენად მცდელობები შეინიშნება გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დღემდე.² საყურადღებოა საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, აკად. დ. მუსხელიშვილისა, და კავკასიისა და ევროპის ხალხებთან ურთიერთობის სექტორის ყოფილი უფროსის, გ. გასვიანის, ერთობლივი წერილი საქართველოს რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის ყოფილი უფროსისადმი, ბ. ხატიძისადმი, და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტისადმი, ა. თავხელიძისადმი, ვისი დავალებითაც ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში შეუსწავლიათ და განუხილავთ ისტორიკოს ვ. ელანიძის მონოგრაფიაში³ წოვათუშებთან დაკავშირებით ტენდენციურად გაშუქებული საკითხები. საინტერესოა გ. გასვიანის 1989 წლის იანვრის წერილი ქ-ნი მ. ლორთქიფანიძისადმი, რომელშიც სრულიად ნათლადაა წარმოდგენილი გზავნილის ავტორის ნეგატიური, პრინციპული დამოკიდებულება პროფ. ვ. ელანიძის მოსაზრებებთან დაკავშირებით.

საყურადღებოა სპეციალური კომისიის მიერ ქ-ნი მ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით შედგენილი ვრცელი დასკვნა (რეკომენდაციებითურთ), რომელიც მთლიანად იზიარებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ წოვათუშურ განწყობილებას და სხვ. მთელი ამ მცდელობების მანძილზე განსაკუთრებული სიმძაფრით და პრინციპულობით გამოირჩეოდა თავისი სიცოცხლის ბოლომდე ქართველი ლინგვისტი მ. ქურდიანი.

მიუხედავად ამ მცდელობებისა, დღემდე კონფლიქტის მოგვარება ვერ მოხერხდა. წლების მანძილზე პერიოდულად გადის ტელესიუჟეტები, სადაც პირდაპირ ან ირიბად იგნორირებულია წოვათუშების თუშობა და, მამასადამე, ქართველობა, მაგრამ არსად ან უკიდურესად იშვიათად ჩანს პოზიტიური სიუჟეტები და ა. შ. ქვეყანაში დღემდე არ არის შესაბამისი არც სამოქალაქო კულტურა, არც სახელმწიფო პოლიტიკა. და რაც ერთობ მნიშვნელოვანია, აქ აღწერილი ტერმინოლოგიური მოუწესრიგებლობა ქმნის მძიმე ვითარებას ყოფით სფეროში.

დღეს ამ მძიმე პრობლემის მოწესრიგებას თავდადებით ცდილობს თუშების სათემო საბჭო, რომელიც გახლავთ წოვათუშთა საგვარეულოების წარმომადგენლობითი ორგანო.

ჩვენ არც იმაზე ვაგვაჩნია ზუსტი მტკიცებულება, რომ ეს ტერმინოლოგიური მხსვრევა უსათუოდ გარედან იმართება, მაგრამ აშკარაა, რომ, ერთი მხრივ, ამგვარი შემოქმედება თუ თვითშემოქმედება ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში, მეორე მხრივ, წოვათუშური მხარის კანონიერ მოთხოვნათა უყურადღებოდ დატოვება გაურკვეველი დროით, უდავოდ, ხელს უწყობს მრავალსაუკუნოვანი რუსული სეპარატისტული პოლიტიკის აყვავებას, როგორც საკუთრივ წოვათუშურ, ისე სრული-

¹ ბერთლანი, ა. თუშურენოვანი ანთროპონიმია და ტოპონიმია, თბ., 2019.

² ჯაყელი, ქ. წოვის წუხილის წერილი, ანუ ბაბილონის გოდოლის სინდრომი: „ჰორიზონტზეა კახეთი“, გაზ. „ჰორიზონტის დამატება“, №1, 2001; ბერთლანი, ა. წოვათის ნისლეები (ხანდაზმული ნაფიქრალი), სათქმელი პირველი: პატარა ხატი დიდ ეკლესიაში, ტერმინოლოგიური წესრიგისათვის ქვეყანაში, თბ., 2009; ბერთლანი, ა. თუშური ენის ფონეტიკა და ფონოლოგია, თბ., 2012; ბერთლანი, ა. თუშურენოვანი ანთროპონიმია და ტოპონიმია, თბ., 2019; ცქიტიშვილი, ნ. ეთნოგრაფიული თუ გამიზნული შეცდომა, ანუ რატომ ჰყოფენ თუშებს თუშებად და წოვებად!?: გაზ. „აისი“, №28(37), 2006; Bertlani, A. Typological Similarities in Phonetics of French and Tush Languages and Associations with the name of Marie Brosset: *International Proceedings of Economics Development and research, Humanity and social Sciences*, Edited by Feng Tao, vol. 80, Singapore, 2014; გარსევანიშვილი, ა. რატომ არიან წოვები თუშები, თბილისი, 2018.

³ ელანიძე, ვ. თუშეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1988.

ად ქართულ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელსაც, არ არის გამორიცხული, სამაჩაბლოს ბედი უსაფრედებოდეს. ამის ნათელ თვალსაჩინოებას წარმოადგენს, მაგალითად, აფხაზეთში მოღვაწე სომხის, ედ. აბრამიანის პუბლიკაცა, რომლიდანაც ვიმოწმებთ რამდენიმე ფრაგმენტს.¹ „ეწევა რა ქართულ-ვაინახური ძმობის პროპაგანდას, თბილისი თავის ტერიტორიაზე ხელში იარაღით ებრძვის „თავის“ ვაინახებს“;² „ძველ და შუა საუკუნეების პერიოდში ბაცები ცხოვრობდნენ მთიან თუშეთში (სამხრეთ იჩქერიაში)“; „ბაცების უმრავლესობა წარმოადგენს მუსულმან-სუნიტებს. მიუხედავად დამუქრებისა ფიზიკური განადგურებით, მათმა ძირითადად ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავისი რელიგია“; „1990-იან წწ. ნელ-ნელა დაიწყო ისლამის გაძლიერება ზემო ალვანში“; „ერთადერთი მეჩეთის მოლა ზემო ალვანში წარმოშობით ჩეჩენია. ეს ფაქტი აშკარად აღიზიანებს ადგილობრივ ქართულ ხელმძღვანელობას“ და ა. შ.

იმდენად აბსურდულია ეს რუსულ-სომხური ინფორმაცია, რომ ძნელად ექვემდებარება განსჯას. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ დეტალზე: ამდენი წელია, ეს ინფორმაცია ინტერნეტსივრცეში ტრიალებს, და თუ მომხდარა რამენაირი რეაგირება მასზე? თუ წოვათუშების ბედი არავის აინტერესებს, არ შეიძლება სულ ერთი იყოს ჩვენთვის, რას წერენ საქართველოზე, როგორი ტერმინებით მანიპულირებენ მასთან კონტექსტში: რად ღირს მარტო თუშეთის – საქართველოს ორგანული შემადგენლის – მოხსენიება „სამხრეთ იჩქერიად“, ანუ „სამხრეთ ჩეჩენთად“, რაც უნდა იყოს დიდი რუსული პოლიტიკის ერთი პატარა ფრაგმენტი და პირდაპირ კავშირშია შესიტყვებასთან ‘Южная Осетия’.

თითოეულმა ქართველმა უნდა გაითავისოს ეს ცილისმწამებლური ტექსტი, რომელშიც, სხვა რამესთან ერთად, კვითხულობთ, თითქოს ქართველები წოვათუშებს დევნიდნენ თავიანთი საცხოვრისიდან, ალვანიდან და ა. შ. ეს ცრუ ინფორმაცია დამლუპველია არა მარტო წოვათუშებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის!

ყოველივეზე მრავალი ხნის წინ მიანიშნა გასაგებად ა. შანიძემ პუბლიცისტურ თხზულებაში „თუშები“, რომელიც ამავე დროს იყო მოწოდება, საგზაო რუკა, თავშეკავებული გაფრთხილება, მაგრამ, სამწუხაროდ, იგნორირებული: „თუშების ერთობა, რომელიც კარგად ცნობილია ადრიდანვე, არაფერმა არ უნდა დაარღვიოს და შეარყიოს.“³

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინები, ზოგადადაც, მაქსიმალურად უნდა შესატყვისებოდნენ რეალობას, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო მათი შემუშავებისას ეთნოსებისთვის, ანდა ეთნიკური ჯგუფებისთვის. აბსოლუტურ უმცირესობაში მყოფი წოვათუშების პოზიცია ამ საკითხში ისტორიულია და ეროვნული: წოვათუშებისა და ჩადმათუშების, ასევე მათი მეტყველებების – ენისა და დიალექტის (კილოს) – აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში აბსოლუტურად თანაბრად უნდა განაწილდეს „თუშ“ ლექსიკური ფუძე, რათა აღდგეს ისტორიული ეთნობალანსი, რომელიც იმთავიდან სუფევდა თუშობაში.

წოვათუშური მხარის ტერმინოლოგიური უკმაყოფილებანი თუ პრეტენზიები მიმართულია ინტეგრაციისკენ სრულიად ქართველობასთან, მათი ამ კეთილ გამოვლინებათა იგნორირება კი ხელს უწყობს უკეთეს შემთხვევაში ეთნიკურ განაწყენებას, უარესში – სეპარტიზმს, რამაც უსათუოდ ძვეს სისხლიანი კონფლიქტის ინიცირების მუდმივი საშიშროება. სრულიად ქართული საზოგადოების ინტელექტუალურმა ფრთამ უნდა გამოავლინოს კეთილი ნება და აქტიურად ჩაერთოს წოვათუშური ტერმინოლოგიური პრობლემის მოგვარებაში.

¹ Абрамян, Эд. Вайнахские народы Грузии: мнимое братство и угроза полной грузинизации; этнополитический анализ, Политика, Гагра, 15 мая, 2007 ИА REGNUM <https://regnum.ru/news/827907.html>

² აქ ვაინახებში იგულისხმებიან წოვათუშები.

³ შანიძე, ა. თუშები: ჟურნ. მნათობი, თბ., 2, 1970, 103-106.

Arsen Bertlani

Teaching-Scientific Institute for Interdisciplinary Humanities

George Gotsiridze, Ketevan Gigashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University

**FROM TERMS TO BLOODY CONFLICTS ONCE AGAIN ABOUT TERMINOLOGICAL
DISORDER
REZUME**

The article discusses the issue of terms denoting Ethnonym Tushes and their linguistic units in Georgian scientific literature.

Today, the Tush tribe consists of two groups - the Tsovatushes and the Chaghmatushes. The main difference between them is lingual: Tsovatush language belongs to the Nakh group of Iberian-Caucasian languages. Tsovatushes are bilinguals and speak Tush and Georgian languages, while Chaghmatushes are monolinguals speaking Tush dialect and Georgian language.

The unwritten speech of the Tsovatush people was called Tush language from the early 70s of the 18th century, which was replaced by the term Bats language in the early 50s of the 20th century followed by the terms - Tsovatush or Tsov language, which caused obvious terminological chaos in relation to the half-rural speech.

On the other hand, the dialect of the Chaghmatush part of Tush people, which was previously referred to as Chaghmatush dialect, by the 60s of the 20th century was called Tush dialect. This linguistic shortcoming later gained a foothold in historiography (ethnography), in terms that the ethnonyms Bats, Tsovatushes, Tsovs were introduced and established for the Tsovatush part of Tush people. The imbalance in the modern scientific literature is conditioned by the attribution of the term Tush to only one of these two groups: on this basis, there is a controversy between Tushes since the 80s of the 20th century.

The position of the Tsovatush people on this issue is historical and national: in the terminology denoting the ethnonyms 'Tsovatushes' and 'Chaghmatushes', as well as their speeches - language and dialect - the lexical root 'Tush-' must be equally distributed in order to restore the historical ethno balance.

Tsovatushuri's The terminological dissatisfactions or claims are directed towards integration with the whole Georgians, and ignoring these good manifestations of them contributes to ethnic resentment at best, and separatism at worst.

საგანმანათლებლო სივრცის მნიშვნელობა დეპორტირებულ მესხთა იდენტობისათვის

საქართველოდან მაჰმადიანი მესხების დეპორტაცია კონკრეტულ დროს კონკრეტული გადაწყვეტილებების შედეგი იყო. ისტორიის ქრონიკებში აღიბეჭდა თარიღი: 1944 წლის 15 ნოემბერი. დღე, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში განახორციელა მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია: მესხეთის რამდენიმე ასეული სოფელი ერთ ღამეში დაცარიელდა. ათეულობით ათასი კაცი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეყარეს სატვირთო მატარებელში და შუა აზიის გზას გაუყენეს.

მესხეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა სარწმუნოების თვალსაზრისით ისტორიულად საინტერესო სურათს იძლევა, გვაქვს ცნობები წარმართობის, კერპთაყვანისმცემლობის პერიოდთან დაკავშირებით. შემორჩენილია მაშინდელი არქეოლოგიური მასალა.

ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა მესხეთში იქადაგა ქრისტიანობა, შემორჩენილია ანდრია პირველწოდებულის დროინდელი ტოპონიმი.¹

დღემდე მესხეთში ქრისტიანობა მოვიდა თავისი ორი მიმართულებით: მართლმადიდებლობით და კათოლიკობით. მესხეთისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მუსლიმური სარწმუნოების მიღება. მათ შორის, მნიშვნელოვანია მე-18 საუკუნის ისტორიკოსი, გეოგრაფი და ონომასტიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, რომლის მიხედვითაც მე-18 საუკუნის მე-2 ნახევარში მესხეთის საზოგადოების მაღალი ფენა „მთავარნი და წარჩინებულნი“ არიან უკვე მუსლიმები, ხოლო გლეხები, ქრისტიანები. კლარჯეთში გლეხების დიდი ნაწილი გამაჰმადიანებულია. ენა აქვთ ქართული. მაღალი წრის წარმომადგენლებიც მხოლოდ ნადიმობის და შეხვედრების დროს საუბრობენ „თათრულად“. მათთვისაც საოჯახო ენა არის ქართული.²

საზოგადოების სარწმუნოებრივი დაყოფა გარკვეული იდეოლოგიის და ისტორიული კონიუქტურის შედეგია. კათოლიკობა და მართლმადიდებლობა მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქრისტიანული სარწმუნოება იყო, სერიოზულად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. მართალია ოფიციალურად არ იყო აკრძალული ამ ორი სარწმუნოების წარმომადგენლებს შორის ქორწინება, მაგრამ კომუნისტურ ათეიზმამდე ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ კათოლიკებს ფრანგებს ეძახდნენ, ხოლო მართლმადიდებლებს - ქართველებს.

რელიგიური დაპირისპირება თანდათან იქცეოდა განსხვავებულ ეთნიკურ „კუთვნილებად“. ასევე მოხდა მუსლიმურ სარწმუნოებებს შორის. მათ შორის არ ხდებოდა დაოჯახება. მუსლიმებს „თათრებს“ უწოდებდნენ. ამ ტიპის დამოკიდებულება ძირითადად იჩენდა თავს მაშინ, როდესაც რომელიმე ძირეულ პრობლემაზე იყო მსჯელობა. ან სხვა რომელიმე დიდი სახელმწიფო ჩაერეოდა საქართველოს რელიგიურ ურთიერთობებში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის ჩვეულებრივი სამეზობლო ურთიერთობა სუფევდა. მესხეთი არის კარგი მაგალითი სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა თანაცხოვრებისა. საამისოდ გამოდგება ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქი ვალე, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ დგას მართლმადიდებლური, კათოლიკური და მუსლიმური სალოცავები.

სარწმუნოებრივი თანაცხოვრება კარგად ჩანდა მშვიდობიანობის პერიოდში. სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები თავიანთ სალოცავებში ლოცულობდნენ, ერთმანეთის დღეობებზე მიდიოდნენ და ერთად შრომობდნენ. ამის კარგი მაგალითია უდის ტაძრის წარწერა 1909

¹ მ. ბერიძე, ტაძრები და სახელები, თბილისი, 2010.

² ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება. IV, თბილისი, 1973, გვ. 660-661.

წლისა, რომლის მიხედვითაც ტადარს ქრისტიანებთან ერთად მაჰმადიანებიც აშენებდნენ. წარწერა მოგვითხრობს: „უღეს არის კათოლიკეები 2120 სული. მაშინებელნი საყდრის მაჰმადიანები 520 სული, ორივე ტომით ქართველნი. ღვთისმშობელო, შენ გწირამთ ჩვენს შრომას“.

„წარმოდგენილი წარწერა-ლოკუმენტი გვამცნობს, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანია, ხოლო ნაწილი არის მაჰმადიანი, მაგრამ, როგორც კათოლიკენი, ისე მაჰმადიანი არიან ქართველები. რისთვის დასჭირდათ მშენებლებს, სოფელს, საზოგადოებას ამის ხაზგასმა, წარწერაში აღნიშვნა? ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მეზობელი ქვეყნები, ზოგიერთი მაშინდელი უცხოელი მეცნიერი ეჭვქვეშ აყენებდა როგორც კათოლიკეების, ისე მაჰმადიანების ქართველობას“¹.

სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა ომიანობის დროს როდესაც რომელიმე სარწმუნოებას სხვა ქვეყნის იარაღად იყენებდნენ. ასე მოხდა 1918 წელს, პრველი მსოფლიო ომის დროს ადგილობრივი მუსლიმური მოსახლეობა იქნა წაქეზებული, მათ მხარში ამოუდგნენ მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული დაჯგუფებები და ქრისტიანული მოსახლეობა განდევნეს სამცხე-ჯავახეთიდან. სიკვდილს გამოქცეული ქართველები ნოემბრის თვეში თოვლსა და ბუქში გარბოდა ბაკურიანის მთებზე გავლით. ამას საზოგადოება „გაქცევებს“ ეძახდა.

ასეთივე უბედურება დატრიალდა 1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც საბჭოთა სახელმწიფომ მესხეთიდან განდევნა მუსლიმი ქართველები და მათ ეროვნებად ჩაწერა თურქი.

ამ ფაქტს მოჰყვა, უკვე დაწყებული, მაგრამ ყოველგვარი ეჭვგარეშე ცნობილი ფაქტის-მესხეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმების იდენტობის გაყალბება.

მესხეთის მოსახლეობის შესახებ მე-16 საუკუნეში თვით ოსმალეთის მიერ დასტურდება ტერმინი გურჯი-გურჯისტანი. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით კარგად ჩანს, ვინ ცხოვრობს არა მხოლოდ დღევანდელ სამცხე-ჯავახეთში, არამედ ქვაბლიანის თურქულ ნაწილში და არტაანის მხარეში. მოსახლეობისა და ტოპონიმების აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. ლოკუმენტი საგადასახადო მიზნით არის შედგენილი, ამიტომ დეტალურია მოსახლეობის აღწერა და საგადასახადო ფორმები, მათ შორის გადასახადი ღირებულება. 1944 წელს გასახლებულთა წინაპრები შეგვიძლია დავაფიქსიროთ მე-16 საუკუნეში. მაგალითად მოვიყვანოთ სოფ. ბოგას, რომლის მოსახლეობა სულ ექვსი კომლისაგან შედგებოდა ოსმალების მიერ აღწერის დროს მე-16 საუკუნეში. აი, მაშინდელი ოჯახის უფროსები და მათი გვარები: შოშია, წამალა, ივანე, გიორგი, მანარე, მამისა, აზარია, ნასარა, ზასელა, გუბელა.²

მაჰმადიან მესხებთან დაკავშირებული ტერმინები, ერთი შეხედვით, ხშირად არის განხილვის საგანი, მაგრამ მისი სისტემატიზაცია და ისტორიულ ჭრილში წარმოდგენა არ მომხდარა. ჩვენი მიზანია სამხრეთ საქართველოში მცხოვრები ქართული მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზი გარკვეული თანმიმდევრობით.

ცნობილი ფაქტია, რომ მესხი ერთ-ერთი უძველესი ეთნოტერმინია კავკასიაში. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მე-16 საუკუნიდან მოყოლებული დღევანდლამდე დაფიქსირებულ ტერმინებს. მანამდე არავის აზრად არ მოსვლია, რომ მესხეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობისათვის მესხის გარდა, რაიმე სხვა სახელი ეწოდებინა, რადგან მანამდეც და შემდეგაც მესხი კრებითი სახელია მესხეთში მცხოვრები ქართველებისა.³ მესხეთს, ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოს, ჰქონდა თავისი მხარეები, „ქვეყნები“ (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა...) რომლებიც იწოდებოდნენ ზოგადად მესხებად.

ყველაზე პოპულარული გამოდგა თურქი მესხი, რომელიც მე-20 საუკუნის ბოლოს შეიქმნა. მთავარია ამ ტერმინში, რომ გამართლდეს პირველი კომპონენტი -თურქი, რომ ტერმინი არ აღნიშნავს მხოლოდ თურქს და თურქთან ერთად არის მესხიც. ტერმინის შექმნის იდეის დასაყ-

¹ მ. ბერიძე, ასპინძა და ასპინძელობა. ახალციხე, 2019, გვ. 20.

² ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II, თბილისი. 1941, გვ. 27.

³ შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, 1975, გვ. 280

რდენი არის მეორე კომპონენტის, მესხის, მეცნიერთა გარკვეული წრისათვის ნაკლებ ცნობადობა. ვინ არიან მესხები? ქართულ სინამდვილეში ამ შემთხვევაში არავითარი კითხვის ნიშანი არ ასწავლობს. მთელი ჩვენი საისტორიო წყაროები დიდ ინფორმაციას გვაწვდის მესხთა შესახებ, მესხები ქართველები რომ არიან, ცნობილია, მაგრამ ვისთვისაც არ არის ცნობილი, შეიქმნება ახალი ვერსიები, რომ მესხები ქართველები კი არა ყოფილან ან სხვა თურქული მოდემის ტომები არიან. სხვაგვარად გამოდის რომ თურქი მესხი ნიშნავს თურქ ქართველს, რაც არ არის ტერმინის შემქმნელთა მიზანი და გარკვეულ უხერხულობას ქმნის.

განსაკუთრებით გამოირჩევა მე-20 საუკუნე ტერმინების სიუხვით. მაჰმადიანი ქართველების აღსანიშნავად, მას შემდეგ, რაც ტერმინების შექმნა ანტიქართულ ხასიათს ატარებდა, წინა პლანზე წამოიწია ისეთმა სიტყვამ, რომელიც აშკარად არ გამოხატავს მათს ქართველობას, მაგრამ უპირისპირდება სხვა ყველა სახელწოდებას (თურქი, აზერბაიჯანელი, თათარი და სხვა) იერლი (მისი სინონიმია ბინალი, ოღონდ უპირატესობას პირველს ანიჭებენ) ადგილობრივის მნიშვნელობით იხმარება.

იერლი არის მხოლოდ მაჰმადიანი ქართველი, უპირისპირდება ქურთს, თარაქმას, მუთრუფს, ე.ი სხვა მოდემის ხალხს (თარაქმა და მუთრუფი თურქული მოდემის ტომებია). იერლი ზემოთ ჩამოთვლილი ეროვნების თუ მოდემის (თურქი, აზერბაიჯანელი, ქურთი და სხვა) წარმომადგენლებს ქალს არ გაატანდა და არც მათგან მოიყვანდა. 21-ე საუკუნეში ერთგვარი ტრანსფორმაცია განიცადა ტერმინის სემანტიკამ და იერლით აღინიშნება ყველა გადასახლებული, ეროვნულობისა და ტომობრიობის მიუხედავად. შესაბამისად დაირღვა ოჯახის შექმნის არსებული ტრადიცია.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებიდან გააქტიურდა მესხების აღსანიშნავად ტერმინი კავკასიელი თურქები. ამ ტერმინის შემქმნელები პირველ რიგში ცდილობენ თურქით ჩაანაცვლონ ტერმინი თათარი, მით უმეტეს რომ 1944 წელს გასახლებულებს ეროვნებად უწერიათ თურქები. 1886 წლის აღწერის დოკუმენტაცია და 1893 წელს გამოსული წიგნი უპირველესად იმით არის მნიშვნელოვანი, მასში არც ერთი თურქი არ არის აღწერილი, ისევე როგორც აშკარად არის გამიჯნული ქართველი (გურჯი) „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“. იქ მხოლოდ ოსმალო ახალი მეპატრონე თუ ჩნდება, ვინც ყიდულობს მიწებს და მამულებს ქართველი ფეოდალებისგან.

რადგან რუსები მე-19 საუკუნეში არ აღწერენ მოსახლეობაში თურქებს, როგორ შეიძლება გაჩენილიყო მე-20 საუკუნის ბოლოს, ერთი საუკუნის შემდეგ, თურქები მათ შთამომავლებში. ეს ტერმინი კავკასიელი თურქები არის ხელოვნურად შექმნილი ტერმინი.

რუსული აღწერის მიხედვით მითითებულია ეროვნება თათრებად წარმოდგენილი ქართველების გარდა ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ დღევანდელი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში:

აფიეთი, არძენე, ბოლაჯური, ღაღვი, გოდერძი, გორთუბანი, გუგუნაური, დერცელი ზანავი, ზარზმა, ზედუბანი, კენოვანი, მლაშე, მოხე, ნამნაური, ფლატე, საირმე, დიდი სმადა, პატარა სმადა, უტყუსუბანი, ციხისუბანი, წრე, ჭეჭლა, ჩორჩანი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მაშინდელი სოფლები: ვალე, კოპაძე, ორფოლა, საკირე, საყუნეთი, ტაძრისი, თისელი, ტყემლანა, წინუბანი, წოხტევი, წრიოხი, ბოგა, გიორგიწმინდა, ზეუბანი, კლდე, მიქელწმინდა, მუგარეთი, ფერსა, სვირი, წნისი, ჩოხტა, შურდო, აბი, ზიკილია.

ასპინძის მუნიციპალიტეტში: ზედა ოშორა, ქვედა ოშორა, ხერთვისი, შვიდრევანტა, აგარა, ნიალა, გავეთი, ვარნეთი, ქუნცა, აწყვიტა, ტოლოში, ნარმანი, გელსუნდა, მარგასტანი, ალჯვა, კვარმა, თოკი, ერკოტა, ზედა ვარნეთი, საყუდაბელიო, ორგორა, ახაშენი, ლობიეთი, ზველი, ჭობარეთი, იდუმალა, ლაშხევი, ყამზა, ინდუსა.


ადიგენის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი არ გვაქვს ზოგი ისეთი სოფელი, მაგალითად უდე, სადაც მაჰმადიანი ქართველები ქრისტიანებთან ერთად ცხოვრობდნენ, ხოლო ასპინძაში ბევრგან ერთად ცხოვრობდნენ ჩამოთვლილ სოფლებში ქრისტიანები და მაჰმადიანები.

მაჰმადიანი მესხების სამშობლოში დაბრუნების პროცესი საკმაოდ ბევრ საკითხს უკავშირდება. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელობაზე იდენტობის საკითხში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაჰმადიანი მესხების შთამომავლები პირველად 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჩამოვიდნენ. რთული პირობების მიუხედავად უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სამინისტროს მომართვის საფუძველზე ჩარიცხა ისინი თსუ ახალციხის ფილიალში. მაშინდელი სტუდენტები ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე აღიარებდნენ თავიანთ ქართველობას და მონდომებით სწავლობდნენ ქართულს, როგორც წინაპართა ენას. საზოგადოებრივი გარემო საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო მზად. პრობლემები შეიქმნა როგორც მათი საცხოვრებელი პირობების, ისე სხვადასხვა პარტიული და მაჰმადიანი მესხების მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისგან. მიუხედავად ამისა, მათ დაამთავრეს სრული კურსი, ცდილობდნენ თავიანთი ქართული გვარების აღდგენას, მაგრამ ბიუროკრატიული ბარიერის გამო ეს შეუძლებელი შეიქმნა. მათმა ძირითადმა ნაწილმა საცხოვრებლად საქართველო აირჩია, ზოგიერთმა გვარის დაბრუნებაც მოახერხა და დასაქმდა საქართველოში.

საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ შეიქმნა გარკვეული პირობები მაჰმადიანი მესხების აზერბაიჯანიდან საქართველოში სასაწავლებლად ჩამოსვლისა. 2015 წლის ოქტომბერში მოვიდა პირველი ჯგუფი, ხოლო 2016 წლის ოქტომბერში - მეორე. ყველა მათგანი ჩაირიცხა უცხოელთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე. 61-დან 55 მსმენელი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათგან ხუთ სტუდენტს სწავლის პროცესში საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუწყდა სტატუსი.

სპეციალობები გადანაწილდა შემდეგნაირად:



წარმოდგენილი დიაგრამა გვიჩვენებს, რომ სტუდენტებმა სპეციალობები ისე აირჩიეს, რომ მათი ძირითადი ნაწილი საქართველოში აპირებდა დარჩენას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აიხსნება ისეთი სპეციალობების არჩევა, როგორიცაა დაწყებითი განათლება, ქართული ფილოლოგია, სამართალმცოდნეობა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის იყვნენ გოგონებიც ტრადიციული ოჯახებიდან და მათ მშობლებს იმედი ჰქონდათ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზრუნველობას არ მოაკლებდა ახალგაზრდებს. საბოლოოდ სტუდენტთა 82%-მა გააგრძელე სწავლა.

90-იანი წლების სტუდენტებთან შედარებით ახალი ნაკადი ბევრად უფრო დამორებული აღმოჩნდა ისტორიულ რეალობასთან.

მაჰმადიანი მესხების მიერ ქართული ენის დაკარგვის პრობლემა უკვე მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დადგა, როდესაც მათ აზერბაიჯანულ ენაზე სწავლა შესთავაზეს სკოლებში. მი-

უხედავად ამისა მათი უმრავლესობა ფლობდა ქართულ ენას. ეს კარგად ჩანდა უფროსი თაობის მეტყველების მიხედვით. ჩვენი სტუდენტების პაპებმა იცოდნენ ქართული, მამებმა ცუდად ან საერთოდ აღარ იცოდნენ, ხოლო ახალმა თაობამ უკვე ქართული აღარ იცის.

მათ კავშირს აქაურ დიალექტთან, ქართულთან, ახსენებთ ისეთი სიტყვები, რომლებიც დღესაც მათს მეტყველებაში ჭარბად არის, კერძოდ: ჭანჭური, ჭინჭარი, ტყლაპი, კუტი, ბილიკი, საქვე, და სხვა. საერთო სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლება მათი იდენტობის შესახებ გარკვეული აქცენტების გაკეთება.

ასევეა გვარის საკითხი. აზერბაიჯანიდან ჩამოსული ახალგაზრდებიდან მხოლოდ ორსღა ჰქონდა ქართული გვარი. ესენია: ჩილაშვილი და კოჩალიძე. დანარჩენებმა ყველამ იცოდა თავიანთი წინაპრების გვარები, მაგრამ თავს იკავებდნენ მისი გამხელისგან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიქმნებოდა შესაბამისი პირობები, ამბობენ თავიანთ ქართულ გვარებს. მაგალითად, როდესაც ვალეში ვესაუბრეთ მათ იმ გვარების შესახებ, რომლებიც ამ სოფელში ცხოვრობდნენ, აღიარეს, რომ ვალიდან იყვნენ მათი წინაპრები და ისინი ნადირაძეები არიან. ნადირაძე ამ სოფლის ყველაზე ძველი გვარია. ჯერ კიდევ შეიძლება ამ საკითხის წამოწევა, საჭიროა ექსპედიცია აზერბაიჯანში, სადაც ცხოვრობენ ისინი და უფროსმა თაობამ კარგად იცის საკუთარი ქართული გვარები. გვარის საკითხზე აქცენტირება იდენტობის კვლევის და სწორად გარკვევის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სტუდენტთა დაფინანსება მათივე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ხდება. ამ ორგანიზაციის სათავეში ისევ მაჰმადიანი მესხები დგანან, ოღონდ სათავე ოფისი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მდებარეობს თურქეთში. სტუდენტებმა ისწავლეს ქართული ენა, ამ საქმეში ხარვეზი მათი ერთად ცხოვრების შედეგია. ოთხი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი საცხოვრებლად გადანაწილება, რადგან კვებისა და ცხოვრების დაფინანსებაც გარედან ხდებოდა, საამისოდ კი ერთგან თავმოყრა უფრო ხელსაყრელი იყო დამფინანსებლისათვის. სამწუხაროდ ჩვენს უნივერსიტეტს არა აქვს საერთო საცხოვრებელი, რომ მომხდარიყო მათი ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად თანაცხოვრება და ამით ენის შესწავლის გაადვილება.

ქართული ენის სწავლა მაჰმადიანი მესხების იდენტობის და მათი ცნობიერების ჩამოყალიბების კიდევ ერთი აუცილებელი ფაქტორია.

საკუთარი ფესვების გასარკვევად აუცილებელია პროგრამის გარეთ მუშაობა. სამწუხაროდ მოსამზადებელი კურსების შემდეგ ჩვენ საშვალეა არ გვქონდა მათთან გაგვეგრძელებინა ამ კუთხით საქმიანობა.

პირველ კურსზე დავიწყეთ ინტენსიური ექსკურსიები მათს ისტორიულ სამშობლოში, წინაპართა სოფლებში, ამასთან ერთად შევქმენით სპეციალური პროგრამა, რომლითაც ვუკითხავდით სოფელთა ისტორიას, მესხეთის წარსულის შესახებ ლექციებს, ქართულ ენას დამატებით, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა ეფექტური, რადგან მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ შესაბამის დონეზე ქართული, ხოლო შემდეგ კურსებზე, ფინანსური და სხვა პრობლემების გამო შეწყდა ამ კუთხით მუშაობა. საკუთარი ისტორიული ფესვების გარკვევა იდენტობის აუცილებელ ნაწილად უნდა იქცეს.

თუ გვინდა, რომ მათში გაიღვიძოს და გაძლიერდეს ქართული ორიენტაცია, უპირველეს ყოვლისა არ უნდა შეწყდეს მათი შემოდინება ქართულ უნივერსიტეტებში და პირველ რიგში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათი სწავლა უნდა დააფინანსოს ჩვენმა სახელმწიფომ. დღეისთვის ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა აუცილებელი პირობაა თითოეული უნივერსიტეტისათვის. ჩვენ გვეძლევა უნიკალური შემთხვევა და ამის ინიციატორი არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომ ინტერნაციონალიზაცია მოხდეს არა მაინცადამაინც ინგლისურენოვანი პროგრამით, რაც ისედაც მიღწევაში მყოფ ქართველ აბიტურიენტებს საბოლოოდ აშორებს თავის ქვეყანას, არამედ ქართულენოვანი პროგრამით მოვიზიდოთ ჩვენივე ისტორიული თანამემამულენი. მხოლოდ სასწავლებლად ჩამოყვანა ვერ გადაწყვეტს მაჰმადიანი მესხების იდენტობის საკითხს. არ შეიძლება პრობლემის იგნორირება. საჭიროა, შედგეს საერთო

პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდები და ის საკითხები რაზეც გვქონდა საუბარი. აუცილებელია, რომ ხელმძღვანელობა არ იყოს კოლექტიური, არასტაბილური. თუ სახელმწიფო თვითონ მისცემს ამ პრობლემას მიმართულებას იდენტობის საკითხი ადვილად გადაწყდება, რადგან ისინი ნამდვილად არიან ქართველები.

Merab Beridze, Maka Beridze

Samtskhe-Javakheti State University

**THE IMPORTANCE OF EDUCATIONAL SPACE FOR THE IDENTITY OF DEPORTED
MESKHETIANS
RESUME**

The Georgian population living in Meskheta gives an interesting picture historically in terms of religion. For today, Christianity in Meskheta has come in two directions: **Orthodox** and **Catholicism**.

The most important event for Meskhetais was the adoption of the Muslim faith. Meskheta is a good example of coexistence of representatives of different religions. The first Descendants of Muslim Meskhetais arrived at Samtskhe-javakheti State University in the second half of 1990s.

After a long time, certain conditions were created for Muslim Meskhetais to come from Azerbaijan in Georgia to study. In 2005-2016, 55 students were enrolled in Samtskhe-javakheti State University without Unified National Examination, in accordance with, the Law of Georgia on Higher Education.

In comparison with, the students of 90s, the new stream of Students turned out to be much more distant from the historical reality. In this article, we discuss the issues related to their identity, we express the opinion about the steps that should be taken so much that it is unequivocal that only bringing them to study will not solve the issue of the identity of Muslim Meskhetais. The problem should not be ignored, because they are real Georgians.

პროვიდენციალიზმის აღქმა დავითის ისტორიკოსის და უილიამ ტვიროსელის მიხედვით

შუა საუკუნეების ისტორიის კვლევას დიდი ტრადიცია გააჩნია. თანამედროვე პერიოდში, მას შემდეგ, რაც ისტორიის, როგორც მეცნიერების ინსტიტუციონალიზაცია მოხდა, საკმაოდ მრავალმხრივად დაიწყო შუა საუკუნეების ისტორიის კვლევა. პოზიტივისტებმა¹ ისტორიული მეცნიერება და ცოდნა გაწმინდეს მითებისგან, ხოლო ანაღთა სკოლის წარმომადგენლებმა, უკვე სულ სხვა მიმართულებით და სტრატეგიით წაიყვანეს ისტორიის, როგორც მეცნიერების შესაწავლა-გააზრების საქმე. ამ მხრივ, ლუსიენ ფევრი, მარკ ბლოკი, ფერნან ბროდელი, ჟორჟ დიუბი და სხვანი მეტად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდნენ. მათ დაიწყეს მენტალიტეტისა და აზროვნების შესწავლა. შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისას, მეტად მნიშვნელოვანია გავიაზროთ, ამ პერიოდის ხალხის მსოფლმხედველობა და მენტალიტეტი. იმისთვის, რომ სწორად ავხსნათ კონკრეტული პიროვნებების საქციელი და გავიგოთ მათი პოლიტიკა, საჭირო არის შუა საუკუნეების პერიოდის მოსახლეობის მენტალიტეტის გააზრება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია **სქოლასტიკის** და **პროვიდენციალიზმის** რაობის გააზრება.

შუა საუკუნეების ევროპისთვის, პროვიდენციალიზმს და სქოლასტიკას დიდი ადგილი ეკავა. ყოველი ქრისტიანის ცხოვრება, დამოკიდებული იყო და განისაზღვრებოდა ქრისტიანული ფილოსოფიით. ამ მხრივ, საინტერესოდ მივიჩნით განგვეხილა შუა საუკუნეების ორი ყველაზე გამორჩეული ისტორიკოსის, **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის** და ჯვაროსანთა მემკვიდრის, **უილიამ ტვიროსელის** დამოკიდებულება პროვიდენციალიზმისადმი.

სანამ, უშუალოდ ორი ისტორიკოსის შეხედულების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მივიჩნით, ორიოდე სიტყვით სქოლასტიკის და პროვიდენციალიზმის არსზე ვისაუბროთ. ეს, ხელს შეგვიწყობს უკეთეგავიაზროთ შუა საუკუნეების ავტორების მსოფლმხედველობა და აზროვნების სისტემა.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული, ქრისტიანული, აზროვნებისთვის დამახასიათებელია მოვლენების პროვიდენციალური აღქმა.² სქოლასტიკა, რომელიც თავის თავში ფილოსოფიისა და თეოლოგიის ნაზავს მოიაზრებს, მძლავრი დეოლოგია იყო, რომელიც დიდ ზაგავლენას ახდენდა ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებაზე. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, სქოლასტიკის და მისგან განუყოფელი პროვიდენციალიზმის რაობა და მისი როლი ადამიანის აზროვნების და მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში.

სქოლასტიკა, იგივე შუა საუკუნეების ფილოსოფია, იყო ერთ-ერთი წამყვანი საღვთისმეტყველო ფილოსოფიური მიმდინარეობა შუა საუკუნეების ევროპაში. სქოლასტიკაში შეჯამებული იყო, როგორც კათოლიციზმის, ასევე არისტოტელეს იდეები. შუა საუკუნეების ფილოსოფიის დასაბამი ემთხვევა კარლოს დიდის (768-814) მეფობის ხანას. კარლოს დიდი, პატივისცემით ეპყრობოდა როგორც ხელოვნებას, ასევე მეცნიერებას. მისი მეფობის დროს, საფრანგეთში არნახულ წარმატებას მიაღწია განათლებამ, რამაც კარგი საფუძველი შეუქმნა სქოლასტიკის განვითარებას.³ სქოლასტიკამ, როგორც ფილოსოფიამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა შუა საუკუნეების

¹ ლეოპოლდ ფონ რანკე, შარლ სენიობოსი, შარლ ლანგლუა.

² არა მარტო დასავლური სამყაროსთვის არსებობს ისლამური და ებრაული სქოლასტიკა, რომელსაც მსგავსი გავლენა ჰქონდა მის მიმდევრებზე.

³ სქოლასტიკამ, როგორც ფილოსოფიამ, მნიშვნელოვანწილად განაპირობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის მსოფლმხედველობა და ისტორია. სქოლასტიკა ეს არ იყო მარტო ფილოსოფია. ეს იყო ქრისტიანული

ნების დასავლეთ ევროპის მსოფლმხედველობა და ისტორია. სქოლასტიკა, ეს არ იყო მარტო ფილოსოფია. ეს იყო ქრისტიანული ფილოსოფია.ის ფილოსოფია, რომელსაც ქრისტიანული ეკლესიის უზენაესობისთვის უნდა შეექმნა მძლავრი და მყარი საძირკველი.

თვითონ ტერმინი „სქოლასტიკა“ წარმოიშვა IX საუკუნეში, სიტყვა სცჰოლა - დან. ამ ტერმინით მოიხსენიებოდნენ ახლად გახსნილი სამონასტრო და საეკლესიო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდნენ თავისუფალ ხელოვნებას,რომლის რიცხვს მიეკუთვნებოდა Trivium-ი (სამი გზა) სადაც შედიოდა: გრამატიკა, რიტორიკა და დიალექტიკა და quadrivium-ი (ოთხი გზა) სადაც შედიოდა: არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა და ასტრონომია.¹

საინტერესოა, რომ თავდაპირველად, სქოლასტიკას სულაც არ ქონდა ის დატვირთვა, რომელიც შემდგომ საუკუნეებში მიიღო. მაგალითად, ციცერონს, რომაელები სქოლასტიკოსს უწოდებდნენ, იმის გამო, რომ ის ბერძნულ ფილოსოფიას სწავლობდა. თუმცა, შემდგომ საუკუნეებში, ტერმინმა ტრანსფორმაცია განიცადა და დღეისთვის, „სქოლასტიკაში“ მოიაზრება, არა მარტო შუა საუკუნეების ფილოსოფია, არამედ ყველა ის მოძღვრება, სადაც სქოლასტიკური დებულებები და იდეები არის.²

სქოლასტიკას, როგორც ქრისტიანულ ფილოსოფიას, აქვს სამი მთავარი პრინციპი, რომლის ირგვლივაც ტრიალებს მთელი სქოლასტიკური ფილოსოფია, ესენია:

- რწმენა და ცოდნა
- ღმერთის არსებობის დასაბუთება
- უნივერსალიების პრობლემა³

XIII საუკუნეში სქოლასტიკა განვითარების უმაღლეს მწვერვალს აღწევს,⁴ ამის შემდეგ კი, შეინიშნება მისიგანვითარების დაღმასვლა, ერთგვარი უძრაობა. ყოველ შემთხვევაში, ამ განვითარების ტემპებს საერთო აღარაფერი არ აქვს განვითარების უწინდელ ტემპებთან და ზუსტად, ამ უძრაობამ, საბედისწერო როლი ითამაშა სქოლასტიკის ისტორიაში. ამ პერიოდში, თავი იჩინა სქოლასტიკის, როგორც ფილოსოფიის ნაკლოვანებებმა და დიდმა სისტემამაც იწყონგრევა. ამ ყველაფერს, კი მოჰყვა ბრძოლა პროტესტანტობასა და სქოლასტიკას შორის, რომელიც ამ უკანასკნელის მარცხით დასრულდა. ⁵

სქოლასტიკა, დროთა განმავლობაში, მტკიცდებოდა და უფრო და უფრო ფორმალური ხდებოდა. მისი აზროვნება და მისი დიალექტიკა ცარიელ სიტყვებსა და ცრუ ცნებებს ემსგავრდებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ სქოლასტიკის წარმოშობა განსაზღვრა, იმ ფაქტმა, რომ

ფილოსოფია. ის ფილოსოფია, რომელსაც ქრისტიანული ეკლესიის უზენაესობისთვის უნდა შეექმნა მძლავრი და მყარი საძირკველი.

¹ მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი III, თბილისი, 1972. გვ. 299.

² Д. Миртов, «Схоластика», 1910, Москва. გვ. 3.

³ უნდა აღვნიშნოთ, რომ უნივერსალიების პრობლემა მნიშვნელოვანი არა მარტო სქოლასტიკოსებისთვის იყო, არამედ ანტიკური ფილოსოფიისათვისაც მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტს წარმოადგენდა.

⁴ თვითონ სქოლასტიკა თავისი განვითარების სამ სტადიას გაივლის და ამის შესაბამისად სქოლასტიკური ფილოსოფიის ისტორიაც სამ ეპოქად იყოფა:

- აღმოცენების და თანდათან განვითარების (IX საუკუნე)
- გაფურჩქვნის (XIII საუკუნე)
- დაცემის პერიოდი (XIV საუკუნის შემდეგ).

⁵ თვითონ სქოლასტიკური ფილოსოფია შეზღუდულია, მას არ გააჩნია სურვილი რაიმე მოძებნოს, გამოიკვლიოს ახლებურად შეხედოს აქამდე მიღებულ რომელიმე დოგმას. სქოლასტიკისთვის საეკლესიო მამების მიერ ნათქვამი და დამკვიდრებული დოგმა ჭეშმარიტებას შეესაბამება და ის შეუცვლელია. სქოლასტიკოსები მხოლოდ იმაზე მუშაობდნენ, რომ მათი დოგმები გასაგებ ფორმებში გადმოეცათ და გაეცვლებინათ ხალხში. ზუსტად მსგავსი დამოკიდებულება გააჩნდათ მათ ანტიკურ ფილოსოფიასთან მიმართებაშიც. როგორც ვიცით სქოლასტიკოსები აქტიურად იყებენდნენ ანტიკურ ფილოსოფიას, პლატონსა და განსაკუთრებით არისტოტელეს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სქოლასტიკოსები არისტოტელეს ჯერ კარგად არც კი იცნობდნენ და არც ბერძნული ენა იცოდნენ. მათ არისტოტელეს მოძღვრება არაბული თარგმანებიდან შეითვისეს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ არაბებს ზოგი რამ არასწორად ჰქონდათ გაგებული.

დრო მოვიდა რელიგიასა და გონებას შორის შერიგება მომხდარიყო, თუმცა ეს მოსაზრება მცდარია. სქოლასტიკა ცდილობდა რელიგიისთვის დაექვემდებარებინა ფილოსოფია, ფილოსოფიით რომ გაემართლებინა და განემტკიცებინა თეოლოგიური დოგმები. ეს, კარგად ჩანს სქოლასტიკის დამოკიდებულებაშიც ფილოსოფიის მიმართ. სქოლასტიკა, არსებობის უფლებას მხოლოდ იმ ფილოსოფიურ აზრებს აძლევდა, რომლებიც შეხედულებით თეოლოგიას გამოადგებოდა და მის „უფლებებს“ გაამყარებდა და დაიცავდა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს ცნობილ ფორმულაში „philosophia est ancilla theologiae“ ანუ „ფილოსოფია არის თეოლოგიის მსახური“. ¹

დავითის ისტორიკოსი

მოვლენების პროვიდენციალური აღქმა ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი-ის მთელს ტექსტში გვხვდება. წყაროს კომპლექსურმანანალიზმა აჩვენა, რომ ავტორი საკმაოდ განსწავლული და საერთაშორისო ურთერთობებში ჩახედული ადამიანი იყო. მისთვის ცნობილი იყო ისეთი მოვლენების შესახებ, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება იყო. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: *ამასა ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს ისრუსაღლემი და ანტიოქია...* ²

დავითის ისტორიკოსი კარგად იცნობდა თავისი პერიოდის ბერძნულ წყაროებს, მას ხელი მიუწვდებოდა ფსევდოკალისტენეს, იოსებ ფლავიუსის, არისტოტელეს და სხვა ცნობილი მწერლების ნაწარმოებებზე. ასევე, კარგად იცნობდა საღვთო წერილსა და სასულიერო მწერლობის სხვადასხვა ძეგლებს.

ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი-ში უხვად ვხვდებით ციტატებს ბიბლიიდან. ასევე, გვაქვს ავტორისეული სიტყვებით გადმოცემული ბიბლიური ტექსტი. ავტორი, ბიბლიის ტექსტს საკუთარი სიტყვებით მაშინ გადმოსცემს, როდესაც ტექსტი ძალიან დიდი არის. მაგალითად, იმ ადგილას სადაც ნაბუქოდონოსორის ხლვა³ არის გადმოცემული, ტექსტი შემოკლებული არის. მზექალა შანიძის დაკვირვებით, ეს ნაწყვეტი დანიელის წიგნის უკვე ცნობილი რედაქციისგან დიდად განსხვავდება. თუმცა, განსხვავების მიუხედავად, აზრი იგივეა.

ასევე, წყაროში ვხვდებით მონაკვეთებს, სადაც ავტორი არ იმოწმებს წმინდა წერილს. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებლის გამეფების შესახებ გვიყვება ავტორი, ის წერს: *...რომელი მზა არს უფროის მამისა მოწყალისა წყალობად, რამეთუ წერილისაებრ: „არა თუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოლომელნიცა შევიქმნრნით და გომორელთამცა მივემსავსენით.“ რამეთუ ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხორებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხვარებისათა აღმოჭვრობად...⁴* მარტივი მისახვედრია, რომ ის მონაკვეთი, სადაც საუბარი სოლომსა და გომორზეა, სასულიერო ლიტერატურიდანაა, თუმცა ავტორი წყაროს არ უთითებს, განსხვავებით სხვა მონაკვეთებისაგან.

მოვლენების პროვიდენციალური აღქმა, პირველად, ტექსტის დასაწყისში გვხვდება. ავტორი აღწერს დავითს გამეფების მომენტს და მოგვითხრობს ამ პერიოდის სიძნელების შესახებ. ავტორი წერს: *მოხუცები არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუთებულ, ხოლო ჩვილნი მიმოდატაცებულ; ცეცხლი უცხვი და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებული ყოველი, მდინარესანი სისხლისანი ნაცვლად წყლისა ნაკადულთა მრწყველნი ქუეყანისანი. და, რაითა თვით იერემიასთა ვიტყოდნი, რამე თუ მან ოდენ კეთილად უწყოდა ჟამისაამის ჯეროვანი გოდება...⁵* ამ მონაკვეთში კარგად ჩანს, რომ ავტორი იცნობს იერემიას სიტყვებს და მის ციტირებას ახდენს.

¹ მ. გოგიბერიძე, რჩული ფილოსოფიური თხზულებანი, ტომი III, თბილისი, 1972. გვ. 298.

² მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 168.

³ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 218-219.

⁴ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 165.

⁵ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 160-161.

ავტორი აგრძელებს მოვლენების თხრობას და ამბობს, რომ აღსართანი,¹ კახთა მეფე წავიდა მალიქ-შაჰთან² და დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა და ამით ღონითა აღიღო სულტნისაგან კახეთი. ამით ესვეთარცა ჟამთა არავე დამშვიდნა ქუეყანაი, არღაცა-იქნა ლხინებაი კაცთა უკეთურებისათვის მკვიდრთა მისთაისა.³ ავტორი ამბობს, რომ რადგან აღსართანმა დაუტევა ქრისტიანობა და სარკინოზთა რჯულზე გადავიდა, ვითარება გაუარესდა და ლხინი აღარ იყო ქვეყნის მკვიდრთათვის. ამას, ქართველი მემატიანე შემდეგი მიზეზით ხსნის: რამეთუ ყოველმან ჰასაკმან და ყოველმა პატივმან ყოველითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიქცეს გზათაგან წრფელთა ყოველისა მიმართ უკეთურებისა; ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესოდენ განარისხეს...⁴ მემატიანე აღნიშნავს, რომ მოწყალე ღმერთი განარისხეს და თავის აზრის გასამტკიცებლად ესაიას სიტყვებს იშველიებს: *ქადებული უსჯულოთათვის ესაიას მიერ, მეტყუელისა ესრეთ: „ვიი ნათესავსა ცოდვილსა, ერი რომელი სავსე არს უსჯულოებითა კუაღითგან ფერხთათ ვიდრე თავამდე. არა არს მას შინა სიცოცხლე, არცა ბრძვილი, არცა შესახუველ“ და შემდგომნი: „ამისთვის ქუეყანაი თქუენი ოხერ, ქლაქნი ცეცხლითა მომწუარ, სოფელთა თქუენტა უცხო თესლნი მოსჭამენ, და მოოხრებულ და დაქცეულ არს ერისაგან უცხო ტომთაისა“⁵*

ესაიას ამ სიტყვებს, ავტორის გულისწყრომამოსდევს და დანანებით ამბობს, რომ ყოველივე ეს ჩვენი თვალით ვიხილეთ და ეს ყველაფერი ჩვენი ბრალია, რადგან არ მოვიზინეთ და მოწყალე ღმერთი განვარისხეთო.⁶

აღმაშენებელი

ანონიმი⁷ ისტორიკოსი, დავით აღმაშენებლის დახასიათების დროს ბიბლიურ მაგალითებს იყენებს. დავითის პირველივე ხსენებაზე ავტორი წერს: *მაშინ რისხვა მოიხსენა წყალობაიმან, რომელი სწავლის ყოველსა შეიღოსა, რომელი უყუარს, რომელი მოაკუდინებს და აცხოვნებს, როემლი მზა არს უფროის მამისა მოწყალისა წყალობად, რამეთუ წერილისაგებრ: „არა თუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოლომელნიცა შევიქმნრნით და გომორელთამცა მივემსავსენით.“* რამეთუ ამიერიტგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხვა-

¹აღსართან II იყო კახეთ-ჰერეთის უკანასკნელი მეფე (1102-1104). 1104 წელს საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერმა დიდებულებმა — არიშიანებმა შეიპყრეს და დავითაღმაშენებელს მიჰკვარეს იგი. დავითმაკახეთ-ჰერეთის სამეფო გააუქმა და საქართველოს სამეფოს შეუერთა.

² მელიქ-შაჰ აბულ-ფათხ ჯალალ-ად-დინი იყო სელჩუკთა იმპერიის სულთანი 1072–1092 წლებში. ის საქართველოს გიორგი II-ის გამეფების მეორე წელსვე შემოესია, აიღო სამშვილდის ციხე, დაარბია ქართლი და უკან გაბრუნდა. ამის შემდეგ სულთანმა განმა აიღო, მის გამგებლად სარანგი დანიშნა და მას ქართლში ლაშქრობები დაავალა. ამის შემდეგ მელიქ-შაჰმა საქართველოში მეორედაც ილაშქრა. თურქ-სელჩუკებმა კარისციხე-ქალაქი აიღეს და ჯავახეთში მდგომ გიორგი II-ს თავს დაესხნენ და დაამარცხეს. 1092 წელს თურქ-სელჩუკთა სულთანი მალიქ-შაჰი გარდაიცვალა და სახელმწიფოში შინაარეულობა დაიწყო.

³ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 163.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ *ესე ყოველი მოიწია და თუალთა ჩუენითა ვიხილეთ, და ფრიად უფროისი ამით წარმოთქმულისა: რამეთუ ვითარმცა ვინ მისცა თხრობასა ყოველი, რომელი იქნა, ანუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად, რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირივ? ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულისწყრომაი უფლისაი ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა გულისხმა-ყვათ, არცა ჯეროვნად მოვაქციეთ გზათა მიმართ უფლისა ბრძანებისათა. ამისთვისცა ქუეყანით მომავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდმონი, ღმრთივ-მოვლინებულნი გუემანი, მოიწუნეს ქუეყანასა ზედა, რათა არა თქუან მცოდველთა, ვითარმედ: „ესე აღძრვანი წარმართთანი არა ვოდვილთა ჩუენთათვის იქმნეს, არცა ღმრთისა მიერ მოიწივნეს, არამედ შეცვალებითა რათამე ჟამთათა და დამთხუევითა აღძრვისა საქმეთათა.“* მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 164.

⁷ ისტორიკოსები: ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, კ. გრიგოლია, ჯ. ოდიშელი მიიჩნევენ, რომ წყაროს ავტორი არსენ ბერი იყო.

რებისათა აღმოჭვრობად, ვინაიდან ათორმეტ წელ ამით თვითო-სახეთა ჭირთა განგრძობილთა ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა დაუდუდესმან საქმითა, სახელმოდგამან დავით ღმრთისა მამისამან, და თვით სამეოცდამეტორმეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით.¹ როგორც ვხედავთ, მემატიანე დავით აღმაშენებელს ბიბლიური დავითის თანამოსახელედ და მის შთამომავლად აღიქვამს დავითზე საუბრისას, ავტორი ხშირად მიუთითებს მეფის ღირსებებსა და დამსახურებებზე. დავითის გამეფებაზე ასე გვიყვება: მას ჟამსა, რომელსა იყო ჰასაკითა ათექუსმეტის წლის, ხოლო ქორონიკონი იყო ტ თ, ამას, მარტოდ-შობილსა გიორვისგან, თვით მამანამ დაადგა გვირგვინი მეფობისაი; უჭემშარიტესი ითქუნ: თვით მამამან ზეციერმან პოვა დავით, მონაი თვისი, და საცხებელი მისი წმინდაი სცხო; რამეთუ ხელი მისი შეეწია, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი; წყალობაი და ჭემშარიტებაი შეჰპოსა მას; და უაღრეს ყო უფროის ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, ვიდრემდის დადვა ზღუასა ზედა ხელი მისი და მდინარეთა ზედა მარჯუენე მისი; გარნა შრომითა ფრიადითა და ლუაწლითა ძლიერითა და მრავალთა დღეთა შემდგომადლა იქნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუამან ცხადყოს.²

ლიპარიტ ბაღვაშის მორიგი განდგომის მერე, მემატიანე ასე წერს დავითზე: ... *განაცხადა მტერობაი [ლიპარტმა. თ.გ.] და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა. იხილა რაი მშვიდმან და ღმრთივ-განბრძნობილმან მეფემან, რამეთუ კული ძაღლისაი არა განემარტების...*³ ბაღვაშებთან მეფის დაპირისპირება ამით არ დასრულებულა. ლიპარიტის განდგომას ბრძოლა მოჰყვა, რაც საბოლოო ჯამში ბაღვაშთა საგვარეულოს განადგურებით დასრულდა. ბაღვაშთა შესახებ ავტორი ასე აგრძელებს თხრობას: და წარმატებოდა დიდებითა და განმარჯუებულენითა, რომელთა თანა ესეცა იქნა: მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდვილვე ნაშობი იქედნეთაი, რამეთუ სუა უკუანასკნელი თხლე რისხვისაი, *სასუმელი ცოლვილთა ქუეყანისათაი და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვიდრი, რამეთუ აღიხსენა უსჯულოებაი მამათა მათთაი წინაშე უფლისა, და მამულიმათი აღილო მეფენამ.*⁴ როგორც ვხედავთ, ავტორს ორი მიზეზი მოჰყავს ბაღვაშთა გვარის განადგურების მიზეზად: პირველი წინა მაგალითში განვიხილეთ, სადაც ავტორი იწერს: „*განაცხადა მტერობაი [ლიპარტმა. თ.გ.] და უკეთურებასა იწურთიდა საწოლსა ზედა თვისსა*“ და მეორე მიზეზად მოჰყავს რატის ორგულობა და ბაღვაშთა გვარის „*უსჯულოებაიამამათა მათთაი წინაშე უფლისა*“. ავტორი, ბაღვაშების სახლის განადგურებას რელიგიური და პოლიტიკური მიზეზით ხსნის.

დავითის ისტორიკოსის სამართლიანობის და ობიექტურობის საკითხისათვის

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი შუა საუკუნეებში მოღვაწეობდა და შესაბამისად, მისი აზროვნება მისივე პერიოდის მსოფლმხედველობით განსაზღვრება. ავტორის მიერ პროვიდენციული აღქმა, უკვე ნიშნავს გარკვეული იდეოლოგიური ჩარჩოს არსებობას მის აზროვნების სისტემაში. ამისდა მიუხედავად, დავითის ისტორიკოსი ლოგიკურად, სამართლიანად და ობიექტურად მოგვითხრობს თავის ისტორიას. როგორც უკვე ვთქვით დასაწყისში, წყაროში ხშირად გვგვხვება მოვლენების პროვიდენციასლური აღქმა. მაგალითად, როდესაც რომელიმე ბრძოლაში გავიმარჯვებდით, ისტორიკოსი, ამას, ღვთის ნებას მიაწერდა. მოვლენების ამგვარი ახსნა ბუნებრივიცაა, თუმცა, ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ შემთხვევებშიც ის სხვაგვარ ახსნასაც ვეთავაზობს. მაგალითად, როდესაც დავითმა 1099 წელს უარი უთხრა სელჩუკებს ხარკის გადახდაზე, რასაც წინ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება და იერუსალიმისა და ანტიოქიის აღება უძღოდა. ამის შესახებ ავტორი შემდეგნაირად მოგვითხრობს: *ამას ჟამსა გამოვი-*

¹ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 165.

² მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 166.

³ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 168.

⁴ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 169.

დეს ფრანგნი, აღიღეს ისრუსალები და ანტიოქია. და შეწევნითა ღმერთისაითა მოეშენა ქუეყანაი ქართლისაი, განძლიერდა დავით დავანიძრავლნა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯაი. და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს; რამეთუ ვიდრე მოაქამდე ზამთრისავე მოწევნა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდვიან ჰავალას და დილუამს და ჩაღმართ მტკუარსა და იორისა პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური.¹ ამ მონაკვეთიდან ჩვენ რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეგვიძლია. პირველი, მემატიაზე კარგად იცნობდა თავისი პერიოდის სართაშორისო ურთიერთობებს, განსწავლული იყო საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიამი (წერს ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებაზე), იცოდა რისთვის მიექცია ყურადღება ისტორიის წერის დროს. და მეორე, ტრადიციულად ვხედავს ავტორის პროვიდენციალურ ხედვას, როდესაც ის ამბობს, რომ ქართლი ღვთის ნებით გათავსუფლდა. ასევე აღნიშნავს, რომ დავითმა „განიძრავლნა სპანი“ და ამ ფაქტორმაცხელი შეუწყო საქართველოს გაძლიერებას. საინტერესოა, რომ ავტორი არ უარყოფს ქართლის მდგომარეობის გაუმჯობესებაში ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყების როლს, ასევე მდგომარეობის გამჯობესების მიზეზად ასახელებს ღვთის ნებას და დავითის მიერ გატარებულ სამხედრო რეფორმას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავტორი საკმაოდ ლოგიკურად აღიქვამდა მოვლენებს, სწორად აფასებდა ფაქტებს და ბრმა ფანატიზმით არ იტანჯებოდა. ეს კი, მის წყაროსა დამონათხრობს სანდოს ხდის.

დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა, რაც მან გაატარა იყო საეკლესიო რეფორმა² და ბუნებრივია, რომ ის ავტორის ინტერესის მიღმა არ დარჩენილა. რუის-ურბნისის კრების შესახებ ასე მოგვითხრობს ქართველი მემატიაზე: *მას ჟამსა განიცადა მეფემან გონებისა თუალითა და კეთილად გულისხმა-ყო საქმე, რომლითა მოიმადლე-ბოდის ღმერთი და სარგებელი დიდი იქნებოდის; რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმერთისანი, ქუბა ავაზაკთა ქმნილ იყვნეს; და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროის, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროისნი საეპისკოპოსონი, არა კარით მწყემსებტ მსრულთა, არამედ ავაზაკებრ ერდლით; და მათნივე მსგავსნი ხუცესნი საღმრთოთა პერობისა, უსჯულოებასა აწურთიდეს მათ-ქუეშეთა. და თვით სახლით უფლისაით და მღვდელთაგან გამოვიდოდა უსჯულოებაი და ცოდვაი, რომელითა თუალი ღმრთისაი, მხედველი ყოველთაი, ესეოდნენ რისხვად აღძრულ იყო, ვითარცა ზემორე სიბყუამან განახცადა. და რამეთუ არა სწორ არს ცოდვაი მღვდლისა და მხედრისაი, არცა ერისა და მღვდელთმთავრისაი, არცა მწყემისა და სამწყსოსისაი, ვითარცა წერილ არს: „მონამან რმელმან იცოდის ნებაი უფლისა თვისისაი და არა განეკრძალოს, იგუემოს დიდად“.³*

¹ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 168.

² რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოიწვია დავით აღმაშენებელმა რუისისა და ურბნისის მახლობლად (ახლანდელი ქარელის მუნიციპალიტეტი). რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღი არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ საისტორიო წყაროში არ არის დასახლებული. ისტორიკოსები ასახელებენ სამ სავარაუდო თარიღს: 1103, 1104, 1105. კრების მოწვევას ბევრი მიზეზი ელო საფუძვლად: სამეფოს წინაშე იდგა ამოცანა – ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, აღმოეფხვრა ის დარღვევები, რასაც ქართულ ეკლესიაში ჰქონდა ადგილი (ხელდასხმის წესის დარღვევა, საეკლესიო ქონების განაგება, მცირეწლოვანთა ქორწინება და სხვა). კრების მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დავით აღმაშენებლის ერთგული მოხელე გიორგი, შემდგომში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. შემოიკრიბა რა გიორგი მთაწმიდელის იდეურ მემკვიდრეთა ძლიერი დასი, საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მკაცრად შეუტია ეკლესიის მაშინდელ მესვეურებს. კრებამ დავით აღმაშენებლის მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები ე. წ. ძეგლისწერა (რუის-ურბნისის ძეგლისწერა), რომლის ძალითაც გადააყენა უღირსი მღვდელთმთავრები; მათი ადგილი სამეფო ხელისუფლების ერთგულმა პირებმა დაიკავეს. მოწესრიგდა ხელდასხმის წესი და მოგვარდა საეკლესიო ცხოვრების ბევრი სხვა საკითხი. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარება დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამიერიდან დიდი ფეოდალები, მღვდელთმთავრების სახით, ძლიერ მოკავშირეებს კარგავდნენ. რეფორმას მხარს უჭერდნენ მოსახლეობის ფართო ფენები. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედეგებმა დიდი როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოს განმტკიცება-ცენტრალიზებაში.

³ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 1689-170.

ავტორს საკმაოდ სწორი დამოკიდებულება აქვს იმდროინდელი უღირსი სამღვდელოების მიმართ და ამბობს, რომ დავითმა თავისი საქმით *მოიმადლებოდის ღმერთთან* მოიმადლიერა ღმერთით. მემატთანე გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ *სახლნი ღმერთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ*. ის გულახდილად ჰყვება ამ პერიოდში ეკლესიაში არსებული პრობლემების შესახებ და მოვლენათა ლოგიკური აღქმის საკმაოდ კარგ უნარს ამჟღავნებს. აქ ის ფაქტიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანონიმი ისტორიკოსი დავითის ისტორიკოსია და მასზე მხოლოდ კარგს თუ დაწერდა და ყველანაირად შეეცდებოდა მისი რეფორმების და საქმეების გამართლებას, თუმცა ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც დავითს გამართლება ან უკეთეს მეფედ წარმოჩენა ესაჭიროება. ამ ამონარიდმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა ის, თუ რამდენად სწორად აღიქვამდა ისტორიკოსი მოვლენებს და რამდენად ჯანსაღი იყო მისი პროვიდენციალური ხედვა.

ამათ უკუე დიდათა წყლოულებითა კურნებად შემოკრბა კრებაი ერ-მრავალი; რამეთუ სამეფოისა თვისისა კათალიკოსი, მღვდელთმთავარი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე თვისსა ჟამსა და ადვილსა ჯეროვანსა; და მრავალი დღე გამოწულივითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომილივანჰმართეს და კეთილწესიერებაი სათნო ღმერთისაი ყოვლითურთ დაამტკიცეს; უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩუენნეს და გარდამოსთხოვნეს საყდართავან, დაღათუ არა-ადვილ იყო ესე ნათესავთა მათთა ძლიერებითა; რამეთუ იყვნენ კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრა საყდრები; და მათ წილ ჭეშმარიტნი და სათნონი ღმერთისანი მწყემსნი დაადგინნეს.¹ როგორც ვხედავთ, დავითმა კრება მოიწვია, დასადაც არა მარტო სასულიერო წოდების წარმომადგენლები, არამედ მეცნიერებიც ესწრებოდნენ. დაკვირვებისა და გამოძიების მერე, უღირსებს განაჩენი გამოუტანეს და შესაბამისად დასაჯეს- შეაჩვენეს. ავტორი წერს, რომ საკმაოდ ძნელი იყო ამის გაკეთება, რადგან უღირსი მღვდლების უკან მათი გავლენიანი ნათესავები იდგნენ. თუმცა, დავითმა მაინც შეძლო ის გაეკეთებინა, რაც სწორი იყო. იმ მაგალითებში, სადაც საუბარია რუის-ურბნისის კრებაზე, ჩვენ ვხედავთ, რომ ავტორი საკმაოდ გულახდილად გვესაუბრება იმ პრობლემებზე, რაც ეკლესიაში იყო. იმის მიუხედავად, რომ მასკარგად გამოკვეთილი პროვიდენციალური ხედვა გააჩნდა, ამ მოვლენების დამალვას არ ცდილობდა. ეს, იმის კიდევ ერთ არგუმენტად უნდა მივიღოთ, რომ დავითის ისტორიკოსი სანდო მემატანეა.

უილიამ ტვიროსელი

ისტორიული მეცნიერება და ისტორიული ფაქტი აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან. მაშინ, როდესაც ისტორიული ფაქტი ობიექტურია, ისტორიული მეცნიერება არის სუბიექტური. აქ, გამონაკლისი არც უილიამ ტვიროსელია. როდესაც მასზე, როგორც ისტორიკოსზე ვსაუბრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ. უილიამი იერუსალიმის სამეფოში დაიბადა, სასულიერო ფენის წარმომადგენელი იყო და წერდა ისტორიას, რომელიც მას მეფემ დაუკვეთა. მისი აზროვნების და მსოფლმხედველობის ეს ასპექტი, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რათა სწორად შევძლოთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის ამოღება წყაროდან. მოვლენების პროვიდენციალური აღქმა, უილიამ ტვიროსელის წყაროში, ყველგან გვხვდება. ეს, ბუნებრივიცაა XII საუკუნის მღვდლისათვის. მისთვის წერის ეს სტილი, როგორც სავალდებულო, ასევე ბუნებრივი იყო. მსგავსი სახის დამოკიდებულება გვხვდება ამ პერიოდის მუსლიმ მწერლებთანაც, თუმცა წყაროს შესწავლამ ცხადყო, რომ უილიამს პროვიდენციალიზმის თავისებური ხედვა ჰქონდა.

ავტორმა ოსტატურად მოახერხა თავისი *ისტორია* დაეწერა იმგვარად, რომ არც სასულიერო ფენა ყოფილიყო უკმაყოფილო, არც მეფე დარჩენილიყო გაწბილებული და ისტორიული რეალობაც ზუსტად გადმოეცა. ეს, კი დიდ ინტელექტსა და შრომას მოითხოვს. *ისტორიაში* კარგად გამოხატული ანტიბერძნული და ანტიმუსლიმური განწყობა შეინიშნება. ამის მიუხედავად აუცი-

¹ მზექალა შანიძე, ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, თბილისი, 1992, გვ. 171.

ლებლად მივიჩნევთ ვთქვათ, რომ უილიამ ტვიროსელი სანდო ისტორიკოსია. ამ აზრის განსამტკიცებლად გვსურს არგუმენტადმოვიყვანოთ პროვიდენციალიზმის უილიამისეული ხედვა.

როგორც უკვე ვახსენეთ, პროვიდენციალიზმი შუა საუკუნეების მწერლობაში დამახასიათებელი მოვლენაა და არც ლათინი ისტორიკოსი არის გამონაკლისი. აქ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, თუ როგორ ხედავდა თვითონ ავტორი პროვიდენციალიზმს. ნაშრომში, ყველგან, სადაც ბრძოლის შესახებ გვქვს თხობა, ავტორი ღმერთს უხდოდა მადლობას და ამბობდა „ღვთის წყალობით“ გავიმარჯვეთო, ანდა დამარცხების შემთხვევაში, მიზეზად თვით ლათინების ცოდვებს მიუთითებდა. თუმცა, მოვლენების ამგვარი ახსნის გვერდით, ის ყოველთვის გვაძლევს ამავე მოვლენების რაციონალურ ახსნას.

უილიამ ტვიროსელზე საუბრისას, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის მართლ ისტორიკოსი არ ყოფილა. მისი ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა და მიზანი *ისტორიის* წერის დროს იყო, იდეოლოგიურად განემტკიცებინა და სამართლიანად წარმოეჩინა ის საქმე, რასაც ჯვაროსნები მცირე აზიაში აკეთებდნენ. ეს იქნებოდა მუსლიმების წინააღმდეგ ომი თუ ლათინთა სამეფო-საგრაფოების დაარსება. აქედან გამომდინარე, უილიამს გააჩნდა საკუთარი კონცეფცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, თუ როგორ აღიქვამდა ის ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და მათ სამართლიანობას. **ამიტომ, მის პროვიდენციალურ ხედვად, შეგვიძლია მისი კონცეფცია მივიჩნიოთ.**

ზღვის მიღმა მომხდარი საქმეების ისტორიის ერთ-ერთი მთავარი საკითხი არის ჯვაროსნების და მუსლიმების ურთიერთობა. თვითონ *ისტორიის* დაწერის მიზანიც თავდაპირველად იყო ის, რომ ავტორს, მოეყოლა იერუსალიმის ისტორია. ბრძოლა მუსლიმების წინააღმდეგ, აღთქმულ მიწაზე, იყო წმინდა საქმე, რომელიც ყველა ქრისტიანის მოვალეობად მიაჩნდა უილიამ ტვიროსელს. ამისი ნათელი მაგალითია უილიამისეული საღვთო ომის კონცეფცია, რომელიც ნეტარი ავგუსტინეს პრინციპებზე იყო აგებული.

ისტორია თავისი არქიტექტონიკიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად: იერუსალიმის სამეფოს დაარსებამდე¹ და დაარსების შემდგომი ისტორია.² პირველ ნაწილში ჩვენ ვხედავთ მუსლიმთა წინააღმდეგ ბრძოლას, უშუალოდ იერუსალიმისთვის.

ჩვენ, შეგვიძლია მივადევნოთ თვალი, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული, თუ როგორ იცვლებოდა მდგომარეობა. თავდაპირველად, სანამ ჯვაროსნული ლაშქრობები დაიწყებოდა, ქრისტიანთა ყოფა გაუსაძლისი იყო. მათ უხდებოდათ შეურაცხყოფის ატანა. იმისთვის, რომ შესულიყვნენ იერუსალიმში, ისინი ფულს იხდიდნენ³ და სანაცვლოდ, დაცულნიც კი არ იყვნენ წმინდა ქალაქში.⁴

უილიამი ერთიანი სურათის შექმნას ცდილობს. მაგალითად, მოჰყავს ისტორია, მუსლიმთა მიერ ქრისტიანების დასჯის შესახებ.⁵

ყველგან, სადაც უილიამი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობდა, არ აქვს მნიშვნელობა ჯვაროსნები იმარჯვებდნენ თუ აგებდნენ, იგი ყველაფერს პროვიდენციალიზმით ხსნიდა. უკვე ვახსენეთ, რომ ტვიროსელი ავგუსტინესეული დოქტრინის მიმდევარი იყო. ის იზიარებდა, როგორც სამართლიანი ომის ავგუსტინესეულ გაგებას, ასევე მოვლენების პროვიდენციალურ ახსნას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უილიამი მოვლენების მართლ პროვიდენციალური ახსნით არ შემოიფარგლებოდა, რაც დადებითად მეტყველებს მასზე, როგორც ისტორიკოსზე. ტვიროსელისთვის, იმ პერიოდის სამხედრო და პოლიტიკური სიტუაცია ნათელი იყო და მის *ისტორიაში* მოვლენების რაციონალურ ახსნასაც ვხედავთ. ასე, მაგალითად XXI წიგნის მე-7 თავში, უილიამ-

¹ I წიგნიდან მოყოლებული VIII წიგნის ჩათვლით ავტორი გვიყვება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიას.

² IX წიგნიდან მოყოლებული XXIII ჩათვლით მოთხრობილია უშუალოდ იერუსალიმის სამეფოს ისტორია.

³ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.80.

⁴ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.79-81.

⁵ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.68-69.

მი საუბრობდა და ანალიზებდა იმ ფაქტს, თუ რატომ გახდა მტერი ქრისტიანებზე უფრო ძლევა-გამოსილი.¹ საინტერესოა, რომ ამ მოვლენების ასახსნელად მან სამი მიზეზი მოიყვანა. პირველ მიზეზზე, ის ასე წერდა²: „ჩვენი დიდი ბაბუები მორწმუნენი და ღვთისმოშიშნი იყვნენ და **ეხლა მათ ადვილას სუსტი თაობა წამოიზარდა, ცოდვილი შვილები, რომლებიც ფალსიფიცირებას ახდენენ ქრისტიანული რწმენის და ყოველგვარ უკანონობას ჩადიან, ყველანაირი შეზღუდვების გარეშე.**“³ უილიამის აზრით, ახალი თობის მწირმა მორწმუნეობამ გამოიწვია ღვთის რისხვა და შედეგმაც არ დააყოვნა. მიზეზის, ავტორისეული ამგვარი ახსნა, პროვიდენციალურ ხასიათს ატარებდა.

მეორე მიზეზად, ტვიროსელი ასახელებდა ბერძნების მხრიდან სამხედრო დისციპლინისა და ენთუზიზმის ნაკლებობას. ავტორი ამბობდა⁴: „ადრე, პირველები, [იგულისხმება პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის პირველი ქრისტიანული ტალღა-თ.გ.] ვინც მოვიდნენ აღმოსავლეთის მიწაზე ღვთის ნებით, სულიერი ენთუზიზმით აღტკინებულნი იყვნენ. ისინი იყვნენ **მიჩვეულნი სამხედრო დისციპლინას.** იყვნენ გაწვრთნილნი და იარაღი მათთვის უცხო არ იყო.“⁵

მესამე მიზეზად, ლათინი ისტორიკოსი, მუსლიმების კონსოლიდაციასა და გაერთიანებას ასახელებდა⁶. „ადრე, ყველა მუსლიმურ ქალაქს თავისი მმართველი ყავდა. ისინი არ იყვნენ დამოკიდებულნი ერთმანეთზე და საერთო ინტერესები არ ამოძრავებდათ. პირიქით, ხშირ შემთხვევებში, ისინი ერთმანეთის წინააღმდეგაც კი მიდიოდნენ. თუმცა სიტუაცია შეიცვალა... ეხლა, ღვთის სურვილით, ყველა **მუსლიმური სამეფო, რომელიც კი ჩვენ გვესაზღვრებოდა, გაერთიანდა ერთი კაცის ხელში.**“⁷

ჩვენ ვხედავთ, რომ ავტორს გამოყოფილი აქვს სამი ასპექტი: რელიგიური (პროვიდენციალური), სამხედრო (ლათინთა კრიზისი სამხედრო თვალსაზრისით) და ტაქტიკური (მუსლიმთა კონსოლიდაცია). ლათინი ისტორიკოსი, ერთდროულად წარმოგვიჩენდა მოვლენების ახსნას რე-

¹ საინტერესოა, რომ თვითონ ამ ქვეთავსაც ესე ჰქვია: რატომაც გახდა მტერი უფრო ძლიერი, ვიდრე ქრისტიანები. ლათინურად - Assignantur causae, quare contingat quod super populum nostrum solito amplius hostes invalescant.

² W.T. 21:7 Considerantibus ergo nobis et statum nostrum diligenter discutientibus, prima occurrit causa, in Deum auctorem respiciens; quod pro patribus nostris, qui fuerunt viri religiosi et timentes Deum, nati sunt filii perditissimi, filii scelerati, fidei Christianae praevaricatores, passim et sine delectu per omnia currents illicita; tales aut talibus peiores, qui dixerunt Domino Deo suo: Recede a nobis; scientiam viarum tuarum nolumus (Job XXI, 14); quibus merito, peccatis eorum exigentibus, gratiam subtrahat Dominus, tanquam iracundiam provectus. Tales sunt praesentis saeculi et maxime Orientalis tractus homines; quorum mores, imo vitiorum monstra, si quis diligentiori stylo prosequi tentet, materiae immensitate succumbat, et potius satyram movere videatur, quam historiam texere.

³ A history of deeds done beyond the sea, Vol. II - p. 406.

⁴ W.T. 21:7 Secunda nobis causa ex latere occurrit; quod tempore praeterito, cum illi viri venerabiles, zelo ducti divino, ardore fidei interius succensi, primum ad orientales partes descenderunt, errant bellicis assueti disciplinis, praeliis exercitati, usum habentes armorum familiarem. Populus vero orientalis e contrario, longa pace dissolutus, rei militaris expertus, inexercitatus legibus praeliorum, vacatione gaudebat. Unde non erat admiration dignum, si pauci plures sustinerent levius, aut eis devictis in bellicis eventibus meliorem calculum, et cum palma victoriam reportarent. In talibus enim (ut melius me norunt, qui sensus circa talia habent plenius exercitatos) experiential usti comparata longaevo et continuo, adversus indoctas vires et carentes industria, solet saepius obtinere.

⁵ A history of deeds done beyond the sea, Vol. II 1949- p. 407.

⁶ W.T. 21:7 Tertia quoque causa non inferior, nec minus efficax, iterum nobis se ingerit: quod priscis temporibus singulae pene civitates dominos habebant diversos, ut more Aristotelis nostrum loquamur; non subalternatim positos qui raro, paribus; frequentius, contrariis studiis agebantur. Contra quos diversa sapientes, vel saepius adversa; sibi que suspectos invicem, minore periculo decertabant; quippe qui nec ad communes injurias propulsandas facile possent aut vellent convenire; nec in nostrum leviter perniciem armarentur, qui suos nimirum non minus quam nostros formidini haberent. At nunc omnia regna nobis contermina, in unius potestatem, Domino ita sustinente, redacta sunt; nam proxime praeteritis temporibus, vir immanissimus, et nomen Christianum abhorrens, quasi pestem aliquam, Sanguinus, hujus qui nuper obit Noradini pater, post alia quae violenter occupavit regna, nostra memoria nobilem et egregiam Medorum metropolim Rages, alio nomine Edessam dictam, fidelibus qui in ea erant, neci datis, cum omnibus finibus suis occupavit violenter.

⁷ A history of deeds done beyond the sea, Vol. II 1949- p. 407.

ლიგიური და ისტორიული ფაქტორებით. ეს, მეტად მნიშვნელოვანია. ის არ იყო ჩაკეტილი ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში და შესწევდა უნარი ლოგიკური ახსნა ეპოვნა მოვლენებისთვის.

მუსლიმ-ლათინთა ურთერთობებზე საუბრისას, მეტად საინტერესოა გავიხსნათ უილიამისეული აღქმა ქრისტიანების დასუსტებისა და მუსლიმების გაძლიერებისა. აქ, კარგად შეინიშნება ის კრიზისი, რაც ბალდუინ IV-ის პერიოდში ჰქონდათ ქრისტიანებს. უილიამი, რომელიც თავის ისტორიას 1170-1184 წლებში წერდა, საკუთარი თვალთ ხედავდა სალადინის აღზევებას და იაზრებდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჯვაროსნებისთვის, ლათინთა თავდაპირველი სამხედრო სულისკვეთების დაბრუნება. შემთხვევითი არც ის ფაქტია, რომ უილიამი იდეოლოგიურად ცდილობდა ჩამოეყალიბებინა და გაემყარებინა ჯვაროსანთა უფლებები წმინდა მიწაზე.

ტვიროსელი, ასევე მოგვითხრობდა ლათინებისა და ჩვენთვის კარგად ცნობილი, ილ-ლაზის დაპირისპირების შესახებ.¹

1119 წელს, ჰაბის ბრძოლაში² ბალდუინ II-მ გაიმარჯვა და ანტიოქიის სამთავროში მშვიდობამ დაისადგურა.³ ლათინებმა მოახერხეს სელჩუკების განდევნა ანტიოქიიდან და ციხესიმაგრეები, რომლებიც ადრე მუსლიმების ხელში იყო, უკან დაიბრუნეს.

აქ, უილიამი აღნიშნავდა, რომ „ღვთის ხელმა“ დაამარცხა ილლაზი (XII წიგნი). მაშ, უილიამი ღვთის ხელად ჯვაროსნებს, ხოლო მუსლიმებთან ბრძოლას საღვთო ომად აღიქვამდა.

იერუსალიმის სხვა მეფეებთან შედარებით, ამალრიკ I-ის ლაშქრობის შესახებ, უილიამი უფრო დაწვრილებით მოგვითხრობდა. ამას შეიძლება ორი ახსნა ჰქონოდა. პირველი ის, რომ იგი, უშუალოდ, თან ახლდა ამალრიკს ეგვიპტეში ლაშქრობის დროს და მეორე, მეფე თვითონ უყვებოდა მას ლაშქრობის დეტალებს, იმ სურვილით, რომ ამ უკანასკნელს აღეწერა მისი ისტორია. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ წყარო ორივე მიზეზით ყოფილიყო ეგვიპტის ლაშქრობის დეტალებით ესოდენ მდიდარი.

პირველი ექსპედიცია, ეგვიპტეში, ამალრიკ I-მა 1163 წელს წამოიწყო. მიზეზი იყო ის, რომ ფატიმიანები, ყოველწლიურ გადასახადს არ იხდიდნენ.⁴ ამალრიკის პირველი ექსპედიცია ეგვიპტეში, წარმატებით დასრულდა. თუმცა, მან ამ გამარჯვების გამოყენება ვერ შეძლო. ნურად-დინმა, სირიაში ძალები მოიკრიბა და ჰარიმის ბრძოლაში,⁵ ბოჰემუნდ III ანტიოქიელი და რაიმუნდ III ტრიპოლელი ტყვედ ჩაიგდო. ზუსტად ამ დროისთვის, მეფე ეგვიპტეში იყო. თანამომხეთა დატყვევების შესახებ, რომ გაიგო, მან დატოვა ეგვიპტე და მათ დასახმარებლად გამოეშურა. აქ ამალრიკი შეეცადა თურქთა შემოტევები შეეჩერებინა და 1165 წელს ბოჰემუნდი, ხოლო 1173 წელს რაიმუნდი დაიხსნა მუსლიმთა ტყვეობიდან.

ავტორი, ეგვიპტის ლაშქრობის შესახებ, XIX წიგნი მოგვითხრობდა. მისი მტკიცებით, ამალრიკის შემდგომი დამარცხების მიზეზი ეგვიპტეში, მისი **რწმენის ნაკლებობა** იყო.⁶

მუსლიმების სახე უილიამთან, უარყოფითად არის წარმოჩენილი. პროლათინური და პროჯვაროსნული განწყობის განსამტკიცებლად და ჯვაროსანთა უპირატესობის დასამტკიცებლად, ის, რელიგიურ და პოლიტიკურ ახსნას მიმართავდა. მისთვის, როგორც ქრისტიანისთვის, უპირველესად, ისლამი მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა იყო, რომელიც ავიწროვებდა და ჩაგრაავდა

¹ A history of deeds done beyond the sea, Vol. II 1949, - 12 book, 13, 14 lines.

² ბრძოლა გაიმართა ბალდუინ II-ისა და ილლაზის არმიებს შორის. ამ ბრძოლის შედეგი საკამათოიყო, რადგან ორივე მხარე თავს გამარჯვებულად თვლიდა.

³ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 517-556.

⁴ ფატიმიანების სახალიფოსა და ბალდუინ III-ს შორის შეთანხმების თამაზმად.

⁵ 1163 წელს იერუსალიმის მეფე ამალრიკი ეგვიპტეში შეიჭრა, რის შემდეგაც ჯვაროსანთა ქვეყნები აღმოსავლეთის მხრიდან დაუცველნი დარჩნენ. ამით ისარგებლა ზანჯიმ, მაგრამ მოულოდნელად იგი დაამარცხა ქრისტიანთა გაერთიანებულმა არმიამ ალ-ბუჟაის ბრძოლაში. ამ ბრძოლის დროს თვითონ ზანჯიც ძლიერ გადარჩა ცოცხალი. შემდეგ იგი დაიმრა ჩრდილოეთით, მოიხმო მუსლიმი მმართველები, შეიჭრა ანტიოქიის სამთავროში და ალყა შემოარტყა ჰარიმის ციხეს (1164). ბრძოლა 1164 წლის 12 აგვისტოს მოხდა.

⁶ John Gordon Rowe and Peter W. Edbury -William of Tyre: Historian of the Latin East p. 157.

ქრისტიანებს აღმოსავლეთში. ამის შესახებ ავტორთან კვითხულობთ¹: „რომის იმპერატორის ჰერაკლეს პერიოდში, ანტიკური ისტორიის და აღმოსავლური ტრადიციის მიხედვით ვიცით, რომ მუჰამედის მავნე დოქტრინამ მოიკრიბა ძალა და ფეხი მოიკიდა აღმოსავლეთში. ამ სატანის შვილმა და ცრუმ, განაცხადა, რომ ის იყო ღმერთისგან გამოვზავნილი წინასწარმეტყველი და ამით შეცდომაში შეიყვანა აღმოსავლეთი, განსაკუთრებით კი არაბეთი. მისი შხამიანი თესლი, რომელიც მან დათესა, ისე ვალვიდა პროვინციებში, რომ მისმა შთამომავლებმა, იარაღი და ძალადობა არჩიეს ქადაგებასა და შეგონებას. ამითი ისინი აიძულებდნენ ხალხს, უხალისოდ ელიარებინათ წინასწარმეტყველის მცდარი დოქტრინა.“²

მოხმობილი ციტატადან ნათლად ჩანს, რომ უილიამის უარყოფითი დამოკიდებულება, არა უშუალოდ ხალხზე, არამედ მუჰამედსა და მის მეთოდებზე ვრცელდებოდა. მისთვის, ისლამი იყო ისეთი რელიგია, რომელიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანულ პრინციპებს.

ამთავითვე საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უილიამ ტვიროსელის დამოკიდებულება ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი. ამის დასასაბუთებლად მას რამდენიმე არგუმენტი მოყავს, რათა მკითხველმა ჯვაროსნული ლაშქრობა, ანუ ქრისტეს საფლავის მუსლიმებისგან გამოსხნა, სამართლიანად და კანონიერად აღიქვას.

ავტორის თანახმად, არაბთა ექსპანსიის შემდეგ ჩრდილოეთ აფრიკასა და მცირე აზიაში, ქრისტიანებისადმი დამოკიდებულება არ გაუმჯობესებულა. პირიქით, გაუარესდა და დროთა განმავლობაში, ეს პრინციპულად აუტანელი და მიუღებელი გახდა იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანებისათვის, რომლებსაც მუსლიმები ფლობდნენ.

ტვიროსელის სიტყვებით, ცხადია, იმ დროინდელი მსოფლმხედველობის მიხედვით, „ღმერთის საყვარელი წმინდა ქალაქი“³ ურწმუნოთა ხელში, ქრისტიანების ცოდვების გამო ჩავარდა. წლების განმავლობაში, ხალხი დაუმსახურებელი ტყვეობის ქვეშ იყო, შეურაცხყოფასა და დამცირებას ითმენდა, გაჭირვებასა და მონურ მსახურებაში ცხოვრობდა. მომლოცველ ქრისტიანებს ფული უნდა გადაეხადათ,⁴ რათა შესულიყვნენ იერუსალიმში. მათ კი ვისაც ფული გზაში ეკარგებოდა ან რაიმე სხვა მიზეზით არ გააჩნდათ, შესვლა ეკრძალებოდათ. ისეც ხდებოდა, რომ ქალაქში შესვლის მოლოდინში ხალხი შიმშილით იხოცებოდა. დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ რა მუსლიმი მმართველები, მათი დამოკიდებულებაც ქრისტიანებისადმი იცვლებოდა. ხშირ შემთხვევაში, ქრისტიანები წინანდელთან შედარებით უარეს მდგომარეობაში ვარდებოდნენ, თუმცა იშვიათი გამონაკლისებიც იყო, როდესაც მათ ამოსუნთქვის საშუალება ჰქონდათ. მაგალითად, ასე მოხდა, როდესაც ჰარუნ არ-რაშიდი⁵ აბასიანებს ჩაუდგა სათავეში. მას საკმაოდ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ქრისტიანებთან, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, კარლოს დიდთან მის კეთილდამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ უილიამის

¹ W.T. 1:1 Tradunt veteres historiae, et id ipsum etiam habent Orientalium traditiones, quod tempore quo Heraclius Augustus Romanum administrabat imperium, Mahumeth primogeniti Satanae (qui se prophetam a Domino missum mentiendo, Orientalium regiones, et maxime Arabiam seduxerat) ita invaluerat doctrina pestilens, et disseminatus languor ita universas occupaverat provincias, ut ejus successores jam non exhortationibus vel praedicatione, sed gladiis et violentia in suum errorem populous descendere compellerent invitos.

² A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.60.

³ იერუსალიმი იერუსალიმი.

⁴ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.80.

⁵ ჰარუნარ-რაშიდი აბასიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. ის ხალიფა 766 წელს გახდა. ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და სახელმწიფოს განაგებდა ბარმაქიანთა გვარის ვეზირების დახმარებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ირანის ფეოდალურ არისტოკრატას. 803 წელს მათი ჩამოცილების შემდეგ გახდა ერთპიროვნული მმართველი. ჰარუნარ-რაშიდის დროს სახალიფოში განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა და კულტურა, აყვავდა ლიტერატურა. ჰარუნარ-რაშიდი განაგრძობდა ბრძოლას ბიზანტიასთან. გარდაიცვალა შუა აზიაში სამხედრო ლაშქრობის დროს.

დამოკიდებულება ჰარუნ არ-რაშიდისადმი დადებითია. იგი, ერთი წიგნის მთელ ქვეთავსაც¹ კი უძღვნის მას.²

სპარსელები და ეგვიპტელი არაბები ერთმანეთს ეცილებოდნენ მცირე აზიაში პირველობისათვის და ეს ქრისტიან მორწმუნეებზე მიძიდულ აისახებოდა. მას მერე, რაც ფატიმიანებმა ანტიოქია და იერუსალიმი დაპყრეს, ქრისტიანების მდგომარეობა ცოტათი გაუმჯობესდა, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, სიტუაცია უფრო სავალალო ხდებოდა. მას შემდეგ, რაც ალ ჰაქიმი (996-1021)³ გახდა ხალიფა, ქრისტიანების მდგომარეობა გაუარესდა. მან გაანადგურა აღდგომის ტაძარი იერუსალიმში, რომელიც თავის დროზე იერუსალიმის პატრიარქმა მაქსიმმა (333-348) ააშენა იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით და რომელიც შემდეგ მოდესტოსმა (632-634) განაახლა ჰერაკლე კეისრის დროს.⁴

ჰაქიმის დედა ქრისტიანი იყო და ამიტომ ის ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ისლამისადმი თავისი ერთგულება დაემტკიცებინა. ამას ის ფაქტიც ემატებოდა, რომ ის აღიარებდა ისლამიზმს და მის მიმდევრებს აქტიურ დახმარებას უწევდა. მისი ერთგული მსახური და რამლას განმგებელი, იარუკი პირადად ხელმძღვანელობდა ხალიფას ბრძანებას და ქრისტიანულ სიწმინდეებს ანადგურებდა. აღდგომის ტაძრის დანგრევა 1009 წელს დაიწყო და მას მოყვა მთელს სირიაში ქრისტიანული ტაძრებისა და სინაგოგების განადგურება. გარდა ამისა, ქრისტიანებისათვის საბაჟო გადასახადები გაიზარდა, მათ ჩამოერთვათ ის პრივილეგიები, რაც ადრე ჰქონდათ. მათ უკრძალავდნენ რა ქრისტიანული რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების ჩატარებას, იძულებულნი იყვნენ მალულად ემოქმედთ სახლებში, თუმცა არც ეს იყო უსაფრთხო. როდესაც რაიმე რელიგიური დღესასწაული იყო, შიშით გარეთ ვერ გამოდიოდნენ⁵. თუმცა, როგორც უკვე ვახსენეთ, არც სახლი იყო უსაფრთხო. ყოველთვის შეიძლებოდა სახლებში თავს დასხმოდნენ სარკინოზები და სხვადასხვა ბრალდებით დაეპატიმრებინათ. დაპატიმრების შემდეგ კი ყოველგვარი გასამართლების გარეშე სჯიდნენ, ხშირად სიკვდილით. მათ ქონებას ართმევდნენ, ადგილ-მამულებს ისაკუთრებდნენ. ასევე ხშირი იყო ლინჩის წესით გასამართლება, რაც ძირითადად რელიგიური მიზეზით ხდებოდა⁶. მსგავსი სახის შემთხვევები ხშირი იყო და ეს ნელ-ნელა ამწიფებდა იმ აზრს, რომ ქრისტიანებს რაიმე უნდა ელონათ ქრისტეს საფლავის დასაბრუნებლად და მუსლიმთა უღლისგან თავის დასაღწევად. ტვიროსელი თავის წიგნში *ზღვის მიღმა საქმეების ისტორია-ში* წერდა⁷: „დიდ დროს წაიღებს იმ ინდივიდუა მაგალითს მოცივანთ თქვენო უდიდე-

¹ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.64.

²W.T. 1:3 Diebus tamen illius admirabilis et praedicandi viri, Aarum videlicet, qui cognominatus est Ressith, qui universe praefuit Orienti (cujus liberalitatem et urbanitatem praecipuam, et mores singulariter commendabiles, universus etiam usque hodie Oriens admiratur, et praeconiis attollit immortalibus) interventu piissimi et immortalis memoriae viri, domini videlicet imperatoris Caroli (qui mutuam, intercurrentibus nuntiis frequentibus, inter se gratiam et mirabilia subnixam foedere, conciliaverant), plebi Dei tranquillitas praestita est, et favor principis clementer indultus ad multam consolationem; ita ut magis sub imperatore Carolo, quam sub dicto principe degree viderentur. De quo ita legitur in Vita praedicti viri gloriosi: Cum Aarum, rege Persarum, qui, excepta India, totum pene Orientem tenebat, talem habuit in amicitia concordiam, ut is gratiam ejus, omnium qui in toto orbe terrarum errant regum ac principum amicitiae praeponeret, solumque illum honore ac magnificentia sibi colendum judicaret. Ac proinde cum legati ejus, quos cum donariis ad sacratissimum Domini ac Salvatoris nostril sepulcrum locumque resurrectionis miserat, ad eum venissent, et ei domini sui voluntatem indicassent, non solum quae petebantur fieri permisit, sed etiam sacrum illum et salutarem locum, ut illius potestati ascriberetur, concessit, et revertentibus legatis suos adjungens, inter vestes et aromata, et caeteras Orientalium terrarum opes, ingentia illi dona direxit: cum ei ante annos paucos, eum quem tunc solum habebat, roganti mitteret elephantem.

³ ფატიმიანების მე-6 ხალიფა, ის გამოირჩეოდა ქრისტიანების მიმართ სისასტიკით.

⁴A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.66.

⁵ 1004 წელს გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც ფატიმიდების სამფლობელოებში მცხოვრებ ქრისტიანებს აკრძალათ ნათლისღებისა და აღდგომის დღესასწაულების აღნიშვნა.

⁶ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.70.

⁷W.T. 1:5 Qui autem pro tempore erat illis patriarcha, is primum injurias excipiebat et opprobria; tum eos et publice et secretius ad longanimitatem invitans, pro temporalibus quae patiebantur malis, coronas promittebat

ბულებსობავ,¹ რათა გაიგოთ როგორი მარტივი მიზეზით ისჯებიან ისინი [ქრისტიანები-თ.გ.] სიკვდილით. იქ [იერუსალიმში-თ.გ.] ცხოვრობდა ერთი ურწმუნო კაცი, რომელიც მოლაღატე და ბოროტი იყო, რომელიც დიდი სიძულვილით დევნიდა ჩვენს ხალხს [ქრისტიანებს-თ.გ.]. ამ კაცმა შეიმუშავა გეგმა, რათა გაენადგურებინა ისინი [ქრისტიანები-თ.გ.]. ერთ დღეს მან მალულად დაავლო ძაღლის ჩონჩხი სალოცავის [მუსლიმური-თ.გ.] ეზოში, რომლის სისუფთავეს მთელი ქალაქი დიდი სკურპულოზურობით ეკიდებოდა. მლოცველებმა, [მუსლიმებმა-თ.გ.] რომლებიც მეორე დღეს მოვიდნენ სალოცავში, აღმოაჩინეს ცხოველის გვამი და გაცოფებულებმა მთელი ქალაქი ტირილით აიკლეს. მოსახლეობამ, უცბად მოგროვილმა ეკლესიის გარშემო, დაასკვნა, რომ ეს ქრისტიანებმა ჩაიდინეს. კიდევ რა უნდა ვთქვა? სიკვდილით დასჯა მიესაჯა ყველა ქრისტიანს, რადგან ეს ერთადერთ საშუალებად იქნა მიჩნეული, რომ მათ [ქრისტიანებს-თ.გ.] ეს მკრეხელობა გამოესყიდათ. მორწმუნეების [ქრისტიანების-თ.გ.] მკვლელობა ვრძელდებოდა მანამ, სანამ ერთი სიწმინდით აღსავსე კაცი არ მოვიდა და არ შესთავაზა საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა. ეს ძალიან დიდი საშინელებაა ძმებო-თქვა მან, -რომეცელა ქრისტიანი უნდა დაიღუპოს ასე. უფრო უკეთესი იქნება, რომ ერთმა კაცმა გაიღოს საკუთარი სიცოცხლე, რათა სხვები გადაარჩინენ. [იერუსალიმში-თ.გ.] დამპირდით, რომ ყოველ წელს მოწიწებით მომიხსენიებთ და პატივსა და ღირსებას მიჰკვრივთ ჩემს ოჯახს სამუდამოდ. ამ პირობებით და ღმერთის ბრძანებით, მე თქვენ გაგათავისუფლებთ ამ ხოცვა-ჟლეტისგან შეძლევ ახალგაზრდა კაცი ეახლა იერუსალიმის განმგებელს და გამოაცხადა, რომ ის იყო დამნაშავე. ამ ვხით მან დაამტკიცა სხვა ქრისტიანების უდანაშაულობა, მოსამართლეებმა კი სხვები [ქრისტიანები] უდანაშაულოდ სცნეს, ამ კაცს კი სიკვდილი მიუსაჯეს. მან თავისი სიცოცხლე გაწირა ძმებისთვის, მან ეს ნაბიჯი ღვთისმოსაობის წყალობით გადადგა. ის შეხვდა სიკვდილს, ყველაზე დალოცვილ ძილს, იმაში დარწმუნებულმა, რომ ღმერთის თვალში მან მადლი შეიძინა.“²

ამ ამბიდან კარგად ჩანს, თუ როგორ უსამართლოდ ექცეოდნენ ქრისტიანებს მუსლიმები, თუ როგორ ყოველგვარი გამოძიებისა და განსჯის გარეშე სჯიდნენ სიკვდილით. როგორ სწამებდნენ ცილს და აყენებდნენ შეურაცხყოფას. დროთა განმავლობაში, ქრისტიანების გულში პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობა იღვიძებდა. მათთვის იერუსალიმი, უბრალოდ წმინდა ქალაქს არ წარმოადგენდა, სადაც ბევრი სიწმინდე და ტაძარი იყო. ეს იყო ის ადგილი, სადაც ყველაზე დიდი სიწმინდე, ქრისტეს საფლავი მდებარეობდა.

sempiternas. Cujus verbis et exemplo commoniti, transitorias pro Christo contemnentes injurias, se invicem mutual charitate consolabantur. Referre per singular longum esset, quanta in propriis corporibus praedicti servi Dei pertulerint tormenta, ut haeredes fierent in domo Domini, et ut leges aemularentur paternas. Unum tamen de tot millibus, exempli gratia, producamus in medium, ut per haec deprehendat vestra dilectio, quam ex frivolis causis ad ultima supplicia rapiebantur. Quidam civis ex infidelibus nostros odio persequens insatiabili, vir perfidus et nequam, ut eis aliquid ad mortem moliretur, morticinum canis clam projecit in atrium templi, in cuius munditia conservanda, ejus custodes et universa civitas omnem impendebant sollicitudinem. Mane facto, qui orationis gratia accesserunt ad templum, reperientes immundum cadaver et fetens, pene ad insaniam versi, universam urbem repleverunt clamoribus. Concurrunt subito populus universus, et omnes asserunt pro constanti, Christianos hoc fecisse. Quid plura? Decernitur interitus universis, et tam piaculare flagitium morte piandum judicatur. Fideles porro de sua confidentes innocentia, mortem pro Christo parati errant subire. Dumqu eadessent spiculatores eductis gladiis ut populum interimerent, obtulit se adolescens plenus spiritu, dicens: Periculosum est, fratres, si ita perit omnis haec ecclesia. Expedit magis ut unus moriatur pro populo, et non tota gens pereat. Concedite mihi, ut mei habeatis annuam in benedictione memoriam, et generi meo honor in perpetuum debitus conservetur; ego vero, auctore Domino, hanc a vobis stragem depello. Susceperunt igitur gratanter verbum, et quod ille petierat, ultroconcedunt. Et ut in Ramis palmarum adperennem ejus memoriam, contribules ejus olivam, quae Domini nostri Jesu Christi significative est, introducant in civitatem, in processione solemnem, confirmant. Quo facto, praedictus adolescens primatibus se offert civitatis, reum se confitetur, et omne salios astruit innocentes. Quod audientes iudices, aliis absolutis, illum gladio exposuerunt. Et ita pro fratribus animam ponens, cum pietate dormitionem accepit, optimam in Domino habens repositam gratiam.

¹ ავტორმა ნაშრომი მიუძღვნა ამაღრიკ I, შესაბამისად მას მიმართავს.

² A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 68-69.

მუსლიმებს აკრძალული ჰქონდათ, ქრისტიანებისთვის ყველაზე წმინდა ადგილზე ლოცვა, ხოლო თუ დაიშვებოდნენ, ისიც თანხის გადახდის და შეურაცმყოფის ატანის შემდეგ. მუსლიმებისთვის ეს იგივე იქნებოდა, მათთვის მექა და მედინა, რომ წაერთმიათ, იქ შესასვლელად ფულის გადახდა, რომ დასჭირვებოდათ, ხოლო ლოცვა და სხვადასხვა რელიგიური რიტუალების და დღესასწაულების ჩატარება აკრძალული ჰქონდათ. შუა საუკუნეების ადამიანის, განსაკუთრებით პილიგრიმის და წმინდა მიწაზე მცხოვრები ქრისტიანების სიცოცხლეს მაცხოვარის რწმენა ასაზრდოებდა. მიუხედავად ამისა, ავტორი მიზეზთა ჯაჭვში ქრისტიანთა ბრალსაც ხედავდა. კერძოდ, შემთხვევითი არ არის, რომ ის, უკვე ხსენებულ თავის ნაშრომ *ზღვის მიღმა საქმეების ისტორია-ში*, ნებისმიერი უბედურების მიზეზად ქრისტიანების ცოდვებს ასახელებდა. ამის არგუმენტად, უილიამი იშველიებდა პეტრე მეუდაბნოეს იერუსალიმში მოსალოცად ჩასვლის ამბავს. ავტორის მიხედვით, იერუსალიმში ჩასულ პეტრეს, იქ საკმაოდ რთული სიტუაცია დახვდა და იერუსალიმის პატრიარქთან საუბრის შემდეგ სერიოზულ გადაწყვეტილება მიიღო: აღმოსავლეთ ქრისტიანების გასაჭირი, დასავლეთელ ქრისტიანებისთვის გაეცნო და რაც მთავარია პაპამდე მიეტანა ქრისტიანების პრობლემები.¹ ბუნებრივია, ამაში გადამწყვეტი მნიშვნელობა რომის პონტიფიქსს ენიჭებოდა. 1095 წელს კი კლერმონში გამოსვლის შემდეგ, ურბან II ოფიციალურად მოუწოდა ყველა ქრისტიანს წმინდა მიწის დასაბრუნებლად აიესხათ იარაღი.

ქრისტიანს წმინდა მიწის დასაბრუნებლად აიესხათ იარაღი და დაებრუნებინათ უფლის საფლავი.

ამგვარად, ჩვენ წარმოვაჩინეთ უილიამისეული ხედვა პროვიდენციალიზმისა, რაც მის საღვთო ომის კონცეფციაში და მის არგუმენტაციაში გამოიხატებოდა. თვალნათლივ დავინახეთ რითი ხელმძღვანელობდა და რა არგუმენტები მოყავდა, როდესაც ჯვაროსნების ლაშქრობებზე საუბრობდა და მათ სამართლიანობას ადგენდა.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ ორი ისტორიკოსის დამოკიდებულება პროვიდენციალიზმისადმი. დავინახეთ ის მსგავსებები და განსხვავებები, რაც ამ ორ მემატთანეს ჰქონდა. დავითის ისტორიკოსის მოვალეობა, დავით აღმაშენებლის ისტორიის მოყოლა იყო, ამისთვის კი იყენებდა სხვადასხვა ლიტერატურულ საშუალებას, მოჰყავდა ციტატები ბიბლიიდან და სასულიერო ლიტერატურიდან. წყაროს ანალიზმა აჩვენა, რომ ქართველი მემატთანე სამართლიანი და ობიექტური იყო, ჰქონდამოვლენათა აღქმის ლოგიკური უნარი და არიყო მოქცეული კონკრეტული იდეოლოგიის ჩარჩოში. უილიამ ტვიროსელის მსჯელობაზეც იგივეს თქმა შეგვიძლია. ის სანდო და სამართლიანი ისტორიკოსი იყო. თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ტვიროსის არქიეპისკოპოსი ჯვაროსნული ლაშქრობების იდეოლოგი და სტრატეგოსი იყო, ამიტომ, მისი პროვიდენციალური ხედვა უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, არგუმენტებიც უფრო პოლიტიკური ჰქონდა. უილიამისეული პროვიდენციალიზმის აღქმა, მისი სამართლიანობის ომის დოქტრინაში გამოიხატებოდა. ეს კი, პროვიდენციალიზმის საინტერესო და უნიკალური ინტერპრეტაციაა.

¹A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p.82-84.

Tea Gogolishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**PRINCIPLES OF PROVIDENTIALISM ACCORDING TO DAVID'S HISTORIAN AND
WILLIAM OF TYRE
RESUME**

In medieval Christian world, we often see explanation of everyday events with providentialism principles. In this case, for us it is very valuable and noticeable medieval sources, where we often see that point of view. David the builder's historian's writing "Life of king of kings David" and William of Tyre's "A history of deeds done beyond the sea" is very good example of providential thinking. David the builder's historian tells us history of kingdom of Georgia from XI to XII century. This is the period of rising and building of kingdom of Georgia, when it became one of the most strongest and developed countries on the middle east. In William of Tyre's text we see history of kingdom of Jerusalem in XII century. For both state it was very important Christianity, so it is quite natural that we see influence of Christian thinking in this writings.

For us it is important to compare this two points of view with each other, stick out equivalences and differences. This subject is interesting insofar studying of this field we can realize that periods reality, to understand how people minded and what kind of ideology they had in middle ages.

last analysis the subject is as significant and urgent for history as for religion standpoints. Also flowing from matter of article it is important for western European historiography because on this thematic we almost don't have research. This gain to article novelty.

გერმანელი კოლონისტები და ალკოჰოლური სასმელების სამრეწველო წარმოება საქართველოში

ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობის ისტორია საუკუნეებს ითვლის. მრავალი გერმანელი მოგზაური აღფრთოვანებულია ჩვენი ქვეყნისა და ბუნების სილამაზით. ბევრის შემოქმედებისთვის კი საქართველო მუზის შთაგონების წყაროდაც ქცეულა.

ქართველი და გერმანელი ხალხის ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველოში მე-19 საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსეთის ცარიზმის ინიციატივით გერმანელი კოლონისტები დამკვიდრდნენ.

თავად რუსეთში გერმანელების მისვლას ხელი შეუწყო 1762-1764 წლებში გამოქვეყნებულმა მანიფესტმა, რომელთა მიხედვითაც უცხოელებს იწვევდნენ სხვა და სხვა ქვეყნიდან. პირველი გერმანელი დასახლებები 1764 წლიდან აღმოცენდა სამხრეთ გულაგზე მოგვიანებით მათ შეუერთდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც: ფრანგები, შვეიცარიელები, ჰოლანდიელები, რომლებიც გერმანიიდან გადმოსახლებულებთან ერთად, უკვე ამ დროიდან ითვლებიან ვოლგისპირელ გერმანელებად.¹ მეფის ხელისუფლების წყალობით გერმანელები რუსეთში ჩამოსახლებიდანვე სარგებლობდნენ პრივილეგიებით.

ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, გერმანელთა კოლონიზაციას ცარიზმი ხელს უწყობდა პოლიტიკურ და ეკონომიკური მოსაზრებებით. ეკონომიკური პოზიცია იგივე იყო, რაც რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეების კოლონიზაციისა: დაუსახლებელი ადგილების ათვისება და ეკონომიკური გამოცოცხლება. ცარიზმის პოლიტიკური თვალსაზრისი იმაში გამოიხატებოდა, რომ საქართველოს კოლონიზაციით თავისი დასაყრდენი გაეჩინა ადგილობრივ მოსახლეობაში.²

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოსახლებულ გერმანელთა უმეტესობა ხელოსნები იყვნენ, მიწა, როგორც მეურნე, ყველამ მიიღო. ისინი თავდაპირველად ქირაობდნენ ადგილობრივ მცხოვრებთ. გამოდის რომ ჩამოსახლებულ გერმანელთა ნახევარი მიწის დამუშავებას ეწეოდა იმ ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით, რომელთაც მამაპაპისეული მიწა-წყალი გამოსტაცა და თვითონ მიითვისა.

მეფის მთავრობამ გერმანელთათვის უხვად მოხსნა ქისას პირი. თითოეულ ჩამოსახლებულ ოჯახზე დახმარების სახით გასცა 2800 მანეთი. ეს იმ დროს, როდესაც სპარსეთიდან გადმოსახლებულ სომხებს მისცენ კომლზე 25 მანეთი, ხოლო ოსმალეთიდან გადმოსახლებულ ბერძნებს კი მხოლოდ 10 მანეთი. უფრო მეტიც, სომხებს და ბერძნებს სესხი უკლებლივ გადაახდევინეს. გერმანელებს აუნაზღაურენ ყველა ის ხარჯი, რაც მათ გასწიეს, როგორც რუსეთამდე, ისე რუსეთში მოგზაურება-ცხოვრების დროს.³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსახლებული გერმანელებიდან ცოტა იყო მიწის მუშა. მათში ჭარბობდნენ ხელოსნები: მეშეშეები, მეღუქნეები, მეუნაგირეები, ლურსმნი მჭედლები, მესაათეები, ხარატები, ნემსის მკეთებელნი, ზეინკლები, მეიარაღნი, ეტლის მკეთებელნი, მეპურეები, მეკასრეები, დურგლები, მეჩექმეები, კალატოზები, ლუდის, კონიაკის და არაყის ოსტატები და ა.შ.

სწორედ ალკოჰოლური სასმელების ოსტატებზე გვიანდა ვისაუბროთ ჩვენს სტატიაში.

¹ ავ. სონლულაშვილი. გერმანელები საქართველოში, თბ. 1995, გვ. 5.

² მ. შაშიაშვილი. თბილისის გერმანული გაზეთი „აკაკაზიშე პოსტ“ (1906-1921), კრ. „საქართველო და ევროპის ქვეყნები“, თბ. 1991, გვ. 43.

³ შ. ქუთიძე. ქვემო ქართლში გერმანელი ახალშენების ისტორიის საკითხისათვის, ჟურ. „მაცნე“ 1967, №4, გვ. 117.

საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში საფუძვლიანი გარდატეხა განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. ამ პერიოდში ფართო ხასიათი მიიღო სავაჭრო, სააღმშენებლო და სამრეწველო წარმოების განვითარებამ. საგლეხო რეფორმის შედეგად უამრავი თავისუფალი მუშახელის წარმოებაში დასაქმებამ, რკინიგზის მშენებლობამ, ამიერკავკასიის, რუსეთისა და მსოფლიო ბაზართან საქართველოს დაკავშირებამ და სხვა მოვლენებმა უდიდესი როლი ითამაშა იმაში, რომ საქართველო მტკიცედ დადგომოდა კაპიტალისტური განვითარების გზას.

მრეწველობის ცალკეული დარგების, ცალკეულ საწარმოთა ისტორიის შესწავლის აუცილებლობამ განაპირობა სპირტის, არაყის, კონიაკის და ლუდის სამრეწველო საწარმოების ისტორიის გამოკვლევა.

საქართველოში არაყის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენში იგი ძირითადად მევენახეობა-მელვინეობასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ბარში არაყის გამოხდა უმეტესწილად ყურძნის ნარჩენებისგან ხდებოდა, მთაში ამ მიზნით მარცვლეული კულტურები გამოიყენებოდა. ფეოდალურ საქართველოში უძველესი დროიდან იცნობდნენ ქერის, ხორბლის, სიმინდის, ხილის, თაფლის და სხვა სახის არაყს. ოთხთავისა და დაბადების ქართულ თარგმანში იხსენიება დამატობელი სასმელი „იყი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „იყი ქართულად არაყს ჰქვია“.¹

ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, ფეოდალურ საქართველოში არაყს „შესამჩნევი პატივი ჰქონდა მინიჭებული“, არც ერთი ლხინი, ნადიმი და ჭირი ისე არ გაიმართებოდა, რომ ღვინოსთან ერთად არაყიც არ ჰქონოდათ. მაგრამ საუკეთესო ღვინოების დაყენების და მათი უხვი მოხმარების გამო საქართველოს ბარის მცხოვრებნი არაყის სმას არ ეტანებოდნენ. ისინი უფრო მეტად ღვინოს სვამდნენ. არაყის დამზადებას და სმას უმეტესად მთიელნი მისდევდნენ.²

არაყი და სხვადასხვა ბალახეულისგან გამოხდილი ნაყენი ფეოდალურ საქართველოში ძირითადად სამკურნალოდ გამოიყენებოდა. დასავლეთ საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობდნენ ლიქიორისა და შარტრეზის ტიპის სასმელს „ბარამბოს“, რომელსაც კუჭის ძლიერი ტკივილებისა და ციებ-ცხელების შემთხვევაში გამოიყენებდნენ. საქართველოში უძველესი დროიდან იხმარებოდა „ვარდის წყალი, ბუდ მუშკი, იის შარბათი, ლილიფარი და სხვა არაყები“. გვაუწყებს ვახტანგ მე-8 სამართლის წიგნი „დასტურლამული“.³

ფეოდალურ საქართველოში არაყს მრავალ ოჯახში ამზადებდნენ, რაც ძირითადად ოჯახის საჭიროებას ხმარდებოდა და სასაქონლო ხასიათი არ ჰქონდა.

მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველო დაპყრობილი აღმოჩნდა რუსეთისგან. საქართველოს კუთხეებში რუსეთის ჯარის დამკვიდრებამ, არაყზე გაზარდა მოთხოვნილება, მაგრამ ფეოდალური, ბატონყმური წარმოების წესზე დამყარებულ საქართველოს საკუთარი წარმოებით და სასმელით რუსეთის ჯარის დაკმაყოფილება არ შეეძლო. ქვეყნის სამეურნეო და ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებამ საქართველოში არაყით ვაჭრობისა და მისი წარმოების ზრდა გამოიწვია.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში არაყის დამზადება საქართველოში ძირითადად მცირე წარმოების ხასიათს ატარებდა. არაყის გამოხდა ძველი ჩამორჩენილი წესით წარმოებდა. ამ შემთხვევაში გლეხები საკუთარ სახლში აწარმოებდნენ არაყის გამოხდას. საარაყე ქვაბების საშუალებით. მათზე ვერ ვიტყვით „ქარხანას“. რადგან არაყის გამოხდა ძირითადად 2-3 კვირა გრძელდებოდა (უკეთეს შემთხვევაში). შრომის ნაყოფიერების გასაზრდელად არ გამოიყენებოდა არავითარი ხელსაწყო, ან მანქანა. ძირითადად მწარმოებელ მასას ვენახის მფლობელნი წარმოადგენდნენ.

¹ სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, თბ. 1928, გვ. 279.

² მ. მირიანაშვილი. კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში (სპირტის, არაყის და კონიაკის წარმოება), თბ. 1980.

³ იქვე გვ. 6.

არაყის და საერთოდ სპირტიანი სასმელების წარმოება ბატონყმობის გაუქმების შედეგად იზრდება, როცა წარმოებაში ორთქლის მანქანები და დანადგარები ჩაერთო ამ საქმეში, დიდი როლი შეასრულა დავით სარაჯიშვილმა, რომელმაც მრავალი ქარხანა გახსნა და ქველმოქმედებასაც ეწეოდა, იგი თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ქართულ საქმეს ახმარდა. ამის შესახებ გარკვეული ლიტერატურა არსებობს და ჩვენ არ შევუდგებით მის განხილვას.

შევეცდებით მოკლედ გადმოგცეთ, თუ როგორია ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებაში გადმოსახლებული გერმანელთა როლი. გერმანელებმა ენერგიულად მოკიდეს ხელი მევენახეობა-მელვინეობის წარმოებას. განსაკუთრებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი ღვინოს უმთავრესად ამზადებდნენ გასაყიდად. ამიტომ მათ ღვინის რაოდენობა უფრო აინტერესებდათ, ვიდრე ხარისხი. ყურძნის ტკბილის გამოწურვის შემდეგ ჭაჭაზე ასხამდნენ წყალს. განახლებოდა სუსტი დუღილი და მზადდებოდა დაბალი ხარისხის ღვინო. სიმაგრე 5 გრადუს არ აღემატებოდა. ასეთ ღვინოს ისინი „ვასერვაინს“ - წყალღვინოს უწოდებდნენ და პირადი მოხმარებისათვის იყენებდნენ, ხოლო გასაყიდად შაქრით ამზადებდნენ ფალსიფიცირებულ ღვინოს. ისარგებლეს რა ადგილობრივი მუსულმანი მოსახლეობის ღვინის საქმეში გაურკვევლობით. არაერთი გერმანელი გამდიდრდა შაქრისგან დამზადებული ღვინის გაყიდვით. არაფრის მქონე ალმენ კინტერმა მიწებიც შეისყიდა და სახლიც მშენიერი აიგო, რომლის სარდაფში შემდგომ ყოფილი საბჭოთა მეურნეობის მარანი იყო მოთავსებული. თბილისში, სადაც მომხმარებელი შედარებით გაურკვეველი იყო ღვინის ხარისხში, ბოლნისურ ღვინოებში უპირატესობას სოფელ ბოლნისის ხაჩიჩის ღვინოს აძლევდა. გერმანელთა მიერ შემოტანილ ღვინოს არ ეტანებოდა.¹

ღვინის დაყენების წესების ცოდნა-გამოცდილების მხრივ ეკატერინფელდელი გერმანელები პირველობას მეზობელ სომხებს და ქართველებს უთმობდნენ. გერმანელები დასახლებიდან მთელი 60 წლის მანძილზე მევენახეობას ეწეოდნენ, მაგრამ მეტად მცირე ფართობზე. ასე მაგალითად, 1875 წელს აღმოსავლეთ საქართველოსა და განჯის მაზრაში დასახლებულ გერმანელთა ყველა კოლონიაში ვენახებს მიწების საერთო მხოლოდ 2% ეკავა. (სულ 405 ჰექტარი).²

გერმანელ კოლონისტთა დიდი რაოდენობა განჯაში და სხვა ადგილებში ცდილობდა მოსავალი ყურძნად გაეყიდა, რადგან იცოდა კარგ ღვინოს ვერ დააყენებდა. მევენახეობის პროდუქციის ოდენობის მიხედვით გერმანელ კოლონისტებს სახარბიელო მდგომარეობა არ ჰქონდათ. 1850 წლიდან 1880 წლამდე გერმანელებმა დაამზადეს სულ 696 197 ვედრო ღვინო. ამიტომ მევენახეობა მათ დიდ შემოსავალს ვერ აძლევდა.

აღსანიშნავია რომ კახეთის ტერიტორიაზე ვენახების უცხოელი მეპატრონეები ყურძნის წვენს მაშინვე ასხამდნენ ქვევრებში და მისი დუღილი მიმდინარეობდა ყოველგვარი მორევის გარეშე. პირველი დუღილის დამთავრების შემდეგ, ეს ახალი ღვინო უკვე იყიდებოდა ჩვეულებრივი ფასებით უცხოელ ვაჭრებზე. ღვინის ვაჭრები სწორედ ამ დროს დადიოდნენ სოფლებში, სინჯავდნენ ღვინოს კასრებიდან და თუ მოეწონებოდათ ყიდულობდნენ და მაშინვე ბეჭდავდნენ კასრებს, რათა ღვინო დაეცვათ ფალსიფიკაციისაგან. დაცარიელებული ღვინის კასრები უკან მიჰქონდათ რკინიგზის საშუალებით, ყოველგვარი გადასახადების გარეშე.

მიუხედავად გარკვეული ცოდნისა და გამოცდილებისა, გერმანელი კოლონისტები ხშირად დადიოდნენ წინანდალსა და მუხრანში მევენახეობა-მელვინეობის უკეთ დასაუფლებლად.³

მხოლოდ კოლონია ეკატერინებურში 150 000 ვედრო ღვინოს იღებდნენ, რომელიც გასაყიდად გაჰქონდათ თბილისში. ასევე ყოველ წელიწადს აქ 10 000 ვედრო სპირტს ამზადებდნენ.

ალკოჰოლური სასმელების (არაყი, კონიაკი) წარმოებაში მანქანა-დანადგარების გამოყენებას უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ეყრება საფუძველი. მაგრამ ამ დროს არსებული საწარმოების უმრავლესობა წვრილ საწარმოებში იყო. ხოლო მათ შორის რამდენიმე შედარებით

¹ შ. ქუთიძე, დას, ნაშრ, გვ. 121.

² იქვე.

³ ავ. სონღულაშვილი. „გერმანელები საქართველოში“, თბ. 1995, გვ. 14.

მსხვილი საწარმო, უკეთეს შემთხვევაში მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გარდამავალ ხასიათს ატარებდა.

60-70 იან წლებში, როგორც დასავლეთ საქართველოში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში არსდება არყის გამოსახდელი ქარანა. სადაც ორთქლის მანქანების გამოყენებას ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამ საწარმოებმა დიდხანს ვერ იარსებეს. ასეთი იყო 60-იან წლებში კუზმინსკის საწარმო ქუთაისის გუბერნიაში სოფ. ქოსთანაში, რომელშიც 34 მუშა მუშაობდა. 1877 წელს ბახის მიერ დაარსებული საწარმო, რომელშიც 29 მუშა მუშაობდა, ხოლო პროდუქციის ღირებულება 161 000 მანეთს აღემატებოდა და სხვა.¹

არაყისა და სპირტის მსხვილ წარმოებაში 80-იანი წლების ბოლოდან დარგობრივი სპეციალიზაცია გაღრმავდა. ამოქმედდა სპირტის სარეკტიფიკაციო (უხარისხო სპირტის, ან არაყის გაწმენდა, გასუფთავება და სუფთა სპირტის მიღება). სხვა და სხვა სახის არაყის და კონიაკის ქარხნები. სპირტის წარმოებაში გზა გაუკაფეს მსხვილმა მეწარმეებმა, რომლებმაც თავი გაართვეს წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას. უმთავრესად უცხოეთიდან შემოტანილი ძრავებით. მანქანა-დანადგარებითა და აპარატურით. აღნიშნული დროიდან ალკოჰოლური სასმელების წარმოება საქართველოში ძირითადად 3 მსხვილი მრეწველის: დ. სარაჯიშვილის, მ. ხუბლაროვის და ა. არგამონოვის ხელში მოექცა. მათ ხელში აღმოჩნდა, როგორც აღვნიშნეთ არაყის, კონიაკის, ასევე სარეკტიფიკაციო ქარხნები. გერმანელი მეწარმეები, საერთოდ არ ჩანან ამ სფეროში. თუ არ ჩავთვლით ბახის სპირტის ქარხანას, რომელიც 1876 წელს გაიხსნა ბორჯომში. იგი იმ დროისათვის თანამედროვე დანადგარებით იყო აღჭურვილი. გარდა იმისა, რომ მან საკუთარი სახსრები დახარჯა, ასევე აიღო სესხი კერძო პირებისა და ბანკისაგან. მაგრამ მან კონკურენცია ვერ გაუწია რუსეთიდან შემოსულ იაფ პურის სპირტს და გაკოტრდა. ქარხანა შეიძინა ა. სოგომონოვმა, რომელიც სარაჯიშვილთან ერთად საქართველოში სამეულში შევიდა. ასევე იყიდა 1905 წელს აბასთუმანთან (ზუგდიდის მაზრა) გახსნილი ფ. პროტცერის პურის სპირტის ქარხანა. 1906 წელს სარეკტიფიკაციო განყოფილება გახსნა და საჭირო დანადგარები უცხოეთიდან გამოიწერა და აგრძელებდა ამ საქმიანობას ძალიან დიდხანს.

ლუდის წარმოებიდან თბილისში ძირითადი პროცენტი უცხოელების ხელში იყო თავმოყრილი. ამ საქმეს თავდაპირველად გერმანელი კოლონისტები მისდევდნენ. ჯერ კიდევ 1850 წელს გერმანელთა კოლონიაში მცირე ზომის ლუდსახარში დაარსა მადერსმა (მის მიერ გამოშვებულ შავ უხარისხო ლუდს ისევ კოლონისტები იძენდნენ). 1965 წელს დაარსდა ვეტცელის ქარხანა, სადაც ბავარიულ ლუდს ამზადებდნენ. ასევე მალე გაიხსნა ორი ლუდსახარში ქარხანა დეტრიხის და გუტბროდისა.

ლუდის წარმოება თბილისში განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ ხანაში, კერძოდ 70-80 - იან წლებში იზრდება, ჩნდება მთელი რიგი ლუდის ქარხნები, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ლუდს ამზადებდნენ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლუდის ქარხანა 80-იან წლებში თბილისში ჰქონდა მეორე გილდის ვაჭარს ადოლფ მადერს. ქარხანაში იდგა ერთი ორთქლის მანქანა ხუთ ცხენის ძალიანი და ერთი ორთქლის ქვაბი. მუშაობდა 16 კაცი. სამუშაო დროის ხანგრძლივობა იყო 12 საათი. ქარხანას ჰქონდა ერთი საკვასავი კასრი, ორი ლუდსახარში ქვაბი, სამი წყლის რეზერვუარი და ერთი წყლის ტუმბო. აქ დამზადებული ლუდი იყიდებოდა თბილისის გუბერნიაში.²

სანაპიროს ქუჩაზე ლუდსახარში ქარხანა ჰქონდა მეორე გილდის ვაჭარს ფრიდრიხ ვეტცელს. ქარხანაში იდგა: ერთი ორთქლის მანქანა რვა ცხენისძალიანი და ასეთივე სიმძლავრის ერთი ქვაბი. მუშაობდა 16 კაცი. სამუშაოს ხანგრძლივობა შეადგენდა 12 საათს დღეში. ქარხანა დაარსდა 1868 წელს და ყოველწლიურად ზრდიდა თავის წარმოებას.

¹ ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება მე-19 საუკუნის საქართველოში, თბ, 1966, გვ. 202.

² ნ. როდონაია. თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თბ. 1961, გვ. 37.

თბილისის ლუდსახარშ წარმოებებში წარმოებული ნაწარმი იყიდებოდა თბილისისა და ელიზავეტპოლის გუბერნიაში. ლუდი თბილისში მე-19 საუკუნის ბოლოდან შემოჰქონდათ უცხოეთიდან. თუმცა ისე უმნიშვნელო იყო, რომ ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა ადგილობრივ ლუდის ვაჭრობაზე.

ამგვარად ალკოჰოლური სასმელების წარმოების განვითარება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იზრდება. როცა მეფის რუსეთმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჯარი დააყენა ამით გაიზარდა მოთხოვნილება არაყზე, სპირტზე, კონიაკზე, თუ ლუდზე. ქართველი მეწარმეები ადგილზე მოხმარებისათვის იყენებდნენ მათ და ეს იყო კუსტარული წარმოების. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიაში გაუქმდა ბატონყმობა და თავისუფალი მუშა ხელი გაჩნდა. იქმნება და იზრდება ახალი საწარმოები, რომლებიც თანამედროვე დანადგარებს იყენებდნენ ამ მიზნით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ გერმანულ კოლონისტთა როლი ამ საქმეში უმნიშვნელო იყო, თუ არ ჩავთვლით მათ ფალსიფიცირებულ ღვინოს, რომლებსაც მეზობელ მუსლიმანებში ასაღებდნენ, ასევე უმნიშვნელო იყო არყის წარმოებაში, თუ არ ჩავთვლით ბახისა და პროტცერის სპირტის ქარხნებს. დიდი იყო გერმანულ მეწარმეთა წვლილი ლუდის წარმოებაში, რომელსაც ისინი ასაღებდნენ თბილისის გუბერნიაში. მადერის, ვეტცელის თუ სხვათა საწარმოები იმ დროისთვის ალჭურვილი იყვნენ თანამედროვე მანქანა-დანადგარებით.

Giorgi Iobashvili

Akaki Tsereteli State University

GERMAN COLONISTS AND INDUSTRIAL PRODUCTION OF SPIRITS IN GEORGIA RESUME

In the ancient country of winemaking in Georgia, alcoholic beverages have a long history. But due to their wide consumption of the best wines, Georgian people did not drink vodka until the 19th century. The use of vodka for drinking is mainly characteristic of the mountainous regions of Georgia. Vodka and tincture of various herbs were mainly used in feudal Georgia for treatment.

The invasion of Russia into Georgia and the proliferation of occupational units and military equipment, the disruption of natural farming, the development of commodity relations, and the expansion of the foreign market in the 19th century led to increased demand for vodka and increased production of vodka.

In the early 19th century, the existence of alcohol (vodka) in Georgia was characterized by the coexistence of simple forms and large capitalist production. Alongside the small-scale production of birch, alongside the large capitalist production of alcohol and birch, small producers of Georgian and Transcaucasian large-scale raw material suppliers became established.

Until the nineties of the 19th century, the production of vodka in Georgia did not meet the requirements of the local market. So much of the alcohol and vodka came from Russia, partly from abroad. Large quantities of cheap spirits from Russia compete with local produce and hinder its development.

As for the German colonists, the Russian tsaris began to settle in the 19th century. The families of the Germans were brought from Germany and settled in uninhabited areas of the Russian Empire and in Georgia. The government gave them money for travel and assistance.

Although most of the settled Germans were craftsmen, everyone received land as a master. They rented the land to local people for cultivation. Half of the displaced Germans had thus been cultivated by the forces of the local population who had taken their ancestral land and dredged it.

The settlers were given 30,000 acres of land by the Germans. More than half a century has passed since then, and in all the settlements populated by the Germans in 1875, ie the vineyards

taken together in the colony, they had only 405 desetina, ie. 2%. Of the rest of the land, many were unprocessed at a time when the soil here provides a rich harvest of wheat.

The German colonists were making wine mainly for sale. So they were more interested in quantity of wine than quality. After tasting the sweetness of the grapes, water was poured on the chacha. They used to call such a boiling wine "Vasserwine", selling it over the sea and to neighboring Muslims. German colonists went to Tsinandali and Mukhrani with the Georgian specialists to specialize in better wine production.

As for the development of the production of alcohol, vodka and brandy, the German contribution here is very small, with the exception of the Bach and Protzer alcohol factories that went bankrupt and fell into the hands of others.

As for the beer production in Tbilisi, foreigners are leading, and the Germans are among them. The first brewery in Germany was founded by Maders in 1850. In 1865 the Getzel brewery was opened, producing mainly Bavarian beer.

So the Germans did not make a major contribution to the production of alcoholic products, except for beer production, where they were largely present.

გენდერული კონსტრუირების პროცესი თანამედროვე საქართველოში

გენდერის თემა საქართველოში ბოლო 20-25 წლის მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ინტერესს იწვევს გენდერისა და მასთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების შესწავლის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთაც როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველო, რომელიც სხვადასხვა რეგიონებისგან შედგება და განსხვავდება თავისი ტრადიციებით, მრავალმხრივი ფაქტორების შესწავლის მეშვეობით იმსახურებს ჩვენს ინტერესს. თემები დაკავშირებულია სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებთან, რომლებიც თვალსაჩინოდ აისახება უკავშირდება რა XXI საუკუნის გამოწვევებს.

გენდერული სტერეოტიპების ფორმირებაზე გავლენას ახდენს კულტურული ტრადიციები, კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული და მისი წევრების ქმედებების განმსაზღვრელი ურთიერთობა მამაკაცსა და ქალს შორის და აქტუალური ხდება ამ საკითხთან დაკავშირებული თანამედროვე სოციალური მოტივაციებიც.

გენდერული სტერეოტიპების კვლევისათვის საინტერესოდ გვესახება გენდერული იდენტურობა და მასთან დაკავშირებული კულტურისა და ტრადიციების საკითხი. საქართველო ეს ის ქვეყანაა, სადაც საბედნიეროდ დღემდე საკმაო ყურადღება ექცევა ტრადიციული ცხოვრების ფორმებსა და ცხოვრების წესს. ცნობილია, რომ ქალისა და მამაკაცის ცხოვრება ოჯახურ სივრცეში მთლიანად ემყარება არა მარტო პირად ურთიერთობებს, არამედ იმ სოციალურ ფონსაც, რომელშიც იგი მუდმივად იმყოფება. ბუნებრივია და ამავე დროს პრიორიტეტულიც ქალის როლი ოჯახში როგორც დედისა და მეუღლის. იგი როგორც შვილების აღმზრდელი ოჯახს დიდ დროს უთმობს. მამაკაცი-მეუღლე კი გვევლინება ოჯახის მარჩენალად.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველო სამწუხაროდ არაკონსტრუირებულ სახელმწიფოდ გვევლინება სწორედ აქ გენდერული კვლევები და გენდერთან დაკავშირებული ყველა სოციალური პროცესი მეტად აქტუალურია. ვინაიდან, ქართული ოჯახის სიმბიოზი და მასთან დაკავშირებული ყველა სოციალური პრობლემა გენდერული თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურება ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან, ოჯახი ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ფუნდამენტია, ერთ-ერთი გასათვალისწინებელი პარამეტრია და ჩვენი ტრადიციული ღირებულებები, რომელიც განისაზღვრება ოჯახით, პოლიტიკით, რელიგიით და სხვა ყოველთვის განსაზღვრავს იმ კულტურულ მეტაფორას, რომელიც უკავშირდება ზნეობას, მორალს და ა.შ.

გენდერმა, როგორც სტრატეგიკაციულმა კატეგორიამ შექმნა საფუძველი იმისა, რომ შექმნილიყო კვლევის მთელი რიგი ტექნოლოგია, რომელმაც შეძლო განესაზღვრა ქალისა და მამაკაცის სუბიექტი ნორმატიულ პროცესში. ჯოან სკოტი გენდერის კატეგორიის ქსელში განხილვას გვთავაზობს, მისი აზრით სქესი, ასაკი, კლასი, რასა, ეთნიკურობა არის ფუნდამენტალური ცვლადი, რომელიც თავად განსაზღვრავს გენდერულ სისტემას. გენდერი, როგორც კულტურული მეტაფორა ადამიანების მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური განსხვავების გამოსახატავად გამოიყენება. გაიატრი სპივაკმა კრიტიკულად გააანალიზა გენდერის გამოყენება ბრიტანელი და ამერიკელი ქალი მწერლების ზოგიერთ ტექსტში. ნატალი დევისმა წარმოაჩინა, როგორ უკავშირდებოდა მასკულიზმისა და ფემინიზმის ცნებები ადრეული მოდერნის საფრანგეთში სოციალური წესრიგის წესების გაგებასა და კრიტიკას. ისტორიკოსმა ქეროლან ბაინამმა ახლებურად დაგვანახა შუა საუკუნეების სულიერება იმით, რომ ყურადღება მიაპყრო მასკულიზმისა და ფემინიზმის ცნებებსა და რელიგიასთან მიმართებაში კავშირს.

მაშინ, როცა სახელმწიფო არასტრუქტურირებულია და სოციალური ფონი საკმაოდ მძიმეა, რთულია ისაუბრო ქალთა მდგომარეობის შესახებ იმავე კრიტერიუმებით, რაც დამახასიათებელია ინდივიდუალიზებული საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია გაირკვეს ქალთა ღირებულებითი ორიენტაციები, კერძოდ, მისი დამოკიდებულებები ოჯახში, მამაკაცთან, თვითრეალიზაცია, მისი აქტივობის საკითხი საზოგადოებაში და საკუთარი უფლებების ცოდნა.

საგულისხმოა, გენდერული ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება აკრძალვების, გარიყვის, დამცირების და დაკნინების გზით, რითაც იზღუდება ქალის უფლებები. გენდერული ძალაუფლება ამ ფასეულობათა სისტემაში პრივილეგიას ანიჭებს მამაკაცის როლს საერთოდ საზოგადოებაში, ხოლო ტრადიციული მახასიათებლები ასოცირებული ხდება ზოგ შემთხვევაში ქალის შრომის გაუფასურებასთან.

საგულისხმოა ის, რომ სანდრა ბემის ნაშრომი „სქესი, გენდერი და საზოგადოება“ პირველ ტექსტურ ნამუშევრად მიიჩნევა, სადაც ცნება გენდერი შემოდის სოციალური მეცნიერებების დისკურსში. სხვადასხვა მეცნიერება განსხვავებულად ახდენს ქალის „ჩამოყალიბებას“. ქალის ადამიანობა საერთოდ ეჭვქვეშ იდგა და აქედან მომდინარეობდა მათი ქცევის მიზეზების ამხსნელი, თუმცა დამაბნეველი თეორიები. ენ ოუკლის აზრით „ქალი გენდერის გარეშე ნამდვილი კულტურული არტეფაქტია. გენდერის გარეშე ის უბრალოდ არ არსებობს“. რიან აისლერის შეხედულებით, არც მამაკაცი, არც ქალი, არც რომელიმე მთავრობები ან რაიმე ინსტიტუტები არ ბატონობენ სხვაზე.

განსაკუთრებული როლი გენდერული კვლევების განვითარებაში შეასრულა მ. მიდის მიერ ჩატარებულმა კულტურის მიერ ქალისა და მამაკაცის პიროვნებების ჩამოყალიბების შესწავლასთან დაკავშირებულმა კვლევებმა. სქესებს შორის სტანდარტულ პიროვნულ განსხვავებებს ხომ კულტურული მოდელები აყალიბებენ და მათ ემორჩილება ყველა თაობის ორივე სქესი. მიდმა, იკვლია რა სხვადასხვა ტომები, აღმოაჩინა სხვადასხვა კულტურის ზეგავლენით განპირობებული მკვეთრი განსხვავება ქალისა და მამაკაცის როლებსა და სტერეოტიპებში.

თანამედროვე სოციალური თეორიები აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, რომელიც წარმოაჩენს ქალების პროტესტს არსებული რეალობის წინააღმდეგ. ეს დამოკიდებულებები აღინიშნება მთელ რიგ შრომებში და მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს ცნობილ სოციოლოგთა ნაშრომებში. ესენი არიან სპენსერი, ვებერი, დიურკემი და სხვ.

დღეისათვის საქართველოში გენდერული თანასწორობის შესახებ განიხილეს საქართველოს პარლამენტში, მათ შორის: გენდერული თანასწორობა, დისკრიმინაცია, პირდაპირი დისკრიმინაცია, ირიბი დისკრიმინაცია, თანასწორი შესაძლებლობები, თანასწორი შესაძლებლობები, თანასწორი მოპყრობა.

გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

დისკრიმინაციაა ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები;

პირდაპირი დისკრიმინაცია ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ირიბი დისკრიმინაცია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით, ან

თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

განსაკუთრებული ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;

თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.¹

ზოგიერთმა მეცნიერმა, განსაკუთრებით ანთროპოლოგებმა, გენდერის გამოყენება ნათესაობის სისტემით შემოსაზღვრეს (ფოკუსირდნენ შინამეურნეობასა და ოჯახზე, როგორც სოციალური ორგანიზების ბაზისზე). ჩვენ უფრო ფართო ხედვა გვჭირდება, რომელიც არა მხოლოდ ნათესაობას მოიცავს, არამედ აგრეთვე (განსაკუთრებით, რთულ, მოდერნულ საზოგადოებებში) შრომის ბაზარს (სქესობრივად სეგრევირებული შრომის ბაზარი გენდერის კონსტრუირების პროცესის ნაწილია), განათლებას (მხოლოდ კაცების, ერთსქესიანი ან ორი სქესის საზიარო საგანმანათლებლო ინსტიტუტები ამავე პროცესის ნაწილია) და პოლიტიკურ სისტემას (საყოველთაო საარჩევნო უფლება კაცებისთვის გენდერის კონსტრუირების პროცესის ნაწილია). არც ისე ჭკვიანური ჩანს, ეს ინსტიტუტები ისევე ნათესაობის სისტემაში ფუნქციური გამოსადეგობის ჩარჩოში დავაბრუნოთ ან ვამტკიცოთ, რომ კაცებსა და ქალებს შორის თანამედროვე ურთიერთობები ქალების გაცვლაზე დაფუძნებული ძველი ნათესაობის სისტემების ნაშთებია.²

ენა გვეკლინება ფემინისტური თეორიის მნიშვნელოვან საკვლევ ობიექტად, ის შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გენდერული ურთიერთობების, თვით იდეოლოგიის ანარეკლი, ამასთან ერთად გენდერის სოციალური კონსტრუირების შესწავლის საშუალება. კაცებისა და ქალების „ენებს“ შორის განსხვავებას ემპირიულად შეისწავლიდა ფემინისტთა ნაწილი და ხაზს უსვამდა კაცთა დომინანტურობას (მამაკაცები ქალებს აწყვეტილებენ საუბარს, ქალები კი აზრის გამოხატვის ნაკლებად დომინანტურ ფორმებს მიმართავენ, რაც დაბალი ხმის ტემპით აისახებოდა). ქალებისა და კაცების ჰომოგენურ ჯგუფებად და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებად წარმოჩენის მიზნით გააკრიტიკეს პენელოპე ეკერტმა და სალი მაკკონელ გინეტმა ხაზი გაუსვეს ყოველდღიურ, სპეციფიკურ სოციალურ კონტექსტებსა და სპეციფიკურ სოციალურ ჯგუფებში ენისა და გენდერის მიმართების ანალიზის საჭიროებას, რადგან სხვადასხვა ლინგვისტურ პრაქტიკას (მაგალითად, გაჩუმებას ან შეწყვეტილებას) სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს განსხვავებულ სიტუაციურ, ინსტიტუციურ თუ კულტურულ კონტექსტში. გენდერის კონსტრუირების პროცესში ასეთი მიდგომა ლინგვისტური პროცესების მართვისა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას იძლევა. ყოველივე ამის პარალელურად კი ფემინისტი ავტორები ხაზს უსვამენ ენობრივი სისტემების იერარქიულობასა და დომინანტური ჯგუფების (ძირითადად კაცების) ლინგვისტური პრაქტიკის დომინაციასაც. გენდერის თანამედროვე გაგება მის პერფორმატიულობას უსვამს ხაზს და გენდერის ენის საშუალებით კონსტრუირების პროცესით ინტერესდება.³

¹ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, №2844 საქართველოს პარლამენტი, 26/03/2010

² Rubin, „Traffic in Women,” 199.

³ <http://dictionary.css.ge/content/language-gender-and-power> (ენა, გენდერი, ძალაუფლება - მოქმედა 3.02.2020)

გენდერი ნათესაობის საშუალებით კონსტრუირდება, მაგრამ არა მხოლოდ; ამას გარდა ის კონსტრუირდება ეკონომიკასა და პოლიტიკურ სისტემაში, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს საზოგადოებაში, ახლა დიდწილად ნათესაობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს.

რეალური კაცები და ქალები ყოველთვის ან ზედმიწევნით არ ასრულებენ თავიანთი საზოგადოებების მიერ ან ჩვენი ანალიტიკური კატეგორიების მიერ გამოწერილ პირობებს. შესასწავლია თუ რა გზებით კონსტრუირდება გენდერირებული იდენტობები, რათა ამ და სხვა საშუალებებით მიღწეული მიგნებების დაკავშირება შეძლონ სხვადასხვა აქტივობებთან.

შერჩევითი გამოკვლევების შედეგად შეიძლება შეფასდეს, რომ ქალი სრულფასოვნად ახორციელებს საკუთარ თავს მხოლოდ მაშინ, როცა მას შვილი ჰყავს. აქვე არსებობს მარტონხელა დედობის ინსტიტუტის შემოღება და პარალელურადაც არც ქორწინება ითვლება დრომოჭმულ ინსტიტუტად.

მთელის შერჩევა თითქმის ერთმნიშვნელოვნად იღებს შვილებსა და მშობლებს შორის უწყვეტი სიმბოლური კავშირის პოზიციას. მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება შემდეგი დებულებები: მიუხედავად იმისა, თუ რა თვისებები გამოუმჟღავნებიათ ან დანაშაული ჩაუდენიათ მშობლებს „შვილი ყოველთვის ვალდებულია უყვარდეს და პატივს სცემდეს მათ და მშობლების მოვალეობაა ყველაფერი გაუკეთონ შვილებს, თუნდაც საკუთარი კეთილდღეობის ხარჯზე“.

ეს დამოკიდებულებები ოჯახის მიმართ საერთოა როგორც ქალების, ასევე კაცებისთვის და მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის. ისინი მხოლოდ ორი მოვლენის მიმართ ამჟღავნებენ განსხვავებულ დამოკიდებულებას: ქალები თვითრეალიზაციის აუცილებელ პირობად შვილების ყოლას მიიჩნევენ, ვიდრე მამაკაცები და ასევე შვილებისათვის თავის გაწირვის პოზიციაც ქალებისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე კაცებისთვის.

ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბურდიემ აღნიშნა, რომ „division du monde”¹, რომელიც ეფუძნება „ბიოლოგიურ განსხვავებებს და განსაკუთრებით კი იმათ, რომლებიც პროკრეაციული და რეპროდუქციული შრომის დანაწილებას ეხება“, მოქმედებს, როგორც „ყველაზე მტკიცე საფუძვლის მქონე კოლექტიური ილუზია.“ ობიექტურ აღმნიშვნელებად დამკვიდრებული გენდერის ცნებები ასტრუქტურირებს აღქმას და მთელი სოციალური ცხოვრების კონკრეტულსა და სიმბოლურ ორგანიზებას.² რადგანაც ეს აღმნიშვნელები აყალიბებს ძალაუფლების განაწილებებს (სხვადასხვაგვარ კონტროლს ან წვდომას მატერიალურ და სიმბოლურ რესურსებზე), გენდერი თვით ძალაუფლების კონცეფციისა და კონსტრუქციის ნაწილი ხდება. ფრანგმა ანთროპოლოგმა მორის გოდელიემ ეს აზრი ასე გამოთქვა: „სექსუალობა არ აწუხებს საზოგადოებას, პირიქით, საზოგადოება არ აძლევს მოსვენებას სხეულის სექსუალობას. სხეულებს შორის სქესობრივი განსხვავებები მუდამ მოხმობილია სოციალური ურთიერთობებისა და ისეთი ფენომენების განსამტკიცებლად, რასაც არაფერი აქვს საერთო სექსუალობასთან. ამგვარი განმტკიცება ლეგიტიმაციას ემსახურება.“³

სოციალური კვლევა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ქართულ ოჯახში, რომელიც ქალისათვის მიიჩნევა ცენტრალურ ღირებულებად, მოითხოვს დეტალურ შესწავლას და თავიდან გააზრებას. თუნდაც მაშინ, როდესაც ტრადიციები ყოფაში საერთოდ სოციალურად მიუღებელიც კი არის. ამგვარ საკითხთა რიგს მიეკუთვნება პარტნიორთა შორის ურთიერთობების სტილიც, ქორწინებისა და შემდგომ ოჯახური თანაცხოვრების მოტივები. დამოკიდებულებები დიდ ოჯახში, რაც ხშირად ქართულ ყოფაში (მეუღლეების ცხოვრება რომელიმე ერთ-ერთის მშობლებთან). დამოკიდებულებები შვილებისადმი, თვითრეალიზაციის, თვითშეფასებებისა, თუ თვითაქტუალიზაციის პრობლემები და ა.შ.

თუ დამოკიდებულებების ემპირიულ სურათს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ადამიანებს აქვთ მშობლებთან ურთიერთობის სემიოტური კავშირის დაკვეთა. ხშირად არა აქვთ საერ-

¹ ფრანგ. მსოფლიოს დაყოფა

² Pierre Bourdieu, *Le Sens Pratique*(Paris, 1980), 246-247, 333-461, განსაკუთრებით 366.

³ Maurice Godelier, “The Origins of Male Domination”, *New Left Review*, 127 (May-June, 1981): 17.

თო პარტნიორთან, შვილებში ხედავენ რეალიზაციის გზას. ოჯახში მეტი მიჯაჭვულობით გამო-
ირჩევიან ქალები და, ამავე დროს, თავიანთი ოჯახური ცხოვრებით ისინი არც კმაყოფილნი არი-
ან და არც უკმაყოფილო. ეს მოვლენა საკმაოდ წინააღმდეგობრივია იმ თვალსაზრისით, რომ არ
იძებნება ლოგიკური ხაზი სოციალური კოგნიციების სტრუქტურაში. (ერთის მხრივ, ოჯახი
არის ძირითადი ღირებულება და მიჯაჭვულობის ობიექტიც და მეორეს მხრივ იმავე ოჯახის მი-
მართ ნეიტრალური დამოკიდებულება არსებობს) და დამოკიდებულებები ამბივალენტურ ხასიათს
ატარებენ. ბუნებრივია, ამგვარი სიტუაცია ითხოვს, უფრო დეტალურად იქნას შესწავლილი
ქალთა დამოკიდებულებები და მოლოდინები მამაკაცების მიმართ, რადგან ამბივალენტურობის სა-
ფუძვლად ოჯახურ წყვილში ურთიერთობების პრობლემები უნდა წარმოვიდგინოთ.

ინგლისელი პოლიტოლოგი პეტმანი აღნიშნავს, რომ „ქალი ასრულებს მსოფლიოში შეს-
რულებული სამუშაოს 1/3-ს, წარმოების სფეროში სამუშაოების 2/3-ს, თუმცა ის ფლობს შემო-
სავლების 1/10-ს და საკუთრების მხოლოდ 1/100-ს“. ყოველწლიურად ახალი კომუნიკაციებისა
და ტექნოლოგიების გავრცელება ხელს უწყობს ეროვნული საზღვრების გაუქმებას და ფიზიკუ-
რი მანძილების შემცირებას. ამავე დროს საფინანსო ბაზრებზე ხდება უზარმაზარი თანხების გა-
დადინება, იზრდება საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, ინტენსიურად მატულობს სამუ-
შაო ძალის მიგრაციული ნაკადების სიმძლავრეები. ყოველივე ეს მამაკაცთა სასარგებლოდ მუშა-
ობს და ვერ ხსნის დღის წესრიგიდან ქალისთვის არსებულ უთანასწორობის მრავალ პრობლე-
მას: აუნაზღაურებელ შრომას, შრომის ბაზრის სეგრეგაციას, დისკრიმინაციას, დასაქმებას და
სხვა.¹

როდესაც განვიხილავთ მსოფლიოში ქალების დასაქმების სტრუქტურის განზოგადოებულ
მოდელს, რომელიც შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა წარმოდგენილია პირამიდის სახით;
რაც მაღალია თანამდებობის იერარქიული საფეხური, მით ნაკლებია ქალთა ხვედრითი წილი
მსოფლიოს ქვეყნების ბარიერი. ამ ბარიერთა ერთობლიობას სპეციალურ ლიტერატურაში „მინის
ჭერს უწოდებენ“.

ნეოკლასიკოსები გამოყოფენ სამი სახის დისკრიმინაციას: უპირატესობების დონეზე (დამქი-
რავებლის დონეზე), სტატისტიკურ დისკრიმინაციას და დისკრიმინაციას წარმოშობილს შრომის
ბაზრის მონოპოლიური სტრუქტურის საფუძველზე. შემუშავდა აგრეთვე სამი სახის კონცეფცია:

ა) **ოპტიმისტური ხასიათის - „ინტეგრაციის“ კონცეფცია.** აქ იგულისხმება გლობალიზაცი-
ის შედეგად საგარეო მაჩვენებლების ზრდა. მაგალითად XX საუკუნის მეორე ნახევარში, 50
წლის განმავლობაში მსოფლიოში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 16-ჯერ, სამრეწველო წარ-
მოება 6 -ჯერ, განვითარებადი ქვეყნების წილი სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 6-ჯერ, გან-
ვითარებადი ქვეყნების წილი სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 6,3%-დან 18,2%-მდე წარმოე-
ბის ექსპორტზე ორიენტაციამ გაიზარდა ქალთა ხვედრითი წილი წარმოებაში (12%-დან 32%-
მდე) და არაფორმალურ სექტორში აზიის, აფრიკის და თავისუფალი ეკონომიკური ზონები: სინ-
გაპური, ჩილე, ჩინეთი, მალაიზია, შრილანკა, სამხრეთ კორეა და ა.შ.; სადაც დასაქმებულთა აბ-
სოლუტური უმრავლესობა ქალია.

ბ) **ნეგატიური მიდგომა ეხება გლობალიზაციის გავლენას დასაქმებაში ქალთა ექსპლუატა-
ციის გაძლიერებაზე.** ამ კონცეფციის თანახმად საგარეო სახეები, რომლებიც ქალის მონური
შრომის გამოყენებას ხელს უწყობს. ამ კონცეფციაში ხაზი ესმება ქალთა დასაქმების ზრდას
დაბალანაზღაურებას სამუშაოებზე და მათ პოლიტიკურ კონფორმიზმს.

გ) **მესამე, მარგინალიზაციის კონცეფცია** აქცენტს აკეთებს ქალთა დასაქმებაზე მათთვის
არახელსაყრელ დარგებში. გლობალიზაციის ფონზე ბევრ ქვეყანაში არ იცვლება ქალისადმი და-
მოკიდებულება დაქვემდებარებული სტატუსით ოჯახში. ასეთ ქვეყანაში, სტრუქტურული გარ-
დაქმნების პროგრამებში ქალები თამაშობენ „მეორადი რესურსის როლს“.²

¹ კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, თბ. 2002. გვ. 119

² ფ. ზურიკაშვილი, გენდერი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, თბ. 2001. გვ.94.

ჩვენი აზრით სოციალური ჯგუფების კვლევა გენდერული მეთოდოლოგიების გამოყენებით საშუალებას გვაძლევს ჩავეწვდეთ გენდერული სხვაობის „კონსტრუქციების“ პროცესებს, რომლებსაც საძირკველს უმაგრებს იდეოლოგია, რელიგია ან ორივე, და ამ შემთხვევაში მკვლევარმა უნდა იმსჯელოს იმის შესახებ თუ როგორ უნდა განსაზღვროს ეს ფაქტორი ზოგად სივრცეში, სადაც მოცემული კლასი, ან სოციალური ჯგუფი ფუნქციონირებადაა. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ამ პრიორიტეტულ სისტემაში პირადული და საზოგადოებრივი ფასეულობანი, ვინაიდან ისინი ერთად აღებული და მოცემული ფაქტორები განაპირობებენ სოციალური მობილურობის სისწრაფეს და ხასიათს.¹

ჯოან სკოტის მიხედვით: გენდერი არის ძალაუფლებრივი ურთიერთობების აღნიშვნის უპირატესი გზა. შესაძლოა უკეთესია ვთქვათ, რომ გენდერი არის უპირატესი სფერო, რომელშიც ან რომლის საშუალებითაც ძალაუფლება გამოიხატება. გენდერი ერთადერთი ასეთი სფერო არ არის, მაგრამ როგორც ჩანს, გენდერი დასავლეთში, იუდეო-ქრისტიანულ და აგრეთვე, ისლამურ ტრადიციებში სტაბილურად და განმეორებითად უკავშირდებოდა ძალაუფლების აღმნიშვნელობას. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ განსაზღვრების ამ ნაწილის ადგილი არგუმენტის ნორმატიულ სექციაშია, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ძალაუფლების ცნებები შეიძლება გენდერზე იყოს დაშენებული, მაგრამ ყოველთვის პირდაპირი მნიშვნელობით გენდერს არ ეხება.²

პოლიტიკა „ქალი და განვითარება“ (Women in Development) აქცენტს აკეთებს გენდერულ თანასწორობაზე, როგორც განვითარების მთავარ მიზანზე. ამ მიდგომის საფუძვლად ითვლება საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობის ანალიზი და განსაკუთრებით ძალაუფლებრივი ურთიერთობები განიხილება, როგორც სოციალურად კონსტრუირებული, პოტენციურად ცვალებადი მოვლენა.

პოლიტიკა და, რომელსაც ეწოდება „კომპლექსური გენდერული მიდგომა“ (Gender Mainstreaming) აფართოებს გენდერული პოლიტიკის საზღვრებს. მის ჩარჩოებში გენდერული თანასწორობა არ ყალიბდება ცალკეულ სპეციფიკურ მიზნად, არამედ ხდება ყველა პროგრამისა და სტრატეგიული მიმართულების ძირითადი ელემენტი. გაეროს განსაზღვრებით „ესაა პროცესი, რომლითაც შეიძლება შეფასდეს დაგეგმილ ღონისძიებათა სისტემა მამაკაცებსა და ქალებზე ურთიერთქმედების თვალსაზრისით. კანონმდებლობა, სტრატეგიები და პროგრამები, მათ შორის ყველა დონეზე და ყველა სფეროში“, განიხილება გენდერულ ჭრილში. დანერგილი პოლიტიკა „Women Empowerment“ (ქალთა უფლებამოსილება) მიმართულებაში ხაზგასმულია გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ძალაუფლებრივ სტრუქტურებში დაწინაურების გარეშე, მათთვის შესაბამისი რესურსების გადაცემის გარეშე.³

გავლენიანი ფემინისტური ორგანიზაცია, კანადელ ქალთა სტატუსი განმარტავს, რომ გენდერული თანასწორობა თანაბარი პირობების, მოპყრობისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაა მამაკაცისა და ქალისათვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოტენციალის, ადამიანის უფლებებისა და ღირსებების სრულად რეალიზება. გენდერული თანასწორობა ასევე გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარებისათვის კონტრიბუციისა და სარგებლის მიღებას (Status of Women Canada, 2007). იუნესკოს განმარტებით, რომ გენდერი სოციალური და კონსტრუქციული განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის როლებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომელიც დასწავლილია, განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და ცვალებადია (UNESCO 2009).

ნ. პუშკარევა ნაშრომში „გენდერული კვლევები და ისტორიული მეცნიერებები“, აღწერს რა გენდერის კონსტრუირების „გამოცანებს“, იქვე მიუთითებს, რომ „გენდერი ეს არის სოცია-

¹ ი. კეცხოველი, კრ. „თანამედროვე ქალი და XXI საუკუნე“, სტ. გენდერული კვლევის საკითხისთვის თბ. 2011. გვ. 192-194..

² ჯ. სკოტი, გენდერი: ისტორიული ანალიზის სასარგებლო კატეგორია, თარგმანი მოამზადა აია ბერაიამ. <http://platforma.ge/?p=2865> (მოქმედა 3.02.2020)

³ ქალი პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, თბ. 1998 წ. გვ. 115.

ლური წესრიგის სისტემური დახასიათება, რომელსაც ვერც თავს დავაღწევთ და ვერც უარ-
ვყოფთ. ცნობიერების, ქმედებებისა და ზემოქმედების სტრუქტურებში მუდმივად ხდება მისი აღ-
დგენა.“ და ბოლოს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქალის, როგორც მამაკაცის ადგილი საზოგა-
დლებაში არის სოციალურად კონსტრუირებული, რაც მამაკაცის როლის სოციალურ ასპექტებზე
ყურადღების გამახვილების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

Sophio Pachulia
Georgian Technical University
**THE GENDER CONSTRUCTING PROCESS
IN MODERN GEORGIA
RESUME**

Although the fact that modern Georgia is not a constructed state, the gender researches and social processes connected to a gender is greatly actual. Since symbiosis of Georgian family and each social problem associated to it, in the respect of a gender, seems much more interesting in a daily life of our society. Due to the fact that family is the fundament of our state, it is one of the considerable parameter and our traditional values, which are defined by family, politics, religion and etc. always outlines the metaphor which is related to ethics, moral and etc.

A gender, as a form of stratification formed the fundaments to be created a numbers of research technologies, which had capacity to determine the subject of women and men in the normative process. Joan Scott advocates discussing gender in the categorization network. In his opinion, gender, age, class, race is a fundamental variable, which determines the system of gender by itself.